

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

I-II, 2010



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**სარედაქციო საბჭო:**

ელ. ბაბუნაშვილი, ვ. ბოდერი, ი. გიპერტი, ჯ. გიუნაშვილი,  
დ. თვალთვაძე, გ. კარტოზია, ბ. უტიე, კ. ფენრიხი, მ. შანიძე,  
კ.პ. შმიდტი, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

**EDITORIAL COUNCIL:**

E. Babunashvili, W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, I. Gippert,  
J. Giunashvili, A. Harris, G. Kartoziya, B. Outtier, M. Shanidze,  
K. H. Schmidt, D. Tvaltvaдзе

**სარედაქციო კოლეჯია:**

რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),  
რ. ენუქიძე, ივ. ლეჟავა (პასუხისმგებელი მდივანი), დ. მელიქიშვილი,  
ირ. მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ეთ. სოსელია,  
ი. ქობალავა, ნ. ქუთელია, მ. ქურდიანი, მ. ჯიქია

**EDITORIAL BOARD:**

R. Asatiani, T. Bolkvadze, R. Enukidze, **Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),  
M. Jikia, I. Kobalava, M. Kurdiani, N. Kutelia, **I. Lezhava** (Executive Secretary),  
D. Melikishvili, **I. Melikishvili** (Deputy Editor-in-Chief), E. Soselia

*ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და ზურაბ  
სარჯველიძის მიერ*

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010

ISSN 1512-0473



დ. გამყრელიძე

*კრებული ეძღვნება თამაზ გამყრელიძის დაბადებიდან 80 წლისთავს*



თანამედროვეობის უთვალსაზრისოდ ლინგვისტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ დიდი ხანია მოიპოვა მსოფლიო აღიარება და სახელი გაუთქვა ქართულ საენათმეცნიერო სკოლას და, როგორც ამ სკოლის ლიდერმა, მისი მიღწევები გაიტანა მსოფლიო ასპარეზზე.

მისმა ფუძემდებლურმა ნაშრომებმა, პირველ რიგში, მონოგრაფიებმა – „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ და „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (გვიი მაჭავარიანის თანაავტორობით) – ახალი ეტაპი შექმნეს ქართულ ენათმეცნიერებაში და კვლევის ახალი პერსპექტივები დასახეს. ვიაჩესლავ ივანოვთან ერთად შექმნილი წიგნი – *“Индоевропейский язык и индоевропейцы”* – ენათმეცნიერული აზრის უდიდესი მონაპოვარია, რომელმაც სრულიად ახლებურად დასვა და გადაწვეიბა ინდოევროპეისტიკის (და არა მარტო ინდოევროპეისტიკის) მრავალი კარდინალური საკითხი.

მეტად ფართოა თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზი, სამავალითოა მისი ღვაწლი და დამსახურება როგორც სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორისა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრაზე, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში. ჩემთვის განსაკუთრებით სასინარულოა, რომ რუსთველის პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენისა და გამოსაცემად მომზადების საშვილიშვილო საქმეს – გიორგი წერეთლის, ირაკლი აბაშიძის, ალექსანდრე ბარამიძისა და სარგის ცაიშვილის თავკაცობით დაწყებულ საქმეს დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გიორგი წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ გამყრელიძე ავრძელებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა-გამოცემასთან ერთად, მისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტია მისივე ინიციატივით წამოწყებული გრანდიოზული საქმე – შედგენა ქართული ენის თესაურუსისა, ქართული ენის საუნჯისა, რომელშიც მთელი სისრულით აისახება ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს თვალი გავადევნოთ ჩვენი ენის განვითარებას მეხუთე საუკუნიდან დღემდე.

მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტისა და მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი კონტაქტების წყალობით აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე წარმატებას აღწევს სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციებისა და სპეციალისტების მოზიდვისა და მათთან თანამშრომლობის, მათგან ქმედითი დახმარების მიღების საქმეში.

დაუცხრომელი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესატყვისია მისი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, მისი პრინციპულობა, უკომპრომისობა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში. ყველაფერმა ამან უდიდესი ავტორიტეტი შეუქმნა და ქართველი ერის დიდი სიყვარული და პატივისცემა არგუნა.

ვულოცავ ბატონ თამაზს დიდებულ იუბილეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ, წარმატებულ სამეცნიერო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ბედნიერებას!

**გურამ კარტოზია**

ფონეტიკა/ფონოლოგია

ციური ახვლედიანი

ფრანგული მძვინვარების პროსოდიული თავისებურებები

ენის ბგერითი შემაღვლენობის ევოლუციური ტენდენციები გავლენას ახდენს ტერიტორიულ, სოციალურ დიალექტთა და მეტყველების ფუნქციონალურ სახესხვაობათა მახვილსა და ინტონაციაზე. ინტონაციის დიალექტურ თავისებურებათა კვლევას მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ფ. კარტონმა (კარტონი 1980), რომლებშიც იგი ინტონაციას განიხილავდა ენის განსაზღვრული რეგისტრისა და მკვეთრად გამოჩნულ სოციალურ ჯგუფთა ჩარჩოებში; კერძოდ, ფ. კარტონი იკვლევდა ქ. ლილის მიდამოების მოსახლეობის მეტყველების ინტონაციის თავისებურებებს.

დიალექტის ინტონაციური თავისებურებანი ყველაზე ნათლად ვლინდება ყოველდღიურ სასაუბრო ენაში. კვლევის ობიექტია სოციოლექტი, რომელიც წარმოდგენილი იყო 60 წელს გადაცილებული დაწყებითი განათლების მქონე მუშათა ჯგუფით. ფრანგული ინტონაციის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მრავალ რეგიონში, მდაბიურ და ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში, ხშირად გრძელდება რიტმიკული ჯგუფის ბოლოსწინა მარცვლი, რაც ახდენს სიტყვის მახვილის გადაწევის შთაბეჭდილებას. აღნიშნული დიალექტური ნიშანი ერთდროულად სოციოკულტურულიცაა და ასაკობრივიც: მისი გამოვლენის სიხშირე გაცილებით მაღალია 40 წელს გადაცილებულ ასაკობრივ ჯგუფებში. ბოლოსწინა მარცვლის დაგრძელებას თან ახლავს ცვლილებები მელოდიკაში. ფ. კარტონი მათ განსაზღვრავს როგორც მელოდიკურ ვარდნას და მელოდიკურ წყვეტას. მელოდიკურ ვარდნაში ფ. კარტონი გულისხმობს ხმის ტონის დაწევას, დადაბლებას, რასაც ერწყმის მახვილისწინა ხმოვნის გრძლივობის გაზრდა. თუ მახვილისწინა მარცვლი მთავრდება მსკდომ თანხმოვანზე, ვარდნა დამრეცი ხასიათისაა, რაც დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთანავე თანხმოვნის დაჭიმულობა და გრძლივობა იზრდება. ბოლოსწინა მარცვალზე მელოდიკური ვარდნა საშუალებას იძლევა უფრო მკაფიოდ გამოიყოს ბოლო მარცვლის ხმოვანი ისე, რომ არ მოხდეს მელოდიკური მრუდის ძლიერი აწევა, ამაღლება. მელოდიკურ წყვეტაში კი იგულისხმება განსხვავება მახვილისწინა და მახვილიანი მარცვლის სიმაღლეში. მელოდიკური ვარდნა თითქოს ამზადებს ბოლო ხმოვნის გამოყოფას. საქმე ეხება მახვილს, რომელიც ხორციელდება მახვილისწინა და მახვილიანი მარცვლების კომბინაციით. ეს არის ერთდროულად რიტმიკული და გამოყოფი მახვილი. იგი შეინიშნება არა მხოლოდ მტკიცებით, არამედ კითხვით ფრაზებშიც. მახვილის ხასიათი მჭიდროდაა დაკავშირებული მოცემული ტერიტორიული დიალექტის ინტონაციურ თავისებურებებთან. ფ. კარტონი მიიჩნევს, რომ ქ. ლილის მიდამოთა დიალექტური თავი-

სებურებები განპირობებულია პიკარდიული სუბსტრატით. სუბსტრატის გავლენა მჟღავნდება იმით, რომ თანხმონები წარმოითქმის ძალიან ენერგიულად. ამგვარად, გამოძყოფი მახვილის რეალიზაცია თანხმონის დაგრძელებითა და ინტენსივობის მატების საშუალებით არის გართულებული. ავტორის დაკვირვებით, გამოძყოფ მახვილთა რაოდენობა უკუპროპორციულია კილოკავის არქაიზმის ხარისხისა.

თავკიდური მაგარი შემართვა, რომელიც უფრო და უფრო ვრცელდება ნორმატიულ ფრანგულში, ჩრდილო რეგიონებში იშვიათად გვხვდება. გამონაკლისს შეადგენენ ფრაზები ძლიერი ემოციური დატვირთვით.

ფ. კარტონმა გამოავლინა დიალექტურ დაბოლოებათა 2 სახეობა (დასრულებულობის და დაუსრულებლობის), რომელთა სურათი სავსებით არ ემთხვევა ნორმატიულ ფრანგულში ფრაზის მელოდიკის დაბოლოებებს. დასრულებულობის დიალექტური დაბოლოება ხასიათდება მახვილისწინა მარცვლის დაგრძელებით, მელოდიკის იმავდროული დადაბლებითა და მახვილიან მარცვალზე მელოდიკის ამალღებით. ზოგჯერ ბოლო მარცვალი გრძელიც შეიძლება იყოს. დაუსრულებლობის დიალექტური დაბოლოება ხასიათდება მელოდიკური მოძრაობის დადაბლებით (დაწვეით) იქ, სადაც ნორმატიული ფრანგული გვაძლევს ამალღებას (აწვევას). ამასთან დაკავშირებით ფ. კარტონი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი დიალექტური მახასიათებლები გამოწვეულია დინამიკური მახვილის ნარჩენი მოვლენებით პიკარდიულ სუბსტრატში. ჩრდილო დიალექტთა უფრო გვიანდელ კვლევებში ფ. კარტონმა შენიშნა ჩაზნექილი კონტური რიტმიკული ჯგუფის თავკიდურში და ბოლოკიდური ხმოვნის ერთი-ორი ტონით ამალღება წინამავალთან შედარებით. ფ. კარტონი მიიჩნევს, რომ დიალექტთა მახვილისა და ინტონაციის შესწავლა ხელს შეუწყობს ნორმატიული ფრანგული ენის დადგენას.

საკუთრივ სოციოლექტთა კვლევას ეძღვნება ო. მეტას (მეტა 1972) შრომები. ო. მეტამ გააანალიზა ერთგვაროვანი სოციალური ჯგუფის – პარიზის დასავლეთ რაიონებში მცხოვრებ, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა ინტონაციური თავისებურებები. ამ სოციოლექტში მან გამოავლინა მელოდიკურ მრუდთა ორი ტიპი, დამახასიათებელი მტკიცებითი ფრაზისათვის. ისინი აშკარად განსხვავდებიან პ. დელატრის მიერ ნორმატიული ფრანგულისათვის დამუშავებული საბაზო ინტონაციებისაგან. პ. დელატრის მიხედვით, დაუსრულებლობა ხასიათდება მელოდიკური მოძრაობის აწვეით, დასრულებულობა კი – მელოდიკური მოძრაობის დაწვეით. ო. მეტას ექსპერიმენტის დიქტორები იყვნენ 30-დან 50 წლამდე ასაკის ქალბატონები, ჩანაწერები კეთდებოდა ბუნებრივ პირობებში, საუბარი იმართებოდა ამ სოციალური წრისათვის ჩვეულ თემებზე: დასვენება, ვილების ყიდვა და ა.შ. მოცემული სოციოლექტის ინტონაციის პირველი თავისებურება ისაა, რომ ფრაზის დამამთავრებელი მელოდიკური ხაზი უფრო „ბრტყელია“, ვიდრე პ. დელატრის მოდელში, ზოგჯერ უახლოვდება თანაბარ ტონს, ჩვეულებრივი დადაბლება არ შეინიშნება. მეორე თავისებურებაა ის, რომ დაუსრულებლობა გამოიხატება ძირითადი ტონის სინშირის მნიშვნელოვნად უფრო ძლიერი აწვეით, ვიდრე პ. დელატრის მოდელში. სნობთა მეტყველების იმი-



ტაციის დროს სახელდობრ ამ ნიშანს იყენებენ – მელოდიკური მოძრაობის მაღალ მწვერვალებს.

ფრანგი ლინგვისტები ინტუიციურად მისდევენ ლ. ვ. შნერბას მიერ წარმოდგენილ „რეპრეზენტანტის მეთოდს“. ამიტომაც სოციოლექტის მახასიათებლები ხშირად შეისწავლება მოცემული სოციალური ჯგუფის ტიპური წარმომადგენლის ტექსტთა მაგალითზე. ასეთი ანალიზი ჩაატარა მ. ლეონმა (ლეონი 1979). ინფორმანტი – პარიზის ტიპოგრაფიის მუშა, 42 წლისა, ყვება, თუ როგორ გაატარა საშობაო არდადეგები თავის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ჩრდილო საფრანგეთში. ტექსტი 25 წამს გრძელდება. მ. ლეონი დაწვრილებით ანალიზებს თითოეული ფრაზის ინტონაციას სემანტიკასთან მიმართებით. ანალიზი მას საშუალებას აძლევს, რომ გამოავლინოს ამ სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები: ოჯახის სიყვარული, ტრადიციების პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, მორიდებულობა, სიძნელეთა გადალახვის უნარი, იუმორის გრძნობა. მ. ლეონი მიიჩნევს, რომ ამგვარი ტექსტები სწავლებაშიც უნდა ჩავრთოთ, რადგან ეს უკავშირდება სწავლის მიზანს: სწორი ფრაზების აგება და მათი გაგება – არ არის ყველაფერი, საჭიროა ვიცოდეთ – სად, როგორ და ვის ვუთხრათ ისინი. ეს, თავის მხრივ, უკავშირდება სამეტყველო ფორმების ტიპოლოგიას (ლეონი 1971). ინტონაციის ფუნქციათა ჩამონათვალში პ. ლეონმა შეიყვანა მაიდენტიფიცირებელი ფუნქცია, რომელიც შეიცავს ენის, დიალექტისა და თვით მოლაპარაკის გაიგივებას (გათანაბრებას). სოციოლინგვისტურ კვლევებში ამ ფუნქციის შეყვანა სავსებით გამართლებულია. პ. ლეონი მიიჩნევს, რომ ინტონაციის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს მოლაპარაკის პროფესიური კუთვნილება (ლეონი 1979a). პ. ლეონის ზოგი ნაშრომი ეძღვნება ბრიჟიტ ბარდოს ინტონაციის შესწავლას. ანალიზისათვის გამოყენებულია ინტერვიუ, რომელიც განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის. წარმოთქმის ინტენსივობის შემცირება, ტემპის შენელება, დამავალი მელოდიკური მოძრაობა გადმოსცემენ მეტყველების ინტიმურ ხასიათს. მსახიობის მომხიბვლელობა გამოხატულია მკვეთრი მელოდიკური ამალვებით რიტმიკული ჯგუფის ბოლოს. მსახიობის ხატება გადმოცემულია წინა არტიკულაციის გაძლიერებით და ხმოვანთა დახურული ხასიათით, უპირატესობა ენიჭება მოკლე რიტმიკულ ჯგუფებს და რიტმიკული მოდელის სრულ შეცვლას ნორმატიულ ფრანგულთან შედარებით. მ. ლეონი შენიშნავს, რომ იდიოლექტთა კვლევა დაკავშირებულია სამეტყველო ფორმების ტიპოლოგიის დადგენასთან (ინტერვიუ, პოლიტიკური ენა, ლექცია, საუბარი და ა.შ.). ამგვარად, ბრიჟიტ ბარდოსთან ინტერვიუ შეიცავს დამატებით მონაცემებს ინტერვიუს, როგორც მეტყველების ფუნქციონალური სახესხვაობის, ინტონაციის შესწავლაში. ჟ. პომპიდუს პოლიტიკური სიტყვის ანალიზი საფუძველს იძლევა გავაკეთოთ დასკვნები პოლიტიკური მეტყველების ზოგად თავისებურებებზე (დიუეზი 1976). მსგავსი კვლევები ხშირად ტარდება ქ. გრენობლის (საფრანგეთი) ფონეტიკის ინსტიტუტში და ეს მასალა მეტყველების სხვადასხვა ტიპის ინტონაციურ მახასიათებელთა შეპირისპირების შესაძლებლობას იძლევა. ამ კვლევებში განიხილება არა მხოლოდ მელოდიკური კომ-

პონენტი, არამედ ტემპიც, რიტმიც, პაუზებიც. ეს შრომები ურთიერთკავშირშია, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მეტყველების ფუნქციონალურ სახესხვაობათა მსგავსებისა და განსხვავების საერთო სურათი.

ადარებს რა პოლიტიკურ სიტყვას ლექციას, თავისუფალ საუბარს და ტექსტის კითხვას, დ. დიუეზი გეთავაზობს შემდეგ დასკვნებს: პოლიტიკური მეტყველების ტემპი საკმაოდ ნელია: 2,1 მარცვალი წამში, პაუზათა ხანგრძლივობის თანაფარდობა ტექსტის საერთო გრძლიობასთან 53%-ია, პაუზათა საშუალო გრძლიობა მნიშვნელოვანია – 1,3 წამი. პაუზათა ხასიათი უპირატესად სინტაქსურია, ანუ ისინი შეინიშნებიან უმცირესი სინტაქსური გადაბმულობის ადგილებში. რადგან მეტყველების ეს ტიპი სპონტანური კი არ არის, არამედ მომზადებული და დამუშავებულია, ამიტომ ეზიტაციის პაუზები არ გვხვდება. დ. დიუეზმა შეისწავლა ჟ. პომპიდუს სიტყვა, წარმოთქმული რადიოსა და ტელევიზიაში 1973 წლის მარტის არჩევნების დროს. დ. დიუეზი აღნიშნავს მეტყველების სოციოლინგვისტურ მახასიათებლებს: რეციპიენტთან უშუალო კონტაქტის არარსებობას, მის დაშორებულობას და ურთიერთობის ჯგუფურ ხასიათს.

ი. ფონაჟის აზრით, ფრანგული ენის ინტონაციისა და მახვილის სფეროში ცვლილებები შემდეგნაირად ხდება: 1) მელოდიკური ინტერფერენცია, 2) ინტონაციურ ფორმათა ფუნქციონალური ცვლილება. ი. ფონაჟი მიიჩნევს, რომ ცვლილებათა ეს ტიპები შეიძლება ხდებოდეს ყოველ ენაში. კერძოდ, ფრანგული ენისათვის იგი აღნიშნავს მელოდიკურ ინტერფერენციას, ანუ ორი ინტონაციური ფორმის შეერთებას. თანამედროვე ფრანგულ ენაში მელოდიკურ მრუდს შეუძლია გააერთიანოს კითხვითი და მტკიცებითი ინტონაცია. ეს მრუდი განსხვავდება კითხვითი მოდელისაგან მელოდიკის მკვეთრი დაწვეით ბოლოში და მტკიცებითი მოდელისაგან – მელოდიკური მოძრაობის სწრაფი აწვეით ბოლოსწინა მარცვალზე. ყოველივე ამის შედეგად მიიღება სამკუთხა ინტონაციური მრუდი, გამომხატველი უნდობლობისა.

ინტონაციის ფუნქციონალური ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ ექსპრესიული ინტონაციური მრუდი ხშირად გამოიყენება რომელიმე პროფესიული ჯგუფის მიერ და ამის შედეგად ნეიტრალურად იქცევა. ასე მოხდა ფრანგულ ენაში იმ ინტონაციასთან დაკავშირებით, რომელიც გამოხატავს შემწყნარებლურ ურთიერთობას, მსუბუქ ირონიას, რაც ფართოდ გამოიყენება საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის დიქტორთა ისეთ კონტექსტებში, რომლებიც არ იძლევიან სწორედ ამ ემოციათა გამოხატვის საფუძველს. ი. ფონაჟიმ აუდიტორთა ჯგუფებს მოასმენინა ასეთი ინტონაციის ნიმუშები. კონტექსტის გარეთ ისინი განისაზღვრნენ ექსპრესიულებად, კონტექსტში კი – ნეიტრალურებად, მაგრამ დამახასიათებლად რადიოსა და ტელევიზიის დიქტორთა ინტონაციისათვის. ცვლილებები შეიძლება გასცდეს პროფესიულ ჯგუფთა ფარგლებს და მიიღოს ფართო გავრცელება. ეს ინტონაციური ცვლილებები ჯერჯერობით ენის პერიფერიაშია და არ ეხება სისტემას მთლიანობაში, მახვილის სფეროში კი არსებითი ძვრებია ფრანგულ ენაში. ი. ფონაჟიმ გამოიკვლია ფრანგული მახვილის ევოლუცია, XIX საუკუნისა – წყაროების მიხედვით, XX საუკუნისა კი – საკუთარი ექსპერიმენ-

ტული მონაცემებით, რომელთაგან პირველი მასალა ჩაწერილი იყო 1914-1915 წლებში, ბოლო კი – 1974 წელს (ფონაჟი 1980). სამოცი წლის მანძილზე ფრანგულ ენაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ მახვილთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც რიტმიკული ჯგუფის პირველ მარცვალზეა. ამასთანავე ეს მახვილი არ წარმოადგენს გამომყოფს (accent d'insistance). მ. ლეონი ამ მახვილს დიდაქტიკურს უწოდებს, ი. ფონაჟი კი – ბარიტონულს. ჩვენი აზრით, პირველი სახელწოდება უფრო მართებულია. დიდაქტიკური მახვილი შეინიშნება მეტყველების მრავალ სახესხვაობაში: ლექციის სპონტანურ კითხვაში, რადიოსა და ტელევიზიაში, საჯარო გამოსვლებში, მაშინ როდესაც ბოლო მარცვალზე მახვილი (აღწერილი აქვს მ. გრამონს და სხვა მრავალ ფრანგ ფონეტიკოსს) ახასიათებს, უპირველეს ყოვლისა, სპონტანურ დიალოგსა და ნეიტრალურ კითხვას. დიდაქტიკური მახვილი ჩნდება სავსებით განსაზღვრულ სამეტყველო სიტუაციებში, სახელდობრ – კითხვაზე ერთსიტყვიან პასუხში. მახვილის ცვლილებებს თან ახლავს მელოდიკური ცვლილებები. ინტონაციის კლასიკური თეორიის თანახმად, რიტმიკული ჯგუფის მელოდიკურ მოძრაობას აღმავალი ხასიათი აქვს; დიდაქტიკური მახვილის არსებობის შემთხვევაში რიტმიკული ჯგუფის მელოდიკური სურათი დამავალ-ამავალი ხასიათისაა. ი. ფონაჟი ამბობს: „ფრანგული მახვილი პროსოდიული სისტემის იშვიათ სანახაობას წარმოადგენს ევოლუციაში“ (ფონაჟი 1980, 171).

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ფრანგული ენის, როგორც უცხოური ენის, შესწავლის დროს წინა პლანზე იწევს სიტუაციური კავშირი ინტონაციასთან, მისი (ინტონაციის) ადეკვატურობა ურთიერთობის სიტუაციასთან და მეტყველების ფუნქციონალურ სახესხვაობასთან.

## ლიტერატურა

**დიუეზი 1976:** Duez D., Etude du débit et des pauses d'un discours politique, In: Bulletin de l'Institut de Phonétique de Grenoble, v.V, Grenoble.

**ლეონი 1979:** Léon M., Culture, didactique et discours oral, Le français dans le monde, N145, Paris.

**ლეონი 1971:** Léon P., Essais de phonostylistique, Paris.

**ლეონი 1979 a:** Léon P., Modèles et fonctions pour l'analyse de l'énonciation, Le français dans le monde, N145, Paris.

**კარტონი 1980:** Carton F., L'accentuation dans le français dialectal du Nord de la France, In: L'accent en français contemporain, Paris.

**მეტა 1972:** Mettas O., Quelques variations de l'intonation dans les parlers parisiens, In: Rapport d'activités de l'Institut de Phonétique, Bruxelles.

**ფონაჟი 1980:** Fonagy I., L'accent français: accent probabilitaire, In: L'accent en français contemporain, 1, Paris.

## **Prosodic Peculiarities of the French Speech**

### Summary

Evolutionary tendencies of the sound structure of a language influences the stress and intonation of territorial, social dialects and functional varieties of speech. Numerous papers of French phoneticians (F. Carton, O. Mettas, M. Léon, P. Léon, D. Duez and I. Fonagy) have been devoted to the study of dialectal peculiarities of intonation, in which the authors observe the pronunciation of various subjects of different ages and different social groups in different situations. The results of the studies carried out by them lead to the conclusion that at the time of learning French as a foreign language the situational connection with intonation, the correspondence of intonation with the communicational situation and functional varieties of speech come to the foreground.

**ორი ა ხმოვნის საონტანური წარმოქმნა  
აფხაზური ენის ნასმსებ ლექსიკაში**

აფხაზური ენის ვოკალური სისტემა მარტივ სისტემად მიიჩნევა. აქ წარმოდგენილია ექვსი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ, გ. ამთვან ა-ს გარდა ყველა დანარჩენი ხმოვანი მეორეული და შედარებით ახალი ფონემა (ხმოვანთა სისტემის ისტორიის შესახებ დეტალურად იხ. ლომთათიძე 1976:24-61). აფხაზური ენის ორივე დიალექტში (აბჟურსა და ბზიფურში) ამ ხმოვანთა პარალელურად არსებობს ე, ი, ო, უ ხმოვანთა გრძელი სახეობებიც: ე̄, ი̄, ო̄, უ̄, რომლებიც წარმოქმნილია ხმოვნებისაგან დიფთონგებისა და ტრიფთონგების შიგნით მომხდარი ასიმილაციის ნიადაგზე (ლომთათიძე 1976:49, 53, 55, 62). ოთხივე გრძელი ხმოვანი ქრონოლოგიურად ყველაზე ახალი, მესამეული წარმოშობისაა.

ა, ე, ი, ო, უ, გ ხმოვნები, მათი ისტორიის მიუხედავად, დღეს უკვე სრულყოფილ ფონემებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ასრულებენ ფონემის ყველა ფუნქციას: აქვთ ფორმათვანმასხვავებელი და სიტყვათვანმასხვავებელი ფუნქციები; შეუძლიათ მინიმალურ წყვილთა წარმოქმნა მარტივ ხმოვნებთან მიმართებაში; აქვთ საკუთარი სინტაგმატიკა და პარადიგმატიკა და ა.შ.

სპეციალურ ლიტერატურაში ცალკეოდ განიხილება ორი ა-ს (გრძელი ა-ს) საკითხი. მკვლევართა მიერ გამოვლენილია რამდენიმე კანონზომიერება ამ ფონოლოგიური ერთეულის წარმოქმნისა აფხაზურ ენასა და აბაზური ენის აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში (ორი ა ხმოვანი არ დასტურდება აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტსა და აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავში).

კერძოდ, ირკვევა, რომ:

1. ორი (გრძელი) ა ხმოვანი, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს სიტყვის თავშიც, შუაშიცა და სიტყვის ბოლოსაც, მომდინარეობს ლარინგალური ზ თანხმოვნისა და ა ხმოვნისაგან შემდგარი მარცვლისაგან ლარინგალის დაკარგვის ნიადაგზე. მაგალითად: ტაპანთური, აფსუური კილოკავის ჭაბა „რვა (ნივთი)“, ჭაგრა „მოტანა, მოყვანა“, ბჷაბა „სველი“, ხ-ჷა „ტკივილი“... – აფხაზური, კუვინსკის კილოკავის ააბა „რვა (ნივთი)“, ააგარა „მოტანა, მოყვანა“, (ა)ბააბა „სველი“, (ა-)ხ-აა „ტკივილი“... (ლომთათიძე 1942:9; ლომთათიძე 1944:28; ლომთათიძე 1954:11; ლომთათიძე 1976:25-26).

აფხაზურში ორი (გრძელი) ა ხმოვნის წარმოქმნის დროის გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთი სიტყვის ისტორიას. აფხაზურში ამჟამად დასტურდება ლობის აღმნიშვნელი აანდა სიტყვა, შდრ. აბაზური ჭანდა „ლობე“. საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა შესულია სამურზაყანოულ მეგრულ მეტყველე-

ბაში **ღანდა** ფორმით, რომელშიც **ღ** თანხმოვანი აშკარად მინიშნებს, რომ სიტყვა მაშინაა ნასესხები, როცა აფხაზურ ენაში ჯერ კიდევ არსებობდა ლარინგალური მჟღერი თანხმოვანი, რომელიც მეგრულმა მეტყველებამ შეცვალა მასთან ფონოლოგიურად ახლომდგომი **ლ** თანხმოვნით. ეს სიტყვა სამურზაყანოულ მეგრულს შეეძლო ესესხებინა მას შემდეგ, რაც ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები დასახლდნენ ახლანდელი სამურზაყანოს მიმდებარე მიწაზე, ანუ XVIII საუკუნეში. ეს ფაქტი საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ ლარინგალური **ჭ** აფხაზურმა ენამ დაკარგა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი აფხაზურში უნდა წარმოქმნილიყო ამავე დროს.

ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს შემდეგიც:

თითქმის მთელ სამეგრელოში, ძირითადად მწყემსთა მეტყველებაში, გავრცელებულია სიტყვა **აფუნ-ი** „საქონლის მთაში არეკვის დრო, გაზაფხულ-ზაფხულის მიჯნა“, რომელიც მომდინარეობს აფხაზური **ააფუნ** სახეობისაგან, შდრ. აბაზური **ჭაფუნ**. ის ფაქტი, რომ ამ სიტყვის მეგრულ ვარიანტში არ დასტურდება **ღ** თანხმოვანი (შდრ. **ღანდა**), ნათლად მიგვანიშნებს, რომ სიტყვა მეგრულში უნდა შესულიყო მას შემდეგ, რაც აფხაზურში უკვე აღარ არსებობდა **ჭ** თანხმოვანი, ე.ი. არა უადრეს XIX საუკუნისა;

2. ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი მიღებულია **აჰ//ჰა** მარცვლისაგან **ჰ** თანხმოვნის დაკარგვის ნიადაგზეც. **აჰ//ჰა** ვარიანტები შემორჩენილია ხოლმე არა მარტო ტაპანთურ და აშხარულ დიალექტებში, არამედ ბზიფურ და აბუურ კილოებშიც კი, მაგრამ უფრო ძველი სახეობები მაინც ტაპანთურს აქვს დაცული, სადაც **აჰ//ჰა** მარცვალთა მაგიერ ან პარალელურად წარმოდგენილია თავდაპირველი **აჰ//ჭა** მარცვალი: აფხაზ., აშხარ. აკელაარა/აკელჰარა, ტაპ. კენჰარა „ჭუჭრუტანა, ხვრელი“, აბუ. ახ<sup>0</sup>აახ<sup>0</sup>გორა, ბზიფ. ახ<sup>0</sup>ჰახ<sup>0</sup>გორა, ტაპ. ხ<sup>0</sup>ჰახ<sup>0</sup>გორა „ვაჭრობა“... (ლომთათიძე 1976:26). ამგვარი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ცვლილებანი ასეთი სახისა ყოფილა: **აჰ//ჭა > აჰ//ჰა > აა**;

3. იშვიათად ორი **ა** ხმოვანი წარმოდგენილია აფხაზურ სასაუბრო ენასა და აშხარულ დიალექტში **ყა** მარცვლის ნაცვლად **ყ** თანხმოვნის დასუსტებისა და გაქრობის ნიადაგზე: დაბააჟ < დაბაყაჟ „სად არის?“, (ა)ჟაა < (ა)ჟაყა „იქ“... (ლომთათიძე 1976:27);

4. ბზიფურ დიალექტში ასევე იშვიათად ორი **ა** ხმოვანი მიღებულია ზმნის პირობითი კილოს მაწარმოებელი **-ზარ** სუფიქსის **ზ** სპირანტის დაკარგვის ნიადაგზე: აააჟაარ < აააჟაზარ „თუ მოვა“, იზ<sup>0</sup>ბჟაარ < იზ<sup>0</sup>ბჟაზარ „თუ ნახავთ“... (ლომთათიძე 1976:27);

5. სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ აფხაზურში ასევე ცალკეულ სიტყვებში, უმთავრესად ნასესხებ მასალაში, **აა** მიღებულია თანხმოვანთა

ჩავარდნის თუ ა ხმოვანთან ასიმილაციის ნიადაგზე: ა-მაათ „მანეთი“ (შდრ. მანათი), ა-ლუმათ (//ალუმანათ) „ლიმონათი“, ა-მაამენ (შდრ. ტაპ. მიმუნ) [„მაიმუნი“ – თ. გ.], ა-ზანათ (რუს. занятие) „პროფესია“, ა-თაარგხ (//ა-თარგხ// ა-თოურგხ) „ისტორია“, ა-მააფგლ „ბუასილი“... განსაკუთრებით ეს მაშინ ხორციელდება, როცა ა ხმოვნის გვერდით ღ სპირანტი: ა-ბლაამ „ბალლამი“, ა-კ<sup>0</sup>მან „კუმლანი“ [თითბრისგან დამზადებული წყლის ჭურჭელი – თ. გ.]... (ლომთათიძე 1976:27-28).

მაშასადამე, მიიჩნევა, რომ ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ორი ა ხმოვნის წარმოქმნას განაპირობებენ წმინდა ფონეტიკური მიზეზები: **ჟ, ჰ, ყ, ზ, ღ** თანხმოვან ფონემათა შესუსტება-მოშლის ტენდენცია და **ფ, უ** ფონემათა ასიმილაცია. მაგრამ ამ ფონეტიკურად კანონზომიერ გარდაქმნათა გარდა სპეციალისტები აფხაზურ ენაში ადასტურებენ ორი ა ხმოვნის წარმოქმნის ისეთ შემთხვევებსაც, რომლებსაც არ განაპირობებენ ფონეტიკური ფაქტორები. ჩვენ იმასაც დავძენთ, რომ ამგვარი შემთხვევები შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად.

**პირველ ჯგუფს** განეკუთვნება ის რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც ორი (უკეთ, გრძელი) ხმოვანი აშკარად მიღებულია სიტყვათა ექსრესიულ-ემოციური დატვირთულობის ნიადაგზე. მაგალითად, ზმნისართი **დაარა//ღარა** „ძალიან, ძალზე“ მომდინარეობს აბაზურ ენაში დაცული ამოსავალი **დარა** ვარიანტისაგან (შდრ. ქართული **ძალიან** და **ძწლიან//ძან**), **ფშალა//ფშალა//ფშალა** „ნელა, წყნარად“ (შდრ. **ნელა**), **აგ~აურ//გ~აურ** „გიაური, ურჯულო“ (სალანძღავი კოლოტაციით) (ლომთათიძე 1976:28).

სიტყვათა **მეორე ჯგუფს**, რომლებშიც „უმიზეზოდ, სპონტანურად“ წარმოქმნილი ორი (გრძელი) ა ხმოვანია წარმოდგენილი, განეკუთვნება შემდეგი ნასესხები ლექსიკა:

თურქული ენის მეშვეობით ნასესხები საკუთრივ თურქული და არაბული სიტყვები:

ა-კაამეთ „საშინელება; უბედურება; მეორედ მოსვლა“, შდრ. თურქ. აკამეთ //კიამეთ „უნაყოფობა, სიბერწე; უშედეგობა, წარუმატებლობა; მკვდრეთით აღდგომა, მეორედ მოსვლა; ცუდი, საშინელი, ყიამეთი; ალიაქოთი, არეულობა, აურზაური“ (მომდინარეობს არაბულიდან);

ააძაბ „წამება, ტანჯვა, ვაება“, შდრ. თურქ. აზაფ (მომდინარეობს არაბულიდან);

ა-მანა „ხერხი, ილეთი; ეშმაკობა“, შდრ. თურქ. მანა „აზრი, მნიშვნელობა; იდეა“ (მომდინარეობს არაბულიდან);

ა-ჯაამა „ჯამე, მუსლიმთა სალოცავი“, შდრ. თურქ. ჯამი (მომდინარეობს არაბულიდან).

აქვე უნდა დავაზუსტოთ ზემოთ, მე-5 პუნქტში დასახელებული 3 სიტყვის – ა-ზანათ „პროფესია“, ა-თაარგხ (// ა-თაურგხ // ა-თოურგხ) „ისტორია“, ა-

მაასგლ „ბუასილი“ – წარმოშობის საკითხი. ისინი აკად. ქ. ლომთათიძეს თან-ხმოვანთა ჩავარდნის ან ასიმილაციის ნიადაგზე წარმოქმნილ სახეობებად მიაჩნდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, პროფესიისა და ისტორიის აღმნიშვნელი სიტყვები სწორედ სპონტანურად წარმოქმნილი ფორმები უნდა იყოს, ხოლო მესამე სიტყვის ისტორია ცოტა სხვაგვარად უნდა იხსენებოდეს. ამ დასკვნისაკენ გვიბიძგებს დასახელებულ სიტყვათა შედარება თურქული ენის მონაცემებთან. კერძოდ:

სიტყვა **ა-ზანათ**, მართალია, ძალიან ჰგავს რუსულ **занятие**-ს, მაგრამ რეალურად მისი წყარო თურქიზებული არაბული **ზანათ** „ხელობა“ უნდა იყოს. თუ ეს ასეა, რაშიც ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ აფხაზური სახეობა ფონეტიკურად უცვლელი ფორმითაა გადმოღებული თურქულიდან და სიტყვაში არც რომელიმე თანხმოვანია დაკარგული და არც ასიმილაციაა მომხდარი, ვინაიდან არ არსებობდა საამისო ფონეტიკური გარემო.

ისტორიის აღმნიშვნელი სიტყვის 3 აფხაზური ვარიანტიდან ქ. ლომთათიძეს, როგორც ჩანს, ყველაზე გვიანდელ სახეობად **ა-თაარგხ** ფორმა მიაჩნდა, მაგრამ ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს თურქული ენის მონაცემები, სადაც არაბულიდან ნასესხებია **თარიჰ** „ისტორია; მატთანე; თარიღი, რიცხვი“ ვარიანტი, რომელიც არ შეიცავს **ო** ხმოვანსა და **ჟ** თანხმოვანს, რომლებიც წარმოდგენილია აფხაზურ **ა-თაჟრგხ/ა-თოჟრგხ** ვარიანტებში. ვფიქრობთ, ეს ბოლო ორი სახეობა მომდინარეობს **ა-თაარგხ** ფორმისაგან დიფთონგიზაციის ნიადაგზე (აფხაზურში ნასესხებ ლექსიკაში დიფთონგიზაციის შესახებ იხ.: გვანცელაძე 1998:35), ხოლო თვით **ა-თაარგხ** სახეობის პირველწყარო თურქული **თარიჰ** ფორმაა, რომელსაც აფხაზურ ნიადაგზე განუცდია შემდეგი ცვლილებანი: დაერთო აფხაზური ენის სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი პრეფიქსი **ა-**, მომდევნო **ა** ხმოვანი სპონტანურად დაგრძელდა, **ი** ხმოვანი **რ** თანხმოვნის შემდგომ კანონზომიერად გარდაიქმნა ნეიტრალურ ხმოვნად, ხოლო **ჰ** თანხმოვანს ჩაენაცვლა **ხ** თანხმოვანი.

რაც შეეხება აფხაზური **ა-მაასგლ** „ბუასილი“ ფორმას, იგი მიღებულია არა ქართული **ბუასილი** ფუძისაგან, არამედ თურქული **მაასგლ** ვარიანტისაგან ერთადერთი ცვლილების, თანხმოვნის მეტათეზისის (მეორე **ა** ხმოვანსა და **ს** თანხმოვანს შორის გადასმის) შედეგად. ამდენად ეს ვარიანტი ვერ ჩაითვლება თანხმოვნის დაკარგვის ან ასიმილაციის პროდუქტად.

ცალკე უნდა განვიხილოთ აფხაზურში ქართველურ ენა-კილოთაგან შესული რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც სპონტანურადაა წარმოქმნილი ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი და სავარაუდო არ არის არც თანხმოვანთა დაკარგვა და არც ასიმილაცია. ეს სიტყვებია:

ა-გ<sup>0</sup>აბალაა „ხელგობი, მცირე გობი“ < ქართ. გობელა;

ა-ყ<sup>0</sup>არაან „ყორანი, ყვავი“ < ქართ. ყორანი-ი;



ა-ხან „ხანი, დრო“, რომელიც, მართალია, აღმოსავლურ ენათა კუთვნილებაა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ნასესხები უნდა იყოს ქართულის მეშვეობით, შდრ. ხან-ი და ა.შ.

ცალკე უნდა ვიმსჯელოთ ამავე ჯგუფში შემავალი კიდევ ერთი სიტყვის შესახებ. ესაა ცელის აღმნიშვნელი **ა-ჩალაა//ა-ჩაალა** ვარიანტები, რომლებიც უჭველად მეგრული მეტყველებიდანაა შესული აფხაზურში, თუმცა ამჟამად თვით მეგრულში აღარ დასტურდება მათი პირველწყარო **\*ჩალ-ი** „ცელი“ სახეობა, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია სისინა ქართველური დიალექტების **ცელ-ი** სახეობისა. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში აფხაზური ენა რეალურად გვიდასტურებს მეგრულში **\*ჩალ-ი** ვარიანტის ოდინდელი არსებობის ფაქტს. რაც შეეხება ორი (გრძელი) **ა** ხმოვნის წარმოქმნას აფხაზურ პარალელურ ფორმებში, იგი არ მომდინარეობს მეგრული მეტყველებიდან, ვინაიდან მეგრულს არ ახასიათებს ხმოვნის ასეთი დაგრძელება. ამიტომ ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი სპონტანურადაა წარმოქმნილი სწორედ აფხაზურ ნიადაგზე. აფხაზურ ვარიანტთა პირველადობა-შემდგომადობის საკითხი, ჩვენი აზრით, ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

სესხების კანონზომიერებათა გათვალისწინებით, მოსალოდნელია, ჯერ გაჩენილიყო ფორმა **\*ა-ჩალ**, რომელსაც მომდევნო ეტაპზე ბოლოში დაემატებოდა უფუნქციო **ა** ხმოვანი (აფხაზურში გავრცელებულ ამგვარ შემთხვევებს ქ. ლომთათიძე **ა-ურ** ვოკალიზაციას უწოდებდა), შემდეგ ამ ხმოვნის სპონტანური დაგრძელების გზით მივიღებდით ამჟამად რეალურად არსებულ **ა-ჩალაა > ა-ჩაალა** სახეობებს.

ვფიქრობთ, ზემოთ განხილული ენობრივი მასალა იძლევა შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას: აფხაზურ ენაში ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი წარმოქმნილია სხვადასხვა მიზეზთა ზემოქმედებით – თანხმოვანთა ერთი ჯგუფის (**ჭ, ჰ, ყ, ზ, ღ**) დაკარგვის, ასიმილაციის პროცესის ზეგავლენისა და სპონტანურ ცვლილებათა გზით. სპონტანურ ცვლილებათა მიზეზის დადგენა ამჟამად ჭირს, მაგრამ სამაგიეროდ ნათელი ხდება, რომ ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი ამ ენაში წარმოქმნილია არც ისე დიდი ხნის წინ, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე.

## ლიტერატურა

**გვანცელაძე 1998:** Гванцеладзе Т. И., Тенденция дифтонгизации в заимствованных словах в абхазском языке. IX международный коллоквиум Европейского общества кавказоведов. Тезисы докладов, Махачкала.

**ლომთათიძე 1942:** ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნაში. ენიკვის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

**ლომთათიძე 1944:** ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბილისი.

**ლომთათიძე 1954:** ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ), თბილისი.

*ლომთათიძე 1976*: ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

*Teimuraz Gvantseladze*

## Spontaneous Pronouncing of Two a Vowels in Abkhaz Borrowings

### Summary

At present the Abkhaz vocal system consists of **a, e, i, o, u, ə** vowels. Long variants of these vowels are also attested in dialects. These variants are the results of phonetic processes, though long vowels do not always occur as phonemes.

Besides the above-mentioned six basic vowels, in both dialects of Abkhaz and in Kuvinsk sub-dialect of Abaza language Ashkharwa dialect, there are two (long) a vowels, which have their peculiar features and are almost phonemes (K. Lomtadze).

The work analyses the forming reasons of two (long) a vowels in Abkhaz. We agree with K. Lomtadze's viewpoint, according to which two (long) a vowels in Abkhaz are formed in several ways:

1. the Abkhaz language lost historical laryngeal ɰ consonant and ɰa/aɰ syllables became aa vocal group (the mentioned laryngeal consonant is attested in Abaza even today);
2. the same ɰa/aɰ syllables changed firstly into ha/ah syllables and afterwards h consonant was lost;
3. a consonant was lost in q'a syllable existing after a vowel;
4. in Bzyp dialect of Abkhaz, -zar suffix of the conditional mood of the verb lost z consonant instead of which another a vowel emerged;
5. in borrowed words some consonants are lost or assimilation takes place and a aa vocal group is formed;
6. a vowel is long in some words having an expressive-emotional loading.

Besides these rules of forming two (long) a vowels in Abkhaz, we manifested some examples in which the formation of two (long) a vowels is not caused by phonetic or expressive-emotional factors, but has a spontaneous character. Basically this is the vocabulary of Arabic origin borrowed from Turkish and some Kartvelian words:

a-k'aamet "terrible; misfortune, trouble"; cf. Turk. akamet/kiyamet "bareness, fruitlessness, failure, misfortune; resurrection; bad, terrible; commotion, disturbances, bustle" (of Arabic origin);

aaz'ab "torture, torment, suffering"; cf. Turk. azap (of Arabic origin);

a-maana "mode, method, cunning"; cf. Turk. mana "conception, opinion, meaning, idea" (originated from Arabic);  
a-jaama "mosque, Moslems' house for prayers"; cf. Turk. cami (of Arabic origin);  
a-taarəx "history"; cf. Turk. tarih (of Arabic origin);  
a-g°abalaa "small wooden dish" < Georg. gobela;  
a-q°araan "crow, raven" < Georg. q'orani;  
a-xaan "time, age", which, actually, belongs to one of the Oriental languages, but must have been borrowed through Georgian; cf. Georg. xan-i, etc.

One word included in this group must be discussed separately. These are the variants denoting *scythe* - a-čalaa/a-čaala, which undoubtedly entered Abkhaz from Megrelian, though even in Megrelian their first source \*čal-i "a scythe" is not attested, which is a natural corresponding of whistling Kartvelian dialects of cel-i kind. It is noteworthy that in this case Abkhaz evidences the fact of existence of \*čal-i variant which has been lost in Megrelian. As for the formation of two (long) a vowels in Abkhaz parallel forms, it is not original for Megrelian, as such lengthening of a vowel is not characteristic of Megrelian. Owing to this, two (long) a vowels are spontaneously formed in Abkhaz

The study revealed that in Abkhaz two (long) a vowels must have been formed at the end of the 18<sup>th</sup> and the beginning of the 19<sup>th</sup> century

ტარიელ გურგენიძე

**ქართული ენის ჩქამიერ ხშულ თანხმოვანთა  
„სამეშულეზად“ დაყოფის პრინციპისათვის**


ქართულ ჩქამიერ (არასონორ) ხშულ თანხმოვანთა სიმრავლე აღვნიშნოთ **H** სიმბოლოთი: **H**=**{ბ,ფ,პ,დ,თ,ტ,ძ,ც,წ,ჯ,ჩ,ჭ,გ,ქ,კ}**. გ. ახვლედიანის ქართულ თანხმოვანთა საკლასიფიკაციო ცხრილის მიხედვით **ყ** ფონემა კვალიფიცირებულია, როგორც „ხშული“ (ახვლედიანი 1999:376-378). ამ თვალსაზრისს იზიარებენ ა. შანიძე, პ. ფოგტი და სხვა მკვლევრები. შემდგომი ექსპერიმენტული გამოკვლევებით გაირკვა, რომ **ყ** „სპირანტიდული“ თანხმოვანია (ჩარგეიშვილი 1946:537-542). გ. ახვლედიანი თავად აღნიშნავს, რომ **ყ** ფონეტიკურად აბრუპტივია, ფონოლოგიურად – ნაპრალოვანი. ამას ხელს უწყობს ალბათ მისი სპირანტიდობა. თ. უთურგაიძე თვლის, რომ **[ყ]** ყელხშული ნაპრალოვანი ბგერაა (უთურგაიძე 1976:43, 67). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით თ. გამყრელიძეს მიაჩნია, რომ ქართული **ყ** უნდა დახასიათდეს, როგორც ველარი მკვეთრი (გლოტალიზებული) სპირანტი, და იგი ქმნის ნაპრალოვანთა სამეშულეს: **ღ-ხ-ყ** (გამყრელიძე 2000:251). თუ ჩავთვლით, რომ **ყ** ფონემა არ არის ხშული თანხმოვანი, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ **H** სიმრავლე 15 ელემენტისგან შედგება: **K(H)=15**.

განსახილველი **H** სიმრავლის ელემენტებს ახასიათებენ სამი ნიშნის მიხედვით: **k<sub>1</sub>** – მჟღერობა, **k<sub>2</sub>** – ფშვინვიერობა, **k<sub>3</sub>** – მკვეთრობა. თუ ამ სამი ნიშნიდან მხოლოდ ერთი მათგანით დავახასიათებთ **H** სიმრავლის ელემენტებს, მაშინ განსახილველი სიმრავლე დაიყოფა ურთიერთარაგადამკვეთ და არაცარიელ ორ ქვესიმრავლედ.

**H** სიმრავლის ელემენტების მხოლოდ **k<sub>1</sub>** ნიშნით დახასიათების შემთხვევაში განსახილველი **H** სიმრავლე დაიყოფა ორ ქვესიმრავლედ. ერთ მათგანში მოხვდება **H** სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც **+k<sub>1</sub>** ნიშნით ხასიათდებიან (ე.ი. „მჟღერები“), ხოლო ყველა დანარჩენი ელემენტი **H** სიმრავლისა, რომლებიც **-k<sub>1</sub>** ნიშნით ხასიათდებიან (ე.ი. „არამჟღერები“), მეორე ქვესიმრავლეში მოხვდება. **H** სიმრავლის „მჟღერი“ ელემენტების ქვესიმრავლე პირობით **ბ** სიმბოლოთი აღვნიშნოთ: **ბ**=**{ბ, დ, ძ, ჯ, გ}**. ანალოგიურად, **H** სიმრავლის „ფშვინვიერი“ ელემენტების ქვესიმრავლე პირობით **ფ** სიმბოლოთი აღვნიშნოთ: **ფ**=**{ფ, თ, ც, ჩ, ქ}**, ხოლო **H** სიმრავლის „მკვეთრი“ ელემენტების ქვესიმრავლე პირობით **პ** სიმბოლოთი აღვნიშნოთ: **პ**=**{პ, ტ, წ, ჭ, კ}**.


წარმოვადგინოთ ცხრილისა და სქემის სახით **H** სიმრავლის ელემენტების მხოლოდ **k<sub>1</sub>** ნიშნით დახასიათების შემთხვევა:

$k_1$	
+	ბ
-	ფ
	პ




თუ მხოლოდ  $k_1$  ნიშნით დავახასიათებთ  $H$  სიმრავლის ელემენტებს, მაშინ განსახილველი  $H$  სიმრავლე დაიყოფა ორ ქვესიმრავლედ. ერთ მათგანში მოხვდება  $H$  სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც  $+k_1$  ნიშნით ხასიათდებიან (ე.ი. „ფშვინვიერები“), ხოლო ყველა დანარჩენი ელემენტი  $H$  სიმრავლისა, რომლებიც  $-k_1$  ნიშნით ხასიათდებიან (ე.ი. „არაფშვინვიერები“), მეორე ქვესიმრავლეში მოხვდება:

$k_2$	
+	ფ
-	ბ
	პ



დაბოლოს,  $H$  სიმრავლის ელემენტების მხოლოდ  $k_3$  ნიშნით დავახასიათებთ შემთხვევაში განსახილველი  $H$  სიმრავლე დაიყოფა ორ ქვესიმრავლედ. ერთ მათგანში მოხვდება  $H$  სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც  $+k_3$  ნიშნით ხასიათდებიან (ე.ი. „მკვეთრები“), ხოლო ყველა დანარჩენი ელემენტი  $H$  სიმრავლისა, რომლებიც  $-k_3$  ნიშნით ხასიათდებიან (ე.ი. „არამკვეთრები“), მეორე ქვესიმრავლეში მოხვდება:

$k_3$	
+	პ
-	ბ
	ფ



$H$  სიმრავლეში გამოყოფილი სამივე ქვესიმრავლე, რომლებიც ჩვენ პირობით  $ბ$ ,  $ფ$  და  $პ$  სიმბოლოებით აღვნიშნეთ, თანაბარი რაოდენობის ელემენტებს შეიცავს. კერძოდ,  $K(ბ) = K(ფ) = K(პ) = 5$ .


თუ ერთდროულად სამივე ნიშნით ( $k_1$ ,  $k_2$  და  $k_3$  ნიშნებით) დავახასიათებთ  $H$  სიმრავლის ელემენტებს, გვექნება 6 შესაძლო ვარიანტი. ჩაწერის გამართივების მიზნით ექვსივე ვარიანტში ( $H_3$ ) $_j$  სიმბოლო  $j$  ცვლადის მნიშვნელობით არის ჩანაცვლებული, სადაც  $1 \leq j \leq 2^m$ . განსახილველი  $H$  სიმრავლის ელემენტების

ტების დასახასიათებლად გამოყენებული ნიშნების რაოდენობას  $m$ -ით აღვნიშნავთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში  $m=3$ , ე.ი.  $1 \leq j \leq 8$ .

განვიხილოთ ექვსივე ვარიანტი ცალ-ცალკე ცხრილისა და შესაბამისი სქემის წარმოდგენით:

ვარიანტი №1


$(H_3)_j$	$k_1$	$k_2$	$k_3$	
1	+	+	+	$\emptyset$
2	+	+	-	$\emptyset$
3	+	-	+	$\emptyset$
4	+	-	-	ბ
5	-	+	+	$\emptyset$
6	-	+	-	ფ
7	-	-	+	პ
8	-	-	-	$\emptyset$



თუ №1 ვარიანტში ცხრილსა და სქემაში  $k_2$  და  $k_3$  ნიშნებს ერთმანეთში გავუცვლით ადგილებს, მივიღებთ:

ვარიანტი №2


$(H_3)_j$	$k_1$	$k_3$	$k_2$	
1	+	+	+	$\emptyset$
3	+	+	-	$\emptyset$
2	+	-	+	$\emptyset$
4	+	-	-	ბ
5	-	+	+	$\emptyset$
7	-	+	-	პ
6	-	-	+	ფ
8	-	-	-	$\emptyset$



№1 ვარიანტში გამოყოფილი ქვესიმრავლეების დადგენილ რიგს უცვლელად გადავითანთ №2–№8 ვარიანტებში.

ვარიანტი №3


$(H_3)_j$	$k_2$	$k_1$	$k_3$	
1	+	+	+	∅
2	+	+	-	∅
5	+	-	+	∅
6	+	-	-	ფ
3	-	+	+	∅
4	-	+	-	ბ
7	-	-	+	პ
8	-	-	-	∅




თუ №3 ვარიანტში ცხრილსა და სქემაში  $k_1$  და  $k_3$  ნიშნებს ერთმანეთში ადგილებს გავუცვლით, მივიღებთ:

ვარიანტი №4

$(H_3)_j$	$k_2$	$k_3$	$k_1$	
1	+	+	+	∅
5	+	+	-	∅
2	+	-	+	∅
6	+	-	-	ფ
3	-	+	+	∅
7	-	+	-	პ
4	-	-	+	ბ
8	-	-	-	∅




$(H_3)_j$	$k_3$	$k_1$	$k_2$	
1	+	+	+	∅
3	+	+	-	∅
5	+	-	+	∅
7	+	-	-	ჰ
2	-	+	+	∅
4	-	+	-	ბ
6	-	-	+	ფ
8	-	-	-	∅



თუ №5 ვარიანტში ცხრილსა და სქემაში  $k_1$  და  $k_2$  ნიშნებს ერთმანეთში ადგილებს გავუცვლით, მივიღებთ:

$(H_3)_j$	$k_3$	$k_2$	$k_1$	
1	+	+	+	∅
5	+	+	-	∅
3	+	-	+	∅
7	+	-	-	ჰ
2	-	+	+	∅
6	-	+	-	ფ
4	-	-	+	ბ
8	-	-	-	∅




როგორც ვხედავთ, ერთდროულად სამივე ნიშნით ( $k_1$ ,  $k_2$  და  $k_3$  ნიშნებით)  $H$  სიმრავლის ელემენტების დახასიათებისას რეალიზდება მხოლოდ სამი ქვესიმრავლე: №1 ვარიანტის მიხედვით ესენია  $(H_3)_4$ ,  $(H_3)_6$  და  $(H_3)_7$  ქვესიმრავლეები. მოსალოდნელი 8 ქვესიმრავლიდან სამეულების ამორჩევის  $C_8^3 = 56$  შესაძლებლობა არსებობს. ამათგან მხოლოდ ერთი სამეული არის რეალიზებული, რომელიც ექვსი ვარიანტით არის წარმოდგენილი (იხ. №1-№6 ვარიანტები). თითოეულ ამ ვარიანტში გვაქვს 5 არარეალიზებული შემთხვევა, რაც შესაბამისად ამდენივე  $\emptyset$  სიმბოლოთი გამოიხატება ( $\emptyset$  აღნიშნავს ცარიელ სიმრავლეს).



სიმრავლეს ეწოდება ცარიელი, თუ ის არც ერთ ელემენტს არ შეიცავს). ერთ-დროულად სამივე ნიშნით ახასიათებს განსახილველ **H** სიმრავლეს მკვლევართა დიდი ნაწილი.


თუ **H** სიმრავლის ელემენტების დახასიათებისას  $k_1$ ,  $k_2$  და  $k_3$  ნიშნებიდან ორ-ორი ნიშნით შემოვიფარგლებით, გვექნება  $n$  შესაძლო ვარიანტი:

$k_1$	$k_2$	
+	+	$\emptyset$
+	-	ბ
-	+	ფ
-	-	პ




I ვარიანტი

$k_2$	$k_1$	
+	+	$\emptyset$
+	-	ფ
-	+	ბ
-	-	პ




II ვარიანტი

$k_1$	$k_3$	
+	+	$\emptyset$
+	-	ბ
-	+	პ
-	-	ფ




III ვარიანტი

$k_3$	$k_1$	
+	+	$\emptyset$
+	-	პ
-	+	ბ
-	-	ფ




IV ვარიანტი

$k_2$	$k_3$	
+	+	∅
+	-	ფ
-	+	პ
-	-	ბ



V ვარიანტი

$k_3$	$k_2$	
+	+	∅
+	-	პ
-	+	ფ
-	-	ბ



VI ვარიანტი

**H** სიმრავლის სამ ქვესიმრავლედ დასაყოფად სავსებით საკმარისია ორი ნიშანი:

- $k_1$  და  $k_2$  (I და II ვარიანტები);
- $k_1$  და  $k_3$  (III და IV ვარიანტები);
- $k_2$  და  $k_3$  (V და VI ვარიანტები).

სწორედ  $k_2$  და  $k_3$  ნიშნებით შემოიფარგლა თ. უთურგაიძე, რომელმაც „მჟღერი“ დაახასიათა როგორც „არაფშვინვიერი“ და „არაყელხშული“ (resp. „არამკვეთრი“) ფონემა (უთურგაიძე 1973:113; უთურგაიძე 1976:74). ეს არის ჩვენ მიერ განხილული V (resp. VI) ვარიანტი.

აღ. ონიანი თვლის, რომ „მჟღერობა რელევანტური დიფერენციალური ნიშანია და, ამდენად, მჟღერთა სერია უნდა დახასიათდეს არა მხოლოდ უარყოფითი ნიშნით (არაფშვინვიერი, არამკვეთრი), არამედ დადებითითაც (მჟღერი)“ (ონიანი 1973:64-78; ონიანი 2003:23). იგი დაასკვნის, რომ „თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ჩქამიერ თანხმოვანთა სისტემა უნდა დახასიათდეს როგორც ეკვიპოლენტური ოპოზიცია, სადაც ოპოზიციის სამივე წევრი დახასიათდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშნით. და მაშინ, მჟღერთა სერია დახასიათდება როგორც მჟღერი, არაფშვინვიერი, არამკვეთრი; ფშვინვიერთა სერია – როგორც ფშვინვიერი, არამჟღერი, არამკვეთრი; ხოლო მკვეთრთა სერია – როგორც მკვეთრი, არამჟღერი, არაფშვინვიერი“ (ონიანი 1973:79; ონიანი 2003:24).

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება **H** სიმრავლის ელემენტების დახასიათებისას მხოლოდ  $k_1$  და  $k_3$  ნიშნების გამოყენების შემთხვევაც, რაც არის ზემოთ განხილული III (resp. IV) ვარიანტი. ამ შემთხვევაში „ფშინვიერი“ დახასიათებულია როგორც „არამჟღერი“ და „არააბრუპტივი“ (resp. „არამკვეთრი“) ფონემა (დიდიგური, ჭანიშვილი 1999:27).

თეორიულად დასაშვებია აგრეთვე მხოლოდ  $k_1$  და  $k_2$  ნიშნების გამოყენებაც. ამ შემთხვევაში „მკვეთრი“ დახასიათდება, როგორც „არამჟღერი“ და „არაფშინვიერი“ ფონემა, რაც შეესაბამება ჩვენ მიერ განხილულ I (resp. II) ვარიანტს.

ვნახოთ, რა ლოგიკური კავშირები მყარდება **H** სიმრავლის ელემენტების დახასიათებლად გამოყენებულ ნიშნებს შორის I–VI ვარიანტებში:

I (resp. II) ვარიანტში გვაქვს:  $k_1/k_2$  (resp.  $k_2/k_1$ );

III (resp. IV) ვარიანტში გვაქვს:  $k_1/k_3$  (resp.  $k_3/k_1$ );

V (resp. VI) ვარიანტში გვაქვს:  $k_2/k_3$  (resp.  $k_3/k_2$ ).

**H** სიმრავლის ელემენტების ორი ნიშნით დახასიათების შემთხვევაში (იხ. I–VI ვარიანტები) მოსალოდნელი ოთხი ქვესიმრავლიდან რეალიზებულია სამი მათგანი და მხოლოდ ერთი შემთხვევა არ არის რეალიზებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც **H** სიმრავლის ელემენტების დახასიათებლად გამოყენებული ორივე ნიშანი + (დადებითი) ნიშნით გვხვდება; ამიტომ გამოყენებულ  $k_i$  და  $k_j$  ნიშნებს შორის მყარდება ლოგიკური კავშირი:

$$k_i/k_j = \overline{k_i \wedge k_j}$$

ანუ გვაქვს ლოგიკური ფუნქცია, ე.წ. „შეფერის შტრიხი“, რომელიც არის „კონიუნქციის“ უარყოფა.

აღწერის სიმარტივიდან და ეკონომიურობიდან გამომდინარე, უპირატესობას ვანიჭებთ I–VI ვარიანტებს, ანუ **H** სიმრავლის ელემენტების ორი ნიშნით დახასიათებას.

თუ **y** ფონემა კვალიფიცირებული იქნება, როგორც „ხშული“, მაშინ **H** სიმრავლეში გვექნება 16 ელემენტი, ანუ  $K(H)=16$ , ხოლო **H** სიმრავლის „მკვეთრი“ ელემენტების ქვესიმრავლეში გვექნება 6 ელემენტი:  $\mathfrak{p}=\{პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ\}$ . უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ჩატარებული მსჯელობისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს **y** ფონემის კვალიფიკაცია.

განსახილველი **H** სიმრავლის ელემენტების როგორც ერთდროულად სამი ნიშნით დახასიათებისას, ასევე ამ სამი ნიშნიდან ორ-ორი მათგანის არჩევის შემთხვევაშიც ერთი და იგივე შედეგი მიიღწევა, ანუ ხდება ე.წ. „სამეულების“ გამოყოფა. მაგრამ **H** სიმრავლეში გამოყოფილ ცარიელ ქვესიმრავლეთა ჭარბი რაოდენობა, რაც 5 არარეალიზებული შემთხვევით გამოვლინდება №1–№6 ვარიანტებში, საფუძველს გვაძლევს, უპირატესობა მივანიჭოთ **H** სიმრავლის ელემენტების დახასიათებას ორი ნიშნით, ანუ I–VI ვარიანტებს.

## ლიტერატურა

**ახვლედიანი 1999:** გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა“, თბილისი.

**გამყრელიძე 2000:** თ. გამყრელიძე, ქართულ თანხმოვანთა „განდასება“ (ველარი ყ და პოსტველარი ჳ სპირანტები ქართულში), თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი.

**ონიანი 1973:** ალ. ონიანი, თანხმოვანთა მჟღერობა-სიერუის მიხედვით დაპირისპირების შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მეტყველების ანალიზის საკითხები, IV, თბილისი.

**ონიანი 2003:** ალ. ონიანი, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია), თბილისი.

**უთურგაიძე 1973:** თ. უთურგაიძე, ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი, მეტყველების ანალიზის საკითხები, IV, თბილისი.

**უთურგაიძე 1976:** თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

**ჩარგეიშვილი 1946:** ა. ჩარგეიშვილი, ქართული თანხმოვნების „ყ“ და „ჳ“ ბიომექანიკის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, №8, თბილისი.

**ძიძიგური, ჭანიშვილი 1999:** Ш. Дзидзигури, Н. Чанишвили, сборник – Языки мира: Кавказские языки., Грузинский язык, изд-во "Академия", Москва.

*Tariel Gurgenidze*

## On the Principle of Division of the Georgian Noise Occlusive Consonants into “Triads”

### Summary

This study is an attempt to elucidate, by means of tables and relevant diagrams, that division of the noise occlusive consonants of the Georgian language into “triads” is quite possible using two features, instead of traditional three (voicing, aspiration, glottalization), as a result of which numerous redundant (the so-called empty) subsets are singled out. In the presented description an empty set corresponds to each unrealized case. The use of two features allows establishing logical connection between  $k_i$  and  $k_j$ :  $k_i/k_j = \overline{k_i \wedge k_j}$ .

ნათია ღუნღუა

**CC და CCC ტიპის თანხმომავანთკომპლექსები  
თანამედროვე სპარსულში**

**1. შესავალი**

1.1. ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ფონოლოგიური სისტემების, არამედ ფონემათა ურთიერთშეხამების წესების მიხედვითაც. ყველა ენას ახასიათებს სპეციფიკური ფონოტაქტიკური წესები, რაც გარკვეულ აკრძალვებში გამოიხატება. გამონათქვამებში ფონემათა განაწილების, ანუ ფონოტაქტიკის, შესწავლისათვის არსებითია ერთი და იმავე კლასის ფონემებისგან შედგენილი მიმდევრობების – ფონემათა კომპლექსების შესწავლა. კომპლექსის სიგრძეს განსაზღვრავს ელემენტთა რაოდენობა ფონემურ მიმდევრობაში. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა თანხმომავანთა (ან ხმომავანთა) ორწევრა, სამწევრა, ოთხწევრა და ა.შ. კომპლექსები. განსაკუთრებით საინტერესოა თანხმომავანთკომპლექსების აღწერა. დისტრიბუციული თვალსაზრისით შეიძლება გამოვეყნოთ თანხმომავანთკომპლექსების სამი ტიპი – თავკიდური, ბოლოკიდური და ინტერვოკალური (ანუ ხმოვნებს შორის მოთავსებული) თანხმომავანთკომპლექსები.

თანხმომავანთკომპლექსების განხილვისას უადრესად მნიშვნელოვანია გიორგი ახვლედიანის თეორია დეცესიური და აქცესიური კომპლექსების შესახებ ქართულში. დეცესიურია თანხმომავანთკომპლექსი, რომლის წინამავალი წევრი იწარმოება ზესადგამი მილის უფრო წინა არეში, ვიდრე მომდევნო წევრი. აქცესიურია თანხმომავანთკომპლექსი, რომელშიც წინამავალი თანხმომავანი უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე მომდევნო; ეს კომპლექსი შებრუნებული თანმიმდევრობისაა შესაბამის დეცესიურ კომპლექსთან შედარებით და აქ არტიკულაციის არავითარ ერთჟამიერობაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ცალკეულ ენებში არსებული კომპლექსების შესწავლისა და მათი აღწერისათვის ზოგადი წესების დადგენა მოგვეხმარება ენათა ერთმანეთთან შედარებაში და, საზოგადოდ, ენის ბუნების გარკვევაში.

1.2. ჩვენი ნაშრომი ეყრდნობა ჯემშიდ გიუნაშვილის გამოკვლევას სპარსული ენის ფონემური სისტემის შესახებ, სადაც გაანალიზებულია 50000 სიტყვა; დაწვრილებით არის შესწავლილი ფონემათა განაწილება V, VC, CV, VCC, CVC, CVCC ტიპის სიტყვებში (Гиунашвили 1965); აგრეთვე, მის სტატიას თანამედროვე სპარსულ ენაში CCC ტიპის თანხმომავანთკომპლექსების შესახებ (Гиунашвили 1969) და შოთა გაფრინდაშვილისა და ჯემშიდ გიუნაშვილის ერთობლივ შრომას „სპარსული ენის ფონეტიკა“ (Гапринდაшвили, Гиунашвили 1964).

**2. სპარსული ენის ფონემატური სისტემა და საკვლევ თანხმოვანთკომპლექსთა ტიპები**

2.1. სპარსული ენის ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემების სახით (იხ. ნახ. 1; ნახ. 2).

აწეულობა	რიგი	არალაბიალიზებული		ლაბიალიზებული
		წინა	შუა	
მაღალი		i	–	u
საშუალო		e	–	o
დაბალი		–	ä	a

ნახ. 1. სპარსული ენის ხმოვანთა სისტემა

წარმოების ადგილი რაგეარობა		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
ხშული	მჟღერი	b		d	ḡ	g				'
	ყრუ	ფშვინ-კიერი	p		t	č	k			
		მკვეთრი							q	
ნაპრალოვანი	მჟღერი		v	z	ž		[Y]			
	ყრუ		f	s	š		x		h	
სონორი	ნაზალი	m		n						
	ლატერალი			l						
	ვიბრანტი				r					

ნახ. 2. სპარსული ენის თანხმოვანთა სისტემა

2.2. სპარსულში თავკიდური თანხმოვანთკომპლექსები არ დასტურდება: სიტყვა შეიძლება დაიწყოს ნებისმიერი თანხმოვანით, გარდა /ʔ/-ისა. ბოლოკიდური კონსონანტური სეგმენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა უმეტეს ორი თანხმოვანისა (VCC, CVCC – ერთმარცვლიანი სიტყვები), სამთანხმოვანი CCC ტიპის კომპლექსები სპარსულში გვხვდება მხოლოდ მორფემათა გასაყარზე.

**3. VCC ტიპის თანხმოვანთკომპლექსების ანალიზი**


3.1. VCC ტიპის სიტყვებისთვის გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ტიპი	სიტყვათა რაოდენობა	ხმოვანთა რაოდენობა	თანხმოვანთა რაოდენობა	სულ
VCC	451	451	902	1353

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია დადასტურებულ ფონემათა სიხშირეები:

ī	2	v	1	k	5	n	18
u	5	f	1	q	6	d	21
ū	8	b	1	l	8	r	30
i	14	ǰ	1	š	8	t	374
a	422	x	3	z	14	s	389
		h	4	m	18		

3.2. თანხმოვანთკომპლექსები შეიძლება წარმოვადგინოთ ე.წ. ორიენტირებული გრაფების სახით. სქემაზე ისრებით ნაჩვენებია ერთი ფონემიდან მეორეზე გადასვლის შესაძლებლობა, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ ასეთი გადასვლის ალბათობა.



ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით, VCC ტიპის კომპლექსებში  $C_1$  და  $C_2$  თანხმოვანთა მიმდევრობა რაგვარობისა და წარმოების ადგილის მიხედვით შემდეგია:

$C_1$  – სონორები: ვიბრანტი, ალვეოლარული  $r$ , ლატერალი, დენტალური  $l$ , ნაზალი, ბილაბიალური  $m$ , ნაზალი, დენტალური  $n$ ; ნაპრალოვნები: ყრუ, ლაბიოდენტალური  $f$ , მჟღერი, დენტალური  $z$ , ყრუ, დენტალური  $s$ , ყრუ, ალვეოლარული  $\check{s}$ , ყრუ, ველარული  $x$ , ყრუ, ლარინგალური  $h$ ; სმულები: მჟღერი, ბილაბიალური  $b$ , ფშვინვიერი, პალატალური  $k$ , ყრუ-მკვეთრი, ფარინგალური  $q$ .

როგორც ვხედავთ,  $VC_1C_2$  კომპლექსის პირველ პოზიციაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ყველა სონორი, სიხშირის თვალსაზრისით მათ მოსდევს ნაპრალოვნები, ხოლო სმულთაგან მხოლოდ სამი ფონემა არის დადასტურებული:

$C_1$  – სონორები ( $r, l, m, n$ ) > ნაპრალოვნები ( $f, z, s, \check{s}, x, h$ ) > სმულები ( $b, k, q$ ).

$C_2$  – სონორები ( $r, l, m$ ): ვიბრანტი, ალვეოლარული  $r$ , ლატერალი, დენტალური  $l$ , ნაზალი, ბილაბიალური  $m$ ; ნაპრალოვნები ( $v, z, s$ ): მჟღერი, ლაბიოდენტალური  $v$ , დენტალური  $z$ , ყრუ, დენტალური  $s$ , სმული ( $d, t, k, q$ ): მჟღერი, დენტალური  $d$ , ფშვინვიერი, დენტალური  $t$ , ფშვინვიერი, პალატალური  $k$ , ყრუ-მკვეთრი, ფარინგალური  $q$ .

$VC_1C_2$  კომპლექსის მეორე ადგილზე სონორებიდან ყველა არის წარმოდგენილი  $n$ -ს გარდა; შემდეგ, სიხშირის თვალსაზრისით, გვაქვს სმულები – 2 დენტალური და თითო პალატალური და ფარინგალური ფონემა; ნაპრალოვნებიდან კი ყველა დენტალური ფონემა – 2 მჟღერი და 1 ყრუ;

$C_2$  – სონორები ( $r, l, m$ ); სმულები ( $d, t, k, q$ ); ნაპრალოვნები ( $v, z, s$ ).

3.3. VCC კომპლექსში  $C_1C_2$  ფონემების ურთიერთშეხამებისას იკვეთება ფონოტაქტიკის შემდეგი წესები:

I. როდესაც  $VC_1C_2$  კომპლექსის პირველი წევრი სონორია:

1. გვაქვს გემინირებული თანხმოვანთკომპლექსები:  $rr, mm$ ; 2. სონორ  $r$ -სთან კომბინაციაში შედის ყრუ, დენტალური  $s$ . 3. ხოლო სონორ  $m$ -სთან ასევე სონორი, ვიბრანტი  $r$ . 4. სონორ, ლატერალ  $l$ -ს მოსდევს ასევე სონორი, ნაზალი  $m$ ; 5. დენტალურ ნაზალ  $n$ -ს მოსდევს ასევე დენტალური  $d$  და  $s$ .

II. როდესაც  $VC_1C_2$  კომპლექსის პირველი წევრი ნაპრალოვანია:

1.  $f$  კომბინაციაში შედის ლაბიოდენტალურ, მჟღერ  $v$ -სთან; 2. დენტალური  $z$  – სონორ  $r$ -სა და  $m$ -სთან; 3. ყრუ, დენტალური  $s$  კომბინირებს ასევე დენტალურ  $t$ -სთან და სონორ  $r, l, m$ -სთან. 4.  $\check{s}$ -ს მოსდევს  $r$ , პალატალური, ფშვინვიერი  $k$  და ფარინგალური, მკვეთრი  $q$ . 5.  $x$  კომბინაციაში შედის სონორ  $m$ -სა და დენტალურ, მჟღერ  $z$ -სთან. 6. ლარინგალური, ყრუ  $h$  კომბინირებს სონორ, ლატერალ  $l$ -სა და დენტალურ, მჟღერ  $d$ -სთან.

$VC_1C_2$  თანხმოვანთკომპლექსში 8 ნაპრალოვნიდან პირველ ადგილზე არა გვაქვს მხოლოდ 2 – ლაბიოდენტალური, მჟღერი  $v$  და ალვეოლარული, ყრუ  $\check{s}$ .



III. როდესაც VC<sub>1</sub>C<sub>2</sub> კომპლექსის პირველი წევრი ხშირია:

1. მჟღერი, ბილაბიალური b, კომბინაციაში შედის სონორ ვიბრანტ r-სთან;
2. ფშვინვიერი k – ყრუ, დენტალურ s-სთან; 3. ხოლო ყრუ, მკვეთრი, ფარიანგალური q – სონორ, ლატერალ l-სა და მჟღერ, დენტალურ d-სთან.

IV. თუ აღნიშნულ კომპლექსებს განვიხილავთ დეცესიურობა-აქცესიურობის მიხედვით, დეცესიური კომპლექსებია: šk, šq (წინა წარმოება + უკანა, ყრუ + ყრუ), აქცესიური კომპლექსებია: xz, hd, ks, qd [უკანა წარმოებას + წინა, 3 ყრუ + მჟღერი; 1 ყრუ + ყრუ (ks)]. ორი თანხმოვანთკომპლექსი – ლაბიოდენტალები, ნაპრალოვნები fv და დენტალები st წარმოების ადგილის მიხედვით ერთგვაროვნები არიან.

ზემოთ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სპარსულში C<sub>1</sub>C<sub>2</sub> თანხმოვანთკომპლექსებში აქცესიური კომპლექსები სჭარბობს დეცესიურს.

#### 4. CVCC ტიპის თანხმოვანთკომპლექსების ანალიზი

4.1. CVCC ტიპის სიტყვებისათვის გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ტიპი	სიტყვათა რაოდენობა	ხმოვანთა რაოდენობა	თანხმოვანთა რაოდენობა	სულ
CVCC	1451	1451	4353	5804

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია დადასტურებულ ფონემათა სიხშირეები:

u	13
e	101
i	121
a	138
o	207
•	871

ž	1
y	28
p	29
v	34
ğ	44
l	68
z	68
x	82
č	85
’	119
h	124
g	125
q	125
m	131
b	193
š	197

f	244
n	265
k	293
s	356
r	527
d	594
t	621

CVC<sub>1</sub>C<sub>2</sub> ტიპის სიტყვებში C ადგილას დასტურდება ყველა სონორი თანხმოვანი, ნაპრალოვნებიდან ჯ-ს გარდა<sup>1</sup> – ყველა, 10 ხშული ფონემიდან არ არის მხოლოდ 2 – p და ჯ.

C<sub>2</sub> ადგილას დასტურდება ყველა სონორი; ნაპრალოვნებიდან ყველა არის წარმოდგენილი, გარდა ჯ-სი. ხშულებიდან ყველა დასტურდება – p-სა და ჯ-ს გარდა. ამგვარად, ჯ, p, ჯ თანხმოვნები CVC<sub>1</sub>C<sub>2</sub> ტიპის სიტყვების კომპლექსებში არ მონაწილეობენ.

ამ შემთხვევისთვის ფონოტაქტიკის შემდეგი წესები იკვეთება:

1. გემინირებული თანხმოვანთკომპლექსებია: rr, ll, nn, vv, zz, dd, tt, kk.

2. დეცესიური და აქცესიური მიმდევრობის თვალსაზრისით CVC<sub>1</sub>C<sub>2</sub> ტიპის სიტყვების თანხმოვანკომპლექსებში ასეთი სურათი გვაქვს: დეცესიური კომპლექსებია (19): fz, ft, z', sk, sq, šk, sy, bz, bs, bh, bk, b', dh, dq, th, ty, tq, ǵh, ǵ (წინა წარმოება + უკანა); აქცესიური კომპლექსებია (23): zb, sb, šf, št, xs, xš, xt, hz, hs, hš, hy, qf, qz, qs, qš, qd, qt, tf, ks, 'f, 's, 'd, 'y (უკანა წარმოება + წინა); წარმოების ადგილის მიხედვით ერთგვაროვნები არიან zd, sd, st თანხმოვანთკომპლექსები. აქაც აქცესია სჭარბობს დეცესიურ მიმდევრობას.

## 5. CCC ტიპის თანხმოვანთკომპლექსები

5.1. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სპარსულში CCC ტიპის თანხმოვანთმიმდევრობა გვხვდება მხოლოდ მორფემათა გასაყარზე. 50000 სიტყვაფორმიდან მხოლოდ 235-ში (ანუ 0,47%) დასტურდება სამთანხმოვნიანი ტიპის კომპლექსი.

C<sub>1</sub>C<sub>2</sub>C<sub>3</sub> ტიპის თანხმოვანთმიმდევრობაში 1. C<sub>1</sub> პოზიციაში წარმოდგენილია ყველა სონორი, ნაპრალოვნებიდან, v-სა და ჯ-ს გარდა – ყველა, ხშულებიდან არ დასტურდება z, ǵ და ჯ ფონემები. 2. C<sub>2</sub> პოზიციაში გვხვდება ყველა სონორი, ნაპრალოვნებიდან არ არის v და ჯ, ხოლო ხშულებიდან – p, ǵ და ჯ. 2. C<sub>3</sub> პოზიციაში სონორებიდან, n-ს გარდა, ყველა არის წარმოდგენილი, ნაპრალოვნებიდან – z-სა და y-ს გარდა – ყველა, ხოლო ხშულებიდან – ჯ-სა და 'ს-ს გარდა – ყველა ფონემა დასტურდება.

<sup>1</sup> არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯ-ს ხმარება 30509 ფონემის მასივში უდრის 0.0038%-ს.

## 6. მჟღერობა-სიყრუის ნიშნით მარკირების იერარქიული მიმართების ტიპოლოგიური სისტემები და სპარსული ენის ლაბიალურ და ველარულ ფონემათა განაწილება

მარკირების მიმართების სიხშირული მახასიათებლებისა და ცარიელი უჯრედების განაწილების შესწავლამ „მჟღერობა~სიყრუის“ ნიშნით დაპირისპირებულ ხშულ თანხმოვანთა კლასებში (სხვადასხვა სტრუქტურის მქონე მრავალი ენის მონაცემების გათვალისწინებით) გამოავლინა განხილულ ფონემათა მეტად მნიშვნელოვანი თვისება – მარკირების იერარქიული მიმართება, რომელიც თავს იჩენს ლაბიალურ და ველარულ ხშულ ფონემებს შორის „მჟღერობა ~სიყრუის“ დიფერენციალურ ნიშანთან დაკავშირებით (მელიქიშვილი 1976).

ირკვევა, რომ ხშულ ფონემათა ისეთ კლასებში, როგორც არის:

b p  
d t  
g k

მჟღერთა b~d~g სერიაში ლაბიალური b ფონემა გამოირჩევა უფრო მაღალი ფარდობითი სიხშირით, ვიდრე ველარული g და, ამდენად, ეს უკანასკნელი უპირისპირდება b ფონემას როგორც „მარკირებული“, „სუსტი“ ~ „არამარკირებულს“, „ძლიერს“, ყრუთა p~t~k სერიაში საპირისპირო იერარქიული დამოკიდებულება ვლინდება: ველარული k ფონემა უფრო მაღალი სიხშირული მახასიათებლებით გამოირჩევა ლაბიალურ p-სთან შედარებით, ამდენად, იგი უპირისპირდება ამ უკანასკნელს როგორც „არამარკირებული“, „ძლიერი“ ~ „მარკირებულს“, „სუსტს“.

ხშულ ფონემათა ფუნქციონირების შესწავლისას მიღებული ლოკალური რიგების გაპირობებული ურთიერთმიმართება ვრცელდება სხვა კონსონანტურ კლასებზეც და, ამდენად, საერთოდ კონსონანტურ ფონემათა კანონზომიერებად შეიძლება მივიჩნიოთ (მელიქიშვილი 1976), რასაც სპარსული ფონემატური სტრუქტურის დისტრიბუციული ანალიზიც ადასტურებს.

## 7. დასკვნები

- თანამედროვე სპარსულში თავკიდური თანხმოვანთკომპლექსები არ დასტურდება.
- სიტყვა შეიძლება დაიწყოს ნებისმიერი თანხმოვნით, გარდა ’-ისა.
- ბოლოკიდური კონსონანტური სეგმენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა უმეტეს ორი თანხმოვნისა – VCC, CVCC.
- სამთანხმოვნინი CCC ტიპის კომპლექსურ თანამედროვე სპარსულში გვხვდება მხოლოდ მორფემათა გასაყარზე.
- სპარსულში ძირის კანონიკური სტრუქტურაა CVC.
- სპარსული ფონემატური სტრუქტურებიდან ყველაზე შეზღუდული დისტრიბუციით წარმოდგენილია შემდეგი ფონემები: ხშული,

ფშვინვიერი, ბილაბიალური p, ხშული, მჟღერი, ალვეოლარული ႁ, ხშული, ფშვინვიერი ალვეოლარული ႁ, ნაპრალოვანი, მჟღერი, ლაბიოდენტალური v და ნაპრალოვანი, მჟღერი, ალვეოლარული z.

- გვაქვს გემინირებული თანხმოვანთკომპლექსები: VCC-ში – rr, ll, mm; CVCC-ში – rr, ll, nn, vv, zz, dd, tt, kk.
- ისევე როგორც VCC-ში, ასევე CVCC-ში აქცესიური კომპლექსები სჭარბობს დეცესიურს.

## 8. პერსპექტივები

ახალი სპარსული ენის ძირის ყველა სტრუქტურული ტიპის, V, VC, CV, VCC, CVC, CVCC სრული და შედარებითი ანალიზი.

### ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1949.
- თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შალური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი 2003.
- თ. გამყრელიძე, ტ. გუდავა, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, თბილისი 1981.
- ლ. თუშიშვილი, კლასიკური სპარსული ენის ელემენტარული გრამატიკა, თბილისი 2000.
- მელიქიშვილი 1976:** ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი.
- ი. მელიქიშვილი, ქართველურ ენათა ფონოლოგიური ტიპოლოგიისათვის, ენათმეცნიერების საკითხები 2, თბილისი 2000.
- თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი 1976.
- ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი 1961.
- Т. В. Гамкрелидзе, "О соотношении смычных и фрикативных в фонологической системе", Предварительные материалы, Москва 1972.
- Гаприндашвили, Гиунашвили 1964:** Гаприндашвили Ш. Г., Гиунашвили Дж. Ш., Фонетика персидского языка, I, Звуковой состав, Тбилиси.
- Гиунашвили 1965:** Гиунашвили Дж. Ш., Система фонем персидского языка, თსუ, შრომები, ტ. 116, გვ. 87-135, თბილისი.
- Гиунашвили 1969:** Гиунашвили Дж. Ш., О сочетаниях типа ССС в современном персидском языке", Тбилисский университет Георгию Ахвледиани, Юбилейный сборник к 80-летию со дня рождения, Тбилиси.
- Гринберг Дж., Некоторые обобщения касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных, ВЯ, 4, Москва 1964.
- Трубецкой Н., Основы фонологии, Москва 1962.
- J. Kramsky, "The Phonology of Modern Persian", Ar Or XI, 1939.

## **CC and CCC Consonant Complexes in Modern Persian**

### Summary

The Persian phonematic system distinguishes two classes of phonemes: vowels and consonants. Phoneme combinations are an important object for the study of language structure.

A complex is defined as a syntagmatic union of phonemes belonging to the same class. The length of the complex equals to the number of elements within the phoneme range.

From this point of view, there are two, three or more-membered complexes of consonants (or vowels).

Initial consonant segments in the Persian language may be presented only by one consonant phoneme. All the consonant phonemes (except /ʔ/) may appear in the anlaut of a word. Final consonant segments contain no more than two consonant phonemes. We can discover three consonants only at the boundary of the morphemes (D. Giunashvili, *The System of Phonemes in Persian*, Works of TSU, vol.116, Tbilisi, 1965, pp.87-141; *CCC Combination in Modern Persian Language*, At the celebration of G. Akhvlediani, Tbilisi, 1969, pp.406-410).

### Conclusion:

- in modern Persian there are no word-initial consonant-complexes.
- a word can begin with any consonant except ʔ.
- word-final consonant segments may have no more than two consonants – VCC, CVCC.
- three-consonant CCC type complexes can be found only at morphemic boundaries.
- the canonical root construction is CVC.
- of Persian phonematic structures the phonemes with the most limited distribution are: bilabial **p**, alveolar **ǧ** and **č**, labiodental **v** and alveolar **ž**.
- geminated consonant-complexes are: in VCC – **rr**, **ll**, **mm**; in CVCC – **rr**, **ll**, **nn**, **vv**, **zz**, **dd**, **tt**, **kk**.

*ივანე ლეჟავა, ლუიზა ლორთქიფანიძე*

### **გლოტალიზაციის ნიშნის აკუსტიკური ანალიზი ქართულ ენასა და მის დიალექტებში**

ცნობილია, რომ გლოტალიზებული ბგერები (აბრუპტივები, მკვეთრები ან ყელსშულები) დამახასიათებელია ქართული და ზოგი კავკასიური ენისათვის, და სწორედ ეს განასხვავებს მათ რუსული და სხვა ევროპული ენებისაგან.

გლოტალიზებულ სშულ ფონემათა არსებობა ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემების მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს. ეს ნიშანი საერთოა კავკასიური ენობრივი არეალისათვის. გლოტალიზებული სშულები რთული არტიკულაციით გამოირჩევა: მათთვის დამახასიათებელია სშვა ან შევიწროება სახმო სიმების არეში, დაჭიმული არტიკულაცია, ხორხის აწევა-დაწევა, მაღალი ინტრაორალური წნევა და ინტენსივობის სწრაფი მატება, განხშვის მცირე გრძლივობა, უბგერო ინტერვალი.

თანამედროვე ქართული ენისა და ქართული ენის გურული, კახური, ხევსურული დიალექტების ციფრული აკუსტიკური ანალიზი შესრულებულია შემდეგი კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით: Praat ; 2. WaveSurfer; 3. Cool Edit 96;

განალიზებული აუდიომასალის ამობეჭდვა და გრაფიკული გამოსახულებების ფაილებად შენახვა კი განხორციელდა CPL Ghostscript-ითა და Gview-ით.

საანალიზო ბგერების (*სშული თანხმოვნების – ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, გ, ქ, კ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, ჯ- /ხევსურულში /, ყ*) თავისებურებათა დასადგენად განხორციელდა ციფრული აკუსტიკური ანალიზი შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

1. ორალური ხშვის ხანგრძლივობა,
2. სკდომის ინტენსივობა და გრძლივობა,
3. ღროის მონაკვეთი ორალური განხშვიდან ხმოვნის დაწყებამდე (VOT),
4. სკდომის მომდევნო ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა,
5. სკდომის მომდევნო ინტერვალის გრძლივობა,
6. მომდევნო ხმოვნის ტონური და ფორმანტული თავისებურებები.

გრაფიკულ გამოსახულებაზე წარმოდგენილია ოსცილოგრამა, სპექტროგრამა და ინტენსივობის მრუდი (იხ. დანართი, სურ. 1-12). გაზომილ იქნა სშული ბგერების არტიკულაციურ ფაზათა გრძლივობები (მილისეკუნდებში), სპექტრული მახასიათებლები (ჰერცებში) და ინტენსივობის დინამიკა (დეციბელებში).

## ჩატარებული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები:

– ლაბიალური ხშულ-მსკდომი თანხმოვნის სპექტრში უკანა რიგის ხმოვნებთან ძირითადი ენერგია წარმოდგენილია ხმოვნის F1-F2 უბანში, ხოლო წინა რიგის ხმოვნებთან F3-ის უბანში. მათი სპექტრი მომდევნო ხმოვნის კოარტიკულაციური გავლენით განიცდის უმნიშვნელო ცვლილებებს. ლაბიალური თანხმოვნების დაბალი მეორე ფორმანტის გამო არალაბიალურ ხმოვნებზე ფორმანტული გადასვლა აღმავალია. საარტიკულაციო დაბრკოლებისწინა რეზონატორის არქონისა და ფრიკაციული ჩქამისათვის არახელსაყრელი პირობების გამო ლაბიალური თანხმოვნების ჩქამის სპექტრული თავისებურებანი მკაფიოდ არ არის გამოხატული.

– დენტალური თანხმოვნების ჩქამის გრძლივობა მეტია ლაბიალურებთან შედარებით. თვით დენტალურებში ყველაზე დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშინვიერი თანხმოვანი. ბოლოკიდური თ თანხმოვნის ჩქამის გრძლივობა დაახლოებით 2-ჯერ აღემატება თავკიდური ბგერის ჩქამს (იხ. ცხრილები 1-8). დენტალური თანხმოვნების F2 უფრო მაღალია ა ხმოვნის მეორე ფორმანტზე. ამიტომ ფორმანტული გადასვლები უკანა რიგის ხმოვნებზე დაშვებულია, ხოლო ი-ხმოვანზე – აღმავალი. დენტალური ხშული თანხმოვნების ძირითადი ენერგია მოცემულია 4,1-6,0 კჰც-ის ფარგლებში, თუმცა ზოგჯერ F2-ის გაძლიერების გამო დაბალ სიხშირეებშიც ვლინდება. თავკიდური დ, ტ თანხმოვნების განმასხვავებელი თავისებურებაა ტ ბგერის მკვეთრი, იმპულსური მოკლე სკდომა და სკდომის ჩქამის მომდევნო უბგერო ინტერვალი (ფაკულტატიურად).

– ველარული თანხმოვნების ჩქამის გრძლივობები აღემატება ლაბიალური და დენტალური თანხმოვნებისას. ველარული თანხმოვნების ჩქამის სპექტრული თავისებურებანი ძირითადად მომდევნო ხმოვნის ბუნებით არის განპირობებული. პალატალური ხმოვნების მეზობლობაში ველარული თანხმოვნის ჩქამი მაღალსიხშირული ხდება და ემსგავსება დენტალური ბგერის ჩქამს. ველარული თანხმოვნების F2 იცვლება ფართო დიაპაზონში 900-2500 ჰც.

– სისინა და შიშინა აფრიკატების ჩქამის გრძლივობა აღემატება ველარული თანხმოვნების გრძლივობას. აღსანიშნავია, რომ მკვეთრი თანხმოვნების ჩქამის პირველ ნახევარში განხშვის იმპულსურობისა და ფშინვიერი თანხმოვნის მეორე ნახევარში ასპირაციული სურათის ჩამოყალიბების გამო შესაძლებელია დაბალი სიხშირეების გამოვლენა.

– სიბილანტ აფრიკატა ჩქამის გრძლივობისა და ინტენსივობის გაზომვების შედეგად გამოირკვა, რომ ყველაზე ხანგრძლივია ფშინვიერი აფრიკატის ჩქამი, ხოლო ინტენსივობითა და მატება-კლების სიმკვეთრით გამოირჩევა მკვეთრი თანხმოვანი. ერთი და იმავე ლოკალური რიგის მჟღერი და მკვეთრი აფრიკატების (ძ-წ, ჯ-ჭ) ჩქამის გრძლივობები თითქმის ტოლია და იცვლება პოზიციისა და დიქტორის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სისინა აფრიკატების გრძლივობა აღემატება შიშინა აფრიკატების გრძლივობას.

– გლოტალიზებული **ყ**-ბგერის ორივე რეალიზაციას (როგორც ხშულს, ისე ნაპრალოვანს) **ღ-ხ** ბგერებისაგან, უპირველეს ყოვლისა, გამოარჩევს მკვეთრი ბგერებისათვის დამახასიათებელი უბგერო ინტერვალი თანხმოვანსა და მომდევნო ბგერას შორის, სპექტრის მკვეთრად იმპულსირებული ჩქამი და შედარებით მცირე გრძლივობა. **ყ**-ს სპექტრი ძირითადად წარმოდგენილია ე.წ. „ჭყლეტვითი“ ენერგიით, რადგანაც მასში უსუნთქველი არტიკულაციის გამო ნაკლებია ფრიკაციული ელემენტი.

– ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდის შეფარდება ჩქამის გრძლივობასთან ( $K=I/T$ ) იძლევა რეალურ წარმოდგენას ჩქამის ინტენსივობის დინამიკაზე. ეს კარგად ჩანს ცხრილებიდან 1, 2, სადაც გლოტალიზებული თანხმოვნებისთვის დამახასიათებელია კოეფიციენტის უფრო დიდი მნიშვნელობები;

– უბგერო ინტერვალი უფრო დამახასიათებელია მსკდომებისათვის, ვიდრე აფრიკატებისათვის;

– თუ ბოლოკიდურ პოზიციაში არსებობს ორალური სკდომის მომდევნო გლოტალური სკდომა, უბგერო ინტერვალი ამ შემთხვევაში საკმაო გრძლივობისაა (20-50-მსკ-ის ფარგლებში);

– გლოტალიზაციის ხარისხის მიხედვით თანამედროვე ქართულსა და დიალექტებს შორის არის გარკვეული განსხვავებები. მე-9 ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ გლოტალიზებული ხშულ-მსკდომი თანხმოვნების ჩქამისა და უბგერო ინტერვალის ჯამური საშუალო გრძლივობები (VOT) კლებადი მიმდევრობით ასე დალაგდება: *ხვესურული – გურული – თანამედროვე ქართული ენა – კახური*; უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს გლოტალიზაციის ხარისხს, მსგავს სურათს გვიჩვენებს, იმ განსხვავებით, რომ თანამედროვე ქართული ენისა და კახური დიალექტის მონაცემები პრაქტიკულად ტოლია.

– გლოტალიზებული ხშულ-მსკდომი თანხმოვნების ჩქამისა და უბგერო ინტერვალის გრძლივობები, როგორც წესი, თითქმის თანაბარია (ყველაზე დიდი სხვაობა თანამედროვე ქართულშია). თუ გლოტალიზებული თანხმოვნის ჩქამის გრძლივობაა დიდი ან ინტენსივობაა სუსტი, მაშინ გლოტალიზაციის ნიშნის გამოვლენა გაძლიერებულია უბგერო ინტერვალის დიდი გრძლივობით; ანუ შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებს ერთგვარი კომპენსატორული პრინციპი. აღსანიშნავია ისიც, რომ უბგერო ინტერვალი იზოლირებულად წარმოთქმულ სიტყვებში უფრო გამოიკვეთება, ვიდრე გაბმულ მეტყველებაში და თუნდაც მოკლე ფრაზებში; ამასთანავე, განსხვავებაა ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში: გლოტალიზებული ხშულების არტიკულაციური ფაზები ქალებისათვის უფრო გრძლივია.



## **გლოტალიზებულ თანხმოვანთა გამოსარჩევი ნიშნები:**

ეს ნიშნები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

**ა** – ნიშნები, რომლებიც მხოლოდ გლოტალიზებულ თანხმოვნებს ახასიათებს ყველა პოზიციაში;

**ბ** – ნიშნები, რომლებიც ვლინდება ფაკულტატიურად;

**გ** – სასარგებლო-საზიარო ნიშნები.

**ა1** – სკლომისმომდევნო ენერჯის მკვეთრი ვარდნა.

**ბ1** – უბგერო ინტერვალი. სკლომას შეიძლება მოსდევდეს პაუზა, რომელსაც, თავის მხრივ, შეიძლება მოსდევდეს სუსტი სკლომა (ყელში სკლომა). ეს პაუზა უნდა გავარჩიოთ სკლომის მომდევნო ისეთი პაუზისაგან, რომელიც სხვა ბგერების ზმვას შეესაბამება.

**ბ2** – ყელში სკლომის ეფექტი. ხშული ბგერის ბოლოს შეიძლება გამოხატული იყოს სუსტი სკლომა (იხილეთ ბ1 პუნქტი). სპექტრულად ეს სკლომა დაბალსიხშირიანია; სიტყვის ბოლოს კარგად არის გამოხატული და ცალსახად უნდა გავიგოთ მხოლოდ მკვეთრი ბგერის ნიშნად.

**გ1** – ხშვის ფაზის ქონა. გლოტალიზებული ბგერის ხშვის მქონებლობა გამოიხატება პაუზით. სიტყვის თავში ეს პაუზა არ იზომება, მსგავსად სხვა ხშულების პაუზისა (ზოგჯერ მჟღერ თავკიდურ ხშულებს ხშვის ფაზაში ფაკულტატიურად შეიძლება ჰქონდეთ ძირითადი ტონის რხევები).

**გ2** – გლოტალიზებულების ჩქამი, მჟღერებისაგან განსხვავებით, გაფანტულია ფართო დიაპაზონში. ნიშანი საზიაროა ფშვინვიერ ბგერებთან. აფრიკატებში დაბალსიხშირული (2,0-3,0 კჰც-ს ქვემოთ) შემადგენლები თავს იჩენენ მკვეთრის ჩქამის პირველ ნახევარში, ფშვინვიერებში კი – II ნახევარში.

**გ3** – გლოტალიზებულებსა და ფშვინვიერებს, მჟღერებისაგან განსხვავებით, ნაკლებად გამოხატული აქვთ ფორმანტული გადასვლები მომდევნო ხმოვანზე.

**გ4** – ხშვის ფაზაში გლოტალიზებულები და ფშვინვიერები გვიჩვენებენ უბგერობას. ისინი ამით უპირისპირდებიან მჟღერ ხშულებს, რომელთა ხშვის დროს ძირითადი ტონის რხევები დასტურდება (გარდა თავკიდური პოზიციისა, სადაც მჟღერების ხშვაც შესაძლოა უბგერო იყოს). გასათვალისწინებელია, რომ, გარდა პოზიციურისა, ეს ნიშანი აფრიკატებისათვის ფაკულტატიურად არის: ხშვის ფაზაში მათ შეიძლება ჰქონდეთ მაღალსიხშირული (შიშინებისათვის 4,0 კჰც-ს ზემოთ და სისინებისათვის 6,0 კჰც-ს ზემოთ) სუსტი აპერიოდული რხევები.

**გ5** – ჩქამის სიმოკლე (იმპულსურობა) – გლოტალიზებული და მჟღერი ბგერების ჩქამი, ე.ი. სკლომის შესაბამისი მონაკვეთი, ნაკლები ხანგრძლივობისაა, ვიდრე ამავე რიგის ფშვინვიერი თანხმოვნების ჩქამი.

**გ6** – მკვეთრ და მჟღერ ბგერებს, ფშვინვიერებისაგან განსხვავებით, არ ახასიათებს ასპირაციის ჩქამი.

	#-V				V-V				V-#			
	ხშგა	ჩქამი	უ.ო.	*K(I/T)	ხშგა	ჩქამი	შ.ო.	K(I/T)	ხშგა	ჩქამი	შ.ო.	K(I/T)
ბ	–	8		0,57	75	10,5		1,43	101	86		0,27
ფ		53		0,5	75	53,5		0,53	107	115		0,2
პ		15	–	2,53	68	9	–	2,55	82,5	11	–	–
		13,75	9,25	2,62	64	13,4	17,3	2,8	101	14,5	31	1,56
ღ	–	12,5		2,04	61,65	11,65		2	89,5	85,5		0,34
თ		52,5		0,44	60	46		0,75	86	132		0,35
ტ		24	–	2,3	62,5	11,5	–	4,87	78,5	31,5	–	1,75
		15,5	16,5	4,45	76,25	17,75	13,3	2,5	87	24	31	1,69
ბ	–	18		1,83	53	14,5		0,65	76	72		0,44
ქ		69,5		0,47	69	53,5		0,76	87,5	112,5		0,22
ძ		–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		25	15,8	2,29	64	20,85	23,8	2,35	93,3	21,95	36,3	2,29
ძ	–	65		0,86	37	69		0,71	35	117,5		0,53
ც		120		0,53	32	95		0,49	48,5	203,5		0,24
წ		77	–	0,85	40	55	–	1,29	48,4	93,35	–	0,84
		69,5	14	1,16	31	67	16,5	1,16	47,5	110	41	0,63
ჭ	–	43		1,05	26	52		0,85	74	110		0,48
ჩ		90		0,62	42	88,5		0,66	59	152	–	0,36
ც		–	–	–	–	–	–	–	65	75,6		0,96
		49	19	1,68	52,5	47,5	13,5	1,53	64	94,5	51	0,72
ყ		79,6	17,6		–	57	20		–	18	32	
		–	–		26,75	39,5	20		52,3	64,7	25	

**ცხრილი 1.** ხშულ თანხმომავანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (თანამედროვე ქართული ენა. იზოლირებული სიტყვები, ქალის წარმოთქმა)

\*I – ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდე დეციბელებში,  
T – ჩქამის გრძლივობა მილისეკუნდებში.

	#-V				V-V				V-#			
	ხშვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)	ხშვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)	ხშვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)
ბ	75	14	–	1,07	53	10		1	90	76		0,15
ფ		25,5		0,7	42	34		0,49	102	120		0,23
პ		13,5		1,85	58,5	15	–	1,38	88	13	–	1,92
		9	7	1,77	–	–	–	–	91	28	22	0,82
დ	–	15		1,13	51	13,5		1,07	77	42		0,6
თ		36		1,2	41	41		0,9	78	132		0,27
ტ		16,5	–	2,16	52	17	–	1,92	89	39,25	–	1,27
		–	–	–	62,5	22,5	9,5	1,61	92	45	27	0,95
ბ	–	20		1,37	54	25		0,6	67	42,5		0,74
ქ		40,5		1,01	49	67,5		0,62	86	95		0,2
ძ		24,5	–	1,75	51	23,5	–	1,15	88,5	31,5	–	1,03
		28,5	7,5	1,61	62	24,5	14,5	1,5	88	35,5	24	1,37
ძ	–	66		0,68	46	68		0,67	29	101		0,37
ც		93		0,62	36	86		0,46	64	216		0,3
წ		55,25	–	0,92	25,8	49,75	–	0,62	58,2	103	–	0,66
		–	–	–	47	70,5	20,5	0,85	–	–	–	–
ჯ	–	46		0,89	36	33		1,3	50	81		0,52
ჩ		66		0,6	24	57		0,86	77	108		0,48
ჭ		42,25	–	1,04	33,75	40	–	1,05	57,6	85,75	–	0,77
		37	5	1,83	45	56	15	1,05	–	–	–	–
ყ		54	–		–	50,2	–		49	84	–	
		64,75	21,5		–	–	–		40,5	64	26,5	
		–	–		–	–	–		–	80	–	

**ცხრილი 2.** ხშულ თანხმოვანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (თანამედროვე ქართული ენა. იზოლირებული სიტყვები და მოკლე ფრაზები, მამაკაცის წარმოთქმა)

\*I – ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდე დეციბელებში, T – ჩქამის გრძლივობა მილისეკუნდებში

	#-V			V-V		
	სშვა	ჩქამი	უ.ი.	სშვა	ჩქამი	უ.ი.
ბ	–	16		–	–	
ფ		49		–	–	
პ		–	–	79,5	21,5	–
		19	22,5	70	10	15
ღ	–	18		85	15	
თ		57		–	–	
ტ		–	–	–	–	–
		18	18	84	27,5	18
გ	–	21		70	14	
ქ		59		–	–	
ძ		–	–	71,25	24,5	–
		18,75	28,8	70,5	16,25	19,3
ძ	–	–		–	–	
ც		78		39	74,5	
წ		76	–	–	–	–
		–	–	39	52	–
ჯ	–	70		–	–	
ჩ		78,5		75	139	
ჭ		52	–	54,5	52,75	–
		55	21	–	–	–
ც		58		94	38	
შ		48	–	37,5	86	–
		27	41	33,25	53	18,5

	#-V			V-V		
	სშვა	ჩქამი	უ.ი.	სშვა	ჩქამი	უ.ი.
ბ	–	12		81,25	11,5	
ფ		–		96	83	
პ		–	–	98	13	–
		24	24,5	92	7	5
ღ	–	15		78	14	
თ		–		–	–	
ტ		25	–	–	–	–
		22	18	95	32	10
გ	–	31,5		–	–	
ქ		–		–	–	
ძ		–	–	78	36	–
		29	16	72,5	23,5	24,5
ძ	–	–		–	–	
ც		72		63,5	88	
წ		–	–	66,5	44	–
		75	20	76	71,5	25,5
ჯ	–	69		–	–	
ჩ		110		80	139	
ჭ		–	–	66	46	–
		91	31	–	–	–
ც		–		78	75	
შ		–	–	–	–	–
		60	35,5	76	38	23
				–	62	13

**ცხრილი 3.** სშულ თანხმონანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (ხევსურული დიალექტი. იზოლირებული სიტყვები და მოკლე ფრაზები, მამაკაცის წარმოთქმა)

**ცხრილი 4.** სშულ თანხმონანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (ხევსურული დიალექტი. ლექსი, ქალის წარმოთქმა)

	#-V			V-V		
	ხ.შ.	ჩქამი	უ.ი.	ხ.შ.	ჩქამი	უ.ი.
ბ	–	15		48,5	8	
ფ		52,5		52,25	41,25	
პ		11,75	–	70	7,5	–
		9,5	9	83,25	5,5	13,25
დ	–	17		60	16,75	
თ		53		65	33	
ტ		20	–	64,25	17,25	–
		19	22	64,75	13	14,25
გ	–	28		59	28	
ქ		69,25		47	50	
ძ		–	–	60	28	–
		19	23,7	56,25	30,25	11
ძ	–	51		–	–	
ც		86,75		36,5	87,5	
წ		60	–	41	49	–
		53	25	–	–	–
ჯ	–	50		–	–	
ჩ		77,5		38,5	100	
ჭ		42,5	–	49,5	44,25	–
		54	30	40	70	25
ყ		–	–	40	47	–
		6	37	–	–	–
		–	–	–	71	–

**ცხრილი 5.** ხშულ თანხმოვანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (გურული დიალექტი. მოკლე ფრაზები და იზოლირებული სიტყვები, მამაკაცის წარმოთქმა)

	#-V			V-V		
	ხ.შ.	ჩქამი	უ.ი.	ხ.შ.	ჩქამი	უ.ი.
ბ	–	15		71,25	14	
ფ		63,75		85,5	43,25	
პ		9,5	–	89	10,25	–
		4,75	14,3	75,25	7	15,8
დ	–	13		69	16,75	
თ		68,5		73,25	31	
ტ		18,5	–	89,5	14,75	–
		28	26,3	102,3	14,25	17,5
გ	–	25		61	27	
ქ		71,5		78	52	
ძ		28,5	–	72,75	19	–
		18,5	21	75	15	14
ძ	–	65,25		–	–	
ც		121		56	77,5	
წ		–	–	65,75	49,75	–
		50	20,3	76	40	11
ჯ	–	61		70	62	
ჩ		92,5		65	89,5	
ჭ		43,5	–	76,5	33	–
		36	47	83	31	12
ყ		11	–	54	50	–
		22,5	42	40	33	18,3

**ცხრილი 6.** ხშულ თანხმოვანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (გურული დიალექტი. მოკლე ფრაზები და იზოლირებული სიტყვები, ქალის წარმოთქმა)

	#-V			V-V		
	სშვა	ჩქამი	უ.ი.	სშვა	ჩქამი	უ.ი.
ბ	–	8		57,75	7	
გ		46		70	47,5	
პ		9,25	–	70	6	–
		3	9	–	–	–
დ	–	19,5		51,5	9,5	
თ		45		61,5	38	
		20	–	66	13	–
ტ		19	40	66	12	8
ზ	–	22,25		54	19,5	
ქ		41,5		30	40	
ძ		–	–	52,75	19,25	–
		8,5	9,5	–	–	–
ძ	–	60		–	–	
ც		77		34,25	70,75	
წ		64	–	31	40,25	–
		–	–	–	–	–
ჯ	–	58		–	–	
ჩ		72		44,5	68,5	
ჭ		59,5	–	50	42	–
		–	–	–	–	–
ყ		19	–	–	–	–
		60	26	–	–	–
		–	–	–	62,75	–

**ცხრილი 7.** სშულ თანხმოვანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (კახური დიალექტი. მოკლე ფრაზები, მამაკაცის წარმოთქმა)


	#-V			V-V		
	სშვა	ჩქამი	უ.ი.	სშვა	ჩქამი	უ.ი.
ბ	–	7		58,8	9,75	
გ		–		44,5	66,5	
პ		10	–	55,5	7,5	–
		–	–	78	4	13
დ	–	16,75		65	12,25	
თ		58		65,3	50	–
		–	–	52,5	14	–
ტ		–	–	55,8	15	11
ზ	–	30,5		53	21,5	
ქ		–		56	70	
ძ		22,5	–	55,8	15,75	–
		17,75	17	47	16	22
ძ	–	62		37,5	42	
ც		74		43,8	66	
წ		40	–	44	42,5	–
		31	10	–	–	–
ჯ	–	57,5		–	–	
ჩ		63		35	65	
ჭ		37	–	54	38,5	–
		–	–	64	60	20
ყ		–	–	68	23	–
		30	25	–	–	–
		–	–	–	66,25	–

**ცხრილი 8.** სშულ თანხმოვანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (კახური დიალექტი. მოკლე ფრაზები, ქალის წარმოთქმა)


	ჩქამი	უბგერო ინტერვალი	ჩქამისა და უბგერო ინტერვალის ჯამი (VOT)
თანამედროვე ქართული ენა	17,95	12,8	30,75
კახური დიალექტი	12,95	12,85	25,80
გურული დიალექტი	16,05	16,05	32,10
ხევსურული დიალექტი	21,20	18,60	39,80

**ცხრილი 9.** გლოტალიზებულ (პ,ტ,კ) ხშულ-მსკდომ თანხმოვანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრლივობები #-V და V-V პოზიციებში


**დანართი**



**სურ. 1.** [p'ep'ela] – (თანამედროვე ქართული ენა. ქალი)




სურ. 2. [k'ak'ali] – (თანამედროვე ქართული ენა. ქალი)




სურ. 3. [ts'ax'uli] – (თანამედროვე ქართული ენა. ქალი)







სურ. 4. [q'aq'ac'i] – (თანამედროვე ქართული ენა. მამაკაცი)




სურ. 5. [c'ic'ila] – (თანამედროვე ქართული ენა. მამაკაცი)




სურ. 6. bec'ec'ikureebi – (ხევსურული დიალექტი. ქალი)




სურ. 7. [k'ɔč'uk'ɥɯma] – (ხევსურული დიალექტი. მამაკაცი)




სურ. 8. [k'ap'uet'i] – (გურული დიალექტი. ქალი)



სურ. 9. [q'urq'umala] – (გურული დიალექტი. მამაკაცი)



სურ. 10. k'axetis mic'as – (კახური დიალექტი. ქალი)



სურ. 12. [p'at'ara c'ert'ili] – (კახური დიალექტი. მაშაკაცი)

## ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1999.
- ი. ლეჟავა, დისტანციური დისიმილაციური გამჟღერება სვანურ ენაში „ენათმეცნიერების საკითხები“, 1-2, 2007 თბილისი.
- ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბილისი 1956.
- Catford, J.C., *Fundamental problems in phonetics*, Indiana University Press, Bloomington 1982.
- Kingston, J., *The Phonetics of Athabaskan Tonogenesis*, In S. Hargus & K. Rice (eds.), *Athabaskan Prosody*, John Benjamins Press, 2005.
- Lindau, M.,. *Phonetic differences in glottalic consonants*. *Journal of Phonetics* 12. 147-155, 1984.
- Wright R., Hargus S., Davis K., *On the categorization of ejectives. Data from Witsuwit'e*, *Journal of the International Phonetic Association* 31(2), 43-78 , 2002.
- Chitoran, I., L. Goldstein & D. Byrd , *Gestural overlap and recoverability: Articulatory evidence from Georgian*. In C. Gussenhoven & N. Warner (eds.) *Laboratory Phonology 7*, Mouton de Gruyter, 419-447, Berlin-New York 2002.

*Ivane Lezhava, Luiza Lortkipanidze*

### **Acoustic Analysis of Ejectives in Standard Georgian and Georgian Dialects**

#### Summary

The Feature of Glottalization is an important characteristic of the phonemic systems of Kartvelian Languages. This feature is the common characteristic of the languages of Caucasian linguistic area. Ejectives have complex articulation – they are characterized with the glottal closure or constriction, rapid upward rise of the larynx, articulator tension, high intraoral pressure and instant release.

The acoustic study of ejectives includes the following parameters: 1.oral closure duration, 2. intensity and duration of release, 3. voice onset time (VOT) after the oral release, 4. power of the release noise, 5. post-release silent interval duration, 6. pitch, rise time and voice quality of the following vowel.

Барух Подольский

## УДАРЕНИЕ В ИВРИТЕ

Традиционная грамматика иврита уделяет проблеме ударения минимум внимания: утверждается, что обычно ударение падает на последний слог, и лишь в, так называемых, сеголатных именах ударным является предпоследний слог. В действительности даже в древнем иврите, описанием которого занимается традиционная грамматика, ситуация была сложнее.

В современном разговорном иврите проблема ударения требует внимательного рассмотрения.

Прежде всего примем за основу, что в большинстве собственно ивритских слов ударение действительно падает на последний слог, и будем разбирать исключения из этого правила.

Очень большая и важная группа слов имеет ударение на предпоследнем слоге: это слова, в которых последним согласным является гортанный (айн, хет или хэй) и под ним огласовка патах (так называемый, *патах гнува*, или вкрадчивый патах). Этот гласный является вспомогательным, то есть, гласный *а* не принадлежит к мишкалю (формуле) слова: *рУах*"дух, душа" (тот же мишкаль, что *шук*); *кОах* "сила" (= *цол*); *шомЕа* (= *шомер*) "защита"; *һихрИах* (= *һихнис*) "вынудил". При словоизменении (напр. образовании мн. числа, спряжении глагола) вспомогательный гласный выпадает, и в отношении ударения такое слово ведет себя как обычное слово. Это правило относится ко всем категориям слов.

Для удобства рассмотрения всех прочих случаев разделим проблему на две части: 1. ударение в глаголе и 2. ударение во всех прочих частях речи.

Начнем с первой части.

### 1. ГЛАГОЛ

Здесь рассматриваются все формы глагольной системы не только современного, но и классического иврита.

1.1. Обычно ударение в основных формах ивритского глагола падает на последний слог: *катАв* "(он) написал", *лихтОв* "писать", *йихтОв* "(он) напишет".

В прошедшем времени окончания 1-го и 2-го лица единственного числа и 1-го лица мн. числа безударны: *катАвти* "(я) написал", *катАвта* "(ты) написал", *катАвну* "(мы) написали".

Во 2-ом лице мн. числа (вы) в литературном языке ударение падает на окончание, и гласный первого слога в первой породе (биньяне *па`аль*) выпадает (*ктавтЭм*"(вы –м.род) написали", *ктавтЭн* "(вы –ж.род) написали". В разговорном иврите окончание безударно и гласный не выпадает:

*катАвтэм*"(вы –м.род) написали", *катАвтэн*"(вы –ж.род) написали". Это фактически единственное регулярное отличие глагола современного разговорного иврита от классической нормы (речь идет об ударении, а не об употребительности и неупотребительности тех или иных форм).

Окончание 3-го лица ед. числа ж. рода и 3-го л. мн. числа несут ударение: *катвА* "написала", *катвУ* "(они) написали".

В формах будущего времени 3 л. мн. числа ж. рода и повелительного наклонения мн.числа ж. рода окончание *-на* безударное: *тихтОвна* "они (ж. род) напишут", *ктОвна* "напишете".

В форме ж. рода ед.числа настоящего времени с окончанием *-Эзэт* (где 3 обозначает третий согласный корня) или *-АЗат* (если третий корневой согласный один из гортанных – айн, хет или һэй), ударение на предпоследнем слоге: *котЭвет* "(она) пишет", *медабЕрет* (я – ж. род) говорю", *шомАат* " (я – ж. род) слышу", *месамАхат* "радует", однако *кона* "она покупает", *махнисА* "(я – ж. род) кладу".

1.2. В литературном языке в формах с местоименными суффиксами ударение, как правило, передвигается на один слог вперед: *ра'Ити* "я видел" – *рэ'итИха* "я видел тебя", *ра'Ину* "мы видели" – *рэ'инУм* "мы видели их"; *һараг* "он убил" – *һарагАни* "он убил меня".

Однако: *һаргА* "она убила" – *һарагАтни* "она убила меня"; *һаргУ* – *һарагУни* "они убили меня" – ударение не передвигается.

1.3. В так называемых паузальных формах, употреблявшихся в древнем иврите в конце фразы и встречающихся сегодня в оборотах речи, в третьем лице (она, они) сохраняется древнейшая форма с ударением на предпоследнем слоге: *шамАра* "она хранила", *шамАру* "они хранили"; *шаним авАру* "прошлые годы", *һа-зор`им бе-дим`а бе-рина йиқцОру* (вместо обычной формы *йиқцерУ*) "сеющие со слезами с песней будут пожинать плоды".

1.4 Биньян *һифъиль*.

1.4.1. В этом биньяне в формах прошедшего и будущего времен ударение всегда на последнем слоге основы, т.е. перед окончанием: *һихнИс* "положил", *һихнИса* "положила", *һихнИсу* "положили", *һихнАсти* "я положил"; *ахнИс* "положу", *тахнИси* "ты (ж.род) положишь", *яхнИсу* "положат". Повелительное наклонение: *һахнЕс* "(ты–м.род) положи!", *һахнИси* "ты (ж.род) положи!", *һахнИсу* "положите!", *һахнЕсна* "вы (ж.род) положите!" (архаичная форма).

1.4.2. В формах с местоименными суффиксами происходит тот же сдвиг ударения, что и в 1.2. *һахнИси* – *һахнисИни* "положи меня", *һиргИа`* – *һирги`Ани* "он меня успокоил".

1.4.3. В архаичных формах будущего времени с добавленным окончанием *-н* тоже происходит сдвиг ударения: *тосИфу* – *тосифУн* "вы добавьте".

1.5. Гизрат айн-вав/йуд.

1.5.1. В этой разновидности корня, где средним согласным корня считается слабый согласный вав или йуд, ударение в биньяне каль (= *па`аль*) как

правило падает на основу: *раца* "она бежала", *рацу* "они бежали" (в отличие от *раца* "он хотел", *рацу* "они хотели").

В форме ж. рода ед.числа. настоящего времени литературная норма требует ударения на окончание (*хи раца* "она бежит", чтобы отличить от прошедшего времени), однако в разговорном языке произносится *раца*.

В формах мн. числа ударение падает на окончание: *рацим* "бежим", *рацот*"они (ж.род) бегут".

В повелительном наклонении ударение – на основе: *рУц* "беги! (м.род)", *рУци*"беги! (ж.род)", *рУцу*"бегите! ", *роца* "убегут".

В разговорном языке повелительное наклонение от глагола *халах* вместо правильной формы *лехИ* "уйди! (ж.род)", *лехУ* "уйдите!" часто произносится *лЕхи*, *лЕху*, наподобие *рУци*, *рУцу*.

В остальных биньянах действуют правила, приведенные выше.

## 2. ПРОЧИЕ ЧАСТИ РЕЧИ

2.1. Так называемые **сеголатные** имена, т.е. имена, в древности оканчивавшиеся на двух согласных, между которыми вставлялся – для облегчения произношения – вспомогательный гласный. Как правило, это был гласный Э, обозначавшийся в огласованном письме значком **сегол**, откуда и название **сеголатные**, напр. *бЕгед* בָּגָד, *сЕфер* סֵפֶר, *хОдеш* הוֹדֵשׁ. В производных формах вспомогательный гласный выпадает: *бигди* בְּגָדִי "моя одежда", *сифро* סִפְרוֹ "его книга", *ходши* הוֹדְשִׁי "месячный".

Если последняя или предпоследняя фонема корня **гортанная**, то вспомогательный гласный не Э, а А: *на`ар* נֹאֵר, *но`ар* נוֹאֵר, *гОвах* גּוֹבַח, *мЕлах* מְלַח.

Если же последняя или предпоследняя фонема корня **йуд**, то вспомогательным гласным будет И: *бАйит* בַּיִתוֹ (*бейто* "его дом"), *бЕхи* בְּחֵי (*бихйо* בְּחֵיו "его плач").

К этой группе относятся также слова с окончанием двойственного числа *-айим* (исторически *-айм* – с вспомогательным *и*): *ше`атАйим* שְׁעֵתַיִם "два часа", *йомАйим* יוֹמַיִם "два дня", *матАйим* מֵאָתַיִם "двести", а также слова, в которых это окончание обозначает не двойственное, а множественное число: *йадАйим* יָדַיִם "руки", *раглайим* רַגְלָיִם "ноги", *шинАйим* שֵׁנַיִם "зубы". Здесь же следует упомянуть слова, не имеющие единственного числа (*шамАйим* שָׁמַיִם "небо", *мАйим* מַיִם "вода"), и географические названия: *йерушалАйим* יְרוּשָׁלַיִם Иерусалим, *маханАйим* מַחֲנַיִם Маханайим, *гив`атАйим* גִּבְעַתַיִם Гиватаим.

2.2. Тем не менее, эти правила не объясняют место и, главное, характер поведения ударения в целом ряде слов. В одних словах ударение при присоединении суффикса перемещается на него, в других остается на месте.

Такое кажущееся нерегулярным поведение можно объяснить следующим образом:



В современном иврите имеются два типа ударения – **тяжёлое** и **лёгкое**. Различие между ними заключается не в какой-то особенности произношения, а лишь в их поведении. **Лёгкое ударение** характеризуется подвижностью. Это значит, что при присоединении к слову с лёгким ударением какого-либо суффикса ударение переходит на этот суффикс. Лёгкое ударение характерно для большинства собственно ивритских слов.

**Тяжёлым ударением** мы обозначаем ударение, стремящееся остаться на том же слоге в слове.

Проблема заключается в том, что и в суффиксах тоже имеются эти два типа ударения – лёгкое и тяжёлое. Некоторые суффиксы обязательно перетягивают на себя ударение, тогда как другие **могут** это сделать, только если в основе слова имеется лёгкое ударение.

Есть еще третий тип суффиксов: такие, которые обязательно требуют постановки ударения на предшествующий слог.

Обозначим лёгкое ударение большой буквой, тяжёлое – большой подчёркнутой буквой. Лёгкое ударение, падающее на последний слог, оставим без обозначения, считая это самым обычным типом.

Во всех приведенных выше словах мы имеем легкое ударение. Присоединяя суффиксы и окончания, получаем:

*кОах* – *кохот* – *кохотав* כוח – כוחות – כוחותיו "сила – силы – его сила" – ударение на окончании перетягивает легкое ударение с основы на себя.

Но вот как ведут себя слова с тяжёлым ударением:

*концЕрт* – *концЕртим* קונצרט – קונצרטים – ударение осталось на прежнем месте.

Тяжелое ударение характерно в первую очередь для новых заимствований, но встречается также в сложносокращенных словах, типа *манкАл* – *манкАлим* מנכ"ל – מנכ"לים "генеральный директор", а также в некоторых старых словах: *йерушАлми* – *йерушАлмийим* – *йерушАлмийот* ירושלים – ירושלים – ירושלים – ירושלים "иерусалимский – иерусалимские (м.род) – иерусалимские (ж. род)".

Очевидно, что, как упоминалось выше, когда к слову с лёгким ударением присоединяется окончание тоже с лёгким ударением, победу одерживает окончание. Когда же к слову с тяжёлым ударением присоединяется окончание с лёгким ударением, ударение остается на основе слова.

Рассмотрим теперь, как ведут себя суффиксы и окончания с тяжёлым ударением.

*милльОн* – *милльОним* – *милльонО* – *милльонЭй* "миллион – миллионы – его миллион – миллионы (смихут)".

*тАктика* – *тАктикот* "тактика – тактики" (ед. и мн. число).

*гЕто* – *гЕтаОт* "гетто" (ед. и мн. число).

*унивЕрсита* – *университаОт* "университет – университеты" (ед. и мн. число).

Очевидно, суффиксы мн. числа *-им*, *-от* несут лёгкое ударение, тогда как на суффикс *-аОт* падает тяжёлое ударение. При этом, тяжёлое ударение

окончания одерживает победу над тяжёлым ударением основы. Тяжёлым ударением также характеризуются местоименные суффиксы (*милльионQ* "его миллион") и суффикс формы нисмах (первое слово в смихуте) мн. числа -*Эй* (*милльионЭй*).

В абстрактной форме можно представить поведение ударения в производных формах (с окончанием) следующим образом:

Л + Л = ударение на окончании,  
Л + Т = ударение на окончании,  
Т + Т = ударение на окончании,  
Т + Л = ударение на основе,  
где Л – лёгкое, а Т – тяжёлое ударение.

**Иными словами, при наличии в слове двух однородных ударений побеждает ударение на последнем слоге; при наличии разнородных ударений побеждает тяжёлое.**

Имеется очень небольшое число слов, не подчиняющихся этому правилу. В нескольких словах с тяжёлым ударением на втором или третьем слоге от конца, при присоединении окончания оно сдвигается на последний слог основы и оказывается перед окончанием: *Отобус* – *отобУсим*, *тЕлефон* – *телефОним*, *Амбуланс* – *амбуЛансим*, *профЕсор* – *професОрим*, *дОлар* – *долАрим*.

Однако ситуация с местоименными суффиксами не столь проста.

Суффиксы 1-го лица ед. числа (мой, мои) -*И*, -*Ай* всегда несут тяжёлое ударение.

Суффикс -*ни*, присоединяемый к глаголу и к некоторым частицам, требует постановки ударения на предыдущем слоге: *симахтА-ни* "ты меня обрадовал", *одЭни* "я еще", *харЭни*, *харЭйни* "вот я". (Поскольку поведение глаголов в сочетании с местоименными суффиксами разбирается в первой части статьи, остальные случаи здесь не рассматриваются.)

Суффиксы 2-го лица м. р. ед. числа (твой, твои) -*хА*, -*Эха*: *бинхА* "твой сын", *банЭха* "твои сыновья".

Суффиксы 2-го лица ж. р. ед. числа (твой, твои) -*х*, -*Эх*, -*Айих*: *битэх* "твоя дочь", *бнотАйих* "твои дочери".

Суффиксы 3-го лица м. р. ед. числа (его) -*О*, -*Эну*, -*Ав*: *бейтО* "его дом", *садЭну* "его поле", *сфарАв* "его книги".

Суффиксы 3-го лица ж. р. ед. числа (её) -*А*, -*Эна*: *рошА* "её голова", *банЭна* "её сыновья".

Суффиксы 1-го лица мн.ч. (наш, наши) -*Э(й)ну*: *ирЭ(й)ну* "наш город", *йеладЭйну* "наши дети". (Со словами во мн. числе суффикс звучит как правило -*Эйну*; со словами в единственном числе возможно произношение как -*Эну*, так и -*Эйну*.)

Суффиксы 2-го лица м. р. мн. числа -*хЕм*, -*эйхЕм*: *диратхЕм* "ваша квартира", *диротэйхЕм* "ваши квартиры".

Суффиксы 2-го лица ж. р. мн. числа *-хЕн, -эйхЕн: диратхЕн* "ваша квартира", *диротэйхЕн* "ваши квартиры".

Суффиксы 3-го лица м. р. мн. числа (их) *-Ам, -эйhЭм: бейтАм* "их дом", *батэйhЭм* "их дома".

Суффиксы 3-го лица ж. р. мн. числа (их) *-Ан, -эйhЭн: бейтАн* "их дом", *батэйhЭн* "их дома".

Имеются четыре существительных, которые получают в ед.числе (перед местоименным суффиксом ударную гласную *-И:* *ав: авИха* "твой отец", *авИну* "наш отец"; *ах: ахИха* "твой брат"; *хам: хамИна* "её свекор"; *пе: пИха* "твой рот".

Ряд суффиксов требует обязательной постановки ударения на предшествующий этому суффиксу слог:

Суффикс наречия, указывающего направление, напр. *цафОна* "на север, к северу", *дарОма* "на юг, к югу", *haИра* "в город, в центр города", *habАйта* "домой"; сюда же следует отнести наречия *мАла* לָעַמּ "вверх", *мАта* מִמָּעַל "вниз".

Словообразовательные суффиксы *-ник, -чик: кибуУцник* "кибуцанин", *кибуУцниким* кибуцане (м.род) ", *кибуУцникит* "кибуцанка", *кибуУцникийот* "кибуцанки" ; *бахУрчик* "парень", *бахУрчиким* "парни".

Ласкательный суффикс *-и*, присоединяемый к личным именам: *дАни, хЕзи, шлОми, барУхи, мИри, Эсти, шИри*.

Особо следует отметить прилагательные и существительные, образованные от названий стран (реже – религий) и обозначающие национальность или религиозную принадлежность.

Если такое слово м.рода в своей основной форме ед.числа имеет ударение на конце (*йехуди, руси, полани, хунгари*), то оно ведет себя как слово с лёгким ударением (*йехудим, русим, поланим, хунгарим*, когда оно обозначает людей; *йехудийим, русийим, поланийим, хунгарийим*, когда относится к объектам). При этом, слова, относящиеся к людям, имеют в ед. числе окончание ж. рода *-я (йехудия, русия, полания, хунгария)*, а относящиеся к объектам – окончание *-т (йехудит, русит, поланит, хунгарит)*.

Если же такое слово имеет ударение на основе (*сИни, япАни, чЕхи*), то это слово с тяжёлым ударением. Соответственно формы ж. рода и мн. числа будут *сИнит, япАнит, чЕхит; сИним – сИнийим, япАним – япАнийим, чЕхим – чЕхийим; сИнийот, япАнийот, чЕхийот*. Форма ж. рода с окончанием на *-т* относится как к объектам, так и к людям.

В нескольких словах произошла семантическая дифференциация при помощи ударения: *гермАни* "германский" (группа языков) – *германИ* "немецкий", *ромАни* "романский" – *романИ* "румынский".

Ударение в именах собственных заслуживает особого рассмотрения.

В ряде имен ударение на начальном или предпоследнем слоге отличает имя собственное от нарицательного: *хАим – хайм* "жизнь", *сАра – сара* "женщина-министр".

То же относится к ряду фамилий: *кОхэн* , *лЕви* в отличие от нарицательных имен *кохэн* " жрец ", *леви* "духовное лицо"; *полАни* в отличие от *полани* "польский, поляк".

Очень часто имя собственное с конечным ударением носит более официальный характер, тогда как неконечное ударение подчеркивает неформальный, дружеский характер: *Давид Бен-Гурион*, *Моше рабЕйну* – в отличие от *дАвид*, *мОше*, *мОйше*. Это напоминает такие взаимоотношения имен в русском языке, как Николай – Коля, Надежда – Надя.

В ряде слов, вернувшихся в иврит из языка идиш, ударение стоит на предпоследнем слоге: *бекИцур*, *бекИцер* "короче", *тАхлес* "прок; по делу".

Особо следует отметить слово *лАйла* לילה "ночь", которое в смихуте имеет форму *лейл* לַיַל , а во множ. числе *лейлот* לַיָּלִים.

Некоторые слова, характерные преимущественно для речи детей, имеют тяжёлое ударение, обычно со сдвигом на один слог к началу, тогда как в речи взрослых они имеют обычное легкое ударение: *буба* – *бУба* "кукла", *глида* – *гЛИда* "мороженое". Взрослые наклеивают на письмо *булим* "марки", дети собирают *бУлим*. Слово *каш* "солома" в значении "соломка для питья" звучит *кАш*, мн.число – *кАшш*.

*Baruch Podolsky*

## The Stress System of Modern Spoken Hebrew

### Summary

The traditional stress system of Hebrew is rather simple: stress tends to fall on the last syllable of the word, with the exception of certain groups of words where it is penultimate. This system of Classical Hebrew (CH) is usually thought to be found in Modern Hebrew (MH) as well.

Actually the system of stress in MH is different. Stress may fall not only on the last two syllables, it can be antepenultimate, e.g. *télefon*, *ámbulans*, and even antepenultimate: *kibúcnikiyot* "female members of kibbutz" or *yecirot kámeriyot* "compositions of chamber music".

What is even more interesting is the behaviour of stress not in the vocabulary form, but in the paradigm of the word. Why, e.g. the plural of *gan* "garden" is *ganím* and of *gen* "gene" is *génim*? Or why the word *milyón* "million" has *milyónim* in plural but *milyonéy* in pl. construct?

We have to acknowledge the existence of two types of stress in MH: light and heavy. Both types are found not only in words but also in morphemes. The difference between the two types can be explained as follows: the light stress

moves rightwards to any suffix which can bear stress. For example, the suffix *-a* indicating direction is never stressed, hence *ha-ír* "the city" – *ha-íra* "to the city". The heavy stress, on the other hand, can be moved only if the suffix also has heavy stress. Thus, *ganán* "gardener", pl. *ganán+ím* = *gananím* (acute denotes light stress). But *milyôn* (circumflex denotes heavy stress), pl. *milyôn+ím* = *milyôním*, but *milyôn+êy* = *milyonêy*, *milyôn+ô* = *milyonô* "his million".

The so called segolate nouns, as well as adjectives and participles, are stressed on the penultimate, but the stress is light, hence *yéled* – *yeladím*. Among suffixes denoting plural the most common *-ím*, *-ót* have light stress but *-aôt* has heavy stress, therefore *gêto* – *getaôt*, *univêrsita* – *universitaôt*. There are very few, about a dozen exceptions, like *dôlar* – *dolârim*, *têlefon* – *telefôním*.

There are a few interesting phenomena related to stress: in personal names the final stress characterizes a formal, official form of the name, and the penultimate is used in a friendly form, e.g. *David Ben Gurión*, but *Dávid*. In a few names homonymous with common nouns the latter have final stress and the names have penultimate stress: *sará* "woman minister" – *Sára*, *xáim* "life" – *Xáim*.

In ethnonyms with final light stress there are two forms of feminine: *anglí* – *angliyá* "English woman" – *anglít* fem. adjective.

Those ethnonyms which have a non-final heavy stress have only one feminine form: *sîni* "Chinese" – *sînit*. There are about half a dozen exceptions, like *litái* "Lithuanian" – *litáit*.

Another interesting phenomenon is semantic differentiation *germâni* "Germanic" *germaní* "German", *români* "Romance" – *romaní* "Rumanian".

**თურქულ ანთროპონიმთა ქართულში დამკვიდრების  
ფონეტიკურ-ფონოლოგიური კანონზომიერებანი**

ქართველურ ანთროპონიმოკონში გამოვლენილი თურქული წარმომავლობის 400-მდე საკუთარი სახელი შეადგენს ანატოლიელ თურქებთან (სელჩუკებსა და ოსმალებთან), აზერბაიჯანელებთან, ყუმუხებთან, ბალყარებთან, ყარაჩაელებთან სხვადასხვა სახის კონტაქტების შედეგად დამკვიდრებულ ონიმებს. საისტორიო წყაროების ანალიზიდან გამომდინარე, ოსმალებისა და ქართველების ურთიერთობა უპირატესად საომარი იყო, თუმცა ვითარება თურქულენოვან სამყაროსთან ოდენ ბრძოლებით არ განისაზღვრებოდა და ეკონომიკურ-კულტურულ სფეროსაც მოიცავდა.

თურქული ეთნოსებისა და ქართველთა ურთიერთობის ენობრივი ჭრილი საჭიროებს ნასესხობათა დამკვიდრების დროისა და, შეძლებისდაგვარად, გზების დადგენას, რადგან თურქიზმები არც ერთბაშად შეთვისებულა და მხოლოდ ერთი გზითაც არ შემოსულა. ნასესხებ ლექსემათა ეტაპური შესწავლა, არეალურ საფუძველზე წარმოჩენილი ვარიანტების განხილვა გართულებულია იმითაც, რომ თურქულ ენათა ოჯახში შემავალი 40-მდე ენის ერთეულები სხვა ენაში შესვლისას თითქმის ერთნაირ რეფლექსებს იძლევა. ეს გარემოება აძნელებს წყაროების დადგენას. ამ დროს ძირითად კრიტერიუმად რჩება ტერიტორიული სიახლოვე და ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობები.

რუსული турецкий-тюркский, ინგლისური Turkish-Turkic ქართულში (და არა მხოლოდ ქართულში, მაგ., გერმანულში და თვით თურქულშიც) არ სხვადება. ამიტომ როდესაც ვმსჯელობთ ამა თუ იმ თურქული წარმომავლობის მოვლენაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი მხოლოდ ანატოლიური თურქულის ფარდი არ არის.

თურქული ენის ისტორიკოსები ანატოლიური თურქულის განვითარების შემდეგ ეტაპებს ასახელებენ: *სელჯუკთა ენას* ოღუზური ელემენტების დომინანტით XI-XIII საუკუნეებში; *ძველ ოსმალურს* XIII-XV საუკუნეებში, რომელიც სელჯუკთა ეპოქის თურქულსაც შეიცავს. ამ ენას *ძველ ანატოლიურ თურქულსაც* უწოდებენ. ძველ ოსმალურში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, არაბულ-სპარსული სიტყვების რაოდენობა უმნიშვნელო იყო, XVI საუკუნის შემდეგ კი ეს რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. XVI-XIX საუკუნეების შუა წლებში არაბიზმებითა და სპარსიზმებით გაჯერებულ ენას – კლასიკურ ოსმალურს – *დივანის* (ანბანზე განლაგებული რითმების შემცველი ლექსების კრებული) *ენასაც* უწოდებენ. იგი ხდება სამწერლობო და სამეფო კარის ენა და ძლიერ შორდება სასაუბრო ენას. *ახალი ოსმალური ენა* ფუნქციონობდა XIX საუკუნის შუა წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. იგი თანზიმათის (ეპოქა, რომელიც 1839 წლის პოლიტიკური რეფორმების გატარებასთანაა დაკავშირე-

ბული) შემდეგ წარმოქმნილი განახლებული ლიტერატურის ენაა. თანზიმთელები ცდილობდნენ ენის გაწმენდას, ხალხური ენისაკენ მიბრუნებას. განვითარების ბოლო ეტაპზეა *თანამედროვე თურქული ენა*. ქართველთა ანთროპონიმიში ანატოლიური თურქულიდან შეთვისებულ სახელთა დამკვიდრება ოსმალურ პერიოდს უკავშირდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნასესხობებმა შემოაღწიეს თურქულ ენათა ოჯახის ოლუზურსა (სელჯუკური, ოსმალური, აზერბაიჯანული) და ყვიჩალურ (ყვიჩალური, ყარაჩაულ-ბალყარული, ყუმუხური, ნოლაური) ჯგუფებში შემავალ ენათაგან.

სესხებისათვის ანთროპონიმა ყოველთვის ღია იყო და ამიტომაც ყველა ენაში ეროვნული საკუთარი სახელების გვერდით აღმოჩნდა უცხოური საკუთარი სახელები, რომელთა კვლევისას აუცილებელია ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინება.

უცხოურ ლექსიკურ ერთეულებს ფონემატურსა და გრამატიკულ ინვენტართან შედარებით ენა ადვილად ითავისებს და აძლევს საკუთარ ფონეტიკურ ჟღერადობას. ქართველის პირის სახელად თუ გვარსახელის ფუძედ დადასტურდა თურქული წარმომავლობის არა მხოლოდ ანთროპონიმი, არამედ მრავალნაირი სიტყვაფორმა. ამით კარგი მასალა წარმოჩნდა სესხებისას თურქული და ქართული ენების ბგერითი სისტემების შესადარებლად. ნასესხობათა მიხედვით თურქულის ბგერითი სისტემის გადმოცემას ქართულში მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა (ჯიქია 1954:199-206; ჯანგიძე 1965: 264-265; ბელთაძე 1967: 150-153; აბულაძე 1968:25-36 და სხვ.).

წინამდებარე წერილში განვიხილავთ ქართველურ ანთროპონიმიში დადასტურებულ თურქული წარმომავლობის საკუთარ სახელთა დამკვიდრების თანმხლებ ფონეტიკურ-ფონოლოგიურ კანონზომიერებებს. თუმცა ბგერათა შესატყვისობების საკითხი უპირატესად ანთროპონიმთა მაგალითზეა ილუსტრირებული.

### **ა) ხმოვანთა გადმოცემა**

უკანარიგისმიერი ფართო არაბაგისმიერი /a/ ხმოვანი ყველა პოზიციაში გადმოცემულია /ა/-თი: /altun/ > ალთუნა, /balta/ > ბალთა, /aslan/ > ასლანი.

წინარიგისმიერ ფართო არაბაგისმიერ /e/-ს შეესაბამება ანალოგი /ე/ ხმოვანი ქართულში: /elgüñü/ > ელგუჯა, /beg/ > ბეგა, /dilençi/ > დილენჯი.

აზერბაიჯანულისა და ანატოლიური თურქულის დიალექტებისათვის დამახასიათებელ წინარიგისმიერ ფართო არაბაგისმიერ /ə/-ს ქართულში /ა/ ბგერა მიესადაგა: /gözəl/ > გოზალა.

წინარიგისმიერ ვიწრო არაბაგისმიერ /i/ ხმოვანს ქართულში ეფარდება /ი/: /deniz/ > დენიზა, /geldi/ > გელდია.

უკანარიგისმიერი ვიწრო არაბაგისმიერი /y/ ხმოვანიც /ი/-ს გვაძლევს: /q'yzyl/ > ყიზილა. გვაქვს შემთხვევები, სადაც /y/ ქართულში /უ/ ხმოვნად გადმოვიდა: /q'ylyçbe/ > ყულუჩბე.

უკანარიგისმიერი ფართო ბაგისმიერი /o/ და ქართული ვოკალიზმისათვის უცხო წინარიგისმიერი ფართო ბაგისმიერი /ö/ გადმოიცემა /ო/ ხმოვნით: /oylan/

> ოღლანი, /kōroylu/ > ქოროლი. ამ უკანასკნელს ზოგჯერ ქართული /ე/ შეესაბამება: /kōrgözlü/ > ქერქეზლი. უკანარიგისმიერი ვიწრო ბაგისმიერი /u/ და წინარიგისმიერი /ü/, რომლის შესატყვისი ქართულში არ მოიპოვება, გადმოიცემა /უ/ ხმოვნით: /uzun/ > უზუნა, /küncük/ > ქუნჯიკი.

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, თურქული ენების ცხრა ხმოვანი (a, ə, e, i, ı, o, ö, u, ü) ქართულში გადმოიცემა ხუთი ხმოვნით (ა, ე, ი, ო, უ). ქართულის ხმოვნებით ვერ ხერხდება თურქული ვოკალური სისტემის ადეკვატური გადმოცემა: თურქული ხმოვნებისათვის ფონოლოგიურად რელევანტური დაპირისპირება – წინარიგისმიერი-უკანარიგისმიერი – ქართულში არ იდენტიფიცირდება და ორ სხვადასხვა თურქულ ხმოვანს ეფარდება ერთი ქართული ხმოვანი: თურქ. /a/, /ə/ > ქართ. /ა/, თურქ. /i/, /y/ > ქართ. /ი/, თურქ. /u/, /ü/ > ქართ. /უ/, თურქ. /o/, /ö/ > ქართ. /ო/.

რიგ შემთხვევებში თურქული ხმოვნის რიგისმიერობის დადგენა შეიძლება უშუალო მეზობელი გუტურალების საშუალებით, რომელთაგან /qʰ/, /ç/ უკანარიგისმიერ ხმოვნებთან გვხვდება, ხოლო /k/, /g/ – წინარიგისმიერებთან (Рясянен 1955: 129). ასე, მაგალითად, anakız ანთროპონიმიული /qʰ/ ფონემა ქართულში გადმოვიდა /ყ/-ად (ანაყიზ), რითაც აშკარა ხდება წყაროენაში ამ თანხმოვნის გარემოცვის ხმოვანთა უკანარიგისმიერობა. თუმცა ყოველთვის მხოლოდ თანხმოვნების საშუალებით ხმოვანთა რიგისმიერობაზე დაკვირვება არ ხერხდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხმოვანთა პალატალური ჰარმონია (ხმოვანთა მიმსგავსება რიგისმიერობის მიხედვით) უმეტესად დაცულია მარტივ ფუძეებში: /qʰardaş/ > ყარდაშ, /tilki/ > თილქი, /demir/ > დემირ და სხვ. კომპოზიტებში კი ირლვევა: /atabeg/ > ათაბეგ, /žanbeg/ > ჯანბეგ. ლაბიალური ჰარმონია დაცულია მარტივ სიტყვებში: დონგუზა < /donuz/, თოლღურ < /toyrul/, ხოლო აფიქსაციის შემთხვევებსა და თხზულ სახელებში არ არის გატარებული: /durmuşan/ > ღურმიშან, /ajdolmuş/ > აიდოლმიშ, (qʰačukʰ) > ყაჩუხა და სხვ.

### ბ) თანხმოვანთა გადმოცემა

/h/ თანხმოვანი თურქული წარმომავლობის ანთროპონიმებში არ გვხვდება. თხზულ სახელებში, რომელთა პირველი კომპონენტები არათურქულია, h თურქულშივე იკარგება: /alla(h)verdi/ > ალავერდა, /ša(h)verdi/ > შავერდი, /ša(h)qʰulu/ > შაყულა.

ველარული ყრუ სპირანტი /x/ საკუთრივ თურქულ სიტყვათაგან მხოლოდ სამ შემთხვევაში გვხვდება: /xan/, /xaqʰan/, /xazar/. ამ თანხმოვნის შემცველი დანარჩენი ლექსემები არაბულ-სპარსულია. /x/ ხშირად გამოდის {K} არქიფონემის ალოფონად: /qʰorxmaz/ > ყორხმაზა, /xutlubeg/ > ხუთლუბეგ და სხვ.

ველარული მჟღერი სპირანტი /ç/, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო თურქულში აღარ გვხვდება, ქართულ შესატყვისებში ყველგან ფუნქციონობს /ღ/ თანხმოვნის სახით: ოღლი < /oçylu/, ალადაღ < /aladağ/ და სხვ.



არქიფონემა {K} ოსმალურ ენაში გვხვდება /g/, /ɣ/, /x/, /qʰ/, /k/ და /kʰ/ ალოფონების სახით. ანთროპონიმებში დადასტურდა ამ ფონემის ქართველურ კონსონანტურ სისტემაში რეალიზებული ყველა ალოფონი:

{K} > /g/: /gapaɕy/ > გაფაჩი; ეს სიტყვა აზერბაიჯანულიდან არის შემოსული, სადაც მოხდა /k/-ს გამჟღერება:

{K} > /ɣ/: /solay/ > სოლადა;

{K} > /x/: xutlubeg/ > ხუთლუბეგ;

{K} > /qʰ/: /qʰorxmaz/ > ყორხმაზ;

{K} > /k/: /küçük/ > ქუჩუკა, /kökü/ > ქოქია, /kürkü/ > ქურქია;

{K} > /kʰ/: /kʰaɕuk/ > კაჩუხა, /kʰosun/ > კოსუნ .

თურქულის ანლაუტისეული {K} ქართულში დამკვიდრებულ საკუთარ სახელებში უპირატესად /ɣ / თანხმონად არის დაფიქსირებული: ყარა < /qʰara/, ყუთლუ < /qʰutlu/. თურქ. /k/ > ქართ. /qʰ/ დადასტურებულია ქართულად ტრანსკრიბირებულ თურქულ ტექსტებსა (ჯიქია 1954:202-203; აბულაძე 1968:36) და ქართულის დიალექტებში (მაგ., აჭარულში, გურულში და სხვ.) (Гуренидзе 1968:6,18).

სახელში ჩომაყა < /çomaqʰ/ {K} > /qʰ/ აუსლაუტშიც: მამუკა ჩომაყასძე, თევდორე ჩომაყასძე (გვდ 1941:190).

უკანაენისმიერი მჟღერი ხშული /g/ ~ /g/: გელდია < /geldi/; გ თანხმონად წინარიგისმიერ ხმონთანა მეზობლობაში პალატალიზდება და დახურული მარცვლის ბოლოს იძლევა /j/-ს. მაგ.: /beɟ/ > ბეგი თურქულში დღეს წარმოითქმის ასე: /bej/, ხოლო ქართულში იგივე სიტყვა დამკვიდრებულია ძველი ფორმით – ბეგი (ჯიქია 1960:4).

თურქულ ენათათვის დამახასიათებელი უკანაენისმიერი ხშული ნაზალი /ŋ/ თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენას აღარ შემორჩა (ჯანგიძე 1965: 264). ანთროპონიმების მაგალითზე ეს ბგერა უკანარიგისმიერ ხმონებთან მეზობლობაში იძლევა /nɣ/ კომპლექსს: /tanɣry/ > თანღრია, sanɣur/ > სანღურ. წინარიგისმიერი ხმონების გარემოცვაში /ŋ/ > /ng/: /tengiz/ > თენგიზ. ზოგიერთ მაგალითში /ŋ/ მარტივი სახით არის წარმოდგენილი. /ŋ/ > /ɣ/: /taɣry/ > თაღრი, /saɣyr/ > საღირ; /ŋ/ > /n/: /deniz/ > დენიზა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ /doŋuz/ სიტყვისეული /ŋ/-ს 7(!) რეფლექსი დადასტურებულია რვა ქართული გვარის ფუძეში:

/ŋ/ > /ng/: დონგუზაშვილი;

/ŋ/ > /nɣ/: დონღუზაშვილი, დონღუზია;

/ŋ/ > /n/: დონუზაშვილი;

/ŋ/ > /g/: დოგუზაშვილი;

/ŋ/ > /ɣ/: დოღუზაშვილი;

/ŋ/ > /m/: დომუზაშვილი (თანამედროვე სალიტერატურო თურქულისეულია domuz 'ღორი');

/ŋ/ > /m/ > /vm/: დომმუზაშვილი (მღრ. /m/ > /vm/: თომა//თოგმა და სხვ.

ეს მონაცემი მნიშვნელოვანია თურქულ ენათა ისტორიული ფონეტიკისათვის.

/j/ > /i/: /jaraly/ > იარალი, /q'aja/ > ყაია. შუაენისმიერი მჟღერი სპირანტი /j/ ყველა პოზიციაში გადმოიცემა /i/ ხმოვნით;

/s/~ს/: /satylmyš/ > სათილმიშა;

/z/~ზ/: /uzun/ > უზუნა;

/š/~შ/: /q'ardaš/ > ყარდაშა;

/č/~ჩ/: /küčük/ > ქუჩუკი;

/ž/~ჯ/: /žarži/ > ჯარჯი.

/t/ და /d/ შესაბამისად გადმოცემულია /თ/ და /დ/ თანხმოვნებით:

/tanry/ > თანღრია, /q'utlu/ > ყუთლუ;

/demür/ > დემურ, /daybaš/ > დაღბაშ.

რამდენიმე სახელში თურქული სეული თავკიდური ფშვინვიერი /p/ და /t/ ქართველურ არეალში დაკვიდრებისას მკვეთრდება: /parlag/ > პარლაგა, /parmaksyz/ > პარმახსიზა, /pir k'ulu/ > პირკულა; /tašverdi/ > ტაშვერდა, /toply/ > ტოპლია, /toprak/ > ტოპრაკა.

/v/~ვ/: /vermiš/ > ვერმიშა;

/p/~ფ/: /topču/ > თოფჩი;

/b/~ბ/: /balta/ > ბალთა;

/n/~ნ/: /anaverdi/ > ანავერდი;

/l/~ლ/: /aslan/ > ასლან;

/r/~რ/: /elberdi/ > ელბერდი.

თანამედროვე თურქულში ლექსებიდან aslan < ძვ.თურქ. /arslan/ /t/ თანხმოვანი ამოვარდნილია. ქართულში ძველი თურქული ფორმითაც არის შემორჩენილი: აღფარსლანი, ევარსლანი.

### გ) სხვადასხვა ფონეტიკურ-ფონოლოგიური მოვლენები

ერთ მაგალითშია კონტაქტური და დისტანციური მეტათეზისი: /toyrul/ > /toylur/ > /tolıur/ > თოლღური.

თანხმოვანთა ასიმილაცია სიმჟღერე-სიყრუის მიხედვით გატარებულია ყველა შესაძლებელ შემთხვევაში, დარღვეულია მხოლოდ ერთგან – /temurči/ > თემურჩი. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანულ ენაში -/čI/ აფიქსის მხოლოდ ყრუთანხმოვნიანი ალომორფი -/çI/ ფუნქციობს. სახელი აზერბაიჯანულიდან უნდა იყოს შეთვისებული.

თურქულშივე მომხდარი ველარი /g/-ს პალატალიზაციის (არტიკულაციურად წინ წაწევის) მაგალითია /g/ → /ç/: /gümüš/ → /çümüš/ > ჯუმუშა (მღრ. /g/ → /ç/: არაბ. /gamal/ → /çamal/ > ჯემალი; /k/ → /ç/: აზ. /kilo/ → /çilo/ და სხვ.).

თურქული წარმომავლობის ანთროპონიმებში წარმოჩენილია ყვიჩალური და ოღუზური ენების განმასხვავებელი ძირითადი ფონეტიკური თავისებურება – მჟღერი და ყრუ ანლაუტი. ამ თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება თემუ-

რი და დემური, თენგიზი და დენიზა, რომელთა ყრუანლაუტიანი ვარიანტები უპირატესად ყივჩაღური ჯგუფის ენათაგან უნდა გვექონდეს შეთვისებული, ხოლო მქლერი – თურქულიდან და აზერბაიჯანულიდან.

თანამედროვე ოლუზური და ყივჩაღური ენებისათვის დამახასიათებელია *b~v* მონაცვლეობა სიტყვის თავში. ასე, მაგალითად, ბერდია ანთროპონიმისეული **ber-** ფუძე უპირისპირდება **ver-** ფუძეს ანთროპონიმში ვერმიშა (შდრ. ოლუზ. **var-** ~ ყივჩ. **bar-**).

ოლუზური ენების მყარ /j/-ს სიტყვის ანლაუტში შეესაბამება /j~ǰ~č/-ს არამდგრადობა ყივჩაღურ ენებში. მაგ., /jyl~čyl/.

მთაში გავრცელებული სახელი ჯურღა//ჯურხა//ჯურხაჲ უკავშირდება ყარაჩაულ-ბალყარულ /čorɣa/-ს (სიტყვის თავშია /č/); იგივე ფუძე ოლუზური ენებიდან შემოსულაა ქართულში იორღას (< თურქ. /jorɣa/) ფორმით, ოღონდ ანთროპონიმად არ იხმარება.

შდრ. აგრეთვე /jɔl~čɔl/ გვარში *ჯოღობორდი*, /jijit~čijit/ გვარების – იგით-ხანიშვილი და *ჯიღიტა*შვილი – ფუძეებში და სხვ.

შეგნერდებით თურქული ენის კიდევ ერთ ფონეტიკურ თავისებურებაზე.

ოსმალური ენის ისტორიაში აღსანიშნავია ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაში მთელ რიგ სიტყვებსა და აფიქსებში ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში ძირითადად იხმარებოდა ვიწრო ბავისმიერი ხმოვნები *u, ü* ნაცვლად არაბავისმიერი *i, i-*ისა. მაგ., *altun* ნაცვლად დღევანდელი *altın*-ისა. ზოგიერთი მკვლევარი ამას მიიჩნევს ძველი სალიტერატურო თურქულის წარმოთქმის დამახასიათებელ ნიშნად (Севортян 1964:83). ბოლოკიდურ მარცვალში ხმოვნის ლაბიალობას არა აქვს დისტინქციური ფუნქცია. ამგვარი ფორმები ხშირია დიალექტებში და ისინი განიხილებიან თურქული ენის არქაული მდგომარეობის (იგულისხმება ჰარმონიამდელი პერიოდი) მაჩვენებლად, რომლის ანალოგიებიც უხვად არის ძველ თურქულში (Гудиашвили 1963:118).

აღმოსავლურ ენათაგან ნასესხებ სიტყვათა ერთი ნაწილი ქართულსა და სხვა ენებში იჩენს ფრიად ნიშანდობლივ ფონეტიკურ თავისებურებას: არაბული, სპარსული ან თურქული სიტყვის ანლაუტისეული *d* ან *t* და უშუალოდ მომდევნო არალაბიალურხმოვნის კომპლექსი /da-, dā-, de-, di-, dı-, ta-, tā-, te-, ti-,tı-/ გვაძლევს დ/თ/ტ+ო/უ კომპლექსს (ჯიქია 1978:5-7). მაგ., თურქ. *dilmeç||tilmeç* → ქართ. *ძილმაჯი* (შდრ. აგრეთვე: რუს. *молмач*, გერმ. *Dolmetscher*), სპ. *dastqar* > ქართ. *დოსტაქარი*, სპ. *dilarduxt* → ქართ. *ღულარდუხტი*; არაბ. *davlat* > *დოვლათი* და სხვ. თურქულიდან ნასესხებ სიტყვათაგან ეს მოვლენა დასტურდება პირის სახელით *დოლენჯი*, ცოცხალი გვარის – *დოლენჯა*შვილის – ფუძით და სოფლის სახელით თიანეთის რაიონში: *თოლენჯი* < თურქ. *dilenmek* 'თხოვნა' ზმნის ფუძე + *-CI* აფიქსი: /dilenčɨ/ 'მათხოვარი, გლახა'. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში გვხვდება როგორც *დოლენჯი* (გვდლ 1947:216) – ლაბიალური ფართო ხმოვნით პირველ მარცვალში, ასევე *დილენჯი* (გვდლ 1947:348). *di-* → *do-* საკმაოდ ხშირია ანატოლიური თურქულის დიალექტებში. იგი დადასტურდა ქართული ენის აჭარულ დიალექტში დამკვიდ-

რებულ თურქულ ნასესხობებშიც. სავარაუდოა, რომ *დოლენჯიც* ქართულში ანატოლიური თურქულის აღმოსავლური და ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტებიდან უნდა იყოს შემოსული.

კავკასიის თურქული ენების კონსონანტიზმის თავისებურებათა ჩამონათვალში – მჟღერი/ყრუ ანლაუტი, სპირანტიზაცია, k-ს სონორიზაცია, წინარიგისმიერ ხმოვნებთან /g/→/ǰ/ და /k/→/č/, ბოლოკიდური -n-სა და -r-ს არამდგრადობა, /j~z ~ ž~ž/ მონაცვლეობა, *дзекание, цокание* და სხვ. (Гаджиева 1979: 34-75) – არ არის ე.წ. *деканье* – /j/-ს ჩანაცვლება /d/-თი: ძვ. თურქ. /bedük/ ~ დიალექტებისეული /böjük/ ~ ახ. თურქ. /büjük/ 'დიდი'. *Bedük* თურქული საკუთარი სახელია (Erol 1992:66) და გვარადაც შეგვხვდა (1934 წელს თურქეთში გამოვიდა ე.წ. „გვარის კანონი“. ამ კანონით ყოველ თურქს პიროვნული სახელის გარდა გვარიც უნდა ჰქონოდა, რომელიც სახელის შემდეგ დაიწერებოდა). თურქულ ენათა ამ „წიაღისეული“, იშვიათი მოვლენის /d/-იან მანიფესტანტს გადავავწყდით ქართველი კაცის სახელად – ბედუკა [ჯიმითელი, იგი, თავისი სახლით, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს 1601 წელს] (პალ 1991:498). იგივე სიტყვა „ჩაქვითკირებული“ აღმოჩნდა ქართული გვარის – ბედუკაძის – ფუძეში.

ამრიგად, განხილულ სახელებში წარმოჩენილია ყველა ის ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესი, რომელიც ახლავს თურქიზმების დამკვიდრებას ქართულ ენაში.

## ლიტერატურა

- აბულაძე 1968:** ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბილისი.
- ბელთაძე 1967:** მ. ბელთაძე, XVIII საუკუნის თურქულენოვანი ძეგლი ქართული ტრანსკრიპციით – თსუ შრომები, ტ. 121.
- გვლდ 1941:** გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. წიგნი II, თარგმანი, თბილისი.
- პალ 1991:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი.
- ჯანგიძე 1965:** საღირ-ნუნის განსხვავებული რეფლექსები თურქულსა და აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენებში, თსუ შრომები, ტ. 116.
- ჯიქია 1954:** ს. ჯიქია, XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი – ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი.
- ჯიქია 1960:** ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, I – ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, III, თბილისი.
- ჯიქია 1978:** ს. ჯიქია, ერთი ფონეტიკური კანონზომიერებისათვის ქართულში, თსუ შრომები, 186, აღმოსავლეთმცოდნეობა.
- Гаджиева 1979:** Гаджиева Н.З., Тюркоязычные ареалы Кавказа, Москва.

- Гудиашвили 1963*: Е.В. Гудиашвили, Фонетические особенности турецкой речи Ризе и Трапезунда. Вопросы диалектологии тюркских языков, Баку.
- Гургенидзе 1968*: Н. А. Гургенидзе, Лексические элементы восточного происхождения в аджарском и гурийском диалектах грузинского языка, АКД, Тбилиси.
- Рясянен 1955*: М. Рясянен, Материалы по исторической фонетике тюркских языков, Москва.
- Севортян 1964*: Э. В. Севортян, Примечания к "Турецкому языку" Н.К. Дмитриева, Москва.
- Erol 1992*: A. Erol, Adlarımız, Ankara.

*Marika Jikia*

## **The Phonetic - Phonological Regularities of Establishment of Turkic Anthroponyms in Georgian**

### Summary

The proper names of the Turkic origin provide a good basis for the comparative study of the sound systems of the Turkic and Georgian languages. The borrowed names keep the evidence of the phonetic - phonological regularities and processes accompanying the establishment of the Turkic words in the Georgian language. Besides, they contain important information on the historical phonetics of the Turkic languages.

Nine Turkic vowels are presented with five vowels in Georgian. In a number of cases the place of articulation of the Turkic vowel may be defined by the adjacent gutturals, from which /q'/ and /ɣ/, as we know, occur with the vowels of the backward zone and /k/ and /g/ – with those of the forward zone. The velar voiceless spirant /x/ occurs only in three purely Turkic words – /xaq'an/, /xan/ and /xazar/. The archiphoneme {K} in the Turkic languages and dialects is represented by the following allophones: /g/, /ɣ/, /x/, /q'/, /k/ and /k'/. All the allophones of this phoneme are testified in the anthroponyms. The anlaut /k'/ in the borrowed words is mainly presented by the glottal /q'/, which is evidenced in the Turkish texts with Georgian transcription. The consonant /g/ with the adjacent front vowels gets palatalized and at the end of the closed syllable is represented as /j/: /beg/>/bej/, in Georgian the word is established as /beg/. Typical for the Ottoman language the consonant /ŋ/ in the word **donguz** with seven (!) reflexes is found in the stems of eight Georgian surnames; /ŋ/>/ng/: Donguzashvili; /ŋ/>/nɣ/: Donghuzashvili, Donghuzia; /ŋ/>/n/: Donuzashvili; /ŋ/>/g/: Doguzashvili; /ŋ/>/ɣ/: Doghuzashvili; /ŋ/>/m/: Domuzashvili; /ŋ/>/vm/: Dovmuzashvili.

In the anthroponyms of Turkic origin there is a basic phonetic difference between the Oghuz and Kipchak languages – voiced and voiceless anlaut. In this respect, Temur is opposed to Demur, Tengiz – to Deniza, Geldi – to Keldi, where the variations with the voiceless anlaut are adopted from the languages of the Kipshak group, and with the voiced anlaut – from the Ottoman, Turkish and Azerbaijanian languages. The b/v alteration at the beginning of the word is quite typical for modern Oghuz and Kipchak languages. Thus, in the name Berdia the stem is *ber-*, and in the proper name Vermisha – *ver-*. The unstable /j- z - ž/ in the Kipchak words correspond to the steady /j/ anlaut of the Oghuz languages. For example, popular among the highlanders the name Jurgha //Jurkha corresponds to /žorga/ in Karachaj-Balkarian. The same stem was adopted in Georgian from the Oghuz languages in the form of /iorγa/</jorya/, but not as a proper name.

მორფოლოგია/სინტაქსი

პატანგ იმნაიშვილი

**ნარიანი მრავლობითის ერთი განსაკუთრებული  
სახეობა თანამედროვე ქართულში**

ნართანიან მრავლობითის სახელობითსა და წოდებითში მრავლობითობის **ნ** სუფიქსის შემდეგ ბრუნვის ნიშანი ერთვის (ი ან ო), დანარჩენ ბრუნვებს კი მარტოოდენ **თ(ა)** დაბოლოება მოუდის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანიანი მრავლობითი, ძირითადად, მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების ფუნქციით გვხვდება, მოქმედებითისა და ვითარებითის მნიშვნელობით კი ისინი ძალზე იშვიათად იხმარება (შარაძენიძე 1956; იმნაიშვილი 1957:272-279).

ეს – ზოგადად. პრაქტიკულად კი დღეს თანიანი მრავლობითი, როგორც წესი, ნათესაობითი ბრუნვის როლში გამოდის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რომელ ნაცვალსახელს. **რომელთა(ც)** თავისუფლად ითავსებს მოთხრობით, მიცემით, ნათესაობით ბრუნვათა ფუნქციებს. აქვე დავძენ, რომ ეს სიტყვა ენაში ხშირად იხმარება (დამოუკიდებლადაც და მსაზღვრელადაც, ოღონდ უკანასკნელ შემთხვევაში მხოლოდ ნათესაობითის როლში). თანიან მრავლობითზე სხვა დროს მექნება საუბარი, ამჯერად კი მინდა ნარიანი მრავლობითის ერთ განსაკუთრებულ სახეობას შევეხო.

მხედველობაში მაქვს ისეთი შემთხვევები, როცა მრავლობითის **ნ** სუფიქსს ერთვის არა შესაფერისი, მისთვის განკუთვნილი ი ანდა ო ბრუნვის ნიშნები, არამედ ნარისათვის შეუფერებელი რომელიმე სხვა ბრუნვის ნიშანი: **ჩქერანს, მონაწილენის, მამა-პაპანის, საქმენით, კლდენით...** ფაქტობრივად, ჩამოთვლილი სიტყვები უკვე აღარაა სახელობითი ან წოდებითი, რადგან ბოლო ნიშანი რომელიმე ირიბი ბრუნვის აღმნიშვნელია და გამორიცხავს მოცემული სიტყვის გაგებას სახელობითად და წოდებითადაც. განსახილველ შემთხვევაში **ნარიანი** სიტყვა სწორედ იმ ირიბი ბრუნვებიდან ერთ-ერთის ფუნქციას ასრულებს და, მამა-სადაძმე, **ნ** სუფიქსი ფორმალურადაა მხოლოდ სახელის შემადგენლობაში. ნარიანი სახელი „ჩქერანს“ ნიშნავს ჩქერებს, „მამა-პაპანის“ – მამა-პაპებისას, „საქმენის“ – ტოლფასია საქმეებისა, „კლდენით“ იგივეა, რაც კლდეებით... ასე რომ, სახელობითი ან წოდებითი ამ სიტყვებში, ფაქტობრივად, საერთოდ არ ფიგურირებს.

ამგვარი ფორმები თითო-ოროლა როდია. ჯიუტად მომრავლდა ენაში და, თუ დროზე არ დაეწმო გზა, მიმბაძველები გამოუჩნდება უცილოდ.

ენაში დამკვიდრებას იწყებს ერთი განსაკუთრებული, საგანგებო შემთხვევა, რასაც ყური შეეჩვია და ეს ენის ნორმების დარღვევად არავის მიუჩნევია.

სანამ ზემოთ ნახსენებ ფორმებს განვიხილავდე, მინდა ნარიანი სახელობითის ერთ სხვა თავისებურებას შევეხო.

ნარიანი სახელობითი ზმირად გამოიყენება თხზულებათა სათაურებში („მთანი მაღალნი“, „ქედუხრელნი“, „იგაენი სოლომონისნი“, „საბრალონი“, „მამათა სწავლანი“...). როდესაც ნარიან სახელობითში დასმულ დასათაურებას წინადადების კონსტრუქცია სხვა ბრუნვაში მოითხოვს, იმ მიზნით, რომ შევინარჩუნოთ სათაურისეული დაწერილობა და მას თანიანი მრავლობითის ფორმა არ შევუნაცვლოთ (რამაც შეიძლება რაღაც ნიუანსი შეცვალოს სათაურის აღქმაში), ავტორი არ ცვლის სიტყვათა წყობას, სათაურს უნარჩუნებს პირველსახეს, ტოვებს ისევ ნარიან მრავლობითში, მას ახალი, წინადადების კონსტრუქციის შესაფერისი, ბრუნვის ნიშანს უმატებს, რითაც, კაცმა რომ თქვას, არღვევს ენის დადგენილ ნორმებს.

მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი ფრაზა: „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მომხიბლა.

მავანს შეიძლება ეგონოს, რომ ოთარ ჭილაძის ამ რომანის სათაურია „ყოველი ჩემი მპოვნელი“. ასეთი გაგება არაა გამორიცხული. ჩვენს შემთხვევას მიუხედავად ერთი მაგალითი: «ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის“ პირველ ქართულ თარგმანს „განკიცხულნი“ ერქვა». „საბრალონი“ სათაური რომ არ იყოს, მის ადგილას „საბრალოთა“ უნდა გვეხმარა.

ვნახოთ სათანადო ნიმუშები მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურაში:

«მოსხენება-რეფერატში გაანალიზდება როგორც დავითის პიროვნული თვისებები, ისე „გალობანი სინანულიანის“ იდეური და მხატვრული მხარე» (ა. ხუროშვილი, „გალობანი სინანულიანის“ ფაკულტატიურ მეცადინეობაზე: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №2, 1982, გვ. 66).

ამ სიტყვების მოსმენისა თუ წაკითხვის შემდეგ ჩვენ არ ვგრძნობთ უხერხულობას. არადა, შესიტყვება „გალობანი სინანულიანის“ ნათესაობით ბრუნვაში უნდა იდგეს და ამ შემთხვევაში არანაირად არ შეიძლება ნართანიან მრავლობითში „სინანულიანის“ გვქონდეს. „გალობათა სინანულიანთა“ – ეს იქნებოდა სწორი ფორმა, რომელიც საერთოა რამდენიმე ბრუნვისათვის, და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ კონტექსტის დახმარებით შეიძლებოდა დადგენა იმ ბრუნვისა, რომელშიც ეს შესიტყვება დგას.

ამგვარი ნიმუშებია:

«ვაჟა-ფშაველასაგან მეტი რომ არაფერი დარჩენილიყო, გარდა „მთანი მაღალნი“, მას მაინც უნდა დარჩენოდა დიდი მწერლის სახელი» (ტიციან ტაბიძის სიტყვებია. იხ. „ქართველი მწერლები სკოლაში“, წიგნი V, ნაწილი I, 2001, გვ. 185).

«განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორბელიანის ქადაგებათა კრებულს, ე.წ. „სწავლანს“» (ქსე, ტ. 7, 1984, გვ. 559).

«იმ კულტურულ-ლიტერატურული და ისტორიული ცნობების გამოყენებას, რომლებიც „ისტორია-აზმანს“ შემოუნახავს ჩვენთვის, აუცილებლად უნდა უსწრებდეს წინ გარკვევა აღნიშნული საკითხებისა» (კ. კეკელიძე, „ისტორიანი



და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც „ლიტერატურული წყარო“: კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, 1962, გვ. 201).

„ავტორი მისი ჯერ კიდევ არ იცნობს „ისტორია-აზმანს““ (იქვე, გვ. 212).

„ისტორია და აზმანის“ შესავალში ნათქვამია» (იქვე, გვ. 222).

„გაირკვა, რომ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მეორე ბიბლიური წიგნის „იგავნი სოლომონისნის“ შემთხვევაშიც“ (მცხეთური ხელნაწერი, ტ. 3, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. ღოჩანაშვილმა, 1983, გვ. 31).

ამ ტიპის კიდევ არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლებოდა, რომლებშიც **ნის, ნით...** დაბოლოებები (მრავლობითობის სუფიქსს პლუს ბრუნვის ნიშანი) ანალოგიური სახით, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ თხზულების სათაურშია ნახმარი: ვიქტორ ჰიუგოს რომანის, „**განკიცხულნის**“, სათაური მთარგმნელებმა მოგვიანებით „**საბრალონით**“ შეცვალეს“, მზექალა შანიძე არის გამომცემელი „**ფსალმუნისა**“ და მას დართული „**გალობანისა**“, „**მამათა ცხორებანის**“ ტექსტი XI საუკუნით თარიღდება...

მოკლედ რომ ვთქვა, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში **ნ** სუფიქსი, როგორც აკაკი შანიძე მსგავსი სიტყვების შესახებ შენიშნავს, შეზრდია ფუძეს და მისი ნაწილი გამხდარა (შანიძე 1973:80). ამგვარად შექმნილი ახალი სიტყვა მაინც-დამაინც სახელობითი ბრუნვას აღარ წარმოადგენს.. ამ მხრივ ჩვენს შემთხვევას მიესადაგება გეოგრაფიული სახელები: რკონ-ი > რკონის, რკონამდე, სეთურ-ნი > სეთურნიდან, კაიშაურ-ნი > კაიშაურნისკენ...

ასეთ, ერთი შეხედვით, შეუსაბამო ფორმებს მხოლოდ **ნარიან** მრავლობითზე დართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები როდი იძლევა. გვხვდება სხვაგვარი კომბინაციებიც: «სულ ხუთი წუთი დამჭირდება,... „**მამათა ჩვენოსავით**“ ვიცი – ღიმილით მიუგო კარიძემ» (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია, წიგნი I, 1973, გვ. 402); „**ლევიტელთას**“ XII თავი მოიცავს მხოლოდ 8 მუხლს; შიო არაგვისპირელის „**ჩემო შვინდავსა**“ და „ჩემი ბრალი არ არის, **ღმერთოს**“ საშუალო სკოლაში გავეცანით...

ეს მოვლენა შეიძლება შეგვხვდეს ტექსტის გარკვეულ ფორმათა თუ მონაკვეთთა ციტირებისას. უკანასკნელის ნიმუშად გამოდგება, მაგალითად, ერთი ფრაგმენტი ბარათაშვილის პოეტიდან. „ბედი ქართლისას“ ცნობილ სტრიქონში „**ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო**“ „**ნაპირნოს**“ პავლე ინგოროყვას გამოცემაში ცვლის „**ადგილნო**“ (ანდა: „ნაპირნო“ შეცვლილია „**ადგილნოთი**“)..

ჩვეულებრივ, თხზულების სათაურში ნახმარ **ნარიანი** მრავლობითის ფორმებს ირბ ბრუნვებში **თანანი** მრავლობითით არ ცვლიან, **ნარიანს** ინარჩუნებენ. საგანგებოდ აღვნიშნავ – ეს, ძირითადად, თხზულებათა სახელწოდებებს ეხება. მაგალითად: ილია აბულაძე გამომცემელია „**მამათა სწავლანისა**“ და არა „**მამათა სწავლათა**“, ჰიუგო ავტორია „**საბრალონისა**“ და არა „**საბრალოთა**“. თუმცა იშვიათად ეს წესი შეიძლება დაირღვეს. მაგალითად, კ. კეკელიძე სულხან-საბას „**სწავლანის**“ შესახებ მსჯელობისას წერს:

«თუ „სიბრძნე სიცრუეში“ ეს მხილება იგავარაკული ფორმითაა წარმოდგენილი, „**სწავლანში**“ ის გაშიშვლებული, ახდილი სახითაა მოცემული» (კ. კე-

კელიძე, „სულხან-საბა ორბელიანი“, ეტიუდები, VIII, 1962, გვ. 333. შდრ. იქვე, მომღვენო წინადადებაში: «ამ „სწავლათა“ მიხედვით, საბა ჩვენ გვევლინება უდიდეს ჰუმანისტად და პატრიოტად».

რა თქმა უნდა, არსებობს უკეთესი გამოსავალი ამ საკითხის მოგვარებისა: ნაცვლად წინადადებისა «ილია აბულაძე გამომცემელია „მამათა სწავლანისა“» უმჯობესია დავეწეროთ: «ილია აბულაძე გამომცემელია მონოგრაფიისა „მამათა სწავლანი“». მსგავსად გვექნება: «ჰიუგო ავტორია რომანისა „ზღვის მუშაკნი“».

ახლა მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ.

ჩავთვალოთ, რომ თხზულების სათაურთა დასახელებისას ნარიანი მრავლობითის ფორმებზე ირიბი ბრუნვების ნიშნითა დართვა, ასე თუ ისე, რალაციტ გამართლებულია.

მაგრამ როცა სახელწოდებასთან, სათაურთან ან ციტირებასთან არ გვაქვს საქმე, მაშინ რა გამართლება უნდა მოუძებნოთ მრავლობითობის **ნ** სუფიქსის მომღვენოდ ირიბი ბრუნვების ნიშნების ხმარებას?

ვნახოთ ამის მაგალითებიც:

- 1) „ერის გლეხკაცი, ერის პატრონი – მამულ-ერდონით, მიწა-ედემით გამოვი-მეტეთ“ (ნ. კილასონია, „ვიყოთ, ვიმრავლოთ!“: „კომუნისტი“, №151, 1979).
- 2) „მიწა – ხოხბის ქათიბი. იის ცვარით ნაბანი, მოუხატავს გამრჯე ხელს მზის და მთვარის **კაბანით**“ (გივი ჭიჭინაძე, „საქართველო“: „თბილისი“, №164, 1978)
- 3) „საასპარეზო ვერ არნახული ცისკენ აფრენილ ჩვენი **მართვენის**“ (ოლეგ გველესიანი, „1980, ქართველ ოლიმპიელებს“: „ლელო“, №1, 1980).
- 4) „შენი გუმბათით სივრცეებში მივექანები, შენი სახელით, შენი ხატით, შენი მირონით, ახლადშობილი განთიადის **სანაპირონით**“ (ჯ. ჩარკვიანი, „გამოეყო ნათელი წყვილიადს“: „ცისკარი“, №7, 1977, გვ. 18).
- 5) „მაშ დაგვებდე დიდი **საქმენით**, შემოდგი ფეხი, ახლო წელო“ (სიმღერა „საახალწლო“, ტექსტი ს. ლაფაურისა: „ცისკარი“, №5, 1974, გვ. 114).
- 6) „როცა მოგინაკლისებ წუხილით, თითზე **კბენანით**“ (მედია კახიძე, „შინ მიწერილი ბარათი“: „ლიტერატურული საქართველო“, №10, 1976).
- 7) „თქვენი უსიერით, **საჯიხვენით** მტრისგან არაერთხელ დავიხსენით“ (მედია კახიძე, „მთებო!“ „ლიტერატურული საქართველო“, №10, 1976).
- 8) „რაც გაუვლია დრო-ხანთა, ვერ მივეწვევი რბენითა, აჰა, ახალი ჟამია, სურვილის **სიხარბენითა**“ (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, 1962, გვ. 70).
- 9) „ლიტგაზეთში“ დამიბეჭდეს ლექსი ყველა **ღირსებანით**“ (ოთარ მამფორია, „განუხჯელი გასამრჯელო“: „კომუნისტი“, №24, 1973).
- 10) „ვეუძლერ ამ ციდა, თუ მტკაველ მიწას – მზის გულს და მთის **ჩქერანს**“ (რევაზ ოსფეაიშვილი, „მე მიწა მიყვარს მესხური“: „ცისკარი“, №11, 1974, გვ. 104).

- 11) „მთაშია **მამა-პაპანის** ძვალი და ხორცი მარხული“  
(ლაპარა ბენდელიანი, „მთას ნუ დააგდებ, ძმობილო!“: კომუნისტი“, №73, 1981).
- 12) „ცხოვრობდნენ თავისი **ჯადონით, ზვითონით** ჭყვიში, ყვარელი, ჩარგალი, სხვიტორი“ (ლალო სულაბერიძე, „სოფლები“: „მნათობი“, №8, 1973, გვ. 58).
- 13) „ქალაქში წასულს დამაყრით სიცილს, კლით ბილიკებით **საცალფეზონით**“  
(შაბურა არაბული, ლექსები: „ლიტერატურული საქართველო“, №42, 1983).
- 14) „ოთახი არდალიონს მისცეს ყველა **ღირსებაწით**“  
(ოთარ მამფორია, „უღლეგრძელო სადლეგრძელო“, წიგნში „ნიანგის ბიბლიოთეკა“, 1982, გვ. 41).
- 15) „რაა თვინიერ ჯოჯონეთის, ტანჯვის, კირთების,...  
თუ ზღვა მძვინვარე, ცრემლისა და სისხლის **ღელენის**“...  
(ავთ. ყურაშვილი, „სიტყვა და სულო...“, „განთიადი“, №5, 1980, გვ. 93).
- 16) „ხენი და ღრონი ველით, მითთ, **კლდენით** – შლიან სიმწვანის შრიალა ტილოს“ (ზურაბ ლორთქიფანიძე, „მარადისობას ხელს კვიდებ მორცხვად“: „მნათობი“, №3, 1989, გვ. 71).
- 17) „ჩემო ძენო, ძეთა ძენო, ძეთა **ძენის** ძენო“  
(ნ. შამანაძე, „რეზო მიქელაძის ნაამბობი“: „მნათობი“, №10, 1980, გვ. 78).
- 18) „ბევრი ავბარგეთ, მაგრამ ჩვენ არ ავბარგენით,  
სხვა ჩვენს სალამურს ვერ დაუკრავს ავი **ბაგენით**“  
(გიორგი წერეთელი, „უკვდავების ქარაგმა“: „თბილისი“, №147, 1970).
- 19) „ეს დღე იყოს მოფერებად მეგობართა ლოდების,  
უძვირფასეს **და-ძმანისა**, უსაყვარლეს მშობლების“  
(ოთარ მამფორია, „მოსაგონარი“: „კომუნისტი“, №95, 1983).

აქამდე ნიმუშები ამოკრებილი იყო პოეზიიდან. არ მინდა ამით გავამართლო ზემომოყვანილი მიუღებელი ფორმები, მაგრამ მორფოლოგიური და სინტაქსური დარღვევები თუ გადახრები (ამგვარიც და სხვაგვარიც) მეტწილად სწორედ პოეზიაში გვხვდება, იქ კი ხან გართიმვის საჭიროება გვაიძულებს, ხან მარცვალთა რაოდენობის დაცვა ან კიდევ სხვა ფაქტორი მოქმედებს. ამ მხრივ პროზა უფრო მდგრადია, უფრო კონსერვატული...

არ იფიქროთ, რომ პროზაში არ გვხვდება ამგვარი გადახრები. გვხვდება, მაგრამ შედარებით იშვიათად:

- 20) „საქებნი **საქმენზე** ჰკიდიო“ (ვ. ჯავრიშვილი, „ანდაზები“: „ახალი კოლხეთი“, №4, 1979).
- 21) „ფანჯრის იქით კი – ქუჩა ... და ადამიანები თავიანთი განსხვავებული გარეგნობით, ჩაცმულობით, ხასიათებით, **უცნაურობანით**“  
(გ. გელაშვილი, „გვიფარავს მრავალი ჭერი“: „ცისკარი“, №12, გვ. 86).

- 22) „ერთბაშად აღმოაჩენს ზოლმე ყოველი ცალკეული ადამიანი ... ვერდის გმირების ბგერებით გადმოცემულ დაუოკებელ ვენებათაღელვანს“  
(«როლის უნდა წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა“?»: „ლიტერატურული საქართველო“, №52, 1974).
- 23) „პასტინგის მთავარი ტურნირის მონაწილენის... გვერდით შედარებით ახალგაზრდები, გამოუცდელი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ“  
(გ. მახარაძე, მამაკაცთა პირისპირ, 1982, გვ. 52).
- 24) „ბიბლიაში წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებანის სიუხვე იმითაც უნდა აიხსნას, რომ „სადმართო წერილში“ ბევრი რამ არის წყაროებიდან შესული“  
(თ. ფანჯიკიძე, „ბიბლია გუშინ, დღეს, ხვალ“: „ცისკარი, №7, 1971, გვ. 134).
- 25) „მათი „საქმენი-საგმირონის“ ასაწერად საკმაო ხანი ვეშაბდებოდი“  
(ა. აბშილავა, „ურჯუკები“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №83, 1980, გვ. 3).
- 26) „მეორენის აზრით გაიმარჯვა უფრო სრულყოფილმა ტაქტიკამ“  
(ა. გალპერინი, „ეს ერთი და...“: „ლელო“, №236, 1964).
- 27) „საქმენმან შენმან“ (ლ. გერაშვილი, „საქმენმან შენმან...“ /სათაური/: „პირიმზე“, №4, 1976, გვ. 14).

რა უნდა იყოს მიზეზი ზემოთ ჩამოთვლილი გაუმართლებელი ფორმების გავრცელებისა?

პირველ რიგში, ალბათ, ენის კანონების არცოდნა.

მეორე მიზეზი, ვფიქრობ, არის შემდეგი: პოეტი, სხვა საშუალება თუ ვერ ნახა, სალექსო სტრიქონის გართიმვის საჭიროების გამო ქმნის მახინჯ, მიუღებელ ფორმას. იგი იძულებულია, უცნაური სიტყვა გამოიგონოს, ისეთი ფორმა შექმნას, რომელიც სხვა სიტყვას უნდა დაამსგავსოს, ერთი ტაეპის დასასრული როგორმე მეორისას შეუწყოს, მისთვის მთავარია უღერადობა და არა მის მიერ გამოგონილ ამ უცნაურ ფორმათა სტრუქტურის სისწორე.

მესამე, ალბათ, ორიგინალურობისაკენ მისწრაფებაა. ავტორს უნდა, რაღაც ახალი, თავისებური, ხანდახან ჯერ არგაგონილიც მოიფიქროს თუ შეაკოწიწოს.

აბა, „ძენის ძენი“ რომ არ უნდა ეხმარა „ძეთა ძენის“ მაგივრად, ლექსის დამწერმა არ უნდა იცოდეს? იცის, მაგრამ მაინც წასძლევეს სული, რაღაც უცნაური გამოიგონოს. განა პოეტმა არ იცის, რომ „ისინი და ისინები“ არ უნდა დაწეროს („სულ სხვა ხმაზე ჭიკჭიკებენ ისინი და ისინები“: ვ. ჯავახაძე, „ლექსები“, 1984, გვ. 99). ასე ხომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც არ ლაპარაკობენ!! იცის, მშვენივრად იცის პოეტმა, მაგრამ მაინც არღვევს შეგნებულად ენობრივ ნორმებს, ჯერ არგაგონილს თხზავს.

განა პოეტი, ვინც უნდა იყოს ის, რა დამსახურებაც უნდა ჰქონდეს, იმდენად თავისუფალია, შეუზღუდავი, რომ ყველაფერი უნდა ეპატიოს? ვფიქრობ, არა! გავიხსენოთ დიდი ილიას სიტყვები: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

## ლიტერატურა

*შანიძე 1973.* ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

*შარაძენიძე 1956.* თ. შარაძენიძე, -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითა და ვითარებითს ბრუნვებში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი.

*იმნაიშვილი 1957.* ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

*Vakhtang Imnaishvili*

### One Special Variety of -n-Plural in Modern Georgian

#### Summary

The suffix **-n** indicating the plural number is used only with the Nominative and Vocative cases. However, in the recent period a tendency is observable when words begin to be established in the language in which the suffix **-n** is followed not by the appropriate case markers *i* or *o*, but by some other case markers, unsuitable for plural formed by the suffix **-n**: *chkerans*, *monatsilenis*, *kldenit*... In fact, these words are no longer Nominative or Vocative case forms, as the final marker denotes an oblique case and rules out the interpretation of a given word as Nominative or Vocative. Such forms mainly occur in poetry, but they are not uncommon for prose either. According to the rules of the language, these forms are totally unacceptable.

What can be the reason of spreading of the above-listed unjustifiable forms?

Firstly, this is probably explained by the lack of knowledge of the language rules.

Another reason must be an attempt of a poet, due to the necessity of rhyming a verse line, to coin a form to resemble the form of another word, in order to match somehow the end of one line with that of another. The main thing for the author in this case is the sounding of a word, rather than the correctness of the strange forms coined by him.

Thirdly, this is also perhaps due to striving for originality. Some authors try to create something new, peculiar, and now and then even something unprecedented.

ბაია ლომია

**წინადადების აქტუალიზებული წყვილი და აქტუალიზაციის  
მეორევი საშუალებები ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში<sup>1</sup>**

წინადადების წევრის აქტუალიზების სხვადასხვა საშუალება არსებობს. მათ შორისაა გამეორება, სიტყვათგანლაგება, კლიტიკა, ინტონაცია.

**გამეორება<sup>2</sup>** ხალხური ენის ემოციურობის ერთ-ერთი მაცოცხლებელი ელემენტია. გამეორება განეკუთვნება ხალხური ეპოსის ისეთ საერთო პოეტურ ხერხთა რიგს, რომლისთვისაც არ არსებობს ეროვნული ფარგლები. გამეორებას ხალხურ ეპოსში ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. მთქმელი მას მიმართავს შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, როული ფსიქოლოგიური პასაჟების გადმოსაცემად, მაშინ, როცა პერსონაჟის მოქმედების დეფინიცია მსმენელის ყურადღების დაძაბვას მოითხოვს (დლონტი 1975:22)<sup>3</sup>. გამეორება მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალებაა (Морен, Тетерникова 1960:277).

ჩვენი საანალიზო მასალა მეგრული ტექსტებია. ცნობილია, რომ უმწერლობო ენები „ფუნქციონალურად... დიალექტებს უტოლდებიან“ (ონიანი 1997:86) და „ხალხური მეტყველების ქარგაზე არიან აგებული“ (ჯორბენაძე 1995:12). რამდენადაც მეგრული უმწერლობო ენაა, მოსალოდნელია სხვადასხვა ენობრივი საშუალების გამოყენება საინფორმაციო ნაკადში გამოკვეთილი წევრის მარკირების მიზნით.

მეგრულში ყურადღებას იქცევს ერთი ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, რომლის დამოკიდებულში მეორდება წინამავალი წინადადების ზმნა ან სახელი (ზოგჯერ ორივე!) -ნი (=რომ) კავშირთან ერთად. -ნი დაერთვის გამეორებულ ერთეულს, თუკი ორივე ერთად მეორდება – ერთ-ერთს, უფრო ზუსტად, იმას, რომელიც პოზიციურად მეორე ადგილს დაიკავებს. იქმნება **თავისებური ჰიპოტაქსური კონსტრუქცია** წინამავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

1. მეორდება **ზმნა** (ზმნის თანმხლები წევრები ხშირ შემთხვევაში ივარაუდება და ქართულ თარგმანში კვადრატულ ფრჩხილებში აღვადგენთ). მაგ.,

<sup>1</sup> ნაშრომი ნაწილია მონოგრაფიისა „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“, რომელიც მუშავდება რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III სამეცნიერო კონფერენციაზე. იხ. კონფერენციის პროგრამა, 15-18 ივნისი, 2009 წელი.

<sup>2</sup> განმეორების მათქმულიზებული როლის შესახებ იხ. ასათიანი 2009; აფრიდონიძე 1986; ივანიშვილი 2009; კიკნაძე 1999; ჟღენტა 1963.

<sup>3</sup> ამავე თვალსაზრისის მქონე რუსი ავტორები (ბუსლაევი, ეგვენიევა...) დამოწმებულია ალ. დლონტის დასახელებულ ნაშრომში და მათ ცალკე არ ვეხებით.

ა) ვემერგ საშველი. ვემერგენ, უკული ექტო ქიმიოგე დუდი (ხუბ.,109,14) (=არ მისცა საშველი. რომ არ მისცა [საშველი], შემდეგ ამანაც ჰკრა („მიარტყა“) თავი).

ბ) მურს მუშ ქაცანაშა. მურსგენ, დასერე ართ ქაცანას (ხუბ.,229,20) (=მოღის თავის ქვეყანაში. რომ მოღის [თავის ქვეყანაში], შემოღამდა ერთ ქვეყანაში).

გ) ეთიწკემა ლაგვანქ გოტგრხე. გოტგრხენი, ინტე ჟირ კოჩიქ ართო (ხუბ.,261,1) (=მაშინ ქვევრი გატყდა. რომ გატყდა [ქვევრი], ორი კაცი ერთად გაიქცა).

დ) დეემონკათ ათე ძლაბიქ. ათენაქ დეემონკათენ, თენა ნამთინს ვო უჩქე... (ხუბ.,295,15-16) (=დაორსულდა ეს გოგო. ეს [გოგო] რომ დაორსულდა, ეს არავინ არ იცის...)

ე) თე ბოშიქ წგმილღე ბაზარიშა. წგმილგენ, ირკოს ქალარდი ქუუკებგ ხეს (ხუბ.,282,3) (=ეს ბიჭი გავიდა ბაზარში. რომ გავიდა [ბაზარში], [ნახა], ყველას გაზეთი („ქალაღლი“) უჭირავს ხელში)

გამეორების დროს ზმნა შეიძლება შეიცვალოს სინონიმური ზმნით. მაგ.,

მოლართგ ართიქ. ეყარგენ, ათე ჭითა პაპაქ ქოწოხვადგ (ხუბ.,263,9) (=წამოვიდა ერთი [ძმა]. რომ დაიდრა, ეს წითელი მღვდელი შემოხვდა).

-ნი კავშირდართული გამეორებული ზმნა შეიძლება კონკრეტულ საკავშირებელ ერთეულთან იყოს მოცემული. მაგ.,

გამეეთხუ არძოსგ დო დოღურუ. მუჭო დოღურუნე, დოთხორესგ... (=გამოეთხოვა ყველას და მოკვდა. როგორც კი (+რომ) მოკვდა, დაასაფლავეს... (დან., ცან.,12,8).

გამეორებულ ზმნას -ნი-ს ნაცვლად, შესაძლოა, დო(=და) კავშირი დაერთოს.

მაგ., ქიმერთგ ათე ბოშიქ. ქიმერთგ დო, მესთი მაადგენ, თეშა ვიშო ქალენუნუე თენა... (ხუბ.,295,10). „მივიდა ეს ბიჭი. მივიდა და, წულა რომ აცვია, ამაში ჩაისვა ეს...“.

„ამგვარი გამეორება – ანადიპლოზისი დასტურდება გიორგი ლეონიძის პროზაშიც“ (კოშორიძე 1995:144); მაგ., ჩვენს ეზოში ია შემოვიდა. შემოვიდა და, შემოფენინა..., რაც გ. ლეონიძის მეტყველებას ქართული ზღაპრის სტილთან აახლოებს (უთურგაძე და სხვ., 1979:91-98).

2. მეორდება სახელი (არსებითი სახელი). მაგ.,

ა) ართი მეღვევე ქოძირგ. კითხგ ამბე მეღვევესგენი, იქ უწუე (=ერთი მელორე ნახა. რომ ჰკითხა ამბავი მელორეს/„მელორეს რომ“, მან უთხრა) (დან., ცან., 30,35).

ბ) ართი პაპაქ ქაუხვადგ. მიოჯინუ პაპასგენი, ვაქიჩინუო?! (=ერთი მღვდელი შეხვდა. რომ შეხვდა მღვდელს/„მღვდელს რომ“, ქე არ იცნო?!).

შესაძლებელია, რამდენიმე სახელი განმეორდეს. თითოეული გამეორებული სახელი დაირთავს -ნი კავშირს, დამოკიდებულ წინადადებაში კონკრეტული წვერ-კავშირია მოცემული. მაგ.,

მა მოკონია აკა *ცხენი დო ონანგერი, სახარჯო ფარა* ტანისამოსიშ ოქიდე..., *მუთ* ოკო *სახარჯონ, ცხენი დო ონანგერინ*, ირფელით დააკმაყოფილე ე ბოში [ხენწიფექ] (=მე მინდო ერთი *ცხენი და უნავირი, სახარჯავი ფული* ტანისამოსის საყიდლად... *რაც უნდა სახარჯავად (+რომ), ცხენი და უნავირი (+რომ)*, ყველაფრით დააკმაყოფილა ეს ბიჭი [მეფემ] (დან.ცან.,212-214,37-1)<sup>4</sup>.

3. მეორდება **ზმნა** და **სახელი**. მაგ.,

ა) *მიდართე სასუმაროშა. მიდართე სასუმაროშან*, ზღვა პის ელაქუნს (ხუბ.,295,3) (= [ბიჭი] *წავიდა სტუმრად. სტუმარად რომ წავიდა*, ზღვის პირს მიუყვება).

ბ) მიდართე ათე ბოშიქ სასუმაროშა დო *დიართე ცუდეშა. დიართე ცუდეშან*, ბარგევი გეგმითირუ ირფელი (ხუბ.,295,13) (=წავიდა ეს ბიჭი სტუმრად და *დაბრუნდა სახლში. სახლში რომ დაბრუნდა*, ყველა(ფერი) ტანსაცმელი გა-მოიცვალა).

გ) თი სქუაქ ხოლო *კოჩი გამწუურქე*..., მასგმაქ ხოლო *კოჩი გამწუურქენ*, ტყურაია ცხენიშა ტყურაია ონანგერი გაგმუნწყის დო ქეკუენეს (ხუბ.,232,12) (=იმ შვილმაც *კაცი შემოუგზავნა*... მესამემაც *კაცი რომ შემოუგზავნა*, სათამაშო ცხენზე სათამაშო უნავირი დაუდგა/„გამოუწყო“ და გააყოლეს უკან).

ამგვარი თავისებური ჰიპოტაქსური კონსტრუქციებით თხრობა დამახასიათებელია ქართული ზღაპრისთვისაც. დავასახელებთ ერთ ნიმუშს:

როცა ის ნისლი მოეშვა, ახლა *ცეცხლი მოვიდა. რომ მოვიდა ცეცხლი* და ბიჭმა გაარჩია ღორი. *გაარჩია ღორი და* მოკლა... (რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, 1949:321)<sup>5</sup>.

ქართულ ლიტერატურაში ამგვარი სტილი დამახასიათებელია ილიასთვის (აფრიდონიძე 1989), მიხეილ ჯავახიშვილის პროზისათვის. ამ კუთხით სპეციალურად არის შესწავლილი მისი „არსენა მარაბდელი“ და მიჩნეულია, რომ აღნიშნული ნაწარმოების ენისა და სტილის „მომხიბლაობის მთელი საილუმლო მის ღრმა ხალხურობაშია“. ავტორი ამბის თხრობისას იყენებს ქართული ზღაპრის სტილს (ჭუმბურიძე 1962:92-135); მაგ.,

[ოძელაშვილმა] ლურჯა ძლივსლა *შეაჩერა. და როცა შეაჩერა* და მოიხედა, ამილახორი ბალახში დაინახა.

ამ ტიპის კონსტრუქციები თანამედროვეთაგან რევან ინანიშვილისა (კოშორიძე 1981) და თამაზ ბიბილურის (კოშორიძე 1991) შემოქმედებაში დასტურდება.

ამრიგად, გამეორება, როგორც სტილური ხერხი, აძლიერებს შთაბეჭდილებას, კრავს და განამტკიცებს სათქმელს, „თხრობის უწყვეტ ხაზს ქმნის... ჯაჭ-

<sup>4</sup> ამგვარი მაგალითები ნათლად წარმოაჩენს ამ ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში -ნი (=რომ) კავშირის ფუნქციას – ხაზგასმა, აქტუალიზება მოახდინოს იმ სიტყვისა, რომელსაც დაერთვის (ლომია 1996).

<sup>5</sup> მაგალითები ქართული ხალხური ზღაპრიდან და „არსენა მარაბდელიდან“ დამოწმებულია ზ. ჭუმბურიძის მონოგრაფიის მიხედვით (ჭუმბურიძე 1962).



ვურად გადაებმება ერთმანეთს სიტყვები, ზოგჯერ შესიტყვებებიც, რომლებიც უფრო რეალიზებულია ლოგიკური სენტენციების სახით მოწოდებულ თხრობაში“ (აფრიდონიძე 1989:63). „ასეთი პაუზიანი გამეორების“ (შ. აფრიდონიძე) შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები დამახასიათებელია როგორც ზეპირი მეტყველებისათვის, ასევე მხატვრული ტექსტის ენისთვის. უფრო მეტიც, ამგვარ შემოქმედთა ნაწერებში „ჭარბად იგრძნობა ხალხური ინტონაციები“ (ჯორბენაძე 1987:248).

**სიტყვათა რიგი** ქართველურ ენებში თავისუფალია. როგორც ჩანს, ამას განაპირობებს განვითარებული მორფოლოგიური სტრუქტურა და მდიდარი აფიქსალური სისტემა. ამის შესახებ აღნიშნავენ როგორც ქართველი მეცნიერები, ასევე უცხოელი მკვლევრები (ამ საკითხზე სპეციალური ლიტერატურის სრული სია იხ. ივანიშვილი 2009:74). „თავისუფალი რიგის ენებში ... ინფორმაციის აქტუალიზებისათვის სიტყვათა განლაგება ასრულებს მნიშვნელოვან როლს“ (Skopeteas and Fanselow 2007). „აქტუალიზებული ინფორმაციის (resp. წინადადების აქტუალიზებული წევრის) წინადადების დასაწყისში მოთავსება, წინ გადასმა ინფორმაციის მარკირების ტიპოლოგიურად გავრცელებული სტრატეგიაა..., თუმცა იშვიათად ფოკუსირებული წევრი შესაძლებელია წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაშიც იყოს წარმოდგენილი“ (ივანიშვილი 2009:78). ჩვენ მიერ განხილულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, როცა ერთშემადგენლიანია დამოკიდებული, ზმნა ან სახელია მხოლოდ გამეორებული, სიტყვათა რიგის საკითხი, ცხადია, არ დგას. როცა ორ ან მეტშემადგენლიანია დამოკიდებული, გამეორებულია ზმნა და სახელი, მაშინ **ფოკუსირებული წევრი, უგამონაკლისოდ, მისწრაფის დამოკიდებული წინადადების ბოლოსკენ**. ამგვარ სწრაფვას, როგორც ჩანს, -ნი კავშირ-ენკლიტიკის ფიქსირებული ადგილიც განაპირობებს, რადგან კლიტიკაც მონაწილეობს ინფორმაციის გამოკვეთაში.

გამეორებული ერთეული, -ნი კავშირ-კლიტიკასთან ერთად, განსხვავებულად წარმოითქმის – ბოლოდან მეორე მარცვალზე ინტონაციური მახვილით, იმის მიხედვით, კლიტიკა ზმოვნთანად არის მოცემული (-ნი) თუ უზმოვნოდ (-ნ). საერთოდ, მაღალი ინტონაცია ფოკუსირებულ ინფორმაციას განასხვავებს არაფოკუსირებული ინფორმაციისაგან; შდრ.: ქართულში მაღალი, ტალღისებური და რბილად დამავალი ინტონაციების ოპოზიცია (დაწვრ. იხ. ასათიანი 2009:7).

ამრიგად, მეგრულში ერთი ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წინადადების აქტუალიზებული წევრი ფორმალურად შეიძლება მარკირებული იყოს სხვადასხვა ენობრივი საშუალებით: ფონეტიკურ-ფონოლოგიური: **ინტონაცია**, მორფოლოგიურ-სინტაქსური: **სიტყვათა რიგი, კლიტიკა, გამეორება**.

## ლიტერატურა

- ასათიანი 2009:** რ. ასათიანი, ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, სამეცნიერო კრებული „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, თბილისი.
- აფრიღონიძე 1986:** შ. აფრიღონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბილისი.
- აფრიღონიძე 1989:** შ. აფრიღონიძე, ილია ჭავჭავაძის სტილისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IX, თბილისი.
- ივანიშვილი 2009:** მ. ივანიშვილი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: სიტყვათა რიგი ქართველურ ენებში, სამეცნიერო კრებული „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, თბილისი.
- კიკნაძე 1999:** გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თხზულებანი, III, თბილისი.
- კოშორიძე 1981:** ე. კოშორიძე, რევაზ ინანიშვილის ენის ზოგიერთი თავისებურებანი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბილისი.
- კოშორიძე 1985:** ე. კოშორიძე, გამოერება გიორგი ლეონიძის პროზაში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. IV, თბილისი.
- კოშორიძე 1991:** ე. კოშორიძე, თამაზ ბიბილურის „წელიწადის დრონი“ (ენობრივ-სტილისტური ანალიზი), წაკითხულია მოხსენებად 1991 წლის 21 ივნისს, აკად. ვარლამ თოფურას 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე, თბილისი.
- ლომა 1996:** მ. ლომა, ერთი ტიპის კითხვითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია მეგრულში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. V, თბილისი.
- ონიანი 1997:** ალ. ონიანი, საქართველო და ქართველური ენები, ქუთაისური საუბრები, IV, თეზისები, ქუთაისი.
- ჟღენტი 1963:** ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბილისი.
- უთურგაიძე და სხვ. 1979:** თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გიუნაშვილი, ფერეიდ-ნული მეტყველების შესწავლისათვის, იკე, ტ. XXI, თბილისი.
- ჭუმბურიძე 1962:** ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენა და სტილი, თბილისი.
- ჯორბენაძე 1987:** ბ. ჯორბენაძე, მუხლადი სიტყვა გიორგი ლეონიძისა, ბალავერი მწერლობისა, თბილისი.
- ჯორბენაძე 1995:** ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.
- Морен, Тетерникова 1960:** Морен М. К., Тетерникова Н.Н., Стилистика французского языка, Москва.
- Skopeteas and Fanselow 2007:** Skopeteas S., Fanselow G., Effects of givenness and constraints on free word order. In: Information Structure from Different Perspectives., Zimmermann, Malte and Caroline (eds.), Oxford.

## წყაროს შემოკლებანი

- დან., ცან.:** ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ). ტ. II. ზღაპრები და მცირე ჟანრები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კორნელი დანელიამ და აპოლონ ცანავამ, თბილისი, 1991.
- ხუბ.** — მაკარ ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937.

## Foregrounding of Sentence Members and Linguistic Means of Foregrounding in Hypotactic Constructions

### Summary

There is a wide variety of foregrounding of sentence members, including repetition, word order, clitics and intonation. The paper analyses a hypotactic construction found in Megrelian, in which a subordinate clause repeats either a preceding verb or a noun (sometimes both at a time). It holds the initial position in the construction and includes the -ni conjunction. The latter is interchangeable with do (=da) conjunction.

#### Examples:

murs muš ka'anaša. mursən, daaserə art ka'anas.

mu-r-s mu-š ka'ana-ša.

PRV-walk-PRS.S.3. SG his-GEN country-ALL .

mu-r-sə=n, da-a-ser-ə art ka'ana-s.

PRV-go-PRS.S.3.SG=CONJ(that), PRV-CV-something-AOR.S.3.SG one. (DAT)  
country-DAT

მოდის თავის ქვეყანაში. რომ მოდის, შემოაღამდა ერთ ქვეყანაში.

[He is] heading for his country. Night fell as he was on his way to a different country.

midartə sasumaroša. midartə sasumarošan, zγva p'is ela'uns.

mida-rt-ə sa-sumar-o-ša.

PRV-go-AOR.S.3.SG DSG.1-guest-DSG.1-ALL.

mida-rt-ə sa-sumar-o-ša=n, zγva p'i-s ela-'un-s.

PRV-go-AOR.S.3.SG DSG.1-guest-DSG.1-ALL =CONJ(that), sea.DAT side-DAT

PRV-follow-PRS.S.3.SG

წავიდა სტუმრად. რომ წავიდა სტუმრად, ზღვის პირს მიუყვება.

[He] left to pay a visit. He followed the seaside as he walked.

Such constructions become fully meaningful only if the previous context is considered. A highlighted sentence member can formally be marked by different linguistic means, namely phonetic and phonological (intonation), morphological and syntactic (word order, clitics and repetition).

#### Abbreviations:

**PRS** – Present ; **AOR** – Aorist; **PRV** – Preverb; **CV** – Character Vauel;

**SG** – Singular; **S** – Subject; **DAT** – Dative Case; **GEN**- Genitive Case;

**ALL** – Allative Case; **CONJ** – Conjunction; **DSG** – Designative.

**ფლექსიურობის (ფუზიურობის) შესახებ ქართულ ენაში**  
(ქართულისა და სვანურის ფლექსიური (ფუზიური) ხასიათის შესახებ)

**1. შესავალი**

ენათა ტიპოლოგიურ კვლევას მორფოლოგიური ტიპოლოგიით ანუ სიტყვათა აგებულების ტიპის განსაზღვრით ჩაეყარა საფუძველი XIX საუკუნის დასაწყისში. 1808 წელს ფრიდრიხ შლეგელმა გამოაქვეყნა ნაშრომი "Über die Sprache und Weisheit der Inder" (ინდოელთა ენისა და სიბრძნის შესახებ), სადაც გამოყო ენათა ორი მორფოლოგიური ტიპი: ფლექსიური და აფიქსალური (შემდეგში ამ ტიპს აგლუტინაციური ეწოდა). ფრიდრიხ შლეგელისათვის ამ კლასიფიკაციას გენეალოგიური ღირებულება ჰქონდა, რადგან იგი ფლექსიურობასა და აფიქსალურობას (აგლუტინაციას) ენათა ნათესაური ჯგუფების შინაგან მახასიათებლებად მიიჩნევდა. ფლექსიურობა მას საკუთრივ ინდოევროპულ ენათა მახასიათებლად მიაჩნდა. შემდეგ მისმა ძმამ, ავგუსტ შლეგელმა ნაშრომში "Sur la littérature provençale" (1818) ამ ორ ტიპს დაუმატა ტიპი, რომელსაც უწოდებს „ენებს გრამატიკული სტრუქტურის გარეშე“. შემდეგ ამ ენებს ამორფული ანუ მაიზოლირებელი ეწოდა. მანვე წარმოადგინა ფლექსიური ენების დაყოფა ანალიზურად და სინთეზურად, რადგან ზედავდა, რომ ბევრი ინდოევროპული ენა ფლექსიის დაკარგვის ტენდენციას ამჟღავნებდა. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ნაშრომში – "Über die Verschiedenheit der menschlichen Sprachen" (1836) („ადამიანთა ენების მრავალფეროვნების შესახებ“) – უკვე ვხვდებით ტერმინებს „იზოლაცია, ფლექსია და აგლუტინაცია“ და გამოყოფილ სამ ტიპს ინკორპორაციული ტიპი ემატება. ამ ტიპს ახასიათებს ზმნის ფორმაში დამატებების ჩართვა და ზმნური სტრუქტურის აფიქსებით გადატვირთვა. თანამედროვე ტიპოლოგია ამჟღავნებს, აღნიშნოს იგი ტერმინით „პოლისინთეზური“, რადგან ინკორპორაციული ტიპი ენის პოლისინთეზურობასაც გულისხმობს – დადგენილია, რომ ყველა ინკორპორაციული ენა პოლისინთეზურია, მაგრამ არა პირიქით, ყველა პოლისინთეზურ ენაში არა გვაქვს ინკორპორაციის (ზმნის სტრუქტურაში დამატებების ჩართვის) მოვლენა. ამით ფაქტობრივად დასრულდა მორფოლოგიური ტიპოლოგიის საკლასიფიკაციო სისტემის შექმნა. შეიქმნა სისტემა, რომელშიც შედის 4 ენობრივი ტიპი: ფლექსიური (ფუზიური სეპირის ტერმინოლოგიით), აგლუტინაციური, მაიზოლირებელი (ძირეული, ამორფული) და ინკორპორაციული (პოლისინთეზური).

შემდგომში ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციით დაინტერესებული იყვნენ ჰ. შტაინთალი, ფრანც მისტელი, ჰაინრიხ ვინკლერი, ნიკოლაუს ფინკი. ნიკოლაუს ფინკის ნაშრომი „ენის აგებულების ძირითადი ტიპები“ ("Die Haupttypen des Sprachbaus", 1910) ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იგი მის მიერ გამოყოფილი რვა ტიპიდან ერთ-ერთზე მსჯელობას მთლიანად

ქართულ ენაზე ამყარებს. მისი ტიპოლოგიური კონცეფცია ეფუძნება ლექციებს, რომლებსაც იგი წლების განმავლობაში კითხულობდა მარბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ამ პროცესში მას ჩამოუყალიბდა საკუთარი კონცეფცია ენათა ძირითადი ტიპოლოგიური კლასების შესახებ. ნიკოლაუს ფინკის ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში ქართული ხასიათდება როგორც ჯგუფურ-ფლექსიური ენა (Gruppenflektierend). იგი გამოყოფდა ენათა რვა ტიპს, რომელთა საილუსტრაციოდ მას რვა ენა აქვს დახასიათებული. ნ. ფინკი ენათა მთლიანობით დახასიათებას იძლევა. მის ტიპოლოგიას ქარაქტეროლოგიური ხასიათი აქვს. აქ გამოყოფილი და დახასიათებულია შემდეგი ტიპები:

1. ძირის მაიზოლირებელი (Wurzelisolierend) – ჩინური
2. ფუძის მაიზოლირებელი (Stammisolierend) – სამოა (პოლინეზიური)
3. მაქვემდებარებელი (Unterordnend) – თურქული
4. ინკორპორაციული (Einverleibend) – გრენლანდიური
5. მიმრთველი (Anreihend) – სუბია (ბანტუს ოჯახი, სამხრეთი აფრიკა)
6. ძირის ფლექსიური (Wurzelflektierend) – არაბული
7. ფუძის ფლექსიური (Stammflektierend) – ბერძნული
8. ჯგუფურ-ფლექსიური (Gruppenflektierend) – ქართული

ქართული ენის განხილვა საკმაოდ ვრცელია (ფინკი 1961:132-149) და, უნდა ითქვას, იმ დროისთვის (1910) უაღრესად ადეკვატური. იგი აფიქსირებს ქართულისათვის დამახასიათებელ ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას. ნ. ფინკს ენათა მრავალფეროვნება, ვ. ჰუმბოლდტის მსგავსად, ერების სულიერ შემოქმედებად, ერის სულიერ თავისებურებათა ასახვად მიაჩნია. იგი ენათა მონოგენეზისის იდეის მომხრეა, ამიტომ ენათა მრავალფეროვნება მას დროში წარმოქმნილ მოვლენად მიაჩნია და თვლის, რომ ტიპებს შორის არ არსებობს გადაულახავი უფსკრულები, მათ შორის გადასვლები შესაძლებელია, ამიტომ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ღიაა გავრცობისათვის, ახალი ტიპების გამოვლენისთვის (ფინკი 1961:155). ტიპთა განმსაზღვრელ კონცეპტებად მას ორი პარამეტრი აქვს შემოთავაზებული: წარმოდგენათა კომპლექსების, ანუ სინამდვილის სურათების დანაწევრება და აზრის გამოხატვისთვის ელემენტების კვლავ შეერთება.

წინადადების აგებისას ელემენტთა შეერთების თვალსაზრისით ენები ასე ლაგდება: პირველ ჯგუფს ქმნიან ჩინური (ძირის მაიზოლირებელი) და სამოა (ფუძის მაიზოლირებელი) – აქ სიტყვები არ შეიცავენ მიმართებას წინადადებასთან; შემდეგ მოდის არაბული, ბერძნული და ქართული, რომლებშიც სიტყვები შეიცავენ მიმართებას მთლიან წინადადებასთან. ბერძნულში ასეთი მიმართება უკავშირდება ფუძეს, არაბულში – ძირს, ხოლო ქართულში – „თუმცა ხშირია ბერძნულისებურად ფუძეების ფლექტირება, არაიშვიათია მიმართებების დაკავშირება ელემენტების ჯგუფებთან, რომლებიც შეფარდებით ნაკლებ მჭიდრო ერთობას ქმნიან და სიტყვათქმნალობის პროცესში იმყოფებიან“ (ფინკი 1961: 154). მესამე ჯგუფს ქმნიან თურქული, გრენლანდიური და სუბია – ავლუტინაციური ხასიათის ენები. ნ. ფინკი ქართულს არაბულთან და ბერძნულთან ერთად ერთ კლასში – ფლექსიურ ენათა კლასში აერთიანებს, თუმცა მათ შორის

განსხვავებასაც ხედავს და მათ სამი ქვეკლასის რეპრეზენტანტებად მიიჩნევს. საინტერესოა აქ ჩვენთვის ის, რომ ქართულს ის ფლექსიურ ენებთან უფრო ახლოს აყენებს, ვიდრე აგლუტინაციურ ენებთან.

მორფოლოგიური ტიპოლოგიის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ედუარდ სეპირის ნაშრომი „ენა“ (Language 1921), სადაც იგი ჰუმბოლტის მიერ გამოყოფილი ოთხი ტიპის გადააზრებას ახდენს, რადგან თვლის, რომ მათ ორი საკლასიფიკაციო ნიშანი უდევთ საფუძვლად: ა) სიტყვაში მორფემათა რაოდენობა – ეს არის სიტყვათა სინთეზის ხარისხი და ბ) სიტყვაში მორფემათა შეერთების ხასიათი ანუ აგლუტინაციურობა/ფუზიურობა. ე. სეპირისგან მომდინარეობს ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში ორაზროვანი ტერმინი **ფლექსიის** შეცვლა ტერმინით **ფუზია**.

ე. სეპირის იდეები განავითარა ჯ. გრინბერგმა და მას კვანტიტატიური ტიპოლოგიის სახე მისცა. ჯ. გრინბერგის აზრით, აგლუტინაციურად თუ ფლექსიურად უნდა შეფასდეს კონსტრუქცია, ხოლო რადგან ჩვეულებრივ ენები შეიცავენ როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის კონსტრუქციებს, რაოდენობრივი ინდექსების საფუძველზე უნდა მოხდეს ენის წამყვანი ტენდენციის დადგენა (გრინბერგი 1960:69). რამდენადაც წმინდა ტიპები არ არსებობს, ბუნებრივია, რომ ტიპოლოგიას კონტინუუმის სახე მიეცეს და ენები ფუზიისა და სინთეზის სკალეზე განლაგდნენ (კომრი 1989:47).

ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ქართველურ ენათა დახასიათება აგლუტინაცია/ფუზიურობის თვალსაზრისით. ეს ტიპოლოგიური პარამეტრი განსაზღვრავს, რამდენად რწყმულია სიტყვა, რამდენად ადვილია მასში მორფემების გამოყოფა და რამდენად ცალსახა მიმართებაა სიტყვაში გრამატიკულ სემანტიკასა და ფორმას შორის. ფლექსია ანუ დრეკა გულისხმობს ფორმათა აბლაუტურ მონაცვლეობას, რომელსაც მორფოლოგიური ღირებულება აქვს, ხოლო ტერმინი ფუზია მიანიშნებს სიტყვების რწყმულ ხასიათზე, რთულ მორფოლოგიურ ცვლილებებზე, რომლებიც ელემენტთა სრული შერწყმით შეიძლება დასრულდეს. ფლექსიურ-ფუზიურ ენებში სიტყვაფორმის სეგმენტაცია ძნელია ან შეუძლებელი რთული მორფოლოგიური ცვლილებების გამო. აგლუტინაციურ ენებში კი სიტყვა მორფემათა ჯაჭვს წარმოადგენს, სიტყვის სეგმენტაცია მორფემებად ადვილია. ინდოევროპულ ენათა უმრავლესობა ფლექსიურ/ფუზიური ხასიათისაა, ხოლო თურქულ და უგრო-ფინურ ენათა უმრავლესობა – აგლუტინაციურ ტიპს განეკუთვნება.

აგლუტინაცია-ფუზიის პარამეტრი, სინთეზურობის პარამეტრის მსგავსად, კონტინუუმს ქმნის: ისეთი ენიდან, რომელშიც მორფემები ავტონომიური და ავტომატურია და თითქმის ცალსახა მიმართებაა გრამატიკულ ფორმასა და მნიშვნელობას შორის, გარდამავალი საფეხურების გავლით, მივიღებთ ისეთ ენამდე, სადაც სიტყვა უაღრესად რწყმული ერთეულია, ძნელად ექვემდებარება დანაწევრებას სეგმენტურ მორფემებად და მთლიანობის სახით მიემართება ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა კონას. **აგლუტინაციურობის ტენდენცია უფრო დერივაციულ კონსტრუქციებს აქვთ.** ასე, გერმანული და ინგლისური დომინან-

ტურად ფლექსიური ენებია, მაგრამ დერივაციული კონსტრუქციები მათში უპირატესად აგლუტინაციური პრინციპით არის აგებული. შეიძლება ჩამოვყალიბოთ იერარქია:

*თუ ენაში გვაქვს ავტომატური ფორმაცვლადი მორფემები, მაშინ მასში იქნება ავტომატური სიტყვაწარმოებითი მორფემებიც, მაგრამ არა პირიქით.*

ავლუტინაციურობა-ფუზიურობა სიტყვის შინაგანი სტრუქტურის ამსახველია. ვფიქრობთ, რომ ეს ტიპოლოგიური პარამეტრი ენის ზოგად წყობას, ხასიათს ასახავს. მორფოლოგიური ტიპოლოგია მთლიანობითი ტიპოლოგიაა (მთლიანობითი ტიპოლოგიის შესახებ იხ. კლიმოვი 1983), რომელსაც იმპლიკაციები ენის სხვა დონეებზეც გააჩნია. ეს არ არის მხოლოდ შეერთების ტექნიკის საკითხი – ეს არის ენის წყობის, ხასიათის განმსაზღვრელი პრინციპი. მორფოლოგიური ტიპოლოგიის ფუძემდებლები – ვილჰელმ ჰუმბოლდტი, ფრიდრიხ და ავგუსტ შლეგელები, ნიკოლაუს ფინკი სწორედ სიღრმისეულ, ენის ხასიათის განმსაზღვრელ პრინციპად მიიჩნევდნენ მათ მიერ გამოვლენილ მორფოლოგიურ ტიპებს. თანამედროვე ტიპოლოგიურ გამოკვლევებშიც მორფოლოგიურ ტიპოლოგიას ჰოლისტური, ანუ მთლიანობითი ტიპოლოგიის კვალიფიკაცია ეძლევა (კომრი 1989:40). მორფოლოგიურ ტიპოლოგიას ფონოლოგიური იმპლიკაციები აქვს – მაგ., *მაიზოლირებელი ენები ჩვეულებრივ დომინანტურად მონოსილაბურია; სიტყვათა საშუალო ფონემური სიგრძე იზრდება ანალიზურიდან პოლისინთეზური ტიპისაკენ; ავლუტინაციურ ენებში ფონეტიკური პროცესები პროგრესულია, ხოლო ფუზიურ ენებში – რეგრესული.*

ისიც ცხადია, რომ კონსტრუქციები შეიძლება გადავიდეს ერთმანეთში და განვითარების ციკლი გაიაროს: ანალიზური კონსტრუქცია შესაძლებელია გახდეს ავლუტინაციური ავტონომიური ელემენტების ერთ ფორმად გაერთიანების შედეგად, ხოლო ავლუტინაციური კონსტრუქცია შესაძლებელია გახდეს ფუზიური მორფმათა შერწყმის საფუძველზე; შემდგომში ფლექსიური კონსტრუქცია შესაძლებელია კვლავ ანალიზურმა შეცვალოს, რადგან გარკვეული შინაარსის გამოსახატავად ენამ უფრო გამჭვირვალე კონსტრუქცია არჩიოს ფორმას, რომლის შინაგანი სტრუქტურა აღარ არის ნათელი. სინთეზურ ფორმათა ანალიზური ფორმებით შენაცვლებასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, თანამედროვე ინდოევროპულ ენებში, სადაც პერფექტის სინთეზური ფორმები კუთვნილების კატეგორიაზე დამყარებულმა ანალიზურმა კონსტრუქციებმა შეცვალა.

ძველი ქართულის თანდებულებანი კონსტრუქცია *მთასა ზედა, მას ზედა*, რომელიც ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან შედგება, გადადის ავლუტინაციურ და შემდეგ ფუზიურ კონსტრუქციებში: *მთაზე, მასზე*; ფორმა *მასზე* გამჭვირვალეა, ხოლო *მთაზე* უკვე რწყმული ფორმაა, რომელშიც მანინც ცოცხალია მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობა – შესაძლებელია ამ ბრუნვის ნულოვანი ალომორფის გამოყოფა *მასზე* ფორმისა და *მთასა და ბარზე* ტიპის კონსტრუქციათა გათვალისწინებით.

ფუზიურ ფორმათა ავლუტინაციურად გარდაქმნის ძირითადი საშუალებაა უნიფიკაციის პროცესი, რომელიც იზოლირებულ, არარეგულარულ ფორმებს

გაბატონებულ პარადიგმებს უქვემდებარებს. მაგალითად:

ქართული *ზის* – *ზიან*, ნაცვლად *ზის* – *სხედან* სუპლექტური ფორმებისა; *-ავ* და *-ამ* თემისნიშნის *ზმნათა III* სერიის ფორმებში *-ია* დაბოლოების გაბატონება: *დამიხატია*, *მიითქვია*, რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა სალიტერატურო ენაზე მეტყველთათვისაც;

ფუძედრეკადი ზმნებისათვის *-ავ* თემის ნიშნის დართვა და აბლაუტის ელიმინაცია: *დრეკ-ს* – *დრიკ-ა* ოპოზიციის ნაცვლად *დრიკ-ავ-ს* – *დრიკა* დაპირისპირების ჩამოყალიბება და მრავალი სხვა. ქართველურ ენათაგან უნიფიკაციის ტენდენციები განსაკუთრებით ძლიერია მეგრულსა და ლაზურში.

თუმცა ენებში კონსტრუქციათა ტიპის ცვალებადობა დადასტურებული ფაქტია, ისიც უდავოა, რომ ენა თავის მთლიანობით მორფოლოგიურ ტიპს ძალიან ნელა იცვლის. იმისათვის, რომ ფუზიურ ენაში წარმოქმნილმა აგლუტინაციურმა ან აგლუტინაციურ ენაში წარმოქმნილმა ფუზიურმა კონსტრუქციებმა ენის მთელი განწყობა შეცვალონ, ენის დომინანტური ტენდენცია უნდა შეიცვალოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ფუზიური მიდრეკილების ენა საკმაოდ სწრაფად „გადაადნობს“ აგლუტინაციურ კონსტრუქციებს ფუზიურად, ხოლო აგლუტინაციური წყობის ენა უნიფიკაციისა და ანალოგიის პროცესების მეშვეობით კვლავ გაასწორებს პარადიგმას და წარმოქმნილ ინდივიდუალურ, არარეგულარულ ფორმებს ერთგვაროვან, რეგულარულ სისტემაში მოაქცევს.

ფაქტია, რომ კლასიკური აგლუტინაციური ენები – თურქული, უგრო-ფინური ენები საუკუნეთა მანძილზე, სანამდეც თვალი მიგვიწვდება, არსებითად ინარჩუნებენ აგლუტინაციურ ხასიათს, ხოლო ინდოევროპულ ენათა უმეტესობა – ფუზიურ ბუნებას. ენათა მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობა შესაძლებელი ჩანს, მაგრამ სხვა ტიპოლოგიურ პარამეტრებთან შედარებით იგი გაცილებით უფრო მდგრადი პრინციპია.

## 2. აგლუტინაციურობა-ფუზიურობის ძირითადი მახასიათებლები

შესაძლებელია გამოიყოს აგლუტინაციურობა-ფუზიურობის შემდეგი ოთხი მახასიათებელი:

1. სიტყვაფორმის სეგმენტაციის სიმარტივე/სირთულე და მორფონოლოგიური პროცესების ავტომატური/არაავტომატური ხასიათი. აგლუტინაციურ ენებში მორფემათა ალომორფები ავტომატურია, ფლექსიურ ენებში – არაავტომატური. აგლუტინაციურ ენებში სიტყვების სეგმენტაცია მარტივია, ფუზიურში – ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელი. გრამატიკული მნიშვნელობები ხშირად სიტყვის ლექსიკური ნაწილის ცვლილებას უკავშირდება. მორფემათა ზღვარზე აგლუტინაციურ ენებში იშვიათად ხდება ცვლილებები, ფლექსიურ ენებში კი ხშირად.

2. მორფემათა მონოსემანტიკურობა-პოლისემანტიკურობა, ანუ ცალსახა-არაცალსახა მიმართება მნიშვნელობასა და ფორმას შორის. აგლუტინაციურ კონსტრუქციაში გამონახულებისა და შინაარსის პლანს შორის ცალსახა მიმართებაა, მორფემები ძირითადად მონოსემანტიკურია, ფლექსიურ ენებში კი პოლი-



სემანტიკური. ფუზიურ ენაში ერთი მორფემა ჩვეულებრივ მნიშვნელობათა კონას გამოხატავს: ბრუნვა და რიცხვი; პირი და რიცხვი; დრო, ასპექტი და კილო ჩვეულებრივ ერთი მორფემით ან სიტყვაფორმით გამოიხატება – ხშირად სიტყვათა მთლიანი ფორმები გამოხატავენ გრამატიკულ მნიშვნელობათა ერთობლიობას და ასეთი მთლიანობების სახით ქმნიან გრამატიკულ პარადიგმებს.

3. მორფოლოგიური სისტემის რეგულარობა. ეს ნიშანი პირველი ორიდან გამოდინარეობს. აგლუტინაციურ ენებს ახასიათებთ უაღრესად რეგულარული მორფოლოგია, ბრუნებისა და უღლილების სისტემათა მცირე ვარიაციულობა, არარეგულარულ ფორმათა სიმცირე, მონოპარადიგმატულობა. ასე, იაპონურში მხოლოდ ორი არარეგულარული ზმნაა, ლუგანდასა და თურქულში – თითო, კვეჩუაში საერთოდ არ არის არარეგულარული ზმნური ფორმები. საინტერესოა, რომ ასეთი მონაცემების წარმოდგენის შემდეგ (Wikipedia, the free encyclopedia, Agglutinative languages) ქართული ენის შესახებ ნათქვამია: ქართული ამ მხრივ გამოიკლავს: იგი აგლუტინაციური ენაა, მაგრამ აქვს არარეგულარულ ზმნათა დიდი რიცხვი, რომელთაც არარეგულარულობის სხვადასხვა ხარისხი ახასიათებთ. ვფიქრობთ, ეს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართული ენის აგლუტინაციურობას.<sup>1</sup> მართო იმ თავისებურ ზმნათა სია, რომელიც წარმოდგენილი აქვს აკაკი შანიძეს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, 174 ერთეულს შეიცავს.

ფლექსიურ ენათათვის კი, რომლებშიც ფორმები გაცილებით უფრო ინდივიდუალიზებულია, ნიშანდობლივია არარეგულარული მორფოლოგია, მრავალპარადიგმიანობა. გამოიყოფა სიტყვათა გრამატიკული კლასები, რომლებიც უღლილების და ბრუნების განსხვავებულ პარადიგმებს ქმნიან.

4. ფონეტიკური პროცესების მიმართულება. სიტყვის რწყმულობისა და მთლიანობის განსხვავებული ხარისხი აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენებში განსაზღვრავს ფონეტიკური პროცესების განსხვავებულ მიმართულებას: აგლუტინაციურ ენებში ფონეტიკურ პროცესებს ჩვეულებრივ პროგრესული მიმართულება აქვთ, ხოლო ფლექსიურ/ფუზიურ ენებში – რეგრესული. ე.ი. აგლუტინაციურ ენებში ჩვეულებრივ წინამავალი ბგერა მოქმედებს მომდევნოზე, ხოლო ფლექსიურ ენებში – მომდევნო ბგერა წინამავალზე. აგლუტინაციურ ენებში, როგორც ცნობილია, წამყვანი ფონეტიკური პროცესია *სინჰარმონიზმი*, როდესაც ძირის ხმოვნის ტემბრი განსაზღვრავს სუფიქსთა გახმოვანებას – ე.ი. ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია, ხოლო ფლექსიური ენებისათვის დამახასიათებელია *უძლავუტი*, როდესაც სუფიქსის ხმოვანი წინამავალ მორფემათა ხმოვნების ცვლილებას იწვევს – ე.ი. ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია. ასევე განსხვა-

---

<sup>1</sup> Agglutinative languages tend ... to be very regular. For example, Japanese has only two irregular verbs (and not *very* irregular), Luganda has only one (or two, depending on how 'irregular' is defined), Turkish has only one and in Quechua all the verbs are regular. Georgian is an exception; there is a significant number of irregular verbs, varying in degrees of irregularity.

ვებული მიმართულებისაა თანხმობენთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ აგლუტინაციური კონსტრუქცია ავტონომიურ მორფემათა შეერთებაა, ჯაჭვია, რომელშიც ყოველი წინამავალი აპრობებს მომდევნოს – სიტყვათა წარმოქმნა დროში თანმიმდევრულია, „მიზეზ-შედეგობრივია“; ხოლო ფლექსიურ/ფუზიურ ენაში სიტყვა ერთიანობას, მთლიანობას, ერთიან სამეტყველო განაზრახს წარმოადგენს, შესაბამისად – წინამავალი განაზრახს, მიზანს ესადაგება, სიტყვათა გენერაციას „მიზნობრივი“ ხასიათი აქვს.

ცხადია, რომ ქართველურ ენებში არის როგორც ფლექსიური (გლუგს-გლოგა ტიპის გრამატიკალიზებული ალტერნაცია), ისე აგლუტინაციური (კაც-ებ-ი ტიპის მონოსემანტიკურ მორფემათა ჯაჭვები, თუმცა ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს კონსტრუქციაც ვერ ჩაითვლება მთლიანად ავტომატურად) კონსტრუქციები, როგორც ავტომატური, ისე არაავტომატური მორფემები, მაგრამ რომელი ჭარბობს? და როგორია ენის საერთო ტენდენცია – ფუზიური ანუ მთლიანობითი, „მიზნობრივი“ თუ ჯაჭვური ანუ „მიზეზ-შედეგობრივი“? შევეცადოთ ჯ. გრინბერგის მიერ შემოთავაზებული რაოდენობრივი მახასიათებლისა და ზემოთ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე გავცეთ პასუხი ამ კითხვას.

### 3. ქართველურ ენათა შეფასება აგლუტინაციის რაოდენობრივი ინდექსის საფუძველზე

ჯ. გრინბერგმა ენის აგლუტინაციურობა/ფუზიურობის განსასაზღვრად შემოგვთავაზა რაოდენობრივი ინდექსი A/J, სადაც A ავტომატურ მორფემათა რიცხვია, ხოლო J – მორფემათა შეერთებების (Junctures) რიცხვი. ავტომატურია მორფემა, რომლის ალომორფები ავტომატური, უგამონაკლისო წესების საფუძველზე ნაწილდება. ამ ინდექსის მეშვეობით 100-სიტყვიანი ტექსტის ანალიზის შედეგად განსაზღვრა ჯ. გრინბერგმა 7 ენობრივი ერთეულის ხასიათი<sup>2</sup> ჩვენც ამ მოცულობის ტექსტები ავიღეთ საანალიზოდ. ჯ. გრინბერგი აგლუტინაციურად მიიჩნევს ენებს, სადაც აგლუტინაციის ინდექსის მაჩვენებელი 0.50-ს აღემატება. აგლუტინაციის ინდექსისათვის ქართველურ ენათათვის ჩვენ ასეთი მახასიათებლები მივიღეთ.<sup>3</sup>

<sup>2</sup> ერთი ენისათვის რამდენიმე საცდელი ტექსტის ანალიზის შედეგების მაღალი კორელაცია ჯ. გრინბერგს შესაძლებლობას აძლევს დაასკვნას, რომ 100 სიტყვიანი ტექსტი საკმარისია მის მიერ შემოთავაზებული ინდექსების განსაზღვრისათვის.

<sup>3</sup> საანალიზო მონაკვეთები აღებულია შემდეგი ტექსტებიდან: ახალი ქართული: მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები, რჩეული თხზულებანი, ტ. II, 1953, გვ. 295-296; ძველი ქართული: ხანძეტი ტექსტები, შობისათვის, თქუმული იოჰანე ეპისკოპოსისაჲ, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, 1943, გვ. 33; სვანური: სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, 1939, გვ. 75; მეგრული: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914, გვ. 3; ლაზური: ს. ჟღენტი, ლაზური ტექსტები, არქაბული კილოკავი, 1938, გვ. 6.

სვანური	0. 32
ახ. ქართული	0. 41
ძვ. ქართული	0. 44
ჭანური	0. 54
მეგრული	0. 58

შესადარებლად მოვიყვანო ჯ. გრინბერგის მიერ მიღებულ მახასიათებლებს სხვა ენებისათვის:

ესკიმოსური	0. 03
სანსკრიტი	0. 09
ანგლოსაქსური	0. 11
ინგლისური	0. 30
ახ. სპარსული	0. 34
იაკუტური	0. 51
სუაჰილი	0. 67

როგორც ვხედავთ, სვანური და ქართული ფლექსიურ ენათა კლასში ხვდებიან, მეგრული და ლაზური კი – აგლუტინაციურ ენათა კლასში. ამასთან, სვანური გამოკვეთილად ფლექსიური ენაა,<sup>4</sup> იგი ამ თვალსაზრისით თანამედროვე ინდოევროპულ ენათა – ინგლისურისა და სპარსულის გვერდით დგას. საინტერესოა, რომ ძველი ინდოევროპული ენები ფლექსიურობის გაცილებით მაღალ ხარისხს ავლენენ, ვიდრე შემკვიდრე ენები: სანსკრიტი და ანგლოსაქსური.

შევეცადოთ შინაარსობლივად გავიაზროთ რაოდენობრივი მახასიათებლები და ვნახოთ ის კონკრეტული მოვლენები, რომლებიც ქართველურ ენებში ასეთი მახასიათებლების მიღებას განაპირობებს.

კვანტიტატიური მახასიათებლები მიგვითითებენ, რომ ქართული და სვანური ერთი მიმართულების ენებია, ამიტომ ცალკეული პარამეტრების მიხედვით მათ მახასიათებლებს ერთად წარმოვადგენთ.

### 3.1. არაავტომატური მორფონოლოგიური პროცესები ქართულსა და სვანურში. თვისებრივი და რაოდენობრივი აბლაუტი ქართველურ ენებში

ქართულში საკმაოდ დიდია არაავტომატურ მორფემათა რიცხვი. არაავტომატური პროცესებია ხმოვანთა მონაცვლეობა და ფუძისეული ხმოვნის რედუქცია ზმნურ პარადიგმაში და ფუძის კუმშვა სახელურ პარადიგმაში. ზმნურ პარადიგმაში გვაქვს *ე/ი*, *ო/ა*, *ო/ე*, *ე/ა* აბლაუტური ალტერნაციები:

<i>ე/ი</i>	<b>აწმ. III პ.</b>	<b>წყვეტ. III პ.</b>
ფენ-ს		ფინ-ა

<sup>4</sup> მოსაზრება, რომ სვანური უპირატესად ფლექსიური ტიპის ენაა, გამოთქმული აქვს გ. მაჭავარიანს (მაჭავარიანი 1963:145).

ხევ-ს	გა-ნი-ა
ზელ-ს	ზილ-ა
გრეხ-ს	გრიხ-ა
ღრეკ-ს	ღრიკ-ა
კბენ-ს	უ-კბინ-ა
კრებ-ს	კრიბ-ა
ჭყლეტ-ს	ჭყლიტ-ა
ფხრეწ-ს	ფხრიწ-ა

ამავე ფონეტიკური სტრუქტურისა და მორფოლოგიური კლასის ზმნებში ასეთ ალტერნაციას შესაძლებელია არ ჰქონდეს ადგილი. შდრ. *ტეხ-ს – ტეხ-ა, წერ-ს – წერ-ა, ჩეხ-ს – ჩეხ-ა, კვეთ-ს – კვეთ-ა, ხვეწ-ს – ხვეწ-ა;*

**0/ა**

**აწმ. I პ.**                    **წყვ. I პ.**

ვ-კრ-ავ                    შე-ვ-კარ

ვ-ხნ-ავ                    მო-ვ-ხან

ვ-კლ-ავ                    მო-ვ-კალ

შდრ. *ვ-ბარ-ავ – დავ-ბარ-ე, ვ-ფარ-ავ – დავ-ფარ-ე, ვ-ხატ-ავ – დავ-ხატ-ე;*

ვ-ცლ-ი                    ვ-ცალ-ე

ვ-თლ-ი                    ვ-თალ-ე

ვ-ღვრ-ი                    ვ-ღვარ-ე

ვ-თხრ-ი                    ვ-თხარ-ე

შდრ. *ვ-მარგლ-ი – ვ-მარგლ-ე*

**0/ე**

**აწმ. I პ.**                    **წყვ. I პ.**

ვ-ჭრ-ი                    გა-ვ-ჭერ

ვ-ცრ-ი                    გა-ვ-ცერ

ვ-ქმნ-ი                    შე-ვ-ქმენ

ვ-ხსნ-ი                    გა-ვ-ხსენ

შდრ. *ვ-წველ-ი – ვ-წველ-ე*

ზემოთ წარმოდგენილი მონაცვლეობები არ არის ავტომატური. ერთი და იმავე ფონეტიკური აგებულების ძირში აბლაუტი ხან ხდება, ხან – არა. ერთი და იმავე ფონეტიკური ფორმის აფიქსი ხან იწვევს რაოდენობრივ თუ თვისებრივ ალტერნაციას, ხან არა.

სხვადასხვა განმარტებების ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა სემანტიკის მატარებელი შეიძლება აღმოჩნდეს და ფორმათა განმასხვავებლად მხოლოდ ძირისეული აბლაუტი მოგვევლინოს; ომონიმური მორფემებიდან: *ს<sub>3</sub> ა* იწვევს *ე/ი* აბლაუტს, საწყისის მანარმოებელი *ა* კი არა:

წვეტილი	საწყისი
გრიხა	გრეხა
გლიჯა	გლეჯა
ღრიკა	ღრეკა
წნიხა	წნეხა
მო-წვეტიტა	მო-წვევტა

რედუქციის თვალსაზრისით კი საწყისის -ა იწვევს ძირისეული -ს რედუქციას, მესამე პირის -ა კი არა:

წვეტილი	საწყისი
გა-თალ-ა	გა-თლ-ა
გა-ზარდ-ა	გა-ზრდ-ა
და-გავ-ა	და-გვ-ა
და-ყარ-ა	და-ყრ-ა
შე-ცვალ-ა	შე-ცვლ-ა
თხარ-ა	თხრ-ა
და-ღალ-ა	და-ღლ-ა

ე.ი. გვაქვს მოდელები: *გლეჯ-ს* – *გლიჯ-ა* – *გლეჯ-ა*, *ჭრ-ი-ს* – *ჭრ-ა* – *ჭრ-ა* და *თლ-ი-ს* – *თალ-ა* – *თლ-ა*; წვეტილის -ა იწვევს აბლაუტს და არ იწვევს რედუქციას, ხოლო საწყისის -ა იწვევს რედუქციას და არ იწვევს აბლაუტს. ამრიგად, -ა სუფიქსის მარედუცირებელი ძალა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმაზე, თუ რა მორფოლოგიური ფუნქციისაა ის, და, მეორე მხრივ, იმაზე, თუ როგორი ძირეული მორფემა უძღვის მას წინ – აბლაუტური ან რედუცირებადი, თუ უცვლელი. ეს ძირეული მორფემები კი როგორც ახალ, ისე ძველ ქართულში მხოლოდ სიების სახით შეიძლება წარმოვადგინოთ. ამდენად აქ ჩვენ გვაქვს ტიპური ფლექსიური ვითარება, როდესაც ძირისეული ზმოვნის ალტერნაცია არაავტომატურია და განასხვავებს ფორმის გრამატიკულ შინაარსს. მიზეზი ამ არარეგულარობებისა, ცხადია, ენის ისტორიაში უნდა ვეძებოთ.

აბლაუტური ძირები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ქართულში. რ. ქურდაძეს ფუძედრეკადი ზმნებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ე/ი ტიპის მონაცვლე 398 ერთეული აქვს გამოვლენილი და გაანალიზებული (ქურდაძე 2005:134). ფ. ერთელიშვილი 460 ასეთ ერთეულს ადასტურებს (ერთელიშვილი 1970:100). **0/ა** და **0/ე** ტიპის მონაცვლე ძირთა რაოდენობა კიდევ უფრო დიდია. ძირისეული ზმოვნის აბლაუტთან დაკავშირებული გრამატიკული მნიშვნელობები: *ღრო/ასპექტური: ღრეკს* – *ღრიკა* და გვარი და გარდამავლობა: *ის ღრეკს/მან ღრიკა* – *ის ღრეკბა/ის შეღრკა*.

სვანურში ფუძედრეკადი ზმნური ძირი ექვსი საფეხურის გახმოვანებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: *ა/ე/ი/ჯ/წ/0*. ფუძისეული ზმოვნის აბლაუტური მონაცვლეობა ზმნური პარადიგმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ზმოვნის ცვალებადობა მონაწილეობს გარდაუვალი და გარდამავალი ფორმების, მწკრი-

ვისა და პირის გარჩევაში. მოვიყვანთ ფორმებს, რომლებშიც ექვსივე აბლუტური საფეხური ვლინდება. ქვემოთ წარმოდგენილი ფორმები ამოღებულია ა. ონიანის ნაშრომიდან (ონიანი 1998:39):

ა-ფაშე „გაიხსნა“  
 ლი-ფეშე „გახსნა“ (საწყისი, ვნებ.)  
 ა-ფგშე „გახსენი“  
 ა-ფიშე „გახსნა“ (აორ. III პ)  
 ლგ-ფრშე „გახსნილი“, უ-ფრშე-ა „გაუხსნელი“  
 ლი-ფშე-ე „გახსნა“ (საწყისი, მოქმ.), მე-ფშე-ე „გახსნილი“

ა-გალ „გაიხა“  
 ლი-გელ „გახევა“ (ვნებ.)  
 ა-გგლ „გახიე“  
 ა-გილ „გახია“  
 ლგ-გრლ „გახეული“, უ-გრლ-ა „გაუხეველი“  
 ლი-გლ-ე „გახევა“ (მოქმ) ლა-გლ-ა „გასახევი“, მე-გლ-ე „გახეული“

სვანურში აბლაუტი განარჩევს გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებს:

კიდ-ე „მოაქვს, მოიტანს“	კედ-ნ-ი „მოდის, მოვა“
კ'ეიშ-ე „ტყუხს“	კ'ეშ-ნ-ი „ტყუდება“
დიგ-ე „აქრობს“	დეგ-ნ-ი „აქრება“

ეს პროცესი ქართველურ ენათათვის უძველესია – იგი საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:175-276).

ქართულ ენაში რედუქცია არც სახელურ პარადიგმაშია ავტომატური პროცესი. ერთსა და იმავე გარემოცვაში ხმოვნის ამოღება ხან ხდება, ხან არა, იგი არაწინასწარმეტყველებადი მოვლენაა. შევადაროთ ერთმანეთს:

ბალი – ბლის	ქალი – ქალის
ახალი – ახლის	ხალი – ხალის
კვალი – კვლის	ჭვალი – ჭვალის
წელი – წლის	ხელი – ხელის
მგელი – მგლის	ცმელი – ცმელის
ნალველი – ნალვლის	გველი – გველის
მტერი – მტრის	მწერი – მწერის
მტკერი – მტკრის	წვერი – წვერის
წვენი – წვენის	სხვენი – სხვენის
წითელი – წითლის	კახელი – კახელის
ფურცელი – ფურცლის	სახელი – სახელის
სანთელი – სანთლის	სათქმელი – სათქმელის
ფეხსაცმელი – ფეხსაცმლის	ჩამცმელი – ჩამცმელის

ჭარხალი – ჭარხლის  
ქათამი – ქათამის

მაყალი – მაყალის  
ვარამი – ვარამის

გვაქვს აბლაუტით განსხვავებული ფუძეები:

წელი – წლის და წელის – წელის

თვალი – თვლის და თვალი – თვალის

არაავტომატურია ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცის პროცესიც. შდრ. სახ. რკო – ნათ. რკოს(ი), მაგრამ ღვინო – ღვინის; დედა – დედის, მაგრამ ლურჯა – ლურჯას(ი), ხე – ხის, მაგრამ კაშნე – კაშნეს(ი);

არაავტომატურია რედუქციის პროცესი უბ მრავლობითი რიცხვის ნიშნის დართვის დროსაც: ბღ-ებ-ი, მაგრამ ქალ-ებ-ი და ასევე ყველა ზემოთ განხილულ ფორმებსა და მრავალ სხვა შემთხვევაში; ასე რომ, ეს კონსტრუქციებიც ვერ ჩაითვლება ავტომატურად და, ამდენად, აგლუტინაციურად. არაავტომატური მორფემებია მესამე პირის მორფემა ალომორფებით -ს, -ა, -ო, რომლებიც პირთან ერთად შეიცავენ ინფორმაციას მწკრივისა და ზმნურ კლასზე; ასევე არაავტომატური მორფემაა უწყვეტლის მარკერი -დ და -ოდ ალომორფებით, რომლებიც მწკრივის გარდა აღნიშნავენ ზმნათა დიფერენციას ორ დიდ კლასად, არაავტომატური მორფემებია თემის ნიშნები და ბევრი სხვა მორფემა, რომელთა ალომორფები შეპირობებულია ან მორფოლოგიურად, ან ლექსიკურად, ან არქაული ფონეტიკური პროცესების მოქმედების რელიქტებს წარმოადგენენ.

ამდენად, რედუქციის პროცესი ფუძის რაოდენობრივ აბლაუტს წარმოადგენს. კომპიუტერს თუ უცხოელს ვერ მივცემთ უგამონაკლისო წესებს, სარედუქციო და უცვლელი ფუძეები სიების სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

სახელის ბრუნება სვანურში კიდევ უფრო მკაფიოდ ამჟღავნებს ფლექსიურ ბუნებას: მთელი რიგი სახელებისა სახელობითისა და მიცემითის ფორმებს მხოლოდ ფუძის განხორციელებით განასხვავებს. ასეთებია, მაგალითად:

**სახ. მიც.**

ჭემ / ჭამ	„თივა/თივას“
ხამ / ხამ	„ლორი/ლორს“
ხეხჷ / ხახჷ	„ცოლი/ცოლს“
ლერაქჷ / ლერაქჷ	„ტანსაცმელი/ტანსაცმელს“
ჭიშხ / ჭეშხ	„ფეხი/ფეხს“
შდიქ / შდგქ	„კბილი/კბილს“
შიყ / შეყ	„ზურგი/ზურგს“
შდიმ / შდგმ	„ყური/ყურს“
თხჷიმ / თხჷიმ	„თავი/თავს“
მარე / მარა	„კაცი/კაცს“
თჷეთჷნე / თჷეთჷნა	„თეთრი/თეთრს“

მთელ რიგ სახელებში კი ფუძისეული ხმოვნის ცვალებადობა აფიქსთან ერთად მონაწილეობს სახელობითისა და მიცემითის გარჩევაში:

გუემ / გუაშუ	„საქმე/საქმეს“
ჭან / ჭაშუ	„ქმარი/ქმარს“
გან / გაჩუ	„დანა/დანას“
ბან / ბაჩუ	„ქვა/ქვას“

ამრიგად, თანამედროვე სვანურში უძველესი არაავტომატურ პროცესს წარმოადგენს. იგი ხორციელდება არა მარტო იქ, სადაც უძველესი გამომწვევი *ი* და *ე* ხმოვნებია წარმოდგენილი, არამედ იქაც, სადაც ეს ხმოვნები დღეს აღარ რეალიზდება: *კან* „ხარი“, *გაჭ* „გოჭი“, *ლომ* „ლომი“, *ანმარე* „მომამზადა“ და მისთ. ამასთან, მეორეული *ღ* რედუქციას არ იწვევს: მაგ., ლაღსუმა (მაჭავარიანი 1963:144).

ხმოვანთა რედუქცია არაავტომატურია ბალსქვემოურ დიალექტში, სადაც გრძელი ხმოვნები აღარა გვაქვს. რედუქციას განიცდიან ოდინდელი მოკლე ხმოვნები და არ რედუცირდებიან ის ხმოვნები, რომლებსაც ბალსქვემოურში გრძელი ხმოვნები შეესაბამება. მაგ. ბქ. *აბლე* „ბერავს“, *ატაბე* „თლის“, *ლოწანე* „მოძრაობა“, *ჯგვრავიშ* ... (და არა *აბლე*, *ატბე*, *ლოწნე*, *ჯგვრავიშ*) შდრ. ბზ. *აბლე*, *ატაბე*, *ლოწანე* (ონიანი 1998:48-49).

მთელი რიგი მორფონოლოგიური პროცესებისა არ არის ავტომატური სვანურში. ასე მაგალითად: მომდევნო **ხ**-ს გავლენით **ღ**თ ასიმილაციური ცვლილება ხორციელდება მაშინ, როცა ეს **ხ** პრეფიქსული მორფემის წარმომადგენელია (*ათ-ხ-ან* „წაიღე“ შდრ. *ად-დე* „წაიღო“) და არ ხორციელდება, თუ **ღ**-ს მომდევნო **ხ** ძირეული მორფემის კუთვნილებაა (*ად-ხნღ-ე* „გაახარა“, ონიანი 1998:32).

### 3.2. ფორმათა სემანტიკური დანაწევრებადობის კრიტერიუმი. ფორმათა და მორფემათა მონოფუნქციურობა/პოლიფუნქციურობა

ეს კრიტერიუმიც ქართული და სვანური ენების ფუზიურ ხასიათზე მიუთითებს. ქართულსა და სვანურში ზმნური პარადიგმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფორმათა უმრავლესობას რთული სემანტიკური კომპლექსები შეესაბამება. ფორმები არ წარმოადგენენ მონოსემანტიკურ მორფემათა ჯაჭვებს, თითოეულ მორფემას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ხოლო ფორმას მნიშვნელობათა კომპლექსი უკავშირდება.

ასეთია მწკრივის, როგორც უღლილების სისტემის ერთეულის ცნება. აკაკი შანიძემ მწკრივი თავიდანვე განსაზღვრა როგორც ფორმა, რომელსაც შინაარსის პლანში მნიშვნელობათა ნაერთი უკავშირდება. მწკრივი განისაზღვრება როგორც **დროის, კილოს, გზისობის, აქტის, თანამდევრობის** კატეგორიათა გამომხატველი ფორმა (შანიძე 1980:215). აკაკი შანიძე მწკრივის კატეგორიის შესახებ წერს: „მწკრივი გრამატიკულ კატეგორიად [უნდა] იქნეს მიჩნეული, ოღონდ სხვა კატეგორიები მარტივია, დაუშლელი, მწკრივი კი რთულია, და შეიცავს რამდენიმე კატეგორიას, ელემენტებად წოდებულს“ (იქვე, გვ. 217).



საინტერესოა ანალოგია, რომლითაც იგი განმარტავს მწკრივის კატეგორიის არსს: „როგორც რეალურია... წყალი, კირი ან კაჟი, რომელთა ქიმიური შედგენილობა –  $H_2O$ ,  $CaO$ ,  $SiO_2$  სპეციალისტის გარდა არავინ იცის, ასევე რეალურია ენაში მწკრივი“ (გვ. 216). ეი მწკრივი ფუნქციური ერთეულია, ის არ არის ელემენტარულ მორფემათა ჯგუფი, აქ არა გვაქვს ცალსახა მიმართება მორფემასა და მნიშვნელობას შორის. ძველ ქართულში ეს კიდევ უფრო მკვეთრად იყო გამოხატული, რადგან სრული-უსრული ასპექტის დაპირისპირება უღვლილების სისტემაში აისახებოდა. ზმნისწინით ასპექტის მარკირება კი უფრო უახლოვდება აგლუტინაციურ პრინციპს.

აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენებს განასხვავებს აფიქსთა **მონოფუნქციურობა/პოლიფუნქციურობა**: აგლუტინაციურ ენებში აფიქსებს ჩვეულებრივ ერთი ფუნქცია აქვს, ხოლო ფლექსიურ ენაში აფიქსები უმეტესად პოლიფუნქციურია. ასე მაგალითად, თურქულ ენაში ბრუნვასა და რიცხვს სხვადასხვა აფიქსები გამოხატავენ: *adam-lar-in* „კაც-ებ-ის“ ფორმაში *-lar* მრავლობითის მაწარმოებელია, ხოლო *-in* – ნათესაობითი ბრუნვისა. ინდოევროპულ ენებში, როგორც წესი, ბრუნვასა და რიცხვს ერთი მორფემა გამოხატავს. ქართული *კაც-ებ-ის* მონოფუნქციურ მორფემათა მიმდევრობაა, მაგრამ ასეთივე არ არის ძველ ქართულში გაბატონებული მრავლობითი რიცხვის ფორმა *კაც-თა*, სადაც *-თა* გამოხატავს როგორც რიცხვს, ისე ბრუნვას, ამასთან ბრუნვის გამოხატვა სინკრეტულია, *-თა* შეესაბამება როგორც ნათესაობითს, ისე მოთხრობითსა და მიცემითს.

ქართულსა და სვანურში ბევრია პოლიფუნქციური მორფემა: პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი *გვ-*, მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნები *-ნ, ენ, -ან, -ნენ, -ეს*; მესამე პირის ნიშნებს მხოლოდობითში */-ს, -ა, -ო/* და მრავლობითში */-ნ, -ენ, -ან, -ნენ, -ეს/* ერთდროულად პირის, რიცხვისა და მწკრივის (დროის, ასპექტისა და კილოს) აღმნიშვნელად მიიჩნევენ (არონსონი 1991:245-246; ბოედერი 2002:91; ბარამიძე 2008:5, 91). მართლაც, *წერ-ს* და *წერ-ა* ფორმებში **დროსა და ასპექტს, ეი. მწკრივს** სწორედ ისინი განასხვავებენ. პირისა და ნიშნის კომბინაციათა მწკრივებთან შესაბამისობა გვაძლევს სქემას: *-ს – ენ – აწმყო, -ს – -ნენ – აწმყოს კავშირებითი;* *-ა – ეს – აორისტი, -ს – -ნ – II კავშირებითი;* პირის ნიშანთა განაწილება ზმნურ კლასებს შორის განსხვავების დამყარებაშიც მონაწილეობს: *-ა* აწმყოში ვლინდება სტატიკურ ზმნებსა და ვნებითებში; წყვეტილში **გვარსა და ვალენტობას** მხოლოდ *-ს*, და *-ა* *სუფიქსები* განასხვავებენ: შდრ. *იწყებს ის მას* და *იწყება ის*.

თემის ნიშანს **აწმყოს თემის** წარმოებასთან ერთად **გვარის** იდენტიფიკაციის ფუნქციაც აქვს: *გორ-ავ-ს* და *გორ-დ-ებ-ა, ა-გორ-ებ-ს, თბ-ებ-ა* და *ა-თბ-ობ-ს* ფორმების ერთმანეთისაგან განსხვავებას თემის ნიშნები და პირის ნიშნებიც ამყარებენ და ამდენად, მათ ეს ფუნქციაც აქვთ. *ვ-ი-ზრდ-ი* და *ვ-ი-ზრდ-ებ-ი* ასევე თემის ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ეს განსხვავება შეესაბამება მოქმედებითი/ვნებითი გვარისა და ორპირიანი/ერთპირიანი ფორმების განსხვავებას. II სერიაში თემის ნიშნის უქონლობა ამ ფორმათა სინკრეტიზმს

განაპირობებს: *გა-უ-ი-ზარდ-ე* (მე ან ის ჩემთვის). ასევე მესამე პირისთვის: *ის თავისთვის იწერს ამბავს და ამბავი იწერება* აორისტში მოგვცემს ერთგვარ ფორმებს: *მან თავისთვის და-ი-წერ-ა ამბავი და ამბავი და-ი-წერ-ა; თავისთვის ი-ხატ-ავ-ს და ი-ხატ-ებ-ა* – აორისტში ორივე მოგვცემს ფორმას *და-ი-ხატ-ა*.

ზმნურ კლასებს განასხვავებენ უწყვეტლის მაწარმოებელი (სავრცობი ა. შანიძის ტერმინოლოგიით) ჯ და -ოდ: -დ გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნებში, ხოლო -ოდ ძირითადად ვნებითი გვარის ზმნებში. ე. ი. ეს მაწარმოებლები ერთ-დროულად მწკრივისა და გვარის სემანტიკას გადმოსცემენ.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ახალ ქართულში ჩამოყალიბებული პირის მარკირების ყალიბი *ე- ... -ვარ, 0-ხარ, -ა<არის: ვვდივარ, ვაბივარ, ვყვირი-ვარ, ვწვევარ...* რომელიც პროცესუალური, განგრძობითი სემანტიკის ზმნურ ფორმებში ვლინდება. პირის ნიშანთა ეს ყალიბი პირის კატეგორიასთან ერთად სრულიად აშკარად პროცესუალობის კატეგორიის მარკერად გვევლინება. აქაც ფორმა და მარკერები პოლისემანტიკურია.

ძველ ქართულში კიდევ უფრო დიდია მესამე პირის აღმნიშვნელ მორფთა რიცხვი: მხოლობითში – *-ს, -ნ, -დ, -ა, -ო;* მრავლობითში – *-ეს, -ენ, -ან, -ნ, -უდ;* ლ. ბარამიძე მართებულად მიიჩნევს, რომ ეს ელემენტები აღნიშნავენ არა მარტო პირსა და რიცხვს, არამედ იმ ზმნურ კატეგორიებსაც, რომლებთან კავშირშიც ისინი ვლინდებიან და რომელთა ფორმების იდენტიფიკაციაშიც ისინი იღებენ მონაწილეობას. ეს კატეგორიებია დრო, კილო, ასპექტი, ჯერობა (ბარამიძე 2008:4, 91; 2003).

ქცევის ნიშანი *უ-* შეიცავს მითითებას არა მარტო ქცევით მიმართებაზე, არამედ მესამე ირიბ ობიექტურ პირზეც: *უ-შენებს ის მას მას* (შდრ. *მ-ი-შენებს ის მე მას*, სადაც პირისა და ქცევის ნიშნები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი). ვ. ბოედერი *უ-*ს პორტმანტო მორფს უწოდებს – ე.ი. ფორმას, რომელიც ორი მორფემის სემანტიკას გადმოსცემს (ბოედერი 1968:97).

**ზმნისწინები** ლექსიკური დერევაციისა და სივრცითი ორიენტაციის გარდა ასპექტისა და მწკრივის მაწარმოებლებია. *ჩავწერ, დავწერ, გადავწერ, მივწერ* ფორმებში *ვწერ* ფორმის საპირისპიროდ ზმნისწინი გამოხატავს ერთდროულად სივრცით მიმართებასაც და მწკრივის სემანტიკაში შემაჯალ დრო/ასპექტურ მნიშვნელობებსაც. მყოფადის წრეში ზმნისწინი მწკრივის მაწარმოებელია.

### 3.3. მორფოლოგიური სისტემის რეგულარულობა. მონოპარადიგმულობა/პოლი-პარადიგმულობა

აგლუტინაციურ ენათათვის დამახასიათებელია მონო-, ხოლო ფუზიურ ენათათვის – მრავალპარადიგმიანობა. ამ თვალსაზრისითაც ქართული და სვანური ფუზიურ ბუნებას ავლენენ.

ზმნის უღვლილება უაღრესად რთულ მრავალპარადიგმიან სისტემას ქმნის. ა. შანიძე 4 ტიპის უღვლილებას გამოყოფს. I ტიპს მიაკუთვნებს მოქმედებითი გვარის ზმნებს, მეორე ტიპს – დინამიკურ ვნებითებს, მესამეს – საშუალო-მოქმედებითი ტიპის ზმნებს და მეოთხეს – საშუალო-ვნებითებს; ამასთან ამბობს,

რომ თითოეულ ტიპში გამოიყოფა ქვეტიპები და მრავალი თავისებურება დასტურდება (შანიძე 1980:488-489).

თუ ამოცანად დავისახავთ მთელი ზმნური ლექსიკის მორფოლოგიურ კლასებად განაწილებას, რომელშიც ფორმათა წარმოების მთელი მრავალფეროვნება იქნება ასახული, გაცილებით უფრო რთულ სურათს მივიღებთ. დ. მელიქიშვილი ქართული ზმნის უღლილებაში **66 პარადიგმას** გამოყოფს. მის კლასიფიკაციას 3 ტიპი უდევს საფუძვლად, რომლებსაც იგი დიათეზებს უწოდებს და თითოეულში გამოყოფს ქვეკლასებს: პირველ დიათეზაში – 34 პარადიგმას, მეორეში – 18-ს და მესამეში – 14-ს. ქართული ზმნური სისტემის მოწესრიგების ეს ცდა გარკვევით გვიჩვენებს ქართული უღვლილების მრავალპარადიგმიანობას და პარადიგმებში ზმნათა განაწილების არაწინასწარმეტყველებადობას.

ამას გარდა, ზმნური კატეგორიების დიდი წილი არარეგულარულ წარმოებებს გვიჩვენებს: მესამე პირის მორფემები მხოლობითსა და მრავლობითში, უწყვეტლის წარმოება, ვნებითის -*ინიანი*, -*დონიანი* და *უნიშნო* წარმოება ზმნათა ლექსიკურ კლასებზე არის დამოკიდებული; ასევე ლექსიკური კლასებით არის შეპირობებული „ვნებითი გვარის“ ნიშანი *ე*.

ძველ ქართულში მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნის გამოვლენა დამოკიდებული იყო ზმნურ კლასებზე. ა. შანიძე გამოყოფს ამ თვალსაზრისით *ჰყოფს* და *ქდაგებს* ტიპის არაწინასწარმეტყველებად ლექსიკურ კლასებს.

აკაკი შანიძეს ცალკე თავი აქვს მიძღვნილი ზმნურ წარმოებათა თავისებურ, ანუ არარეგულარულ წარმოებათათვის. ამ რიგის მოვლენათაგან მას განხილული აქვს მონაცვლეობა მწკრივში, ანალოგიით გამოწვეული ცვლილებანი ფუძეში, ანალიზურ წარმოებათა სინთეზურად ქცევა, განსხვავებულ ფონეტიკურ პროცესთა შედეგების გამყარება სხვადასხვა მწკრივში და სხვ. ამ თავს ასრულებს თავისებურ **ზმნათა სია, რომელიც 174 ერთეულს მოიცავს** (შანიძე 1973: 496-556). ცხადია, ეს სია სრული არ არის, არარეგულარულ ფორმათა რაოდენობა უფრო დიდია. ეს არის ინდივიდუალური არარეგულარობები, გარდა იმ „რეგულარული“ არარეგულარობებისა, რომელიც სისტემის მრავალპარადიგმიანობიდან, მთლიანი ზმნური კლასების უღვლილების თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

ასეთივე მრავალპარადიგმიანი და არაწინასწარმეტყველებადია სვანური უღვლილების სისტემა. ა. ონიანი აწმყოს მწკრივის მაწარმოებელთა შესახებ წერს: „ერთნაირი ფონოლოგიური და მორფოლოგიური აგებულების გარდამავალ ზმნათაგან ზოგში *ე* ალომორფია წარმოდგენილი, ზოგში – *ა*, ზოგში კი – *0*, მათი განაწილების წესის დადგენა ამიტომ, ცხადია, არ ხერხდება. ერთადერთი შესაძლებლობა არის იმ ზმნათა სიების შედგენა ცალ-ცალკე, რომლებშიც თითოეული ალომორფი ვლინდება“ (ონიანი 1998:157). I სერიის სხვა მწკრივთა წარმოების ვარიაციები ძირითადად აწმყოს ფუძეს ემყარება. II სერიის მწკრივთა წარმოების 5 მოდელი გამოიყოფა (ონიანი 1998:190). ასე რომ, ზმნის უღვლილის ფარგლებში პარადიგმათა საკმაოდ დიდი რაოდენობა გამოიყოფა. პარადიგ-

მებისათვის ზმნების მიკუთვნება სიების საფუძველზე კი სწორედ ფუზიურ ენათათვის არის დამახასიათებელი

გასახაზია, რომ არარეგულარული პროცესები განსაკუთრებით დამახასიათებელია **ზმნური** სისტემისათვის ქართულსა და სვანურში, ხოლო ზმნური სისტემის ხასიათი განმსაზღვრელია ქართველური ენების მორფოლოგიისათვის

სახელის ბრუნებაც არ არის მონოპარადიგმული და მარტივი სვანურში. თ. შარაძენიძე ბრუნების 5 ტიპს გამოყოფს (შარაძენიძე 1955), ა. ონიანი კი – ორს, თითოეულს ორი ქვეტიპით; ასე რომ, ამ კლასიფიკაციაშიც 4 პარადიგმა გვაქვს. ბრუნები სვანურში არაავტომატურ ალომორფთა რიგებით არის წარმოდგენილი. დასტურდება ბრუნვათა შემდეგი ალომორფები (ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე 2007:83):

- მიცემითი: -ს, -ჲ, -ნ(ა), -ა, -ამ;
- მოთხრობითი: -დ, -ჲ-ემ, -ნ-ემ, -ა-დ, -ემ(ემ)
- ნათესაობითი: -ის, -ჲშ, -ემ, -ჲ-ემ-იშ, ი-ნ
- მოქმედებითი: -შჲ/ჲშ, -ოშ, -ამ-შჲ
- ვითარებითი: -დ, -ჲ-დ, -ნ-პრ-დ, -ა-დ, -ამ-დ

ცხადია, რომ პარადიგმათა და ბრუნვის ნიშანთა ასეთი ვარიაციულობა ფლექსიური ტიპისთვის უფრო არის დამახასიათებელი, ვიდრე აგლუტინაციურისთვის.

### 3.4. ფონეტიკური პროცესების პროგრესულობა/რეგრესულობა

კონსტრუქციათა ფლექსიურობა/აგლუტინაციურობისაკენ მიდრეკილებას ენებში შეესაბამება ფონეტიკურ პროცესთა რეგრესული თუ პროგრესული ხასიათი. აგლუტინაციური ენები ტენდენციას იჩენენ პროგრესული ფონეტიკური პროცესებისადმი, რომლებშიც წინამავალი მოქმედებს მომდევნოზე: ე.ი. მორფემები ჯაჭვურ მიმდევრობას ქმნიან, და ენობრივ ცნობიერებაშიც მომდევნო ესადაგება წინას. ფუზიურ ენებში სიტყვა ერთ მთლიანობად არის შერწყმული, სიტყვის სამეტყველო განაზრახი მთლიანობითა და მომდევნო ერთეული უკვე არის გამიზნული წინას წარმოთქმისას. ამიტომ, ფუზიურ ენებში უპირატესობა ეძლევა რეგრესულ ფონეტიკურ პროცესებს, როდესაც მომდევნო მოქმედებს წინაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფლექსიური ტიპის ენებისათვის დამახასიათებელია აბლაუტური მოვლენები, რომლებიც წარმოშობით რეგრესულ **უძლავუტს** ან რეგრესული ხასიათის რედუქციას წარმოადგენენ; ხოლო აგლუტინაციური ენებისათვის დამახასიათებელი პროცესი **სინჰარმონიზმია**, რომელშიც წინა მორფემის გახმოვანება განსაზღვრავს მომდევნო მორფემათა გახმოვანებას: მაგალითად:

- ყირგიზული
- ata-lar „მამები“
- ene-ler „დედები“
- უნგრული:

fal-on „კედელზე“  
 kep-en „სურათზე“  
 türk-ön „სარკეზე“

აგლუტინაციურ ენებში თანხმოვანთა ურთიერთგავლენაც ჩვეულებრივ პროგრესულია. ასე, თურქულ ენებში ხმოვანთა ჰარმონიასთან ერთად **თანხმოვანთა ჰარმონიაც** მოქმედებს. მჟღერი თანხმოვნით დამთავრებულ ძირს თანხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას სუფიქსის მჟღერი ვარიანტი ერთვის, ხოლო ყრუ თანხმოვანზე დამთავრებულ ძირს – სუფიქსის ყრუ ვარიანტი. ე.ი. მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი მიმდევრობის მჟღერობა-სიყრუე განისაზღვრება ძირის ბოლოკიდური თანხმოვნის ხასიათით. მაგალითად, წარსულის მაწარმოებელი წინა რიგის ხმოვნებისა და ყრუ თანხმოვნების შემდეგ არის *-ti* (მაგ. *git-ti* „წასვლა+წარსული“), უკანა რიგის ხმოვნებისა და ყრუ თანხმოვნების შემდეგ *-ti* (*yap-ti* „კეთება+წარსული“), წინა რიგის ხმოვნებისა და მჟღერი თანხმოვნების შემდეგ *-di* (*gel-di* „მოსვლა+წარსული“).

ფინურ-უგრულ ენებშიც გვაქვს მსგავსი მოვლენები. ასე მაგალითად, უგრულში იმპერატივის ფორმებში სუფიქსის თავკიდური თანხმოვნის სახე ძირის აუსლაუტის თანხმოვნით არის შეპირობებული:

<b>ძირი</b>		<b>ბრძ. II მრ.</b>
ír	„წერა“	ír-jatok
hoz	„ტარება“	hoz-zatok
mos	„რეცხვა“	mos-satok [moššotok]

ასევე პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს ფონეტიკური პროცესები მარიულში: ყრუ ხშულებისა და მჟღერი სპირანტების ნეიტრალიზაცია ხდება სონორების შემდეგ (ტრუბეცკოი 1960:261). მორდოვულში პალატალიზაციის დაპირისპირება /t-t', d-d', n-n', r-r', l-l'/ ნეიტრალიზდება წინა რიგის ხმოვნების შემდეგ (ტრუბეცკოი 1960:259). ლეზგიურში ტრუბეცკოის განსაზღვრით ინტენსივობის კონსონანტური კორელაცია ნეიტრალიზდება იმ მარცვლების შემდეგ, რომლებიც შედგება ყრუ თანხმოვნისა და ფართო ხმოვნისაგან (ტრუბეცკოი 1960:263).

ფლექსიურ ენებში კი, მაგალითად, რუსულში, ფონეტიკური პროცესები ძირითადად რეგრესულია.

ქართველურ ენებში როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაციური ცვლილებები უპირატესად რეგრესულია, მომდევნო მოქმედებს წინამავალზე: *მეიტანა < მოიტანა, წუულო < წაულო... შჭამს < სჭამს, აკეთეფს < აკეთებს, ერდგული < ერთგული... ირიბი ობიექტის კ->ხ-/შ- გადასვლა კბილისმიერი და ნუნისმიერი თანხმოვნების წინ; რეგრესული პროცესია სვანური უძლაუტი, რედუქციის პროცესები ქართულსა და სვანურში, რომლებსაც მომდევნო სუფიქსის ხმოვანი იწვევს. რეგრესული ფონეტიკური პროცესების დომინანტურობით ქართველური ენები ფლექსიურ ენებთან უფრო ახლოს მდგომად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე აგ-*

ლუტინაციურებთან. ერთადერთ სისტემურ პროგრესულ პროცესად შეიძლება მივიჩნიოთ რ-რ>რ-ლ დისიმილაცია; ამ პროცესის პროგრესულობას შესაძლებელია შესაბამის კონსტრუქციათა აგლუტინაციური ხასიათი განაპირობებდეს: დისიმილაცია მოსდის არა ძირისეულ, არამედ სუფიქსისეულ ფონემას – *რუს-ულ-ი, ფრანგ-ულ-ი ქართ-ულ-ი*. ამ წარმოებებში ფორმათა აგებულება გამჭვირვალეა, პროცესი რეგულარულია, ძირის ფორმა განსაზღვრავს სუფიქსის ფორმას. აქაც მართლდება დებულება, რომ დერივაციული კონსტრუქციები უფრო იხრებიან აგლუტინაციურობის პრინციპისაკენ, ვიდრე ფლექსიური. საინტერესოა, რომ ამ წესს შეიძლება ჰქონდეს გამონაკლისები, თუ არა გვაქვს კონსტრუქცია ძირი+სუფიქსი: შდრ. მაგ. დიალექტური: *დილექტორი<დირექტორი*. ეს ფორმა ქართული ცნობიერებისათვის არ იშლება და მასში დაუბრკოლებლად მოქმედებს პროცესის რეგრესულობის ტენდენცია.

ასიმილაციურ პროცესთა პროგრესულობა/რეგრესულობაც ისეთსავე რაოდენობრივ მახასიათებელს წარმოადგენს, როგორც ავტომატურ/არაავტომატურ მორფემათა ფარდობა. დომინანტურად პროგრესული მიმართულების ენაში შეიძლება ხდებოდეს ერთეული რეგრესული პროცესები. ეს დამოკიდებული უნდა იყოს კონკრეტულ კონსტრუქციათა აგლუტინაციურ თუ ფუზიურ ხასიათზე.

#### 4. მეგრულ-ლაზური აგლუტინაციურობა/ფუზიის თვალსაზრისით

როგორც ზემოთ ვნახეთ, მეგრულ-ლაზურში აგლუტინაციურობის ინდექსის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია: მეგრულში – 0.58, ლაზურში – 0.54. ანალოგიისა და უნიფიკაციის პროცესებმა ამ ენობრივ ერთეულებს აგლუტინაციური ხასიათი შესძინა. მეგრულ-ლაზური მორფოლოგია გაცილებით უფრო რეგულარულია, ვიდრე სვანური და ქართული. უნიფიცირებულია როგორც სახელური, ისე ზმნური პარადიგმები, ელიმინირებულია აბლაუტური ფორმები, შესუსტებულია რედუქციის მექანიზმი. ამიტომ აქ ავტომატურ მორფემათა რაოდენობა დიდად არის გაზრდილი.

საინტერესოა, რომ შესაბამისად, მეგრულ-ლაზურში საკმაოდ გავრცელდა პროგრესული ფონეტიკური პროცესები. გ. კარტოზია მიუთითებს ხმოვანთა პროგრესულ ასიმილაციაზე დასავლურ ლაზურში (ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში): რთული ზმნისწინის მეორე ხმოვანი ემსგავსება პირველს, თუ ზმნისწინს CV მიმდევრობა მოსდევს: *ეკა>ეკე, ელა>ელე, გელა/ჯელა>გელე/ჯელე, მენ(ნ)და>მენ(ნ)დე, ემა/ემკა>ემე/ემკე, გემა>გემე, მემა/მეშკა>მეშე/მეშკე, ეწა>ეწე, გეწა>გეწე, მე(ა)>მე(ა)ე, ეა>ე(ა)ე, გოლა>გოლო, გომა/გოშკა>გოშო/გოშკო, გოწა>გოწო, მოკა>მოკო, მოლა>მოლო, მო(ა)>მო(ა)ო, მომა/მოშკა>მოშო/მოშკო*; არის ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის ბევრი სხვა შემთხვევაც: *უყოუნტუ>უყოონტუ* „ჰყავდა“, *ოინი>ოონი* „თამაში“, *დეკიკე>დეიკე>დეეკე* „წუთი“, *ყვაილი>ყვაილი>ყვაელი*, *საიბი>საები* „ბატონი“ და სხვ. (კარტოზია 2005:47-50);

მეგრულში ამ თვალსაზრისით საინტერესოა -თმV- ელემენტი, რომელიც აწმყოს ფორმებში III რანგის პრეფიქსული მორფემაა. მისი გახმოვანება განი-

საზღვრება წინამავალი პრეფიქსის გახმოვანებით, ჩვეულებრივ ეს არის ზმნის-წინი (გუდავა, გამყრელიძე 2000:189). შდრ. მაგალითად: *ე-თმე-ჭარუნს* „აღ-წერს“ და *დო-თმო-ღირთუ* „დგება“.

## 5. დასკვნა

წარმოდგენილი ფაქტები მოწმობს, რომ ქართულსა და სვანურში სიტყვის აგებულების განმსაზღვრელ პრინციპს ფუზიურობის (ფლექსიურობის) პრინციპი წარმოადგენს. ფუზიურ მოვლენათა აქ წარმოდგენილ მაგალითებს ადვილად შეიძლება ბევრი სხვაც დაემატოს. ვფიქრობთ, ქართველურ ენათა სპეციალისტებისთვის ასეთი ფაქტების გახსენება სიძნელეს არ წარმოადგენს. ქართული ენის დესკრიფციული ანალიზის ცდები, როდესაც ზმნურ ფორმათა ანალიზისას *ნულოვან ალომორფთა დიდი რიცხვის პოსტულირება ხდება*, ქართული ენის ფუზიური ფორმების აგლუტინაციურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს; თუ ფორმა შეესაბამება გარკვეულ მნიშვნელობებს და განსხვავდება სხვა ფორმებისაგან, მაშინ, ცხადია, იგი მნიშვნელობათა მთელი კომპლექსის გამომხატველია და არ არის საჭირო რეალიზებული ფორმის გვერდით ვირტუალური მონოფუნქციური ალომორფების პოსტულირება.

ვფიქრობთ, ერთ-ერთი მოტივი ქართული ენის აგლუტინაციურად მიჩნევისათვის მისი სინთეზურობის მაღალი ხარისხია. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, სინთეზის ხარისხი და აგლუტინაციურობის ხარისხი სხვადასხვა პარამეტრებია. ჯ. გრინბერგის შეფასებით (რომელსაც ალბათ უნდა ვენდოთ) ესკიმოსურის სინთეზის ხარისხი არის 3.72, ე.ი. ენა გამოკვეთილად პოლისინთეზურია, ხოლო აგლუტინაციის ხარისხი არის 0.03 (გრინბერგი 1960:91), ე.ი. ენა არ არის აგლუტინაციური, მისი აგლუტინაციურობის ხარისხი სანსკრიტისა (0.09) და ანგლოსაქსურისაზე (0.11) დაბალია. სპეციალისტები გახაზავენ გრენლანდიურის ენის მორფოფონოლოგიის დიდ სირთულეს. მასში ფართოდ არის წარმოდგენილი რეგრესული ფონეტიკური პროცესები (ფორტესკიუ 1984). ამგვარად, ჩვენს წინაშე სინთეზის ხარისხისა და აგლუტინაციის ხარისხის ურთიერთმიმართების საინტერესო პრობლემაა. **ქართველური ენები და ესკიმოსური არ ეთანხმებიან მთარულ აზრს, რომ მაღალი სინთეზურობის ენები აუცილებლობით აგლუტინაციური უნდა იყოს.** რეგრესული ფონეტიკური პროცესები არის დადასტურებული ავსტრალიურ პოლისინთეზურ ინკორპორაციულ ენაში რემბარნგა: ზმნურ ძირში *i/u* ალტერნაცია მომდევნო ხმოვნით არის შეპირობებული (საულვიკი 2009:992; ჰუმბოლდტი 1984).

ჩვენი აზრით, ფონეტიკური პროცესების პროგრესულობა/რეგრესულობა ენის ფუზიური თუ აგლუტინაციური ტენდენციის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

საერთო-ქართველურში აღდგენილი როგორც ფონეტიკური, ისე აბლაუტური პროცესები, ასევე საერთო-ქართველურ მორფემათა პოლიფუნქციურობა, არარეგულარული მორფოლოგიური პარადიგმები, განსხვავებული უღვლილების მქონე ზმნური კლასების არსებობა გვაგვარაუდებინებენ, რომ იგი ფლექსიური ტიპის ენა უნდა ყოფილიყო. ამიტომ მეგრულისა და ლაზურის გადახრა აგლუტინაციუ-

რობისკენ მეორეული უნდა იყოს. მათში აგლუტინაციის ხარისხის ზრდის ძირითად საფუძველს პარადიგმატული უნიფიკაციის ძლიერი ტენდენციები უნდა წარმოადგენდეს.

### *ლიტერატურა*

- არონსონი 1991*: Aronson H. I., Modern Georgian, The Indigenous Languages of the Caucasus, V. I, The Kartvelian Languages, ed. A. Harris, Caravan books, New York.
- ბარამიძე 2003*: ლ. ბარამიძე, სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის ძველ ქართულში, თბილისი.
- ბარამიძე 2008*: ლ. ბარამიძე, ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბილისი.
- ბოედერი 1968*: Boeder W., Über die Versionen des georgischen Verbs, Folia Linguistica, Tomus II, 1-2.
- ბოედერი 2002*: Boeder W., Syntax and Morphology of Polysynthesis in Georgian Verb, Problems of Polysynthesis, ed. N. Evans and H-J. Sasse, Studia Typologica 4, Akademie Verlag, Berlin.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965*: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.
- გრინბერგი 1960 (1963)*: Greenberg J. H., A Quantitative Approach to the Morphological Typology of Language, International Journal of American Linguistics, Vol. XXVI, 3. რუსული თარგმანი: Дж. Гринберг, Квантитативный подход к морфологической классификации языков, Новое в лингвистике, 3, 1963.
- გუდავა, გამყრელიძე 1981 (2000)*: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმევანთ-კომპლექსები მეგრულში, თბილისის უნივერსიტეტი აკაკი შანიძეს, თბილისი; გადაბეჭდილია: თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000.
- ერთელიშვილი 1980*: ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.
- თოფურია 2002*: ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, შრომები, II, თბილისი.
- კარტოზია 2005*: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი.
- კლიმოვი 1983*: Климов Г. А., Принципы контенсивной типологии, Москва.
- კომრი 1989*: Comrie: B., Language Universals and Linguistic Typology, Syntax and Morphology, Chicago.
- მაჭავარიანი 1963*: გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში, თსუ შრომები, ტ. 96.
- მელიქიშვილი 2001*: დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.
- მელიქიშვილი 2009*: ი. მელიქიშვილი, ვნებითი გვარი და თავისუფალი სიტყვათა რიგი როგორც აქტანტების ტოპიკალიზაციის ალტერნატივები, „ინფორმაციის სტრუქტურირება“, თბილისი.
- ონიანი 1998*: ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.
- პლუნგიანი 2000*: Плунгян В. А., Общая морфология, Москва.
- საულვიკი 2009*: Saulwick A, Incorporating the interpersonal: Some topic manipulation in Rembarnga, Linguistics, Vol. 47-4. pp. 971-995.



- სეპირი 1921*: Sapir E., Language: An Introduction to the Study of Speech, New York.
- ტრუბეცკოი 1960*: Трубейкой Н. С., Основы фонологии, Москва.
- ფინკი 1910* (1961): Fink N., Die Haupttypen des Sprachbaus, 1961.
- ფორტესკიუ 1984*: Fortescue M., West Greenlandic, Groom Helm Descriptive Grammars, Routledge.
- ქურდაძე 2005*: რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.
- შანიძე 1973*: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
- შარაძენიძე 1955*: თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII.
- ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე 2007*: ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბილისი.
- ჟუმბოლდტი 1984*: Гумбольдт В. фон, Изоляция слов, флексия и агглютинация, Избранные труды по языкознанию, Москва.

*Irine Melikishvili*

## **The Degree of Fusion in the Kartvelian Languages** (About the Fusional Character of Georgian and Svan)

### Summary

The Kartvelian Languages (Georgian, Svan, and Megrelian-Laz) are often cited as agglutinative languages. In the article, the problem of stating the morphological type of these languages is examined on the basis of the main parameters of the distinction - agglutination/fusion: the regularity of morphology – monoparadigmatic/polyparadigmatic systems of noun and verb inflection, mono- or polysemy of the morphemes, the rate of automatic/not-automatic alternations of morphemes and the progressive/regressive character of phonetic processes.

The morphological system of Georgian and Svan is very irregular. The case system in Svan has at least five subtypes. The verb system in Georgian is very complicated – in Georgian modern investigations distinguish 66 paradigms, members of which must be presented as lists, as no automatic rules can be stated for the arrangement of verbs into inflectional types. The list of irregular verbs presented by A. Shanidze (1973) includes 174 items. In Svan the amount of irregularity is even higher.

The alternations of morphemes are often non-automatic (i.e. *bal-i* "cherry", *bl-eb-i* "cherries", *kal-i* "woman", *kal-eb-i* "women"). The qualitative and quantitative ablaut plays an important role in creating grammatical distinctions. In Svan 6 grades of morphologically relevant vowel alternations are attested: *a/e/i/ə/ɪ/0*: cf. for the verb with the meaning "untie" - *a-pašg*, *li-pešg*, *a-pəšg*,

*a-pišg, lə-pīšg, li-pšge*; There is a number of quantitative and qualitative alternations, where the change of the root vowel determines the change of the grammatical meaning, cf. *txar-a* "he dug" - *txr-a* "to dig"; *drik'a* "he bent" tr. - *drek'a* "to bend" - [še]-*drk'a* intr. One to one relations between the form and meaning in the verb system are rare. A morpheme can express person, number, aspect, tense, verb class (*gv-*, *-s*, *-a*, *-es*, *-n*, *-en*, *-an*, *-nen*); case and number (*-ta*); aspect, version, voice (*i-*, *u-*, *a-*, *e-*).

In agglutinative languages phonetic processes are dominantly progressive - preceding phonemes influence the following (i.e. synharmonism); in fusional languages morphonological changes are dominantly regressive – the subsequent influences the preceding (umlaut). In Georgian and Svan most phonetic processes are of regressive character.

In Megrelian and Laz the unification processes determine the development into the direction of agglutination.

The calculation of the Greenbergian index of agglutination is in accordance with the characterization of Georgian and Svan as fusional, and Megrelian and Laz as agglutinative languages:

Svan	0. 32
Modern Georgian	0. 41
Old Georgian	0. 44
Laz	0. 54
Megrelian	0. 58

There is also much evidence for reconstructing the Common Kartvelian as mainly fusional language.

ეთერ სოსელია


**საურთიერთო მოქმედების გამოხატველი  
კონსტრუქციები ქართულში**

საურთიერთო მოქმედების სემანტიკა ქართულში უმეტესად გადმოიცემა კონსტრუქციებით, რომლებშიც ძირითადი ერთეული, ანუ ერთეული, რომელიც უშუალოდ საურთიერთო მოქმედებას უკავშირდება, არის ურთიერთობითი ნაცვალსახელი. ეს შეიძლება იყოს: *ერთმანეთი, ერთურთი, ერთიმორე*. ყველა ეს ნაცვალსახელი წარმოადგენს კომპოზიტს და მათგან ყველაზე ხშირი და საინტერესოა ნაცვალსახელი *ერთმანეთი*. იგი საინტერესოა იმდენად, რომ ფაქტობრივად თავად წარმოადგენს ერთ სიტყვაში შერწყმულ ერთგვარ მინიკონსტრუქციას, რომელშიც ელიმინირებულია ზმნა-შემასმენელი. ამ მინიკონსტრუქციაში მოცემულია ორი აქტანტი: ერთი, სავარაუდოდ, სემანტიკურად აგენსი უნდა იყოს, რომელიც სინტაქსურ დონეზე კოდირებულია როგორც ქვემდებარე, ხოლო მორფოლოგიურ დონეზე – როგორც განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა (*ერთ-მან*); მეორე აქტანტი კი, ასევე სავარაუდოდ, სემანტიკურად ძირითადად პაციენსი უნდა იყოს, რომელიც სინტაქსურ დონეზე კოდირებულია როგორც პირდაპირი დამატება, ხოლო მორფოლოგიურ დონეზე – როგორც განუსაზღვრელი ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმა (*ერთი > ეთ-ი*). გასაგებია, რომ, აღნიშნული აქტანტების შესაბამისად, ელიმინირებული ზმნა-შემასმენელი უნდა იყოს გარდამავალი ზმნის აორისტის ფორმა. ამავე დროს, მისი სემანტიკა იმგვარი უნდა იყოს, რომ მას უკავშირდებოდეს ორი აქტანტი ვინ ჯგუფისა (ან სულიერი მანც).

წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით, კონსტრუქციები ორპირიანი გარდამავალი ზმნა-შემასმენლითა და ურთიერთობითი ნაცვალსახელით ბუნებრივი ჩანს საურთიერთო მოქმედების გადმოსაცემად. როგორც წესი, ამგვარ კონსტრუქციებში ქვემდებარე მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მოცემული (1b) ან სიმრავლეს გამოხატავს (1a) და ზმნაც, შესაბამისად, ქვემდებარესთან შეთანხმებულია რიცხვში, ანუ მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ურთიერთობით ნაცვალსახელს, იგი სინტაქსურად პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებს. გასაგებია, რომ საურთიერთო მოქმედების გამომხატველი კონსტრუქციის ორპირიანი ზმნა-შემასმენელი იმგვარი სემანტიკისა უნდა იყოს, რომ მეორე აქტანტად მასთან შეთავსებადი იყოს ვინ ჯგუფის სახელი. როგორც ცნობილია, გარდამავალი ზმნის მეორე აქტანტი სემანტიკურ დონეზე პროტოტიპულად პაციენსია და არასულიერი, ანუ საგანი (Croft, Cruse 2004). ამდენად გასაგებია, რომ საურთიერთო მოქმედების გამომხატველი კონსტრუქციები ამგვარი გარდამავალი ზმნით პროტოტიპულისაგან განსხვავებულია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი კონსტრუქციები:

- 1 a. ნიკო და ვანო ერთმანეთს ხატავენ.
- b. ბავშვები ერთმანეთს ამშვიდებენ.

განხილული კონსტრუქციების სემანტიკური სტრუქტურა და ამ სტრუქტურის გარდასახვა სინტაქსურ (მორფოსინტაქსურ) დონეზე სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:




სქემა 1

(შენიშვნა: აქაც და მომდევნო სქემებშიც, სქემის ზედა ნაწილში მოცემულია სემანტიკური სტრუქტურა, ქვემოთ – სინტაქსური სტრუქტურა, ხოლო ფრჩხილებში მითითებულია ჩვენთვის საინტერესო ძირითადი მორფოლოგიური მახასიათებელი)

მაგრამ გარდამავალი ზმნა შეიძლება 3-პირიანიც იყოს. რადგანაც საურთიერთო მოქმედება ვინ ჯგუფის ორ აქტანტს მოითხოვს და პროტოტიპულად ირიბი ობიექტია ვინ ჯგუფის სახელი, გასაგებია, რომ სამპირიან ზმნასთან ურთიერთობითი ნაცვალსახელი, როგორც წესი, ირიბი ობიექტის ფუნქციას ასრულებს; ამდენად, იგი მიცემით ბრუნვაში დგას. ამგვარი კონსტრუქციების მაგალითებია:

- 2 a. ბავშვები ერთმანეთს საჩუქრებს აძლევენ.
- b. სტუდენტები ერთმანეთს წერილებს სწერენ.
- c. ძმები ერთმანეთს სახლებს უშენებენ.
- d. მეზობლები ერთმანეთს ქვებს უშენენ.

ამ უკანასკნელ კონსტრუქციათა სემანტიკური სტრუქტურა და მისი გარდასახვა სინტაქსურ (მორფოსინტაქსურ) დონეზე შეიძლება სქემატურად გამოისახოს (იხ. სქემა 2 ქვემოთ).



სქემა 2

(1-2) ტიპის საურთიერთო კონსტრუქციებში ბირთვული ელემენტის (ანუ ზმნის) მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი:

- ერთი, რომელშიც ზმნა ხმოვანი პრეფიქსული ელემენტების (მაქცე-ვარი ხმოვნების) გარეშეა, მაგალითად: (1a-b), (2b);
- მეორე, რომელშიც ზმნა ხმოვანი პრეფიქსული ელემენტებით (ამ შემთხვევაში, ა- და უ- პრეფიქსებით) არის გაფორმებული, მაგალითად: (1b), (2a,c,d).


საურთიერთო მოქმედების გადმოსაცემად გამოიყენება დატიური კონსტრუქციებიც. ეს, ძირითადად, არის კონსტრუქციები ე.წ. ინვერსიული ზმნებით, რომლებიც სემანტიკურად გრძნობა-აღქმის (აფექტური) ზმნებია. ერთი შეხედვით, ამგვარი დატიური კონსტრუქცია ქართულში გარდამავალი ზმნის ნომინატიურ კონსტრუქციას ემთხვევა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მოხდა ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების ბრუნვის ფორმათა ინვერსია.

ტიპოლოგიურად ცნობილია, რომ აღნიშნული სემანტიკის ზმნებს დატიური კონსტრუქცია ახასიათებს (ასათიანი 2005; Shibatani 2000), ანუ ქვემდებარე გრძნობა-აღქმის ზმნებისთვის დამახასიათებელ კონსტრუქციებში მიცემით ბრუნვაშია, ხოლო დამატება (თუკი გრძნობა-აღქმის ზმნა ორ აქტანტს ითავსებს) – სახელობითში. ზემოთ აღნიშნული დამთხვევა მოხდა იმის გამო, რომ ქართულში აკუსატიური (ბრალდებითი) ბრუნვა არ არის და მის ფუნქციას ნომინატიურ კონსტრუქციაში მიცემითი ბრუნვა ასრულებს. ამიტომ დატიური კონსტრუქცია, დამახასიათებელი გრძნობა-აღქმის ზმნებისთვის, ფაქტობრივად, ინვერსიულად არ უნდა ჩაითვალოს.

ქვემოთ მოცემულია საურთიერთო დატიური კონსტრუქციების მაგალითები:

- 3 a. მეგობრებს ერთმანეთი უყვართ.
- b. ბავშვებს ერთმანეთი მოსწონთ.

აღნიშნულ კონსტრუქციათა სემანტიკური სტრუქტურა და მისი გარდასახვა სინტაქსურ (მორფოსინტაქსურ) ღონეზე სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება (იხ. სქემა 3).



სქემა 3

(შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსური კონსტრუქცია არ მიიჩნევა ინვერსიულად, ზმნა-შემასმენლისთვის ტრადიციული ტერმინი დავტოვეთ, ოღონდ ბრჭყალებში)

საინტერესოა, რომ საურთიერთო მოქმედება გარდაუვალი ზმნის კონსტრუქციითაც გადმოიცემა. რამდენადაც საურთიერთო მოქმედება მინიმუმ ორ აქტანტს გულისხმობს, გასაგებია, რომ ამგვარი გარდაუვალი ზმნაც ორპირიანი უნდა იყოს, მაგალითად:

- 4 a. ძმები ერთმანეთს ჰკვანან.
- b. ბავშვები ერთმანეთს დასდევენ.

მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, (4a)-ში ზმნა-შემასმენლით მოქმედება არც გადმოიცემა (ეს უფრო მდგომარეობაა), მაგრამ რადგანაც ქართულში მაინც ზმნური კონსტრუქცია გამოიყენება შესაბამისი ვითარების აღსანიშნავად, (4a)-ც შეიძლება საურთიერთო მოქმედების გამოხატველ კონსტრუქციებს მიეკუთვნოს.

(4a-b) კონსტრუქციების ანალოგიურია, ანუ საურთიერთო მოქმედება ორპირიანი გარდაუვალი ზმნური კონსტრუქციებითაა გამოხატული, შემდეგი მაგალითები:

- 5 a. სტუმრები ერთმანეთს კოცნიან.
- b. ვოგონები ერთმანეთს ელაპარაკებიან.

c. მოსწავლეები ერთმანეთს აკვირდებიან.

d. ბიჭები ერთმანეთს ეჩხუბებიან.

თუ (3) ტიპის კონსტრუქციებს (4-5) ტიპის საურთიერთო კონსტრუქციებთან გავაერთიანებთ იმ პრინციპით, რომ ზმნა (3) ტიპშიც გარდაუვალია, მაშინ ამ გაერთიანებაში ბირთვული ელემენტის (ანუ ზმნის) მორფოლოგიური სრუქტურის მიხედვით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჯგუფები:

- ერთი, რომელშიც ზმნა ხმოვანი პრეფიქსული ელემენტების (მაქცევა-რი ხმოვნების) გარეშეა, მაგალითად: (3b), (4a,b) (5a);
- მეორე, რომელშიც ზმნა ხმოვანი პრეფიქსული ელემენტებით (ამ შემთხვევაში, ა-, უ-, ე- პრეფიქსებით) არის გაფორმებული, მაგალითად: (3a), (5b,c,d).

როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოყოფილი ჯგუფები თითქმის იდენტურია გარდამავალზმნიან საურთიერთო კონსტრუქციებში გამოყოფილი ჯგუფებისა, მხოლოდ ერთი განსხვავებით, რომელიც უკავშირდება გარდაუვალზმნიან კონსტრუქციებში ე- პრეფიქსიანი ფორმების არსებობას. აღსანიშნავია, რომ ეს კონსტრუქციები საკმაოდ გავრცელებული და ბუნებრივია საურთიერთო მოქმედების გადმოსაცემად (შანიძე 1980), რასაც, უპირველესად, თვით ზმნის სემანტიკა განაპირობებს: თითქმის ყველა ამ ზმნით აღინიშნება მოქმედება, რომელიც გულისხმობს ურთიერთობას ორ მხარეს შორის (აფრიდონიძე 1985). საურთიერთო მოქმედების გადმოსაცემად ეს სემანტიკა მორფოლოგიურ დონეზე უმეტესად ე.წ. ვნებითის ფორმით (ე- პრეფიქსიანი) არის წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ წინადადებაში შესიტყვება „*ეგრეთ წოდებული*“ გამოყენებულია საგანგებო ხაზგასმით, რამდენადაც აღნიშნული ფორმები შინაარსობრივად აშკარად დაშორებულია ვნებითი გვარის კატეგორიის სემანტიკას. ამ ფორმებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიხატება I აქტანტის გარკვეული აქტივობა, რომელიც გულისხმობს საპასუხო მოქმედებას მეორე მხრიდან (ამდენად, შესაბამისი ზმნაც ორ აქტანტს ითავსებს). ე- პრეფიქსიანი საურთიერთო მოქმედების გამომხატველი ეს ზმნები (*ერთმანეთს ესაღმებინ, ემშვიდობებინ, ეჩხუბებიან, ეკამათებიან, ეკურკურებიან, ეპრანჭებიან, ეხვევიან, ეჯახებიან, ეხლებიან* და სხვ.) მხოლოდ ფორმის მორფოლოგიური სტრუქტურის გამო მიიჩნევა ვნებითად. ხშირ შემთხვევაში მათ არც საპირისპირო მოქმედებითი გააჩნიათ. აღნიშნული ფორმების სრული ანალიზი ვნებითი გვარის პრობლემას უკავშირდება და აქ ამჯერად მათზე ყურადღებას აღარ შევამჩნევთ. ეს ცალკე მსჯელობის საკითხია.

ზემოთ განხილულ საურთიერთო მოქმედების გამომხატველ კონსტრუქციებში (იქნება ეს გარდამავალზმნიანი თუ გარდაუვალზმნიანი) მონაწილეობს ურთიერთობითი ნაცვალსახელი. მართალია, აქ წარმოდგენილ მაგალითებში მხოლოდ ნაცვალსახელი *ერთმანეთი* გვხვდება, მაგრამ მას ყველგან შეიძლება ჩაენაცვლოს დანარჩენი ორი: *ერთურთი* და *ერთიმეორე* (შესაბამისი ფორმით). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ურთიერთობითი ნაცვალსახელი საურთიერთო

კონსტრუქციებში არასდროს ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას, იგი მხოლოდ დამატების ფუნქციით გამოიყენება. ეს ფაქტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ერთ-ერთი კრიტერიუმი ქვემდებარის გამოსავლენად ქართულში (შდრ.; Keenan 1976). თუ მივუბრუნდებით საურთიერთო კონსტრუქციებს გრძნობა-აღქმის ზმნა-შემასმენლით, მათში, აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით, სწორედ მიცემითბრუნვიანი სახელი არის ქვემდებარე.

ზემოთ განხილული საურთიერთო კონსტრუქციების ტიპების გარდა, არსებობს კონსტრუქციები, რომლებშიც საურთიერთო მოქმედება გადმოიცემა ურთიერთობითი ნაცვალსახელის გარეშეც. ეს არის კონსტრუქციები გარკვეული სემანტიკის მქონე საშუალო-მოქმედებითი ზმნებით, კერძოდ, ამ ზმნებით აღინიშნება მოქმედება (აქტივობა), რომელიც უმეტესად ორ მხარეს გულისხმობს და ერთი მხრიდან აქტივობისას მოსალოდნელია საპასუხო, ზოგჯერ თითქმის ანალოგიური აქტივობა მეორე მხრიდან. ზემოთ განხილულ კონსტრუქციათაგან ეს უკანასკნელი იმითაც განსხვავდება, რომ აქ ზმნა ერთპირიანია, რაც თითქოს მოულოდნელი უნდა იყოს საურთიერთო მოქმედების გამომხატველი კონსტრუქციების ზმნა-შემასმენლისათვის. ასეთებია:

- 6 a. *ბავშვები ჩხუბობენ.*
- b. *მეცნიერები კამათობენ.*
- c. *ისინი ლაპარაკობენ.*

ამგვარი კონსტრუქციები შეიძლება საურთიერთო მოქმედებას გამოხატავდნენ დისკურსულად, ვრცელი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად:

7. *მეზობლის ბავშვები ეზოში ჩხუბობენ.*

ამ წინადადებაში საურთიერთო მოქმედება შეიძლება იყოს გამოხატული (ერთმანეთში ჩხუბობენ, ერთმანეთს ერხუბებიან), ან არ იყოს (მაგ., სხვა უბნის ბავშვებს ერხუბებიან). ზოგჯერ ამგვარ კონსტრუქციებში სწორედ იმის საჩვენებლად, რომ საურთიერთო მოქმედებაა გადმოცემული, გამოიყენება ურთიერთობითი ნაცვალსახელი უბრალო დამატების ფუნქციით, ანუ თანდებულნი ფორმით (*ერთმანეთში /ერთმანეთთან ჩხუბობენ, ერთმანეთში /ერთმანეთთან კამათობენ, ერთმანეთში /ერთმანეთთან ლაპარაკობენ*).

ამგვარად, საურთიერთო მოქმედების გამომხატველ კონსტრუქციებში, მიუხედავად იმისა, რომ ზმნა-შემასმენელი ბირთვული ელემენტია, ძირითად ერთეულს ურთიერთობითი ნაცვალსახელი წარმოადგენს, რამდენადაც ზმნას სწორედ ის სძენს საურთიერთო ქმედების შინაარსს. რაც შეეხება ურთიერთობითი ნაცვალსახელის ფუნქციას, იგი, როგორც წესი, დამატების ფუნქციით გვხვდება: ეს შეიძლება იყოს პირდაპირი, ირიბი, უბრალო ან დატიური კონსტრუქციის დამატება. ურთიერთობითი ნაცვალსახელი არასდროს გამოიყენება ქვემდებარის ფუნქციით.



თუმცა, აღსანიშნავია, რომ დასტურდება საურთიერთო კონსტრუქციები ურთიერთობითი ნაცვალსახელის გარეშე. ეს არის კონსტრუქციები გარკვეული სემანტიკის მქონე საშუალო-მოქმედებითი ზმნებით, რომლებიც შეიძლება საურთიერთო მოქმედებასაც გამოხატავდნენ.

### **ლიტერატურა**

**ასათიანი 2005:** რ. ასათიანი, ავექტურ ზმნათა კონცეპტუალური სტრუქტურა, „ტიპოლოგიური ძიებანი“, V, თბილისი.

**აფრიდონიძე 1985:** შ. აფრიდონიძე, ურთიერთობის გამომხატველი ზმნები და მათი ოპოზიციური ფორმები, „თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, 262, №9, თბილისი.

**შანიძე 1980:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტომი III, თბილისი.

**Croft, Cruse 2004:** Croft W., Cruse D. A., Cognitive Linguistics, Cambridge.

**Keenan 1976:** Keenan E. L., Towards a universal definition of "subject", "Subject and Topic", New York.

**Shibatani 2000:** Shibatani M., Non-canonical constructions: A cognitive-typological perspective, "Second Winter Typological School", Moscow.

*Ether Soselia*

## **Constructions Conveying Semantics of Reciprocity in Georgian**

### **Summary**

Constructions conveying semantics of reciprocity in Georgian are of two main types: (1) either with a reciprocal pronoun (*ertmaneti*, *erturti*, *ertimeore*), or (2) without it. In the first type the reciprocal pronoun is the main constituent of the construction, because the action encoded by a verb, on which the whole construction is based, acquires semantics of reciprocity due to the pronoun. As for the function of a reciprocal pronoun, in the construction it usually stands for the object (being direct, indirect, or simple) and never for the subject.

Constructions without a reciprocal pronoun are based on a middle-active verb of specific semantics. Whether they convey semantics of reciprocity or not depends on a certain discourse context.

ნათია ფუტყარაძე

**o-R-(th)-უ სტრუქტურის რეფლექსივები მებრულში**

მებრულის **o-R-(th)-უ** სტრუქტურის ზმნები ერთპირიანი გარდაუვალი დინამიკური ზმნებია; მათი სტრუქტურა თვისებრივად არ განსხვავდება სალიტერატურო ქართულის **o-R-(th)-ი** ტიპის ზმნებისგან; შდრ.: **o-რთუ-აფუ** და **o-რთვ-ებ-ა**. მებრულშიც, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, საკვლევი ზმნების გრამატიკული სუბიექტი ხშირად მოქმედების აგენსია და არა პაციენსი (იხვამუ-აფუ ბები „ილოცება ბებია“...). მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ზმნები აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ, სამეცნიერო ლიტერატურაში მათი ყალიბის გამო მანც პასივებად იწოდებიან. ამგვარი წინააღმდეგობა შედეგია ქართული ზმნის გვარის კატეგორიის პრობლემური დეფინიციისა (მელიქიშვილი 2008: 123).

ისტორიული თვალსაზრისით, სალიტერატურო ქართულში **o-R-(th)-ი** სტრუქტურის კონვერსიული რეფლექსივებისათვის აბსოლუტური (და რელატიურიც) დინამიკური პასივის მოდელი „თბება“ ტიპის მიხედვით ჩამოყალიბდა (მელიქიშვილი 2009:625); ასევეა სავარუდოდ მებრულშიც:

**o-R-(th)-უ** სტრუქტურის ზმნები უნდა ჩამოყალიბებულიყო **R-(th)-უ** ყალიბის ტრანსფორმაციით: ფუძეს ერთვის **o-** პრეფიქსი, რომელიც გადაჰყვებათ წყვეტილსა და მყოფადში. ზმნისწინის ან ქო- ნაწილაკის დართვის შემთხვევაში **o-** პრეფიქსი შეერწყმის თავსართისაულ ხმოვანს; მაგ., **იზ(უ)აფუ** – მიზუაფუ (< მოიზუაფუ) – „იზილება – მოიზილება“. სუფიქსად გვაქვს **-უ**, რომელიც, შესალოა, იგივე გრამატიკული ოდენობა იყოს, რაც **-ი** ბოლოსართი სალიტერატურო ქართულის **o-R-(th)-ი** სტრუქტურის ზმნებში.

როგორც ცნობილია, სამწიგნობრო ქართულის **o-** ხმოვანი პრეფიქსის ძირითად ფუნქციად მიჩნეულია უკუქცევითობის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა: „უკუქცევითობა წარმოადგენს **o-** პრეფიქსის ზოგად, ამ ფორმანტის მქონე ყველა ფორმისათვის საერთო ფუნქციას“ (მარი 1925:136-137; როგავა 1942; ჯორბენაძე 1983:107; მელიქიშვილი 2001:84-85) **o-** თავსართიც მებრულ ზმნურ რეფლექსივებში ანალოგიური ღირებულებისაა (ჯორბენაძე 1983:108).

მებრული ქვესისტემის ზმნებს თუკი დავაჯგუფებთ დიათეზათა<sup>1</sup> მიხედვით, მსგავსად სამწიგნობრო ენისა, მებრულშიც **o-R-(th)-უ** სტრუქტურის რეფლექსივები მეორე დიათეზაში გაერთიანდება; სხვაობა მეორეულია:

სამწერლობო ქართულში მებრული **o-R-(th)-უ** სტრუქტურის ზმნათა შესატყვისი ფორმების სუბიექტი ბრუნვაუცვლელია სერიების მიხედვით, მებრულში კი, სინქრონიულ დონეზე, ამ ზმნათა კონსტრუქცია ემთხვევა პირველი


<sup>1</sup> კვლევის ამ ეტაპზე ყველაზე ლოგიკური გვეჩვენება ქართველური ზმნური ფორმების კლასიფიკაცია დიათეზების მიხედვით.

დიათეზის რეფლექსივთა კონსტრუქციას (nom. – erg.), ვინაიდან მეგრულში ყველა ტიპის (როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი) ზმნის ქვემდებარე I სერიის ფორმებთან სახელობით ბრუნვაშია (ხანტუნს ბოში („ხატავს ბიჭი“), II სერიის ნაკვებთან – მოთხრობითშია (დოხანტუ ბოშიქ „დახატა ბიჭმა“, დოღურუ კოჩ(ი)ქ – „მოკვდა კაცმა“), მესამე სერიის ნაკვებთან – მიცემითში ან სახელობითში;<sup>2</sup> შდრ.: IV სერიის ნაკვები აწმყოს ფუძეს ეყრდნობიან და ქვემდებარეს სახელობითში წარმოგვიდგენენ: ნოცხოვრებუე ართი ტყაშიკოჩი – ცხოვრობდა/ნაცხოვრება თურმე ერთი ტყისკაცი (კიზირია 1982:90).

სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულს შორის გარდამავალი ვითარება დაცული აქვს მაჭახლურს, გურულს, აჭარულსა და იმერხეულს, სადაც გარდაუვალ ზმნებთან ხშირია ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში. ამკარაა, რომ სალიტერატურო ენის ნორმისგან უფრო თავისუფალ მეგრულში გაზრდილია ერგატისვის გამოყენების არე.<sup>3</sup>

მეგრულის **ი-R-(th)-უ** სტრუქტურის ზმნური მოდელის შიგნით გამოვყოფთ რამდენიმე ქვეჯგუფს, რომელთა შორისაც განსხვავებას ქმნის მხოლოდ თემატური სუფიქსი: ი-ბანტ-უ – „იბანტება“, ი-გორ-აფ-უ – „ივინება“, ი-ა(ნ)თას-ებ-უ – „ათასდება“...

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის<sup>4</sup> მიხედვით ყველაზე პროდუქტიული -ებ თემისნიშნისანი მოდელი გამოდგა (**ი-R-ებ-უ** - 49%), შემდეგ – უთემისნიშნო (**ი-R-Ø-უ** - 45 %) და -აფ თემისნიშნისანი (**ი-R-აფ-უ** - 6 %) მოდელები.



<sup>2</sup> გარდაუვალ ზმნებში III სერიის ერთპირიან ზმნათა სუბიექტი ნომინატიური ან დატიური კონსტრუქციისა იქნება იმის მიხედვით, თუ როგორაა ზმნა ნაწარმოები: აღწერიითად თუ ორგანულად: აღწერიითად -ერე მეშველი ზმნით ნაწარმოები შემასმენელი ქვემდებარეს სახელობითში მოითხოვს: ცუდე ლოჭვერე „სახლი დამწვარა“... ორგანული წარმოების თავისებურებას ქმნის ქვემდებარის დასმა მიცემით ბრუნვაში ისე, როგორც ეს გვაქვს ინვერსიულ ზმნა-შემასმენლებთან. ასეთებია: ბაღანას ქუშურთუშუ „ბავშვი მოსულა“ – სიტყვასიტყვით: „ბავშვს მოსულა“, ბაღანას გეუღღინუ „ბავშვი ამდგარა“ – სიტყვასიტყვით: „ბავშვს ამდგარა“ (კიზირია 1082:83).

<sup>3</sup> უნიფიკაციის კანონით, ერგატისვის ფუნქცია ფართოვდება.

<sup>4</sup> ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონიდან“ ამოწერილი ზმნური ფორმები შევავსეთ სამეგრელოში საველე პრაქტიკის დროს ჩაწერილი მასალით.

**ქვეჯგუფი №1**

**სტრუქტურა: ი-R-ებ-უ**

**ი-R-ებ-უ** სტრუქტურის ზმნები ერთპირიანი ავტოაქტივებია/რეფლექსივე-ბია. მათ სალიტერატურო ქართულში ორგვარი სტრუქტურის ზმნები შეესატყვისება: **ი-R-Th.suf.-ი** და **R-დ-Th.suf.-ი**: იკურნებუ – იკურნება, ილიებუ „ილივა“... შდრ.: ითხუებუ „თხოვდება“ ილექინებუ „მსუბუქდება“, „მჩატდება“... თუმცა, აბსოლუტურ უმრავლესობას მაინც -დ სუფიქსიანი რეფლექსივები შეადგენს.

სალიტერატურო ენის -დ სუფიქსიან ზმნათა აქტიური სუბიექტის მოქმედება რომ საკუთარი თავისკენა მიმართული, ამას კიდევ ერთხელ ამტკიცებს მეგრულის ჩვენება: ძირითადად, ყველა მათგანს თანამედროვე მეგრულში ი- პრეფიქსიანი ფორმა ცვლის;<sup>5</sup> მაგ., **იბარაგებუ** „აბრაგდება“, **იადამიანებუ** „ადამიანდება“, **იამხანაგებუ** „ამხანაგდება“, **იაქტიურებუ** „აქტიურდება“, **იახალგაზრდებუ** „ახალგაზრდავდება“, **იბანაკებუ** „ბანაკდება“, **იბანიღებუ** „ბანიღდება“, **იბარბაროსებუ** „ბარბაროსდება“, **იბაღანებუ** „ბაღანდება“, **იბენიერებუ** „ბენიერდება“ ავტოაქტივებია, რადგან ქვემდებარე სულიერია. ამგვარად, -დ სუფიქსიანი ნასახელარი ზმნების მეგრული შესატყვისები ი- პრეფიქსიანი წარმოებისაა.

**პარადიგმა №1**

**I სერია**

აწმყოს ჯგუფი <sup>6</sup>			
<b>აწმყო</b> ვიცადებ-(უ)-უ-ქ /-თ	<b>უწვევტელი</b> ვიცადებ-(უ)-უ-დ-ი/-თ	<b>აწმყოს კავშირებითი</b> ვიცადებ-(უ)-უ-დ-ა/-ე /-ათ	<b>აწმყოს პირობითი</b> ვიცადებ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო
„ვიცდები“ იცადებ-(უ)-უ-ქ /-თ	„ვიცდებოდი“ იცადებ-(უ)-უ-დ-ი/-თ	„ვიცდებოდე“ იცადებ-(უ)-უ-დ-ა/-ე/-ათ	„რომ ვიცდებოდე“ იცადებ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო
„იცდები“ იცადებ-(უ)-უ(6) /- ა(6)	„იცდებოდი“ იცადებ-(უ)-უ-დ-უ/-ეს	„იცდებოდე“ იცადებ-(უ)-უ-დ-ა/-ს/-ან	„რომ იცდებოდე“ იცადებ-(უ)-უ-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
„იცდება“	„იცდებოდა“	„იცდებოდეს“	„რომ იცდებოდეს“

<sup>5</sup> ამ საკითხს საგანგებოდ განიხილავს კ. დანელია: „კოლხურში დონიანი წარმოება შევიწროებულია პრეფიქსული წარმოებით. ამიტომაცაა, რომ ქართულის დონიან წარმოების ფარდად კოლხურში მეტწილად პრეფიქსული წარმოება გვაქვს, მეგრულშია: ი-კეთებუ(6) „კეთდება“, ი-შენებუ(6) „შენდება“; პრეფიქსიანი წარმოება იმდენად ძლიერია, რომ თვით დონიან წარმოებას უჩნდება პარალელური პრეფიქსიანი წარმოება. მეგრულში გვერდიგვევრდ იხმარება: ჭითონდუ – ი-ჭითარებუ „წითლდება“, ცვითონდუ – ი-ცვითარებუ „ყვითლდება“ და სხვ. (დანელია 1976:174) კორნელი დანელია დაასკვნის, რომ ამგვარი „პრეფიქსული წარმოების უპირატესობით ძველ ქართულს უახლოვდება...“ (დანელია 1976:174).

<sup>6</sup> **შენიშვნა: ი-R-ებ-უ** სტრუქტურის ზმნებში გვაქვს რამდენიმე განსაკუთრებული შემთხვევა, როცა აწმყოს ფუძის აგებულება ასეთ სახეს იღებს: **ი-R-ი-ებ-უ**: ითმირებუ – „ირევა“ იქცეებუ „იქცევა“ (მო)...

მყოფადის ჯგუფი			
<b>მყოფადი</b> გიმოვცადებ-უ-ქ /-თ	<b>მყოფადის ზოლებითი</b> გიმოვცადებ-უ-ღ-ი /-თ	<b>მყოფადის კავშირებითი</b> გიმოვცადებ-უ-ღ-ა/-ე /-ათ	<b>მყოფადის პირობითი</b> გიმოვცადებ-უ-ღ-ი-კო /-თ-(ი)-კო
„გამოვიცდები“ გიმოვცადებ-უ-ქ /-თ	„გამოვიცდებოდი“ გიმოვცადებ-უ-ღ-ი /-თ	„გამოვიცდებოდე“ გიმოვცადებ-უ-ღ-ა/-ე /-ათ	„რომ გამოვიცდებოდე“ გიმოვცადებ-უ-ღ-ი-კო /-თ-(ი)-კო
„გამოიცდები“ გიმოვცადებ-უ(ბ) /- ა(ბ)	„გამოიცდებოდი“ გიმოვცადებ-უ-ღ-უ	„გამოიცდებოდე“ გიმოვცადებ-უ-ღ-ა-ს /-ან	„რომ გამოვიცდებოდე“ გიმოვცადებ-უ-ღ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
„გამოიცდება“	„გამოიცდებოდა“	„გამოიცდებოდეს“	„რომ გამოვიცდებოდეს“

## II სერია

<b>წვეტილი</b>	<b>II კავშირებითი</b>	<b>II პირობითი</b>
გიმოვ(ი)ცად-ი/-თ	გიმოვ(ი)ცად-ა/-ე/-ათ	გიმოვ(ი)ცად-ი-კო /-თ-(ი)-კო
„გამოვიცადე“	„გამოვიცადო“	„რომ გამოვიცდილიყავ“
გიმო(ი)ცად-ი/-თ	გიმო(ი)ცად-ა/-ე/-ათ	გიმო(ი)ცად-ი-კო /-თ-(ი)-კო
„გამოვიცადე“	„გამოვიცადო“	„რომ გამოვიცდილიყავ“
გიმო(ი)ცად-უ/-ეს	გიმო(ი)ცად-ა-ს/-ან	გიმო(ი)ცად-უ-კო /-ეს-(ი)-კო
„გამოვიცადა“	„გამოვიცადოს“	„რომ გამოვიცდილიყოს“

## III სერია

<b>I თურმეობითი</b>	<b>II თურმეობითი</b>	<b>III კავშირებითი</b>	<b>III პირობითი</b>
გიმოვცადებ-ე-ქ(ღე)-ქ(ღე) /-ქ(ღე)-თ	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-ი /-თ	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-ა /-ე /-ათ	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-ი-კო /-ღ-ი-თ-(ი)-კო
„გამოვციდილვარ“	„გამოვციდილიყავ“	„გამოვციდილიყო“	„რომ გამოვციდილიყავ“
გიმოვცადებ-ე-ქ(ღე)-ქ(ღე) /-ქ(ღე)-თ	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-ი /-თ	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-ა /-ე/-ათ	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-ი-კო /-ღ-ი-თ-(ი)-კო
„გამოვციდილხარ“	„გამოვციდილიყავ“	„გამოვციდილიყო“	„რომ გამოვციდილიყავ“
გიმოვცადებ-ე-ქ(ღე)-ბ(ბ) /-ქ(ღე)-ბ-ა(ბ)	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-უ /-ეს	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-ა-ს /-ან	გიმოვცადებ-ე-ღ-ე-ღ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
„გამოვციდილა“	„გამოვციდილიყო“	„გამოვციდილიყოს“	„რომ გამოვციდილიყო“

## IV სერია

<b>III თურმეობითი</b>	<b>IV თურმეობითი</b>	<b>IV კავშირებითი</b>	<b>IV პირობითი</b>
გინოვცადებ-უ-ე-ქ /-თ	გინოვცადებ-უ-ე-ღ-ი /-თ	გინოვცადებ-უ-ე-ღ-ა /-ე /-თ	გინოვცადებ-უ-ე-ღ-ი-კო /-თ-(ი)-კო
„გამოვიცდები(ო)დი თურმე“	„გამოვიცდები(ო)დი თურმე“	„(რომ) გამოვიცდებოდე თურმე“	„რომ გამოვიცდილიყო თურმე“
გინოვცადებ-უ-ე-ქ /-თ	გინოვცადებ-უ-ე-ღ-ი /-თ	გინოვცადებ-უ-ე-ღ-ა /-ე /-თ	გინოვცადებ-უ-ე-ღ-ი-კო /-თ-(ი)-კო
„გამოვიცდები(ო)დი თურმე“	„გამოვიცდები(ო)დი თურმე“	„(რომ) გამოვიცდებოდე თურმე“	„რომ გამოვიცდილიყო თურმე“
გინოვცადებ-უ-ე(ბ) /-ან	გინოვცადებ-უ-ე-ღ-უ /-ეს	გინოვცადებ-უ-ე-ღ-ა-ს /-ან	გინოვცადებ-უ-ე-ღ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
„გამოვიცდები(ო)და თურმე“	„გამოვიცდები(ო)და თურმე“	„(რომ) გამოვიცდებოდეს თურმე“	„რომ გამოვიცდილიყოს თურმე“

როგორც ვხედავთ, -ებ თემატური სუფიქსის წინ ი- ხმოვანია ჩართული, რომლის წარმომავლობაც შეიძლება აიხსნას მათ სალიტერატურო შესატყვისებზე დაკვირვებისას: „ირევა“, „იქცევა“ ორივე ზმნა -ეე თემისნიშნისა; მეგრულ მაგალითებში -ი სუფიქსი \*-ივ/-ეე თემატური ნიშნის ნაშთი უნდა იყოს [როცა ქართულში ზმნას -ებ თემის ნიშანი დაერთვის, მაშინ \*ივ (<ეე) სუფიქსი აღდგება: ირიებუ > ირიცქებუ (მელიქიშვილი 2009)].

**ქვეჯგუფი №2**

**სტრუქტურა: ი-R-Ø-უ**

**ი-R-Ø-უ** სტრუქტურის ზმნები ერთპირიანია. იმის მიხედვით კი, სუბიექტი სულიერია თუ უსულო, ზმნა შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური; მაგ.: თე ოდიარე ჯგირო **იბუცხუ** „ეს ბალახი კარგად **იფოცხება**“ (ავტოაქტივია) შდრ.: ოდიარე იბუცხუ კონიშ ხეთ „ბალახი იფოცხება კაცის მიერ/ ხელით“ (ზმნა პასიური შინაარსისა). შდრ., იბუცხუ „იფოცხება“, იბუ(რ)ძგუ „იბურძგნება“ პასივებია, რადგან სუბიექტი უსულოა, ხოლო შემდეგი ზმნები: იზაკუ „იმზაკვრება“, იზანგუ „იზანგება“, იზეთუ „იზეთება“, ითენთუ „ითენთება“ რეფლექსივებია.

სტრუქტურულ პარადიგმაში ერთიანდება ე.წ. დეპონენსების დიდი ნაწილი: ილანძღუ „ილანძღება“, იხოქუ „იხოქება“ იშხამ(ინ)უ „იშხამება“, ილაჭუ „იკრიჭება//ილეჭება“, ილარღუ „ილერღება“, ინკორუ „იცოხნება“, იზინღუ „იზიდება“, იკიროკუ „იკლაკნება“ იკრუნჩხუ „იკრუნჩხება“, იცუცუ „იკუხება“...

საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ნასახელარი ზმნები, რომელთაგან ზოგი პასიური შინაარსის მქონეა: ჭყიში „მწყემსი“ – იჭყიშუ „იმწყემსება“, სანთელი – ისანთელუ „ისანთლება“, ბომბა – იბომბუ „იბომბება“, ნირსი – ინირსუ „ინისლება“, ზეთი – იზეთუ „იზეთება“... ზოგი ავტოაქტივია: შხამი – იშხამ(ინ)უ „იშხამება“, ქურსი – იქურსი „იქუსლება“, შამბი – „იშამბუ“ /„იშამბება“ და სხვ.

უძრავლესობა ამ პარადიგმის ავტოაქტივებისა ზმნური ძირებიდან არის ნაწარმოები: იკვათუ – დიკვათუ „იჩეხება“ (მაგ., დიშკა იკვათუ), იკვანწუ „იკვანწება“, იკვანწუ – „ირწვევა“, იკვარჩხუ – „იჭმუნება“, იკილუ – „იტიხრება“, იკილუ – „იკეტება“/„იხურება“, იკირუ – „იკვრება“ (შე, გა)/ „იკონება“ და სხვ.

**პარადიგმა №2**

**I სერია**

აწმყოს ჯგუფი			
<b>აწმყო</b> ვილოლ-(უ)-უ-ქ/-თ	<b>უწყვეტელი</b> ვილოლ-(უ)-უ-დ-ი/-თ	<b>აწმყოს კავშ.</b> ვილოლ-(უ)-უ-დ-ა/-ე/-ათ	<b>აწმყოს პირობითი</b> ვილოლ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო
„ვიმჭვარტლები“ ილოლ-(უ)-უ-ქ/-თ	„ვიმჭვარტლებოდი“ ილოლ-(უ)-უ-დ-ი/-თ	„ვიმჭვარტლებოდე“ ილოლ-(უ)-უ-დ-ა/-ე/-ათ	„რომ ვიმჭვარტლებოდე“ ილოლ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო
„იმჭვარტლები“ ილოლ-(უ)-უ-(6)/-ა(6)	„იმჭვარტლებოდი“ ილოლ-(უ)-უ-დ-უ/-ეს	„იმჭვარტლებოდე“ ილოლ-(უ)-უ-დ-ა-ს/-ან	„რომ იმჭვარტლებოდე“ ილოლ-(უ)-უ-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
„იმჭვარტლება“	„იმჭვარტლებოდა“	„იმჭვარტლებოდეს“	„რომ იმჭვარტლებოდეს“

მყოფადის ჯგუფი

<b>მყოფადი</b> გივლოლ-(უ)-უ-ქ /-თ „გავიმჭვარტლები“ გილოლ-(უ)-უ-ქ/-თ „გავიმჭვარტლები“ გილოლ-(უ)-უ(6) /-ა(6) „გავიმჭვარტლება“	<b>მყოფადის ხოლმ.</b> გივლოლ-(უ)-უ-დ-ი/-თ „გავიმჭვარტლები“ გილოლ-(უ)-უ-დ-ი /-თ „გავიმჭვარტლები“ გილოლ-(უ)-უ-დ-უ „გავიმჭვარტლები“ „გავიმჭვარტლები“	<b>მყოფადის კავშ.</b> გივლოლ-(უ)-უ-დ-ა/-ე/-ათ „გავიმჭვარტლები“ გილოლ-(უ)-უ-დ-ა/-ე/-ათ „გავიმჭვარტლები“ გილოლ-(უ)-უ-დ-ა-ს/-ან „გავიმჭვარტლები“	<b>მყოფადის პირობითი</b> გივლოლ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო „რომ გავიმჭვარტლები“ გილოლ-(უ)-უ-დ-ი-კო /-თ-(ი)-კო „რომ გავიმჭვარტლები“ გილოლ-(უ)-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო „რომ გავიმჭვარტლები“
---	--	---	--

II სერია

<b>წვეტილი</b> გივლოლ-ი/-თ „გავიმჭვარტლე“ გილოლ-ი/-თ „გავიმჭვარტლე“ გილოლ-უ/-ეს „გავიმჭვარტლა“	<b>II კავშირებითი</b> გივლოლ-ა/-ე/-ათ „გავიმჭვარტლე“ გილოლ-ა/-ე/-ათ „გავიმჭვარტლე“ გილოლ-ა-ს/-ან „გავიმჭვარტლე“	<b>II პირობითი</b> გივლოლ-ი-კო /-თ-(ი)-კო „რომ გავიმჭვარტლე“ გილოლ-ი-კო /-თ-(ი)-კო „რომ გავიმჭვარტლე“ გილოლ-უ-კო /-ეს(ი)-კო „რომ გავიმჭვარტლე“
--	---	--

III სერია

<b>I თურმეობითი</b> გოვლოლ-ე-{რე}-{ქ} /-{ლე}-თ „გავბოლილვარ“ გოვლოლ-ე-{რე}-{ქ} /-{ლე}-თ „გავბოლილვარ“ გოვლოლ-ე-{რე}-{ბ} /-{რე}-ნ-ა(6) „გავბოლილა“	<b>II თურმეობითი</b> გოვლოლ-ე-რე-დ-ი /-რე-დ-ი-თ „გავბოლილიყვ“ გოვლოლ-ე-რე-დ-ი /-რე-დ-ი-თ „გავბოლილიყვ“ გოვლოლ-ე-რე-დ-უ /-რე-დ-ეს „გავბოლილიყვ“	<b>III კავშირებითი</b> გოვლოლ-ე-რე-დ-ა /-ე/-რე-დ-ათ „გავბოლილიყვ“ გოვლოლ-ე-რე-დ-ა /-ე/-რე-დ-ათ „გავბოლილიყვ“ გოვლოლ-ე-რე-დ-ა-ს /-ან „გავბოლილიყვ“	<b>III პირობითი</b> გოვლოლ-ე-რე-დ-ი-კო /-რე-დ-ი-თ-(ი)-კო „რომ გავბოლილიყვ“ გოვლოლ-ე-რე-დ-ი-კო /-რე-დ-ი-თ-(ი)-კო „რომ გავბოლილიყვ“ გოვლოლ-ე-რე-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო „რომ გავბოლილიყვ“
--	---	--	---

IV სერია

<b>III თურმეობითი</b> ნოვლოლ-ე-უ-ე-ქ /-თ „გავბოლილიყვ თურმე“ ნოვლოლ-ე-უ-ე-ქ /-თ „გავბოლილიყვ თურმე“ ნოვლოლ-ე-უ-ე(6) /-ან „გავბოლილიყვ თურმე“	<b>IV თურმეობითი</b> ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-ი/-თ „გავბოლილიყვ თურმე“ ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-ი/-თ „გავბოლილიყვ თურმე“ ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-უ/-ეს „გავბოლილიყვ თურმე“	<b>IV კავშირებითი</b> ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-ა/-ე/-თ „(რომ) გავბოლილიყვ თურმე“ ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-ა/-ე/-თ „(რომ) გავბოლილიყვ თურმე“ ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-ა-ს/-ან „(რომ) გავბოლილიყვ თურმე“	<b>IV პირობითი</b> ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-ი-კო /-ი-თ-(ი)-კო „რომ გავბოლილიყვ თურმე“ ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-ი-კო /-ი-თ-(ი)-კო „რომ გავბოლილიყვ თურმე“ ნოვლოლ-ე-უ-ე-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო „რომ გავბოლილიყვ თურმე“
---	---	--	---

აქაც, ისევე როგორც წინა პარადიგმაში, რამდენიმე ზმნა შეგვხვდა ოდნავ განსხვავებული სტრუქტურის: ირეუ // ირიებუ „ირევა“; ირკვეუ „ირკვევა“; იქცეუ // იქციებუ „იქცევა“; ინძრეუ „ინძრევა“; -უ სუფიქსის წინ მდებარე ე-ს კვალიფიკაცია, ჩვენი აზრით ისეთივე შეიძლება იყოს, როგორც წინა პარადიგმაში: იგი -ევ სუფიქსის ნაშთია: ირე[ც]უ, ირი[ც]ებუ, ირკვე[ც]უ, იქცე[ც]უ, ინძრე[ც]უ.

**ქვეჯგუფი № 3**

**სტრუქტურა: ი-R-აფ-უ**

**ი-R-აფ-უ** სტრუქტურის ზმნების რაოდენობა წინა კლასის ზმნებთან შედარებით, მცირეა. მათაც, ისევე როგორც ყველა ზემოთ მოყვანილ ზმნებს, ი- პრეფიქსი გადაჰყვებათ წყვეტილსა და მყოფადში (სადაც შეიძლება ზმნის-წინს ან ქო- ნაწილაკს შეერწყას). აღსანიშნავია ისიც, რომ ათეულამდე შემთხვევაში სტრუქტურის ცვლილებასთანაც გვაქვს საქმე: შდრ.: **ი-R-აფ-უ - ი-R-უ-აფ-უ**,<sup>7</sup> მაგ., იზ(უ)აფუ – მიზუაფუ „იზილება – მოიზილება“ იკუმუაფუ(ნ) „იკვამლება“, ინთხუაფუ (შური) „იყნოსება“, ინწყუაფუ(უ)(ნ) „იწყობა/ მზადდება/ლაგდება“, ირგუაფუ „ირგვება“, ირთუაფუ „იგრაგნება/იხვევა“, იფუნუაფუ – „იხდება (არაყი) / ღუღდება“, იღირუაფუ „იღირება“...

**პარადიგმა № 3**

**I სერია ვინწყუაფ-უ-(უ)-ქ „ვირთვები“**

აწმყოს ჯგუფი			
<b>აწმყო</b> ვინწყუაფ-უ-(უ)-ქ/-თ ინწყუაფ-უ-(უ)-ქ/-თ ინწყუაფ-უ-(უ)-(ნ)/-ა-(ნ)	<b>უწყვეტელი</b> ვინწყუაფ-უ-ღ-ი/-თ ინწყუაფ-უ-ღ-ი/-თ ინწყუაფ-უ-ღ-უ/-ეს	<b>აწმყოს კავშირებითი</b> ვინწყუაფ-უ-ღ-ა/-ე/-ათ ინწყუაფ-უ-ღ-ა/-ე/-ათ ინწყუაფ-უ-ღ-ა-ს/-ან	<b>აწმყოს პირობითი</b> ვინწყუაფ-უ-ღ-ი-კო/-თ-(ი)-კო ინწყუაფ-უ-ღ-ი-კო/-თ-(ი)-კო ინწყუაფ-უ-ღ-უ-კო/-ეს-(ი)-კო
მყოფადის ჯგუფი			
<b>აწმყო</b> ღივ(ი)ნწყუაფ-უ-(უ)-ქ / -თ ღი(ი)ნწყუაფ-უ-(უ)-ქ / -თ	<b>უწყვეტელი</b> ღივ(ი)ნწყუაფ-უ-ღ-ი/-თ ღი(ი)ნწყუაფ-უ-ღ-ი/-თ	<b>აწმყოს კავშირებითი</b> ღივ(ი)ნწყუაფ-უ-ღ-ა/-ე/-ათ ღი(ი)ნწყუაფ-უ-ღ-ა/-ე/-ათ ღი(ი)ნწყუაფ-უ-ღ-ა-ს/-ან	<b>აწმყოს პირობითი</b> ღივ(ი)ნწყუაფ-უ-ღ-ი-კო / -თ-(ი)-კო ღი(ი)ნწყუაფ-უ-ღ-უ-კო / -თ-(ი)-კო

<sup>7</sup> ტ. გულდავას ვარაუდით, **უაფ** (<**ავაფ**) შეეფარდება სალიტერატურო ქართულის **-ევ**-ბ დაბოლოებას (გულდავა 1969:12)



დი(ი)ნწყუაფ-უ-(უ)(ნ) /-ა(ნ)	დი(ი)ნწყუაფ-უ-დ-უ/-ეს		დი(ი)ნწყუაფ-უ-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
--------------------------------	-----------------------	--	-------------------------------------

## II სერია

<b>წყვეტილი</b> დიე(ი)ნწყ-ი/-თ დი(ი)ნწყ-ი/-თ დი(ი)ნწყ-უ(ნ) /-ეს	<b>II კავშირებითი</b> დიე(ი)ნწყ-ა/-ე/-ათ დი(ი)ნწყ-ა/-ე/-ათ დი(ი)ნწყ-ა-ს/-ან	<b>II პირობითი</b> დიე(ი)ნწყ-ი-კო/-თ-(ი)-კო დი(ი)ნწყ-ი-კო/-თ-(ი)-კო დი(ი)ნწყ-უ-კო/-ეს-(ი)-კო
--	--	---

## III სერია

<b>I თურმობითი</b> ლოწყილ-ე-{რე}-{ქ} /-{რე}-თ ლოწყილ-ე-{რე}-{ქ} /-{რე}-თ ლოწყილ-ე-{რე}-{ნ} /-{რე}-ნ-ა(ნ)	<b>II თურმობითი</b> ლოწყილ-ე-რე-დ-ი/-თ ლოწყილ-ე-რე-დ-ი/-თ ლოწყილ-ე-რე-დ-უ/-ეს	<b>III კავშირებითი</b> ლოწყილ-ე-რე-დ-ა/-ე/-ათ ლოწყილ-ე-რე-დ-ა/-ე/-ათ ლოწყილ-ე-რე-დ-ა-ს/-ან	<b>III პირობითი</b> ლოწყილ-ე-რე-დ-ი-კო /-დ-ით-(ი)-კო ლოწყილ-ე-რე-დ-ი-კო /-დ-ით-(ი)-კო ლოწყილ-ე-რე-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
--	--	---	--

## IV სერია

<b>III თურმობითი</b> ნოწყუაფ-უ-ე-ქ/-თ ნოწყუაფ-უ-ე-ქ/-თ ნოწყუაფ-უ-ე(ნ)/-ან	<b>IV თურმობითი</b> ნოწყუაფ-უ-ე-დ-ი/-თ ნოწყუაფ-უ-ე-დ-ი/-თ ნოწყუაფ-უ-ე-დ-უ/-ეს	<b>IV კავშირებითი</b> ნოწყუაფ-უ-ე-დ-ა/-ე/-თ ნოწყუაფ-უ-ე-დ-ა/-ე/-თ ნოწყუაფ-უ-ე-დ-ა-ს/-ან	<b>IV პირობითი</b> ნოწყუაფ-უ-ე-დ-ი-კო /-ი-თ-(ი)-კო ნოწყუაფ-უ-ე-დ-ი-კო /-ი-თ-(ი)-კო ნოწყუაფ-უ-ე-დ-უ-კო /-ეს-(ი)-კო
--	--	--	---

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

მეგრულში არსებული **ი-R-(th)-უ** მოდელის ზმნათა სტრუქტურა არსებითად არ განსხვავდება სალიტერატურო ქართულის მონაცემებისგან, რასაც ვერ ვიტყვი ამ ზმნათა კონსტრუქციაზე, თუმცა სხვაობა მეორეულია. ზმნური სტრუქტურის შიგნით თემატური სუფიქსის მიხედვით გამოვყოფთ სამ ქვეჯგუფს: ი-R-ებ-უ, ი-R-Ø-უ, ი-R-აფ-უ; თემატური სუფიქსის შეცვლის ან გამოტოვების შემთხვევაში არ ირღვევა ზმნათა ძირითადი სტრუქტურა **ი-R-(th)-უ**.

### ლიტერატურა

**გუდავა 1984:** ტ. გუდავა, -უნ დაბოლოების შესახებ მეგრულ კაუზატივებში, „საენათმეცნირო კრებული“, 1, თბილისი.

**დანელია 1976:** კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბილისი.

**კიზირია 1982:** ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი.

**მაჭავარიანი 2002:** გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, ლექციების კურსი, თბილისი.

*მელიქიშვილი 2001:* დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

*მელიქიშვილი 2008:* დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის, „ენათმეცნიერების საკითხები“, I, თბილისი.

*მელიქიშვილი 2009:* დ. მელიქიშვილი, ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი.

*როგავა 1942:* გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №2, თბილისი.

*შანიძე 1980:* ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III ტ., თბილისი.

*ჯორბენაძე 1983:* ბ. ჯორბენაძე, ზმნის სმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი.

*Natia Putkaradze*

## **Megrelian Verbal Reflexives of the Structure i-R-(th)-u**

### Summary

We consider Megrelian Verbal reflexives of the Structure **i-R-(th)-u** as the Autoactives of the 2<sup>nd</sup> diathesis. The structure found in Megrelian does not differ qualitatively from the literary Georgian one. On the synchronic level the construction of the reflexives of the structure **i-R-(th)-u** coincides with the structure of the reflexives of the 1<sup>st</sup> diathesis, which was caused by the unification of the Subject Cases characteristic of Kartvelian non-standard sub-systems.

Three sub-structures are identifiable in the Megrelian Verbal reflexives of the Structure **i-R-(th)-u**: **i-R-eb-u**, **i-R-Ø-u**, **i-R-af-u**.

მანანა ქარაშაძე

**ოზიმიტჩართული ზმნები და მედიოაქტივები  
თანამედროვე ქართულში**

I ნაწილი

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ დაისვა ქართული მედიოაქტივების შინაგანად გარდამავალ, შინაგანი პირდაპირი ობიექტის შემცველ ზმნებად განხილვის საკითხი, მაგრამ შინაგანი პირდაპირი ობიექტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით: „... „მედიოაქტივები“ როგორც სტრუქტურის, ისე სემანტიკის თვალსაზრისით, ძირეული ფორმებია და ამოსავალია აქტივისათვის. ისინი, ასე ვთქვათ, თვითმოქმედებას, თვითმოდრაობას გამოხატავენ და ამიტომ მათ ავტოტივები ვუწოდეთ. ამ ზმნებს შინაგანი გარდამავლობა ახასიათებთ: ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს (აკანკალებს ის მას, მაგრამ კანკალებს ის თვითონ, ამეფებს ის მას, მაგრამ მეფობს ის თვითონ...) და ზედაპირზე არასრული კონსტრუქცია აქვთ“ (მელიქიშვილი 2001:84). ასევე: „პირდაპირი ობიექტი“ იმეფა, ურქინა ტიპის ზმნებისა უნდა იყოს ის, რაც ამ ზმნათა ფუძეშია წარმოდგენილი, ე.ი. პირდაპირი ობიექტი აღნიშნულ ზმნებთან “შინაგანი ობიექტის” სახით უნდა გვექნდეს. იმეფა, ისერა, ინადირა, ურქინა, უწამლა... ზმნათა პირდაპირი ობიექტია, ჩვენი აზრით, მეფე, სერი, ნადირი, რქა, წამალი...” (ნოზაძე 1974:48-51). სხვა თვალსაზრისით მედიოაქტივთა: ლაპარაკობს, მარხულობს, ვარჯიშობს, მეფობს,... შინაგანი გარდამავლობის მტკიცება შესაძლებელია იმის საფუძველზე, რომ ეს ზმნები დროის, სივრცის ან ზომის აღმნიშვნელ სახელებს მართავენ პირდაპირი ობიექტის ბრუნვებში – სახელობითსა და მიცემითში: ბევრი ისმინე, მაგრამ ცოტა ილაპარაკე; კაი ხანი იმარხულეთ; ბევრი ივარჯიშა; დიდი ხანი იმეფა (სუხიშვილი 1999:30).

მედიოაქტივთა სემანტიკურ სტრუქტურაში პირდაპირი ობიექტის როლის შემსრულებელი რეფერენტის არსებობის დასაბუთების შემთხვევაში გამოიკვეთებოდა მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენის, კერძოდ, თანამედროვე ქართულში მედიოაქტივებისა და აქტივების ფუნქციონალურ-სტრუქტურული მსგავსების ამხსნელი სერიოზული არგუმენტი, რომ არა ორი გარემოება: 1) მკვლევრები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ ქართულ მედიოაქტივთა შინაგან პირდაპირ ობიექტს და, აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება, მედიოაქტიური ზმნით დასახელებული სიტუაციის რომელ მონაწილეს უნდა მიეწეროს შინაგანი პირდაპირი ობიექტის სემანტიკური როლი; 2) ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, შინაგანი ობიექტის შემცველი, უფრო ზუსტად, ობიექტჩართული ზმნები, სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებით არსებითად განსხვავდებიან იმ ატელიკური, უმიზნო-პროცესუალური გარდაუვალი ზმნებისაგან, რომლებიც, ქართული ლინგვისტური ტრადიციის თანახმად, მედიოაქტიური ზმნებია (მელიოაქტივების ტიპოლოგიური ნიშნების შესახებ იხ. ქარქაშაძე 2005:257-265).

წინამდენარე ნაშრომში ქართული ენის ობიექტჩართული ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები განისაზღვრა ობიექტჩართულ ზმნათა ინტერპრეტაციისა და კლასიფიკაციის თანამედროვე პრინციპებით, კერძოდ, დიათეზათა თანამედროვე თეორიის კრიტერიუმებით; გათვალისწინებულ იქნა ობიექტჩართულ ზმნათა ტიპოლოგიური მახასიათებლებიც და ასე გაეცა პასუხი კითხვებს: როგორ უნდა განისაზღვროს გარდაუვალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაში ჩართული ობიექტი? რომელი ზმნა შეიძლება ჩაითვალოს ობიექტჩართულად თანამედროვე ქართულში? ობიექტჩართული ზმნური ლექსემა თუ არაქართული მედიოაქტივი?

ლინგვისტურ ლიტერატურაში ტერმინი „ობიექტჩართული ზმნა“ გვხვდება როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობით. ზოგი მკვლევარი ობიექტჩართულად მიიჩნევს მხოლოდ იმ გარდაუვალ უკუქცევითებს, რომლებიც წარმოიქმნებიან სამოქმედო ობიექტის საგნობრივად დამაკონკრეტებელი სპეციფიკური ლექსიკური მნიშვნელობის მქონე გარდამავალი ზმნებისაგან. "Включенно-объектные глаголы образуются от исходных НГ (არარეფლექსური ზმნა – მ. ქ.) обозначающих ситуации вторым участником которых не может быть лицо. Второй участник ситуации, называемый именем в позиции  $D_{np}$  (პირდაპირი დამატება – მ. ქ.) при НГ, оказывается элементом функционально связанным с действием... В ИК (ამოსავალი კონსტრუქცია – მ. ქ.) имя в позиции  $D_{np}$  не может быть заменено на личное местоимение денотативно тождественное субъекту. Образование конструкции с РГ (რეფლექსური ზმნა – მ. ქ.) не влечет появления "дополнительного" смысла, устраняется лишь конкретная, лексически выраженная информация о втором участнике действия... Конструкция с РГ синонимична конструкции с производящим НГ... Конструкции этого типа образуются в армянском языке с немногочисленными глаголами: artahajtvел "высказаться", bacatrvел "объясняться", krknvel "повторяться", šejvel "отклониться (от пути)". В русском языке включенно-объектными считаются конструкции образованные с помощью глаголов передающих изменение выражения лица: Петя наморщился, нахмурился, прищурился, вытаращился и др." (Козинцева 1981:85-86).

მკვლევართა უმეტესობის აზრით, ამოსავალი გარდამავალი ზმნის სინონიმური ობიექტჩართული უკუქცევითი შეიძლება წარმოიქმნას არა მხოლოდ რუს. ხმურიტ „ჭმუნის“, ლიტვ. uzmerki „ხუჭავს“, ქართ. **ჭუტავს** ტიპის სპეციფიკური მოქმედების აღმნიშვნელი ზმნებისაგან, არამედ ისეთი გარდამავლებისგანაც, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობით საგნობრივად არ კონკრეტდება პირდაპირი ობიექტი (Янко-Триницкая 1962:171-202; Генюшене 1981:167-170; Корди 1981:236-237). ეს თვალსაზრისი, რომელსაც ტიპოლოგიური მონაცემებიც უჭერენ მხარს, საკმაოდ აფართოებს ტერმინ „ობიექტჩართული ზმნის“ მნიშვნელობას. წარმოდგენილი ნაშრომიც ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს.

დიათეზათა უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის საფუძველზე შესაძლებელია, ერთი მხრივ, ობიექტჩართულ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების საკმაოდ ზუსტად განსაზღვრა და, მეორე მხრივ კი იმის ჩვე-

ნება, რომ ობიექტჩართულობა ენებში საკმაოდ გავრცელებული სემანტიკურ-სინტაქსური ფენომენია. სხვადასხვა ენის ობიექტჩართული ზმნური ლექსემების აღწერა-შეპირისპირებისას ირკვევა, რომ ა) ობიექტჩართული ზმნა უკუქცევითი ტრანსფორმია, რომელიც ამოსავალი გარდამავალი ზმნის სუბიექტს I აქტანტით წარმოადგენს სინტაქსურ დონეზე, ხოლო ამოსავალი ზმნის პირდაპირი (ან ირიბი) ობიექტის სემანტიკა იმპლიცირებულია ამ ტრანსფორმის ლექსიკური მნიშვნელობით; ბ) ობიექტჩართული ზმნის წარმოქმნისას არ იცვლება ამოსავალი გარდამავალი ზმნის სემანტიკური სტრუქტურების ერთეულთა რაოდენობა და ურთიერთმიმართება და, აქედან გამომდინარე, ობიექტჩართული ტრანსფორმი და მისი წარმოქმნილი გარდამავალი ზმნა სემანტიკური ვალენტობის თვალსაზრისით იდენტური ზმნური ლექსემებია; გ) ობიექტჩართული ზმნის სინტაქსური ვალენტობა ნაკლებია ამოსავალი ზმნის სინტაქსურ ვალენტობაზე, რადგან ობიექტჩართული ტრანსფორმი ლექსიკური მნიშვნელობით იმპლიცირებული პირდაპირი (და ირიბი) ობიექტის შესაბამის პირდაპირ (და ირიბ) დამატებას ვეღარ ითავსებს სინტაქსურ კონსტრუქციაში; დ) ობიექტჩართული ზმნის წარმოქმნელ გარდამავალ ზმნასთან სინტაქსურ კონსტრუქციაში დამატებად არ დაიშვება ნაცვალსახელი, რომელიც დენოტატურად იგივეობრივია გარდამავალი ზმნის I აქტანტის. აქედან გამომდინარე, ობიექტჩართული ტრანსფორმი არ შეიძლება გულისხმობდეს სემანტიკური სუბიექტისა და რომელიმე ობიექტის კორეფერენტულობას; ე) ობიექტჩართული ტრანსფორმი და მისი წარმოქმნილი გარდამავალი ზმნა სინონიმური ზმნური ლექსემებია. ისინი აღწერენ ერთსა და იმავე, მხოლოდ ლოგიკური აქცენტებით განსხვავებულ სიტუაციებს. ამოსავალი გარდამავალი ზმნა, რომელიც პირდაპირ (და ირიბ) დამატებას ითავსებს სინტაქსურ კონსტრუქციაში, ლოგიკურ აქცენტს სინტაქსურად გამოხატული ობიექტისა (ობიექტების) და დასახელებული მოქმედების მიმართებაზე აკეთებს; რადგან ობიექტჩართული ზმნის წარმოქმნა დაკავშირებულია, პირველ რიგში, პირდაპირი დამატების ელიფსისთან, ობიექტჩართული ტრანსფორმით ლოგიკური აქცენტი სუბიექტისა და მოქმედების რელაციაზე კეთდება და მოქმედების შესრულებას სუბიექტის დამახასიათებელი ჩვევისა თუ თვისების მნიშვნელობა ენიჭება; ვ) ობიექტჩართული ტრანსფორმის მნიშვნელობა ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობისა და აქტანტების სემანტიკის ფუნქციაა.

## **1. ობიექტჩართული უკუქცევითების სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრის პრინციპები**

დიათეზათა თანამედროვე თეორიის თანახმად, ყოველი ზმნა გულისხმობს რეფერენტული, სემანტიკური როლებისა და სინტაქსური დონეების ერთეულთა გარკვეულ შესაბამისობას, განსაზღვრულს ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით. ამ საბი დონის ერთეულთა ურთიერთმიმართებას ეწოდება დიათეზა (ზრაკოვსკი, 1981, 10). ნებისმიერ ზმნას შეესატყვისება დიათეზა და სწორედ დიათეზის ამა თუ იმ ტრანსფორმაციული წესით გარდაქმნას უკავშირდება ახალი ზმნური ლექსემის, ახალი დიათეზის წარმოქმნა. ნებისმიერი უკუქცევითი ტრანსფორმის

სემანტიკა, უპირველეს ყოვლისა, ამოსავალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაზე, მისი აქტანტების სემანტიკასა და ამოსავალი დიათეზის ტრანსფორმაციისას მომხდარ ცვლილებებზეა დამოკიდებული.

დიათეზის რეფერენტული დონის ერთეულებია ზმნით დასახელებული სიტუაციის მონაწილეები, რეფერენტები. ისინი დიათეზაში ქმნიან რეფერენტულ სტრუქტურას, რომელიც განისაზღვრება რეფერენტთა თვისებრივი მახასიათებლებით.

ობიექტჩართული უკუქცევითების თავისებურებათა წარმოსაჩენად საკმარისია გამოიყოს რეფერენტთა სამი ჯგუფი: 1) აქტიურობის პოტენციის მქონე რეფერენტები (Pot). ეს ჯგუფი იყოფა პირთა (Pers) და სულიერ პოტენტთა (Anim) ქვეჯგუფებად; 2) სულიერი არსების სხეული ან მისი ნაწილები (Part); 3) საგნები (NonP). რეფერენტები ქმნიან დიათეზის რეფერენტულ სტრუქტურას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამოსავალი დიათეზის რეფერენტული სტრუქტურის ერთეულთა თვისებრიობაზეა დამოკიდებული, ტრანსფორმირებული უკუქცევითის მნიშვნელობას შეიძენს, თუ, მაგალითად, პასივის. ამოსავალი დიათეზის რეფერენტული სტრუქტურა არ იცვლება ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისას.

*შენიშვნა:* როცა რომელიმე რეფერენტის თვისებრივი მახასიათებლის მითითება არაარსებითაა ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისათვის, რეფერენტი აღინიშნება პირობითი სიმბოლოებით: A, B, C,...

სემანტიკური როლების დონეზე ერთეულებად მოიაზრება რეფერენტთა როლები. ისინი დიათეზაში ქმნიან სემანტიკური როლების სტრუქტურას. ჩვენი მიზნებისათვის საკმარისია განისაზღვროს შემდეგი სემანტიკური როლები: სუბიექტი (Sb), ობიექტი (O), ადრესატი (Ad), მოქმედების ადგილი (Loc). სუბიექტი განზოგადებული სახელია რამდენიმე კონკრეტული როლის: აგენსის, კაუზატორის, ექსპერიენცერის და სხვ., ობიექტი კი განზოგადებული სახელწოდებაა ისეთი კონკრეტული სემანტიკური როლების, როგორებიცაა: პაციენსი, ადრესატი, პირდაპირი ობიექტი ( $O^d$ ), ირიბი ობიექტი ( $O^i$ ) და სხვ.

ობიექტჩართულ დიათეზად გარდაქმნისას არ იცვლება ამოსავალი დიათეზის სემანტიკური როლების სტრუქტურა.

სინტაქსური დონის ერთეულებია ზმნასთან სინტაქსური ვალენტობით დაკავშირებული აქტანტები, რომლებიც დიათეზაში ქმნიან სინტაქსურ სტრუქტურას. ობიექტჩართული უკუქცევითების სინტაქსური ქცევის დასახასიათებლად აუცილებელია და საკმარისი შემდეგი აქტანტების გამოყოფა: ქვემდებარე (ქვ), პირდაპირი დამატება (დპ), ირიბი დამატება (დი), უბრალო დამატება (დუ), ადგილის გარემოება (გა). „აქტანტები ქმნიან მოწესრიგებულ სიმრავლეს: I აქტანტი ქვემდებარე, II აქტანტი – პირდაპირი დამატება; ხოლო III აქტანტი – ირიბი დამატება“ (გამყრელიძე და სხვ. 2003:254). საერთოდ, აქტანტები უკუქცევითის სინტაქსურ სტრუქტურაში გამოჩენის სხვადასხვა სიხშირით ხასიათდებიან, რაც პირველ რიგში განპირობებულია ამოსავალი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობითა და ტრანსფორმაციის წესით. შესაბამისად იმისა, თუ რომელი აქტან-

ტის პოზიციაა უფრო ხშირად შევსებული ტრანსფორმის დიათეზის სინტაქსურ სტრუქტურაში, აქტანტებს ენიჭებათ იერარქიული რანგები. პირველი – უმაღლესი სინტაქსური რანგი – ენიჭება ქვემდებარეს. მეორე რანგისაა პირდაპირი დამატება. ირიბ დამატებას ენიჭება მესამე რანგი. უბრალო დამატებასა და ადგილის გარემოებას შესაბამისად ენიჭებათ დაბალი, მეოთხე და მეხუთე რანგები. ამოსავალი დიათეზის გარდაქმნისას შეიძლება ამაღლდეს ან დაქვეითდეს დიათეზის ამა თუ იმ აქტანტის სინტაქსური რანგი.

ნებისმიერი ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისას იცვლება ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურა.

თანამედროვე ქართულში ობიექტჩართული უკუქცევითი და პასივი ზოგჯერ ომონიმურ წყვილებს ქმნიან და კონტექსტის გარეშე არ განირჩევიან: **(კატა) იკაწრება** – ობიექტჩართული უკუქცევითი; **(მაგიდა) იკაწრება** – პასივი; **(გოგონა) იხუჭება** – ობიექტჩართული უკუქცევითი; **(თვალი) იხუჭება** – პასივი. ომონიმის თავიდან ასაცილებლად საანალიზო ზმნურ ლექსემებს წარმოვადგენთ აქტანტებთან ერთად.

ამოსავალი სინტაქსური კონსტრუქციის მიმართებას წარმოქმნილ სინტაქსურ კონსტრუქციასთან წარმოვადგენთ სამდონიან დიათეზათა მიმართების სახით. მაგ., **ბიჭი კრეჭს კბილებს**  $\Rightarrow$  **ბიჭი იკრიჭება** სინტაქსურ კონსტრუქციათა მიმართება წარმოდგება როგორც ამოსავალი დიათეზისა და ტრანსფორმირებული დიათეზის შემდეგი შესაბამისობა:

$$(Pers = Sb = ქვ) (Part = O^d = და) \Rightarrow (Pers = Sb = ქვ) (Part = O^d = X)$$

*შენიშვნა:* X სიმბოლოთი აღინიშნება შეუვსებელი სინტაქსური პოზიცია.

## 2. ობიექტჩართულობის მარკერი თანამედროვე ქართულში

ამოსავალი დიათეზის ობიექტჩართულ დიათეზად გარდაქმნა თანამედროვე ქართულში ძირითადად მარკირებულია ბენეფაქტიურ-პოსესიური მნიშვნელობის მქონე ი-პრეფიქსითა და შედარებით იშვიათად დ-სუფიქსით.

ობიექტჩართულ უკუქცევითში ი-პრეფიქსი და დ-სუფიქსი ასრულებენ ორ ფუნქციას: სტრუქტურულს – აღნიშნავენ ამოსავალი დიათეზის აქტანტების რაოდენობის შემცირებას და სემანტიკურს – აღნიშნავენ სუბიექტსა და მოქმედებას შორის ბენეფაქტიურ-პოსესიური მიმართების დამყარებას.

## 3. ობიექტჩართული უკუქცევითი ზმნების კლასიფიკაციის პრინციპები

ამოსავალ დიათეზაში გვაქვს რეფერენტული, სემანტიკური როლებისა და სინტაქსური დონეების ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობა. ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნისას ირღვევა რეფერენტული და სინტაქსური დონეების ერთეულთა პირდაპირი შესაბამისობა. კლასიფიკაცია ორ ეტაპს გულისხმობს: სინტაქსურსა და სემანტიკურს. პირველ – სინტაქსურ ეტაპზე უკუქცევითები კლასებად იყოფიან ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურის ერთეულების შენარჩუნება-არშენარჩუნების შესაბამისად.

ობიექტჩართული უკუქცევითის წარმოქმნა თანამედროვე ქართულში დაკავშირებულია ამოსავალი ზმნის II (და III) აქტანტის პოზიციის ელიმინაციასთან.

ქართული ენის ობიექტჩართული უკუქცევითების წარმოქმნისას არ იცვლება ამოსავალი დიათეზის არც რეფერენტული და არც სემანტიკური როლების სტრუქტურა, მაგრამ იცვლება გარკვეული რეფერენტის (რეფერენტების) სემანტიკური განსაზღვრულობის ხარისხი. ობიექტჩართული უკუქცევითების სემანტიკურ კლასებად დაყოფა ხდება პირდაპირი (და ირიბი) ობიექტის შესატყვისი რეფერენტის (რეფერენტების) სემანტიკის უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობით დაკონკრეტება-განზოგადების ხარისხის მიხედვით.

#### **4. ობიექტჩართული უკუქცევითების სინტაქსური კლასიფიკაცია**

ქართული ენის ობიექტჩართული უკუქცევითები დავყავით ორ სინტაქსურ კლასად:

I. ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნებიან ამოსავალი დიათეზის I აქტანტის ქვემდებარის პოზიციაში შენარჩუნებითა და პირდაპირი დამატების სინტაქსური პოზიციის ელიმინაციით;

II. ობიექტჩართული უკუქცევითები, რომლებიც წარმოიქმნებიან ამოსავალი დიათეზის I აქტანტის ქვემდებარის პოზიციაში შენარჩუნებით, მაგრამ პირდაპირი და ირიბი დამატებების სინტაქსური პოზიციების ელიმინაციით.

I სინტაქსური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითები წარმოიქმნებიან სინტაქსურად ორვალენტიანი გარდამავალი ზმნებისაგან; II სინტაქსურ კლასში ხვდებიან სინტაქსურად სამვალენტიანი გარდამავალი ზმნებისაგან წარმოქმნილი ობიექტჩართული უკუქცევითები.

#### **5. ობიექტჩართული უკუქცევითების სემანტიკური კლასიფიკაცია**

ობიექტჩართული უკუქცევითების სემანტიკური კლასიფიკაციისას ვითვალისწინებთ:

(ა) ამოსავალი ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს;

(ბ) ამოსავალ და ტრანსფორმირებულ დიათეზათა რეფერენტული სტრუქტურის ერთეულების თვისებრიობას;

(გ) ობიექტჩართული უკუქცევითით დასახელებული მოქმედების სემანტიკას და მის მიმართებას ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებული მოქმედების სემანტიკასთან;

(დ) ობიექტჩართული უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობით ობიექტის (ობიექტების) თვისებრივი და საგნობრივი დაკონკრეტების ხარისხს.

ლექსიკურ მნიშვნელობაში ჩართული ობიექტის (ობიექტების) სემანტიკის დაკონკრეტება-განზოგადების შესაბამისად, ნაშრომში განხილული ობიექტჩართული უკუქცევითები დავყავით შემდეგ სემანტიკურ კლასებად:

I. უკუქცევითები, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში ჩართულია კონკრეტული პირდაპირი ობიექტის გაგება;



II. უკუქცევითები, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში ჩართულია პოტენციური პირდაპირი ობიექტის გაგება;

III. უკუქცევითები, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში ჩართულია პოტენციური პირდაპირი და ირიბი ობიექტების გაგება.

ობიექტჩართული უკუქცევითების ესა თუ ის სინტაქსური კლასი შეიძლება დაიყოს რამდენიმე სემანტიკურ კლასად.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად არ ისახავს ქართული ენის ობიექტჩართული ზმნების ამომწურავ კლასიფიკაციას. ქართული ობიექტჩართული ზმნებისა და მედიოაქტივების ურთიერთმიმართების გარკვევისათვის საკმარისად მიგვაჩნია ობიექტჩართულ ზმნათა აღწერისა და კლასიფიკაციის პრინციპების დაზუსტება და ამის საფუძველზე ობიექტჩართულ ზმნათა რამდენიმე სახეობის გამოვლენა-დახასიათება.

## 6. უკუქცევითები, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში ჩართულია კონკრეტული პირდაპირი ობიექტის გაგება

ამ სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითები წარმოიქმნებიან ორვალენტიანი გარდამავალი ზმნებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ სულიერი არსების სხეულზე ან მის რომელიმე კონკრეტულ ნაწილზე შესასრულებელ სპეციფიკურ მოქმედებას და ლექსიკური მნიშვნელობით საგნობრივად აკონკრეტებენ II აქტანტის შესატყვისი რეფერენტის სემანტიკას. I აქტანტად ამ ზმნებთან წარმოდგენილია Pot, ხოლო II აქტანტად – Part კლასის რეფერენტის აღმნიშვნელი სახელური ლექსემა. ესენია: *ჭუტავს (თვალებს), ჭმუზნის (შუბლს), კრეჭს (კბილებს), მანჭავს (სახეს), კვანწავს (ხელებს), ნაბავს (სულს), წიშმუზნის (მხრებს), ხუჭავს (თვალებს), პრუწავს (ტურებს)* და ა.შ. ეს გარდამავალი ზმნები თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობით აკონკრეტებენ, სხეულის რომელი ნაწილის აღმნიშვნელ სახელს შეითავსებენ II აქტანტად სინტაქსურ კონსტრუქციაში. დასაშვებია: *დაკრიჭა კბილები* და არა *დაკრიჭა ხელები, დაჭყიტა თვალები* და არა *დაჭყიტა მხრები* და ა.შ. თითოეული ამ ზმნათაგან სულიერი არსების სხეულის ერთი კონკრეტული ნაწილის მოძრაობას ასახელებს და უფრო ფართო მნიშვნელობით, ზოგადად, მოძრაობის აღსანიშნად არ გამოიყენება ენაში.

„სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნების ობიექტჩართული ტრანსფორმები წარმოიქმნებიან ამოსავალი დიათეზის I აქტანტის ქვემდებარის პოზიციაში შენარჩუნებითა და პირდაპირი დამატების სინტაქსური პოზიციის ელიმინაციით და, ამდენად, ერთიანდებიან I სინტაქსურ კლასში. ეს გარდაუვალი ტრანსფორმები სინტაქსურ კონსტრუქციაში პირდაპირი დამატების შეთავსების გარეშეც ისევე ასახელებენ აქტიურ მოქმედებას და ისევე გულისხმობენ პირდაპირ ობიექტთან მიმართებას, როგორც სათანადო ამოსავალი გარდამავლები, მაგრამ პირდაპირი ობიექტის სემანტიკას მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობით აკონკრეტებენ:

„დაკრეჭს კბილებს (ტუჩების გახსნით კბილებს გამოაჩენს, ულაზათოდ გაიცინებს) ⇒ „გაჩკრიჭება (ულაზათოდ გაიცინებს, კბილებს გამოაჩენს, გაიღრიჭება) – (ქველ);

„გაწაბავს სულს (სუნთქვას შეიკრავს, მიჩუმდება) ⇒ „გაწინაბება (სუნთქვას შეიკრავს, გაჩუმდება) – (ქველ);

„დალრეჭს სახეს (სახის ნაკეთებს დამანჭავს) ⇒ „დალღრიჭება (სახეს დაიღრეჭს, დაიმანჭება) – (ქველ);

„დაკვანწავს ხელებს (მოხდენილად გაშლის ხელებს) ⇒ იკვანწება (მოხდენილად შლის ხელებს) – (ქველ);

იშმუშნის მხრებს (მხრებს იჩეჩს) ⇒ იშმუშნება (მხრებს იჩეჩს) – (ქველ);

„შეჭმუნის შუბლს (შეკრავს შუბლს, მოიღუშავს სახეს) ⇒ „შეჩმუნხნება (შეკრავს შუბლს, მოიღუშება) – (ქველ).

როგორც ვხედავთ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც დაფიქსირებულია, რომ სულიერი არსების სხეულზე ან მის რომელიმე ნაწილზე შესასრულებელი მოქმედებების აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნები და მათი გარდაუვალი ტრანსფორმები ერთნაირად გულისხმობენ პირდაპირ ობიექტს (Part კლასის რეფერენტს), რაც ქმნის მათი თანაბარმნიშვნელობიანი პერიფრაზირების შესაძლებლობას. ამ გარდამავალ ზმნებს და მათ გარდაუვალ ტრანსფორმებს განასხვავებს მხოლოდ ის, რომ *იღუშება* ტიპის უკუქცევითები გარდაუვალი სემანტიკის გამო პირდაპირი დამატებით ვერ ასახელებენ სინტაქსურ კონსტრუქციაში Part კლასის რეფერენტს, მაშინ როცა, შესატყვის გარდამავლებთან ეს რეფერენტი კონსტრუქციაში აუცილებლად არის წარმოდგენილი პირდაპირი დამატების სახით. ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებულ მოქმედებასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული რეფერენტი თვისებრივად და საგნობრივად დაკონკრეტებულია ტრანსფორმის ლექსიკური მნიშვნელობით ანუ ამ რეფერენტის გაგება ჩართულია ტრანსფორმის ლექსიკურ მნიშვნელობაში.

I სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითი ტრანსფორმი და მისი წარმოქმნილი გარდამავალი ზმნა იდეოგრაფიულად სინონიმური ზმნური ლექსემებია. ამ სემანტიკური კლასის ნებისმიერი უკუქცევითი და მისი ამოსავალი გარდამავალი ზმნა გულისხმობს ერთი და იმავე სუბიექტის მიერ ერთსა და იმავე პირდაპირ ობიექტზე შესასრულებელ ერთგვაროვან მოქმედებას. აქედან გამომდინარე, „სპეციფიკური“ გარდამავლები და მათი ობიექტჩართული გარდაუვალი ტრანსფორმები სემანტიკური ვალენტობის თვალსაზრისით იდენტური ზმნური ლექსემებია. ეს იდეოგრაფიული სინონიმები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ სინტაქსური ქცევით: სინტაქსურ კონსტრუქციაში I სემანტიკური კლასის ობიექტჩართულ უკუქცევითთან დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულით არასდროს არ არის წარმოდგენილი სამოქმედო ობიექტი (სულიერი არსების სხეული ან მისი ნაწილი), რადგან ამ ობიექტის გაგება იმპლიცირებულია უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობით. ამოსავალი „სპეციფიკური“ ზმნით აგებულ სინტაქსურ კონსტრუქციაში კი ინფორმაცია სამოქმედო ობიექტ-

ტზე აუცილებლად მოწოდებულია პირდაპირი დამატებით და ამდენად, „სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნის ობიექტჩართული ტრანსფორმის სინტაქსური ვალენტობა ერთით ნაკლებია ამოსავალი ზმნის სინტაქსურ ვალენტობაზე: *ქალი იკანწავს ხელებს* ⇒ *ქალი იკანწება*; *ბიჭი ღმეჭს სახეს* ⇒ *ბიჭი იღმიჭება* და სხვ.

ადამიანის სხეულზე ან მის ნაწილზე შესასრულებელი სპეციფიკური მოქმედების აღმნიშვნელი გარდამავალი ზმნის დიათეზის მიმართება ამ გარდამავალი ზმნის ობიექტჩართული ტრანსფორმის დიათეზასთან წარმოდგება შემდეგი სახით:

$$(Pot = Sb = ქვ) (Part = O^d = და) \Rightarrow (Pot = Sb = ქვ) (Part = O^d = X)$$

ამ ამოსავალი და ტრანსფორმირებული დიათეზების შედარება ცხადყოფს, რომ ამოსავალი გარდამავალი ზმნა და მისი ობიექტჩართული ტრანსფორმი იდენტური სემანტიკური სტრუქტურების, მაგრამ განსხვავებული სინტაქსური პოტენციის მქონე ზმნური ლექსემებია: ამოსავალი ზმნით დასახელებულ მოქმედებასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული პირდაპირი ობიექტის გაგება ერთევა ტრანსფორმის ლექსიკურ მნიშვნელობაში და პირდაპირი დამატებით აღარ გამოიხატება სინტაქსურ სტრუქტურაში.

ბენეფაქტიურ-პოსესიური ი-პრეფიქსით I სემანტიკური კლასის ობიექტჩართულ უკუქცევითებში მარკირებულია ამოსავალი დიათეზის სინტაქსური სტრუქტურის ერთეულთა რაოდენობის ერთით შემცირება და პოსესიური მიმართების დამყარება სუბიექტსა და დასახელებულ მოქმედებას შორის, მოქმედების შემოფარგვლა სუბიექტის სფეროთი. აქედან გამომდინარე, I სემანტიკური კლასის უკუქცევითებში ი-პრეფიქსი წარმოდგენილია ორი ფუნქციით – სტრუქტურულითა და სემანტიკურით.

რადგან ობიექტჩართული ტრანსფორმის სემანტიკური ვალენტობით განსაზღვრული პირდაპირი ობიექტი აქტანტის სახით არ არის წარმოდგენილი I სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითის სინტაქსურ სტრუქტურაში, უკუქცევითით დასახელებული მოქმედება აღიქმება მხოლოდ სუბიექტთან დაკავშირებულად და აქცენტი კეთდება დასახელებული მოქმედებისა და სუბიექტის კორელაციაზე.

**იღუშება** ტიპის ობიექტჩართული უკუქცევითის წარმომქმნელი გარდამავალი ზმნით დასახელებული მოქმედება ლოკალიზებულია სუბიექტის სხეულის ერთ რომელიმე ნაწილში, ხოლო ობიექტჩართული უკუქცევითი ამ მოქმედებას მთელ სუბიექტზე გავრცელებულად წარმოადგენს. I სემანტიკური კლასის ობიექტჩართული უკუქცევითების ეს სემანტიკური ნიშანი ზოგ ენაში (ფრანგულში, სომხურში, რუსულში, ლიტვურში, ქართულში) მორფოსინტაქსურად გამოიხატება, ზოგში კი, მაგალითად, ვიეტნამურში – ლექსიკურად: ვიეტნ. *Tôi có chân* „მე მოვკუნტე ფეხები“ => *Tôi có mình* „მე მოვიკუნტე“ (= „მე მოვკუნტე სხეული“; *mình* „სხეული“) (ბისტროვი და სხვ. 1981:111).

„სპეციფიკური“ გარდამავალი ზმნებისაგან წარმომქმნელი ობიექტჩართული უკუქცევითის ლექსიკური მნიშვნელობით იმპლიცირებული პირდაპირი ობიექტის

შესატყვისი რეფერენტი – მთელის ნაწილი – მეტონიმურად მიუთითებს სუბიექტზე – მთელზე და, ამდენად, ობიექტჩართული უკუქცევითი დასახელებული მოქმედება თვითონ სუბიექტის მახასიათებელ მანერად თუ ჩვევად მოიაზრება.

**მაგალითები:**

„მიყვარს ... გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ... უცოდველად რომ ამოუჩენია თავი და ... **ინაბება...**“ (ვაჟა, „ხმელი წიფელი“);

„უნდა მაშინ ნახოთ ჩვენი მამალი, როცა გაიმარჯვებს, ... როგორ გაივლგამოივლის, ... **გაიბღინდება**, მკერდს წინ გამოიშვერს...“ (ვაჟა, „ჩვენი მამალი“);

„ნასიმიდარში **დაიპლაკნებიან** ინდაურები...“ (რ. ინანიშვილი, „ჩემი მეგობარი“);

**იბღვირება** ტიპის ობიექტჩართულ უკუქცევითებს ტრადიციულად დეპონენსებს უწოდებენ. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დეპონენსები აქტივის მნიშვნელობის გამომხატველი ზმნებია, რომლებსაც ფორმა პასივის აქვთ და გარკვეულ კონტექსტში მნიშვნელობაც პასივის უჩნდებათ (შანიძე 1980:297; ჯორბენაძე 1983:139-140).

სამწუხაროდ, მკვლევრები იფარგლებიან დეპონენსების მახასიათებელი სტრუქტურული ნიშნების კონსტატაციით და არ განმარტავენ იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ დეპონენსური მნიშვნელობის მქონე გარდაუვალი ზმნის თავისებურებებს, ამ ზმნების სემანტიკასა და ფუნქციას ენაში.

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, დეპონენსი ობიექტჩართული უკუქცევითი ტრანსფორმია, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება ამოსავალი გარდამავალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობასა და აქტანტების სემანტიკასთან მიმართებაში.

ამოსავალი გარდამავალი ზმნა და მისი ობიექტჩართული ტრანსფორმი (დეპონენსი) ერთნაირად გულისხმობს მოქმედების მიმართებას მოქმედების მიზანთან, პირდაპირ ობიექტთან, მაგრამ ამოსავალი ზმნა მოქმედების მიზანს დამოუკიდებელი აქტანტით – პირდაპირი დამატებით გამოხატავს კონსტრუქციაში, ხოლო მისი ობიექტჩართული ტრანსფორმი – პირდაპირი დამატების გარეშე – ლექსიკური მნიშვნელობით.

გარდაუვალი ობიექტჩართული უკუქცევითის (დეპონენსის) და მისი ამოსავალი გარდამავალი ზმნის იდეოგრაფიულ სინონიმურობას განაპირობებს ამ ზმნური ლექსემების ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურების იდენტურობა და პირდაპირი ობიექტის სემანტიკის ლექსიკური მნიშვნელობით განსაზღვრის შესაძლებლობა ენაში.

ერთსა და იმავე ობიექტჩართულ უკუქცევითს (დეპონენსს) ხან აქტივის და ხან პასივის სემანტიკის გამოხატვის პოტენცია აქვს იმის საფუძველზე, რომ მის დიათეზაში როლების შეუცვლელადაა გადმოსული ამოსავალი დიათეზის ყველა რეფერენტი და მისი I აქტანტის პოზიციაში დასაშვებია როგორც Pot, ისე NonP კლასის რეფერენტის აღმნიშვნელი სახელი. ობიექტჩართული ტრანსფორმი, რომელიც I აქტანტად ვერ ითავსებს NonP კლასის რეფერენტის სახელს, პასივის სემანტიკას ვერ გამოხატავს და მხოლოდ აქტივის გაგება აქვს.

ობიექტჩართულობა თანამედროვე ქართულში მორფო-სინტაქსური კატეგორიაა, გარდამავალი ზმნის სემანტიკით განსაზღვრული ლოგიკური მიმართებების მეტონიმიურად – აქტანტების შემცირებული რაოდენობით გამოხატვის საშუალებაა, ხოლო ამოსავალი გარდამავალი ზმნით დასახელებული მოქმედების ობიექტჩართული ტრანსფორმით აღნიშვნა – გრამატიკული მეტონიმის კერძო შემთხვევა. აქტივის სემანტიკის პირდაპირი დამატების გარეშე, ობიექტჩართული გარდაუვალი ზმნით გამოხატვისას დასახელებული მოქმედება აღიქმება სუბიექტთან დაკავშირებულად და ამ შემთხვევაში მოქმედების „გადასახელების“, მეტონიმიურად აღნიშვნის მიზანია დროში განსაზღვრული მოქმედების წარმოდგენა სუბიექტის ზოგად მახასიათებელ თვისებად – დროში შეუზღუდავ პროცესად. ობიექტჩართული უკუქცევითების ძირითადი ფუნქცია – წარმოდგინოს ამა თუ იმ მოქმედების შესრულება სუბიექტის პოტენციურ შესაძლებლობად ან თვისებად, განაპირობებს იმ ენობრივ ფაქტს, რომ ობიექტჩართული უკუქცევითები, როგორც წესი, ვერ გამოხატავენ სრული ასპექტის სემანტიკას – თვისება და სისრულე ერთმანეთთან ძნელად შეთვისებადი კატეგორიებია.

„დეპონენსთან“ შედარებით უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს „ობიექტჩართული უკუქცევითი“, რადგან ეს უკანასკნელი მიუთითებს ჩვენთვის საინტერესო გარდაუვალი ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების განმაპირობებელ ფაქტორზე – სემანტიკური ობიექტის ლექსიკური მნიშვნელობით განსაზღვრის პოტენციაზე.

## ლიტერატურა

- ბისტროვი და სხვ. 1981:** Быстров И.С., Станкевич Н.В., Залоговые конструкции во вьетнамском языке, Залоговые конструкции в разноструктурных языках, Ленинград.
- გამყრელიძე და სხვ. 2003:** თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.
- გენიუშენე 1981:** Генюшене Э.Т., К теории описания рефлексивных глаголов, Залоговые конструкции в разноструктурных языках, Ленинград.
- იანკო-ტრინიციკაია 1962:** Янко-Триницкая Н.Я., Возвратные глаголы в современном русском языке, Москва.
- კოზინცევა 1981:** Козинцева Н.А., Рефлексивные глаголы в армянском языке, Залоговые конструкции в разноструктурных языках, Ленинград.
- კორდი 1981:** Корди Е.Е., Деривационная, семантическая и синтаксическая классификация местоименных глаголов французского языка, Залоговые конструкции в разноструктурных языках, Ленинград.
- მელიქიშვილი 2001:** დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.
- ნოზაძე 1974:** ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბილისი.
- ქარქაშაძე 2005:** მ. ქარქაშაძე, ი-პრეფიქსის ფუნქცია ქართულ მედიოაქტიურ ზმნებში (ტიპოლოგიური ანალიზი), ტიპოლოგიური ძიებანი, №5, თბილისი.

*სუხიშვილი 1999*: მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომისა, თბილისი.

*შანიძე 1980*: ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III ტ., თბილისი.

*ჯორბენაძე 1983*: ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვან პრეპიქსული წარმოება ქართულში, თბილისი.

*Manana Karkashadze*

## **Object-Implying Reflexives and Medioactives in Modern Georgian**

(Part I)

### Summary

This article describes one group of Georgian intransitive reflexives, which cannot generate direct complement in syntactical constructions, but these intransitive reflexives depict the implied action of corresponding transitive verbs without this actant. These reflexives are ideographic synonymous verbs of corresponding transitive forms. They elucidate the semantics of the direct object with lexical meanings and are considered as object-implying reflexives. The article discusses this semantic-syntactical phenomenon as an occurrence of grammatical metonymy, and explains its defining factors and functions.

ტიქსტის ლინგვისტიკა

რუსულან ასათიანი

**წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა:  
ხმებითი გვარის კონსტრუქციით პრაგმატიკული  
თავისებურება ქართველურ ენებში**

**1. შესავალი: საკითხის დასმა**

პასიური კონსტრუქცია თეორიულ ენათმეცნიერებაში (ფუნქციონალურ მიმართებათა გრამატიკის თეორიის ფარგლებში) განიხილება შესაბამისი აქტიური კონსტრუქციის კონვერსიულ ფორმად, სადაც პაციენსი დაწინაურებულია სინტაქსურ მიმართებათა იერარქიულად ორგანიზებულ რიგში ( $S > DO > IO$ ) და ქცეულია სუბიექტად, აგენსი კი ტრანსფორმირებულია წინდებულთან ფრაზად და, ფუნქციონალური თვალსაზრისით, აღარ წარმოადგენს ზმნის პირიანობით განსაზღვრულ ბირთვულ არგუმენტს; ამდენად, პასივი სინტაქსურ კატეგორიად მოიაზრება. მრავალ ენაში აქტიური კონსტრუქციის კონვერსიულ (resp. პასიურ) კონსტრუქციაში წარმოდგენილი ზმნური ფორმა მორფოლოგიურადაც მარკირებულია და, შესაბამისად, ამ ენებში გვაქვს ვნებითი გვარის მორფოსინტაქსური კატეგორია.

ქართველურ ენებში პასიური კონსტრუქცია ყოველთვის არ წარმოადგენს შესაბამისი აქტიური კონსტრუქციის კონვერსიულ ფორმას; და, ამდენად, არ არის მკაცრად სინტაქსური კატეგორია, თუმცა აქტიურ-პასიურ ზმნურ ფორმათა მორფოსინტაქსური დაპირისპირება სახეზეა (ასათიანი 1990), მიუხედავად იმისა, რომ აგლუტინაციური ტიპის (ცალსახად მხოლოდ ვნებითი გვარის გამომხატველი) მორფოლოგიური მარკერი არც ერთ ქართველურ ენაში არ დასტურდება (ასათიანი 2001).

**2. თანამედროვე მიდგომა**

თანამედროვე ენათმეცნიერებაში მიღებული ერთ-ერთი თეორიული მიდგომის თანახმად აქტიურ-პასიურ კონსტრუქციებს შორის არსებული ფუნქციონალური სხვაობა აიხსნება წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირების სხვადასხვაგვარობით.

საზოგადოდ, ინფორმაციის სტრუქტურირება, მისი შეფუთვა, ხორციელდება ოპოზიციის საფუძველზე, სადაც ინფორმაციის ერთი ნაწილი გამოიკვეთება ინფორმაციის მეორე ნაწილისგან. საკომუნიკაციო, პრაგმატიკული თვალსაზრისით, ეს გამოკვეთილი ნაწილი არის *აქტუალიზებული* – ხაზგასმული, მნიშვნელოვანი – და წარმოგვიდგენს საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებულ ინფორმაციას. ნებისმიერი სახის 'დაწინაურება' (იგივე: ხაზგასმა, გაშუქება, ფოკუსში მოქცევა, ლოგიკური გამოკვეთა, წინ წამოწევა, თვალთახედვის ცენტრში მოქცევა და სხვა ამგვარი) შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი, *საერთო ფენო-*

*მენი*, რომელიც ასახავს ინფორმაციის ლინგვისტური სტრუქტურირების მთავარ სტრატეგიას. აქტუალიზება სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებში განსხვავებული ფორმალური საშუალებებით ხორციელდება და ნებისმიერ ენობრივ დონეზე შეიძლება იყოს რეალიზებული (ასათიანი 2006).

### 2.1 კონცეპტუალური აქტუალიზება

ექსტრალინგვისტური სიტუაციის ლინგვისტური სტრუქტურირება ბუნებრივ ენებში ძირითადად სამი მთავარი კონცეპტუალური განზომილების მიხედვით მიმდინარეობს (კიბრიკი 1997):

1. სიტუაციის შემადგენელი სემანტიკური როლების (აგენსი: პაციენსი: ადრესატი) მარკირება;
2. საინფორმაციო ნაკადის პრაგმატიკული ღირებულებების (ტოპიკი: კომენტარი) მარკირება;
3. საკომუნიკაციო აქტის სტატუსების (მოლაპარაკე/მსმენელი: საუბრის საგანი) მარკირება.

კონკრეტული ენები ირჩევენ მათთვის მისაღებ სტრატეგიებს და შედეგად ვიღებთ სიტუაციის კონცეპტუალური აქტუალიზების განსხვავებულ მოდელებს.

სემანტიკური როლების მარკირებაზე ორიენტირებულ ენებში ინფორმაციის თვალსაზრისით აქტუალიზებულ სახელად კონცეპტუალიზდება ან აგენსი ან პაციენსი, რის შედეგადაც წარმოიქმნება ან ნომინატიური ან ერგატიული კონსტრუქციები. პირველი აფიქსირებს ინფორმაციის იმ ნაწილის აქტუალიზებას, რომელიც გამოხატავს, თუ *ვინ მოქმედებს*, მეორე კი ინფორმაციის იმ ნაწილის აქტუალიზებას, რომელიც გამოხატავს, თუ *რა ხდება, რა იქმნება*. კონცეპტუალურად აქტუალიზებული სახელი ენობრივ სტრუქტურებში ფორმალურად წარმოდგენილია არამარკირებული, სახელობითი ბრუნვით: ნომინატიურ კონსტრუქციებში ეს არის აგენსი, ხოლო ერგატიულ კონსტრუქციებში – პაციენსი.

### 2.2. ფუნქციონალური აქტუალიზება

ფუნქციონალურად აქტუალიზებული სახელი გრამატიკულ ტრადიციაში აღინიშნება ტერმინით *სუბიექტი*. ეს არის შეტყობინების ის ნაწილი, რომლის შესახებაც მოდის გარკვეული ინფორმაცია და რომელიც, ბუნებრივია, აქტუალიზებულია საინფორმაციო ნაკადში. კონცეპტუალურად უკვე სტრუქტურირებული კონსტრუქციების შემდგომი აქტუალიზაციის პროცესი სწორედ ასეთი ფუნქციონალურად დაწინაურებული ელემენტების ფორმალურ გამოკვეთას გულისხმობს. მაგალითად, ნომინატიურ ენებში, სადაც აგენსია კონცეპტუალურად აქტუალიზებული, შეიძლება პაციენსი წამოიწიოს და იქცეს გამონათქვამის სუბიექტად; ანუ ინფორმაცია გადალაგდეს ისე, რომ გამონათქვამი გვაწოდებდეს გარკვეულ ინფორმაციას სწორედ რომ მოქმედების ობიექტის, პაციენსის, შესახებ და ცენტრალურ, მთავარ ელემენტად აქტუალიზდეს არა აგენსი, არამედ პაციენსი. ნომინატიურ ენებში აქტიური კონსტრუქციები ასახავენ აგენსის აქტუალიზებას (resp. აგენსი ასრულებს სუბიექტის ფუნქციას) მაშინ, როდესაც პასიური კონს-



ტრუქციები წარმოაჩენენ პაციენსის აქტუალიზებას (resp. პაციენსი არის სუბიექტი). ფორმალურად პაციენსის ამგვარი დაწინაურება გამოიხატება მისთვის ნომინატიური ფორმის მინიჭებით. ე.ი. პაციენსი პასიურ კონსტრუქციაში ფორმალურად იმავე ბრუნვით არის მარკირებული, რომლითაც აქტიურ კონსტრუქციაში კონცეპტუალურად აქტუალიზებული სახელი – აგენსია წარმოდგენილი (აგენსი პასიურ კონსტრუქციაში ან სრულიად გამქრალია, ან თანდებულისა და ფორმით დასტურდება).

ამდენად, სინტაქსურად განსხვავებული აქტიური-პასიური კონსტრუქციების დაპირისპირებას განსაზღვრავს ინფორმაციის სტრუქტურების განსხვავებული მოდელები.

### 3. კვლევის მეთოდოლოგია

ინფორმაციის სტრუქტურირების ფორმალური მოდელების მოდიებისათვის განსაკუთრებით ღირებულია ბუნებრივ სამეტყველო სიტუაციებში წარმოქმნილი წინადადებები. ასეთი სიტუაციების სტიმულირება შესაძლებელია გარკვეული საექსპერიმენტო ამოცანების შერჩევით. ამ ამოცანების გადაწყვეტაზე დაფუძნებული ექსპერიმენტების შედეგად მოპოვებული მასალა წარმოადგენს სპონტანურად წარმოქმნილი სამეტყველო ტექსტების კორპუსს, რომლის ანალიზსაც ეყრდნობა წინამდებარე კვლევა.

#### 3.1. ექსპერიმენტების აღწერა

ცდისპირებს ეძლეოდათ ბარათები ორი ერთმანეთთან დაკავშირებული სიტუაციის ამსახველი სურათით, სადაც მთავარი პარტიციპანტები იცვლებოდნენ სულიერობისა და ხილვადობის (განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის) ნიშნების მიხედვით:

სულიერობის ცვლა:	A	სულიერი პაციენსი
	B	უსულო პაციენსი
განსაზღვრულობის ცვლა:	C	განსაზღვრებადი აგენსი
	D	არაგანსაზღვრებადი აგენსი

სურათები იმგვარად იყო შერჩეული, რომ ასახავდნენ ამ ნიშანთა ლოგიკურად შესაძლებელ ყველა კომბინაციას: {A,C}, {A,D}, {B,C}, {B,D}.

ექსპერიმენტების შედეგად მოველოდით, რომ უცნობი, არაგანსაზღვრებადი აგენსის და/ან სულიერი პაციენსის შემთხვევაში ინფორმანტები უპირატესობას მიანიჭებდნენ პასიურ კონსტრუქციებს.

ინფორმანტებს უნდა ეხელმძღვანელათ შემდეგი ინსტრუქციით:


*თქვენ გეძლევათ ორი სცენის ამსახველი სურათები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია. წარმოიდგინეთ, რომ ჯერ პირველ სურათზე აღბეჭდილ სცენას შეესწართ, უშუალოდ მის მომდევნოდ (ვთქვათ, რამდენიმე წუთის შემდეგ) კი – მეორეს. გთხოვთ აღწეროთ, რა ხდება ყოველ სცენაზე?*

მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ რამდენიმე ბარათს:


AC




AD



BC



BD



### 3.2. ინფორმანტები

ქართველურ ენათა მასალა მოპოვებულ იქნა საველე პირობებში: ყოველი ენისათვის ჩატარდა რვა-რვა სესია თბილისში, ანაკლიასა და გარდაბნის რაიონში (იქ ჩასახლებულ სვან ინფორმანტებთან). ქართული, მეგრული და სვანური მასალის შესავროვებლად გამოკითხულ იქნა, შესაბამისად, რვა-რვა წყვილი ინფორმანტებისა, ძირითადად, სტუდენტი ახალგაზრდები.

## 4. მასალის ანალიზი

QUIS-ესპერიმენტების (სკოპეტეასი და სხვ. 2006) საფუძველზე მოპოვებულ სპონტანურ სამეტყველო გამონათქვამებში, როდესაც აგენსი სიტუაციურად უცნობი, გაურკვეველი პარტიციპანტია და პასიური კონსტრუქცია (გაუჩინარებული აგენსით) ყველაზე უფრო მოსალოდნელია, ცდისპირები უპირატესობას ანიჭებენ აქტიურ კონსტრუქციებს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პაციენსი სულიერია, ანუ პაციენსის აქტუალიზაციისათვის და, შესაბამისად, პასიური კონსტრუქციების ფორმირებისათვის ყველაზე შესაფერისი პირობებია.

#### 4.1. ქართული მასალა

ქართულში მოსალოდნელი პასივის ნაცვლად წარმოებული კონსტრუქციები სპეციფიკურია: ამ კონსტრუქციებში სუბიექტი წარმოდგენილია ან განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით *ვიღაც*, *რადაც*; ან გვაქვს ე.წ. განუსაზღვრელსუბიექტიანი წინადადებები სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის მაჩვენებელი სუფიქსით ზმნაში. მაგალითად:

*ამ კაცს თავში ჩაქუჩს ურტყამენ.*


*ბოთლს კრავენ ფეხს.*

*მას ვიღაც ფეხს ურტყამს.*

*ვიღაცა ავლებს გოგოს კიბიდან.*

და სხვ.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა 'სიტუაციურად უცნობი აგენსის' კონკრეტული არსებითი სახელით წარმოდგენის შემთხვევა: *ტაფას იღებს ქალი*, რაც, როგორც ჩანს, აიხსნება ზოგადი წარმოდგენით, რომ *'ძირითადად ქალები ამზადებენ საჭმელს და საქმე აქვთ ტაფებთან'*, რის საფუძველზეც 'უცნობი აგენსი' ცდისპირის მიერ ჩანაცვლდა კონკრეტული სახელით *ქალი*:



საინტერესოდ გვეჩვენება, კიდევ ერთი კონსტრუქცია – *ვიღაცის ნასროლი ყუთი ავლებს მას (=გოგოს) მავიდიდან*. ეს, უსულო აგენსის შემცველი, კონსტრუქცია ასახავს ანგარიშგასაწევ ტენდენციას: სავარაუდო სულიერი აგენსის შემოყვანა განუსაზღვრელი ნაცვალსახელით გადმოცემული ატრიბუტული კონსტრუქციით (*ვიღაცის ნასროლი*) იმგვარად, რომ უსულო პარტიციპანტის აგენსური ინტერპრეტაცია არ იცვლება და ის წინადადების სუბიექტად კვალიფიცირდება. ამ ტენდენციის კოგნიტიური საფუძველები აშკარაა – უსულო პარტიციპანტის ინტერპრეტაცია აგენსად მიუღებელია, თუმცა მისი სუბიექტად გააზრება (ანუ აგენსთან ფუნქციონალური გათანაბრება) – დასაშვებია. ეს კონსტრუქცია კიდევ ერთ ზოგად ტენდენციაზე მეტყველებს: უსულო აგენსისა და სულიერი პაციენსის შემთხვევაშიც მოსალოდნელი პასივის ნაცვლად ქართულში კვლავ აქტიურ კონსტრუქციას ვხვდებით.

წარმოგდგენთ „უცნობი აგენსის“ შემცველი კონსტრუქციების სტატისტიკური მაჩვენებლების ამსახველ ცხრილს, რომელიც შედგენილია ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე:

ცხრილი 1

აქტიური კონსტრუქცია განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით	აქტიური კონსტრუქცია განუსაზღვრელსუბიექტიანი მესამე პირის ზმნური ფორმით	პასიური კონსტრუქცია	სხვა ტიპის კონსტრუქცია	სულ
10	10	0	1	21

მიუხედავად იმისა, რომ მასალა არ არის დიდი რაოდენობის, კონსტრუქციათა გამოყენების გარკვეულ ტენდენციებზე მსჯელობა მაინც შესაძლებელია: ‘უცნობი აგენსის’ შემცველი სიტუაციების გადმოსაცემად: (1). საერთოდ არ გვხვდება პასიური კონსტრუქციები; (2). განუსაზღვრელი სუბიექტის გამომხატველი ზმნური ფორმებით (SIII პირის მრავლობითი რიცხვისა) აგებული აქტიური კონსტრუქციები და განუსაზღვრელნაცვალსახელიანი აქტიური კონსტრუქციები თანაბრად მისაღებია – არჩევანი, ძირითადად, დამოკიდებულია ინფორმანტზე: ესა თუ ის ინფორმანტი, როგორც წესი, ირჩევს ერთ-ერთ სტრატეგიას და იშვიათად თუ ცვლის მას. (3). სხვა ტიპის კონსტრუქციები არ დაფიქსირდა (თუ არ ჩავთვლით ზემოთ აღწერილ შემთხვევას – *ტაფას იღებს ქალი*, სადაც უცნობი აგენსი წარმოდგენილია კონკრეტული საზოგადო სახელით – *ქალი*. ამ შემთხვევაშიც კონსტრუქცია აქტიურია).

ის, რომ ქართულ სამეცნიერო ტექსტებში ‘უცნობი აგენსის’ გამოსახატავად არ დაფიქსირდა პასიური კონსტრუქციები, ძლიერი არგუმენტია იმ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც ქართულში პასიური კონსტრუქციების მასტიმულირებელი არ არის საინფორმაციო სტრუქტურის კონცეპტუალურ-ფუნქციონალური აქტუალიზება; ე.ი. ის არ არის უბრალოდ სინტაქსური მიმართებათა ცვლის შედეგი.

4.2. მეგრული მასალა

მსგავსი დასკვნებისკენ გვიბიძგებს მეგრული სათვით შემუშავებული საქსპერიმენტო ამოცანების გადაწყვეტის შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზიც – არც ერთმა ინფორმანტმა უცნობი აგენსის შემცველი სიტუაციის აღწერისას არ გამოიყენა პასიური კონსტრუქცია და, ქართულის მსგავსად, უპირატესობა მიანიჭა აქტიურ კონსტრუქციებს განუსაზღვრელი ნაცვალსახელით; თუმცა, ქართულისაგან განსხვავებით, მეგრულ მასალაში შედარებით იშვიათია კონსტრუქციები განუსაზღვრელსუბიექტიანი ზმნის SIIIpl პირის ფორმით; ასევე არ დაფიქსირდა სხვა ტიპის კონსტრუქციები (იხ. ცხრილი 2):

ცხრილი 2

აქტიური კონსტრუქცია განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით	აქტიური კონსტრუქცია განუსაზღვრელსუბიექტიანი ზმნური ფორმით	პასიური კონსტრუქცია	სხვა ტიპის კონსტრუქცია	სულ
14	3	0	0	17

სურათების აღწერისას ინფორმანტები, ქართულისგან განსხვავებით, მეგრულში უფრო ხშირად მიმართავდნენ წარსულ დროს (წყვეტილს), რაც საინფორმაციო სტრუქტურის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტია: მეგრულის წყვეტილში გვაქვს მხოლოდ ერგატიული კონსტრუქცია; ერგატიული კონსტრუქცია კი, საზოგადოდ, პაციენსის (resp. პირდაპირი ობიექტის) კონცეპტუალურ აქტუალიზაციაზე მიგვანიშნებს და, ამ თვალსაზრისით, ფუნქციურად პასიურ კონსტრუქციას უთანაბრდება (კონცეპტუალური აქტუალიზაციისათვის იხ. ასათიანი 2006; 2007).

მაგალითები:

<i>მიდგარენ-ქ</i>	<i>ტაფე</i>	<i>გე-ჭოფ-უ</i>	<i>სკამი-შე</i>
somebody-ERG	pan.NOM	PR-take-AOR.S.3.SG	chair-from
ვიდაცამ ტაფა აილო სკამიდან			
<i>კოჩი-ს</i>	<i>ხე-ს</i>	<i>მი-ო-გ-ან-ა(ნ)</i>	
man-DAT	hand-DAT	PR-OV-hit-TM-S.3.PL	
კაცს ხელს ურტყამენ			

ის, რომ მეგრულში უპირატესობა ენიჭება კონსტრუქციას განუსაზღვრელი ნაცვალსახელით *მიდგარენ*, შეიძლება აიხსნას ამ ნაცვალსახელის აგებულებით: *მიდგარენ* (somebody-be-PRS.S.3.SG) „ვიდაც არის (რომ)“. ანუ, გვაქვს ტიპური ე.წ. გახლეჩილი (Cleft) კონსტრუქცია, რომელიც ბევრ ენაში (მაგ.: ინგლისურში, გერმანულში, რუსულში და სხვ.) ფოკუსირებული შემადგენლის გამოხატვის ერთ-ერთი გავრცელებული მოდელია და, სავარაუდოდ, მეგრულშიც უკეთ გახაზავს უცნობი აგენსის ფოკუსურ ბუნებას (ე.ი. მიუხედავად იმისა, რომ ფოკუსური შემადგენელი უცნობია, მისი ფოკუსური ბუნება მაინც გახაზულია), რაც განუსაზღვრელსუბიექტიან წინადადებაში შეუძლებელია – ფოკუსირებული ახალი (თუმცა, უცნობი) ინფორმაცია (ანუ, უცნობი Ag) ზედაპირულად საერთოდ არ არის წარმოდგენილი. *მიდგარენ* ფორმაში ‘*ყოფნა*’ ზმნის კლიტიკურ ბუნებაზე (ანუ იმაზე, რომ ის ბოლომდე ერთ სიტყვად არ არის ქცეული) მიუთითებს ბრუნვის ნიშნის პოზიციური, თითქმის თავისუფლადმონაცვლე ვარიანტების დადასტურება მასალაში: *მიდგარენ-ქ* // *მიდგარენ-ქ*.

ამგვარად, მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეგრულიც თავს არიდებს მოსალოდნელ პასიურ კონსტრუქციებს უცნობი აგენსის გამოსახატავად, მაგრამ

უსულო აგენსის შემთხვევებში, სადაც ქართული კვლავ უპირატესობას აქტიურ კონსტრუქციას ანიჭებს, მეგრული ძირითადად ირჩევს განსხვავებულ სტრატეგიას: რთულ (ზოგჯერ მარტივსაც) წინადადებებს, სადაც წარმოდგენილია დინამიკური პასივები: *ხვდება, ვარდება, ეგაგვურება, აწვება* და სხვ; მაგ.: *ბურთი მოხვდა გოგოს და ის მაგიდიდან ვარდება* (ნაცვლად ქართულში დაფიქსირებული აქტიური კონსტრუქციისა: *ბურთმა გადმოავლო გოგო მაგიდიდან*).

#### 4.3. სვანური მასალა

ქართული და მეგრული ენების კვალდაკვალ სვანურიც მსგავს სტრატეგიებს ირჩევს: (1). უცნობი აგენსი გამოხატულია განუსაზღვრელი ნაცვალსახელით *ერვალე, ერე*; (2). განუსაზღვრელსუბიექტიანი კონსტრუქცია ზმნის SIIIpl პირის მაჩვენებელით *-ხ*; (3). ერთ შემთხვევაში, ქართულის მსგავსად, დაფიქსირდა აქტიური კონსტრუქცია, სადაც უცნობი აგენსი ჩანაცვლებულ იქნა კონკრეტული საზოგადო სახელით *კაცი*:

*მარე ჩუხაკუნკვა. კოცილ ხანუნლო ჳედნი მერმე მარე ი ალ მარეს თხუმჩუ კვატხხ ხატყცი. – „კაცი ჩაცუტქულია. ცოტა ხნის შემდეგ მოდის მეორე (სხვა) კაცი და ამ კაცს თავში ჩაქუხს ურტყამს.“*

მიუხედავად იმისა, რომ სურათზე არ ჩანს, თუ ვინ ურტყამს კაცს ჩაქუხს, სვანმა ცდისპირმა იხმარა კაცის აღმნიშვნელი ლექსემა *მარე*, რაც, როგორც ჩანს, აიხსნება ზოგადი წარმოდგენით, რომ *ძირითადად კაცები არიან აგრესიულები და ჩხუბობენ*. სავარაუდოა, რომ სწორედ ასეთი კოგნიტიური ინტერპრეტაციის საფუძველზე ‘უცნობი აგენსი’ ცდისპირის მიერ ჩანაცვლდა კონკრეტული სახელით *კაცი*. სვანური მასალის სტატისტიკური ანალიზი წარმოდგენილია მესამე ცხრილში:

ცხრილი 3

აქტიური კონსტრუქცია განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით	აქტიური კონსტრუქცია განუსაზღვრელ სუბიექტიანი ზმნური ფორმით	პასიური კონსტრუქცია	სხვა ტიპის კონსტრუქცია	სულ
11	6	0	1	21

## 5. დასკვნები

ამგვარად, სამივე ქართველურ ენაში ძირითადად ერგვაროვანი სურათია – პასიური კონსტრუქციები უცნობი აგენსის შემცველი სიტუაციების გადმოსაცემად არ გვხვდება. ეს ფაქტი ძლიერი არგუმენტია იმ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ, რომლის მიხედვით ქართველურ ენებში პასიური კონსტრუქციების მასტიმულირებელი არ არის საინფორმაციო სტრუქტურის კონცეპტუალურ-ფუნქციონალური აქტუალიზება; ე.ი. ის არ არის უბრალოდ სინტაქსურ მიმართებათა ცვლის შედეგი; და, ამდენად, უნდა ვეძიოთ პასიური-აქტიური მორფო-სინტაქსური მოდულების განმსაზღვრელი სხვა (სავარაუდოდ, არა სინტაქსური, არამედ სემანტიკური და/ან კოგნიტიური) ნიშნები (ასეთი სავარაუდო ნიშნების შესახებ იხ. (ასათიანი 2008).

## ლიტერატურა

- ასათიანი 1990:** რ. ასათიანი, გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში, ტიპოლოგიური ძიებანი, „მეცნიერება“, თბილისი.
- ასათიანი 2001:** Asatiani R., Conceptual Structure of Reflexive and Middle, Proceedings of the 4th International Symposium on LLC, Amsterdam ILLC Scientific Publications, ed. Dick de Jongh.
- ასათიანი 2006:** რ. ასათიანი, ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, „უნივერსალი“, თბილისი.
- ასათიანი 2007:** რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდულები ქართულში. „სემიოტიკა-II“, „უნივერსალი“, თბილისი.
- ასათიანი 2007:** R. Asatiani, The Main Devices of Foregrounding in the Information Structure of Georgian Sentences. Proceedings of Tbilisi Symposium on language, Logic and Computation 1005. Amsterdam: Spriger. 21-31.
- ასათიანი 2008:** რ. ასათიანი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: ქართულში ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკურ-კოგნიტიური ინტერპრეტაცია. გ. კარტოზია-სადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი.
- კიბრიკი 1997:** Kibrik A., Beyond Subject and Object: Toward a Comprehensive Relational Typology. *Linguistic Typology*.I. Berlin-New York: Mouton de Gruyter. 279-346.
- სკოპეტასი და სხვ. 2006:** Skopeteas S., Fiedler I., Hellmuth R., Schwarz, A., Stoel, R., Fanselow, G., Féry, C., and Krifka M., Questionnaire on Information Structure (QUIS). *Interdisciplinary Studies on Information Structure* 4. Working Papers of the SFB 632, Potsdam: Universitätsverlag Potsdam.

## **Information Structure of a Sentence: Peculiarities of Passive Constructions in Kartvelian Languages**

### Summary

Kartvelian passive is quite different from the Indo-European one. In Indo-European languages passive constructions are defined functionally - they are conversive of corresponding active constructions where patient is promoted to subject position, and agent is demoted and transferred into a prepositional phrase. Kartvelian passive constructions do not always show conversion of active ones. They are not simply defined by syntactic transformations; they are mostly governed by some semantic peculiarities of a verb. Sometimes 'passive constructions' actually represent active semantics: *dgeba* 'S/he is standing up', *ekačeba* 'S/he pulls something', *ac'veba* 'S/he pushes something', etc. It seems that in Kartvelian, as well as in some other languages, e.g. in Japanese [Shibatani, 1985], active-passive opposition forms a continuum, where prototypical passive differs from the so-called middle forms.

The peculiarities of Kartvelian passive define the restrictions of their usage in the process of information structuring. On the basis of analysis of the semi-spontaneous data collected through the *Questionnaire on Information Structure* (QUIS is being developed within the Sonderforschungsbereich 632 "Information Structure" at the University of Potsdam and the Humboldt University Berlin funded by GSS [Skopeteas et al. 2006]), passive constructions in Kartvelian are not defined by the invisibility of an agent and they do not always simply imply changes of syntactic functions. When an invisible Agent is presented and passive constructions are logically the most appropriate, Georgian, Megrelian and Svan informants prefer to produce active constructions with an uncertain subject which is represented in verb forms by (1) either S.3.PL suffixes or (2) indefinite pronouns 'somebody/something'.

Thus, the analysis of information structure of sentences in Kartvelian languages gives one strong argument for interpreting Kartvelian passive as a grammatical category mostly governed by semantic (and not by syntactic) features.



ქეთევან ბრძენიძე

**წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა:  
ლოკატივები ქართულში**

**1. საკითხის დასმა**

1.1. ენა როგორც საკომუნიკაციო საშუალება

ენის უმთავრესი ფუნქცია არის საკომუნიკაციო. ენის შექმნა საზოგადოების ჩამოყალიბებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: როდესაც გაჩნდა ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობა და სურვილი, სწორედ მაშინ შეიქმნა სოციუმი. საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები აისახება ენაზე. ამიტომ ვამბობთ, რომ ენა საზოგადოებრივი მოვლენაა.

განვითარების პირველ ეტაპზე ენის ფუნქცია, სავარაუდოდ, ფაქტების მარტივი და მშრალი აღწერა უნდა ყოფილიყო, მაგრამ დროთა განმავლობაში საზოგადოების მოთხოვნები შეიცვალა. გაიზარდა პიროვნების როლი, გაჩნდნენ ლიდერები, შეიქმნა სხვადასხვაგვარი კულტები თუ რელიგიები, ტომთა გაერთიანებები და ქლაქ-სახელმწიფოები, ჩამოყალიბდა თავისებური ტრადიციები და მათს საფუძველზე – განსხვავებული კულტურები.


საზოგადოდ, ადამიანი ექცევა იმ საზოგადოების რწმენისა და ჩვეულებების ზეგავლენის ქვეშ, რომელშიც ცხოვრობს და მის მიერ რეალობის აღქმა შორდება ობიექტურობას. გარდა ამისა, მისთვის უკვე მნიშვნელოვანია, არა მარტო გადასცეს ან მიიღოს ინფორმაცია, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, თავის სასარგებლოდ შეცვალოს იგი. ყოველივე ეს აისახება ენაზე – ის არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ ინდივიდის სამსახურშიცაა.

1.2. ენა როგორც მამოღელირებელი სისტემა

საზოგადოდ, არსებობს ერთი და იმავე ინფორმაციის სამი სახე:

- პირველი არსებობს ობიექტურ რეალობაში (A);
- მეორე – ადამიანის ცნობიერებაში (ეს დამოკიდებულია პიროვნებაზე, მის განათლებაზე, ეროვნებაზე, რწმენაზე და ა. შ.)(B);
- და მესამე ფორმირდება ენის საშუალებით კომუნიკაციისას (C).

მაგალითად, თუ გვაქვს რაღაც მოვლენა A, ის აღიქმება როგორც B და კომუნიკაციისას შეიძლება გადაიცეს როგორც C.



რეალობა ერთია, მაგრამ განსხვავებულია მისი აღქმა. ზემოთ მოყვანილ სამკუთხედში B ზოგადი აღმნიშვნელია A-ს უსასრულო ინტერპრეტაციებისა. ასევე, C-ც არის B-ს ენობრივი ფორმულირებების ზოგადი აღმნიშვნელი, მაგრამ ენობრივი მოდელების რაოდენობა სასრულია. თუ ერთსა და იმავე A-ს შეიძლება შეესაბამებოდეს ფაქტობრივად უსასრულო რაოდენობის B (B1, B2, B3, ...Bn; სადაც n უსასრულოა), ყოველ ცალკეულ B-ს შეიძლება შეესაბამებოდეს სასრული რაოდენობის C (C1, C2, C3, ...Cm; სადაც m სასრული რიცხვია). კომუნიკაციის დროს, შესაძლოა, მოსაუბრემ ინფორმაცია ისე გადმოსცეს, როგორც მან აღიქვა. ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ B=C. მაგრამ ხშირად მოსაუბრე უნებლიეთ ან მიზანმიმართულად უცვლის სახეს ინფორმაციას. ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს C1, C2, C3, C4 და ა. შ.

ინფორმაციის სახეცვლილება B-დან C-მდე შეიძლება გამოწვეული იყოს ძირითადად ორი მიზეზით:

- მოსაუბრე უნებლიეთ გადასცემს მსმენელს არაობიექტურ ინფორმაციას, ანუ არ აწვდის ისეთი სახით, როგორითაც თვითონ მიიღო, რადგან ექცევა ემოციური ან სხვა ფაქტორების გავლენის ქვეშ;
- მოსაუბრეს სურს, რომ მსმენელს მიაწოდოს არაობიექტური ან სუბიექტური ინფორმაცია, რათა გავლენა მოახდინოს მასზე.

ცალკე შემთხვევაა მსმენლის მიერ ინფორმაციის აღქმა. ამ დროს, ისევე სუბიექტურ ფაქტორთა გავლენით, მსმენელმა შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიქვას თუნდაც ყველაზე ობიექტური ინფორმაცია, ან საერთოდ ვერ გაიგოს, რას ამბობს მოსაუბრე. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც დისკურსის მონაწილეთა შორის არ არსებობს საერთო ფონი.

ამ შემთხვევებს ქვემოთ განვიხილავთ. მაგრამ მანამდე მივუბრუნდეთ ენის მამოდელირებელ ფუნქციას: ენა არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს ჩვენს სინამდვილეს. ადამიანები სამყაროს გრძნობის ორგანოებით აღიქვამენ, მაგრამ ენობრივი მიმართებები ხშირად ცვლის სამყაროს სურათს. ჩვენ ვცხოვრობთ ენობრივი ინფორმაციების გარემოცვაში. ზოგჯერ გვჯერა, რაც გვესმის, ზოგჯერ – არა, მაგრამ მაინც ვექცევით ენობრივი ინფორმაციის გავლენის ქვეშ, რადგან ენაში არსებობს უამრავი მექანიზმი იმისათვის, რომ ჩვენ დავიჯეროთ. ხშირად ენა ქმნის ჩვენს სამყაროს.

### 1.3. წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა

ზემოთ ჩამოთვალეთ B-ს ცვლილების მიზეზები და აღვნიშნეთ, რომ ენაში არსებობს მექანიზმები, რომლებიც ემსახურება მოსაუბრის მოთხოვნებს დისკურსის მომენტში. მაგრამ ენა უშუალო დაკვირვებაში არ გვეძლევა. უშუალო დაკვირვების საგანია მეტყველება. ყველა ზემოთ აღნიშნული ენობრივი სა-

შუალება რეალიზდება სწორედ მეტყველებაში. სამეტყველო აქტი კი შედგება კონკრეტული გამონათქვამებისაგან – წინადადებებისაგან.

ფორმალისტი სტრუქტურალისტები ამტკიცებენ, რომ წინადადების ანალიზისას საჭიროა შინაარსის შეძლებისდაგვარად უგულბელებოფა და მთავარია გრამატიკული ფორმების სისწორის კვლევა. ასეთი წმინდა ფორმალისტური მიდგომის შედეგად იკარგება წინადადების მრავალი ტიკური თუ პრაგმატიკული ნიუანსი, რადგან წინადადების მთავარი ფუნქცია, ისევე როგორც მთლიანად ენისა, არის ინფორმაციის გადაცემა.

წინადადება არ არის მხოლოდ სიტყვათა მექანიკური ჯამი. იმისათვის, რომ მან რაღაც ინფორმაცია გადმოგვცეს, საჭიროა მთელი რიგი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური საშუალებები, რაც ინფორმაციის კოდირებას, ფორმალურ შეფუთვის ემსახურება. ინფორმაციის სტრუქტურირების დროს ინფორმაციის შემადგენელი გარკვეული ნაწილების გამოსაკვეთად სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ლინგვისტური მოდელები შეიძლება შეგვხვდეს. ყოველი ენა ირჩევს მისთვის მისაღებ მოდელებს და ინფორმაციის გარკვეული ნაწილის გამოსაკვეთად სწორედ თავისი სტრუქტურის შესაბამის საშუალებებს იყენებს.

**მაგალითი 1:** თუ რომელიმე ენის სიტყვათა რიგის არამარკირებული სინტაქსური სტრუქტურაა SVO, მაშინ ინფორმაციის რომელიმე ნაწილზე ლოგიკური მახვილი შეიძლება მარკირებული OVS რიგით გამოიხატოს:<sup>1</sup>

**S V O**  
კაცი წერს წერილს.

**O V S**  
წერილს წერს კაცი.

ამ ორ წინადადებას შორის განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში ინფორმაცია ნარატიულია, მსმენელს ფაქტის უბრალო აღწერა მიეწოდება. წინადადება *კაცი წერს წერილს* ნეიტრალური სტილია, რადგან ის ხაზს არ უსვამს ინფორმაციის არც ერთ ნაწილს. მაგრამ წინადადებაში *წერილს წერს კაცი* მარკირებულია *წერილი*, როგორც ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი კონკრეტულ მომენტში. ამ შემთხვევაში მოსაუბრეს სურს, რომ მსმენელმა განსაკუთრებული ყურადღება *წერილს* მიაქციოს. გარდა ამისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მსმენელისათვის ან მსმენელთათვის ცნობილია რაღაც დამატებითი ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ. ამ შემთხვევაში, სინტაქსურ პოზიციათა ცვლილება გარკვეულწილად არტიკლის როლს ასრულებს. ფაქტობრივად, ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იგივე ფაქტი შეიძლება სხვადასხვანაირად გადმოიცეს ენობრივად და სხვადასხვა ზემოქმედება იქონიოს მსმენელზე.

წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა აერთიანებს ყველა იმ საშუალებას, რომლებსაც მიმართავს მოსაუბრე გარკვეული აზრის გადმოსაცემად. წინადადების საინფორმაციო სტრუქტურით ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსო-

<sup>1</sup> OVS არის გრამატიკულად სწორი, მაგრამ შედარებით იშვიათად გამოყენებული კონსტრუქცია ჩვეულებრივ მეტყველებაში და, ამდენად, ის მარკირებულად მიიჩნევა.

ფოსები ინტერესდებოდნენ. მაგალითად, არისტოტელეს „რიტორიკა“ არის სწავლება მჭევრმეტყველების შესახებ, ანუ როგორი შინაარსი და სტრუქტურა უნდა ჰქონდეს წინადადებას, რათა მან სასურველი ზეგავლენა მოახდინოს მსმენელზე.

წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის თეორიული ანალიზი მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ჩ. ჩეიფი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საკითხს მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, საინფორმაციო სტრუქტურა ინფორმაციის შეფუთვას ჰგავს, რომელიც პასუხობს მოსაუბრეთა საკომუნიკაციო მოთხოვნებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ჩ. ჩეიფი შეფუთვაში გულისხმობს ისეთ საშუალებებს, როგორც არის, მაგალითად, სიტყვათა რიგის ცვლა (იხ. ზემოთ განხილული მაგალითი 1.), თუმცა მ. კრიფკას აზრით, ტერმინი „შეფუთვა“ სრულად არ ასახავს საინფორმაციო სტრუქტურის მცვლელი სხვადასხვა ფორმალური მექანიზმის ყველა ფუნქციას, რამდენადაც სხვადასხვაგვარი „შეფუთვები“ არა მარტო ფორმას, არამედ შინაარსსაც უცვლიან ინფორმაციას.

## 2. საინფორმაციო სტრუქტურის საანალიზოდ შემუშავებული ძირითადი ცნებები

იმისათვის, რომ საინფორმაციო სტრუქტურა შევისწავლოთ, საჭიროა განვმარტოთ მისი განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტები და თეორიაში შემუშავებული ცნებები და ტერმინები.

### 2.1. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ე.წ. საერთო ფონი (Common Ground).

**მაგალითი 2:** წარმოიდგინეთ, ხალხით გადავსებულ ავტობუსში ხართ. ამ დროს გესმით: „სკამი!“ რას იფიქრებთ? ცხადია, მიხვდებით, რომ ვიღაცას დაჯდომა სურს. ამ სიტუაციაში სიტყვა „სკამი“ კავივალენტია წინადადების „სკამზე დაჯდომა მინდა“. ახლა წარმოიდგინეთ, ქუჩაში რომ იგივე სიტყვა გაიგონოთ: თქვენ ჩათვლით, რომ ეს სისულელეა, ან უადგილო და მართალიც იქნებით, რადგან ჩვენს რეალობაში ქუჩაში სკამთან დაკავშირებული სიტუაცია ნაკლებად წარმოსადგენია. ალბათ გაგიგონიათ გამოთქმა: „მის სიტყვას ფასი არა აქვს“, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული მოსაუბრის მიერ გადმოცემული ინფორმაცია არ არის მსმენელისათვის სახლო, ღირებული ან სიტუაციის შესაბამისი და მას ისევე არ ექცევა ყურადღება, როგორც ქუჩაში წარმოთქმულ სიტყვას „სკამი!“.

**მაგალითი 3:** ჯ. ლაკოვის და მ. ჯონსონის წიგნში „მეტაფორები, რომლებითაც ვცხოვრობთ“ აღწერილია კულტურათაშორისი განსხვავებები, რომლებიც ასახავენ საერთო ფონებს შორის შესაძლებელ სხვაობათა განმსაზღვრელ ზოგად წარმოდგენებს: მაგალითად, შეიძლება რომელიმე ერის ცნობიერებაში ცეკვა უკავშირდებოდეს ომს. თუ ამ ერის წარმომადგენლებთან მოხვდება ადამიანი, რომლისთვისაც ცეკვა მხიარულების სიმბოლოა, მაშინ მათ შორის წარმოიქმნება საკომუნიკაციო ველის რღვევა და ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებენ.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებელია საერთო კონტექსტის, ანუ საერთო ფონის, არსებობა. მ. კრიფკას განმარტებით, საერთო ფონი არის ის, რაც აერთიანებს მოსაუბრესა და მსმენელს. ეს შეიძლება იყოს საერთო ეროვნება, კულტურა, რელიგია, განათლების გარკვეული დონე და ა.შ. თუ საერთო ფონი არ არსებობს, მაგალითად, ორ უცხოელს შორის, ის უნდა შეიქმნას ენის დახმარებით.

**2.2. მოცემულობა (Givenness)** არის საერთო ფონის ის ნაწილი, რომელიც კონკრეტული მოსაუბრისათვის უკვე ცნობილია და რომელიც, როგორც წესი, შემოსაზღვრავს საუბრის თემას და თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ფართოვდება საუბრისას. მაგალითად, შეიძლება მოსაუბრესა და მსმენელს ბევრი საერთო ჰქონდეთ, მაგრამ კონკრეტული საუბრისას მხოლოდ ერთი საკითხი აირჩიონ და გააფართოონ თავისი „ცოდნა“ ამ თემის შესახებ.

**2.3. მოცემულობის ნაწილია ტოპიკი.** ტოპიკი არის საუბრის თემა – ის, ვის ან რის შესახებაც ვსაუბრობთ და ვაგროვებთ ინფორმაციას, ვიძლევიტ **კომენტარს**. მ. კრიფკას განმარტებით:

*ტოპიკური შემადგენელი არის ერთეული ან ერთეულთა სიმრავლე, რომლის შესახებაც კომენტარში გადმოცემული ინფორმაციაა მოპოვებული.*

არსებობს სხვადასხვა სახის ტოპიკი:

**2.3.1. კონტრასტული** ეწოდება ტოპიკს, რომელსაც დისკურსში შემოაქვს ძველთან დაპირისპირებული ახალი შემადგენელი.

**მაგალითი 4:**

A: როგორ გვინია, დათომ გატეხა ჭიქა?

B: არ ვიცი. მე (T) ნამდვილად არ გამოიტეხავს.

**2.3.2. ნაწილობრივი** არის ისეთი ტოპიკი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მოსაუბრეს არ სურს, ან არ შეუძლია კითხვაზე პასუხის ამომწურავად გაცემა და გვაწვდის მოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ რაღაც ნაწილს.

**მაგალითი 5:**

A: რას იტყვიტ ბავშვების შესახებ?

B: ლიკა (T) თოჯინით თამაშობს.

ამ შემთხვევაში B-მ არ იცის (ან არ უნდა, რომ თქვას), რას აკეთებს მეორე ბავშვი. კონტრასტული და ნაწილობრივი ტოპიკი ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ორივე გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა მოსაუბრე (resp. მოპასუხე, ამ შემთხვევაში) არასრულად პასუხობს. განსხვავება ისაა, რომ კონტრასტული ტოპიკი გამორიცხავს ერთ კონკრეტულ შემთხვევას შესაძლო ვარიანტებიდან. მე

ნამდვილად არ გამოიტყნავს ნიშნავს, რომ იმათში, ვისაც შეეძლო გაეტყნა ჭიქა, მე არ ვარ. რაც შეეხება ნაწილობრივ ტოპიკს, ის მხოლოდ სასურველი ინფორმაციის ნაწილს გვაწვდის.

2.3.4. **იმპლიკაციური** ტოპიკი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსაუბრეს სურს, რომ მინიშნების საშუალებით ერთდროულად ერთზე მეტი ინფორმაცია მოგვაწოდოს.

**მაგალითი 6:**

A: *ამ კაცს შეილება ჰყავს?*

B: *აი, მის ძმას კი ნამდვილად ჰყავს შეილება.*

B-ს პასუხი ერთდროულად რამდენიმე ინფორმაციას გვაწვდის – *კაცს შეილება არ ჰყავს, მას ჰყავს ძმა და ამ ძმას ჰყავს შეილება*. სპეციფიკური კონსტრუქცია (*აი ... კი ნამდვილად*) იმპლიკაციურად, არაპირდაპირ გვაწვდის კითხვაში ფორმირებულ საძიებო ინფორმაციას: *კაცს შეილება არ ჰყავს*.

2.4. საუბრის მიზანია ტოპიკზე იმ ინფორმაციის შეგროვება, რომელიც საინტერესოა კონკრეტულ შემთხვევაში. ყოველ ახალ ინფორმაციას, რომელსაც ვიღებთ ტოპიკის შესახებ, ეწოდება **ფოკუსი**. მ. კრიფკა ფოკუსს ასე განმარტავს:

***ფოკუსი მიუთითებს იმ ალტერნატივების არსებობაზე, რომლებიც შესაძლებელია ენობრივ გამონათქვამთა ინტერპრეტაციისას.***

მაგალითად, თუ ვიკითხავთ *ვინ გატყნა ჭიქა?* პასუხი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: *დათომ, ნიკამ, ზურამ, კატამ* და ა.შ. ყოველი მათგანი არის ალტერნატივა, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს პასუხში და, შესაბამისად, ის იქნება ფოკუსი.

ფოკუსი, როგორც წესი, მარკირებულია, რადგან ახალი ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანია. მაგრამ საუბრისას ფოკუსი მუდმივი არასოდეს არ არის. იცვლება არა მარტო ტოპიკი და ფოკუსი, არამედ მოცემულობაც და, შესაბამისად, საერთო ფონიც, რადგან საუბრის მიზანი სწორედაც რომ მოცემულობის ფოკუსებით შევსება და საერთო ფონის გაფართოებაა.

**მაგალითი 7:**

A: *რა მოხდა?*

B: *ჭიქა გატყდა(F).*

A: *ვინ(F) [გატყნა ჭიქა(T)](Giv)?*

B: *დათომ(F).*

A: *ვინ(F) [არის დათომ(T)](Giv)?*

B: *დათომ(T) ჩემი მეზობელია(F).*

არსებობს სხვადასხვა სახის ფოკუსი:

2.4.1. **Verum** ფოკუსი (რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც **დამარწმუნებელი** ფოკუსი), გამოხატავს მკვეთრად ხაზგასმულ ინფორმაციას. ასეთი ფოკუსი ხშირია ინგლისურში და საილუსტრაციოდ ინგლისურ მაგალითს მოვიხმობთ: *I do like this music. It's great. "do" ზმნა, ჩვეულებრივ, ნეიტრალურ გამონათქვამებში გრამატიკულად ჭარბია, აქ კი მას ემფატიკური ფუნქცია აქვს.*

2.4.2 **კომპლექსური** (Complex) ეწოდება ისეთ ფოკუსს, რომელიც ერთზე მეტ ახალ შემაღგენელს აერთიანებს. მაგალითად:

**მაგალითი 8:**

A: *ვინ მოიყვანა დათომ?*

B: *[ზურა და ლელა](F).*

პასუხში ფოკუსი ერთ სიტყვაზე ვერ დაიყვანება.

2.4.3. **კონტრასტული** (Contrastive) ფოკუსი გვაქვს ისეთ შემთხვევებში, როდესაც კითხვაშივეა მითითებული ის ალტერნატივები, რომელთაგანაც მოპასუხემ ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მოპასუხემ სულაც არ აირჩიოს არც ერთი ალტერნატივა და სხვა ახალი შემაღგენელი შემოიყვანოს. კონტრასტული ფოკუსი უახლოვდება ტოპიკს, რადგან კითხვაში მითითებული ალტერნატივები უკვე წარმოადგენს მოცემულობის და, შესაბამისად, საერთო ფონის ნაწილს. ისინი კითხვაშია ფოკუსი, მაგრამ პასუხში უკვე ცნობილი ინფორმაციის დაკონკრეტებას ახდენენ.

**მაგალითი 9:**

A: *ჩაის მიირთმევთ თუ ყავას?*

B: *ყავას (ან: ჩაის).*

მაგრამ პასუხი ასეთიც შეიძლება იყოს: *წყალი მიირჩევნია, თუ შეიძლება.* ამ შემთხვევაში **წყალი მოულოდნელი** ფოკუსი იქნება, ანუ ისეთი ფოკუსი, რომელიც კითხვის ფორმულირებით სულაც არ უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი.

2.4.5. **ამომწურავი** (Exhaustive) ფოკუსი გვიჩვენებს, რომ ის არის ერთადერთი სწორი ალტერნატივა და, როგორც წესი, გამოიყენება ამომწურავი მტკიცებისას: *მხოლოდ დათომ გატეხა ჭიქა.*

ასეთ შემთხვევაში, ფოკუსი ძლიერი მახვილითაა გამოხატული. ისეთ ენებში, სადაც მახვილს ან ტონის სიმაღლეს ფონოლოგიური ღირებულება აქვს, ფოკუსის გამოსახატავად სხვა, მორფოლოგიური თუ სინტაქსური, საშუალებები იქნება საჭირო.

ფოკუსი და ტოპიკი კითხვა-პასუხში ადვილი გასარჩევია – ახალი ინფორმაცია (resp. ფოკუსი), რომელიც ავსებს საერთო ფონს, განსხვავდება ძველი ინფორმაციისაგან (resp. ტოპიკი), რომლის შესახებაც ვსაუბრობთ. მაგრამ ფოკუსი არსებობს გაბმულ ტექსტშიც. მაგალითად, ზღაპრებში: *იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე(F). მეფეს(T) ჰყავდა სამი ასული(F) და ა. შ. ამ შემთხვე-*

ვაში საინფორმაციო სტრუქტურის ანალიზისათვის საჭიროა აღვადგინოთ შესაბამისი სავარაუდო კითხვები.

ნებისმიერი ტექსტის ანალიზი შესაძლებელია საინფორმაციო სტრუქტურის ზემოთ მოცემულ თეორიულ ჩარჩოში ჩამოყალიბებული ტერმინების დახმარებით.

### **3. საინფორმაციო სტრუქტურის მნიშვნელობა**

როდესაც ზემოთ არისტოტელეს „რიტორიკა“ ვასხენეთ, აღვნიშნეთ, რომ ეს არის სწავლება მჭევრმეტყველების შესახებ. არისტოტელე გვასწავლის, როგორი უნდა იყოს სიტყვა, რათა გავლენა იქონიოს მსმენელზე. იგი გამოყოფს სიტყვის რამდენიმე სახეს და თითოეულ შემთხვევაში – საჭირო ენობრივ საშუალებებს. ერთგან არისტოტელე ამბობს: თუ რომელიმე მხატვრულ ხერხს, მაგალითად მეტაფორას, ძალზე ხშირად მივმართავთ, ის დაკარგავს თავის მხატვრულ ეფექტს, ანუ მსმენელზე ზემოქმედების უნარს. თუ ყოველი ცალკეული სიტყვა იქნება მარკირებული, მაშინ ისინი განეიტრალდებიან და მსმენელი მათ განსაკუთრებულად ვეღარ აღიქვამს. მსმენელზე მოქმედებს გამორჩეული და არა – ჩვეულებრივი.

ენის საშუალებით ხდება ინფორმაციის სასურველი შეფუთვა-სტრუქტურირება, რაც გამიზნულია, რათა მსმენელს მოსაუბრის მიზანდასახულობის შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდოს.

როგორ მიიღწევა ეს ენაში?

ფილოსოფოსმა პოლ გრაისმა გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩამოაყალიბა ეფექტური კომუნიკაციისათვის ღირებული ძირითადი მაქსიმები (ე.წ. გრაისის მაქსიმები):

#### **ზარისხის მაქსიმა: სიმართლე**

- არ თქვა ის, რისიც არ გჯერა.
- არ თქვა ის, რაშიც დარწმუნებული არა ხარ.

#### **რაოდენობის მაქსიმა: ინფორმაცია**

- შენი სიტყვა უნდა მოიცავდეს იმდენ ინფორმაციას, რამდენიც საჭიროა კონკრეტული საუბრისათვის.
- არ თქვა იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა.

#### **ღირებულების მაქსიმა: ღირებულება**

- თქვი მხოლოდ ღირებულს.

#### **რაგვარობის მაქსიმა: სიმარტივე**

- თქვი ნათლად და მარტივად
- ერიდე ორაზროვნებას
- თქვი მოკლედ
- იყავი თანმიმდევრული



გრაისის მაქსიმები მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ისინი მიუთითებენ, თუ როგორი უნდა იყოს საუბრის იდეალური სტილი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ხშირად ეს მაქსიმები ირღვევა მიზანმიმართულად. მაგალითად, პირველი მაქსიმის დარღვევა ყველაზე ხშირია, რადგან არსებობს ენობრივი საშუალებები, რათა სიმართლე დაიმალოს ისე, რომ მსმენელთათვის ეს შეუმჩნეველი დარჩეს. დანარჩენი მაქსიმები ხარისხის მაქსიმის გავრცობას წარმოადგენს; მაგალითად, ზედმეტი ინფორმაცია და ორაზროვნება ერთ-ერთი ხერხია იმისა, რომ თავი ავარიდოთ კითხვას, რომელზეც პასუხი ან არ გვსურს, ან არ ვიცით. სირთულე და არათანმიმდევრულობაც ასეთ მიზანს ემსახურება. ბევრი უცხო სიტყვა და სინტაქსური კონსტრუქციების სირთულე ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მოსაუბრე განათლებულია და ჭკვიანი, მაგრამ ასეთ სტილს უმეტეს შემთხვევაში სწორედ იმიტომ მიმართავენ, რომ ის ნიღბავს არადირებულ ინფორმაციას და მოჩვენებით ღირებულებას ანიჭებს მას. გარდა ამისა, ენას შეუძლია რეალობის ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც მსმენელში გარკვეულ ემოციებს აღძრავს.

#### **მაგალითი 10:**

*მოკვდა* – ნეიტრალური და ოდნავ უხეში;  
*გარდაიცვალა* – პატივისცემის გამოხატველი;  
*ალიკავა პირისაგან მიწისა* – ამაღლებული და არქაული;  
*გაფრინდა სული მისი, როგორც მტრედი* – მხატვრული;  
*ფეხები გაფშიაკა, გაღმა გავიდა* და ა. შ. – ირონიული და უხეში.

#### **მაგალითი 11:**

*„ამარტის ფერად შეცვალა ვარდი ცრემლისა ბანამან“* (რუსთაველი) – ცრემლის დენამ გააფთორა; სახე გაუყვითლდა.

*„დღემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები“* (ვაჟა-ფშაველა) – დაღამდა;

*"The coldness of the moon had entered into them"* (ო. უაილდი) – (ალუბლები) ცივი იყო.

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიძლება ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვაგვარი ენობრივი ფორმულირება და დამატებით სუბიექტური ნიუანსების მინიჭება.

#### **4. კვლევის მიზნები და ამოცანები**

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენას აქვს მამოღელირებელი ფუნქცია. სამყაროს პირველ მოდელს ქმნის ჩვენი ხუთი ძირითადი გრძნობა. როდესაც ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, პირამიდას, მისი არა ობიექტური, არამედ სუბიექტური ხატი აღიბეჭდება ჩვენს გონებაში. მაგრამ, როდესაც მის შესახებ გვესმის ისე, რომ არასოდეს გვინახავს იგი, პირამიდის ცნება ორმაგად სუბიექტურია – მას ემატება როგორც ჩვენი, ისე მთხრობელის სუბიექტური შთაბეჭდილება, რომელიც მან თავს მოგვახვია. საინფორმაციო სტრუქტურის ცოდნა გვეხმარება,

განვსაზღვროთ ადამიანის შთაბეჭდილებები ამა თუ იმ საგანზე ან მოვლენაზე. ჩვენი კვლევის ძირითადი მიზნებია:

- საინფორმაციო სტრუქტურის ტერმინების დახმარებით განვსაზღვროთ, თუ როგორ ხდება რეალობის სტრუქტურირება და ფორმალიზება;
- რა ენობრივ – ფონეტიკურსა თუ მორფოსინტაქსურ – საშუალებებს მიმართავს მოსაუბრე იმისათვის, რომ აჩვენოს თავისი დამოკიდებულება რეალობისადმი;
- როგორ შეიძლება ერთმა და იმავე ინფორმაციამ სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძინოს საინფორმაციო სტრუქტურის სხვადასხვაგვარი ფორმირების საშუალებით.

ამ ზოგად საკითხებს განვიხილავთ ქართულში ლოკატივების შემცველი სტრუქტურების გაანალიზებით.

## 5. კვლევის მეთოდი

ჩვენი კვლევა ეფუძნება პოტსდამ-ბერლინის პროექტის ფარგლებში შემუშავებული საექსპერიმენტო ამოცანების გადაწყვეტის შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზს. საექსპერიმენტო ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: ცდისპირებს მიეწოდებათ სურათები, რომლებზეც ასახულია სხვადასხვა საგანი ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა პოზიციაში. ცდისპირებს ევალებათ აღწერონ ეს ცვლილებები. ისინი არ უნდა იყვნენ წინასწარ ინფორმირებულნი ექსპერიმენტის მიზნების შესახებ, რადგან ასეთ შემთხვევაში მათი პასუხები აუცილებლად მოტივირებული იქნება და იმოქმედებს ე.წ. პლაცებო ეფექტი.<sup>2</sup> ეს არ შედის ექსპერიმენტატორის ინტერესებში, რამდენადაც საინფორმაციო სტრუქტურების კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპონტანურად, მაქსიმალურად ბუნებრივ პირობებში წარმოქმნილი გამონათქვამები.

ინფორმანტების მიერ წარმოთქმული გამონათქვამების ფონეტიკური ანალიზისათვის გამოვიყენეთ პროგრამა Praat, ხოლო მასალის დასამუშავებლად პროგრამა EXMARALDA.

## 6. ექსპერიმენტის აღწერა

ცდისპირებს მიეწოდებათ სურათების სერია. ყოველი სერია შედგება ოთხი სურათისგან, რომლებზეც გამოსახულია ცხოველები, საგნები და ადამიანები ერთმანეთთან სხვადასხვა პოზიციაში. სერიები ისეა შედგენილი, რომ ინფორმაციულად ახალ წევრს წარმოადგენს ან ლოკატივი, ან სალოკაციო სახელი. ცდისპირს ევალება, აღწეროს ეს ოთხი განსხვავებული პოზიცია.



---

<sup>2</sup> ფსიქოლოგიური ტერმინი: ინდივიდმა წინასწარ იცის რაიმე ქმედების შედეგის შესახებ და გაუცნობიერებლად მოქმედებს ისე, რომ ეს შედეგი მიღწეულ იქნეს.

მაგალითი 12:



სურათებზე ერთ შემთხვევაში ბიჭია ხის წინ გამოსახული, მეორე შემთხვევაში კი – გოგო. ცდისპირმა უნდა აღწეროს ცვლილება. მის მიერ წარმოთქმული წინადადება იწერება პროგრამაში Praat, რომელიც საშუალებას გვაძლევს მასალა გავაანალიზოთ სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პარამეტრებით:



## 7. მასალის ანალიზი და სტატისტიკა

სულ ამგვარი სურათების 31 სერია დამუშავდა. ე. ი. გასაანალიზებელმა მასალამ შეადგინა 124 წინადადება. წინადადებების ზოგადი სტრუქტურა აიგება სამი ძირითადი ელემენტის აუცილებელი მონაწილეობით: სალოკაციო სახელი (N), ლოკატივი (L) და ზმნა (V); ამდენად, თეორიულად შესაძლებელი მოდელეებია: NVL, LVN, NLV, LNV, VNL, VLN. მაგრამ მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბოლო ორი მოდელი (ზმნით საწყის პოზიციაში) საექსპერიმენტო მასალაში არ დადასტურდა. ეს მოსალოდნელიც იყო, რამდენადაც ექსპერიმენტების სერია თავიდანვე გამიზნული იყო მხოლოდ N-სა და V-ს შორის არსებული მიმართებების გამოსავლენად და არ მოიაზრებდა ზმნის აქტუალიზაციის შემთხვევებს. დარჩენილი მოდელეები სიხშირის მიხედვით (იხ. ცხრილი 1) გადაწილდა შემდეგი იერარქიის მიხედვით:

NVL>>LVN>>NLV>>LNV

ცხრილი 1

მოდელი	NVL	LVN	LNV	NLV	VNL	VLN
სიხშირე	62	40	4	18	0	0

სურათების ყოველ სერიაში პირველი წინადადებები შეიძლება არამოტივირებულად და ბუნებრივად ჩავთვალოთ, სადაც ნეიტრალურად არის აღწერილი მოსაუბრის დამოკიდებულება რეალობისადმი. მაგრამ მისი სტრატეგია, ე.წ. ნარატიულ წინადადებებშიც, შეიძლება განსხვავებული იყოს; მაგალითად, თუ მოსაუბრე ამბობს – *ქვის წინ ლომია* – მისთვის მთავარია, თუ *სად არის სუბიექტი*; ანუ, ლოკატივია ფოკუსირებული, სალოკაციო სახელი კი ტოპიკალიზებული: ის ჰყვება ამბავს *ლომის* შესახებ. იმავედროულად ის გვაძლევს ახალ ინფორმაციას მისი მდებარეობის, ლოკაციის შესახებ. მეორე მოდელში კი – *ლომი დგას ქვის წინ* – პირიქით, მოსაუბრეს აინტერესებს *ვინ/რა არის ქვის წინ*; ანუ: ლოკატივია ტოპიკალიზებული, სალოკაციო სახელი კი ფოკუსირებული. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც სტატისტიკამ გამოავლინა, ნეიტრალურ წინადადებებში ტოპიკალიზებული ძირითადად სახელია; ანუ: ნარატიულ ტექსტებში, როგორც წესი, ინფორმაციას ვაგროვებთ სიტუაციის „მთავარი“, სუბიექტური წვერის შესახებ. ლოკატივი საწყის პოზიციაში არის მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ის სიტუაციურად ახალია (იხ. ცხრილი 3). ეს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს და, ამასთანავე, გვიხსნის, თუ რატომ არის ქართულში დომინირებული, არამარკირებული რიგი – SVO.

**ცხრილი 2.**

ნეიტრალური წინადადებების რაოდენობა	N საწყის პოზიციაში	L საწყის პოზიციაში
31	21 (68%)	10 (32%)

შემდეგ სურათებში ცდისპირი უკვე აღწერდა ცვლილებებს, რომლებიც აუცილებლად მოითხოვდნენ მისგან გარკვეულ მარკირებას – ფონეტიკურად (ტონის აწევით), მორფოლოგიურად (მაგ., „ა“ კლიტიკის ან „ც“ ნაწილაკის დართვით) ან სინტაქსურად (სიტყვათა რიგის ცვლით).

**მაგალითი 13:** *ბიჭი დვას ხის წინ. გოგო დვას ხის წინ. ხის გვერდზე დვას გოგო. სახლის გვერდზე დვას გოგო.*

NVL; NVL; LVN; LVN – ამ დადასტურებული მოდელებიდან მეორეში ახალი ინფორმაცია (გოგო) მარკირებულია მხოლოდ ფონეტიკურად – ინტონაციური კონტურის ტალღოვანი ცვლით (აღმავალი-დამავალი), ანუ მარკირებული ტონით გამოირჩევა გოგო). მესამე წინადადებაში ახალი ლოკაციის მარკირება ხორციელდება სინტაქსურად – NVL რიგის ცვლით მარკირებული LVN რიგის სახით. ამ სინტაქსურ ცვლილებას ახლავს ინტონაციური კონტურის ცვლაც – ტონის აწევა ახასიათებს ლოკაციის მაჩვენებელ მთელ ფრაზას: *ხის გვერდზე*, რამდენადაც ეს მთლიანი ფრაზა ახალი ადგილმდებარეობის მაჩვენებელია. მეოთხე წინადადებაში ინფორმაციის ცვლა კვლავ მხოლოდ ტონის აწევით გამოიხატება: ტონის აწევა ხდება სიტყვაზე *სახლის*.

ახალი ინფორმაცია არანეიტრალურ წინადადებებში შემდეგი იერარქიის შესაბამისად გადანაწილდა (იხ. ცხრილი 3): **ახალი N >> ახალი L**

**ცხრილი 3.**

პოზიცია ინფორმაცია	I	II	III	სულ
ახალი ინფორმაცია	55	10	28	93
ახალი L	34(55%)	4(7%)	23(38%)	61(66%)
ახალი N	21(67%)	6(18%)	5(15%)	32(34%)

არანეიტრალურ წინადადებებში (93 შემთხვევა) ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს ახალი ლოკაციები უფრო ხშირად იკავებენ პირველ პოზიციას. მაგრამ ეს ასე არ არის. თუ ამ ცხრილს დაუუკვირდებით, დავინახავთ, რომ ექსპერი-

მენტში ახალ სახელთა რაოდენობას სჭარბობს ახალ ლოკატივთა რაოდენობა. ამიტომ, პროცენტული ანალიზის მიხედვით, ლოკატივი საწყის პოზიციას იკავებს 61-დან 55%-ში, ხოლო სახელი 32-დან 67%-ში. გარდა ამისა, ლოკატივი უფრო მიდრეკილია ბოლო პოზიციისაკენ, ვიდრე სახელი – 61-დან 38%-ში ლოკატივი ბოლო ადგილზეა. სახელი ბოლო პოზიციაში მხოლოდ შემთხვევათა 15%-ში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ მაგალითების რაოდენობა დიდი არ არის, მაინც შეიძლება ვიმსჯელოთ ზოგად ტენდენციებზე და დავასკვნათ: სახელები ბუნებრივად მიდრეკილია საწყისი პოზიციისაკენ, ლოკატივი საწყის პოზიციაში გვხვდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ის ახალია (resp. ფოკუსირებული). ე.ი. სტრუქტურირებისას მოქმედებს რა ორი იერარქია: **(1) N >> L** და **(2) ახალი >> ძველი** (იხ. ცხრილი 2) – „ამარჯვებული“ გამოდის (1). ამ ორი იერარქიის შეჯერებით ვღებულობთ ახალ იერარქიას: **ახალი N >> ახალი L**, რაც რეალურად დადასტურდა მასალის პროცენტული ანალიზით (იხ. ცხრილი 3).

რაც შეეხება ზმნებს, ისინი საწყის პოზიციაში არ გვხვდება, რადგან, როგორც ზემოთ უკვე შევნიშნეთ, ექსპერიმენტს აინტერესებს მხოლოდ LN და NL მიმართებები; გარდა ამისა, ზმნა საწყის პოზიციაში მეტად მხატვრულია და ლიტერატურულ სტილს უფრო შეეფერება, ვიდრე სასაუბროს. მასალის მიხედვით, ზმნა ყველაზე ხშირია მეორე პოზიციაში, ლოკატივსა და სალოკაციო სახელს შორის (იხ. ცხრილი 4):

#### ცხრილი 4.

პოზიცია	II	III	სულ
ზმნა			
დამოუკიდებელი ზმნა	92	6	98
მეშველი ზმნა	7	19	26

როდესაც ზმნა ბოლოშია, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ის წარმოდგენილია მეშველი ზმნით, ძირითადად „ა“ კლიტიკის სახით, რომელიც უმეტესად უერთდება სალოკაციო სახელს (იხ. ცხრილი 5):

#### ცხრილი 5.

	მეშველი ზმნის კლიტიკა	დამოუკიდებელი მეშველი ზმნა	სულ
NLV	0	1	1
LVN	0	4	4
LNV	16	2	18
NVL	1	2	3

მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო მასალა შეადგენდა მხოლოდ 124 წინადადებას, N-სა და L-ს შორის არსებული მიმართებების განმსაზღვრელი ძირითადი მოდელები და გარკვეული ტენდენციები სახეზეა, რაც საშუალებას გვაძლევს დასკვნების სახით ჩამოვაყალიბოთ ძირითადი დებულებები.

## 8. დასკვნები

ექსპერიმენტების შედეგად საანალიზოდ მოპოვებულმა მასალამ გვიჩვენა, რომ წინადადების სტრუქტურირება ძირითადად დამოკიდებულია ინდივიდსა და კონკრეტული სიტუაციის მისეულ აღქმაზე: კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ძირითადად მოსაუბრე წყვეტს ინფორმაციის ახალ-ძველ ინფორმაციად კვალიფიკაციის სტრატეგიას. მასალის სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ნეიტრალურ შემთხვევათა უმრავლესობაში (31-დან 21-ში, ანუ 68%-ში) სალოკაციო სახელია პირველ ადგილზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაუბრე თავდაპირველად საუბრის თემის (resp. ტოპიკის) კვალიფიკაციას სალოკაციო სახელს (resp. სუბიექტს) ანიჭებს. ეს კი, რამდენადაც ქართულში ტოპიკური შემადგენელი მიისწრაფვის წინადადების საწყისი პოზიციისაკენ, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ დომინანტური, არამარკირებული სტრუქტურული რიგი არის SVO. გარდა ამისა, არანეიტრალური წინადადებების ანალიზმა ცხადყო, რომ სალოკაციო სახელი, როგორც ფოკუსი, უფრო ხშირად იკავებს საწყის პოზიციას, ვიდრე ფოკუსირებული ლოკატივი. ის იშვიათად გვხვდება წინადადების ბოლოში, ხოლო წინადადების შუაში მისი განსაკუთრებული მარკირება ხორციელდება „ა“ კლიტიკის დართვით. ტოპიკისა და ფოკუსის ლინგვისტური წარმოდგენის ძირითადი მექანიზმია ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები, რომლებსაც შეიძლება ახლდეს სინტაქსური და მორფოლოგიური კონსტრუქციების ცვლა. სხვადასხვაგვარ ზედაპირულ რეპრეზენტაციებს განსაზღვრავს ლოკატივების შემცველი კონსტრუქციების აგებისა და სიტუაციის სტრუქტურირების განმაპირობებელი შემდეგი, კოგნიტიური ხასიათის, იერარქიული მიმართებები:

1. N >> L
2. ახალი ინფორმაცია >> ძველი ინფორმაცია
3. ახალი N >> ახალი L

რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ფორმალურ მოდელებს შორის არსებულ შემდეგ იერარქიულ მიმართებებს:

1. NVL >> LVN >> NLV >> LNV

და, ასევე, სალოკაციო სახელის მორფოლოგიურ მარკირებას მეშველი ზმნის კლიტიკის საშუალებით:

2. მეშველი ზმნის კლიტიკა >> დამოუკიდებელი მეშველი ზმნა

## 9. პერსპექტივები

წარმოებულმა კვლევამ წარმოაჩინა წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის შესწავლის ღირებულება – ამგვარი ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც ზოგადი ენათმეცნიერების თეორიული საკითხების გადასაწყვეტად, ისე კონკრეტულ ენათა შესწავლისათვის. ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა თეორიულ საფუძველზე შევისწავლოთ, თუ როგორ ხდება რეალობის სტრუქტურირება სხვადასხვა ენის სპეციფიკური სტრატეგიებისა და შესაბამისად დაავადგინოთ განსხვავებები და მსგავსებები ენებს შორის. რადგან ენა ხალხის მსოფლმხედველობის გამოხატულებაა, ენობრივი განსხვავებულობების ანალიზი გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის ხალხთა კულტურული თვისებებზე. ამასთანავე, პრაქტიკული თვალსაზრისით, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის შესწავლა დაეხმარება რედაქტორებს, მთარგმნელებს, მასმედიის მუშაკებსა და, საზოგადოდ, ტექსტზე მომუშავე ნებისმიერ პირს, კონკრეტული მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ინფორმაციის სასურველი სახით აქტუალიზაციის შესაბამისი მოდელის შერჩევასა და ადეკვატური ტექსტის აგებაში.

### ლიტერატურა

- არისტოტელე, რიტორიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1981.
- რ. ასათიანი, მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მასალაზე, „მეცნიერება“, თბილისი 1982.
- რ. ასათიანი, ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, „უნივერსალი“, თბილისი 2006.
- რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, „სემიოტიკა-II“, „უნივერსალი“, თბილისი 2007.
- რ. ასათიანი, ნ. წერეთელი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: იმპლიკაციური ტოპიკი ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2008.
- შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, „მეცნიერება“, თბილისი 1986.
- მ. კრიფკა, საინფორმაციო სტრუქტურის ძირითადი ცნებები (თარგმნა ე. სოსელიამ). ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია, II. „დეგაპრინტი“, თბილისი 2008.
- Asatiani R., Word order and intonation in Georgian (C. Fery and S. Scopeteas, co-authors), *Lingua* XXX, 1492, Elsevier, 1-26, 2008.
- Chafe W. L., *Meaning and the Structure of Language*. Chicago and London: Chicago Un.Press, 1971.
- Skopeteas S., Fiedler I., Hellmuth R., Schwarz, A., Stoel, R., Fanselow, G., Féry C., and Krifka M., Questionnaire on Information Structure (QUIS), *Interdisciplinary Studies on Information Structure 4. Working Papers of the SFB 632*,: Universitätsverlag Potsdam, Potsdam 2006.
- Skopeteas, S., Fanselow, G., Effects of Givenness and Constraints on Free Word Order. In *Information Structure from Different Perspectives*, Zimmermann, Malte and Caroline (eds.), Oxford Un. Press, 2007.



## **Sentence Information Structure: Locatives in Georgian**

### Summary

Since ancient times, scientists have always been interested in what kind of information a sentence can convey. Many philosophers wrote that language can attract and influence, persuade or cheat the listener. But it was only in the second half of the XX century that the scientific studies of sentence information structure began. By analysing a sentence in linguistic terms, it has been revealed and proved that language is individual and social at the same time. These studies help us to go deep into human perception of reality step by step and explain the secret of the magic power of language.

The following article is about locatives in Georgian. Locative is a constituent of a sentence which indicates to the location of a subject. Studying locatives helps us to find out how the location of different objects is perceived. After analysing the data of 124 sentences, we concluded that in most cases new information prevails the given one and that locatives, either new or old, tend to the final position of a sentence.

‘Field sessions’ were carried out according to Potsdam-Berlin experiment tasks. Programs used for speech analysis - Praat, ExMARALDA.

ნიმუხი ქვეყნის

**„ლინგვისტური პოეზია“ და ტექსტის  
ინტერპრეტაციის შესაძლებლობები**

XX საუკუნე ლიტერატურის ისტორიაში შევიდა როგორც დიდი ექსპერიმენტების (დადაიზმი, ფუტურიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი, ვეზისტენციალიზმი), მოდერნიზმისა და ფსიქოანალიზის, პოლიტიკური კატაკლიზმების და ტექნიკური პროგრესის ხანა. ბუნებრივია, ლიტერატურა, როგორც სოციალური ძვრების სარკე, ითვისებს რა ხელოვნებაში დამკვიდრებულ ეკლექტიკის პრინციპს, ამ მოვლენებს ასახავს და საამისოდ ენობრივი მასალის გარდა აქტიურად იყენებს ყოველგვარ საშუალებას. ენაც თავისთავად იქცევა ექსპერიმენტულ მასალად და ივსება სხვა არაენობრივი სემიოტიკური სისტემებით, რაც თავისთავად „ენობრივი თამაშების“ ფართო სპექტრს ქმნის. შესაბამისად, ლიტერატურის თეორიაშიც ვხვდებით ცნებებს „ექსპერიმენტული პროზა“ და „ექსპერიმენტული პოეზია“, სადაც ექსპერიმენტი ენის მეშვეობით ხორციელდება. ამ ტიპის ლიტერატურის შემქმნელები არაორდინარულად ასახავენ აღქმულ სამყაროს, რასაც ენობრივი ექსპერიმენტის საშუალებით აღწევენ.

კონკრეტულ პოეზიას ე.წ. „ლინგვისტურ პოეზიასაც“ უწოდებენ.<sup>1</sup> ამრიგად, კონკრეტული პოეზია არის თვისებრივად ახალი ეტაპი მწერლობაში, რომელიც, ლიტერატურისმცოდნეობითი კვლევის გარდა, აუცილებლად საჭიროებს ტექსტის ლინგვისტურ ანალიზს, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადაც ფორმას უფრო პრიორიტეტული როლი ეკისრება, ვიდრე შინაარსს, ხშირად სწორედ სხვადასხვა ენობრივი დონეების ცალკეული ელემენტების პუანტირებით ავტორს საშუალება ეძლევა, რომ ტექსტის საზრისი ადვილად ამოსაცნობი გახადოს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ტექსტი-კონსტელაციების მიმოხილვა. კონსტელაციები თვალის ერთი გადავლებით თითქოს დაცლილია შინაარსისაგან, ისინი თავისი განფენილობით სიბრტყეზე მართლაც ჩამოგვან ცის კამარაზე გაბნეულ ვარსკვლავებს, რომელთა განლაგება ანუ კონსტელაცია თანავარსკვლავედს იძლევა. ეს არის ტექსტები, სადაც გამჭრალია სინტაქსი და ხშირად სიტყვებიც კი ძნელად შესამჩნევი ხდება. მკითხველის პირველივე შეხვედრა ტექსტთან გაგების პრობლემებს წარმოშობს, თითქოს გარკვეული კანონზომიერება არის ტექსტის შემადგენელ მიკროელემენტებს შორის, მაგრამ ბმა მათ შორის ტექსტურაში, ფაქტობრივად, უხილავია. ამ შემთხვევაში ტექსტი შესაძლოა არც კი იყოს „ნიშნითა წრფივი და თანმიმდევრული ბმა“, რაც ერთ-ერთ მახასიათებლადაა მიჩნეული ტექსტის ცნების განმარტებისას. ფაქტობრივად, მკითხველი ვერც წინადადების ფონური შინაარსით ვერ

<sup>1</sup> ტერმინი ეკუთვნის რენატე ბაიერს.

იმსჯელებს ტექსტში ჩადებული ინტენციის შესახებ. გარდა ამისა, სირთულეს ისიც ქმნის, რომ ასეთი ტექსტები ხშირად უსათაურონი არიან, ფაქტობრივად, მკითხველი „ტექსტის წინაშე“ რჩება პრესიგნალის გარეშეც.

საზოგადოდ ტექსტის ინტერპრეტაცია რთული პროცესია, მაგრამ სირთულეები კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება კონკრეტული პოეზიის ტექსტების და განსაკუთრებით კონსტელაციის წაკითხვის შემდეგ. მკითხველი ტექსტის გაგებისას თავის წინარე ცოდნაში გარკვეულ სცენარს ეძებს და როგორც კი აღმოაჩენს რაიმე მსგავსს, მაშინვე ააქტიურებს და კითხვისას ტექსტის თითოეული წინადადების შემადგენელ დეტალს აკავშირებს 'ნაპოვნი' სცენარის მენტალურ ენტიტეტთან. ტექსტისა და მკითხველის მიმართების ამ სურათს წარმოგვიდგენს ვოლფგანგ შნოცი (შნოცი 1996:976), რომელიც თავის მსჯელობას საფუძვლად უდებს სენფორდ&გაროდის თეორიას (სენფორდ&გაროდი 1981), რომლის მიხედვით ტექსტის გაგება მდგომარეობს განსაზღვრული სცენარის აქტივიზაციასა და მის ეტაპობრივ, წერილობით დამუშავებაში, ხოლო რაც შეეხება სცენარს, ისინი მასში გულისხმობენ წინარე ცოდნაში შენახული მთლიანი სიტუაციის ერთიან რეპრეზენტაციას ანუ სიტუაციაში მონაწილე პირებს, მათ როლსა და ქმედებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის გაგების საკითხს ტექსტის სემანტიკური კვლევისას, რომელიც ენობრივი ნიშნის მნიშვნელობას ყველა დონეზე განიხილავს. იმ დროს, როდესაც სემანტიკა ორიენტაციას იღებს ტექსტის სტრუქტურაზე, კოგნიტიური ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში ექცევა მენტალური პროცესები. თავის მხრივ, მ. ბალოდი ტექსტს ნიშნად მოიხსენიებს, სადაც „ტექსტის ზედაპირი“ (Textoberfläche) გაგების პროცესის ერთადერთი ემპირიული ხელმისაწვდომი სიდიდეა, ხოლო ტექსტის გაგების პროცესი – სემიოზი. თუ როგორ სურს ტექსტის წაკითხვა, ეს უშუალოდ რეციპიენტზეა დამოკიდებული (ბალოდი 2001:49).

ბალოდისაგან განსხვავებით ნ. გროებენს მიაჩნია, რომ „ტექსტების გაგება ყოველთვის განიხილება როგორც ინტერაქცია, ანუ როგორც მკითხველსა და ტექსტს შორის ურთიერთზემოქმედების, გაცვლის პროცესი“ (გროებენი 1982: 9). გამომდინარე ზემოთქმულიდან, მკითხველი ლინგვისტური დეკოდირების საშუალებით მიღებულ ინფორმაციას ალაგებს და ტექსტის კატეგორიებისა და მიკროტექსტების საშუალებით შემეცნებაში ქმნის ინფორმაციულ სისტემას. მეორე ეტაპზე ფოკუსი გადადის მკითხველის კოგნიტიურ სისტემაზე, რომელშიც ტექსტის გაგებისას არსებული ინფორმაცია დანაწილდება. ბოლო ეტაპზე მკითხველი საზრისის იმ აქტიურ ასპექტებს განაგრცობს, რაც ტექსტში იმპლიციტურად არის მოცემული, ეს კი თავისთავად გულისხმობს დასკვნების გამოტანას ანუ ინფერენცს.

ნ. გროებენი ტექსტის გაგების ამოცანად სახავს ტექსტის ინტენციის შეცნობას. ენობრივი გამონათქვამის გაგების პროცესში დამხმარე საშუალებად იგი ასახელებს სინტაქსს, შემდგომ ეტაპზე აღნიშნული პროცესი, როგორც სემან-

ტიკური ინტეგრაციის პროცესი, მოიცავს კონსტრუქციულ დასკვნებს (ინფერენცს). ინფერენცის გამოტანა არ ხდება კითხვის პროცესში, დასკვნა მოსდევს მხოლოდ ტექსტის გაგებას. პეტერ ფონ პოლენცს ტექსტის გაგებასთან დაკავშირებით შემოაქვს ცნება „წინადადების ფონური შინაარსი“, განიხილავს რა გერმანული წინადადების სემანტიკის საკითხებს, და აღნიშნავს, რომ ენობრივი გამონათქვამის შინაარსი მხოლოდ იმისგან კი არ შედგება, რაც ენობრივი გამონათქვამის ფორმაში ლექსიკისა და გრამატიკის საშუალებითაა ჩადებული როგორც მისი მნიშვნელობა, არამედ იმისგანაც, რაც მთქმელს/დამწერს, შესაბამისად მსმენელს/მკითხველს, შენახული აქვს თავის ენობრივ ცოდნაში. აქედან გამომდინარე, ენობრივი შინაარსის კონსტრუირება შესაძლებელია ავტორის ინტენციაზე, მის წინარე ცოდნაზე, არსებულ საკომუნიკაციო სიტუაციაზე და ა.შ. დაყრდნობით. იგულისხმება, რომ ენობრივი გამონათქვამის მნიშვნელობა მხოლოდ ენობრივი გამონათქვამის რაღაც ნაწილია, ანუ ეს არის საშუალება, რომ მიახლოებით მაინც მოხდეს სიგნალიზება იმისა, რაც ავტორმა იგულისხმა (ფონ პოლენცი 1988:299). აქედან გამომდინარე, ტექსტის გაგება არ გულისხმობს მოწოდებული ინფორმაციის უბრალოდ გაგებას. მსმენელი/ მკითხველი მიმართავს ერთგვარ კომბინირებას, როდესაც, ერთი მხრივ, იყენებს თავის ენობრივ ცოდნას, ხოლო, მეორე მხრივ, ის ცდილობს ჩაწვდეს წინადადების ფონურ შინაარსს.

პ. ფონ პოლენცი ენობრივი გამონათქვამის გაგებას გვევაზობს წინადადების მოდელზე. რაც შეეხება ტექსტს, რომელიც არაერთი წინადადებისაგან შედგება, და თავის მხრივ ორგანიზებულია როგორც ნიშანთა თანმიმდევრული ჯაჭვი, მისი გაგება თავისთავად კიდევ უფრო რთული პროცესია. ამ შემთხვევაში, როგორც დ. ბუსე აღნიშნავს, უშუალო გაგების პროცესს დამატებით ერთვის ინტერპრეტაციაც. გაგებას დ. ბუსე ენობრივ ქმედებად არ მიიჩნევს. გაგება არის ინტუიციურად განხორციელებული პროცესი, რომელიც განსხვავდება ინტერპრეტაციისაგან. ეს უკანასკნელი აქტიური მანიპულაციაა ტექსტით, ამავე დროს ენობრივი ქმედება, რომლის შედეგადაც კვლავ ახალი ტექსტი წარმოიქმნება (ბუსე 1992:187).

ინტერპრეტაციას იმ შემთხვევაში მიმართავს რეციპიენტი, როდესაც თავს იჩენს პირველი პრობლემები ტექსტის გაგების პროცესში, ანუ როცა საჭირო ხდება ტექსტის რთული ადგილების განმარტება და მათში სიცხადის შეტანა. ფაქტობრივად, ეს არის არა უბრალოდ „მუშაობა ტექსტებზე“, არამედ ინტერპრეტაციიდან გამომდინარე ენობრივი კვლავწარმოების პროცესი. განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა ფიქციონალური ტექსტების გაგება, სადაც ავტორს საშუალება ეძლევა მაქსიმალურად შეფარვით გადმოსცეს საკუთარი ინტენცია. ამ შემთხვევაში მკითხველს ტექსტის გაგება შეიძლება გაურთულოს არა უბრალოდ გაუგებარი ადგილების წარმოქმნამ, არამედ ავტორის მიერ შემოთავაზებულმა „თამაშის განსაკუთრებულმა წესმა“, რომელიც, მიუხედავად რეციპიენტის ენობრივი ცოდნისა, შესაძლოა მაინც აფერხებდეს ტექსტის გაგებას.

მნიშვნელოვანი წილი მსგავსი ტექსტებისა მოდის თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში კონკრეტული პოეზიის ნიმუშებზე. ამ ტიპის ტექსტების შემთხვევაში მკითხველს უფლება ეძლევა გააგრძელოს კიდევ ავტორის მიერ დაწყებული ექსპერიმენტი, რაც სტანდარტული ტექსტის ინტერპრეტაციისას თითქმის შეუძლებელია. თავისთავად ექსპერიმენტის შედეგად შექმნილი ტექსტი არღვევს საზოგადოებაში უკვე დამკვიდრებული ტექსტის ხატს. ის არის ენისა და ცნობიერების თამაშის წესების ასიმილაციით შექმნილი, ენობრივი დონეებით პუანტირებული ნიმუში.

ჰ. გაამაირის განმარტებით: „კონკრეტულ პოეზიასთან მიმართებაში ‘კონკრეტული’ ნიშნავს ნიშნების უშუალოებას, რაც ჩანაფიქრად, აზრობრივ-ლოგიკურად, იდეების მქონედ იქცევა. ამასთან ეს პროცესი არასოდეს მთავრდება, ვინაიდან ის არის საგანთა ყოფიერების გამოვლინება და ამავე დროს აზროვნების ტრანსცედენტალური ფორმების აწმყო“ (გაამაირი 1971:8). კონკრეტული პოეზიისათვის ენა მხოლოდ მედიუმი არ არის, იგი იმავდროულად პოეზიის საგანია. ამ მიმართულების მანიფესტსა და პროგრამებში საზგასმულია ის ფაქტი, რომ ავტორები ამკვიდრებენ ენისა და პოეზიის ახალ გაგებას, რომელიც სხვადასხვა სტილური საშუალებებით ხორციელდება. ამ ტიპის ლექსებს ხშირად აქვთ პალინდრომის, კაიმატას, აკროსტიხის, პარონომასიისა და დიაფორის ფორმა.

მსჯელობაში რომ სიცხადე შევიტანოთ, ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ერნსტ იანდლის ერთ-ერთი ცნობილი კონსტელაცია (*იხ. დანართი 1*), აგრეთვე უსათაურო. მოცემულ ტექსტში არ გვაქვს სინტაქსური ერთეულები და, შესაბამისად, მას პირობითად თუ ვუწოდებთ ტექსტს. პირობითობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შესაძლოა დასახელდეს ის ფაქტი, რომ კონსტელაციაში განტექსტებისათვის ნიშანდობლივი არც ერთი პუნქტი არ სრულდება, კერძოდ, მოცემულ ნიმუშში არ გვაქვს კოჰერენტულობისათვის აუცილებელი ნიშნები, ერთთავად ზედაპირზე ვხვდებით სხვადასხვა მიმართულებით განლაგებულ მინუსკულებს, რაც არ არის ტიპური გერმანული ენისათვის, სადაც დაწერილობაში გარკვეული როლი ეკისრება მაიუსკულებს, გამომდინარე მათი მორფოსინტაქსური ფუნქციიდან. გრაფემათა თანამიმდევრული წაკითხვა სამი მიმართულებით (ვერტიკალური, ჰორიზონტალური და სიდრმული) ხორციელდება, რომელიც ემთხვევა სივრცის სამგანზომილებიან სისტემას. ამ შემთხვევაში მკითხველის წინაშეა ოთხად ოთხი ლექსემა, ესენია: ღმერთი (gott), ადამი (adam), ნეკნი (rippe) და ევა (eva). მკითხველის პირველი დაბნეულობა მაშინვე იხსნება, როგორც კი ის ახერხებს „წამოკრიფოს“ ცალკეული გრაფემები გარკვეული მიმდევრობითა და მიმართულებით და შექმნას მისთვის ნაცნობი ცნებები, მას უწევს ტექსტში მნიშვნელობის მქონე ენობრივი ნიშნების კონსტრუირება და მისთვის ცხადი ხდება, რომ მოცემული ენობრივი მასალის ტექსტად ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრაფემების განლაგება სხვადასხვა მიმართულებით. ამას გარდა, რეციპიენტს ლექსემათა სემანტიკური მნიშვნელობა კარნახობს, რომ მან

ინტერპრეტაციის პროცესში უნდა ჩართოს ტექსტუალობის ამ შემთხვევაში ერთადერთი მოქმედი კრიტერიუმი, კერძოდ კი ინტერტექსტუალობა, შესაბამისად, ის ააქტიურებს წინარე ცოდნას და ინტერპრეტაციას იწყებს ძველი აღთქმის ტექსტის დახმარებით. მაშინ უკვე გასაგები ხდება ლექსემების 'ღმერთი', 'ადამი', 'ევა' და 'ნეკნის' განლაგების თავისებურება. კოსმოსური იერარქიის პრინციპით ზედა სიბრტყეზე ჩნდება ლექსემა 'ღმერთი', შუალედურ სივრცეს იკავებს ლექსემა 'ადამი', მაგრამ ეს არის ნეკნის გამოღებამდე ორსახა და ჰარმონიული არსება. სიღრმული განზომილების პარალელურად და ვერტიკალური ანბანური ხერხემლის გასწვრივ განთავსებულია ლექსემა 'ნეკნი' და ადამიანის ჩონჩხის ბუნებრივ ანატომიურ სურათს ქმნის, ხოლო რაც შეეხება ლექსემას 'ევა', მას ავტორმა ქვედა სივრცეში მიუჩინა ადგილი. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ლექსემა 'ღმერთი' ერთადერთხელ არის დასახელებული. სხვადასხვა კომბინაციით, კერძოდ კი გრაფემათა კლებით არის წარმოდგენილი ლექსემა 'ნეკნი', რომელიც ადამის ორგანული ნაწილია შემდგომში მეტამორფოზირებული ევაში. საკუთრივ ლექსემა 'ადამი' ორგზის სახელდება: პირველად, როდესაც ის იყო სრულქმნილი, შემდგომ ეს ლექსემა იცვლება, რაც გამოიხატება იმაში, რომ სიტყვის შემადგენელი გრაფემები მცირდება და ირევა, როგორც შემდგომში მოხდა ადამის ყოფის ცვლილება. მეორე შემთხვევაში, ლექსემა 'ადამი' ადგილს იკავებს უკვე ევას გასწვრივ და მასზე მიჯაჭვულია საერთო გრაფემით /ა/, რაც გრაფიკული გამოხატულებაა შემდეგი ბიბლიური ტექსტისა: *„ექვა ადამა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისაგან არის გამოღებული/ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ“* (მოსე I. II. 23-24); გრაფემა /ა/ ანბანის პირველი ნიშანია და ავტორი ამ გრაფემის პუნტირებით ცდილობს „ერთხორცად“ წარმოდგენილი ადამიანი ფორმალურად მაინც დააბრუნოს თავის პირველსაწყისთან – ევასთან გაერთიანებით. ამას გარდა, ავტორმა ადამისა და ევას ამ ერთიანობით ექსტერნად წარმოგვიჩინა ევას გაჩენამდე ადამის ინტერნული ბიპოლარობა. ხოლო ლექსემა 'ევა', როგორც მოსალოდნელი იყო, სივრცის ქვედა საზღვარს იკავებს, როგორც ადამის ძის პირველდაცემის შემოქმედი.

კიდევ ერთი არსებითი დეიქსისი, რომელიც კონსტელაციაში შეფარვით ძვეს და ასევე პირდაპირ მიანიშნებს ბიბლიურ ტექსტთან უშუალო ბმაზე, ესაა კონსტელაციის ვერტიკალური ღერძი მსხვილად დაბეჭდილი ანბანის რიგის ფრაგმენტით: ეს არის ე.წ. ხერხემალი, რომლის გარშემოცაა განლაგებული კონსტელაციის შემადგენელი ოთხივე ლექსემა. მკითხველი აუცილებლად შეამჩნევს, რომ ეს არის ლათინური ანბანის გრაფემები 15-დან 22-ის ჩათვლით. თუ ყურადღებით გადავხედავთ ბიბლიის ტექსტს, ასევე გასაგები ხდება ავტორის ინტენცია, თუ რატომ მოახდინა, სახელდობრ, ამ რიგის ასო-ნიშანთა მარკირება ტექსტში: სწორედ მოსეს პირველი წიგნის მეორე თავის [15-22] მონაკვეთშია გადმოცემული სამოთხეში ადამისა და ევას დამკვიდრების ამბავი, აქვე ვეცნობით

ადამის სამოთხეში მოსვლისა და მისი ნეკნიდან ევას შექმნის ისტორია: „<sup>15</sup> აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად. [...] <sup>22</sup>ნეკნისგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მოუყვანა“ (მოსე I. 1. 2). ამით ინტერპრეტატორს/მკითხველს საშუალება ეძლევა სრულად აღადგინოს ტექსტი.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საანალიზო კონსტელაციას ჰირობითად ტექსტად მოვიხსენიებდით, თუმცა ტექსტის ლინგვისტიკაში ცნობილია ტექსტუ-ალობის შვიდი ძირითადი კრიტერიუმი და ფიქციური ტექსტებისათვის შესაძ-ლოა ამ ჩამონათვალს კიდევ ერთი დამატებითი კრიტერიუმიც დაემატოს, სა-ხელდობრ, ფიქციონალურობა, რომელთა არსებობა ტექსტში არის წინაპირობა იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ ტექსტზე როგორც სრულყოფილ ენობრივ წარ-მონაქმნზე. არსებობს მოსაზრება, რომ ამ კრიტერიუმიდან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ტექსტში ნიშნავს იმას, რომ ენობრივი წარმონაქმნი არ არის ტექ-სტი. იანდლის მოცემული კონსტელაცია, მართალია, ცალსახად არ მეტყველებს, რომ ეს არის ტიპური ტექსტი, მაგრამ ტექსტის ანალიზმა ცხადყო, რომ იგი სუსტად, მაგრამ მაინც ატარებს ტექსტურობის ნიშნებს: ტექსტის ძირითად „საშენ მასალად“ გამოყენებულია ენობრივი ნიშნის იერარქიის ყველაზე დაბალი დონე – გრაფემები, რომელთა ბმა ქმნის ცალკეულ ლექსემებს. მათ სემანტი-კურ ანალიზს ტექსტის გრაფიკულ სუბსტრატზე დაყრდნობით მკითხველი მიჰყავს ამოსავალ ბიბლიურ სიუჟეტთან. ამით ტექსტში თავს იჩენს უკვე ტექსტუ-ალობის ერთ-ერთი მახასიათებელი – ინტერტექსტუალობა. რაც შეეხება სხვა დანარჩენ კრიტერიუმებს, მათ შორის ასევე გვეძლევა, მაგრამ შედარებით სუსტი გამოხატულებით, კოჰეზია, რომელიც ცხადდება გრაფიკათა დონეზე, და კოჰე-რენტულობა, რაც ვლინდება სიტყვათა სემანტიკის ანალიზის პროცესში. სხვა დანარჩენი კრიტერიუმები, როგორცაა ინტენციონალობა, აქცეპტაბელურობა, ინ-ფორმაციულობა და სიტუაციურობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მჟღავნდება, როცა ინტერპრეტატორი კონსტელაციის დეკოდირების მიზნით მიმართავს ამო-სავალ ტექსტს ძველი აღთქმიდან.

ამრიგად, ე. იანდლის კონსტელაციის მაგალითზე ცხადი გახდა, რომ ტექსტის ლინგვისტური მონაცემების ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქ-ტორია ტექსტის სრულყოფილი გაგებისათვის. რომ არა არსებობდა ლექსიკურ მონაცემთა სემანტიკური ანალიზი და დამატებით ინტერტექსტუალობის კრიტე-რიუმის ჩართვა ინტერპრეტაციის პროცესში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახ-დებოდა კონსტელაციის გაგება მისი ტექსტური მონაცემების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, რომ არა ლინგვისტური ანალიზის შედეგად კონსტელაციებში, რომელთაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „ენობრივი თამაში“, ტექსტუალო-ბის სუსტად გამოვლენილი კრიტერიუმები და მათი სათანადო ინტერპრეტაცია, სხვაგვარად ამ ტიპის ენობრივი წარმონაქმნები შესაძლოა არც კი აღქმულიყო ტექსტებად.

ლიტერატურა

ბიბლია 1989: ძველი აღთქმა. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.  
 ბალოდი 2001: Ballod M., *Verständliche Wissenschaft*. Tübingen: Narr.  
 ბუსე 1992: Busse D., *Textinterpretation*. Sprachtheoretische Grundlagen einer explikativen Semantik. Opladen: Westdeutscher Verlag.  
 გაპმაირი 1971: Gappmayr H., Was ist konkrete Poesie? In: Text+Kritik. Zeitschrift für Literatur. Hrsg. H.L. Arnold. H. 25. Konkrete Poesie I. II Aufl., Edition text+kritik. München: Richard Boorberg.  
 გროებენი 1982: Groeben N., *Leserpsychologie: Textverständnis-Textverständlichkeit*. Münster: Aschendorf.  
 იანდლი 1967: Jandl E., *adam und eva*. In: An Anthology of Concrete Poetry. Ed. by Emmett Williams. New-York, Villefranch, Frankfurt, Stuttgart: hansjorg mayer.  
 ფონ პოლენცი 1988: von Polenz P., *Deutsche Satzsemantik*. 2. durchgesehne Auflage. Berlin, NY: Walter de Gruyter.  
 სენფორდ&გაროდი 1981: Sanford An.&Garrod S., *Understanding written language: Exploration of comprehension beyond the sentence*. NY.  
 შნოცი 1996: Schnotz W., *Lesen als Textverarbeitung*. In: Schrift und Schriftlichkeit. B.2 Hrsg. Günther Hartmut. Berlin [u.a]: de Gruyter.

დანართი №1

	g		o		tt
			p		
			q		
			r		
			adams		
	ripp		e		
				a	
			dam		
	ipp		et		
			am	a	d
	pp		e		
			mu		
				d	d
	p		e		a
			eva	d	a
					m



## **Linguistic Poetry and Some Possibilities of Text Interpretation**

### Summary

The term "linguistic poetry" was coined in the 20th century German literature. Another term for the given phenomenon is "experimental literature", which implies experiments carried out by means of a language with "concrete poetry", also known as "linguistic poetry", being part of it. At first glance, the texts of the discussed type seem to be devoid of any textual traits, their syntactic structures are broken. However, one of their stratificational levels is activated.

The paper discusses some issues of text comprehension that are essential for text interpretation. As is known, the interpretation of a fictional text with the author's message implicitly conveyed at different text levels is not an easy task. As for the analysis of some samples of linguistic poetry, including constellations, quite often it should be carried out only on the remnants of linguistic, viz. textual data. In many a case the interpretation is confined to the semantic analysis of the existing lexemes, as well as to the strategy of intertextuality. Only the mentioned methods make it possible to consider constellations to be a text.

სემანტიკა/ლექსიკობრაფია/ზრახელოობა

ნანა ბერიძე

არსებითი სახელის სემანტიკური ჯგუფები

სემანტიკური ნიშნის მიხედვით არსებითი სახელები იყოფა ორ ჯგუფად:

1. დესკრიფციულ ფუნქციებად, სადაც ფუნქციის არგუმენტის მიმართება ვლინდება (ფუნქტორები და სახელები აღნიშნავენ ნიშანთა ფუნქციონალურ გამოყენებას);
2. წევრ-წინადადებათა შემეშებად (Teilsatzsememe), რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც სუბორდინირებული სტრუქტურები, რაც მათი განსხვავებული ვალენტობით აიხსნება.

წევრ-წინადადებათა შემეშები აშკარა სინტაქსურ ვალენტობას გამოხატავენ. ერთადგილიანი სემანტიკური პრედიკატების შემცველ არსებით სახელებს (Hund, Stein, Mann, Frau) არ გააჩნია ღია სემანტიკური ვალენტობა, ხოლო რამდენიმე ღია ადგილის მქონე სახელებს, რომლებიც საგანთა შორის დამოკიდებულებას აღნიშნავენ, აქვთ ღია სემანტიკური ვალენტობა (Bruder, Teil, Kopf, Dach, Ecke).

der Bruder des Bekannten  
der Kopf des Pferdes  
die Ecke des Raums  
der Teil des Ganzen

პრედიკატის სემანტიკური ადგილი ქმნის ვალენტობის საფუძველს, მაგრამ მისი იდენტური არ არის. თუ მრავალადგილიანი პრედიკატები არსებით სახელთა სემანტიკურ ვალენტობას განაპირობებენ, ეს ნიშნავს, რომ ამ არსებით სახელებს სინტაქსური ვალენტობაც აქვთ. აბსოლუტური არსებითი სახელები მხოლოდ ერთადგილიან სემანტიკურ პრედიკატებს შეიცავენ და საგანს დამოუკიდებლად აღწერენ, ხოლო რელატიური არსებითი სახელები შეიცავენ მრავალადგილიან სემანტიკურ პრედიკატებს და საგანს რომელიმე სხვა საგანთან მიმართებაში აღწერენ (Heidolph 1981: 266). მაგალითად,

აბსოლუტური არსებითი სახელებია – Junge, Mann, Mädchen, Schüler...

der Schüler der 5. Klasse.  
der Junge des Bekannten.

რელატიური სახელებია – Vater, Onkel, Tante, Arm, Wand, Kopf, Bruder...

die Wand des Hauses  
die Ecke des Zimmers

აბსოლუტური არსებითი სახელები დამოუკიდებლად აღწერენ ამა თუ იმ საგანსა თუ მოვლენას, გარკვეულად გამოხატავენ თითოეული სიტყვის სემან-

ტიკურ დატვირთვას, რელატიური სახელები მოითხოვენ სხვა მიმართებებს, ყოველი მათგანი საჭიროებს განმარტებას. მაგალითად, Vater აუცილებლად გულისხმობს Tochter ან Sohn შემავსებელს, Bruder – არსებითი სახელი მიმართებაში Schwester ან Bruder სახელებთან ან ორივესთან ერთად.

ზმნისგან და ზედსართავისგან ნაწარმოებ რელატიურ არსებით სახელებს აქვს როგორც სინტაქსური, ისე სემანტიკური ვალენტობა.

აბსტრაქტული სახელები სემანტიკური ნიშნის გამოხატვით ქმნიან ვალენტობის წინაპირობას. ნაზმნარი არსებითი სახელების განსაზღვრებები საბაზისო ფორმით უკავშირდებიან პირიან პრედიკატულ ზმნას. აბსტრაქტული სახელები მნიშვნელობას იძენენ სპეციფიკური პარტნიორის მეშვეობით. ისინი ვალენტურად და სემანტიკურად დადასტურებულ არსებით სახელთა ქვეკლასს წარმოადგენენ.

der Beginn der Vorlesung  
der Verlauf des Vorgangs  
der Verzicht auf das Vergnügen  
der Ausdruck seines Gesichts  
die Tiefe des Abgrunds

ვ. ტობერტი არსებით სახელებს ყოფს ჯგუფებად, რომლებიც სემანტიკურად მსგავსი ნიშნით ერთიანდებიან. იგი განასხვავებს დენომინალურ შემავსებლებს (Ergänzungsklassen) და დენომინალურ თავისუფალ წევრებს (Angabenklassen)

შემავსებელთა კლასებს ვ. ტობერტი სემანტიკურად განსაზღვრავს ბრუნვათა როლების საფუძველზე, ხოლო სინტაქსურად – მორფოსინტაქსური აქტუალიზების შესაძლებლობების საფუძველზე. არსებითი სახელები, რომლებზედაც განსაზღვრულ შემავსებელთა კლასების შემავსებლებია დამოკიდებული, ერთიანდება არსებით სახელთა კლასში.

**დენომინალურ** შემავსებელთა ჯგუფებად ვ. ტობერტი მიიჩნევს:

- მოქმედების ინიციატორს (Agentiv) – der Angriff der Engländer;
- მოძრაობაში მყოფ ობიექტს (Objektiv) – die Errichtung des Hauses;
- ის, რაც ქმნის მოქმედების ეფექტს (Experientativ) –der Hunger vieler Kinder;
- ექსპლიკატივს (Explicativ) – das Gebiet von Hannover;
- პირის აღმნიშვნელი შემავსებელს (Personen - Ergänzung) – Peters Vater;
- ნივთიერებათა სახელებს (Stoff - Ergänzungen) - Ein Glas Wein;
- მოქმედების საშუალებას (Instrumental – Ergänzungen) – die Eroberung durch unsere Truppen;
- საგნის აღმნიშვნელ შემავსებელს (Sachergänzung) – der Vorrat an Erdöl;
- დასახელების აღმნიშვნელ შემავსებელს (Benennungsergänzung) – die Regierung Brandt;
- თანაფარდობის აღმნიშვნელ შემავსებელს (Gleichsetzungsergänzung) – die Verwendung als Klebstoff (Teubert 1979: 81).

### თავისუფალ წვერთა კლასებია:

- კუთვნილებითი გენტივი (Genitivus Possesivus) – die Art der Bäume;
- ხარისხის გამომხატველი გენტივი (Genitivus qualitatis) – ein Schauspieler ersten Ranges;
- სხვადასხვა შინაარსის მქონე წინდებულიანი წვერები, მაგალითად, წარმოშობის გამომხატველი – das Mädchen aus Berlin; მასალის აღმნიშვნელი – das Gefäß aus Ton;

ვ. ტობერტიგან განსხვავებით, კ. ე. ზომერფელდტი და პ. შრაიბერი არსებით სახელთა ექვს სემანტიკურ კლასს გამოყოფენ: 1) მოქმედების შემსრულებელი/ინიციატორი, 2) მიმართების აღმნიშვნელი, 3) საქმიანობის გამომხატველი, 4) პროცესის აღმნიშვნელი, 5) მდგომარეობის ამსახველი 6) თვისების გამომხატველი არსებითი სახელები.

ჩვენ შევავჯერეთ აქ განხილული სემანტიკური ჯგუფები და შევეცდებით წარმოვადგინოთ ჩვენეული ვარიანტი. არსებითი სახელის თითოეულ სემანტიკურ ჯგუფს ვუწოდებთ სემემას, რომელიც, თავის მხრივ, ცალკეული სემებისაგან შედგება. საინტერესოდ ჩავთვალეთ აგრეთვე სემემისა და სემის განხილვა ბირთვისა და პერიფერიის ასპექტში, რაც არსებითი სახელის ნომინალური ფრაზებისა და მეტყველების ნაწილების ურთიერთმიმართებაში გამოიხატება. ამიტომ ჯერ არსებითი სახელის ბირთვისა და პერიფერიის დადგენას შევეცდებით, შემდეგ კი ვიმსჯელებთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სემანტიკური ჯგუფების შესახებ.

არსებითი სახელი, როგორც ენობრივი კატეგორია, წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელიც შედგება მყარი, კომპაქტური ბირთვისა და არამყარი პერიფერიისაგან. იგი შეიძლება გაფართოვდეს და შეიჭრას რომელიმე ოპოზიციური კატეგორიის პერიფერიაში.

ცალკეული მეტყველების ნაწილების ფარგლებში განასხვავებენ ბირთვსა და პერიფერიას, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ოპოზიციას, თუმცა ისინი ერთი რომელიმე მეტყველების ნაწილის ფარგლებშიც არსებობენ. პერიფერიული ჯგუფების იდენტიფიკაცია ხდება სემანტიკური, სინტაქსური და მორფოლოგიური ნიშნების საფუძველზე. თუ არსებითი სახელი წარმოადგენს ბირთვს, მასთან პერიფერიულ მიმართებაში შეიძლება აღმოჩნდეს ზედსართავი სახელი, წინდებული. არსებით სახელთან, ისევე როგორც სხვა მეტყველების ნაწილებთან, პერიფერიული ჯგუფები მის გვერდით განლაგებულ მეტყველების ნაწილებთან მიმართებით იქმნება.

არსებითი სახელის ბირთვს წარმოადგენს საზოგადო სახელები, რომლებიც არსებითი სახელის ტიპურ ქვეკლასად არიან მიჩნეული. მათ აქვთ არსებითი სახელის ყველა მორფოლოგიური ნიშანი. განსხვავებული ნიშნების მქონე სხვა

ჯგუფები პერიფერიების სტატუსს იძენს. ამ ჯგუფებში შედის ნივთიერებათა სახელები, საკუთარი, აბსტრაქტული, კრებითი სახელები. არსებითი სახელის პერიფერიული ჯგუფებისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური სემა და გრამატიკული ფორმა.

ბირთვისა და პერიფერიის ფუნქციას თითოეული სახელი ლექსიკური მნიშვნელობიდან ღებულობს. ყოველი არსებითი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში დაშრეკებულია მისი განზოგადებული გრამატიკური მნიშვნელობა, რომელსაც შეესაბამება საგნობრიობის ცნება.

საგნობრიობა არის კატეგორიალური სემა, რომლის მიხედვითაც ხდება არსებითი სახელის ჯგუფების გამოყოფა.

ყოველ პერიფერიულ ჯგუფს აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშანი. ერთი და იგივე არსებითი სახელი პოლისემიის გათვალისწინებით შეიძლება სხვადასხვა ჯგუფშიც მოხვდეს.

არსებითი სახელი ბირთვს წარმოადგენს, როცა აქტანტური დომინანტია და პერიფერიას – როცა აქტანტია.

ლექსიკურ სისტემაში გამოიყოფა ლექსემათა გაერთიანებები, რომლებსაც ჯგუფის სტრუქტურა აქვთ. ამ ჯგუფებში აისახება ლექსემების ცნებითი, საგნობრივი თუ ფუნქციური მსგავსება. ლექსემები ერთიანდებიან მსგავსი ნიშნებით, რომელთაგან სემემები შინაარსის პლანის უფრო რთული ერთეულებია, ვიდრე სემები. სემემა წარმოადგენს სემათა იერარქიულ სტრუქტურას დომინანტური სემით ცენტრში.

არსებითი სახელების დაჯგუფება სემანტიკური ნიშნების მიხედვით შეიძლება საფუძვლად დაედოს ვალენტური მიმართებების აღწერას. ჩვენ მიერ გამოყოფილ ჯგუფებში სემემა წარმოადგენს არსებითი სახელის ბირთვს, ხოლო სემა – პერიფერიას. აქტანტური დომინანტი შეიძლება გამოხატავდეს უმცირეს სემანტიკურ ნიშანს (სემას), აგრეთვე, პირველი და მეორე რანგის აქტანტს. დომინანტური აქტანტი არც ერთ რანგს არ მიეკუთვნება.

1) **სემემა** – მოქმედების შემსრულებელი (Täterbezeichnung)

**სემა** – **აგენსი** (Agentiv)  
der Begleiter des Ministers  
der Beobachter der Sportler  
der Beschürzer der Kinder

**სემა** – **ინიციატორი** (Initiator)  
der Fälscher der Dokumente  
der Erfinder des Automobils

**სემა** – **მოთავე, წინამძღოლი** (Führer)  
der Chef des Betriebs  
der Anführer der Soldaten

**სემა** – **კუთვნილება** (Bezeichnung der Zugehörigkeit)  
der Besitzer des Autos  
der Herrscher des Gutes

**სემა** – **ობიექტი** (Objektiv)  
die Eroberung des Landes  
die Errichtung des Hauses

2) **სემემა** – მოქმედება, პროცესი (Ereignisbezeichnungen)

**სემა** – **პროცესი** (Vorgangsbezeichnung)  
die Entwicklung der Menschen  
der Bruch der Achse  
der Prozess der Heilung

შემდეგი სემა, რომელიც მიზეზს, საშუალებას აღნიშნავს, გამოიხატება აქტანტის აქტანტით.

**სემა** – **იარაღი, მიზეზი, საშუალება** (Instrumentalergänzung)  
der Abbruch des Hauses durch die Stadtverwaltung  
die Annahme des Gesetzes durch die Volkskammer

**სემა** – **დრო** (Bezeichnung der Zeit)  
der Eintritt des Winters  
der Untergang der Sonne

**სემა** – **პროცესის დასრულება** (Bezeichnung des Abschlusses)  
der Schluss der Veranstaltung  
die Heilung der Wunde  
der Umbau der Möbel

3) **სემემა** – დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები (Beziehungsbezeichnungen)

**სემა** – **ნათესაობა** (Verwandschaftsbezeichnung)  
die Schwester meines Freundes  
der Bruder des Meisters  
der Enkel meines Großvaters

**სემა** – **აღმზრდელი** (Erzieher)  
der Pate des Kindes  
die Gouvernante des Sohnes

**სემა** – **მოწინააღმდეგე** (Gegner)  
der Widerstand der Atmosphäre  
der Feind des Fortschrittes

**სემა** – **ხდომილება** (Geschehensbezeichnung)  
der Abfall der Temperatur  
der Ausfall der Sendung  
der Ausflug der Bienen

**სემა** – **დარჩენილი ნაწილი** (resultative Ergänzung)  
das Finale der Oper  
der Rest des Vermögens  
die Spur der Krankheit

- სემა – ხანგრძლივობა (Bezeichnung der Dauer)  
 der Fall der Blätter  
 der Schlag des Pulses
- 4) სემემა – თვისება (Eigenschaftsbezeichnungen)
- სემა – დამახასიათებელი ნიშანი (Charaktereigenschaft)  
 die Barmherzigkeit des Mädchens  
 die Würde der Menschen  
 der Stolz der Frau
- სემა – შეხედულება, მრწამსი (Bekenntnis)  
 die Lehre des Philosophen  
 christliche Konfession der Menschen
- სემა – ანალოგია (Bezeichnung der Analogie)  
 ein Abbild seines Vaters
- სემა – ხარისხი (Ergänzung des Grades)  
 die Stärke der Truppen  
 die Schwäche des Körpers  
 die Schärfe des Kampfes
- 5) სემემა – მთელისა და ნაწილის მიმართება (Teil-Ganz-Bezeichnungen)
- სემა – ოფიციალური დასახელებანი (offizielle Benennungen)  
 der Bezirk der Stadt  
 die Regierung des Landes
- სემა – რისამე შემადგენლობაში მყოფი (Bestandteile)  
 die Abteilung des Krankenhauses  
 der Raum des Hauses  
 die Ecke des Zimmers
- სემა – კრებითობა (Sammelname)  
 ein Haus von Puder  
 ein Heer von Arbeitslosen
- სემა – დრო (Temporale)  
 die Periode des Wachstums  
 der Anfang des Lebens
- 6) სემემა – აბსტრაქტული ცნება (Bezeichnungen für Abstrakta)
- სემა – დაცულობა (Schutzergänzung)  
 die Immunität des Diplomaten  
 der Schutz des Landes
- სემა – მიმართება (Bezeichnung der Verhältnisse)  
 die Bekanntschaft des Jungen  
 die Beziehungen des Kaufmanns  
 die Verhältnisse der Staaten
- სემა – რაგვარობა (Beschaffenheit)  
 die Festigkeit des Holzes

die Dringlichkeit der Reparatur  
der Reiz der Landschaft  
die Weite der Fälder  
die Tiefe des Flusses

**სემა – განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი (besondere Merkmale)**  
die Blindheit des Patienten  
die Eitelkeit des Mannes  
die Falschheit der Menschen

არსებითი სახელების ბირთვის ქმნიან საზოგადო სახელები, რომლებსაც ყველა მორფოლოგიური ნიშანი აქვთ. არსებითი სახელის პერიფერიულ ჯგუფებს ახასიათებს სპეციფიკური სემა და გრამატიკული ფორმა. ბირთვისა და პერიფერიის ფუნქციას თითოეული სახელი ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით იღებს.

ვალენტური მიმართებების ფონზე არსებითი სახელი წარმოადგენს ბირთვის – როცა სინტაქსური დომინანტია, ანუ როცა ქმნის ნომინალურ ჩარჩოს და თავის ირგვლივ ხსნის თავისუფალ ადგილებს. პერიფერიად შეიძლება ჩაითვალოს მისი პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. რანგის აქტანტი.

არსებითი სახელის ვალენტური მოდელის შიგნით არსებული აქტანტური დომინანტის სემანტიკური კლასები ხსნიან თავისუფალ ადგილებს, რომლებიც განსაზღვრული გრამატიკული ფორმებით ივსება.

არსებითი სახელების დაჯგუფება სემანტიკური ნიშნების მიხედვით ვალენტური მიმართებების აღწერის საფუძველს წარმოადგენს. ცალკეული ლექსემები მსგავსი ნიშნების გაერთიანების შედეგად ქმნიან სემემას, რომელიც არსებით სახელს ბირთვის სტატუსს ანიჭებს.

### **ლიტერატურა**

- Fourquet Y., Grunig B., *Valenz und Struktur In: Beiträge zur Valenztheorie*. Halle (Saale) 1971.
- Heidolph... 1981:** Heidolph, Flämig, Motsch, *Grundzüge einer deutschen Grammatik*, Berlin.
- Helbig G., *Zum Status der Valenz und der semantischen Kasus*, In: DaF. 2, 1979
- Helbig G., Buscha J., *Deutsche Grammatik*, Leipzig 1986.
- Helbig G., *Kontraversen in der Valenztheorie zu K. Welkes "Einführung in die Valenz- und Kasustheorie (statt einer Rezension)"*, DaF., 5/1989.
- Logačeva E., *Grundfragen der Valenztheorie (zu Strategie und Taktik des Aufbaus des deutschen Satzes)*. DaF. 27 Jahr. 1990. Hft. 2. S. 65-128.
- Sommerfeldt K. E., *Zum System der deutschen Wortarten-Kern und Peripherie der Wortart Substantiv*, Leipzig 1990.
- Teubert 1979:** Teubert W., *Valenz des Substantivs. Ergänzungen und Angaben*, Düsseldorf 1979.
- Муртазина И. М., *Валентность отглагольных существительных в немецком языке*, 2005.



## **Semantic Groups of Nouns**

### Summary

According to their semantic feature, nouns are divided into – descriptive functions and sememes of member sentences that function as subordinate structures, which is explained by their different valencies.

The lexical system consists of unsteady unities which have structures of groups. These groups have conceptual, subjective or functional similarities with lexemes. Lexemes are united according to similar features. Among them are sememes – more compound units of the content than semes. A sememe is a hierarchical structure of semes with a dominant seme in the center.

Grouping nouns according to semantic feature can be the basis for the description of valency reflexivity.

Groups where a sememe is a nucleus of a noun and a seme is a periphery have been singled out

რუსულან გერსამია

**მეზრული ვაშინერს**

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

პოლინეზიური „ტაბუს“ სემანტიკური ეკვივალენტი ქართველურ ენათაგან მხოლოდ მეგრულშია შემორჩენილი და მას **ვაშინერს** ეწოდება. ლექსიკონთა მიხედვით: „არ შეიძლება; სახსენებელი არაა!“ (ქაჯაია 2009,IV:236). „აზრობრივად, **ვაშინერს** არა მარტო აკრძალვავა, არამედ ნიშნავს, რომ ქმედების თუ საგნის სახელის ხსენებაც (მეგრ. **შინი/ა**) შეუძლებელია“ (კვირტია 2001), „ტაბუ იგივეა, რაც **ვაშინერს**: უთქმელი, უხსენებელი“ (გამსახურდია 1959:96)

**ვაშინერს** ფორმაში ეტიმოლოგიურად უნდა გამოიყოს **შინ-** „ხსენ“- ძირი, რომელიც სემანტიკურად **შინუა/შინა** „ხსენება“ მასდარს უკავშირდება. ო. ქაჯაიას განმარტებით: „**შინუა** სახელი **შინანს** ზმნისა – ხსენება; **შინა**, **შინი** – გახსენება; ჭაჭანება; ხსენება: **კოჩიში შინი ვარდუა** „კაცის ხსენება არ იყოლო“ (ქაჯაია 2009,IV:261)

განსახილველ ლექსემაში ასევე ეტიმოლოგიურად გამოსაყოფია –**ერ** მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი, რომელიც დღესაც პროდუქტიული აფიქსია. **შინელი/შინერი** „ნახსენები, ხსენებული“ ვნებითი გვარის წარსულდროიანი მიმღეობაა, სადაც **-ელ/-ერ** მიმღეობის მაწარმოებელია; ზმნური ფორმაა **შინანს** „ახსენებს“ (ქაჯაია 2009,IV:261): **საყვარელი, თი ცოროფა პატიოსანი შინელი** (ქსს.I:47გ-ვ) „ნეტავი ის საყვარული პატიოსანი ხსენებული“. სენაკურ-მარტვილურში **ლ/რ** მონაცვლეობითაა მიღებული **შინერი**<sup>1</sup> „ნახსენები, ხსენებული“ (ქაჯაია 2009,IV:261), „ის, რაც დასაშვებია, რისი ხსენებაც შეიძლება“.

ზუგდიდურ-სამურზაყანულში **შინერი** საწყისი ფორმაა ზმნისა **შინერს**. მასდარები სხვადასხვა სუფიქსური მორფემითაც გვხვდება: „**შინერუა** – სახელი **შინერს** ზმნისა – გება, რგება; შეხვდომა; ღირსად ყოფა; შესაფერისობა“ (ქაჯაია 2009,IV:261); **შინერება** „ღვთის ნება; ღვთისგან დასაშვები (ქაჯაია 2009,IV:261)<sup>2</sup>. **შინერს** – „გარდაუვალი, სტატიკური ვნებითი. გება, რგება; შეხვდომა; ღირსად ყოფა; შესაფერისობა“ (ქაჯაია 2009,IV:261).

**-ს** მესამე სუბიექტური პირის მორფემა ჩანს (**ვაშინერს თინა** „აკრძალულია ის“), თუმცა არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ამ ფუძის სინქრონიულ დონეზე ამ სახით დაშლას ეწინააღმდეგება: ერთი მხრივ ის, რომ მიმღეობები პირის მორფემებს არ ირთავენ და, მეორე მხრივ კი ის ფაქტი, რომ აუსლაუტში არსებული **-ს** ზმნას ყველა ობიექტური პირის ფორმაში ერთვის: **ვა-მ-(ი)-შინ-ერ-ს მა თინა** „მეკრძალება მე ის“, **ვა-გ-ი-შინ-ერ-ს/ვა-მ-შინ-ერ-ს სი თინა** „გეკრძალება შენ ის“, **ვა-უ-შინ-ერ-ს თის თინა** „ეკრძალება მას ის“.

<sup>1</sup> აღნიშნული მასდარის ამ ფორმით არსებობა ო. ქაჯაიამ დაგვიდასტურა.

<sup>2</sup> ფრჩხილებში უთითებს დ. ფიფიას

სემანტიკა, რომელსაც ეს ლექსემა ატარებს, უკავშირდება არა **შინ-** ძირს, არამედ **შინერ-** ფუძეს, რომელიც სტრუქტურულად მიმდებარა. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ **შინ-ერ-** დიაქრონიულად არის მიმდებარე წარმოშობის, ხოლო სინქრონიულ დონეზე საანალიზო შემთხვევისთვის ის უნდა გავიგოთ როგორც გაქვავებული, დაუშლელი ზმნური ფუძე. ვინაიდან პრობლემა ამ ფუძის მიმდებარე მიჩნევას უკავშირდება და ერთგვარ უხერხულობას ქმნის ისიც, რომ **შინ-ელ-/შინ-ერ-** დღესაც იშლება ძირისეულ და მიმდებარე მაწარმოებელ სეგმენტებად, მაგრამ საყურადღებოა, რომ მხოლოდ დაუშლელ ფუძეს უკავშირდება ტაბუირების, აკრძალვის სემანტიკა. ამასთან სენაკურ-მარტვილურში ხდება ფორმათა დამთხვევა: მიმდებარე **შინ-ერი** ნიშნავს „გამოჩენილს, სახელოვანს“, ხოლო მისი ომოფორმა, წარმოშობით მიმდებარე **შინერი**, სინქრონიულ დონეზე მასდარია ზმნისა **შინერს**. ზუგდიდურ-სამურხაყანულში **-ელ** და **-ერ** სუფიქსიანი ფორმები სემანტიკურად გამიჯნულია: **შინელი კორი** „გამოჩენილი კაცი“, შდრ: **შინერი** „აკრძალვა, ტაბუ“, **კოც შინელს** „კაცს გამოჩენილს“, შდრ. **შინერს** „დასაშვებია“. შდრ: სენაკურ-მარტვილური: **კოს შინერს** „კაცს გამოჩენილს“, **შინერს** „დასაშვებია“.

**შინერ-** ფუძე არ დაირთავს ზმნისწინს, მაგრამ შეიძლება გართულებული იყოს უარყოფითი **ვა-** ნაწილაკით: **ვაშინერს**. აკრძალვა-დასაშვებობის სემანტიკური ოპოზიციისათვის აუცილებელი არ არის მტკიცებითი **ქო-** ნაწილაკის დართვა, როცა ფორმა წართქმითია: **შინერს** („დასაშვებია“) – **ვაშინერს** („დაუშვებელია“); კითხვითი ფორმის დროს ორივე ირთავს **ო-**ნაწილაკს, რომელიც ხშირად ჩაკითხვის ინტონაციას წარმოშობს: **ქოშინერსო ბიძისქუაქ ბიძისქუა დონათასგნი?** „დასაშვებია, ბიძაშვილმა ბიძაშვილი რომ მონათლოს?“ **ქოშინერსო დღახუს ცვანას მუშობა?** „დასაშვებია უფლის დღესასწაულზე ყანაში მუშაობა?“ **თი ძლაბი მა ვამიშინერს, ართ ბაბუშგ ვამნარყ ვორეთგ** „ის გოგო ჩემთვის [ცოლად] აკრძალულია, ერთი ძირიდან (ბაბუადან) მოვდივართ“.

**ვა-** და **ქო-** ნაწილაკები დაერთვის არა მხოლოდ მესამე, არამედ I და II ობიექტური პირის ფორმებსაც: **ვა-მიშინერს / [ქო]მიშინერს** (მე), **ვაიშინერს / [ქო]გიშინერს** (შენ). მაგრამ მესამე პირის ფორმის სემანტიკა გაფართოებულია (რაც სავსებით ლოგიკურია იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ იგი ყოველთვის აღნიშნავს არა მოუბარს ან თანამოუბარს, არამედ იმას, რაც მათ გარეშეა. ანუ სემანტიკის გაფართოების საფუძველი, ზოგადად, მესამე პირის სემანტიკაა) და ხშირად იხმარება არა მხოლოდ ტაბუირებულ საგანთა ან მოვლენათა, არამედ ზოგადად იმასთან მიმართებითაც, რაც მიუღებელია ზნეობა-მორალისა თუ ტრადიციის გათვალისწინებით: **თენა თემ ზოლო ვაშინერს** „ეს ისედაც არ შეიძლება“.

**ვაშინერს** სინქრონიულ დონეზე მესამე პირის აბსოლუტური მიმართების ზმნაა, **ვაშინერს თინა** „დაუშვებელია ის“, რომელიც სემანტიკურად გაქვავებული ფორმაა. მეტყველებაში კი მოგვეპოვება რელატიური ფორმები, ეს უკანასკნელი გვხვდება მახასიათებელ ხმოვნებთან ერთად, რომელიც წარმოშობით ქცევის ნიშანია.

წარმოვადგენთ აწმყოს პირველი პირის ფორმათა სეგმენტირებულ და გლოსირებულ ნიმუშებს, როგორც პირდაპირი (სუბიექტური და ობიექტური), ისე ინვერსიული წყობისათვის:

*წყობა სუბიექტური*

ვა	ვ	უ	შინ[+]ერ	ქ	მა თის
NPTC	S.1.	CV	ხსენება[+PTCP].PRS.	S.1 {S.2} SG.	„მე მას“

*წყობა ობიექტური*

ვა	მ	ო	შინ[+]ერ	ქ	სი მა
NPTC	O.1.	CV	ხსენება[+PTCP].PRS.	{S.1}/S.2.SG.	„შენ მე“

*ინვერსიული*

ვა	მ	ო	შინ[+]ერ	ს	მა თინა
NPTC	SINV.1	CV	ხსენება[+PTCP].PRS.	OINV.3. SG.	„მე ის“

*მესამე პირი (ყველა ფორმისთვის)*

ვა	უ	შინ[+]ერ	ს	თის თინა / თინა თის
NPTC	CV	ხსენება[+PTCP].PRS.	S.3. SG.	„ის მას / მას ის“

რელატიური ფორმები ძალზე სინტერესო სურათს იძლევა უღლების პარადიგმაში (იხ. **შინერ-** ფუძიან ზმნათა უღლების პარადიგმა: ცხრ. 1-4).

სუბიექტური წყობის ფორმები სუბიექტური პირის მორფემებით იწარმოება: I სუბიექტური პირის **ვ-** პრეფიქსი, რომელიც **უ-**ს წინ იკარგება ზოგადად, ამ შემთხვევაშიც დაკარგულია, **ვ > 0** გადასვლა პოზიციურად არის განპირობებული: **0-უშინერქ** (მა თის „მე მას“). ამიტომ ის ემთხვევა მეორე სუბიექტური პირის ფორმას **უშინერქ** (სი თის „შენ მას“) და ფორმათა გარჩევა მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი. **-ქ** I და II პირში აწმყოსა და III თურმეობითის ფორმებში სუბიექტური პირის დანართია (გამყრელიძე, გუდავა 2000:164), რომელიც ასევე I და II პირში მოუღის მას ობიექტური წყობისას: **მიშინერ-ქ** (მა სი „მე შენ“), **გიშინერ-ქ** (სი მა „შენ მე“).

ობიექტური წყობის ფორმები ეწარმოება ობიექტური პირის პრეფიქსებით: ობიექტი I – **მ-**: **მიშინერქ**, II – **გ-**: **გიშინერქ**. აქვე შევნიშნავთ, რომ **ქო-**მტკიცებითი ან **ვა-** უარყოფითი ნაწილაკის დართვისას ქცევის ნიშანი ხშირად რედუცირებულია, განსაკუთრებით ზუგდიდურ-სამურზაყანულში, რის შემდეგაც პოზიციურად **შ-**ს წინ **მ > ფ** გადასვლა იყო მოსალოდნელი: **\*ქო-ფ-შინერქ**, **\*ვა-ფ-შინერქ**, მაგრამ ამგვარი ფორმები მეტყველებაში რეალიზებული არაა. მეტიც, შენარჩუნებულია **მშ** მიმღვერობა: **ქო=მ-შინერ-ქ=ო** ან **ვა=მ-შინერ-ქ**. (მდრ. ხსენების აღმნიშვნელი **ვა=ფ-შინ-ან-ქ** მა თის „არ ვახსენებ მე მას“).

მეორე პირში, იმავე ხმოვნით დაწყებულ ნაწილაკთა დართვისას, იკარგება **გ-** პრეფიქსი. ეს ზოგადი წესია მეგრულისათვის, O<sub>2</sub> მორფემა კი ფაკულტატიურად შეიძლება 0-ის სახით იყოს წარმოდგენული (გუდავა, გამყრელიძე

2000:175), ხოლო შემდეგ საფეხურზე სათავისო ვერსიის ი გადადის **დ-ში**. მაშასადამე, **ვა-გ-ი-შინერს > ვა-ი-შინერს > ვა-დ-შინერს**.

O<sub>2</sub>-ის მორფემა **გ-** რომ არ დაკარგულიყო, მეგრულში თანხმოვანთა წინა პოზიციაში **გ > რ** გარდაქმნის კანონზომიერებიდან გამომდინარე, მაშინ **გშ** არაკანონიკური კომპლექსი გარდაიქმნებოდა **რშ** კანონიკურ კომპლექსად, (გუდავა, გამყრელიძე 2000:175), მაგრამ ამ შემთხვევისთვის არც ეს მოხდა (შდრ. ხსენების აღმნიშვნელი **ვა=რ-შინ-ან-ქ** მა სი „არ გახსენებ მე შენ“).

მაშასადამე, პირველ შემთხვევაში, სადაც ობიექტური პირის მორფემა **მ-** შენარჩუნებულია: **ვა-მ-შინერქ, ვა-მ-შინერს**, გვაქვს I პირის ფორმა არაკანონიკურ თანხმოვანთა მიმდევრობით, რომლის წარმოშობასაც ხელი შეუწყო ხმოვანი **ი-** პრეფიქსის დაკარგვამ. ხოლო, მეორე შემთხვევაში, II პირის ფორმაში იმავე ფუნქციის ხმოვანი პრეფიქსი შენარჩუნებულია, მაგრამ არ ჩანს პირის მორფემა, რომლის არსებობასაც იმავე **ი-** ხმოვანმა პრეფიქსმა შეუშალა ხელი: **ვა-ი-შინერქ, ვა-ი-შინერს**;

ეს რაც შეეხებოდა I და II პირებს, III პირში სუბიექტის ნიშნებია **-ს, -უ**. ხოლო ერთადერთ მწკრივში, კერძოდ, III თურმეობითში არის **-ნ**, რომელიც აღდგება გარკვეულ პოზიციაში: **ღო** „და“ კავშირის წინ, ან **-ო** (კითხვითობის), **-ია** (სხვათა სიტყვის) ნაწილაკების დართვისას. იგი თავს იჩენს როგორც პირდაპირი, ისე ინვერსიული წყობის ზმნებში (მათი განაწილების პრინციპისათვის იხ. უღლების პარადიგმა. ცხრ. 1 და ცხრ. 3): თუ საქმეში თაში კეთება **ვანოში-ნერებუენ-ნ-ია** „ამ საქმის ასე გაკეთება თურმე არ შეიძლებოდაო“.

რაც შეეხება რიცხვის წარმოებას, ზმნაში გამოხატულია როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობა. მეგრულში, საზოგადოდ, ზმნის **სუბიექტური** პირის მრავლობითობის გამომხატველი მორფემები შემოიფარგლება **-თ, -ან, -ეს** სუფიქსებით, სუბიექტური პირის მრავლობითობა პირველსა და მეორე პირში, როგორც გარდამავლებთან, ისე გარდაუვალლებთან გამოიხატება **-თ** სუფიქსით. ეს პრინციპი გატარებულია I სერიის ყველა მწკრივში **ვაშინერს** ზმნისთვისაც. ანუ I და II პირში რიცხვის მიხედვით ოპოზიციას განასხვავებს **-თ** სუფიქსის დართვა-დაურთველობა: **ვაუუშინერქ – ვაუუშინერ-თ, ვამიშინერქ – ვამიშინერ-თ**. ასეთივე ვითარებაა IV სერიაშიც, ხოლო ინვერსიულ ფორმებს **-თ** სუფიქსი არ ერთვის (იხ. უღლების პარადიგმა. ცხრ. 3 და 4.).

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობა ერთნაირად გამოიხატება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში I და II სერიის ყველა წკრივში (ეხუგბაია 1996:70).

აწმყო დროის ფორმებში, საკუთრივ აწმყოში, აწმყოს პირობითსა და მყოფადუსრულში ობიექტის მრავლობითობის გამომხატველია **-ან** მორფემა, როგორც წესი, **ან > ა**, თუ მას არ მოსდევს კითხვითი ნაწილაკი **-ო**: **ვამიშინერ-ან-ო, ვაუშინერ-ან-ო** (იხ. უღლების პარადიგმა ცხრ. 2) ან სხვათა სიტყვის ნაწილაკი **-ია**: **მიშინერ-ან-ია, ვამშინერ-ან-ია**. **-ან** სუფიქსი სამურზაყანულში **ღო** „და“ კავშირის წინაც არის სრული სახით წარმოდგენილი (ციკოლია 1954:336); **ვამშინერან** ღო მუ ოკო ფქიმინათ? „გვეკრძალება და რა უნდა ვქნათ?“

ზოგადად, მეგრულში, ნამყო დროის ფორმებში – უწყვეტელსა და წყვეტილში S<sub>3</sub>-ის მრავლობითობა გამოიხატება **-ეს** სუფიქსით (ეზუგბაია 1996: 71). **ვაშინერს** ზმნაც უწყვეტელში **-ეს** სუფიქსს იყენებს სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად. ასევე IV სერიის მწკრივებში: IV თურმეობითსა და IV პირობითში (იხ. უღლების პარადიგმა. ცხრ. 4), რადგან ეს უკანასკნელი ეყრდნობა პირველს. მეორე სერია **ვაშინერს** ზმნას საერთოდ არ ეწარმოება.

რაც შეეხება **ობიექტის** მრავლობითობას, **ვაშინერს** ზმნა ამ ფუნქციისთვისაც **-თ** სუფიქსს იყენებს I და II პირში ობიექტური წყობის დროს. რაც, საზოგადოდ, მეგრულისთვისაა დამახასიათებელი, როცა გვაქვს შემდეგი კომბინაცია: S<sub>1</sub>O<sub>2</sub><sup>pl</sup>, S<sub>2</sub>O<sub>1</sub><sup>pl</sup> (ეზუგბაია 1996:72):

S<sub>2</sub>O<sub>1</sub><sup>pl</sup>: **მი-შინერ-თ** სი ჩქი „შენ ჩვენ“  
O.1.- CV-ხსენება-PRS.O.1.PL.

S<sub>1</sub>O<sub>2</sub><sup>pl</sup>: **გი-შინერ-თ** მა თქვა „მე თქვენ“  
O.2.- CV-ხსენება-PRS.O.2.PL.

კომბინაციაში S<sub>1</sub>O<sub>3</sub><sup>pl</sup>, S<sub>2</sub>O<sub>3</sub><sup>pl</sup> O<sub>3</sub>-ის მრავლობითობა არ აღინიშნება:

S<sub>1</sub>O<sub>3</sub><sup>pl</sup>: **ვი-შინერ-ქ** მა თინეფს „მე მათ“  
S.1.SG.- CV-ხსენება- PRS.S.1 {S.2.}SG.

S<sub>2</sub>O<sub>3</sub><sup>pl</sup>: **ო-ვი-შინერ-ქ** სი თინეფს „შენ მათ“  
S.2.SG.- CV-ხსენება- PRS.S.2 {S.1.}SG.

მეგრული ამჯერად იმეორებს ე.წ. ქართულ ნორმას მრავლობითობის გამოსახატავად, მაგრამ საკმარისია S<sub>3</sub>-სთან დაწყვილდეს ობიექტური პირი, რომ ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად ამოქმედდება ე.წ. ზანური ნორმა (ჩიქობავა 1946:94), რაც გულისხმობს ობიექტის რიცხვის გამოხატვას სუბიექტური S<sub>3</sub> პირის მრავლობითობის სუფიქსების მეშვეობით. ამიტომაც **ვაშინერს** ზმნის პარადიგმაში ცალკე გამოიყოფა **ინვერსიული** წყობა (იხ. უღლების პარადიგმა, ცხრ. 2, ცხრ. 4). სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, **-ან** სუფიქსით აღინიშნება I და II ობიექტური პირის მრავლობითობა აწმყო დროის მწკრივებში: აწმყოში, აწმყოს კავშირებითსა და მყოფადუხსრულში; აგრეთვე IV სერიაში, კერძოდ, III თურმეობითში:

S<sub>3</sub>O<sub>1</sub><sup>pl.3</sup>: **ვა=მი-შინერ-ან(ნ)** თინა ჩქი „ის ჩვენ“  
NPRT= SINV.1.- CV-ხსენება- PRS.OINV.3.PL.

S<sub>3</sub>O<sub>2</sub><sup>pl.1</sup>: **ვა=ი-შინერ-ან(ნ)** თინა თქვა „ის თქვენ“  
NPRT=SINV.2.- CV-ხსენება- PRS.OINV.3. PL.

S<sub>3</sub>O<sub>1</sub><sup>pl.1</sup>: **ვა=მი-შინერ-დ-ან** თინა ჩქი „ის ჩვენ“  
NPRT= SINV.1.- CV-ხსენება- IMP.- OINV.3.PL

S<sub>3</sub>O<sub>2</sub><sup>pl.1</sup>: **ვა=ი-შინერ-დ-ან** თინა თქვა „ის თქვენ“  
NPRT= SINV.2.- CV-ხსენება- IMP.- OINV.3.PL

<sup>3</sup> მორფოლოგიურ ჩანაწერში, გლოსირებულისაგან განსხვავებით, არ არის გათვალისწინებული ინვერსია.

S <sub>3</sub> O <sub>1</sub> <sup>pl.</sup> :	<b>ვა=მ-ი-შინერ-ღ-ან</b> ჩქი თინა „ჩვენ ის“	<b>ი-ცი //</b>	<b>ი-ცუ-აფ-უ</b>
	NPRT= SINV.1.-CV-ხსენება-IMP.-OINV.3.PL	CV-ყოფნა.FUT.S.3.SG.	CV-ყოფნა.FUT.-THM.S.3.SG.

S <sub>3</sub> O <sub>2</sub> <sup>pl.</sup> :	<b>ვა=ი-შინერ-ღ-ან</b> თქვა თინა „თქვენ ის“	<b>ი-ცი //</b>	<b>ი-ცუ-აფ-უ</b>
	NPRT= SINV.2.-CV-ხსენება-IMP.-OINV.3.PL	CV-ყოფნა FUT.S.3.SG.	CV-ყოფნა.FUT.-THM.S.3.SG.

S <sub>3</sub> O <sub>1</sub> <sup>pl.</sup> :	<b>ვა=ნო-ფ-შინერ-ებ+უ-ენ-ა(ნ)</b> თინა ჩქი „ის ჩვენ“		
	NPRT=PRF.1- SINV.1.- ხსენება-THM.- PRF.2.- OINV.3.PL		

S <sub>3</sub> O <sub>2</sub> <sup>pl.</sup> :	<b>ვა=ნო-რ-შინერ-ებ+უ-ენ-ა(ნ)</b> თინა თქვა „ის თქვენ“		
	NPRT=PRF.1.- SINV.2.-ხსენება-THM.-PRF.2.- OINV.3.PL		

ხოლო უწყვეტელში, აწმყოს პირობითსა და პირობითუსრულში ობიექტის მრავლობითობა გამოხატულია -ეს სუფიქსით. ასევეა IV სერიაში – IV თურმეობითსა და IV პირობითში:

S<sub>3</sub>O<sub>1</sub><sup>pl.</sup>: **ვა=მ-ი-შინერ-ღ-ეს** ჩქი თინა „ჩვენ ის“  
NPRT= SINV.1.SG.-CV-ხსენება- IMP.- S.3.PL /{O.1.PL}

S<sub>3</sub>O<sub>2</sub><sup>pl.</sup>: **ვა=ი-შინერ-ღ-ეს** თქვა თინა „თქვენ ის“  
NPRT= SINV.2.-CV-ხსენება- IMP.- S.3.PL /{O.2.PL}

S<sub>3</sub>O<sub>1</sub><sup>pl.</sup>: **ვა=მ-ი-შინერ-ღ-ეს-კო(ნი)** ჩქი თინა „ჩვენ ის“  
NPRT= SINV.1.-CV-ხსენება- IMP.- S.3.PL /{O.1.PL}-COND

S<sub>3</sub>O<sub>2</sub><sup>pl.</sup>: **ვა=ი-შინერ-ღ-ეს-კო(ნი)** თქვა თინა „თქვენ ის“  
NPRT= SINV.2.-CV-ხსენება- IMP.- S.3.PL /{O.2.PL}COND

S <sub>3</sub> O <sub>1</sub> <sup>pl.</sup> :	<b>ვა=მ-ი-შინერ-ღ-ეს-კო(ნი)</b> თინა ჩქი „ის ჩვენ“	<b>ი-ცი-ღ-უ //</b>	<b>ი-ცუ-აფ-უ-ღ-უ</b>
	NPRT= SINV.1.-CV-ხსენება-IMP - OINV.3.PL.- COND	CV-ყოფნა. FUT.-IMP.- S.3.SG.	CV-ყოფნა.FUT-THM.IMP-S.3.SG

S <sub>3</sub> O <sub>2</sub> <sup>pl.</sup> :	<b>ვა=ი-შინერ-ღ-ეს-კო(ნი)</b> თქვა თინა „თქვენ ის“	<b>ი-ცი-ღ-უ //</b>	<b>ი-ცუ-აფ-უ-ღ-უ</b>
	NPRT= SINV.2.-CV-ხსენება-IMP.- OINV.3.PL.COND	CV-ყოფნა.FUT-IMP-S.3.SG.	CV-ყოფნა.FUT.-THM.-IMP.-S.3.SG.

$S_3O_1^{pl}$ : ვა=ნო-ფ-შინერ-ებ+უ-ე-დ-ეს თინა ჩქი ,, ის ჩვენ“  
NPRT=PRF.1.- SINV.1.SG.-ხსენება- THM.- PRF.1.- IMP -OINV.3.PL

$S_3O_2^{pl}$ : ვა=ნო-რ-შინერ-ებ+უ-ე-დ-ეს თინა თქვა ,, ის თქვენ“  
NPRT=PRF.1.- SINV.2.SG.-ხსენება- THM.- PRF.1- IMP- OINV.3.PL

$S_3O_1^{pl}$ : ვა=ნო-ფ-შინერ-ებ+უ-ე-დ-ეს-კო(ნი) თინა ჩქი ,, ის ჩვენ“  
NPRT= PRF.1.- SINV.1.SG.-ხსენება- THM.-PRF.1.-IMP.- OINV.3.PL.-

COND.

$S_3O_2^{pl}$ : ვა=ნო-რ-შინერ-ებ+უ-ე-დ-ეს-კო(ნი) თინა თქვა ,, ის თქვენ“  
NPRT= PRF.1.- SINV.2.SG.-ხსენება-THM.- PRF.1-IMP.- OINV.3.PL.-

COND.

I და II პირისაგან განსხვავებით,  $S_3$ -სთან კომბინაციაში  $O_3$  პირის მრავლობითობა არ აღინიშნება. ასე რომ,  $O_3$ -ის მრავლობითობის გამოხატვა I და II სერიის ფორმებში – როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობის ზმნებში – უცხოა. ამ მხრივ მეგრული მიჰყვება ახალი ქართულის ნორმას, ამიტომაც თვლიან მეგრულში მეორეულ მოვლენად ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნას (ეზუგბაია 1996:73)

ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის სისტემა ახალ ქართულში შედეგია მიცემითი ბრუნვის სინტაქსური გაძლიერებისა, რის ხელშემწყობ ფაქტორად არნ. ჩიქობავა ინვერსიული წყობის წარმოებას თვლის (ჩიქობავა 1968:274). ინვერსიის დროს ხდება გრამატიკულ პირთა სემანტიკური გადააზრება, ანუ მიცემით ბრუნვაში მდგარი მორფოლოგიური ობიექტის გააქტიურება და გაიგება რეალურ სუბიექტად, ხოლო მორფოლოგიური სუბიექტი სემანტიკურად პასიური ხდება და ის აღიქმება რეალურ ობიექტად. პირთა ამგვარი გადააზრება ეხება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს (ეზუგბაია 1996:73). კერძოდ, მოქმედებითი გვარის ზმნები III სერიაში განიცდიან ინვერსიას, ხოლო „მაქვს“, „მიყვარს“ ტიპის ზმნები აწმყოშივე ინვერსიული წყობისანი არიან.

**ვაშიშინერა(ნ)** ზმნის მიცემით ბრუნვაში მდგარი რეალური სუბიექტის (გრამატიკული ობიექტის) მრავლობითობა ზმნაში, როგორც წესი, გამოიხატება შემდეგი პრინციპით: აწმყო დროის ფორმებში **-ან** მორფემით სამსავე პირში, ხოლო ნამყო დროის ფორმებში **-ეს** ფორმანტიტ – ასევე სამსავე პირში.

**შინერ-** ფუძიან ზმნათა უღლების პარადიგმაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სამსავე წყობაში – სუბიექტურ, ობიექტურსა და ინვერსიულში – ზმნები განიჩნევიან მხოლოდ I და II პირებში, ხოლო მესამე პირის ფორმა ყველა წყობისთვის ერთია, ანუ მესამე პირის ფორმა უნიფიკაციას განიცდის.

**ვაშინერს** სინქრონიულად გაიაზრება როგორც ერთპირიანი ზმნა: **ვაშინერს** თინა „დაუშვებელია ის“. აღნიშნული ეხება სამივე წყობის ზმნას, ვინაიდან მესამე პირი ყველგან უნიფორმირებული, თუმცა წარმოშობით ორპირიანია.

რაც შეეხება ქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეგრულში, ქართულის მსგავსად, ქცევის კატეგორიის სამწევრა სისტემას ქმნის განსხვავებული მორფემებით გამოხატული კუთვნილებით-დანაშნულებითი სემანტიკის მქონე დაპირისპირებული ფორმები. **ვაუშინერს** ფორმით სასხვისოა, რადგან აქ ჩნდება



საობიექტო ვერსიის აღმნიშვნელი უ- პრეფიქსი: ვა-ვ-უ-შინერ-ქ მა თის „მე მას“, ვა-უ-შინერ-ქ სი თის „შენ მას“, ვა-უ-შინერ-ს თინა თის „ის მას“. ხოლო ობიექტური და ინვერსიული წყობის ფორმებს – ვამიშინერქ, ვამიშინერს – I და II პირში მოუდით საობიექტო ვერსიის გამომსახველი ი- ალომორფი, III პირში კი მას ენაცვლება უ-: ვა-მ-ი-შინერ-ს მა თინა, ვა-გ-ი-შინერ-ს<sup>4</sup> სი თინა, ვა-უ-შინერ-ს თის თინა.

ძალზე საინტერესო ჩანს თვალსაზრისი, რომელიც ამგვარ ფორმებთან დაკავშირებით გამოთქმულია სამეცნიერო ლიტერატურაში, იგი ეხება გარდაუვალ ზმნებში ქცევის არარსებობის საკითხს. აღნიშნული კატეგორია ითვლება მხოლოდ გარდამავალი ზმნებისთვის დამახასიათებლად (ონიანი 1998:244-245).

ქცევის კატეგორია ნებისმიერი ენის სიღრმისეულ სტრუქტურაში აღნიშნავს კუთვნილებით-დანნიშნულებით ურთიერთობას, ხოლო ზედაპირულ სტრუქტურაში გამოიხატება სათანადო მარკერებით. ქცევის მიხედვით ოპოზიციას ვერქმნის ვაუშინერს ფორმა, რადგან აქ არც კუთვნილებით-დანნიშნულებითი ურთიერთობაა ასახული და არც სათანადოდ მარკირებული საპირისპირო ფორმები მოგვეპოვება. ასეთ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ქცევის კატეგორიაზე საუბარი არ უნდა იყოს გამართლებული (ონიანი 1998:238-239). ი- და უ- პრეფიქსებს გარდაუვალი ზმნის ფორმებში ირიბი ობიექტი შემოჰყავს მხოლოდ, რამდენადაც ამ აფიქსთა შემცველ ზმნაში ირიბი ობიექტი უეჭველად მოცემულია (ჯორბენაძე 1983:175-176, ონიანი 1998:244-245) და სწორედ ეს უნდა იყოს მისი ფუნქცია. თუ მაქცევარი, ირიბი ობიექტის შემომყვანი პრეფიქსი დაიკარგა, მაშინ იკარგება პირიც: ვაუშინერქ (I პირი - მა თის „მე მას“, II - სი თის „შენ მას“) > \*ვაშინერქ<sup>5</sup> სი „შენ“.

ობიექტური და ინვერსიული წყობის ზმნებში ოდნავ განსხვავებული ვითარებაა, კერძოდ, ი- პრეფიქსის დაკარგვის შემდეგ შ-ს წინ O<sub>1</sub>-ის ალომორფი შენარჩუნებულია I სერიის მწკრივებში, რაც მეგრული სათავის არაკანონიკურ მიმდევრობას ქმნის, ვა-მ-შინერ-ს მა თინა „მე ის“, რაც სემანტიკით არის განპირობებული; მაგრამ შდრ., IV სერია: ვანოფშინერებუექ < ვანომშინერებუექ < ვანომიშინერებუექ (იხ. ცხრ. 1, ცხრ. 3.). მეორე პირის ფორმაში კი პირიქით: პირის აღმნიშვნელი გ- ალომორფი იკარგება, ი- პრეფიქსი კი შენარჩუნებულია, თუმცა ეს უკანასკნელიც დასუსტებისკენ - იოტიზაციისკენ არის მიდრეკილი: ვა-გ-ი-შინერს > ვა-ი-შინერს > ვა-მ-შინერს. შდრ., IV სერია: ვანო-რ-შინერებუენ<sup>6</sup> < ვანო-გ-შინერებუენა < ვანო-გ-ი-შინერებუენა. მესამე პირის ფორმა ირიბი ობიექტის თუ სასხვისო ქცევის (ფორმალურად) საწარმოებლად იყენებს უ- პრეფიქსს. თუ ის წარმოდგენილი არ არის, ირიბი ობიექტი ზმნას არ შეეწყობა: ვაუშინერს თის თინა „ის მას“ > ვაშინერს თინა „ის“. ამდენად, მე-

<sup>4</sup> აღნიშნული ფორმა ზშირად იოტიზირებული (ი>მ) ვარიანტითაც გვხვდება: ვამშინერს.  
<sup>5</sup> ვარსკვლავით აღნიშნული ფორმები მეტყველებაში რეალიზებული არ არის.  
<sup>6</sup> ი- პრეფიქსის დაკარგვის შემდეგ თანხმოვნის წინა პოზიციაში გ > რ გადასვლის შედეგად რ- II პირის ალომორფად გვეკლინება.

სამე პირის ფორმებში უ- პრეფიქსის დაკარგვის შემდეგ ვიღებთ უნიფიცირებულ აბსოლუტური აგებულების ფორმას: **ვაშინერს**, რომელსაც არ აქვს ქცევის გაგება, რამაც ხელი შეუწყო მის სემანტიკურ განზოგადებას.

**შინერ-** ფუძიან ზმნათა უღლების პარადიგმა

*ცხრილი 1*

პირველი სერია  
მხოლოდითი რიცხვი

	სუბიექტური წყობა (საობიექტო ვრსია)	ობიექტური წყობა (სასუბიექტო ვერსია)	ინვერსიული წყობა
აწმყო	ვაუშინერქ მა თის ვაუშინერქ სი თის	ვამ(ი)შინერქ სი მა ვა(გ)იშინერქ მა სი	ვამ(ი)შინერს მა თინა ვა(გ)იშინერს სი თინა
	ვაუშინერს თინა თის/თის თინა		
უწმვეტელი	ვაუშინერდი მა თის ვაუშინერდი სი თის	ვამ(ი)შინერდი სი მა ვაიშინერდი მა სი	ვამ(ი)შინერდუ მა თინა ვაგიშინერდუ სი თინა
	ვაუშინერდუ თინა თის/თის თინა		
აწმყოს კავშირებითი	ვაუშინერდა/ე მა თის ვაუშინერდა/ე სი თის	ვამ(ი)შინერდა/ე სი მა ვა(გ)იშინერდა/ე მა სი	ვამ(ი)შინერდას მა თინა ვა(გ)იშინერდას სი თინა
	ვაუშინერდას თინა თის/თის თინა		
აწმყოს პირობითი	ვაუშინერდიკო მა თის ვაუშინერდიკო სი თის	ვამიშინერდიკო სი მა ვაგიშინერდიკო მა სი	ვამ(ი)შინერდუკო მა თინა ვაგიშინერდუკო სი თინა
	ვაუშინერდუკო თინა თის/თის თინა		
მყოფალსრული	ვა(ვ)უშინერდე იცი/ იყუაფუ მა თის ვაუშინერდე იცი/ იყუაფუ სი თის	ვამ(ი)შინერდა/ე იცი/ იყუაფუ სი მა ვა(გ)იშინერდა/ე იცი/ იყუაფუ მა სი	ამ(ი)შინერდას იცი/ იყუაფუ მა თინა ვა(გ)იშინერდას იცი/ იყუაფუ სი თინა
	ვაუშინერდას იცი/იყუაფუ თინა თის/თის თინა		
პირობითისრული	ვაუშინერდიკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ მა თის ვაუშინერდიკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ სი თის	ვამ(ი)შინერდიკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ სი მა ვა(გ)იშინერდიკონ(ი) იცილუ/ იყუაფულუ მა სი	ვამ(ი)შინერდუკონ(ი) იცილუ /იყუაფულუ მა თინა ვა(გ)იშინერდუკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ სი თინა
	ვაუშინერდუკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ თინა თის/თის თინა		

ცხრილი 2

პირველი სერია  
მრავლობითი რიცხვი

	სუბიექტური წყობა	ობიექტური წყობა	ინვერსიული წყობა
აწმყო	ვაუშინერთ ჩქი თის/თინეფს	ვამ(ი)შინერთ სი/თქვა ქი	ვამ(ი)შინერა(ნ) ჩქი თინა/თინეფი
	ვაუშინერთ თქვა თის/თინეფს	ვა(გ)იშინერთ ჩქი სი/თქვა	ვა(გ)იშინერა(ნ) თქვა თინა/თინეფი
	ვაუშინერა(ნ) თინეფი თის/თინეფს თინა		
უწყვეტელი	ვაუშინერდით ჩქი თის	ვამ(ი)შინერდით სი/თქვა ჩქი	ვამ(ი)შინერდეს ჩქი თინა
	ვაუშინერდით თქვა თის	ვაიშინერდით ჩქი სი/თქვა	ვაგიშინერდეს თქვა თინა
	ვაუშინერდეს თინეფი თის/თინეფს თინა		
აწმყოს კავშირებითი	ვაუშინერდათ ჩქი თის	ვამ(ი)შინერდათ სი/თქვა ჩქი	ვამ(ი)შინერდან ჩქი თინა
	ვაუშინერდათ თქვა თის	ვა(გ)იშინერდათ ჩქი სი/ თქვა	ვა(გ)იშინერდან თქვა თინა
	ვაუშინერდან თინეფი თის/თინეფს თინა		
აწმყოს პირობითი	ვაუშინერდითკო ჩქი თის	ვამიშინერდითკო სი/თქვა ჩქი	ვამ(ი)შინერდესკო ჩქი თინა
	ვაუშინერდითკო თქვა თის	ვაგიშინერდითკო ჩქი სი/ თქვა	ვაგიშინერდესკო თქვა თინა
	ვაუშინერდესკო თინეფი თის/თინეფს თინა		
მყოფადსრული	ვაუშინერდათ იცი/ იყუაფუ მა თის	ვამ(ი)შინერდათ იცი/ იყუაფუ სი/თქვა ჩქი	ვამ(ი)შინერდან იცი/ იყუაფუ ჩქი თინა/თინეფი
	ვაუშინერდათ იცი/ იყუაფუ სი თის	ვა(გ)იშინერდათ იცი/ იყუაფუ ჩქი სი/თქვა	ვა(გ)იშინერდან იცი/ იყუაფუ თქვა თინა /თინეფი
	ვაუშინერდან იცი/იყუაფუ თინეფი თის/თინეფს თინა		
პირობითი-სრული	ვაუშინერდითკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ მა თის	ვამ(ი)შინერდითკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ სი/თქვა ჩქი	ვამ(ი)შინერდესკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ ჩქი თინა
	ვაუშინერდითკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ სი თის	ვა(გ)იშინერდითკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ ჩქი სი/ თქვა	ვა(გ)იშინერდესკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ თქვა თინა
	ვაუშინერდესკონ(ი) იცილუ/იყუაფულუ თინეფი თის/თინეფს თინა		

ცხრილი 3

მეოთხე სერია  
მხლობითი რიცხვი

	წყობა სუბიექტური	ობიექტური წყობა	ინვერსიული წყობა
III თუქმეობ.	ვანოფშინერებუექქ მა თის ვანოშინერებუექქ სი თის	ვანოფშინერებუექქ სი მა ვანოშინერებუექქ მა სი	ვანოფშინერებუექ(ნ) მა თინა ვანოშინერებუექ(ნ) სი თინა
	ვანოშინერებუექ(ნ) თინა თის/თის თინა		
IV თუქმეობ.	ვანოფშინერებუექდი მა თის ვანოშინერებუექდი სი თის	ვანოფშინერებუექდი სი მა ვანოშინერებუექდი მა სი	ვანოფშინერებუექდუ მა თინა ვანოშინერებუექდუ სი თინა
	ვანოშინერებუექდუ თინა თის/თის თინა		
IV კაქმირ.	არა აქქს	არა აქქს	არა აქქს
IV პირლობითი	ვანოფშინერებუექდიკონ(ი) მა თის ვანოშინერებუექდიკონ(ი) სი თის	ვანოფშინერებუექდიკონ(ი) სი მა ვანოშინერებუექდიკონ(ი) მა სი	ვანოფშინერებუექდუკონ(ი) მა თინა ვანოშინერებუექდუკონ(ი) სი თინა
	ვანოშინერებუექდუკონ(ი) თინა თის/თის თინა		

ცხრილი 4

მეოთხე სერია  
მრავლობითი რიცხვი

	წყობა სუბიექტური	ობიექტური წყობა	ინვერსიული წყობა
III თუქმეობ.	ვანოფშინერებუეთ ჩქი თის/თინეფს ვანოშინერებუეთ თქვა თის/თინეფს	ვანოფშინერებუეთ სი/თქვა ჩქი ვანორშინერებუეთ ჩქი სი/თქვა	ვანოფშინერებუენა ჩქი თინა/თინეფი ვანორშინერებუენა თქვა თინა/თინეფი
	ვანოშინერებუენა თინეფი თის/თინეფს თინა		
IV თუქმეობ.	ვანოფშინერებუედით ჩქი თის/თინეფს ვანოშინერებუედით თქვა თის/თინეფს	ვანოფშინერებუედით სი/თქვა ჩქი ვანორშინერებუედით ჩქი სი/თქვა	ვანოფშინერებუედეს ჩქი თინა/თინეფი ვანორშინერებუედეს თქვა თინა/თინეფი
	ვანოშინერებუედეს თინეფი თის/თინეფს თინა		
IV კაგშორ.	არა აქვს	არა აქვს	არა აქვს
IV პირობითი	ვანოფშინერებუედითკონ(ი) ჩქი თის/თინეფს	ვანოფშინერებუედით- კონ(ი) სი/თქვა ჩქი	ვანოფშინერებუედეს- კონ(ი) ჩქი თინა/ თინეფი
	ვანოშინერებუედითკონ(ი) თქვა თის/თინეფს	ვანორშინერებუედით- კონ(ი) ჩქი სი/თქვა	ვანორშინერებუედესკონ- ნ(ი) თქვა თინა/ თინეფი
ვანოშინერებუედესკონ(ი) თინეფი თის / თინეფს თინა			

ლიტერატურა

**გამსახურდია 1959:** კ. გამსახურდია, „ტაბუ“, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. III, თბილისი.

**გულავა, გამყრელიძე 2000:** ტ. გულავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში: თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები; პირველად გამოქვეყნდა 1981 წელს კრებულში „თბილისის უნივერსიტეტი აკაკი შანიძეს“, თბილისი.

**ეზუგბაია 1996:** ლ. ეზუგბაია, გრამატიკული რიცხვი მეგრულში და მისი მორფოლოგიური ანალიზი: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, 1996.

**კვირტია 2001:** მ. კვირტია, კვიმატი, წერილების კრებული, თბილისი.

**ქაჯაია 2009, IV:** ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი 2009.

**ქჩხ. I:** ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გულავამ, თბილისი.

**ჩიქობავა 1946:** არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში, იკე, ტ. I, თბილისი.

**ჩიქობავა 1968:** არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი.

**ციკოლია 1954:** მ. ციკოლია, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა: დ. გულაის სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXV. სოხუმი.

**ჯორბენაძე 1983:** ბ. ჯორბენაძე, ხმოვანთავსართული პრეფიქსები ქართულში, თბილისი.

### აბრევიატურა და პირობითი აღნიშვნები

<b>S.1.</b>	I სუბიექტური პირი	<b>FUT</b>	მომავალი
<b>S.2</b>	II სუბიექტური პირი	<b>PRF</b>	პერფექტი
<b>S.3.</b>	III სუბიექტური პირი	<b>THM</b>	თემატური აფიქსი
<b>SINV.1.</b>	ინვერსიული სუბიექტი.1.	<b>COND</b>	კავშირებითი
<b>SINV.2</b>	ინვერსიული სუბიექტი.2.	<b>OV</b>	საობიექტო ვერსია
<b>OINV.3</b>	ინვერსიული ობიექტი. 3.	<b>CV</b>	მახასიათებელი ხმოვანი
<b>SG</b>	მხოლოდითი რიცხვი	-	მორფემათა საზღვარი
<b>PL</b>	მრავლობითი რიცხვი	=	კლიტიკის საზღვარი
<b>PTCP</b>	მიმდებარი აფიქსი	/	ორფუნქციანი მორფემა
<b>NPTC</b>	უარყოფითი ნაწილაკი	{ }	არააქტუალიზებული მორფემული შინაარსი
<b>IMP</b>	იმპერფექტი / სავრცობი	[+]	სინქრონიულ დონეზე არასეგმენტირებადი ერთეული
<b>PRS</b>	აწმყო		

Rusudan Gersamia

## Megrelian *Vašiners* (Structural and Semantic Analysis)

### Summary

Of Kartvelian languages it is only Megrelian that preserves the semantic equivalent to Polynesian "taboo". *Vašiners*, as it is called in Megrelian, simultaneously denotes the banning of a certain activity or an object and the unacceptability of its utterance. The latter is related to the verbal expression of a taboo.

The etymological root of the *vašiners* form is *šin-* (*xsen-*), the meaning of which (*šina/sinua*, i.e. 'mentioning') is linked to 'masdar'. However, it is not the *šin-* root obtained as a result of segmentation that contains the meaning of taboo, but the *šiner* stem, which is a set verbal stem on a synchronic level and a participle, on a diachronic. Such an approach allows to avoid the problems associated with the

interpretation of this stem as a participle and the uneasiness caused by the addition of a third person marker *sh*<sub>3</sub>.

On a synchronic level, *vašiners* is only a third person verb, *vašiners tina*, i.e. ‘it is unacceptable’, which is not used for the 1<sup>st</sup> and 2<sup>nd</sup> persons and is uncountable. In spoken speech there are relative forms which provide interesting evidence concerning the paradigm of conjugation (see paradigm of conjugation of verbs with *šiner-* stems, table 1-4).

The segmented and glossed samples of the 1<sup>st</sup> person singular, present, for direct (subject, object) and inverted orders:

Subject order:

va			πin[+]er	k	ma tis
NPTC	S.1.	CV	mention[+PTCP].PRS.	S.1 {S.2} SG.	‘I to him/her’

Object order:

va	m	i	πin[+]er	k	si ma
NPTC	O.1.	CV	mention[+PTCP].PRS.	{S.1}/S.2SG.	‘you to me’

Inverted order:

va	m	i	πin[+]er	s	ma tina
NPTC	SINV.1	CV	mention [+PTCP].PRS.	OINV.3. SG.	‘I to him/her’

3<sup>rd</sup> person (for all forms)

va	u	πin[+]er	s	tis tina / tina tis
NPTC	CV	mention [+PTCP].PRS.	S.3. SG.	‘he/she to him/her’

The study of *šiner*-stem verbs shows that in the case of all three orders, i.e. those of subject, object and inverted, verbs differ only in the 1<sup>st</sup> and 2<sup>nd</sup> persons, while in the case of 3<sup>rd</sup> person they are identical for all the three orders, which, to my mind, is one of the factors determining the transformation of a relative form into an absolute one.

The loss of a version marker (in its traditional sense) and of prefixes introducing an indirect object can be viewed as one more factor explaining this phenomenon. The reason why a version marker is viewed here in its traditional sense is that the *vaušiners* form fails to create a semantic opposition due to the lack of both possessive-intentional relations and structurally opposing forms. In this light, it appears unacceptable to speak of the category of version, in general.

The **i-** and **u-** prefixes only introduce an indirect object of intransitive verbs, since an indirect object is present in a verb containing these affixes, which should be

considered as its function. If a version marker, a prefix introducing an indirect object is lost, the category of person is also lost (1<sup>st</sup> person – *ma tis* ‘I to him/her’; 2<sup>nd</sup> person *si tis* ‘you to him/her’), > \**vašinerk si* ‘you’.

After the loss of the *i*-prefix of object and inverted orders, <sub>1</sub> allomorph is retained before *sh* in the screeves of the 1<sup>st</sup> series, which form a sequence atypical of Megrelian: *va-m-šiner-s ma tina* ‘I he/she’. Thus, it is determined by specific semantics; but cf. 4<sup>th</sup> series: *vanopšinerebuek* < *vanomšinerebuek* < *vanomišinerebuek* (see tables 1 and 3). Different is the case with the 2<sup>nd</sup> person forms: the person marker *g*- allomorph is lost, while *i*- prefix is retained. Yet, the latter is also prone to weakening-iotization: *va-g-i-šiners* > *va-i-šiners* > *va-j-šiners*. Cf. 4<sup>th</sup> series: *vano-r-šinerebuena* < *vano-g-šinerebuena* < *vano-g-i-šinerebuena*.

Like the forms of a subject order, third person forms of object and inverted orders take *u*- prefix for forming an objective version (formally). If the prefix is not present, a direct object does not agree with the verb: *vaušiners tis tina* ‘he/she to him/her’ > *vašiners tina* ‘he/she’. Hence the loss of the *u*- prefix leads to a unified form of a verb with an absolute structure, i.e. *vašiners*, which has no version. It is the lack of version that facilitated its semantic generalization.



*ირინა გველესიანი*

**ცნება „ანდერძის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები  
ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებში**

საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ძირითად უფლებად მემკვიდრეობის უფლებას ასახელებს. ამ უფლების პრაქტიკული განხორციელების კერძო სამარ-თლებრივ მექანიზმს განამტკიცებს მემკვიდრეობის სამართალი, იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლითაც მოწესრიგებულია გარდაცვლილი პირის ქონების იურიდიული ბედი.

ადამიანის გარდაცვალება არასოდეს იწვევს მისი ქონებრივი უფლებების ავტომატურ შეწყვეტას. ისინი გრძელდება მისი მემკვიდრეობის მიერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს მემკვიდრეობის ორ ძირითად სახეს – კანონისმიერ მემკვიდრეობასა და ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. კანონისმიერი მემკვიდრეობისას გარდაცვლილის ქონება გადადის კანონში მითითებულ პირებზე – გარდაცვლილის ნათესავებზე რიგითობის მიხედვით (გამოიყოფა ხუთი ძირითადი რიგი). ანდერძისმიერი მემკვიდრეობისას კი – ანდერძში მითითებულ პირებზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად:

„ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მამკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც“ (სსკკ 2000:401).

ამ ნორმაში ასახულია ანდერძის თავისუფლების პრინციპი, რაც ხაზს უსვამს მონადერძის სრულ უფლებას სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება დაუტოვოს არა მხოლოდ პირებს მემკვიდრეთა წრიდან, არამედ გარეშე პირებსაც. მაშასადამე, ანდერძი კანონით დადგენილი ფორმით შედგენილი მემკვიდრეობის (მონადერძის) განკარგულებაა გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონების ბედის შესახებ. იგი საშუალებას აძლევს მონადერძეს შეცვალოს არა მხოლოდ კანონით დადგენილი მემკვიდრეობის რიგითობა, არამედ ასევე იმ წილთა მოცულობა, რომელსაც მიიღებდა თითოეული მემკვიდრე კანონით მემკვიდრეობის დროს. შესაბამისად, ანდერძი მონადერძის თავისუფალი ნების გამოხატულებაა. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის თანახმად, მონადერძე უნდა იყოს „სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი ქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება“ (სსკკ 2000:402).

კანონი ადგენს, რომ „ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით“ (სსკკ 2002:311). წერილობითი ანდერძი შეიძლება იყოს ორი სახის – სანოტარო წესით დადასტურებული და სანოტარო დადასტურების გარეშე. ერთ შემთხვევაში ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მონადერძე და დადასტურებს ნოტარიუსი, მეორე შემთხვევაში კი ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მონადერძე ისე, რომ არ წარუდგენს ნოტარიუსს ხელმოწერის დასადასტურებლად.

ანდერძს, რომლის შედეგადაც ხდება ნოტარიუსის (ან ნოტარიუსთან გათანაბრებული პირის) მონაწილეობის გარეშე, კანონი მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს უყენებს – ანდერძი მონაწილემ თავისი ხელით უნდა დაწეროს და, ცხადია, ხელი უნდა მოაწეროს (**შინაურული ანდერძი**). შესაძლოა, მონაწილემ მიერ შედგენილი ანდერძი მოწმეებმაც დაადასტურონ. ასეთ შემთხვევაში ანდერძს „**დახურულ ანდერძს**“ უწოდებენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1367- ე მუხლის თანახმად:

„1. მონაწილემ სურვილით მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ ისე, რომ არ გაეცნონ მის შინაარსს (დახურული ანდერძი).

2. დახურული ანდერძის დადასტურებისას მოწმეებმა უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილ იქნა პირადად მონაწილემ მიერ მათი თანდასწრებით, მაგრამ ისინი არ გასცნობიან მის შინაარსს“ (სსკ 2002:313).

ამასთანავე, შესაძლებელია, შინაურული ანდერძის შედგენა განხორციელდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, კანონი ანდერძის შედგენის უფრო რთულ პროცედურას ითვალისწინებს. იმის ნამდვილობისათვის, რომ ანდერძი თვითონ მონაწილემ შეადგინა, აუცილებელია, რომ მის შედგენას დაესწროს ორი მოწმე, ხოლო მისი შედგენისთანავე ხელი უნდა მოაწეროს მონაწილემ და შემდეგ მოწმეებმა.

ჩვეულებრივ, მონაწილემ მიერ შედგენილი **შინაურული ან დახურული ანდერძი** ინახება მონაწილესთან. თუმცა, „1. მონაწილეს შეუძლია თავისი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ანდერძი დალუქული კონვერტით გადასცეს ნოტარიუსს (ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირს) სამი მოწმის თანდასწრებით, რაც დასტურდება კონვერტზე ხელის მოწერით; 2. აღნიშნული სახის ანდერძის შენახვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი ოფიციალური დეპონირებით ნოტარიუსთან (ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირთან)“ (სსკ 2002: 313).

ტერმინი „**შესაბამისი თანამდებობის პირი**“ აღნიშნავს ნოტარიუსთან გათანაბრებულ პირთა ფართო წრეს (სამკურნალო დაწესებულების უფროსი, ექსპედიციის უფროსი, გემის კაპიტანი, საჰაერო ხომალდის მეთაური, სამხედრო ნაწილის უფროსი და სხვა), რომლებიც უფლებამოსილი არიან დაადასტურონ ანდერძი. ისინი გათანაბრებული არიან ნოტარიუსთან მხოლოდ ანდერძის დადასტურებისას და არა სხვა სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას. აღნიშნულ პირთა მიერ დადასტურებული ანდერძი ეგზავნება სანოტარო ორგანოს მონაწილეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზოგადად, ანდერძი უნდა შეიცავდეს ერთი მამკვიდრებლის განკარგულებას, მაგრამ კანონი უშვებს ერთ გამონაკლისს – „მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ, რომელიც შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ – ჯერ კიდევ ორ- ივე მეუღლის სიცოცხლეში“ (სსკ 2002, 309). „**ერთობლივი ანდერძი**“ ეხება მხოლოდ მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობას, ე.ი. მემკვიდრეობას ერთმანეთის შემდეგ – ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში

ცოცხლად დარჩენილი მეუღლე იქნება გარდაცვლილის მთელი ქონების ან მისი ნაწილის მემკვიდრე. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი არ შეიძლება, მათ გარდა, ეხებოდეს სხვა პირს.

უკვე აღინიშნა, რომ კანონი განასხვავებს ანდერძის ორ ძირითად ფორმას – ნოტარიულად დადასტურებულსა და სანოტარო დადასტურების გარეშე. „სანოტარო ანდერძი“ შეიძლება შედგენილ იქნეს ორი განსხვავებული წესით: 1. ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე, რასაც ადასტურებს ნოტარიუსი და 2. ანდერძს მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით. ნოტარიუსს შეუძლია ანდერძის ჩასაწერად გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები. „თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ მოაწერს ხელს ანდერძს, შეიძლება მისი თხოვნით ხელი მოაწეროს სხვა პირმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა“ (სსკ 2002:312). სხვა პირის მიერ ანდერძზე ხელის მოწერას მოანდერძესთან ერთად აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ნოტარიუსი.

დაბოლოს, „თუ ერთმა პირმა რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი – არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს ენიჭება“ (სსკ 2002:320). ამასთანავე, სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს მხოლოდ ასეთივე ფორმით შედგენილი ანდერძით ან სანოტარო ორგანოში შეტანილი განცხადებით. შინაურული ანდერძი კი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს როგორც ნოტარიალური, ისე შინაურული ანდერძით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობაც განასხვავებს მემკვიდრეობის ორ სახეს – კანონისმიერ მემკვიდრეობასა და ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. კანონისმიერი მემკვიდრეობისას გარდაცვლილის ქონება გადადის კანონში მითითებულ პირებზე – გარდაცვლილის ნათესავებზე რიგითობის მიხედვით (გამოიყოფა სამი ძირითადი რიგი). ანდერძით მემკვიდრეობისას კი – ანდერძში მითითებულ პირებზე. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობის 534-ე მუხლის თანახმად:

„თითოეულ მოქალაქეს შეუძლია ანდერძით დაუტოვოს თავისი ქონება ერთ ან რამდენიმე პირს როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან, ასევე გარეშე პირებსაც, აგრეთვე სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფოებრივ, კოლპერატიულ ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს“ (Гражданское законодательство РФ 1996:123). შესაბამისად, ანდერძი (**завешание**) განიმარტება, როგორც პირადი ხასიათის მქონე ცალმხრივი გარიგება. ამასთანავე, დაუშვებელია ანდერძის შედგენა ერთზე მეტი პირის მიერ. რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს ნოტარიული განყოფილების დებულების თანახმად: „სახელმწიფო ნოტარიუსი არ არის უფლებამოსილი დაადასტუროს ანდერძი, რომელიც შედგენილ იქნა რამდენიმე პირის სახელით“ (Харалдс 2005:16). ამასთანავე, კანონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ანდერძის ფორმას. რუსეთის კანონმდებლობის 540-541-ე მუხლების თანახმად, ანდერძს ადგენს პირადად მოანდერძე (**завещатель**). იგი უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც

ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი ქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. ანდერძი დგება წერილობითი ფორმით (შედგენის ადგილისა და დროის მითითებით) და დასტურდება მოანდერძის მიერ. თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით (ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო) ვერ აწერს ხელს ანდერძს, მაშინ შესაძლებელია ხელმოწერა განხორციელდეს სხვა პირის მიერ (**рукоприкладчик**) მოანდერძისა და ნოტარიუსის (ან შესაბამისი თანამდებობის პირის) თანდასწრებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, რუსეთის კანონმდებლობა არ სცნობს ანდერძის შინაურულ ფორმას, დასაშვებია მხოლოდ ნოტარიალური ფორმა (**нотариальная форма завещания**). ამასთანავე, სანოტარო ანდერძის (**нотариальное завещание**) დადასტურება შესაძლებელია: „ა) სახელმწიფო ნოტარიალურ კანტორაში; ბ) კერძო პრაქტიკის მქონე ნოტარიუსის მიერ; გ) აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირების მიერ; დ) რუსეთის ფედერაციის საკონსულო დაწესებულებების თანამდებობის პირების მიერ“ (Харалдс 2005:23).

ქართულ და რუსულ კანონმდებლობათა მსგავსად ამერიკის სამართალშიც გამოიყოფა მემკვიდრეობის ორი სახე: კანონისმიერი მემკვიდრეობა (**intestate succession**) და ანდერძისმიერი მემკვიდრეობა (**testate succession**). კანონისმიერი მემკვიდრეობისას ქონების დამკვიდრება ხორციელდება კანონით გათვალისწინებული თანმიმდევრობით, ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრეობისას ანდერძში გაკეთებული მითითებით.

ჩვეულებრივ, გამოიყოფა ანდერძთა ორი კატეგორია: ოფიციალური ანდერძი (**official will**) და არაოფიციალური ანდერძი (**unofficial will**). არაოფიციალურ ანდერძთა კატეგორიას მიეკუთვნება ე.წ. **holographic will** (ხელნაწერი ანდერძი), რომელსაც ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე. ჩვეულებრივ, ხელნაწერი ანდერძი მოითხოვს მოწმეთა დასტურს (ხელმოწერის სახით). თუმცა, ზოგიერთ იურისდიქციაში (მაგალითად, შოტლანდიისა და აშშ-ს 25 შტატის კანონმდებლობაში) კანონიერად ითვლება დაუმოწმებელი ანდერძიც (ე.წ. **unwitnessed holographic will**), თუკი ის აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს მისი ნამდვილობის ოფიციალური დადასტურებისათვის. იურისდიქციებს, რომლებიც არ აღიარებენ დაუმოწმებელ ხელნაწერ ანდერძს, შეუძლიათ მისი კანონიერების ცნობა “foreign wills act”-ის ძალით (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანდერძი შედგენილია იმ ქვეყანასა თუ შტატში, რომელშიც იგი კანონიერად არის ცნობილი). ლუიზიანას შტატის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, აღნიშნული სახის ანდერძს ეწოდება “**olographic**”. ჩვეულებრივ, ხელნაწერი ანდერძი იწერება საგანგებო სიტუაციებში (როდესაც მოანდერძე არის მარტო, სიკვდილის პირას და სხვა). იურისდიქციები, რომლებიც არ აღიარებენ დაუმოწმებელ ხელნაწერ ანდერძს, გამონაკლისს აკეთებენ შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩართული პირებისა და საზღვაო ნაოსნობაში მყოფი მეზღვაურებისათვის. თუმცა, აღნიშნულ პირთა მიერ შედგენილი ანდერძის მოქმედების ვადა შეზღუდულია.

როგორც უკვე აღინიშნა, ინგლისურ ენაში გამოიყოფა ოფიციალურ და არაოფიციალურ ანდერძთა აღმნიშვნელი ტერმინები. ამასთანავე, ოფიციალურ ანდერძთა კატეგორიას მიეკუთვნება ე.წ. **notarial will (სანოტარო ანდერძი)**. Black's Law Dictionary-ს თანახმად, ნოტარიულ ანდერძს „აღგენს მონდერძე ორი მოწმისა და ნოტარიუსის თანდასწრებით“ (Black's Law Dictionary 2007, 1629). თუმცა, მოწმეთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს იმ იურისდიქციათა მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ღებება ანდერძი.

ინგლისურ ენაში გვხვდება ტერმინები: **joint will, mutual wills, mirror wills**.

**Joint will** (ერთობლივი ანდერძი) ერთზე მეტი პირის მიერ (ჩვეულებრივ, მეუღლეების მიერ) შედგენილი ანდერძია ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ. შესაბამისად, ერთ-ერთი მონდერძის გარდაცვალების შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილი მონდერძე ხდება გარდაცვლილის მთელი ქონების ან მისი ნაწილის მემკვიდრე.

ტერმინით **mutual wills** აღინიშნება ორი (ან ორზე მეტი) ანდერძი, რომელთა შედგენისას მონდერძეები აღწევენ გარკვეულ შეთანხმებას და ერთ-ერთი მონდერძის გარდაცვალების შემთხვევაში მეორე ასრულებს ქონების განაწილებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**Mirror wills** აღნიშნავს ორ იდენტურ ანდერძს.

ჩვეულებრივ, აშშ-სა და ინგლისის მემკვიდრეობის სამართლის სისტემები მოითხოვს ანდერძის შედგენას წერილობითი ფორმით. თუმცა, ამერიკის ზოგიერთი შტატი კანონიერად სცნობს ე.წ. „ზეპირ ანდერძსაც“ (**oral will** ან **nuncupative will**). „ზეპირი ანდერძის“ გადმოცემა ხდება ფიზიკური პირის „უკანასკნელი ავადმყოფობის“ (last sickness) პერიოდში. სავალდებულოა, რომ აღნიშნულ პროცესს დაესწროს სულ მცირე სამი მოწმე, რომლებიც მოგვიანებით განახორციელებენ ანდერძის ჩაწერასა და დადასტურებას. აღსანიშნავია ისიც, რომ შეზღუდულია „ზეპირი ანდერძის“ ჩაწერის ვადა და მემკვიდრეობით გადაცემული თანხის რაოდენობა. ხშირად **nuncupative will** გაიგივებულია ცნებასთან **last donation**. თავდაპირველად, **last donation** ანუ **donatio mortis causa** დამკვიდრდა რომის სამართალში და დღემდე მოქმედებს ინგლისსა და უელსში.

მაშასადამე, ქართული, რუსული და ინგლისური სამართლის ძეგლების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი: სამივე ქვეყნის სამართალი საბუთს სამკვიდროს გადაცემის შესახებ უწოდებს „ანდერძს“ (**завещание; will**). გამოიყოფა ანდერძთა ორი ძირითადი კატეგორია: არაოფიციალური ანუ „ხელნაწერი ანდერძი“ (გარდა რუსული სამართლისა) და ოფიციალური ანუ „სანოტარო ანდერძი“ (**нотариальное завещание; notarial will**). ამასთანავე, არსებობს ხელნაწერ ანდერძთა ორი სახეობა: დადასტურებული (**დახურული ანდერძი; witnessed holographic will**) და დაუდასტურებელი (**შინაურული ანდერძი; unwitnessed holographic will**). ქართულსა და ინგლისურ ენებში გვხვდება ცნება „ერთობლივი ანდერძი“ (**joint will**). ტერმინი **joint will** უნდა განვასხვაოთ ტერმინებისაგან **mutual wills** და **mirror wills**. **Joint will** არის ერთი

საბუთი, მაშინ, როდესაც **mutual wills** ორი (ან ორზე მეტი) დოკუმენტია ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ. რაც შეეხება ტერმინს **mirror wills**, იგი გამოიყენება ორი იდენტური ანდერძის აღსანიშნავად. დაბოლოს, ინგლისურ ენაში გვხვდება „ზეპირი ანდერძის“ მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები: **oral will** და **nuncupative will**, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ, საქართველოსა და რუსეთის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, შოტლანდიისა და ამერიკის ზოგიერთი შტატის სამართალი კანონიერად თვლის ზეპირად წარმოთქმულ ანდერძს, რომელსაც მოგვიანებით აფორმებენ და ადასტურებენ მოწმეები. თუმცა, შეზღუდულია აღნიშნული ანდერძით დატოვებული ქონების რაოდენობა და მისი ჩაწერის ვადა.

### *ლიტერატურა*

*სსკ 2002*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „ბონა კაუზა“, თბილისი.

*სსკკ 2000*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, „სამართალი“, თბილისი.

*Гражданское законодательство РФ 1996*: Гражданское законодательство РФ, ИНФРА-М, Москва.

*Харалдс 2005*: М. Харалдс, Завещание 2005 ([www.collection.pp.ru/f16\\_79htm](http://www.collection.pp.ru/f16_79htm)).

*Garner 2007*: B.A. Garner, Black's Law Dictionary, Thomson West.

*Irina Gvelesiani*

## **Terms Denoting the Concept “will” in Georgian, Russian and English Languages**

### Summary

A will is the most commonly used legal document for the distribution of property of a deceased person. There are two main categories of wills: **holographic wills** and **notarial wills**. Georgian and English laws differentiate **witnessed** and **unwitnessed holographic wills** (**olographic** under the Louisiana Civil Code), while Russian legislation recognizes only **witnessed holographic wills**. Generally, a will must be in a written form and according to a proper format. But a minority of U.S. states permit **nuncupative wills** (**oral wills**) under certain circumstances. The concept **oral will** is not found in Georgian and Russian legislations.

6060 ეჭიბაძე

**იდიომატური გამოთქმები არაბული ენის  
ეჭიბატურ დიალექტში**

არაბული ენის ეგვიპტური დიალექტი მდიდარია იდიომატური გამოთქმებით, რომლებიც ამ დიალექტს განსაკუთრებულ პეწს სძენენ. ისინი ადვილად გასაგები და აღსაქმელი მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისაა, ან მათთვის, ვინც მათ ენას, კულტურასა და წარმოდგენებს იცნობს. წინამდებარე სტატიაში ანბანური რიგის მიხედვითაა ჩამოთვლილი იდიომები, რომლებიც ეგვიპტურ დიალექტში დასტურდება (დალაგება ხდება არა ყოველთვის სიტყვათა ძირეულ თანხმონებზე დაყრდნობით, როგორც ეს მიღებულია არაბულში, არამედ თანხმოვანთა იმ თანმიმდევრობის მიხედვით, რომელიც დასტურდება დიალექტში). მათ ახლავს სიტყვასიტყვითი თარგმანი და განმარტებანი. სტატიის ბოლოს ცალკე ჯგუფებადაა გამოყოფილი ისეთი ლექსემები, რომლებიც ეგვიპტურში განსაკუთრებით ხშირად გამოდიან იდიომატურ გამოთქმათა შემადგენლობაში.

წინამდებარე სტატიაში მოცემული მაგალითები ჩაწერილია ავტორის მიერ ეგვიპტელი ინფორმანტებისგან, ან აღებულია ეგვიპტურ დიალექტზე შექმნილი შემდეგი ლიტერატურიდან: საუი 1981; ალ-სიბაი 1965; ალ-აიდი 2003; ალ-თონსი; ალ-ჰაქიმი 1987; ეჯიბაძე 2008.

!

თავისი საათის შვილი. ამბობენ არამდგრადი, ცვალებადი ხასიათის ადამიანზე.	إِبْنُ سَاعَتِهِ
ხალხის შვილი. კარგი გვარიშვილობის ადამიანი, კარგი ოჯახის შვილი.	إِبْنُ نَاسٍ (بِنْتِ نَاسٍ)
დაგრძელდა. ზედმეტი გაბედა, ხელები დაიგრძელა (შდრ.).	إِتَطَوَّلَ
დამოკლდი! ხელები დაიმოკლე!	إِتَقَصَّرَ
ჩაცმულ იქნა. გაითვალა, ავი სული შეუჩნდა.	إِتَلَبَّسَ
დაისუნთქა. გაითვალა, ავი სული შეუჩნდა.	إِتَنَفَّسَ
24 კარატი. უნაკლო, ასპროცენტიანი.	أَرْبَعَةٌ وَعِشْرِينَ قَيْرَاطٍ
სახე აიღო. გაშინაურდა.	أَخَذَ وَجْهَهُ
აღებ-მიცემა. ურთიერთგაგება.	أَخَذَ وَعَطَا

ჩემს დღეს ვნახავ შენს დღემდე. ჩემი სიკვდილის დღემც დამდგარიყოს შენი სიკვდილის დღემდე (მიმართვა მეუღლისადმი).	أَشُوفُ يَوْمِي قَبْلَ يَوْمِكَ
პატიოსან სახლში მენახე. კარგ ოჯახში მენახე გათხოვილი.	أَشُوفِكَ فِي بَيْتِ الْعَدَلِ
თითები შეიჭამა მის (კერძის) უკან. თითები ჩაიკვნიტა, ძალიან მოეწონა (კერძი).	أَكَلَ أَصَابِعُهُ وَرَأَاهَا (أَكَلَهُ)
პურის ჭამა. ლუკმა პური, პური არსობისა.	أَكَلَ الْعَيْشِ
მე დაგათვალიერებინებ ...-ს. მე შენ გაჩვენებ სეირს ...-თვის, ...-ის გამო (შდრ).	أَنَا حَافِرٌ جَاكَ عَلَى ...
მე მაგათ გამო ვეფუ (მთელი) ხმით. მეც ამას არ ვამბობ, მეც ამის გამო არ ვინლენ ყელს!	أَنَا نَابِیحٌ حِسِّيَ عَلَيْهِم
ძვირი სტუმარი ხარ, დაკვლას იმსახურებ. სიტყვათა თამაში: იგულისხმება, ძვირფასი სტუმარი ხარ და იმსახურებ, რომ საკლავი დაიკლას შენს გამო.	أَنْتَ ضَيْفٌ غَالِي تَسْتَهْلُ الدَّبْحَ
ჩემი ხელი შენს თავზე. მართალი მითხარი.	إِيْدِي عَلَى رَأْسِكَ
ხელი გულზე (მიღევს). მართალს ვამბობ (შდრ. გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი).	إِيْدِي عَلَى قَلْبِي
ერთი ხელი წინ და მეორე – უკან. ხელცარიელი მოვიდა (შდრ. ჯიბეზე ხელეხდა წყობილი მოვიდა).	إِيْدٍ مِنْ وَرَاءٍ وَإِيْدٍ مِنْ قُدَّامٍ
ხელი დაადე ...-ს, შენი ხელი ...-ზე. ახლავე მომეცი.	إِيْدِكَ عَلَى ...
ჩემი ხელი და შენი ხელი. ერთად ვაკეითოთ (შდრ. ხელი ხელს მივცეთ).	إِيْدِي وَإِيْدِكَ
აგერ, ცა და აგერ, მიწა. თავს ზევით ძალა არაა, მეტს ვეღარაფერს გავაწყობ და ვემორჩილები განგებას, აღარაფერი შემეძლია.	أَيْدِي السَّمَاءِ وَأَيْدِي الْأَرْضِ
ოღონდ შენს ღიას ეყოს. ნეტავი საკმარისი აღმოჩნდეს.	إِيَّاكَ يَقْضِي كَرِّشَاكَ



ბ

ვკვდები ...-ში. ძალიან მიყვარს (შდრ. ვგოჟდები ...-ზე).	بَأْمُوتَ فِي ...
დანარჩენი შენს სიცოცხლეში=შენ იცოცხლე. ამბობენ მისამძიმრებისას.	= الْبُقْيَةِ فِي حَيَاتِكَ = تَعِيشَ أَنْتَ
ხვალ ჭერამში (იგულისხმება, როცა ჭერამი დამწიფდება). უშაბათო კვირამი, არასოდეს.	بُكَرَهُ فِي الْمِشْمِشِ
მიწამ ჩაყლაპა (შდრ.). დაიკარგა.	بَلَعَتْهُ الْأَرْضُ
გოგო დავარდნილია ბოლომდე ...-ში. შდრ. გოგო შებმულია, გოგონას ყურადღება მიიქცია ...-მ.	الْبِنْتُ وَاقَعَهُ خَالِصٌ فِي ...
გოგონების გოგონა. შინაბერა, ასაკგადასული ქალიშვილი.	بِنْتُ بِنُوتٍ
მაიმუნივით ლაპარაკობს. კარგად ლაპარაკობს (იგულისხმება ეგვიპტურ დიალექტზე), საუბრობს ისე, რომ ეგვიპტელებისგან ვერ გაირჩევა.	بِيَتِّكَلِّمُ زَيْ الْقَرْدِ
გველის თავს ჭამს. ითქმის მოხერხებულ ადამიანზე, რომელიც თავს ყველგან გაიტანს.	بِيَأْكُلُ رَأْسَ الْحَيَّةِ
რძიან ბრინჯს ჭამს ანგელოზებთან ერთად. ღრმად, გემრიელად სძინავს.	بِيَأْكُلُ رُزَّ بِلْبَنٍ مَعَ الْمَلَائِكَةِ
შენი ხელითაა სიმართლე. მართალი ხარ.	بِيَدِكَ الْحَقُّ

ტ

ფულის მტვერი (ფულის მტვრით იყიდა). ჩალის ფასად იყიდა, ძალიან იაფად იყიდა.	تُرَابَ الْفُلُوسِ (اِشْتَرَى بِتُرَابِ الْفُلُوسِ)
თურქი, თურქების ასული. კეთილ-შობილი წარმოშობის ქალიშვილი.	تُرْكِيَّةٌ بِنْتُ أَتْرَاكٍ
მათ შორის რომ ნემსი ჩააგდო, გაიწკრიალებს. ისეთი სიჩუმეა, რომ ბუზის გაფრენაც ისმის (შდრ.).	تَرْمِي وَوَسْطَهُمْ الْإِبْرَهُ تَرْنٌ
შენი დაღლა წავიდა. არავითარი პრობლემა არაა (შდრ. შენი ჭირი წაუღია).	تَعَبَكَ رَاحَهُ

პირიდან გადმოაფურთხე. არ თქვა.	تَفَّ مِنْ فَمِكَ
მიწა გაიბოს და ჩაყლაპოს. (სირცხვილისგან) არ იცოდა, რა ექნა და გადაკარგვა ენატრებოდა.	تَنْشَقُّ الْأَرْضَ وَتَبْلَعُهُ

ج

თქვენგან მოვიდა, ჩემგან არ მოსულა. პასუხისმგებლობა თავიდან მომიხსნია, თქვენ დაგბრალდეთ.	جَاتَ مِنْكُمْ مَا جَاتَ مِنِّي
---	---------------------------------

ح

ფეხშიშველი (ფეხშიშველი პური, ფეხშიშველი ტაამეა...). ხმელა, მხო- ლოდ, ცარიელი (პური, ტაამეა და ა.შ.).	حَافٍ (عَيْشٍ حَافٍ، طَعَامِيَّاهُ حَافٍ...)
რამე, რაც ნერწყვს დაგისველებს. იგულისხმება ცოტაოდენი საკვები, წახემსება.	حَاجَهُ تَبِيلٌ رِيْقِكَ
რჯულის ნაჭერი. კარგი, შესანიშნავი.	حِتَّةٌ دِينَ
ჩემი შიგანი. ჩემი შვილი (შდრ. ჩემი სისხლი და ხორცი).	حَسَايَا
პირში ჩუსტი ჩაიდე. ხმა ჩაიწყვიტე.	حُطَّ إِلَيْهِ فِي بُقَاكَ
კუდი კბილებში ჩაიღო. სწრაფად, უკანმოუხედავად გაიქცა.	حُطَّ دَيْلُهُ فِي سَنَانِهِ
ულვაშებს/ წვერს მოვიპარსავ. დარწმუ- ნებული ვარ იმაში, რასაც ვამბობ (შდრ. რუსული даю голову на отсечение).	أَحْلَقَ سَنَبِي / دِقْنِي
თვალები გაუწითლა. თვალები დაუბრიალა.	حَمَّرَ لَهُ عَيْنِيهِ
მისი ხახიდან თაფლი წვეთავს. კარგი ხასიათი აქვს.	حَنَكُهُ بَيْنَقَطٍ عَسَلٍ
დედამისისა და მამამისის მოხერხება. დედისერთა	حَيْلَةَ أُمِّهِ وَأَبُوهِ

خ

მიწეპებული მიაჯანა. პირდაპირ, გაუფრთხილებლად მიახალა.	خَبَطَ لَزَقٍ
სიცივე აიღო. გაცივდა.	خَدَّ بَرْدٍ
თავისი თავი აიღო. წავიდა.	خَدَّ بَعْضُهُ

შენი სული აიღე. ფრთხილად იყავი.	خُذْ بِأَلَاكَ
შენი სული აიღე ...გან. ყურადღება მიაქციე, გაუფრთხილდი ...-ს. ფრთხილად იყავი.	خُذْ بِأَلَاكَ مِنْ ...
თავისი თავი აიღო. სული მოითქვა.	خَذَ نَفْسُهُ
მოკლე (მზრიდან) აიღე. ნაკლები წინააღმდეგობის გზა აირჩიე, მარტივი გამოსავალი ნახე.	خُذْهَا مِنْ قُصَيْرِّهَا
მუცელში ზაფხულის საზამთრო ჩაიდე. ნუ ღელავ, დამშვიდდი.	خُدْ فِي بَطْنِكَ بِطِيخِ (ة) صِيفِي
(ჩემი) ფეხი მოვიპარე. ორიოდ წუთი მოვიპარე, ცოტაოდენი დრო გამოვუნახე.	خَطَفْتُ رِجْلِي
ხუთი მის თვალში. ავი თვალის მქონე ადამიანის სახელის მოხსენიების ნაცვლად ამბობენ.	خَمَسَ فِي عَيْنِهِ
ხუთი და მეხუთე. ავი თვალის მქონე ადამიანის სახელის მოხსენიების ნაცვლად ამბობენ.	خَمَسَ وَخَمَيْسَهُ

د

მუხლები დამიდნა. ძალიან დავიღალე (სიარულით).	دَابَّتْ رُكْبَتِي
დასავლეთისკენ შეატრიალეს. სიკვდილის პირას მივიდა, სიკვდილის პირას იყო.	دَايَرِيْنُهُ مَغْرَب
მშრალი ტვინი აქვს. თავისნათქვამაა, არავის არ უჯერებს.	دَمَاغُهُ نَاشَفَهُ
ქვეყანა გაქვთ დატოვებული. რასაც გსურთ, იმას აკეთებთ.	الدُّنْيَا سَايِبَالِكُمْ
ეს კაცი თავის ტანსაცმელს ავსებს. კარგი ადამიანია, კაცური კაცია.	دَهَ رَاجِلٌ مَلُوْهُ هُدُوْمُهُ

ر

ძილმა წამოუარა. ჩაეძინა, დროზე ვერ გაიღვიძა (შდრ. რუს. проспал).	رَاحَتْ عَلَيْهِ نَوْمَهُ
ჩვენი უფალიმც არ დაგიწვენს ტანს. უფალი გაშორებს ავადმყოფობას.	رَبَّنَا مَا يِرْقَدُ لَكَ جِئْتَهُ

ჩემი კისერი. მიბრძანე, რაც გენებოს (შდრ. შენი სხალი და ჩემი კისერი).	رَقَبَتِي
ჩემი კისერი დაიჭერს, შეაჩერებს. მე ვკისრულობ.	رَقَبَتِي صَدَّادَهُ
სული სულში. ახლო, ერთგული ურთიერთობები ჰქონდათ, ერთმანეთს კარგად უკებდნენ.	الرُّوحُ بِالرُّوحِ
თავისი ქალბატონის სული. დელიკოს ბიჭი.	رُوحِ سِتِّهِ

ز

გუდრონი=გუდრონი და მური. უსიამოვნო რამეზე ამბობენ (შდრ. ქართ. ჯანდაბა).	زَفْتٌ = زَفْتٌ وَهَبَابٌ
გუდრონსა და მურივით. ძალიან ცუდად (შდრ. შავად, შავბნელად).	زَيْ زَفْتٌ وَهَبَابٌ
კენჭები. დელიშობილა.	زَلَطٌ = زَلَطٌ مَلَطٌ زَلَطٌ
როგორც ბომბი. ძლიერი, ჯანმრთელი (შდრ. მაგარი).	زَيْ بُمْبٌ
როგორც არსთა მონაწილე. არაფერი მოსწონს.	زَيْ شَرِيكَ الْمَخَالِقِ
ხალხით. წესიერად, როგორც წესი და რიგია.	زَيْ النَّاسِ

ش

ჩაეჭვიღე შენს მდგომარეობას. სასოს ნუ წარიკვეთ, წინააღმდეგობას ნუ შეწვევტ.	شِدَّ حَالِكَ
---	---------------

ض

ხუთები ექვსებში გაართყა. ვერაფერი მოახერხა.	ضَرَبَ أَخْمَاسٌ فِي أَسْدَاسٍ
---	--------------------------------

ط

სამით გაშორდა (იგულისხმება განქორწინების ფორმულა). შორს დაიჭირა, ახლოს არ მიიკარა.	طَلَّقَ بَيْتَاتَهُ
სამით გაშორებით... არავითარ შემთხვევაში...	(عَلَى) الطَّلَاقِ بَيْتَاتِهِ...

ამოიღო, როგორც თმა ცომიდან. ადვილად, მარტივად.	طَلَعَ زَيْ شَعْرَهُ مِنْ الْعَجِينِ
მასზე დააგრძელა. დიდხანს არ ეკონტაქტებოდა.	طَوَّلَ عَلَيْهِ

ظ

გუმბათის ქვეშ შეიხი (იყო) მეგონა. მე კეთილშობილი ადამიანი მეგონე/მეგონა.	ظَنَنْتُ تَحْتَ الْفُئْبَةِ شَيْخٍ
--	------------------------------------

ع

წითელი შუადღის სიძლიერეში. დღისით მზისით (შდრ.), ყველას დასანახად, ხალხის თვალწინ.	عَزَّ الضُّهُرُ الْأَحْمَرُ
ემშაკები თვლემენ. ძილის დროა.	الْعَفَّارِيتِ بِيَقِيْلُوا
შენი დღის/ღამის ბედი. ღმერთმა ბევრი ასეთი (კარგი) დღე/ღამე მოგცევს.	عُقْبَالِ يَوْمِكَ / لِيَايَتِكَ
მაღლის მაღალი. საუკეთესო, მაღალი ხარისხის.	عَالِ الْعَالِ
ყელში არასოდეს ჩამივა. ვერ ვიტან, არ მომწონს, დასანახად მეჯავრება.	عُمْرِي مَا نَزَلَتْ لِي مِنْ الزُّورِ
შენს სიამოვნებაზე. როგორც გინდა.	عَلَى كَيْفِكَ
შენს სინელეზე. ნელა.	عَلَى مَهْلِكَ
შენ გვერდზე/მარჯვნივ. გააჩერე (მძლოლს).	عَلَى جَمْبِكَ / يَمِينِكَ
პური მის მცხოველს. ბოლოს, როგორც იქნა, მიიღო, რასაც იმსახურებდა (შდრ. ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვა).	عَيْشِ لِحَبَّازِيْنَهُ
იცხოვრა თაბათსა (მნიშვნელობის არმქონე სიტყვაა, უბრალოდ, არაბულში სიტყვა „მცენარეს“ ერთიმება) და მცენარეში. ცხოვრობდა კარგად, ბედნიერად, უზრუნველად.	عَاشَ فِي تَبَاتٍ وَنَبَاتٍ

غ

დავიჩაგრე და ჩემი ვირიც დაიჩაგრა. მეტი აღარ შემიძლია, დავიღალე.	غَابَتْ وَغَلَبَ حِمَارِي
--	---------------------------

ძვირი ხარ და მოთხოვნა კი იაფია. შენ ჩემთვის ძვირფასი ადამიანი ხარ და რაც უნდა მოხვო, შევასრულებ, შენს ფასთან შედარებით ყველაფერი იაფია.	غَالِي وَالطَّلَب رَخِيص
ძვირი(ა) ცეცხლი(ვით). ცეცხლის ფასი ადევს (შღრ.)	غَالِي نَار
ნერწყვი შეიცვალა. წაიხემსა.	غَيَّرَ رَيْقَهُ
სახე შეიცვალა. პირობა არ შეასრულა, სიტყვა გატეხა.	غَيَّرَ وَشَهُ

ف

თავი ათამაშდა ჩემს უბეში. დავეჭვდი, ეჭვი შემეპარა.	إِلْفَار لِعَب فِي عُبِي
თავი გაიხსნა (თავი არ გაიხსნა). მაღა მოუვიდა, მაღა გაეხსნა (მაღა არ ჰქონდა).	فَتَحَ نَفْسُهُ (مَا فَتَحَشَ نَفْسُهُ)
თავი სიგანეში. შღრ. მისმა მზემ. ამბობენ ირონიით.	فِي عَرْضُهُ

ق

დაგიჭერს შენც და მამაშენსაც. ეს რა არის, მეტსაც იხამს.	يَقْبِضُ عَلَيْكَ وَعَلَى أَبُوكَ
დაამოკლა მასზე. რამე დააკლო ურთიერთობებში, არასაკმარისი ყურადღებით მოექცა.	قَصَّرَ عَلَيْهِ
დაუბრუნებელი წასვლა მოჭრა. მოკვდა.	قَطَعَ ذَهَابَ بِلَا إِيَاب
მისი პური გაწყვიტა. საზრდო შეუწყვიტა.	قَطَعَ عَيْشَهُ
იხვებმა გადაუწყვიტეს, გადაუჭრეს. მოკვდა. საბოლოოდ მოშორდა.	قَطَّعُوهُ الْوَزَّ
ჩემი გული შენზე. გულში მიზიხარ, მიყვარხარ.	قَلْبِي عَلَيْكَ

ك

ჩემი ღვიძლი. ჩემი შვილი (შღრ. ღვიძლი ნათესავი, ჩემი სისხლი და ხორცი).	كَبْدِي
საუბარი ჰაერში=ცარიელი საუბარი. უაზრო საუბარი.	كَلَامٌ فِي الْهَوَا = كَلَامٌ فَارِغٌ

სილა ჭამა (შდრ.). სილა გაარტყეს.	كَل قَلَم
ცხელი დარტყმა ჭამა. მაგრად მისცხეს.	كَل عَلَقَه سَخْنَه
თვალეებით უპირებდა შეჭმას.	كَان حَيَّاكُلُه بَعِينِيَه

ل

არც მითი და არც მასზე. არანაირი კავშირი არ აქვს, არაფერ შუაშია.	لَا بِيَه وَلَا عَلَيْهِ
თავისი მუცლის ზორცზე. მშიერი.	(على) لَحْم بَطْنَه
თავი ფეხებიდან ვერ გაურჩევია. ვერაფერი გაუგია, არაფერი იცის.	لَا عَارَف رَأْسُه مِن رَجْلِيَه
ის აცვია, რაც თოკზეა. ძალიან გაპრანჭულია.	لَابِسِ اللّٰى عَ الْحَبْلِ
ენა ხერხს მიუგავს. ძალიან სწრაფად და მოურიდებლად ლაპარაკობს, სიტყვას ვერ ჩააკერებ.	لِسَانَه زِيْ مَبْرَد
სიფათი დაუჭყანა. შდრ. სიფათი დაუკერა.	لَاوِي بُوظُه/لَوَى بُوظُه

م

ზარი უჭირავს. კამათლის კარგი მოთამაშეა.	مَاسِك زَهْر
მოსული. კეთილი, კარგი (დათანხმებისას, ინგლ. O.K.).	مَاشِي
გაფრცქენილი. გალამაზებული, გაპრანჭული.	مِتَقَمَع
შენ მიერ დაცული, შენი პროტექცია. შენი მონა-მორჩილი.	مَحْسُوبِك
დაფარული. ითქმის მასზე, ვისაც საზრდო მხოლოდ საარსებოდ ჰყოფნის. აქვს მხოლოდ აუცილებელი.	مَسْنُور
მოთმინების წაშწამებს ჩაეჭიდა. მოთმინება გამოიჩინა, ითმენდა.	مَسَاك بِأَهْدَابِ الصَّبْرِ
ასი იფრითით მოზეულილი. ითქმის ცელქ ბავშვზე.	مَعْجُون بِمِيَّةِ عَفَارِيَت
ნაპატიები. გიჟი თავისუფალია (შდრ.)	مَعْدُور
გაბერილია ...-ზე. გაბრაზებულია, გაბუტულია ...-ზე.	(هو) مَنفُوخَ عَلَى ...
მარილიანი. კარგი.	مَلِيح

შეხებული. შეპყრობილი (შღრ.), ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანი.	مَمْسُوسٌ
ბედს მიღუნავს. მუდამ მეწინააღმდეგება, არ მიჯერებს.	مِمِّلٌ بِخَتِي
ასი ასი. ასიდან ასი, სრული, ასპროცენტური.	مِيَّه مِيَّه
არავინაა ქალბატონზე უარესი, გარდა ბატონისა. ერთმანეთზე უარესები არიან.	مَا أَلْعَنَ مِنْ سِتِّي إِلَّا سَيِّدِي
ხათრი არ გამიტეხო.	مَا تَكْسِرْشْ بِخَاطِرِي
არ გამისინჯია ძილი. არ მიძინია.	مَا دُقْتِشْ النُّوم
არ მინახავს ძილი. არ მიძინია.	مَا شَفْتِشْ النُّوم
არაა აქ მათი სუნი(ც კი). საერთოდ არაა.	مَفِيْشْ هِنَا رِيْحَتْهُمْ
ჩემს თავზე არ მოიხარშება ეს ტაბიხი. მე ამას არ ვჭამ (შღრ.), ჩემთან ეს არ გაგივათ.	أَنَا مَا يَنْطَبِخْشْ فُوق رَاسِي الطَّبِيخ

ن

მის თავზეა ჩამოსული. ძალიან ჰგავს, მისი ზუსტი ასლია.	نَازِلٌ فُوق رَاسِهِ
-ჩემი სული ...-შია (არაა ჩემი სული ...-ში). მინდა (არ მინდა).	نَفْسِي فِي... (مَلِيَّاشْ نَفْس فِي...)

ه

ჰაერზე. პირდაპირი ეთერი, პირდაპირი გადაცემა.	(عَلَى) النَّوَا
--	------------------

و

და ეს მოვა? განა ეს შეიძლება? (იგულისხმება უარყოფითი პასუხი. შღრ. მოსულა?)	وَدِي تِيْجِي
მის უკან საქმეა. საქმეზეა წასასვლელი.	وَرَاه مِشْوَار
შენი მზრების სიგანე გვაჩვენე. გვაჩვენე, რა კაცი ხარ, რა შეგიძლია.	وَرِيْنَا عَرَضَ أَكْتَاْفَاك
გააფართოე შენ და იმან. გზა მომეცით.	وَسَّعَ أَنْتَ وَهُوَ



კარგი სახე აქვს. კარგი ფეხი აქვს (შდრ.), ბედნიერება მოაქვს.	وَشَّهْ حَلْوٌ
სახეში. პირდაპირ.	(فِي) الْوَشِّ
სახე და ზურგი. წალმა-უკულმა.	وَشٌّ وَضَهْرٌ

გარდა ამისა, ეგვიპტურ დიალექტში ფართოდ გამოიყენება იდიომატური გამოთქმები, რომელთა შემადგენლობაში განსაკუთრებით ხშირად დასტურდება შემდეგი ლექსემები: ‘ayin (თვალი), dam (სისხლი), bārid (ცივი) და ფერის აღმნიშვნელი ზელს. სახელები (კერძოდ, შავი, თეთრი, ლურჯი):

### عين

ორ თვალს შუა დაიღო. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა.	حَطَّهُ بَيْنَ عَيْنَيْنِ الْإِتْنَيْنِ
თვალი ამომივარდა ...-ში. დიდი ძალისხმევა დავასარჯვე, დიდი ჯაფა გავწიე ...-ზე.	طَلَعَتْ عَيْنُهُ فِي...
მტრის თვალში. დიდი ხნის წინ.	فِي عَيْنِ الْعَدُوِّ
ჩემს თვალსა (და თავზე). მიმსახურე, როგორც გენებოს.	عَلَى عَيْنِي (وَرَأْسِي)
ამ ჩემს ორ თვალზე. მიმსახურე, როგორც გენებოს.	عَلَى عَيْنَيَّ ذُوْلَ
მარჯვენა თვალი მითამაშებს. კარგს მიგრძნობს გული.	عَيْنِي الْيَمِينِ بِتَرْفٍ
მარცხენა თვალი მითამაშებს. ცუღს მიგრძნობს გული.	عَيْنِي الشَّمَالِ بِتَرْفٍ
თვალი აქვს მაძლარი (შდრ.).	عَيْنُهُ شَبَعَانَهُ
თვალი ჩემზე (და ჩემს ბედზე). რა უბედური ვარ, ჩემი ბედის რა ვთქვი.	عَيْنِي عَلَيَّ (وَعَلَى بَخْتِي)
ჩემი თვალი ცივი იყოს მასზე. ჩემი თვალი მას არ ეცემა, მე მას არ გავთვალავ.	عَيْنِي عَلَيْهِ بَارِدَهُ
ჩემი თვალი შენს თვალში. ძალიან ახლოს.	عَيْنِي عَيْنِكَ
თვალები შუა თავში აქვს. დიდი ყურადღებით აკვირდება.	عَيْنِيهِ فِي نَصِّ رَأْسِهِ

მისი ცარიელი თვალი. არაფერი ჰყოფნის, ყოველთვის მეტი უნდა, გაუმადლარია.	عَيْنُهُ الْفَارِغَةُ
--	-----------------------

د

შენი სისხლის გემინოდეს, ყვავილო. რთული ხასიათი გაქვს, არავის უჯერებ.	اِخْتَشَى عَلَى دَمِكَ يَا زَهْر
დედაშენს სისხლი დაუტოვე. სინდისი იქონიე.	خَلَّ عِنْدَ أُمَّكَ دَم
მსუბუქი/მძიმე სისხლი აქვს. კარგი, მსუბუქი/მძიმე ხასიათი აქვს.	دَمُهُ خَفِيفٌ / تَقِيل
მისი სისხლი შარბათია. კარგი ხასიათი აქვს.	دَمُهُ شَرَبَات
მისი სისხლი შხამივითაა. საზიზღარი ხასიათი აქვს.	دَمُهُ زَيْ سِيم
სისხლი გაექცა. ძალიან შეშინდა.	دَمُهُ هَرَبَان
სისხლი არა აქვს. უსინდისოა.	مَا عِنْدُوش دَم
სისხლოვ. ცულო, უსინდისოვ.	يَا دَمَكَ/يَا دَم

بَارِد

ცივი სეზონი. იალიში.	الفَصْلُ الْبَارِد
შე ცივო. ფეხებზე გკიდია.	يَا بَارِد
სამოცი ცივი. ფეხებზე გკიდია (უფრო ძლიერი, ვიდრე წინა გამოთქმა).	سِتِّينَ بَارِد

ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები:

ცნობილია, რომ ეგვიპტურ დიალექტში ფერის აღმნიშვნელი ზოგი სახე-  
ლი გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. მაგალითად, 'asfar (ყვითელი) არა-  
ბულში შეიძლება ნიშნავდეს ფერმკრთალსაც, ფარისეველურსაც, შავი ან ლურჯი  
უარყოფით მოვლენების აღსანიშნავად გამოიყენება, თეთრი – დადებითისა  
(ალამი 2000:78-88) და ა.შ.

ყვითელი ხუმრობა. ბოროტი ხუმრობა, უმწიკვლო ხუმრობა.	سُخْرِيَّهٖ صَفْرًا / سُخْرِيَّهٖ بَرِيئَهٗ
ყვითელი სიცილი. ფარისევლური სიცილი.	ضَحْكَهٗ صَفْرًا
ეს ისეთი ჯიშის (ადამიანია), რომელსაც წითელი თვალის გარდა არაფერის ეშინია. ძალიან თუ არ მოინდომე, არ შეღრკება.	دُوْلٌ صِنْفٌ مَّا يَخْفَشُ إِلَّا مِنَ الْعَيْنِ الْحَمْرَهٗ
შავი საქციელი. ცუდი საქციელი.	إِلْخِصْلَهٗ السُّوْدَهٗ
ქვეყანა ლურჯი იყო. უკუნეთი ღამე იყო, სრული სიბნელე იყო.	الدُّنْيَا كَانَتْ زَرْقًا
ღაიღე წითელი და თეთრი (იგულისხმება მაკიაჟი). ამბობენ ირონიული, გადატანითი მნიშვნელობით, როცა გოგონა მეტისმეტად იპრანჭება.	حُطُّ أَحْمَرَ وَأَبْيَضَ
ლურჯი უბედურება. ღიღი უბედურება.	إِلْبَلَاوَهٗ الزَّرْقَهٗ
თეთრო დღევ (შავო დღევ). რა კარგი ამბავია!	يَا نَهَارَ / أَبْيَضَ أَسْوَدَ
თეთრო ღამევ (შავო ღამევ). რა ცუდი ამბავია!	يَا لَيْلَهٗ بِيضَاءَ / سُودَهٗ
შავად ჩამოვიდა მასზე. თავს დაესხა, შეუტია.	نَازَلَ عَلَيْهِ نَزْلَهٗ سُودَهٗ

**ლიტერატურა**

**საუი 1981:** L. A. el-Sawi, The Women Language Variations as A Reflection of the Female Position in the Egyptian Society, unpublished, AUC, Cairo.  
**ალ-სიბაი 1965:** Yūsuf al-Sibāī, as-saqā māt, კაირო.  
**ალ-აიდი 2003:** ‘Aḥmad al-‘āyidī, an təkūn ‘Abbās al-‘Abd, კაირო.  
**ალ-თონსი:** Bayiram al-Tonsī, as-Sayid wa mratu bi Bārīs, კაირო.  
**ალ-ჰაქიმი 1987:** Tawfiq al-Ḥakīm, ‘awadtu r-rūḥi, კაირო.  
**ევვიბაძე 2008:** ნ. ევვიბაძე, ევვიპტური არაბული, თბილისი.  
**ალამი 2000:** J. Allam, A Sociolinguistic Study on the Use of Color Terminology in Egyptian Colloquial and Classical Arabic: Diversity in Language, Cairo, N.Y.

## **Idiomatic Expressions in the Egyptian Arabic Dialect**

### Summary

The Egyptian dialect of Arabic is rich in idiomatic expressions giving this dialect some kind of special charm. They are well understandable for native Egyptian speakers and those who are well aware of the culture and behavior of Egyptians. This article includes the idiomatic expressions confirmed in the Egyptian Arabic enumerated in the alphabetical order. They are accompanied by word for word, literal translation and comments which explain their real meaning. Examples with some words frequently used in idiomatic expressions - such as eye (**'ayin**), blood (**dam**), cool (**bārid**) and adjectives of colors - are given in separate items.

ი ა ვ ა შ ა კ ი ე

**სამართაშორისო ტერიტორიისათვის სამცნიერო მნაში  
ილია ჭავჭავაძის მნობრივი კონცეფციის ფონზე**

უცხოენოვანი სიტყვებისადმი მეთოდოლოგიური მიდგომის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძესა და „მამათა“ თაობის წარმომადგენლებს შორის (სარდიონ ალექსიევი-მესხიევი, გიორგი ბარათოვი, ექვთიმე წერეთელი, რევაზ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძისა...) გამართული პოლემიკა; წინასწარვე ვიტყვით, რომ ამ დისკუსიამ ხელი შეუწყო ტერიტორიოლოგიური ბაზის შევსების პროცესში **სესხებისადმი** მართებული პოზიციის შემუშავებას.

დისკუსია დაიწყო ილიამდე; კერძოდ, ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო „ქართული სიტყვიერების განსჯისა და წარმატებისათვის“ შემოკრებილი საზოგადოებისათვის აქტუალური იყო უცხო სიტყვებისადმი დამოკიდებულების გარკვევა. ბევრი იწერებოდა „ზოგიერთი ევროპიული ლექსის“ სესხებაზე; გამოითქმებოდა სხვადასხვა მოსაზრება; მაგალითად: უცხო სიტყვების ზომიერ შემოტანას მხარს უჭერდნენ: დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი ყიფიანი, ივანე კერესელიძე, ფადეი ბობილევი და სხვები. მათი საერთო შეხედულება ძირითადად ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ენაში ისტორიული განვითარების შედეგად გაჩენილ „ახალ გამოთქმათა და ფრაზებსა“, თუმცა დაუშვებელია მათი „უსაჭიროდ“ შემოტანა სალიტერატურო ქართულში; ასევე, მიუღებელია წინაპართაგან „ნალგაწი და შემუშავებული“ ძველი სიტყვების ათვალწუნება (ბაქრაძე 1860:331-332).

ალექსანდრე ორბელიანის წერილში ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ ივანე კერესელიძისადმი იგრძნობა ერთგვარი მერყეობა, თუ რა გზა აირჩიოს საზოგადოებამ უცხო სიტყვების შემოტანისას: პირდაპირ სესხება თუ თარგმნა? იქნებ ორივე გზა დასაშვებია? (ორბელიანი 1857:63).

უცხო სიტყვების შემოტანას სალიტერატურო ქართულში რადიკალურად ეწინააღმდეგება „იმერთ თავადი“ ირაკლი ლორთქიფანიძე, რომელიც ამ ფაქტს „წაბაძვის“ ან ძველი სიტყვების დავიწყების შედეგად თვლის და ამიტომ მოუწოდებს საზოგადოებას: „უმჯობეს არს გავიხსენოთ დავიწყებულნი სიტყუანი და სასმენელნი ჩუწნნი შევაჩუოთ მათ, ვირელა სრულიად დავივიწყოთ მოფარულნი ჩუწნგან და ნაცულად მათსა შევიწყნაროთ უცხო... ნაცულად **სალიტერატუროსა** ვჰსთქუათ **მეტყუწლებისა**, ხოლო ნაცულად **ჟურნალისა ოქმი**, **სიგელი** ანუ **მატიანე**... ნაცულად **რედაქტორისა** ვიხმაროთ დიდის ხნიდამ ცნობილი ჩუწნდა **მესტანბე** ანუ **აღმბეჭდველი**, ნაცულად **პოეზიისა მოშაირობა** და **მოლექსეობა**, ნაცულად **პროზისა წართქმა** ანუ **წარმოთქმით წერა**, **კრავატი** შავსცუალოდ

ცხედრად ანუ სარეცელად, კრესლო სავარძელად და ესრეთ შემდგომნი“ (ლორთქიფანიძე 1857:45).

მოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით ჩანს შემდეგი:

1. წერილის ავტორი, რომელიც საზოგადოების გარკვეული ნაწილის პოზიციას გამოხატავს, ვერ აცნობიერებს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ, მეცნიერებისა და კულტურის ცნებების ამსახველ ტერმინთა სესხების აუცილებლობას;

2. საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არ არის ნათელი სალიტერატურო ქართულში მოზღვაკებული უცხოენოვანი ლექსიკური ნაკადის არაერთგვაროვნება: წერილის ავტორი ერთ ჭრილში განიხილავს საერთაშორისო (**პროზა, პოეზია...**) და საკუთრივ რუსულ (**კრავატი, კრესლო...**) სიტყვებს.

„მამათა თაობისგან“ ანალოგიური შენიშვნა მიიღო ილია ჭავჭავაძემაც; კერძოდ, ილიას ბრალად დასდეს ქართული „მშვენიერსიტყვაობის“ დამდაბლება ისეთი უცხო „ლექსების“ შემოტანით, როგორცაა: „ფორმა“, „სიუჟეტი“ (ალექსიე-მესხიევი 1861), „ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი...“, სხვებს კი დასცინოდა „ზაღარის, ოსტროვებისა და ლინიების...“ გამო (ჯორჯაძე 1861:40-41).

აღნიშნული შენიშვნის პასუხად, ილია ჭავჭავაძე მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან „საჭირო“ და „არასაჭირო“ უცხო სიტყვებს, თანამედროვე ტერმინოლოგიით – **ნასესხობებსა და ბარბარიზმებს**, რომელთა მიმართაც განსხვავებულია საზოგადოებრივი მიდგომა: „მე ოსტროვები, ლინიები და სხვა გარმიანული სიტყვები... ამისთვის დავძრახე, რომ მაგის **თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში** და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია, ვერ იპოვიან თავიანთ მნიშვნელობის სიტყვებს... თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოლიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება, ის ცრუობს, – რომელიცა ძრახავს მაგვარ სიტყვების შემოტანას ენაში“ (ჭავჭავაძე 1986:49).

ილია ჭავჭავაძე მართებულად თვლის, რომ ენაში ახალი სიტყვების დამკვიდრება არის ისტორიული აუცილებლობის შედეგი: „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე.ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება“ (ჭავჭავაძე 1953:72); „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებით ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს“ (ჭავჭავაძე 1957:70), ოღონდ, ენის სიწმინდის დასაცავად, სესხება უნდა მოხდეს ქართულში არსებული ტრადიციული ლექსიკური მონაცემების, „**თანასწორი მნიშვნელობის**“ მქონე სიტყვათა გათვალისწინებით. სწორედ ამით აიხსნება ილია ჭავჭავაძის დაინტერესება, ერთი მხრივ, ძველ ხელნაწერებსა და სიგელ-გუჯრებში გაბნეული ქართული სამეცნიერო ტერმინების მოძიებითა და, მეორე მხრივ, ხალხის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვებით (ვაშაკიძე 1991:98-100; ვაშაკიძე 2009).

ილია ჭავჭავაძის მართებული პოზიცია საერთაშორისო სიტყვებისადმი კიდევ უფრო ნათელი ხდება სიტყვა „კრიტიკის“ შესახებ მსჯელობისას:

**„კრიტიკა** – ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზე და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელს კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“ (ჭავჭავაძე 1986:31).

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა უაღრესად საყურადღებოა როგორც სალიტერატურო ენის საერთაშორისო სიტყვებთან მიმართების, ისე ტერმინოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების – **სესხების** გააქტიურების თვალსაზრისით, რაც პრინციპულ საკითხად რჩება სამეცნიერო ენის ისტორიის ყველა ეტაპზე.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა სისტემა **ლოგიკური გაგრძელებაა** სამწერლობო ქართულის ისტორიაში დამკვიდრებული ენათმეცნიერული ტრადიციისა, რომელიც, ძირითადად, X-XII საუკუნეების ქართველ მეცნიერ-ლექსიკოგრაფთა (იოანე და ექვთიმე ათონელების, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის...) მოღვაწეობის დროს ყალიბდება.

თუ შევუბრისპირებთ ერთმანეთს, ერთი მხრივ, ძველ ქართველ მწიგნობართა და, მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის პერიოდებს, უდავოდ შევნიშნავთ განსხვავებას. მიუთითებთ რამდენიმეს:

1. XI-XII საუკუნეებში, საქართველოს პოლიტიკური ზეობიდან გამომდინარე, არსებობდა **რეალური საფუძველი ეროვნული ტერმინოლოგიის** შექმნისათვის, სამეცნიერო ენა განუწყვეტლივ იხვეწებოდა; XIX საუკუნისათვის რუსეთისაგან დაპყრობილ, დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში, როცა გამარუსებელი პოლიტიკა საგანმანათლებლო მუშაობას სავესებით გამორიცხავდა (ბერიძე 1952:30; ვაშაკიძე 1991:32-40), ასეთი **რეალური საფუძველი აღარ არსებობდა**, კავშირი ტერმინოლოგიური მუშაობის მდიდარ ტრადიციებთან გაწყვეტილი იყო;

2. ძველ ქართველ მწიგნობართა „მთავარი მიზანი იყო ქართული ტერმინოლოგიის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ქართული ძირეული და აფიქსური მასალის გამოყენებით, **სესხების თავიდან აცილებით**“ (მელიქიშვილი 1988:147); XIX საუკუნის სამეცნიერო ენაში **ფართოდ გაეხსნა გზა ნასესხობებს**;

3. XI-XII საუკუნეების მეცნიერ-ლექსიკოგრაფები **ინტენსიური მუშაობითა** და „ქართული ენის მდიდარი სიტყვაწარმოებითი პოტენციის ძალდაუტანებელი გამოყენებით“ ქმნიდნენ „მწყობრ სისტემას მეცნიერული ტერმინოლოგიისა“ (მელიქიშვილი 1988:158); ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ხანაში **ნაკლებად იყვნენ კვალიფიციური სპეციალისტები**, რომლებიც **სისტემატურად** იმუშავებდნენ ტერმინოლოგიის სფეროში;

4. ძველი ქართველი მწიგნობრები (რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ანტიკური ფილოსოფიის პირველწყაროებით), ბერძნულ დედანზე მუშაობდნენ **უშუალოდ, დამატებითი ენობრივი გავლენისაგან დამოუკიდებლად**; XIX საუკუნის ქართული სამეცნიერო ენა კი ძირითადად ვითარდებოდა **რუსული ენის გავლენით**. ყოველგვარი ტერმინოლოგიური სიახლე ქართულში ინერგებოდა **რუსულიდან ან რუსულის შუალობით**, რამაც შესაბამისი ასახვა პოვა, ერთი მხრივ, საერთაშორისო ტერმინთა დაწერილობასა და წარმოთქმაში, მეორე მხრივ, რუსულენოვანი ბარბარიზმების მოძალეებაში (ვაშაკიძე 1991:59-61);

5. ძველი ქართველი მწიგნობრები **უმაღლეს საგანმანათლებლო ცენტრებში** (ათონის, შავი მთის, პეტრიწონის ლიტერატურული სკოლები, გელათის აკადემია...) **მეთოდურად მუშაობდნენ** სამეცნიერო ენასა და ფუნქციურ სტილზე (ამას მოწმობს: ექვთიმე ათონელის „კლება-შემატების“ მეთოდი, გიორგი მთაწმინდელის ზუსტი თარგმანის თეორია, ევრემ მცირის, იოანე პეტრიწის ორიგინალური სისტემური შეხედულებები და სხვ. – კეკელიძე 1980:61; დანელია 1983:250, 365; მელიქიშვილი 1983:156-160); XIX საუკუნის II ნახევარში კი, **უნივერსიტეტებისა და აკადემიების არარსებობის გამო**, ცალკეულ პიროვნებებს ან გარკვეულ ჯგუფებს **ქაოსურად, ერთმანეთისაგან მოწყვეტით** უნდა ჩამოეყალიბებინათ ლოგიკურად სწორი მეცნიერული პოზიცია.

ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის, როგორც ტერმინოლოგის, ხედავ და ენობრივი ალღო. მან თავის კონცეფციაში ერთგვარად შეაჯამა და განაზოგადა XIX საუკუნის 50-იანი და მომდევნო წლების საზოგადოების მოწინავე თეორიული შეხედულებანი და **სწორი მიმართულება** მისცა აღნიშნული პერიოდის ტერმინოლოგიურ მუშაობას. ეს გამოვლინდა საერთაშორისო სიტყვების როგორც **სრული**, ისე **ნაწილობრივი სესხების**<sup>1</sup> საკითხშიც. ყურადღებას ვამახვილებთ **ორ** მომენტზე:

I. ძველმა ქართველმა მწიგნობრებმა თავიდანვე შეიმუშავეს უცხო სიტყვების სალიტერატურო ენაში შემოტანისა და დამკვიდრების მექანიზმი, რომელიც, პირობითად, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: **უცხო ტერმინი გამოყენებისთანავე უნდა აიხსნას, ან წარმოდგენილ იქნეს ქართულ შესატყვისთან ერთად სინონიმურ წყვილში**; შდრ., რამდენიმე მაგალითი იოანე პეტრიწის შრომიდან:

„სუმპერაზმაჲ, რომელ არს თანგასავალი“; „სქიმაჲცა დავდვა, რომელ არს ნაკვეთი“; „პროვლიმაჲ ანუ წინჩამოსავდებელი სიტყუაჲ“; „კატასკევი, ანუ დაკაზმვაჲ“... (მელიქიშვილი 1975:206).

<sup>1</sup> **ნაწილობრივი სესხებით** აღვნიშნავთ ისეთ შემთხვევებს, როცა ტერმინი ნაწარმოებია უცხო სიტყვის ფუძეზე ქართული დერევაციული აფიქსის დართვით (შდრ.: ფონჩუა 1974:369-370). ეს ნაცადი ხერხია ძველ ქართველ მწიგნობართა ტერმინოლოგიურ მუშაობაში (მელიქიშვილი 1988). ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებსა და, შესაბამისად, იმდროინდელი პრესის ენაშიც დასტურდება უცხო ტერმინის ფუძისა და ქართული აფიქსის (//აფიქსების) კომბინაციით მიღებული არაერთი მაგალითი (ვაშაკიძე 2005:44-45). ამჯერად მხოლოდ **სრული სესხების** მაგალითებით შემოვიფარგლებით.



ანალოგიურია ილია ჭავჭავაძის მიდგომაც ნასესხები ტერმინებისადმი, რომელთაც დიდი რაოდენობით იყენებს თავის პუბლიცისტურ წერილებში; კერძოდ:

### 1. კონტექსტშივე ხსნის, განმარტავს უცხო ტერმინს:

„ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვილებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი“ (ჭავჭავაძე 1956:108).

„ლორდებმა კი, ... ესე იგი სხვილმა მებატონეთა, ზედა პალატა ჩაიგდეს ხელში მემკვიდრეობით და არა არჩევანით“ (ჭავჭავაძე 1957-ა:16).

„აქ აღვირის მიშვება და სადავეს მიგდება კარის გაღებაა იმ ერთგვარ უწმინდურებისათვის, რომელსაც „შანტაჟს“ ეძახიან“ (ჭავჭავაძე 1957-ა:272).

„აი, აქ როგორი სიტყვის მოწყობილობაა, ანუ კონსტრუქცია“ (ჭავჭავაძე 1953:19).

„დიქცია, სიტყვის მკაფიოდ გამოთქმა, ბ-ნი საფაროვისა შეუდარებელია“ (ჭავჭავაძე 1953:113).

„საფრანგეთის კანონები წყლის ჩამატებასაც კი ღვინოში ფალსიფიკაციას ეძახიან, ესე იგი ყალბის ღვინის კეთებასა“ (ჭავჭავაძე 1956-ა:86).

„საბაიზმი... ჰქვიან მნათობთა თავყვანისცემას და განსაკუთრებით უფრო ვარსკვლავებისას და ცდომილებისას“ (ჭავჭავაძე 1955:08)...

XIX საუკუნის II ნახევრის პრესაში სხვა ავტორებთანაც დასტურდება მსგავსი მაგალითები:

„მიკროსკოპი მინაა, რომელიც იმდონათ გაადიდებს... თვალით დაუნახავ საგნებს... რომ ჩვენ შეგვიძლია იმათი დანახვა და გაშინჯვა“ („სასოფლო გაზეთი“ 1869, №22:7).

„სიფონია რკინის მილი, შუაში ძალიან გაღუნული, რომლითაც ამასხმენ ხოლმე წყალს ყოველნაირ ჭურჭელში“ („სასოფლო გაზეთი“ 1870, №4:5).

„ანალიზი არის ხიმიურ საქმეში გარჩევა... სხვა და სხვა ნივთებისა, რომლიდანაც არის შეზავებული გასარჩევი ნივთი“ („გუთნისდელა“ 1864, №15:92).

„მინერალის ნივთი იმასა ჰქვიან საზოგადოდ, რომელიც არის გამოსული მიწისაგან და არა ხისა, ბალახისა და ცხოველისაგან“ („გუთნისდელა“ 1864, №12:82).

2. უცხო სიტყვას წარმოადგენს ქართულში მკვიდრი ლექსიკური შესატყვისის პარალელურად, ფრჩხილებში ან სქოლიოში: ბაქანი (ტერასა) (ჭავჭავაძე 1956-ა:117); თავნი (კაპიტალი) (ჭავჭავაძე 1956-ა:32); ობლიგაცია (გირავნობის ფურცელი) (ჭავჭავაძე 1956-ა:364); სამეული (ტრიადა) (ჭავჭავაძე 1955:110); დრამის ამბავი, არაკი (ფაბულა) (ჭავჭავაძე 1953:186); ხმოვანი (ფონეტური) ანბანი (ჭავჭავაძე 1955:79); ასლი (კოპიო) (ჭავჭავაძე 1957:117-118)...

შდრ., სხვა ავტორების მასალა: მანუფაქტურა – ხელსაქმარობა („სასოფლო გაზეთი“ 1870. №13:4); სპეციალისტი – ხელქმითობით მცოდინარე („გუთნისდელა“ 1862, №2:27); კრისტალი – გაყინული სხეული („სასოფლო

გაზეთი“ 1870, №11:7); აკლიმატიზაცია – ჰავის შეჩვევა („გუთნისდედა“ 1878, №12:5)...

II. უცხო სიტყვათა სიჭარბის თავიდან ასაცილებლად, ძველმა ქართველმა მწიგნობრებმა მაქსიმალურად აამოქმედეს ქართული ენის ლექსიკური ფონდი და სიტყვაწარმოებითი საშუალებები; ანალოგიურად, ილია ჭავჭავაძე აქტიურად ცდილობს, ქართული ეკვივალენტებით შეანაცვლოს საერთაშორისო ტერმინები; კერძოდ:

1. ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან არჩევს უცხო ტერმინის ქართულ შესატყვისს; შდრ.: ანალიზი – ჭაშნიკი; ბუკეტი – სუნი; სისტემა/მეთოდი – ღონე, კრედიტი – სესხი, რენტა – ღალა (ჭავჭავაძე 1956-ა: 120, 192, 353)

2. ენის სიტყვაწარმოებითი საშუალებების გამოყენებით, კერძოდ, აფიქსაციისა თუ სიტყვათა შეკავშირების გზით ქმნის საერთაშორისო სიტყვატერმინის ქართულ ეკვივალენტს; შდრ.: მორგენი – საშაბათო, ბურჟუაზია – შუა წოდება (ჭავჭავაძე 1956:37, 123), პროტოქსიდი (carbonate) – შენარევი ტყვიისა; სუპერფოსფატი – მჟავე კირი; კრემორტარტარი – მარილები ტარტარისა; სპირტი/ალკოჰოლი – გადაწმენილი არაყი (ჭავჭავაძე 1956-ა:81, 90, 105, 136-137)...

აქვე აღვნიშნავთ, რომ პარალელურად წარმოდგენილი ქართული და უცხოური სიტყვების სემანტიკა ზოგჯერ სცილდება ერთმანეთს (ვაშაკიძე 2005: 18-19); ამ შემთხვევაში არსებითია ილიას მცდელობა, რომ უცხოენოვან მასალას ქართული მასალა გაუთანასწოროს.

ილიას თანამედროვე თუ გვიანდელ ავტორებთანაც ვხვდებით ანალოგიურ მაგალითებს; შდრ.:

ტერმინი **გაზის/ღაზის** პარალელურად დასტურდება **ჰაეროვანი** („გუთნისდედა“ 1862, №20:127-128), **ჰაერი/ჰაერგვარი** („სასოფლო გაზეთი“ 1870, №9: 4); ბერძნული ტერმინის – **ოქსიგენის** – პარალელურად სხვადასხვა დროს გამოიყენება: **მჟავის მშობი** („გუთნისდედა“ 1864, №7:50), **ჟანგმბადი** (პეტრიაშვილი 1895-ა, №10:4; 1895-ბ, №28:4), **მჟაგბადი** (ალხაზიშვილი 1914:78; კაკაბაძე 1914:419), **ჟანგმბადე // ჟანგმანი** (ალშიბაია 1914, 468); ტერმინი **ეპიდერმისის** ნაცვლად – **ფერფლი** („კვალი“ 1893, №30:15) და სხვ.

წარმოდგენილი მაგალითებიდან მხოლოდ **ოქსიგენის** შემთხვევაში დამკვიდრდა პირველი ქართველი მეცნიერ-ქიმიკოსის – ვასილ პეტრიაშვილის – მიერ შემუშავებული ტერმინი: **ჟანგბადი**.

მიუხედავად უცხოენოვანი მასალისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა, გარკვეულ შემთხვევებში, ვერც ილია ჭავჭავაძემ აარიდა თავი რუსული ენის გავლენას. შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება მაგალითები, როცა ილია თავის პუბლიცისტურ წერილებში რუსული წარმოთქმით იყენებს საერთაშორისო ტერმინს, ან ამ უკანასკნელის რანგში წარმოადგენს რუსულენოვან ლექსემას:

„მეცნიერებას ხელოვნებისას, რომელსაც **ესტეტიკას** ეძახიან, შენიშნული აქვს ზოგადი თვისებანი ხელოვნებისა“ (ჭავჭავაძე 1953:110).

„...ამისათვის ერთადერთი ღონეა **„ტამოუნა“**, ესე იგი, საბაჟო“ (ჭავჭავაძე 1956-ა:322).

„**ჩეტვერტი**, ორთაშუა რიცხვით რომ ვსთქვათ, ათი ფუთი მაინც გამოვა“ (ჭავჭავაძე 1956-ა:210)...

წარმოდგენილი მასალა მოწმობს, თუ რა სირთულეების წინაშე იდგა ტერმინოლოგიური მუშაობა XIX საუკუნის II ნახევარში და რა დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ სამეცნიერო ენა არ დაძვინდებოდა არასაჭირო გავლენებისაგან.

## **ლიტერატურა**

- ალექსიევ-მესხიევი 1861:** ს. ალექსიევ-მესხიევი, უსტარი ანტიკრიტიკული, „ცისკარი“, იენისი, ტფილისი.
- ალშობაია 1914:** ე. ალშობაია, ცოტა რამ ქიმიურ ტერმინებზე, „განათლება“, №6.
- ალხაზიშვილი 1914:** ილ. ალხაზიშვილი, პროფ. როსკო, ქიშია, თარგმანი ვ. რცხილაძის მიერ, გამოცემა მეორე, თბილისი, 1907, „განათლება“, №6.
- ბაქრაძე 1860:** გ. ბაქრაძე, წიგნი მიწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართული უბნობისა ანუ წერისა“, „ცისკარი“, №8.
- ბერიძე 1952:** ვუკ. ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის; „მეცნიერება და ტექნიკა“, №7.
- დანელია 1983:** კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი.
- ვაშაკიძე 1991:** ილია ჭავჭავაძე და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის პრობლემები (ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ფონზე); საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.
- ვაშაკიძე 2005:** ილია ჭავჭავაძე – ტერმინთმემოქმედი, თბილისი.
- ვაშაკიძე 2009:** ტერმინოლოგიური სიტყვაქმნადობის საკითხისათვის ქართულ სამწიგნობრო ენაში XIX საუკუნის II ნახევრის მასალების მიხედვით; პირველი ეროვნული სამეცნიერო სესია: ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, მიძღვნილი აკად. ქ. ლომთათიძის ხსოვნისადმი, 23-24 თებერვალი.
- კაკაბაძე 1914:** ვ. კაკაბაძე, წყალი და მისი გაწმენდის საშუალებანი, „განათლება“, №6.
- კეკელიძე 1980:** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი.
- ლორთქიფანიძე 1857:** ი. ლორთქიფანიძე, ჰსჯა; „ცისკარი“, ივლისი.
- მელიქიშვილი 1975:** დ. მელიქიშვილი, იონანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილისი.
- მელიქიშვილი 1983:** დ. მელიქიშვილი, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები; „მნათობი“, №1.
- ორბელიანი 1857:** ალ. ორბელიანი, წერილი რედაქტორთან, „ცისკარი“, №6.
- პეტრიაშვილი 1895-ა:** ვ. პეტრიაშვილი, სითბო და მისი სარგებლიანად მოხმარება მრეწველობასა და ოჯახში, „მეურნე“, №7-10.
- პეტრიაშვილი 1895-ბ:** ვ. პეტრიაშვილი, ლუი პასტერის დეკლარაციის შესახებ ღვინის დაყენებისა, „მეურნე“, №26-30.

- ფოჩხუა 1974*: ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.
- ყიფიანი 1882*: დ. ყიფიანი, ქართული გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შეილებისათვის, სანკტ-პეტერბურგი.
- ჭავჭავაძე 1953*: ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. III, თბილისი.
- ჭავჭავაძე 1955*: ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. IV, თბილისი.
- ჭავჭავაძე 1956*: ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბილისი.
- ჭავჭავაძე 1956-ა*: ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. VII, თბილისი.
- ჭავჭავაძე 1957*: ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. VIII, თბილისი.
- ჭავჭავაძე 1957-ა*: ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. IX, თბილისი.
- ჭავჭავაძე 1986*: ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბილისი.
- ჯორჯაძე 1861*: ბ. ჯორჯაძე, თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, „ცისკარი“, №5.

*დამოწმებული წყაროები*

- „გუთნისდედა“ 1862, №20.
- „გუთნისდედა“ 1864, №7, №12, №15.
- „გუთნისდედა“ 1878, №12.
- „ეკალი“ 1893, №30, 15.
- „სასოფლო გაზეთი“ 1869, №22.
- „სასოფლო გაზეთი“ 1870, №4, №9, №11, №13.
- „ცისკარი“ 1860, №6.

*Ia Vashakidze*

**On International Terminology in Scientific Language against the Background of the Linguistic Conception by Ilia Chavchavadze**

Summary

From the viewpoint of methodological approach to foreign words, the polemics between Ilia Chavchavadze and some representatives of the generation of "fathers" (Sardion Aleksiev-Meskhiev, Giorgi Baratov, Ekvtime Tsereteli, Revaz Eristavi, Barbare Jorjadze...) is especially significant. This debate made it possible to work out of the right position concerning borrowings in the process of replenishment of the terminological basis.

I. Chavchavadze continues the linguistic tradition established in literary Georgian.

1. He activates the method worked out by old Georgian scholars linked with the introduction and establishment of foreign terms in the language:

- explains a foreign term in the context (სიტყვის მოწყობილობა, i.e. კონსტრუქცია "word structure – construction") ;
- represents a foreign word in parallel with its Georgian counterpart (ტრიადა – სამეული "triad – a group of three");

2. In order to avoid the excess of foreign language material, I.Chavchavadze actively tries to find Georgian equivalents instead of international terms:

- selects a Georgian counterpart of a foreign term from the basic vocabulary of the language (რენტა – ღალა "rent – land tax");
- coins a Georgian equivalent of an international word-term by derivational devices, namely, affixation and word combination (ბურჟუაზია – შუა წოდება "bourgeoisie – the middle class).

I. Chavchavadze systematizes the progressive views of the 1850s and of subsequent years, and develops the correct direction for the formation of terminological basis.

მარინე ივანიშვილი

**მთომლორბიური ღაკვირჰვა: წაწალი**

„მინანიმც დამეყრებინ, წაწალი, შენის კელითა!“

ხალხური

„ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ ივემე – მოკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“

„ენგადი“, გრ. რობაქიძე

აკაკი შანიდის ერთ-ერთ ბრწყინვალე გამოკვლევას – „ქართული კილოები მთაში“ (შანიძე 1984) – ერთვის მთის კილოთა ლექსიკონი, სადაც წაწალი განმარტებულია შემდეგნაირად:

**წაწალი** ფშ. (რაზ.-ჭყ.) „ღობილი, ნადობი“. ქალი ეძახის ვაჟს წაწალს და ნამძობს, ვაჟიც ქალს – წაწალს და ნადობს (ვაჟა, „ივერია“, 1886, №35). **წაწალი** (ყ. 1102, 2) ღობილი? **წაწალი** კ. „საყვარელი“ (ბეს.).

**წაწლობა, მოწაწლეობა** ფშ. წაწლების ურთიერთობის წესი. ნ. წოლა-ღგომა.

**წოლა-ღგომა** ფშ. წაწლობა, პლატონური სიყვარული და ერთმანეთთან წოლა (ბაჩანა, „ივერია“, 1887 №207).

გრ. რობაქიძე ხევსურებს უწოდებს „უსაიდუმლოეს ტომს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიის ტომთა შორის. ხევსურები მეჩვენებოდნენ შორიდან მუდამ როგორც ცოცხალი დანაშთი ერთი უსახელო, ძველი, საუკუნეებში გადასული ხალხისა... გულის ფრიალით გზნებ ცოცხალს მძლეოსან მითოსს: წინაქვეყნიური დაქტროლავს და გველება აქ თავს..., ...უბრალო...ვით ლოცვა“ (რობაქიძე 1994).

ფშავ-ხევსურეთში გავრცელებულ წაწლობა-სწორფრობის უძველესი წესჩვეულების თემაზე შექმნილია ფოლკლორული და მხატვრული ლიტერატურის არაერთი ნიმუში, დაწერილია მრავალი გამოკვლევა, თუმცა ამ უნიკალური და რომანტიკული ტრადიციის წარმოშობისა და საზოგადოებრივი ფუნქციის საკითხი კვლავაც იღუმალებით არის მოცული (ვაჟა-ფშაველა 1964; მაკალათია 1984; ბალიაური 1991; კიკნაძე 1994; თუთი 1998 და სხვ.).

ტრადიცია მოიცავს და ინახავს ყველაფერს, რაც წარსულში მნიშვნელოვანი იყო. ტრადიციაში დაცულია კოლექტიური მეხსიერება, აზროვნებისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპები, ხატები და სახეები, რომელშიც „ცხოვრობდა“ კოლექტიური ხსოვნა, როგორადაც ის წარსულში განიცდებოდა (ხიდაშელი 2005). მათი აღდგენისა და ფუნქციის განსაზღვრისათვის აუცილებელია ენობრივი მონაცემების მოხმობა და პირიქით, სიტყვა-ფორმებისა და მათთან დაკავშირებული სემანტიკის რეკონსტრუქციის დროს – კულტურული მოდელის გათვალისწინება. ამგვარ მიდგომას *კულტურის ლინგვისტურ პალეონტოლოგიას* უწოდებენ.

ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000) მოცემულია აღდგენილი საერთო-ქართველური \***წაწი**- ძირი, ქართ. **წაწ- წაწ-აღ-**ი; ლაზ. **ჭოჭ- ჭოჭ-ოლ-**ი „გოგო, ბიჭი; დედალი (ვარია); მამალი (ყვინჩილა)“; სვან. **ჭაჭ- ლი-ჭნჭ-ი/ჭნჭ-ილ-არ** „წაწლობა“ – შესატყვისობის საფუძველზე.

ქართულ **წაწ-** (<\***წაწი**-) ძირს შეესატყვისება სვანური **ჭაჭ-** და ლაზური **ჭოჭ-**.

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა ქ. თუითმა (თუითი 1998), ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1999).

ქვეინ თუითის მოსაზრებას საფუძვლად უდევს სვანური ჩვეულების *ჭაჭილარის* ან *ლიჭაჭის* დაკავშირება ეტიმოლოგიურად და სემანტიკურად მსგავს *წაწლობის*, *სწორფრობის* ხევსურულ ტრადიციასთან. რ. ხარაძისა და ვ. ბარდაველიძის მიერ აღწერილი ჭაჭილარის რიტუალი (სრულდება ქორწილში ან ლასკარის (ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანება) სადღესასწაულო სუფრის დროს, შესაძლოა სხვა დიდ დღეობებზეც) მთავრდება ქალ-ვაჟთა წყვილების კოცნით (ხარაძე 1939; ბარდაველიძე 1957).

ჩვენ ვიზიარებთ ქ. თუითის საერთო-ქართველური \***წაწი**-, \***წაწი**-აღ-ფუძის სემანტიკურ რეკონსტრუქციას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ძირი უნდა აღნიშნავდეს სქესთა შორის თანასწორ ურთიერთობას ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფის ფარგლებში (დაუემატებდით, ჩაკეტილი სოციუმის ფარგლებში, ხევსურებიც და სვანებიც – მთაში ცხოვრობენ) და, რომ რელევანტური სემანტიკური დიფერენციალური ნიშნებია: 1. ქალსა და კაცს შორის ურთიერთობა; 2. თანასწორობა და 3. საერთო სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება, რასაც ადასტურებს ფშავ-ხევსურული და სვანური ეთნოგრაფიული მასალა *წაწლობისა* და *ჭაჭილარის* სემანტიკის შესახებ, თუმცა მათ შორის არის განსხვავებებიც: *ჭაჭილარი* – ხანმოკლე რიტუალია, სრულდება ქორწილში და ლასკარის სადღესასწაულო სუფრის დროს და შეიძლება გამოხატავდეს თანასწორობას არა ინდივიდებს, არამედ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. *წაწლობა-სწორფრობა* კი ქალ-ვაჟთა შორის თანასწორი, ხანგრძლივი ურთიერთობაა. თუ სვანეთში ქორწილის რიტუალი *ჭაჭილარით* მთავრდება, ფშავ-ხევსურეთში *წაწლობის* სიყვარული, კოცნა-ხვევნა და მეგობრობა ქორწინებით არ გვირგვინდებოდა და ხშირად წაწალთა თავის მოკვლითაც კი სრულდებოდა ხოლმე (თუითი 1998).

ქართველურ ტომებში *წაწლობის* ინსტიტუტის შესახებ ალბათ მომავალშიც გაგრძელდება კვლევა, ამჯერად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ საკვლევ ძირთა მეგრულ შესატყვისზე.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საერთო-ქართველურ \***წაწი** -: ქართ. **წაწ-** და სვან. **ჭაჭ-** შესატყვისობას ზ. სარჯველაძემ დაუკავშირა ლაზური **ჭოჭ-ჭოჭ-ოლ-**ი ძირი, „გოგო, ბიჭი; დედალი (ვარია), მამალი (ყვინჩილა)“ მნიშვნელობით (სარჯველაძე 1999).

ვნახოთ, იძებნება თუ არა მსგავსი ფონოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურის ძირები მეგრულ ტექსტებსა და ლექსიკონებში.

ი. ყიფშიძისთან დასახელებულია ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო ფუძე:

**ჭუჭუა** целовать (говориться о маленьких предметах), стр. 3. IV-я пор. н. **ვაჭუჭუექ** целую, аор. **ქევაჭუჭი**, пр. с. **მიჭუჭუ**, ср. **ჯულა**. ჯულაჯუნ: ჯულა S, ჯუნა MZ целовать...(ყიფშიძე 1994).

ამავე ფუძეს მივაგენით ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონშიც“ (ქაჯაია 2002):

**ჭუჭუა** (ჭუჭუას) სახელი **აჭუჭუენ(ნ)** ზმნისა – კოცნა (ი. ყიფშიძე 1914).

*შიო, ჩიტო! გოფურინი, ქემუელი თენა თის, დიო ხესგ ქემეჩი დო უკული ქაჭუჭი (ქაჯაიანი) პის.* ი. ყიფშიძე 1914, გვ. 0113 – აქმა, ჩიტო! გაფრინდი, მიუტანე ეს მას, ჯერ ხელში მიეცი და შემდეგ აკოცე პირზე.

*ნანაია, ნანა-სქუა, მორთ, ქუმაჭუჭი!* ი. ყიფშიძე 1914, გვ. 136 – ნანა, ნანა – შვილო, მოდი, მაკოცე! *ანწი ვიიკურცხნე დო ქუმაჭუჭი!* შ. ბერ., გვ. 158 – აწი გაიღვიძე და მაკოცე!

**აჭუჭუენ(ნ)** (ქაჭუჭუ აკოცა, ქოუჭუჭინუ უკოცნია, ქონოჭუჭუენ(ნ) აკოცებდა თურმე) გრძმ. აკოცებს.

**ჭუჭ**- ძირი (ალბათ მოფერების სემით) ვლინდება აგრეთვე დერივაციულ ფუძეში **ჭუჭ-ულ-ი**, **ჭუჭულია** (**ჭუჭულ/რს**, **ჭუჭულიას**) იგივეა, რაც **წიწილა**, ზოლოლ., მოფერ. წიწილა. შდრ. საბა: ბატთა, იხუთა და მისთანათა მართვეს ჭუჭული ეწოდება; ლაზ. **ჭუჭული** წიწილა (ნ. მარი); გურ. **ჭუჭული** წიწილა ქათმისა (ი. ჭყ., ს. ჟღ., ა. ლლ.)(ქაჯაია 2002). შდრ. აგრეთვე მეგრულში ქალის სახელი – **ჭუჭუ**, გვარი – **ჭოჭუა**.

ჩვენ ვფიქრობთ, საერთო-ქართველურ **\*წაწ-** „წაწლობა“: ქართული **წაწ-**: ლაზური **ჭოჭ-**: სვანური **ჭაჭ-** შესატყვისობას უნდა დავეუკავშიროთ მეგრული **ჭუჭ-** „კოცნა“, **ჭუჭ-ულ-ი** „წიწილა“ მნიშვნელობის ძირი, რომელიც სემანტიკურად გაცილებით უფრო ახლოა **წაწლობის** უძველესი და პოეტური წეს-ჩვეულების შინაარსთან, ვიდრე წარმოდგენილი ლაზური შესატყვისი.

რაც შეეხება ბგერათშესატყვისობას: ქართ. **წ**: მეგრ. და ლაზ. **ჭ**: სვან. **ჭ** ქართველურ ენათა სიბილანტების კანონზომიერი შესატყვისობაა, ხოლო ქართული **წაწ-**: მეგრ. **ჭუჭ-** <**ჭოჭ-** ო>უ გადასვლის შედეგად, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო მომდევნო უ-ს (ტ. გულავას წესის მიხედვით)(გულავა 1960).

### ლიტერატურა

**ბალიაური 1991**: ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.  
**ბარდაველიძე 1957**: Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, „მეცნიერება“, თბილისი.  
**გულავა 1960**: ტ. გულავა, ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXV, 1, თბილისი.



- ვაჟა-ფშაველა 1964:** ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- თუთი 1998:** ქ. თუთი, წაწლობის ეტიმოლოგიისა და უძველესი საზოგადოებრივი მნიშვნელობისათვის, ქართული ენის კათედრის შრომები, 4, სპუ, თბილისი.
- კიკნაძე 1994:** ზ. კიკნაძე, შერისხულნი, ტ. III, გრ. რობაქიძის „ენგადი“, მინაწერი, „გეა“ ფირმა „იმერეთი“, თბილისი.
- მაკალათია 1984:** ს. მაკალათია, ხევსურეთი, „ნაკადული“, თბილისი.
- რობაქიძე, 1994:** გრ. რობაქიძე, ენგადი, შერისხულნი, ტ. III, გრ. რობაქიძის „ენგადი“, „გეა“ ფირმა „იმერეთი“, თბილისი.
- სარჯველაძე 1999:** ზ. სარჯველაძე, ეტიმოლოგიური დაკვირვებები, ენათმეცნიერების საკითხები, 3, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000:** პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სპუ, თბილისი.
- ქაჯაია 2002:** ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, „ნეკერი“, თბილისი.
- ყიფშიძე 1994:** ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- შანიძე 1984:** აკ. შანიძე, თხზულებანი, I, ქართული კილოები მთაში, „მეცნიერება“, თბილისი.
- ზარაძე 1939:** რ. ზარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, „მეცნიერება“, თბ.
- ზიდაშელი 2005:** მ. ზიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, „მემატიანე“, თბილისი.

Marine Ivanishvili

### Etymological Observation: წაწალი

#### Summary

On the basis of the correspondence of Georgian **c'ac'-al-i** : Laz **č'oč'-ol-i** "girl, boy; chicken (pullet); cock (young cockerel)" : Svan **č'ač'- li-č'ā č'-i/č'āč'-il-ar** "*tsatsloba*, love between a boy and a girl who are forbidden to marry each other", the root \***c'jac'₁-** has been reconstructed on the common-Kartvelian level. The Georgian and Svan materials were compared by K. Tuite, whereas the Laz equivalent was identified by Z. Sarjveladze (Fähnrich, Sarjveladze 2000). The Megrelian root **č'uč'-** denoting "to kiss", **c'uc'-ul-i** "chicken", "duckling", which is semantically closer to the meaning of the ancient poetic custom of *tsatsloba* than its corresponding Laz counterpart, should be related to the above-mentioned correspondence. Thus, \***c'jac'₁-** Georgian **c'ac'- c'a c'-al-i** : Megrelian **č'uč'-** "to kiss", "chicken", "duckling" " : Laz **č'oč'- č'oč'-ol-i** "girl, boy; chicken (pullet); cock (young cockerel)" : Svan **č'ač'- li-č'ā č'-i/č'ā č'-il-ar** "*tsatsloba*".

კლავდიმერ ლეკიაშვილი

**არარამალურ ანტიცემენტიანი პირობითი  
გამონათქვამების სემანტიკა**

პირობითი გამონათქვამების, რომელთა ანტიცემენტი არარსებულ ფაქტს აღნიშნავს („ჩემთვის რომ დაგვეჯერებინა, ეს არ მოხდებოდა“, „წახელ რომ ეწვიმა, ამ დღით ქუჩა ატალახებული იქნებოდა“ და ა.შ.), სემანტიკა, ერთი შეხედვით, ფილოსოფიის საკითხი უფროა, ვიდრე ლინგვისტიკის, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებულ კაუზაციის კვლევის ტენდენციებს (Collins 2004:1-59), ხსენებული გამონათქვამების ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენა და ინტუიციური მნიშვნელობის მეტ-ნაკლები ფორმალიზება ფილოსოფიური ანალიზის ფარგლებში პრინციპულად ვერ მოხერხდება. ნებისმიერი ცნების სემანტიკა კულტურული ფენომენია და არა სქოლართა ჰიპოსტაზირებული რეფლექსიები. ცნების სემანტიკის ანალიზისას ინტუიცია ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია, უმთავრესი კი აქ ისაა, თუ რა გარემოში ყალიბდება ეს ინტუიცია: თუ ის ეფუძნება შესაბამისი ენის სრულ კულტურულ ტრადიციას, მაშინ საკამათოც არაფერია, მაგრამ, თუკი ფილოსოფიური (არსებითად კი ენობრივი) ცნების ფორმალიზება ეყრდნობა გარკვეული სამეცნიერო სკოლის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ინტუიციას, მისი შეფასება ესთეტიკის საკითხი უფროა, ვიდრე მეცნიერების. ამდენად, ცნების ინტუიციური ანალიზი და მეტ-ნაკლები ფორმალიზაცია გამართლებულია მხოლოდ ტრივიალურ ენობრივ კონტექსტში – რთულ ან ხელოვნურად გართულებულ კონტექსტებში იმავე ცნების ანალიზისას ინტუიციური მოსაზრებების სრული იგნორირებით (და ამით გადაიჭრება აბსურდული კონტრმაგალითების პრობლემაც).

ფილოსოფიაში კონტერფაქტუალების ჭეშმარიტება-მცდარობის განსაზღვრის საგულისხმო მცდელობას ვხვდებით ლუისისეულ კაუზაციის „კონტერფაქტუალურ“ ანალიზში (Lewis 1973), სადაც მოვლენათა შორის კაუზალური კავშირი დგინდება მათ შორის კონტერფაქტუალური მიმართების დადასტურების შემთხვევაში (A არის B-ს მიზეზი, თუ ჭეშმარიტია კონტერფაქტუალური გამონათქვამი, „A რომ არ მომხდარიყო, არ მოხდებოდა არც B“), ხოლო შესაბამისი კონტერფაქტუალების ჭეშმარიტება ირკვევა პოტენციურ სამყაროთა სემანტიკის საფუძველზე: გამონათქვამი „A რომ მომხდარიყო, მოხდებოდა B“ რეალურ სამყაროში ჭეშმარიტია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე ვირტუალური სამყარო, რომელშიც ჭეშმარიტია A&B, უფრო მსგავსია რეალური სამყაროსი, ვიდრე რომელიმე სამყარო, რომელშიც ჭეშმარიტია A&~B. ეს სხვა არაფერია, თუ არა კონტერფაქტუალური გამონათქვამის ინტუიციური ანალიზის ყველაზე დამაჯერებელი მოდელირება. რაც შეეხება მოვლენათა კაუზალური და კონტერფაქტუალური მიმართებების ეკვივალენტობას, აქაც თითქოს საკამათო არაფერი უნდა იყოს – თუ A არის B-ს მიზეზი, მაშინ მოცემულ კონტექსტში

ის რელევანტური უნდა ყოფილიყო B-ს არსებობისთვის. უფრო ზუსტად, კონკრეტულ გარემოში A უნდა ყოფილიყო აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ მომხდარიყო B. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ ეს დაშვება იქცა კაუზაციის მკვლევართა კრიტიკის მთავარ სამიზნედ. ვფიქრობთ, თამამად შეიძლება მათი კონტრმაგალითების სრული უგულებელყოფა იმ უბრალო მიზეზით, რომ უგნურება იქნებოდა ინტუიციურად სავსებით დამაჯერებელი დაშვების ეჭვქვეშ დაყენება საგანგებოდ გართულებულ კონტექსტში ამ დაშვების საფუძველზე აგებული ანალიზის შედეგების ინტუიციური არადამაჯერებლობის გამო. ამავე დროს, გვერდს ვერ ავუვლით, ერთი მხრივ, კაუზალური გამონათქვამებისა და შესაბამისი კონტერფაქტუალების ეკვივალენტობის, მეორე მხრივ კი, კონტერფაქტუალის ჭეშმარიტების დადგენის ლუისისეული მეთოდის ფორმალური უარყოფის მცდელობებს. კონვეის „ლაიფგეიმის“ მცირე მოდიფიკაციით მოდლინი (Maudlin 2004:419-444) აგებს ლოგიკურ მოდელებს, სადაც კონტერფაქტუალის ჭეშმარიტული მნიშვნელობა, მისივე აზრით, ცალსახად არ განსაზღვრავს შესაბამისი კაუზალური გამონათქვამის ჭეშმარიტულ მნიშვნელობას. ეს წარმოსახვითი სამყარო შედგება სიბრტყეზე განლაგებული უჯრების ერთობლიობისგან, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ორი მდგომარეობა – თითოეული უჯრა შეიძლება იყოს ან დაკავებული (ვთქვათ, შავი), ან თავისუფალი (თეთრი). ამ სამყაროში მოქმედი წესები ყოველი უჯრისთვის მისი უშუალო გარემომცველი შავი და თეთრი უჯრების (რვა უჯრა) განაწილების საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, ყოველ მომდევნო მომენტში შავი იქნება ეს უჯრა, თუ – თეთრი. ერთი სიტყვით, წესები ყველა ცხრაუჯრიანი კომბინაციიდან (ასეთი სულ 512-ია – 2<sup>9</sup>) თითოეულისთვის განსაზღვრავს მომდევნო მომენტში ცენტრალური უჯრის მდგომარეობას. დავეუშვათ, არსებობს ისეთი ორი, მხოლოდ ერთი არაცენტრალური (ვთქვათ, a) უჯრის მდგომარეობით განსხვავებული A და B კომპლექსი, რომელიც, ტრანსფორმაციის წესების შესაბამისად, მომდევნო მომენტში გვამღევს C და D კომპლექსებს, სადაც ცენტრალური უჯრის მდგომარეობა ერთი და იგივეა (ვთქვათ, შავი). შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში იმ ერთი განსხვავებული უჯრის მდგომარეობა ჩაითვალოს მომდევნო მომენტისთვის ცენტრალური უჯრის მდგომარეობის მიზეზად? აშკარაა, რომ კონტერფაქტუალური ფრაზა „უჯრა a რომ არ ყოფილიყო თეთრი (ან შავი), მაშინ ცენტრალური უჯრა მომდევნო მომენტში არ იქნებოდა შავი“, მცდარია (და ამდენად კაუზალური მიმართება ამ ორ მოვლენას შორის, წესით, არ უნდა არსებობდეს), მაგრამ მოდლინის აზრით, შესაბამისი კაუზალური გამონათქვამის ჭეშმარიტება-მცდარობა საკამათოა და ის უკავშირდება მოქმედი წესების ფორმულირებას. თუ A-C და B-D ტრანსფორმაციები განისაზღვრება ერთი წესით, მაშინ a საერთოდ არ იქნება ნახსენები ასეთ წესში და ამოსავალი იქნება დანარჩენი რვა უჯრა. აქედან გამომდინარე, a-ს მდგომარეობა არანაირად არ იმოქმედებს მომდევნო მომენტში ცენტრალური უჯრის მდგომარეობაზე და კაუზაციასაც არ ექნება ადგილი. მაგრამ თუ ეს ორი ტრანსფორმაცია განისაზღვრება ორი სხვადასხვა წესით, რომელთაგან თითოეულის ანტიცედენტი მოი-

ცავს კომპლექსის ყველა უჯრის აღწერას (მათ შორის  $a$  უჯრისაც, რაც, თავისთავად, ჭარბი ინფორმაცია იქნებოდა), მაშინ  $a$  უჯრის ორივე მდგომარეობა (თეთრი და შავი) თითქოსდა იქნება მომდევნო მომენტში კომპლექსის ცენტრალური უჯრის მდგომარეობის განმსაზღვრელი და, შესაბამისად, მიზეზიც (ასეთ შემთხვევაში დაირღვეოდა კონტერფაქტუალური და კაუზალური მიმართებების ეკვივალენტობა). თუკი მოდლინის მსჯელობის ჩვენი პარაფრაზი არსებითად არ ამახინჯებს ორიგინალს, მაშინ მოცემულ ფაქტებს შორის კაუზალური კავშირი არათუ საკამათო, არამედ ერთმნიშვნელოვნად უარსაყოფია. უარეს შემთხვევაშიც კი, წესებს თუ ისე ჩამოვყალიბებდით, რომ შეიცავდნენ არარელევანტურ ინფორმაციას (კონკრეტულად,  $a$ -ს მდგომარეობის შესახებ), ასეთ მიდგომას გაამართლებდა მხოლოდ და მხოლოდ  $A$  და  $B$  კომპლექსების დაუნაწევრებელ ერთეულებად ინტერპრეტაცია და, შესაბამისად, მათი შემაღვენლების კაუზალური მიმართების ობიექტად განხილვა უბრალოდ უადგილო იქნებოდა.

სხვა საკითხია კონტერფაქტუალების ჭეშმარიტული მნიშვნელობის განსაზღვრის სტალნაკერ-ლუისის მეთოდი. ამ ანალიზის ინტუიციური დამაჯერებლობა (და ის გარემოება, რომ პრინციპულად ვერ მოხდება ამ მეთოდის ფორმალიზება) თითქოს გამორიცხავს მისი ლოგიკური უარყოფის შესაძლებლობას. მაგრამ ტული (Tooley 2002:192-197) აგებს წარმოსახვით მოდელს, სადაც თითქოსდა ვერ ხერხდება კონტერფაქტუალური გამონათქვამის ჭეშმარიტული მნიშვნელობის განსაზღვრა სტალნაკერ-ლუისის მეთოდით (საქმე ეხება რეტროკაუზაციის შემთხვევას). „...განვიხილოთ სამყარო, სადაც ძირითადი ინდივიდები არიან ლოკაციები და დროის მომენტები, და სადაც არსებობს მხოლოდ ორი თვისება –  $P$  და  $Q$ , რომლებიც შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ ლოკაციას მოცემულ დროს და მხოლოდ ორი კანონი, ერთი კაუზალური და ერთიც რეტროკაუზალური:

- თუ  $x$  ლოკაციას  $t$  მომენტში აქვს ორივე  $P$  და  $Q$  თვისება, მაშინ  $x+\Delta x$  ლოკაციას  $t+\Delta t$  მომენტში ექნება თვისება  $P$  და არ ექნება თვისება  $Q$ ;
- თუ  $x$  ლოკაციას  $t$  მომენტში აქვს ორივე  $P$  და  $Q$  თვისება, მაშინ  $x-\Delta x$  ლოკაციას  $t-\Delta t$  მომენტში ექნება თვისება  $P$  და არ ექნება თვისება  $Q$ .“ (Tooley 2002:194).

ამის შემდეგ იგება:

- რეალური  $W_0$  სამყარო, სადაც  $t$  მომენტში  $x$ -ს არ აქვს თვისება  $P$  და აქვს თვისება  $Q$  და  $t+\Delta t$  მომენტში  $x+\Delta x$  ლოკაციას არ აქვს თვისება  $P$  და აქვს თვისება  $Q$ ;
- $W_1$  სამყარო, სადაც  $t$  მომენტში  $x$ -ს აქვს თვისება  $P$  და  $Q$  და  $t+\Delta t$  მომენტში  $x+\Delta x$  ლოკაციას აქვს თვისება  $P$  და არ აქვს თვისება  $Q$ ;
- $W_2$  სამყარო, სადაც  $t$  მომენტში  $x$ -ს აქვს თვისება  $P$  და არ აქვს  $Q$  და  $t+\Delta t$  მომენტში  $x+\Delta x$  ლოკაციას აქვს თვისება  $P$  და  $Q$ .

შემდგომ ავტორი ადგენს ორ კონტერფაქტუალურ გამონათქვამს:

- $t$  მომენტში  $x$  ლოკაციას რომ ჰქონოდა თვისება  $P$ , მაშინ ლოკაციას  $x+\Delta x$   $t+\Delta t$  მომენტში არ ექნებოდა თვისება  $Q$ ;
- $t+\Delta t$  მომენტში  $x+\Delta x$  ლოკაციას რომ ჰქონოდა თვისება  $P$ , მაშინ ლოკაცია  $x$ -ს  $t$  მომენტში არ ექნებოდა თვისება  $Q$ .

მისი მტკიცებით ორივე ჭეშმარიტია  $W_0$  სამყაროში, სტალნაკერ-ლუისის მეთოდის თანახმად კი ან ერთი გამოდის ჭეშმარიტი, ან მეორე, მაგრამ არა – ორივე (ამ კონტერფაქტუალთა შესაბამისი პირობითი გამონათქვამებიდან  $W_1$  სამყაროში პირველი ჭეშმარიტია, მეორე – მცდარი,  $W_2$  სამყაროში მეორეა ჭეშმარიტი, პირველი – მცდარი და რეალური  $W_0$  სამყაროსთვის ამ ორიდან რომელი ვირტუალური სამყაროც არ უნდა იყოს უფრო ახლო, ბუნებრივია, ორივე გამონათქვამი  $W_0$  სამყაროში ერთდროულად ჭეშმარიტი ვერ იქნება. ამდენად, მეთოდი არასრულყოფილია). ნიშანდობლივია, რომ ლოკაციებისა და თვისებების ამ ორომტრიალის მიღმა ბანალური ლოგიკური წრე იმალება: ხსენებული ორი კონტერფაქტუალის ჭეშმარიტება  $W_0$  სამყაროში არაა დაშვება – მისი ჭეშმარიტება დგინდება ლუისის მეთოდის არასრულყოფილი გამოყენების გზით (კერძოდ, უგულვებელყოფილია  $W_0$  სამყაროსთან  $W_1$  და  $W_2$  სამყაროების შედარებითი სიახლოვის პრინციპი). იმავე მეთოდის სრული გამოყენებით მიღებული შედეგისა და პირველადი შედეგის შეუსაბამობა კი ნამდვილად ვერ ჩათვლება მეთოდის ნაკლად.

მართალია, მოყვანილი მაგალითები მხოლოდ იმის მინიშნებად თუ გამოდგება, თუ რატომ ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას ლუისის კაუზაციის კონტერფაქტუალური ანალიზის „კონცეპტუალური კრიტიკა“, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფილოსოფიური ტრადიცია უფრო დამაჯერებელს ვერაფერს გვთავაზობს: კონტერფაქტუალური გამონათქვამის ჭეშმარიტული მნიშვნელობის გასარკვევად ის ან უნდა გარდაიქმნას კაუზალურ გამონათქვამად და უკვე ამ უკანასკნელის შეფასება მოხდეს ინტუიციის საფუძველზე, ან გამოვიყენოთ ლუისის ვირტუალურ სამყაროთა მოდელი. შემამფოთებელი პერსპექტივაა: ორივე შემთხვევაში შეფასების საფუძველი ინტუიცია იქნება. ამის თავიდან აცილება პრინციპულად შეუძლებელია, მაგრამ ანალიზის მეთოდი ინტუიციურად რთული და ორანზროვანი გამონათქვამების გამარტივების ისეთ ფორმალურ გზას მაინც უნდა გვთავაზობდეს, რომლის შედეგად მიღებული ობიექტიც ინტუიციურად ადვილი გადასაწყვეტი იქნებოდა. პოტენციურ სამყაროთა მეთოდი საქმეს აშკარად ართულებს: რომ დადგინდეს გამონათქვამის „ა რომ არ მომხდარიყო, არ მოხდებოდა არც ბ“ (იგულისხმება, რომ რეალურად ა-ც მოხდა და ბ-ც) ჭეშმარიტება-მცდარობა, ამ მეთოდის თანახმად, უნდა ავსავთ ვირტუალური სამყარო, რომელშიც არ მოხდებოდა ა, სხვა მხრივ კი რეალური სამყაროს ანალოგიური იქნებოდა. შემდეგ კი სხვადასხვა კანონების მოშველიებით შევუდგეთ მოვლენათა განვითარების რეკონსტრუქციას და იმის „გარკვევას“, მოხდებოდა თუ არა ბ ამ ვირტუალურ სამყაროში. ერთი სიტყვით, მოცემული კონტერფაქტუალური (დავუშვათ, ინტუიციურად რთულად შესაფასებელი) გამონათქვამის გასაანალიზებლად მეთოდი გულისხმობს მთელი სამყაროს კონსტრუირებას – ცხადია, ინტუიციის საფუძველზე. სამყაროს ან თუნდაც მისი ნაწილის „ფორმალიზება“ აბსურდული საფასური იქნებოდა ერთი გამონათქვამის ჭეშმარიტების დადგენისთვის. ბანალური ფაქტია, რომ ნებისმიერი ენობრივი გამონათქვამის, მათ შორის კონტერფაქტუალულების ჭეშმარიტება კონტექსტის გათვალისწინებით დგინდება და მსჯელობა

ფაქტობრივად ეხება არა მათ ჭეშმარიტება-მცდარობას, არამედ მოცემულ კონტექსტში მათი გამოყენების მართებულობას. ამ კრიტერიუმის საფუძველი ანალოგიაა. ვირტუალურ სამყაროთა აგების მეთოდიც იმპლიციტურად ანალოგიას ემყარება, მაგრამ მხოლოდ იმპლიციტურად. ფილოსოფიური ტრადიცია კაუზალური და პირობითი გამონათქვამების მკვლევარს აიძულებს „ჭეშმარიტება“ ეძიოს მეცნიერების კონკრეტულ სფეროებში დადგენილი კანონების განზოგადების გზით. მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტიკის სფეროში დაბრუნება, ტექსტუალური და არა სიტუაციური კონტექსტების ფარგლებში არსებული ანალოგიების გათვალისწინება იძლევა იმის გარანტიას, რომ კონტერფაქტუალურ და კაუზალურ გამონათქვამთა ანალიზი არ გადაიქცეს „სამყაროთა“ კონსტრუირების მცდელობად ფსევდოფიზიკური კანონების საფუძველზე.

### *ლიტერატურა*

**Collins 2004:** John Collins, Ned Hall, and L. A. Paul, Counterfactuals and Causation: History, Problems, and Prospects. Collins J., Hall, N. and Paul, L., *Causation and Counterfactuals*, Cambridge, Mass: MIT Press.

**Lewis 1973:** Lewis D., *Counterfactuals*, Cambridge, Massachusetts, Harvard University Press.

**Maudlin 2004:** Tim Maudlin, *Causation, Counterfactuals, and the Third Factor: Causation and Counterfactuals*, Cambridge, Mass: MIT Press.

**Tooley 2002:** Michael Tooley, Backward causation and the Stalnaker-Lewis approach to counterfactuals, *Analysis* 62.3, July.

*Vladimer Lekiasvili*

## **The Semantics of Counterfactuals**

### Summary

The semantics of counterfactual conditionals and the efficiency of methods for defining the truth-values for such propositions, as well as some counterexamples for Lewis counterfactual analysis of causation, are considered in the paper. Despite the intuitive appeal of Stalnaker-Lewis approach to counterfactuals, the method based on possible world semantics implies extensive use of intuitive judgments and defies formalization. Therefore, the semantic analysis founded on the principle of analogy within textual environments is regarded as the only guarantee against the conversion of the analysis of causation and counterfactual dependence into discussion of generalized physical laws governing the universe.

**ქსნური გვარების წარმოებისათვის**

საქართველოს ყველა მხარეშია ცნობილი გვარის განაყოფის სახელები, რომლებიც ასახულია საისტორიო დოკუმენტებში და ტრადიციულ, ზეპირგადმოცემებითაც დასტურდება. შტოგვარები ძირითადად გვარებისა და სახელებისაგან მომდინარეობს და მისი ფუნქცია ძირითადად ის არის, რომ რაღაც ნიშან-თვისებით დაახსიათოს ამა თუ იმ სოფელში ან ნასოფლარში მცხოვრები ადამიანების ჯგუფი, გვარი ან გვარის განაყოფი.

პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, ქართული გვარების დიდი ნაწილი წარმოქმნილია წინაპართა სახელებისა და მეტსახელებისაგან და ამ გზით იქცნენ გვარის შემადგენელ ნაწილად (ჭუმბურიძე 2003:76).

ისტორიული დოკუმენტაციის მიხედვით ქსნის ხეობაში გვარების ბევრნაირი წარმოება დასტურდება: *-შვილი, -ძე, -ური, -ელი* და სხვა. გვარების დაბოლოებათა რიცხვს ეკუთვნის *-ანთ*, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ქსნისა და არაგვის ხეობებში. „ქსნის საერისთაოს სტატისტიკურ აღწერაში“, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში 1774 და 1781 წლებში მოხდა, ადგილობრივ გვართა დასახლებები წარმოდგენილია *-ანთ* დაბოლოებით. მაგ. ქარჩოხის ხეობაში ქენქამეებით დასახლებული სოფელი დაეთარში ჩაწერილია როგორც ქერქანთ კარი, პავლიაშვილებით დასახლებული სოფელი – პავლიანთ კარი, თინიკაშვილებით დასახლებული – თინიკანთ კარი, შატაკიშვილებით – შატაკიანთ კარი, თეზელაშვილების გვარი – თეზელანთ კარი, მარტიაშვილები – მარტიანთ კარი, ბალაშვილები – ბალაანთ, ბალხამიშვილები – ბალხამანთ და სხვა.

ჩანს ტრადიციით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აღნიშნული წარმოება, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში ზოგიერთ სხვა წარმოებასთან ერთად ტოპონომასტიკის ფუნქციასაც ასრულებდა, დღესაც აქტიურად გამოიყენება, ოღონდ სხვა ფუნქციით.

*-ანთ* დაბოლოება დღეს გვარის დასახლება კი არა შტოგვარის აღსანიშნავია, რომელსაც ამავე დროს მაკროდან მიკროტოპონიმიკის ფუნქცია დაეკისრა და გენეალოგიური ხაზის მისანიშნებელია, მაგალითად: სოფელ ზოდესში 1774 წლის „აღწერის“ მიხედვით ცხოვრობდნენ: „ოდიანთ ელისბარ, ბერი და პავლია, ასევე ოდიანთ ხარება, თარიმან, ივანე ოდიშვილები. დღევანდელი დამუშავებული მასალების მიხედვით ოდიშვილების გვარიდან წარმოქმნილია შტოგვარები ძველი ანთროპონიმების მიხედვით: ელიზბარიდან განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტით ელიზბარიანთი, ბერიანთი, ხარებაანთი, ბელოჭაანთი, რაც იმისი მანიშნებელია, რომ ტოპონომასტიკურმა წარმოებამ საუკუნეებს გაუძლო.

დაეთარში აღნიშნული პავლიანთ კარი მდებარეობს მდინარე ქსნის ზემო წელზე, მარჯვენა მხარეს, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, მარცხნივ ელოიანი. ამ

ორი დასახლებული პუნქტის ნათესაობის შესახებ წერილობითი წყაროების გარდა ხალხური გადმოცემებიც გვეხმარება. დავთარში აღნიშნულია „პავლიანთ ივანეს შვილები ელო, ბერი, ზურაბი, სეხნია. დიდი ოჯახის გაყრის შემდეგ პავლიაშვილები გაიყარნენ და ელო დასახლდა ქსნის მარცხენა მხარეს. მისი შთამომავლობა მოიხსენიებოდა პავლიაშვილებად გასული საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, ხოლო შემდგომ დაეწერნენ ელოშვილებად. ამ ორ გვარს შორის ბიძაშვილობა დღესაც გრძელდება და ქორწინება დაუშვებელია. დღევანდელი მონაცემებით პავლიაშვილების შტოგვარებია: ონიკანთი, ხოსიტანთი, ბაქუ-ზაანთი, უბიანთი. ელოშვილები განიყოფებიან: ლადონთი, ეფროანთი, ბერონთი, გოვიანთი, ვანონთი. ყველა აქ ჩამოთვლილი უახლოესი ნათესავები არიან, მაგრამ მათ სასაფლაოზე შტოგვარის მიხედვით აქვთ გამოყოფილი დასაკრძალავი ადგილი.

-თი დაბოლოებიანი გვარები და შტოგვარები ნათელია, რომ ერთი წარმომავლობისანი არიან და ნათესაობას ამჟღავნებენ ქართული ენის სხვა დიალექტებთან (ინგოროყვა 1954:96).

ზემოსხენებულ რეგიონში, რომელიც ქართლური დიალექტის ერთი ნაირსახეობაა, ფართოდ არის გავრცელებული -ან სუფიქსიანი წარმოებით თითქმის ყველა ქართველი ტომი სარგებლობდა და შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ძველია ქართულ ტოპონომასტიკაში. ს. ჯანაშია წერს: „თვისების და წარმოშობის, წარმომავლობის ნიშანთა გარჩევა ზოგჯერ ჭირს, ან პირველი მეორის შედეგია, ამიტომ ესევე სუფიქსი წარმოშობასა და წარმომავლობას აღნიშნავს. ამ მნიშვნელობის წარმომავლობას ხელს უწყობდა მისი პატრონომისტიკური ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმატი ამავე დროს რეალურად საერთო წარმოშობაზეც მიუთითებდა“ (ჯანაშია 1959:38).

ქსნის ხეობის მასალაში უხვად ჩანს ასეთი წარმოება და მიგვაჩნია, რომ წარმოშობა-სადაურობის და ამავე დროს ტოპონიმთა მაწარმოებელიც არის.

-ან სუფიქსური წარმოების შესახებ ა. შანიძე აღნიშნავს, რომ (შანიძე 1980:194) -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს დაერთო -იან სუფიქსი, ი ელემენტი დასუსტდა და დაიკარგა. უნდა გვქონოდა თამაზიანი, მაგრამ გვაქვს თამაზაანი.

დავთრის მონაცემებით ქსნის ხეობის ზემო წელზე სოფელ „ქენქაანთ კარს სახლობდნენ ქენქაძე ქიტია, ივანე, იასე, პატარკაცი, ასევე აბრამა, გოდერძი და სხვები. დღევანდელი წარმოება კი ამ გვარის შტოგვარებისა იმეორებს წინაპრების სახელებს და ასეთია: აბრამიანი, ოთარაანი, ქიტიაანი, პაპუნაანი, იმედაანი, გიორგაანი.

სოფელ ჭორჭოხაში სახლობდნენ ქენქაძე ფოცხვერა, საბია, ბერუკა, დღეს მათი შთამომავლობაა: საბიანი – საბიაშვილები, ფოცხვერაანი – ფოცხვერაშვილები, ბერუკა – ბერუკაშვილები, ასევე ქაწაანი – ქაწაშვილები.

ამავე სუფიქსით არის ნაწარმოები უწინდელი ახალდაბის დღევანდელი სოფელ ბალაანის – ბალაშვილების შტოგვარები, მათედან – მათიანი, ფოცხვერა-დან – ფოცხვერაანი და სხვა.



დღეს უკვე მომრავლებული ნასოფლარები ქსნის ხეობაში ამავე წარმოებათა სტრუქტურულად. ეს ნასოფლარები ძირითადად ხეობის ზემო წელზე მდებარეობდა და ხშირად ორ-სამკომლიანი დასახლებები იყო, რომლებშიც ერთი გვარის ხალხი ცხოვრობდა. ასეთებია: გარაყაანი – გარაყანიშვილები, ივივე გარაყანიძე, რომლებიც შემდგომ სოფელ ჯავაში ცხოვრობდნენ და აზნაურის ტიტულსაც ფლობდნენ. ლოლოაანი – ლოლოშვილები, ძევისაანი – ძევისაშვილები, იაგორაანი – იაგორაშვილები, ფერსაანი – ფერესაშვილები, გულარიანი – გულარაშვილები, ქისიანი – ქისიშვილები, დოჩიანი – პავლიაშვილების ერთი შტო, კვერიანი – ასევე პავლიაშვილების ერთი შტო, ხოკრიანი – ხოკრიშვილები, თაგაიანი – თაგაურები, შიუკაანი – შიუკაშვილები და სხვა.

ქსნური გვარები და შტოგვარები მართალია ორიგინალურობითაც გამოირჩევიან, მაგრამ წარმოება ძირითადად საერთო ქართველურია და მთლიანად ჯდება ქართულ სტრუქტურაში.

### *ლიტერატურა*

*ინგოროყვა 1954*: პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი.

*შანიძე 1980*: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III, თბილისი.

*ცხადაია 2005*: პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბილისი.

*ჭუმბურიძე 2003*: ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი.

*ჯანაშია 1959*: ს. ჯანაშია, ტ. III, თუბალ-თაბალი, ტიბრენი, იბერი, თბილისი.

*Nikoloz Otinashvili*

## **On the Formation of Ksani Surnames**

### Summary

According to the historical documentation, surnames in the Ksani valley were formed in a number of ways, namely, by means of adding **-ant**, **-shvili**, **-dze**, **-uri**, **-eli**, which also fulfilled the function of toponomastics. These endings are still actively used, but with another function. At present the ending **-ant** denotes a clan.

**აფყოს ფუძის მართი თავისებურებისათვის მებრუნო**  
(გრამატიკული და სემანტიკური ასპექტები)

1. მეგრულში (უპირატესად აღმოსავლურ კილო-თქმებში) აფყოსა და აწყოს ჯგუფის სხვა მწკრივთა ზმნისწინინიან ფუძეებში, დინამიკურ ზმნებთან (ზოგიერთი გამონაკლისით) გვხვდება მაწარმოებელი **თმV** მარტივ (ერთმარცვლიან) და **მV** რთულ (ორმარცვლიან) ზმნისწინებთან.<sup>1</sup> სხვა ქართველურ ენადიალექტებში იგი არ ვლინდება.<sup>2</sup> მაწარმოებელი რთული აგებულებისა ჩანს. პირველი მკვლევარი, რომელიც გაკვრით შეეხო ამ საკითხს, იყო ი. ყიფშიძე. მან მაწარმოებელში გამოყო ორ ნაწილაკი – **თი** და **მა**, რომლებიც ფუძეში გვხვდებიან როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად – **თიმა** სახით, მაგრამ მათი განაწილება ფუძეთა მიხედვით არ მოუცია: *მი-თი-ვოგორანქ* (?) „ვპოულობ“, მასდარი – *მე-ვორუა* „ძებნა, პოვნა“; *მუ-თი-იბღვანქ* „ფეხზე ვიცვამ“, მასდ. *მო-ღვალა* „ფეხზე ჩაცმა“; *ვინ-მე-ვურქ* „გადავდივარ“, მასდ. *ვინ-ულა* „გადასვლა“; *გე-თმქ-ეეგონენქ* < *გე-თიმა-ივგენქ* „მესმის“, მასდ. *გა-გონა* „გაგონება“ (ყიფშიძე 1914:0107, 0109). აღნიშნული მაწარმოებლის შემადგენლობაში ორ ნაწილაკს გამოყოფს მ. ხუბუაძე, მაგრამ სხვა ხმოვნებით: **თე** და **მე/ო**. ამათგან ავტორი მხოლოდ **თე** ნაწილაკის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, მეორეს კი ამ ნა-

<sup>1</sup> მეგრულში ზმნისწინთა სისტემა (რომლის ძირითადი თავისებურებები ჯერ კიდევ ზანურშია ჩამოყალიბებული) გამოირჩევა მდიდარი შედგენილობითა და სემანტიკური მრავალფეროვნებით. ზმნისწინები გამოყენებულია როგორც გრამატიკული, ისე, განსაკუთრებით ფართოდ, დერევაციული ფუნქციით. გრამატიკული მნიშვნელობით გამოყენებული ზმნისწინებისაგან განსხვავებით, სადერევაციო ზმნისწინები, დროული და ასპექტური შეზღუდვების გარეშე, ერთიან სემანტიკურად შესაბამის დინამიკურ და სტატიკურ ზმნებს და წარმოქმნიან ახალ ზმნურ ფუძეებს, როგორც უკვე დამოუკიდებელ სემანტიკურ ერთეულებს. არსებობს დინამიკურ ზმნათა გარკვეული სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც სადერევაციო ზმნისწინებს საერთოდ არ დაირთავენ (უცორ-ს „უყვარს“, აბირ-უ-აფ-უ „ემღერება“ და მისთ., რომელთაც, ბუნებრივია, აქ არ ვეხებით). აგებულების მიხედვით განსხვავებულია მარტივი და რთული ზმნისწინები. მარტივი ზმნისწინები (*ე, გე, ვო, დო, მე, მი, მო* და სხვ.) ძირითადად გამოხატავენ მოქმედების მიმართულებას. რთული ზმნისწინები (*ეთო, ეკო, ელა, ეშა, ეწო, ვითო, ვილა, ვიმო, ვინო, ვიშა, დინო, მილა, მოლა, მიკო, მიწო* და სხვ.) მიმართულებასთან ერთად (რომელიც გადმოცემულია რთული ზმნისწინის შემადგენლობაში პირველ ადგილზე მყოფი მარტივი ზმნისწინებით) ლოკალურ ნიუანსებსაც აღნიშნავენ, კერძოდ, ახასიათებენ ადგილს, სადაც მიმდინარეობს მოქმედება. ამ შინაარსს გამოხატავენ ადვერბიალური ნაწილაკები, რომლებიც დამოუკიდებლად არ დასტურდებიან (გუდავა, გამყრელიძე 2000:188).

<sup>2</sup> საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ ჩანს აღნიშნული მაწარმოებელი საკუთრივ მეგრულის დასავლურ კილო-თქმებში, დამატებით კვლევას საჭიროებს.

წილაკის გარეშე არ ადასტურებს. ამასთანავე, აღნიშნული მაწარმოებლის გაჩენას იგი მხოლოდ მარტივი ზმნისწინების მომდევნოდ ვარაუდობს: *მითიარდულუ* „ეზრდებოდა“, „შეეზრდებოდა ხოლმე“, მასდ. *მერდულა* „შეზრდა“; *მოთმი-სვანჯუ* „ისვენებს“, მასდ. *მოსვანჯა* „მოსვენება“; *მოთმოხვალუ* „ხვდება“, მასდ. *მოხვალამა* „მოხვედრა“ (ხუბუა 1942.3:750). **თმV** მაწარმოებლის **მV** ვარიანტის არსებობა რთული ზმნისწინების შემდეგ დაფიქსირებულია ტ. გულავასა და თ. გამყრელიძის მიერ (გულავა, გამყრელიძე 2000:192-193). ცალკე **თ** გვხვდება: მარტივი ზმნისწინების მომდევნოდ აწმყოს თურმეობითის, გ. როგავას ტერმინოლოგიით – III თურმეობითის (როგავა 1953:17-18), ფორმებში (*ე-თ-ნო-ჭოფ-უ-უ* „მაღლა სწევს/სწევდა თურმე“, *ლო-თ-ნო*(-ნ)თხაფ-უ-უ „ძირს ეცემა/ეცემოდა თურმე“); პირველი სუბიექტური და ობიექტური პირების მეზობლობაში (*გი-თ-ვ-ოღვ-ან-ქ* „ვაღებ“, აქ: „ვარქმევ“; *გე-თ-მო-ღინ-უ-თ* „თან მყვებით“, შდრ. *გე-თ-გ-ოღინ-უ-თ* „თან გყვებით“); იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც უარყოფითი ნაწილაკი **ვა-** თავკიდურიდან ფუძეში ინაცვლებს (*ლო-თ-ვა-ლო-ხ-ოღ-უ* „არ ჯდება“, შდრ. *ვა-თ-მო-ლო-ხ-ოღ-უ*)(ხუბუა 2:744).

მაწარმოებლის ადგილი ფუძეში განსაზღვრულია: მოსდევს სადერივაციო ზმნისწინებს. მისი ხმოვანი კომპონენტი არამდგრადია. თავკიდურში შექმნილი ფონეტიკური პირობების გამო, სხვა პრეფიქსული ხმოვნების ანალოგიურად, იგი იცვლება (შდრ. *გე-თმე-ცენ-ს* „ზედ ცვივა“, *ლო-თმო-ცენ-ს* „ძირს ცვივა“, *ღინ-მო-ცენ-ს* „შიგ ცვივა“, *ემ-მა-ცენ-ს* „ქვევიდან ზევით იყრება“); ერწყმის მომდევნო ხმოვანს და იწვევს მის პოზიციურ დაგრძელებას (*მე-თმე-უ-ღ-ან-ს/მე-თმე-ღ-ან-ს* „მიაქვს მასთან“) ან საერთოდ იკარგვის, როგორც ეს ხდება აწმყოს თურმეობითის რთულ ზმნისწინიან ფუძეებში: შდრ. *გე-თმი-ო-რღვ-ან-ს* „აყრის“, *გე-თ-ნო-რღვ-აფ-უ-უ* „აყრის/აყრიდა თურმე“, მაგრამ *გილო-მა-რღვ-ან-ს* „ზევიდან ყრის“, *გილო-ნო-რღვ-აფ-უ-უ* „ზევიდან ყრის/ყრიდა თურმე“ (ფუძის თავკიდურში მიმდინარე ფონეტიკურ ცვლილებებზე (დაწვრ. იხ. ყიფშიძე 1914:0107-0113; გულავა, გამყრელიძე 2000:190-199; დანელია 2006:62-65).

2. **თმV** მაწარმოებლის ფუნქცია ბოლომდე გარკვეული არ არის. ი. ყიფშიძის აზრით (რომელსაც სხვა მკვლევრებიც ეთანხმებიან), **თი**, **მა** ან **თიმა**, ჩვეულებრივ, I სერიაში გვხვდება და გამოხატავს უსრულ ასპექტს (ყიფშიძე 1914:0107; მარგველაშვილი 1980:166; ქაჯაია I, 2000:60; II, 2001:46). მ. ხუბუა, მართალია, ზოგადად ეთანხმება ყიფშიძის მოსაზრებას, რომ განხილული მაწარმოებელი უსრული ასპექტის გამოხატველია, მაგრამ ლაპარაკობს მხოლოდ **თე** ნაწილაკზე, როგორც ქართ. **ცა** ნაწილაკის შესატყვისზე (ხუბუა 1942.3:749-750).

**თმV** მაწარმოებელი მართლაც დაკავშირებულია უსრული ასპექტის ფორმებთან, მაგრამ აღნიშნულ ავტორებთან არაფერია ნათქვამი ამგვარ ფორმებში მისი გაჩენის საფუძველზე. მოცემულ კონტექსტში შეიძლება მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ რამდენადაც მეგრულში, ისევე, როგორც საერთოდ ქართველურ (და მრავალ სხვა) ენებშიც, სპეციალური მორფემით მარკირებულია ასპექტური დაპირისპირების დასრულებული სახე (იაკობსონი 1966:22), პარალელურად უს-

რული (არამარკირებული) ასპექტის ფორმათა გამოხატვის აუცილებლობა ქართ-ველურ ენებში არ დამდგარა.

სხვა მოსაზრებით, აღნიშნული მაწარმოებელი, როგორც „აწმყოს ჯგუფის გამოხატველი“, გარკვეულ ფუნქციას ასრულებს: იგი საშუალებას იძლევა ზმნისწინიანი ფორმა „აწმყოშივე დარჩეს და მომავლის გაგება არ მიიღოს“ (გუ-დავა, გამყრელიძე 2000:189). აწმყოს, ე.ი. უსრულასპექტიან ფორმათა, დაცვის აუცილებლობაზე ლაპარაკობს ზ. ჭუმბურიძეც (ჭუმბურიძე 1986:140, 143).

აღნიშნული მოსაზრებაც გარკვეულ კითხვის ნიშნებს ტოვებს. ის ფაქტი, რომ **თმV** მაწარმოებელი რიგ (თუმცა არა ყველა) შემთხვევაში განასხვავებს აწმყოსა და მყოფადის ფორმებს (შდრ. აწმ. *ე-თმე-ჭოფ-უნ-ს* „იღებს“, მყოფ. *ე-ჭოფ-უნ-ს* „აიღებს“; აწმ. *ვინ-მ-ილ-ან-ს* „გადააქვს“, მყოფ. *ვინ-ილ-ან-ს* „გადა-იტანს“), ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ფუძეში იმთავითვე ამ ფუნქციით შეიძლება გაჩენილიყო.<sup>3</sup> როგორც სემანტიკური ანალიზი ცხადყოფს, გარკვეულ შემთხვევებში ზმნისწინით წამოქმნილ ფუძეებში მოცემული მაწარმო-ებლის ჩართვა რამდენადმე ცვლის ზმნურ შინაარსსაც, რაც მოსალოდნელი არ იყო, თუკი მას მხოლოდ აწმყო-მყოფადის ფორმათა დროული გარჩევა ეკისრებოდა. ეს გარემოება სერიოზულ საფუძველს იძლევა, დაისვას საკითხი **თმV**-ს თავდა-პირველ ფუნქციაზე. საკითხის გადაწყვეტა გულისხმობს პასუხს ორ კითხვაზე: იყო თუ არა აუცილებლობა აწმყოსა და მყოფადის ფორმათა გასარჩევად ფუ-ძეში სპეციალური მაწარმოებლის შემოტანისა და თუ არა, მაშინ რის გამო-ხატვას ემსახურებოდა იგი? პირველ კითხვაზე პასუხი შეიძლება მივიღოთ ას-პექტის წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. მეგრულში სრულასპექტიან ფორმათა წარმოების რამდენიმე გზა არსე-ბობს.<sup>4</sup> მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ზმნისწინების დართვა. ჩვენ ძირი-

<sup>3</sup> მეგრულში ზმნური ფორმის თავკიდური (ძირის წინა პოზიცია) საკმაოდ გადატვირ-თულია. მორფემები მარცხნიდან მარჯვნივ ასეთი თანმიმდევრობით ლაგდება: 1. **ვა, ქო, გა** ნაწილაკები, 2. ზმნისწინები, 3. **თმV**, 4. პირის ნიშნები, 5. მაქცევარი ხმოვნები (გუ-დავა, გამყრელიძე 2000:168-169). ამ რიგს შეიძლება დაემატოს პირველი თურმეობითის მაწარმოებელი **ნო**, რომელიც თავსდება **თმV**-სა და პირის ნიშნებს შორის: *ე-თ-ნო-ე-ჭოფ-უ-ე-ქ* „ქვევიდან ვიღებ თურმე“. მორფემათა მოცემული თანმიმდევრობა მეტყველე-ბაში გამარტივებულია: განსხვავებულ ზმნურ ფორმებში უჩინარდება სხვადასხვა მორ-ფემა. მაქსიმალური რაოდენობა – 5 მორფემა რეალიზდება უარყოფით ფორმებში: შდრ. **ღინ-მო-ე-ი-რღვ-ან-ქ** „შიგ ვიყრი“ – **ვეღნ-მო-ე-ი-რღვ-ან-ქ** „შიგ არ ვიყრი“...

<sup>4</sup> ასპექტი არ ეწარმოებათ უარყოფით ფორმებს და ზოგიერთ ზმნას, რომელიც სრულ ასპექტს ოდენ აორისტის ფუძით გამოხატავს (შდრ. აწმ. *გო-თმ/ო/-უ-ტ-ენ-ს* „უშვებს“, აორ. *გ/ო/-უ-ტ-უ* „გაუშვა“, სადაც გო- სადერივაციო ზმნისწინია და ფუძის შემადგენ-ლობაში შედის, სადაც გო- სადერივაციო ზმნისწინია და ფუძის შემადგენლობაში შე-დის, და მისთ.). სრულასპექტიანი ფორმები არ უდასტურდებათ აგრეთვე აწმყოს თურმე-ობითის რთულზმნისწინიან ფუძეებს (საფიქრებელია, ფონეტიკური მიზეზებით): შდრ. *გე-თმი-ო-რღვ-ან-ს* „აყრის“ – *გე-თ-ნო-რღვ-აფ-უ-ე* „აყრის თურმე“, *გილ-მა-რღვ-ან-ს* „ზევიდან ყრის“ – *გილ-ნო-რღვ-აფ-უ-ე* „ზევიდან ყრის თურმე“ და სხვ.

თადად შევეხებით ამ წარმოებას, რადგანაც აწმყოსა და მყოფადის ფორმათა დამთხვევა, ჩვეულებრივ, ზმნისწინიან ფორმებში ხდება. განხილვისას ვემყარებით ძირითად ასპექტურ ფორმას – აორისტს. მყოფადი, რომელიც ქართველურ ენებში აწმყოს ფუძისა და ასპექტის შეერთებით არის წარმოქმნილი (ჩიქობავა 1950:061; შანიძე 1973:340-341), იმეორებს აორისტის შესაბამის ასპექტურ გაფორმებას და აორისტის ფუძესაც, თუ აწმყოსა და აორისტის ფორმები ფუძემონაცვლებები არიან.

ზმნისწინთა საშუალებით სრული ასპექტის წარმოება ხდება ზმნურ ფუძეებზე მარტივი ზმნისწინების დართვით.<sup>5</sup> ისინი თავსდებიან ფუძის დასაწყისში, სადერივაციო ზმნისწინების (თუ ასეთი ფუძეში უკვე არის), ან პირისა და ქცევის, ან უშუალოდ ძირის წინ. გამოყენებულია: *გე, გო, ღო, მე, მო...* ზმნისწინები, უფრო იშვიათია ქართულიდან ზმნურ ფუძეებთან ერთად შესული – *გა, და, შე, ჩა, წა:*

ბედ-ენ-ს „ბედავს“ – *გა*-ბედ-უ „გაბედა“; *უ*-კინ-ებ-უ „უკავია“ – *დე*-კინ-უ „დაიკავა“; *ა*-ტყვ-ენ-ს „ატყობს“ – *შე*-ატყ-უ „შეატყო“; *ი*-თხინ-უ-ან-ს „იმორებს“ – *ჩე*-თხინ-უ „ჩამოიმორა“; *ა*-გ-ენ-ს „აგებს“ – *წა*-ა-გ-უ „წააგო“.

მაასპექტირებელი ზმნისწინის ფუნქციით გვხვდება აგრეთვე დადასტურებითი ნაწილაკი *ქო*.<sup>6</sup> აღნიშნულ ზმნისწინებს მხოლოდ ასპექტის წარმოება ეკისრებათ და ზმნის მნიშვნელობას არ ცვლიან.<sup>7</sup>

თუ ასპექტური ზმნისწინი ერთვის აწმყოში უზმნისწინო ფორმებს, რომლებიც გადმოსცემენ მხოლოდ ზმნის ძირითად მნიშვნელობას სპეციფიკური ლო-

<sup>5</sup> მოცემულ შემთხვევაში არ ვითვალისწინებთ ასპექტის სახეთა შორის არსებულ განსხვავებებს (მელიქიშვილი 2002:120). ვემყარებით მხოლოდ ზოგად დიქტომიას – მოქმედების დასრულება – დაუსრულებლობა.

<sup>6</sup> *ქო*, ჩვეულებრივ, გამოიყენება დამატებით მაწარმოებლად ისეთ ზმნებთან, რომელთაც ასპექტი ზმნისწინის გარეშე, სხვა საშუალებებით, ეწარმოებათ. შდრ. ფუძემონაცვლე ზმნები: აწმ. *მო*-ურ-ს/მ-ურ-ს „მოდის“ – აორ. *მო*-რთ-უ/ქო-მო-რთ-უ „მოვიდა“, აწმ. *ო*-რწყ-უ „ხედავს“ – აორ. ძირ-უ/ქო-ძირ-უ „დაინახა“; ქცევამონაცვლე ზმნები: აწმ. *ნარტ*-ენ-ს „ნატრობს“ – აორ. *ი*-ნარტ-უ/ქო-ი-ნარტ-უ „ინატრა“, აწმ. *შველ*-ენ-ს „შველის“ – აორ. *უ*-შველ-უ/ქო-უ-შველ-უ „უშველა“ და ა.შ. ეგვე ნაწილაკი გამოიყენება იმ ზმნებთან, რომლებიც ასპექტს ოდენ აორისტის ფუძით გამოხატავენ. შდრ. აორ. თქ-უ/ქო-თქ-უ „თქვა“, *ზოჯ*-უ/ქო-ზოჯ-უ „ბრძანა“. *ქო*- ნაწილაკი გვხვდება უსრულ-ასპექტიან (აწმყოს ჯგუფის) ფორმებთანაც: *მე*-ურ-ს/ქე-მე-ურ-ს „მიდის“/„კი (ქე) მიდის“, *გე*-ხ-ე/ქე-გე-ხ-ე „ზის“/„კი (ქე) ზის“, *ო*-რ-ე/ქო-რ-ე „არის“/„კი (ქე) არის“, მაგრამ ამ შემთხვევებში ის უმეტესად ემფაზისთვის გამოიყენება – გამოხატავს დაპირისპირებას ან მტკიცებას. დადასტურებულია ისეთი ფორმებიც, როდესაც *ქო* ნაწილაკი წინ კი არ უძღვის ზმნისწინებს, არამედ მოსდევს მათ, ან მათ შორის არის მოქცეული (ხუბუა 1, 631).

<sup>7</sup> გამონაკლისს ქმნიან *გო* და *ღო* ზმნისწინები, რომელთა დართვა (ქართულის მსგავსად) მნიშვნელობის ნაწილობრივ ცვლას იწვევს: *ჭკირ*-უნ-ს „ჭრის“, მაგრამ *გო*-ჭკირ-უ „გაჭრა (შუახე)“, *ღო*-ჭკირ-უ „დაჭრა (ნაჭრებად)“; *კირ*-უნ-ს „კრავს“, მაგრამ *გო*-კირ-უ „შეხავია“, *ღო*-კირ-უ „შეკრა“ და ა.შ.

კალური ნიუანსების გარეშე, აწმყოსა და მყოფადის, ე.ი. უსრულასპექტიანი და სრულასპექტიანი ფორმები, ადვილად იმიჯნება ზმნისწინის დართვა-დაურთველობით:

ჭარ-უნ-ს „წერს“, დო-ჭარ-უ „დაწერა“, დო-ჭარ-უნ-ს „დაწერს“; ხ-ან-ს „შობს“, ჭო-ხ-უ „შობა“, ჭო-ხ-ან-ს „შობს მომავალში“; ი-ძიც-ან-ს „იციინის“, გი-ძიც-უ „გაიციინა“, გი-ძიც-ან-ს „გაიციინებს“; რდ-უნ-ს „ზრდის“, მო-რდ-უ „გაზარდა“, მო-რდ-უნ-ს „გაზრდის“...

თუ ასპექტის მაწარმოებელი ერთვის წარმოქმნილ (ზმნისწინიან) ფორმას, ფუძეში ხდება ორი რიგის ზმნისწინების, ასპექტის მაწარმოებელი და სადერივაციო ზმნისწინების, თავმოყრა, რაც (ქცევის ნიშნის ან ძირეული ხმოვნის შესაძლო მეზობლობაში) იწვევს ზემოაღნიშნულ ფონეტიკურ ცვლილებებს. შედეგად სახეს იცვლის ფუძის თავკიდური. მაგრამ იმის გამო, რომ თანხმოვნები, ჩვეულებრივ, არ იცვლებიან<sup>8</sup>, თავკიდურის მორფონოლოგიური სტრუქტურაც (მორფემათა რაოდენობა, მათი თანმიმდევრობა) შენარჩუნებულია, რაც ყოველთვის იძლევა შემაღგენელ მორფემათა იდენტიფიკაციის საშუალებას:

გინო-ჭარ-უ-ა „გადაწერა“: აწმ. გინ-მო-ჭარ-უნ-ს „გადაწერს (ახლა)“, აორ. გი-გნო-ჭარ-უ „გადაწერა“, მყოფ. გი-გნო-ჭარ-უნ-ს „გადაწერს“; გითო-ლ-ალ-ა „გამოტანა“: აწმ. გით-მუ-ლ-უ „გამოაქვს“, აორ. გი-გთი-ლ-უ „გამოიღო“, მყოფ. გი-გთი-ლ-ან-ს „გამოიღებს“; გილა-ლ-ალ-ა „ზევიდან ჩამოტანა“, აწმ. გილ-მა-ძ-ი-ლ-ან-ს „ზევიდან ჩამოაქვს ჩემთვის“, გილ-მა-გ-ი-ლ-ან-ქ „ზევიდან ჩამომაქვს შენთვის“, აორ. გი-გლა-გ-ი-ლ-ი „ზევიდან ჩამოგიტანე“, მყოფ. გი-გლა-გ-ი-ლ-ან-ქ „ზევიდან ჩამოგიტან“; მითო-ხვილ-უ-ა „შემწყვეტა“: აწმ. მით-მა-ხვილ-ან-ს „ამწყვეტე“, აორ. ჭი-მთა-ხვილ-უ „შეამწყვედია“, მყოფ. ჭი-მთა-ხვილ-ან-ს „შეამწყვედევს“; გე-ძი-ც-ა „დაცინვა“: გე-თძი-ა-ძიც-უნ-ს „დასცინის“, აორ. ჭე-გი-ა-ძიც-უ „დასცინა“, მყოფ. ჭე-გი-ა-ძიც-უნ-ს „დასცინებს“; ე-ჭარ-უ-ა „აღწერა“: ე-თმე-ჭარ-უნ-ს „აღწერს ახლა“, აორ. ვ/ე-ე-ჭარ-უ „აღწერა“, მყოფ. ვ/ე-ე-ჭარ-უნ-ს „აღწერს მომავალში“ და ა.შ.<sup>9</sup>

<sup>8</sup> მორფემათა თავმოყრის დროს ზშირია თანხმოვნის ამოვარდნაც, მაგრამ ეს, პირველ რიგში ეხება პირის ნიშნებს. შდრ.: გილ-მა-გ-ი-ლ-უ > გილ-მა-ი-ლ-უ „ზემოდან ჩამოგაქვს“, გი-გლა-გ-ი-ლ-ი > გი-გლა-ი-ლ-ი „ზემოდან ჩამოგიტანე“ და მისთ.

<sup>9</sup> ამის გაუთვალისწინებლობის შედეგი ჩანს მეგრულში რთული ზმნისწინების გვერდით „ზერთული“ ან „ორმაგად რთული“ ზმნისწინების გამოყოფა (ყიფშიძე: 0108; ასათიანი 1997:47-50; ქაჯაია I:60) და, შესაბამისად, ასეთ ფორმებში ასპექტური წარმოების უგულებელყოფა. „ზერთული“ ზმნისწინების არსებობის დამადასტურებლად მონხობილი მაგალითები, უკლებლივ ყველა, ჩვეულებრივი ასპექტიანი (აორისტის ან მყოფადის) ფორმებია: გვეგწულებს „გამოართვეს“ < გე-გიწო-უ-ლ-ეს, აწმ. გიწმუ-ლ-ან-ს > გიწო-მო-უ-ლ-ან-ს „ართმევს“, მასდ. გიწო-ლ-ალ-ა; გვეითილეს „გამოიღეს ქვევიდან“ < გე-გიითო-ი-ლ-ეს, აწმ. გი-თძი-ლ-ან-ა „გამოაქვს ქვევიდან“, მასდ. გითო-ლ-ალ-ა; გეწოცის „წამოცვივდნენ“ < გე-მიწო-ც-ის, აწმ. მიწ-მო-ც-უნ-ა < მიწო-მო-ც-უნ-ა „წამოცვივდებიან ახლა“, მასდ. მიწო-ც-უშ-ა; გვეშაიყონა „გამოვიყვან“ < გე-გიშა-გ-ი-ყონ-ა, აწმ. გიშ-მა-გ-ი-ყონ-ან-ქ „გამომყავხარ“, მასდ. გიშა-ყონ-აფ-ა „გამოყვანა“ და მისთ.

3.1 მეგრულში (ისევე როგორც საერთოდ ქართველურ ენებში) გვხვდება ასპექტის წარმოების სხვა სახეებიც: ფუძეთა მონაცვლეობა, ქცევის სახეთა გამოყენება (ძირითადად ქართულიდან შესულ ფუძეებში). მაგრამ არის ტენდენციაც ასეთ ფორმებზე დამატებით ასპექტური ზმნისწინების დართვისა (რაც აშკარად მიანიშნებს, რომ ასპექტის წარმოების სლავურ, ე.ი. ზმნისწინიან, ტიპზე გადასვლის პროცესი (იხ. შანიძე 1973:268) მეგრულში ჯერ კიდევ გრძელდება):

**ფ უ ძ ე თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა**

აწმ. *ა-რძ-ენ-ს* „აძღვეს“, აორ. *ქე-მე-ჩ-უ* „მისცა“, მყოფ. *ქე-მე-ჩ-ან-ს* „მისცემს“;

აწმ. *ო-რთ-უ* „აკეთებს“, აორ. *ქო-ქიმინ-უ* „ქნა, გააკეთა“, მყოფ. *ქო-ქიმინ-უნ-ს* „იზამს“;

აწმ. *რაგად-ან-ს* „ლაპარაკობს“, აორ. *ქო-თქ-უ* „თქვა“, მყოფ. *ქო-თქე-ან-ს* „იტყვის“;

აწმ. *ო-რწყ-ე* „ხედავს“, აორ. *ქო-ძირ-უ* „ნახა“, მყოფ. *ქო-ძირ-უნ-ს* „ნახავს“;

**ქ ც ე ვ ი ს ს ა ხ ე ე ბ ი**

**საარვისო - სათავისო**

აწმ. *ლაყაფ-ენ-ს* „თამაშობს“, აორ. *ქი-ლაყაფ-უ* „ითამაშა“, მყოფ. *ქი-ლაყაფ-ენ-ს* „ითამაშებს“;

აწმ. *მუშ-ენ-ს* „მუშაობს“, აორ. *ქი-მუშ-უ* „იმუშავა“, მყოფ. *ქი-მუშ-ენ-ს* „იმუშავებს“;

აწმ. *ციდ-ურ-ენ-ს* „ყიდულობს“, აორ. *ქი-ციდ-უ* „იყიდა“, მყოფ. *ქი-ციდ-ენ-ს* „იყიდის“;

აწმ. *ხვარ-ენ-ს* „ხმარობს“, აორ. *ქი-ხვარ-უ* „იხმარა“, მყოფ. *ქი-ხვარ-ენ-ს* „იხმარს“;

**საარვისო - სასხვისო**

აწმ. *ყარულ-ენ-ს* „ყარაულობს“, აორ. *ქი-ყარულ-უ*, მყოფ. *ქი-ყარულ-ენ-ს* „იყარაულებს“;

აწმ. *შველ-ენ-ს* „შველის“, აორ. *ქე-შველ-უ* „უშველა“, მყოფ. *ქე-შველ-ენ-ს* „უშველის“.

ასპექტის საკითხების გახილვისას გასათვალისწინებელია აგრეთვე მახვილით განსხვავებულ ასპექტურ ფორმათა შემთხვევებიც, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს ახალ ასპექტურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ ფორმათა განსხვავების საერთო ტენდენციაზე. მაგ., მეგრულში უნიშნო და ღონიან ვნებითებსა და ზოგ სხვა შემთხვევაში აორისტიკისა და მყოფადის ფორმები ფონეშიური შედგენილობით ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავებას მათ შორის ქმნის მხოლოდ მახვილი, რომელმაც ისტორიულად ფონოლოგიური ღირებულება შეიძინა: *დრღურუ* „მოკვდა“, *დოღურუ* „მოკვდება“; *გრფურუ* „გათბა“, *გოფურუ* „გათბება“; *დრშქ-*

ვიდეო „დაიხრჩო“, დიშქვიდეო „დაიხრჩობა“. ანალოგიური შემთხვევები გვაქვს აორისტისა და აწმყოს ფუძეებშიც: აჭარუ „წერა შეძლო“, აჭარუ „წერება“; იჭარუ „დაიწერა“, იჭარუ „იწერება“; ულურუ „მოუკვდა“, ულურუ „უკვდება“ (გუდავა 1969:109-111). მოსალოდნელი იყო აწმყოსა და მყოფადის ფორმათა დამთხვევაც, მაგრამ ასეთ შემთხვევებში აწმყო და მყოფადი ერთმანეთისაგან ზმნისწინების დართვა-დაურთველობით განსხვავდნენ:

აწმ. ღურ-უ „კვდება“, აორ. დრ-ღურ-უ „მოკვდა“. მყოფ. დო-ღურ-უ „მოკვდება“

აწმ. ტიბ-უ „თბება“, აორ. გრ-ტიბ-უ „გათბება“, მყოფ. გო-ტიბ-უ „გათბება“

აწმ. ჭითონ-დ-უ „წითლდება“, აორ. გრ-ჭითონ-დ-უ „გაწითლდა“, მყოფ. გოჭითონ-დ-უ „გაწითლდება“ და ა.შ.<sup>10</sup>

4. ამგვარად, დასახელებული ფაქტებიდანაც უკვე ჩანს, რომ ასპექტის წარმოების ის სახე, რომელიც მეგრულში (ისტორიულად – ქართველურ ენებში) ჩამოყალიბდა, საიმედო მექანიზმს ქმნიდა ფორმათა, მათ შორის აწმყო-მყოფადის ფორმათა, განსახსვავებლად. ამიტომ აღნიშნული ფუნქციით ახალი, რთული აგებულების, მაწარმოებლის გაჩენა თავკიდურის ისედაც რთულ მორფონოლოგიურ სტრუქტურაში, ნაკლებ სავარაუდოა. უფრო სარწმუნო ჩანს იმის დაშვება, რომ ახალი მაწარმოებელი შეიძლება გაჩენილიყო იმთავითვე სხვა ისეთი ფუნქციით, რომლის გამოხატვა აუცილებელი გახდა სემანტიკური თვალსაზრისით, მაგრამ რომლის გადმოცემაც უსრულსასპექტიანი აწმყოს ფორმებს არ შეეძლოთ. ქვემოთ შევეცდებით ამ დებულების არგუმენტირებას ზოგად-თეორიულ და კონკრეტულ-ენობრივ მოსაზრებათა გათვალისწინებით. საკითხის გასარკვევად განვიხილავთ მოძრაობა-გადაადგილების ზმნებს.<sup>11</sup> ისინი განეკუთვნებიან

<sup>10</sup> მახვილები განაწილებულია ტ. გუდავას სქემის მიხედვით.

<sup>11</sup> მეგრულში წარმოდგენილია მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნათა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომელთაც ზმნისწინური გაფორმება, მიუხედავად მათ შორის არსებული სემანტიკური და გრამატიკულ-სტრუქტურული განსხვავებებისა, საერთო აქვთ. ესენია: ა) ნეიტრალური შინაარსის ზმნები, რომლებიც გამოხატავენ რაიმე სახის, მოცემული სუბიექტისათვის დამახასიათებელ, მოძრაობებს როგორც ჩვეულებრივ გადაადგილებას: მე-ურ-ს „მიდის“, მე-ფურინ-უნ-ს „მიფრინავს“, მე-(ნ)ჩურ-უნ-ს „მიცურავს“ და მისთ.; ბ) ზმნები, რომლებიც მოძრაობას ახასიათებენ სუბიექტის ფიზიკური (ან სულიერი) თვისებების მიხედვით, უფრო ზუსტად, გამოხატავენ გარკვეული თვისებების მქონე სუბიექტის მოძრაობას: მი-ძეაძე-ალ-უ „დიდი, ზონზროხა რამ მირბის, მიძუნძულებს“, მი-ფარკალ-უ „ბარბაცით მიდის გამხდარი“, მი-ო-ფაშქე-ან-ს „მიდის მსუქანი, გააფუებული“ და მისთ. გ) ორმაგი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც ზმნით გამოხატულ (ძირითად) მოქმედებას ასრულებენ სიარულის პროცესში. მათი რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია. ესენია ზმნები, რომლებიც გამოხატავენ სიარულის პროცესში შესაძლებელ, ძირითადად ხმის გამოცემასთან დაკავშირებულ, მოქმედებას: მი-ი-ბირ-ს „მიიძღვრის“, მე-რაგად-ან-ს „ლაპარაკით მიდის“, მე-რკი-ან-ს „კვივლით მიდის“ და მისთ.



უძველეს ენობრივ შრეს და გარკვეული აზრით შეიძლება წარმოადგენდნენ „პროტოტიპებს სხვა დინამიკური ზმნებისათვის“ (პალუჩევა 2002:121). ყველაზე ცხადად სწორედ მათ სემანტიკურ-გრამატიკულ თავისებურებებში ვლინდება ის ტენდენცია, რომლის ენობრივ გამოხატვასაც აღნიშნული მაწარმოებელი ემსახურება.

5. მოძრაობა-გადაადგილების მარტივი ლოგიკური სქემა გულისხმობს სამ მომენტს (ფაზას). ეს არის მოძრაობის დასაწყისი, მოძრაობის მიმდინარეობა და მოძრაობის დასასრული. ენებში ეს მომენტები სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით, სხვადასხვაგვარი თანაფარდობით, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია (ან ნაგულისხმევი).

სემანტიკურად და გრამატიკულად მოძრაობა-გადაადგილების აღნიშნული ფაზები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პროცესებია:

მოძრაობის დასაწყისის სემანტიკა არ გულისხმობს გაგრძელებას – პროცესის მიმდინარეობას ან დასასრულს (სად წავიდა, ან მივიდა თუ არა). აქ მხოლოდ აქცენტირებულია მოძრაობის დაწყების ფაზა, რომელიც ამასთანავე მიანიშნებს მოძრაობის დაწყების დროზეც.

ასევე, მოძრაობის დასასრული დამოუკიდებელია მისი დაწყებისა და მიმდინარეობის ფაზებისაგან. იგი მხოლოდ იმას გადმოსცემს, რომ მოძრაობა, რომლის დაწყების და მიმდინარეობის შესახებ შეიძლება არაფერი არ იყოს ცნობილი, დამთავრდა.

მოძრაობის მიმდინარეობაც დამოუკიდებელი პროცესია, იგი არ შეიცავს მინიშნებას იმაზე, თუ სად დაიწყო მოძრაობა და სად დასრულდება, ან დასრულდება თუ არა იგი საერთოდ.

მეგრულში სამივე მომენტი გრამატიკულად ასახულია. აღნიშნული სქემის სამეტყველო რეალიზაციაში მონაწილეობს ენის თითქმის ყველა სფერო: ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული (სახელისა და ზმნის კატეგორიები, სინტაქსური მიმართებები), თანდებულები, ზმნისართები. სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ზმნისწინებს, რამდენადაც ზმნური შინაარსის გაფორმება ძირის (ფუძის) იგივეობის პირობებში მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. მოძრაობის ფაზების შესაბამისად გარჩეულია ზმნისწინები, რომლებიც აღნიშნავენ: მოძრაობის დასაწყისს (ელატიური ზმნისწინები), მოძრაობის მიმდინარეობას, მის დასასრულს (ლატიური ზმნისწინები).<sup>12</sup> ყველა შესაძლებლობას განვიხილავთ ულ-ა „სვლა“ ზმნის მაგალითზე.<sup>13</sup>

<sup>12</sup> აქ არ ვეხებით ზმნისწინთა მეტაფორულ გამოყენებას, რაც სპეციალური კვლევის საგანია. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მეტაფორათა მრავალფეროვან სემანტიკურ სპექტრში ზმნისწინთა თავდაპირველი მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად მაინც შენარჩუნებულია და რიც შემთხვევებში უფრო თვალსაჩინოს ხდის ამოსავალ მნიშვნელობას.

<sup>13</sup> ულ-ა ზმნა მოძრაობა-გადაადგილების აღნიშვნელ ზმნათა შორის ყველაზე ძველი და ყველაზე გავრცელებულია, რამაც განაპირობა მისი მნიშვნელობის განზოგადება. როგორც ნეიტრალური, არამარკირებული ზმნა, იგი გამოიყენება ისეთი შემთხვევებისთვისაც, სადაც მოძრაობის აღნიშვნელი ნებისმიერი სხვა ზმნა (იხ. სქოლიო 9), მისი სპე-

მოდრაობის აღწერილი ზოგადი სქემა გრამატიკაში ასე აისახება: დასაწყისისა და დასასრულის, როგორც მიმდინარეობის ფაზისაგან დამოუკიდებელი არაგანგრძობითი, წყვეტილი, ფაზები, გამოიხატებიან სრულასპექტიანი ფორმებით. თუ მოძრაობის პროცესი დაიწყო ან დასრულდა საუბრის მომენტამდე (როგორც გრამატიკული დროის ათვლის მომენტამდე), გამოიყენება აორისტის ფორმები: *მიდართ-უ* „წავიდა“, *ქე-მერთ-უ* „მივიდა“; თუ აღნიშნული ფაზები მოსალოდნელია საუბრის მომენტის შემდეგ, გამოყენებული იქნება მყოფადის ფორმები: *მიდურ-ს* „წავა“, *ქე-მეურ-ს* > *ქე-მურ-ს* „მივა“. ახლანდელი დრო, რომელსაც შეუძლია აღნიშნოს მხოლოდ მოძრაობის უწყვეტი პროცესები, გამოიხატება აწმყოს (აწმყოს ვგუფის), ე.ი უსრულასპექტიანი, ფორმებით: *გით-მოერ-ს* > *გით-მურ-ს* „გამოდის გვერდიდან“, *მე-ურ-ს* „მიდის“, *მით-მურ-ს* „შედის“.

6. ამგვარად, მოძრაობა-გადაადგილების სრული პროცესი – დასაწყისი-მიმდინარეობა-დასასრული – გრამატიკულ დროთა მიხედვით ნაკლებია, სემანტიკურ სისტემაში რჩება ე.წ. „ცარიელი უჯრები.“ მაგრამ მოლაპარაკეთა პრაქტიკული ცნობიერება, მოძრაობის, როგორც ერთიანი პროცესის, აღქმა ამთლიანებს სისტემას, ავსებს ცარიელ ადგილებს. ეს შეიძლება მოხდეს ან კონკრეტულ ენაში არსებული საშუალებებით, რომლებიც მნიშვნელობით ყველაზე უკეთ გამოხატავენ გადმოსაცემ შინაარსს, ან ასეთი მნიშვნელობისათვის ახალი ენობრივი საშუალებების შექმნით.

6.1 აორისტში წარმოდგენილია მოძრაობის დაწყებისა და დასრულების ფაზები (ეს ფაზები ზოგ სიტუაციაში მოძრაობას შეიძლება არც გულისხმობდეს და იყოს ნებისმიერი მოქმედება, რომელთანაც მოძრაობის დაწყება ან დასრულება არის დაკავშირებული). ფაზებს შორის გადაადგილების პროცესის გამოსახატავად გამოყენებულია:

ა) უსრულასპექტიანი – აწმყოსა და ნამყო-უწყვეტლის – ფორმები, რაც ორ სრულასპექტიან (დასაწყისისა და დასასრულის) ფორმას შორის მიმდინარე მოძრაობის გამოსახატავად მეტ-ნაკლებად ბუნებრივი ჩანს:

*გინილ დო მიდართ. მეურს* (აწმყო) *შარას თე კოჩი. ქეშეხვად ართ გერქ* „გავიდა და წავიდა. *მიდის* გზაზე ეს კაცი. შეხვდა ერთი მგელი“ (ხუბ.:23<sup>8</sup>); *{ირტუ ბოშიქ}...მეურს* (აწმყო) *ე ბაღანა აძღლა, ჭუმე, გელანი ...ქიდირულუ* „{გაიქცა ბიჭი}... *მიდის* ეს ბავშვი დღეს, ხვალ, ზევ... დაიძინა“ (ხუბ.:53<sup>18</sup>); *ირტუ დენქ შორიშ ქიანაშა. მიიშუ-ნი* (ნ.-უწყვეტ.) *მელატურაქ ქახვადუ* „გაიქცა დევი შორეულ ქვეყანაში. რომ *მიდიოდა*, მელატურა შემოხვდა“ (ციფშიძე 1914:42<sup>23</sup>)...

---

ციფიკური სემანტიკის გამო (გარდა მეტაფორული გამოყენებისა), შეუძლებელი, ან საუკეთესო შემთხვევაში, არაადეკვატური იქნებოდა. შდრ. ჩვეულებრივ არასაკუთარი ძალით გადაადგილების აღსანიშნავად გამოყენებული ფორმები: *ურებით მეურს* „ურმით მიდის“, *ცხენით მეურს* „ცხენით მიდის“, *მატარებელ მეურს* „მატარებელი მოდის“ და *ურებით მიძვავადუ* „ურმით მიბუნძულებს“, *ცხენით მეკუსანს* „ცხენით მიიკვნის“, *მატარებელ მოფურინუნს* „მატარებელი მოფრინავს“ და მისთ.

ბ) აღნიშნული მნიშვნელობით უპირატესობა მაინც ეძლევა **იღ-უ** „იარა“ ზმნის ფორმას, რომელიც წყვეტილის ფორმათა გარემოცვაში უფრო მორგებული აღმოჩნდა განგრძობითობის შინაარსის გამოსახატავად. **იღ-უ** აორისტის ფორმად არის მიჩნეული (ყოფშიძე 1914:0102-0103; ქაჯაია 2001:127). არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, მიუხედავად **იღ-** ძირის წარმომავლობისა (**იღ-ვიღ-**), მეგრული (და ლაზური) შედარებით გადახრილია **ვიღ-** ძირის მნიშვნელობიდან: იგი უსრული ასპექტის აღმნიშვნელი გამოდის (ჩიქობავა 1938:274).<sup>14</sup> უწყვეტობის მნიშვნელობის გადმოცემა წყვეტილის ფორმას შეუძლია, თუ ის მრავალგზისობას გამოხატავს. ეს კი სავსებით შესაძლებელია, რამდენადაც წყვეტილის სემანტიკა ითავსებს მრავალგზისობის მნიშვნელობას (მაჭავარიანი 1974:120-121). ამასვე ადასტურებს მეტყველებაში **იღ-უ** ზმნის გამეორების მოთხოვნილება, რაც მისი უწყვეტობის განცდას იწვევს (იხ. აგრეთვე შანიძე 1973; არაბული 1999:50):

*კინილეს და მიდართეს. იღეს, იღეს დო ართი დიდი ტყას ქიმიოდირთეს „გავიღენ და წავიღენ. იარეს, იარეს და ერთ დიდ ტყეს მიაღგენ“ (ხუბ.:234-35); მოუს ე ბოშიქ დო იღე, იღე, კინი იღე დო იღე, მარა მუ იღე ...დო მიკააჯინუ... „მოუსვა ამ ბიჭმა და იარა, იარა, კიდევ იარა და იარა, მაგრამ რა იარა... და შეხედა“... (ყოფშიძე 1914:3723); {საწყალი კოჩქ} იღე, იღე დო თი სახენწიფოშა ქიძერთუ „საწყალმა კაცმა} იარა, იარა და იმ სახელმწიფოში მივიდა“ (ყოფშიძე 1914:26); მიდართეს... იღეს დო ქეძერთეს ხენწიფეში დო-ხორეშ „წავიღენ... იარეს და მივიღენ ხელმწიფის სასახლეში“ (ხუბ.:5712).*

6.2 მყოფადში, რომელშიც ასპექტის აორისტული გაფორმება მეორდება, მოძრაობის დასაწყისი და დასასრული გადმოცემულია სრულასპექტიანი, ზმნისწინიანი, ფორმებით: *მიღ-ურ-ს* „წავა“, *ქე-მ-ურ-ს* „მივა“. მაგრამ მყოფადის ჯგუფში არ მოიძებნება მწკრივი უსრულის შინაარსის გადმოსაცემად.<sup>15</sup> ქართულისაგან განსხვავებით, მეგრულში ხოლმეობითს, რომელსაც შეეძლო მრავალგზისობის შინაარსის გამოხატვა, მხოლოდ ტრადიციით თუ შეიძლება ეწოდოს „ხოლმეობითი“. რეალურად იგი მოდალური მწკრივია და დაშორებულია ხოლმეობითის ამოსავალ მნიშვნელობას. ითვლება, რომ უსრულის ფუნქციას ასრუ-

<sup>14</sup> არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ნამყოძირითადის უზმნისწინო ფორმები საერთოდ უსრულ ფორმებად უნდა იქნეს მიჩნეული (ჩიქობავა 1950:061; შანიძე 1973:262; იხ. აგრეთვე, არაბული 1999:52).

<sup>15</sup> მყოფადში (და საერთოდ ამა თუ იმ გრამატიკულ დროში სრულასპექტიანი ფორმების გვერდით) უსრულასპექტიანი ფორმების საჭიროებაზე მეტყველებს უსრული მყოფადის, როგორც დამოუკიდებელი მწკრივის, ჩამოყალიბება სვანურში. აღნიშნული ფორმები იწარმოება აწმყოს მოკვეცილ ფუძეზე სპეციალური *უნ-ი, ინ-ი* სუფიქსების დართვით: *ალაშ-უნ-ი* „თესავდეს იქნება“, *ახტაუ-ინ-ი* „ხატავდეს იქნება“. მნიშვნელობით მათ უდგება ქართ. *იტირებს, ილაპარაკებს* და მისთ. ფორმები, რომელთაც სრული ასპექტის გაგება აქვთ (თოფურია 1967:112).

ლებს მყოფადის ჯგუფის მწკრივი – მყოფადის უსრული, აღწერილი ფორმა: *აწმყოს კავშირებითი + იყუაფუ | იყი* „იქნება“ მეშველი ზმნა (მარგველაშვილი 1980:164; ჭუმბურიძე 1986:137-138). მაგრამ ეს ფორმა არ შეიძლება მხოლოდ მყოფადის კუთვნილებად ჩაითვალოს: იგი საზიაროა აწმყოსა და მყოფადისათვის. ამასთანავე მას სხვა შინაარსის გადმოცემაც ეკისრება. აქ გვერდს ვუვლით ამ საკითხის დაწვრილებით განხილვას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აწმყოსა და მყოფადის გარჩევა ამ ფორმებით გარკვეულ შემთხვევებში მაინც შესაძლებელია (განსაკუთრებით დროის ზმნიშედების დახმარებით). შდრ.:  
*ასე /ა(ნ)წი მი-მ-ა-ს იყუაფუ* „ახლა/აწი მიდიოდეს იქნება“, (ე.ი. ახლა ან აწი სვლის პროცესში იქნება), *ასე /ა(ნ)წი მე-ფურინ-უნ-დ-ა-ს იყუაფუ* „ახლა/აწი მიფრინავდეს იქნება“ (ე.ი. ახლა ან აწი ფრენის პროცესში იქნება), ასევეა: *მი-რულ-ე-დ-ა-ს იყუაფუ* „მირბოდეს იქნება“, *მე-ხოხ-უნ-დ-ა-ს იყუაფუ* „მიხოხავდეს იქნება“ და ა.შ.

6.3 რაც შეეხება მოძრაობის ასახვას აწმყოში. აწმყოს სემანტიკა უშვებს ისეთი მოქმედების, და კერძოდ მოძრაობის, გამოხატვას, რომელიც მიმდინარეობს ლაპარაკის მომენტში. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ პროცესი. რთულ-ზმნისწინიან ფორმებში ასეც ხდება: ყველგან, სადაც ზმნისწინის მომდევნოდ მოსალოდნელია თმV-ს გამოჩენა, ზმნა აღნიშნავს ან მოძრაობის დაწყების, ან მოძრაობის დასრულების პროცესს. ორივე შემთხვევაში ნაგულისხმევა პროცესის შესრულების დროც (რასაც ადასტურებს შესაბამისი ზმნისართების გამოყენების შესაძლებლობაც):

გით-მ-ურ-ს<გითო-მო-ურ-ს „გამოდის გვერდიდან“; გილ-მ-ურ-ს<გილა-მო-ურ-ს „ჩამოდის ზევიდან“; დინ-მ-ურ-ს<დინო-მო-ურ-ს „შიგ ჩადის“; დიკ-მ-ურ-ს<დიკო-მო-ურ-ს „დადმართზე ჩადის“; ეკ-მ-ურ-ს, ეკო-მო-ურ-ს აღმართზე ამოდის“; ელ-მ-ურ-ს<ელა-მო-ურ-ს „გვერდიდან ამოდის, მაგ., მზე“; ეშ-მ-ურ-ს<ეშე-მო-ურ-ს „ქვევიდან ამოდის“ და ა.შ.<sup>16</sup>

მაგრამ რთულ-ზმნისწინიან ზმნებს არ შეუძლიათ გამოხატონ მოძრაობის მიმდინარეობა. მიზეზი მათ შინაარსში უნდა ვეძიოთ. რამდენადაც რთული ზმნისწინები, განსხვავებით მარტივი ზმნისწინებისაგან, გვაწვდიან ინფორმაციას მოძრაობის (მოქმედების) ადგილის შესახებაც, ბუნებრივია, აქცენტები ამ უკანასკნელზე გადადის. შესაბამისად ზმნური შინაარსით ყურადღება გამახვილებულია სივრცეში გადაადგილებაზე, ახალი სივრცის დაკავებაზე და არა თვით მოძრა-

---

<sup>16</sup> მსგავსი წარმოება დასტურდება სხვა დინამიკურ ზმნებთანაც, რომლებიც არ აღნიშნავენ მოძრაობას. მაგრამ, რამდენადაც ასეთ ზმნებს არა აქვთ დაწყებისა და დასრულების ფაზები, თმV მაწარმოებელიც მხოლოდ მოქმედების მიმდინარეობის დროს აღნიშნავს: *გე-ფორ-უ-ა* „დაფარება“, *გე-თმი-ო-ფორ-ან-ს* „აფარებს ახლა“; *ე-ჭარ-უ-ა* „აღწერა“, *ე-თმე-ჭარ-უნ-ს* „აღწერს ახლა“; *გინო-ჭკირ-უ-ა* „გადაჭრა“, *გინ-მო-ჭკირ-უნ-ს* „გადაჭრის ახლა“ და ა.შ.

ობაზე.<sup>17</sup> მოძრაობის სრული პროცესის შესავსებად ისინი იყენებენ მარტივ-ზმნისწინიან *მე-ურ-ს* „მიდის“ ზმნას, რომელსაც რეალურად სხვა სემანტიკური დატვირთვა აქვს (შდრ. რთულზმნისწინიან ფორმები: ვით-მ-ურ-ს „ქვევით გვერდიდან გამოდის“, მით-მ-ურ-ს „ქვევით გვერდით შედის“).

6.3.1 მოძრაობის პრინციპულად განსხვავებული სემანტიკა გვაქვს **ულ-ა** „სვლა“ ზმნასთან, როდესაც იგი მარტივი *მე-* და *მო-* ზმნისწინებით არის წარმოდგენილი. რამდენადაც მოცემული ზმნისწინები გამოხატავენ მხოლოდ მიმართულებას, **ულ-ა** ზმნაც გამოხატავს აღნიშნული მიმართულებით მოძრაობას: *მე-ურ-ს* „მიდის“, *მო-ურ-ს* „მოდის“.<sup>18</sup> მაგრამ რთულზმნისწინიანი ზმნებისგან განსხვავებით, მოძრაობის დაწყებისა და დასრულების, როგორც ერთჯერადი, მომენტობრივი აქტის, ასახვა **ულ-ა** ზმნის აწმყოფს ფორმებით ისე, რომ მისი ძირითადი მნიშვნელობა უცვლელად შენარჩუნებული ყოფილიყო, შეუძლებელი აღმოჩნდა. მეორე მხრივ, ენაში მოქმედებს პროცესის შევსების, გამთლიანების ტენდენციაც: დასაწყისი და დასასრული მოძრაობის კომპონენტებია და მათი ენობრივი ასახვა აწმყოშიც ისევე ბუნებრივი ჩანს, როგორც მიმდინარეობის პროცესისა. მაგრამ სანამ შევეხებოდეთ აწმყოში მოძრაობის პროცესის გამთლიანების შესაძლებლობას, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების შეჩერება მოძრაობა-გადაადგილების პროცესისათვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებაზე, რომელიც უშუალო ასახვას პოულობს ენაში.

6.3.2 მოძრაობის დასაწყისისა და დასასრულის სემანტიკური ღირებულება ენაში განსხვავებულია. მოძრაობა ზოგადად, და განსაკუთრებით „სვლა“, პრაქტიკული ცნობიერებისათვის მიზანმიმართული ქმედებაა: სიარული მიზნის გარე-

---

<sup>17</sup> შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიმართულების სემანტიკის დაჩრდილვას ხელი იმ ფაქტ-მაც შეუწყო, რომ რთული ზმნისწინები (თავიანთი სემანტიკის გამო უფრო მეტად, ვიდრე მარტივები) გამოიყენება სტატიკურ ზმნებთანაც, სადაც ისინი საგნის მდგომარეობასა და მყოფობის ადგილსაც ახასიათებენ: *ქვო-ძ-უ* „რადაცის წინ დევს“, *„გე-ფორ-უ* „რადაცას აფარია“, *დინო-ფორ-უ* „შიგ აფარია“, *ვინო-ფორ-უ* „გადაფარებულია“, *მიკო-ფორ-უ* „მიფარებულია“ და ა.შ.

<sup>18</sup> მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინები *მე-* და *მო-* გამოხატავენ განსხვავებულ ორიენტაციასაც: *მე-* აღნიშნავს მოლაპარაკე პირისგან დაშორებას (*მე-ურს* „მიდის“), *მო-* კი მიმართულებას როგორც მოლაპარაკე პირისკენ (*მო-ურს* „მოდის“), ისე ზმირად მოძრავი სუბიექტისათვის რაიმე თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ორიენტირისაკენ (სახლი, ქვეყანა, მისთვის უკვე ცნობილი ადგილი...), რომელიც არ იმყოფება მოლაპარაკე პირის სივრცეში: *სი კოჩ, აშ მორთია, უწუ!* „შე კაცო, აქ მოდიო, უთხრა“ (ხუბ.107, 34); შდრ. *დაჭყუ ულა დო მოწყინებულო ქემორთ ცუდელა* „წავიდა („წასვლა იწყო“) და მოწყინილი მოვიდა სახლში“; *ათე ჭკოლა ჩხულეფიშა ქემორთ* „მოვიდა ამ მჭლე ძროხებთან“ (ხუბ.111, 38); *ქი-მე-როთუ ზღვაშა, მარა მიდართუ... კენი ქე-მორთუ თაქ, კენი მიდართუ, კენი ქემორთუ* „მოვიდა ზღვასთან, მაგრამ წავიდა... ისევ მოვიდა, ისევ წავიდა, ისევ მოვიდა“ (ხუბ.108, 4-5).

შე აზრს კარგავს. ეს მომენტი შესაბამისი ზმნის სემანტიკაშიც არის ნაგულისხმევი: „სკლა“, როგორც პროცესის აღმნიშვნელი, მიზნისკენ მიმართული (ფილმორის მიხედვით – Goal-oriented) ზმნაა.<sup>19</sup> მართალია, მოძრაობის დასაწყისი, როგორც ამას სემანტიკური კვლევა უჩვენებს, გულისხმობს ზრდას, განვითარებას, მომავლის პერსპექტივას,<sup>20</sup> მაგრამ თუ რამდენად მოხდება ამის რეალიზაცია, ეს მხოლოდ დასასრულში ხდება ცნობილი. „გამიზნული მოძრაობის სემანტიკა გარდაიქმნება სამოქმედო მიზნის მიღწევის, პროცესის დასრულების სემანტიკად“ (მელიქიშვილი 2002:120). სწორედ დასასრული აღნიშნავს შესრულებას, საბოლოო მიზნის მიღწევას,<sup>21</sup> რაც მას ენისათვის (და ჩვენი ცნობიერებისთვისაც) უფრო ღირებულს ხდის. შესაბამისად, ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ (ან გულისხმობენ) მოძრაობის დასასრულს, ე.ი. მიზნის მიღწევას, სემანტიკურად უფრო დატვირთულები არიან.<sup>22</sup> დასაწყისისა და დასასრულის სემანტიკის ეს განსხვავება ქმნის მათ შორის აშკარა ასიმეტრიას, რომელიც თითქმის ყველა ენაში ვლინდება. საკითხს ბოლოდროინდელ კვლევებში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა (Языки... 1999; Исследования... 2000; Семантика... 2002). ჩვენ ამჟამად გვერდს ვუვლით ასიმეტრიასთან დაკავშირებული სემანტიკური პრობლემების განხილვას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მეგრულში დასაწყისისა და დასასრულის გამოხატვა სიმეტრიულია მხოლოდ რთულზმნისწინა ფორმებში იმ აზრით, რომ მათი გაფორმება ერთი პრინციპით ხდება და მათი მნიშვნელობაც პროცესის გამოხატვის თვალსაზრისით იდენტურია.

<sup>19</sup> ეს ფაქტი ენებში სხვადასხვაგვარად გამოიხატება. კერძოდ, მეგრულში არამიმართული, ზოგჯერ უმიზნო, მოძრაობის აღსანიშნავად გამოიყენება ზმნისწინი *გელა* (=ქართ. და-ს). შდრ. ერთის მხრივ, მიმართული მოძრაობა: *ემ-ძი-რულ-ე* „ზევით არბის“, *გე-ძი-რულ-ე* „აღმართზე არბის“, *დიე-ძი-რულ-ე* „დაღმართზე ჩარბის“, *მიშ-ძი-რულ-ე* „შუაში შერბის“ და მეორე მხრივ, უმისამართო მოძრაობა: *გელე-რულ-ე* „აქეთ-იქეთ დარბის“; *მე-ურ-ს* „მიდის“ და *გელ-ურ-ს* „აქეთ-იქეთ დადის“, *მე-ფურინ-უნ-ს* „მიფრინავს“ და *გელა-ფურინ-უნ-ს* „აქეთ-იქეთ დაფრინავს“ და მისთ. ზემოთქმული არ ვრცელდება *მი-ზმნისწინზე*, რომელიც, მართალია, არ განასხვავებს აქეთა და იქეთა მიმართულებას, მაგრამ მაინც მიმართულ მოძრაობას გულისხმობს: ან აქეთ ან იქეთ და არა აქეთ-იქეთ უმისამართო გადაადგილებას. შდრ. *მი-რულე* (აშო) „მობრბის აქეთ“, *მი-რულე* (ვიშო) „მობრბის იქეთ“.

<sup>20</sup> დასაწყისის ამგვარი სემანტიკა მრავალ ენაში ვლინდება (ქართულისათვის იხ. (აფრიდონიძე 1980:85-92).

<sup>21</sup> აღნიშნულ მოვლენასთან კავშირში შეიძლება განვიხილოთ ქართულში შექმნილი ვითარებაც, როდესაც ზმნის სრული მნიშვნელობა მხოლოდ ასპექტიან ფორმებში ვლინდება, ე.ი. მაშინ როდესაც მოქმედება დასრულებული სახით არის წარმოდგენილი. შდრ. აწმ. აშენებს, აორ. ა-აშენა, და-აშენა, მი-აშენა, ჩა-აშენა, ამო-აშენა და ა.შ.

<sup>22</sup> მაგ., ჩვენი დაკვირვებით (რომელსაც ამ ეტაპზე არა აქვს სისრულის პრეტენზია), *მე-* ზმნისწინით გაფორმებული დინამიკური ზმნები გამოირჩევიან როგორც განსხვავებული სემანტიკური ჯგუფების სიმრავლით, ისე დასასრულისკენ მიმართული ზმნების სიზშირით.

6.3.3 მეგრულში მოძრაობის ნაკლული პროცესის გამთლიანების თვალსაზრისით ულ-ა „სვლა“ ზმნა განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს, ვიდრე ზემო-განხილული შემთხვევები, სადაც მოცემული დანიშნულებისათვის მეტ-ნაკლებად შესაფერისი ენობრივი საშუალებები მაინც მოიძებნა. საკუთრივ „სვლის“ მნიშვნელობით ულ-ა ზმნის აწმყოში დაწყებისა და დასრულების გამოხატვა პროცესის სახით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლოკალური ნიუანსების გარეშე პრინციპულად შეუძლებელია, ხოლო არსებულ ენობრივ საშუალებათა შორის გამთლიანებისათვის რამდენადმე შესაფერისი ფორმა არ აღმოჩნდა. სწორედ ამ ფაქტორებს უნდა შეექმნა საფუძველი ახალი ერთეულის ჩამოყალიბებისათვის. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ დასასრულის სემანტიკის მნიშვნელობას, სიახლე უნდა დაწყებულიყო მე-ურ-ს „მიდის“ ზმნასთან. ამას გვაფიქრებინებს ულ-ა ზმნის სემანტიკაში დეიქტური კომპონენტის როლიც. საქმე ის არის, რომ მო-ურ-ს „მოდის“ ფორმაში, რომელიც აგრეთვე დასასრულს გულისხმობს, პირდაპირი მინიშნებაა მოლაპარაკეზე, როგორც მოძრაობის ორიენტირზე. ეს ფაქტი მიანიშნებს დეიქტური კომპონენტის მნიშვნელობაზე მოცემულ ზმნურ ფორმაში: მოძრაობის მიზანი უკვე განსაზღვრულია, რაც საგრძნობლად ზრდის მიზნის შესრულების მოლოდინს და შესაბამისად ამცირებს მისი მიღწევის სურვილს ზმნის სემანტიკაში. იქეთა მიმართულების გამომხატველ მე-ურ-ს ზმნის სემანტიკაში კი, პირიქით, რამდენადაც გარკვეული ორიენტირი არ ივარაუდება, დეიქტური კომპონენტი შესუსტებულია (ან თითქმის არ იგრძნობა) და დომინირებს მიზნის მიღწევის კომპონენტი. შესაბამისად, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ზმნაში ამ მომენტის გამოხატვა. აწმყოს ფორმათა შესაძლებლობის ფარგლებში სწორედ ეს ფუნქცია უნდა დაკისრებოდა თმV მაწარმოებელს.<sup>23</sup>

6.3.4 ულ-ა ზმნის ფუძეში აღნიშნულ მაწარმოებელს შემოაქვს ახალი, აწმყოში ერთადერთი შესაძლებელი, შინაარსი დასასრულის, ე.ი. მიზნის მიღწევის, გამოსახატავად (აღწერითი წარმოება მხედველობაში არ მიიღება). ეს არის მიზანთან მაქსიმალური მიახლოება, იმდენად მჭიდროდ მისვლა, რომ მიზნის მიღწევა უკვე ეჭვს არ იწვევს, მიზანი თითქმის მიღწეულია: მე-ურ-ს „მიდის“ – მე-თმე-ურ-ს „მჭიდროდ უახლოვდება“ (თუმცა სვლა ჯერ არ დამთავრებულა, შდრ. მაგრამ უკვე თითქმის მივიდა). ასეთივე შინაარსი ჩნდება ბუნებრივი მოძრაობის გამომხატველ სხვა ზმნებთანაც: მე-ფურინ-უნ-ს „მიფრინავს“ – მე-

<sup>23</sup> აღნიშნული ფუნქციით თმV შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური დანიშნულების ზმნისწინად. აგებულების თვალსაზრისით იგი იმეორებს რთული ზმნისწინის მოდელს: შედგება ორი ელემენტისაგან, მაგრამ სხვა თანმიმდევრობით. თმ-ს ფუნქციიდან გამომდინარე, მისი მეორე კომპონენტი შეიძლება მივიჩნიოთ ელასტიურ მე ზმნისწინად (შდრ. ხუბუას მეო, თუმცა ავტორი მას ნაწილაკად მიიჩნევს და არ იძლევა მის კვალიფიკაციას). რაც შეეხება პირველ კომპონენტს, მისაღებად ვთვლით ხუბუას ვარაუდს, რომ ეს იგივე თ (=ქართ. ც) ნაწილაკია, თუმცა მიგვაჩნია, რომ მისი ხმოვნური ელემენტის საკითხი სხვაგვარ გადაწყვეტას მოითხოვს.

*თმე*-ფურინ-უნ-ს „ფრენით უახლოვდება“ (თითქმის მიფრინდა); *მე-ხოხ-უნ-ს* „მიხოსავს“ – *მე-თმე-ხოხ-უნ-ს* „ხოხვით უახლოვდება“ (უკვე თითქმის მიხოსდა) და ა.შ. ეგევე შინაარსი უჩნდებათ მოძრაობის აღმნიშვნელ ბ ჯგუფის (იხ. სქოლიო 9) ზმნებს თმV მაწარმოებლის დართვისას: *მი-ძვაძვ-ალ-უ* „მიძუნძულებს“ – *მე-თმი-ძვაძვ-ალ-უ* „მჭიდროდ უახლოვდება“ (თითქმის მიძუნძულდა), *მი-ცვაცვ-ალ-უ* „მიცუნცულებს“ – *მე-თმი-ცვაცვ-ალ-უ* „მჭიდროდ უახლოვდება“ (თითქმის მიცუნცულდა) და მისთ.<sup>24</sup>

ახალი მაწარმოებელი თანდათანობით გავრცელდა ჯერ მოძრაობის აღმნიშვნელ სხვა ზმნებზე, ხოლო შემდეგ სხვა დინამიკურ ზმნებზეც, თუმცა განსხვავებული სემანტიკური ფუნქციით (იხ. 6.3). მაგრამ ამ ინოვაციას, თავის მხრივ, მოჰყვა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც. ვფიქრობთ, ფორმათა დამთხვევა სწორედ მას შემდეგ უნდა დაწყებულიყო, რაც ახალი ერთეული მტკიცედ დამკვიდრდა აწმყოს ფუძეში და ფორმათა გამიჯვნაც მას დაუკავშირდა.

ცვლილება დაიწყო მყოფადის ფუძის გამარტივებით, რაც ძირითადად გამოიხატა ასპექტის მაწარმოებლის დაკარგვით. პროცესი შეეხო მხოლოდ სადერივაციო ზმნისწინებით გაფორმებულ ფუძეებს, ე.ი. სწორედ იმ ფუძეებს, რომელთა აწმყოს ფორმებშიც გვხვდება *თმე* მაწარმოებელი. ამ უკანასკნელის არსებობამ ჭარბი გახადა მყოფადის ფუძეში ასპექტის, როგორც აწმყოსა და მყოფადის ფუძეთა განმასხვავებელი, ნიშანი (იხ. 2). ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებასაც, რომ მყოფადის უნიშნო ფორმებმა მაინც შეინარჩუნეს სრული ასპექტის გაგება.

ნაწილობრივ ცვლილებები შეეხო მყოფადის იმ ფორმებსაც, რომლებიც ასპექტს ფუძეთა მონაცვლეობით აწარმოებენ. რამდენადაც აწმყო-მყოფადის ფორმათა დამთხვევა *თმე* მაწარმოებლის საშუალებით აცილებული აღმოჩნდა, მყოფადის ფორმებში აორისტიის ფუძის ნაცვლად ვრცელდება აწმყოს ფუძე. შდრ.:

*დინ-ულ-ა* „ჩასვლა“, აწმ. *დინ-მ-ურ-ს* „ჩადის“, აორ. *დინი-ლ-უ* „ჩავიდა“, მყოფ. *დინი-ლ-ენ-ს* / *დინ-ურ-ს* „ჩავა“;

*გით-ულ-ა* „გამოსვლა“, აწმ. *გით-მ-ურ-ს* „გამოდის“, აორ. *გითი-ლ-უ* „გამოვიდა“, მყოფ. *გითი-ლ-ენ-ს* / *გით-ურ-ს* „გამოვა“;

*მინ-ულ-ა* „შესვლა“, აწმ. *მინ-მ-ურ-ს* „შედის“, აორ. *მინი-ლ-უ* „შევიდა“, მყოფ. *მინი-ლ-ენ-ს* / *მინ-ურ-ს* შევა და ა.შ.

<sup>24</sup> რაც შეეხება ზმნებს, რომლებიც ორმაგ მოქმედებას აღნიშნავენ, მათთან მოცემული მაწარმოებელი საკმაოდ იშვიათია და, ჩვეულებრივ, უკავშირდება მხოლოდ ძირითად მოქმედებას, აკონკრეტებს მოქმედების დროს: *მე-კუს-ან-ს* „მიიკვნესის, კვნესით მიდის“ – *მი-თმი-ო-კუს-ან-ს* „ამოიკვნესებს (ახლა)“.



## ლიტერატურა

- არაბული 1999:** ა. არაბული, ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი.
- ასათიანი 1997:** ი. ასათიანი, ზანური პრევერბი და მიქცევით-უკუქცევითობის საკითხი, „გიორგი როგავას“ (საიუბილეო კრებული), თბილისი.
- აფრილონიძე 1980:** გა(6)- და და- ზმნისწინები ანტონიმებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადი, VII, თბილისი.
- გუდავა 1969:** ტ. გუდავა, მახვილის ადგილისათვის მეგრულში, „თბილისის უნივერსიტეტი – გიორგი ასვლედიანს“, თბილისი.
- გუდავა, გამყრელიძე 2000:** ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმომავთა კომპლექსები მეგრულში, თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი.
- დანელია 2006:** კ. დანელია, კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბილისი.
- თოფურია 1967:** ვ. თოფურია, შრომები, I, თბილისი.
- იაკობსონი 1966:** R. Jakobson, Zur Struktur des russischen Verbum, "Readings in Linguistics", II, Chicago.
- მარგველაშვილი 1980:** მ. მარგველაშვილი, მყოფადის წარმოებისათვის მეგრულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 23, თბილისი.
- მელიქიშვილი 2002:** ი. მელიქიშვილი, ქცევა, როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოსატვის საშუალება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბილისი.
- პადუჩევა 2002:** Падучева Е.В., Дейкитические компоненты в семантике глаголов движения. "Семантика ..." (იხ. ქვემოთ).
- როგავა 1953:** გ. როგავა, დრო-კილოთა მეთხე ვგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი.
- ქაჯაია 2001:** ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.
- ქაჯაია 2002:** ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.
- ყიფშიძე 1914:** И. Кипшидзе, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка с хрестоматией и словарем, С. Петербургъ.
- ჩიქობავა 1938:** არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტფილისი.
- ჩიქობავა 1950:** არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1, თბილისი.
- ჭუმბურიძე 1986:** ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.
- ხუბუა 1942.1:** მ. ხუბუა, მტკიცებითი ქო ნაწილაკის ხმარებისათვის მეგრულში, „საქართვე. მეცნ. აკად. მოამბე“, III, № 6, თბილისი.
- ხუბუა 1942.2:** მ. ხუბუა, უარყოფითი ვა ნაწილაკი მეგრულში, „საქართვე. მეცნ. აკად. მოამბე“, III, № 7, თბილისი.
- ხუბუა 1942.3:** მ. ხუბუა, თე ნაწილაკის ბუნებისა და დანიშნულებისათვის მეგრულში, „საქართვე. მეცნ. აკად. მოამბე“, III, № 7, თბილისი.
- ხუბ.:** მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი.
- Исследования... 2000:** Исследования по семантике предлогов, сборник статей, Москва.
- Семантика... 2002:** Логический анализ языка. Семантика начала и конца, Москва.
- Языки 1999:** Логический анализ языка. Языки динамического мира, Дубна.

**On One Peculiarity of the Present Stem in Megrelian**  
Grammatical and Semantic Aspects

Summary

In Megrelian, in the present stem of dynamic verbs appears the formant **tmV**, which is considered to function as a distinguisher between present and future forms (present: e-**tme**-ϕ'opuns "he takes" – future: e- ϕ'op-uns "he will take"). In parallel with the aspect difference existing between these forms, the appearance of a new differentiating marker is less probable. It seems more acceptable to assume that it appeared in order to express a verb meaning, which had become necessary from the semantic point of view, but could not have been conveyed by the present forms. This is suggested by the meaning of **tmV** which it acquires with the verb **me-urs** "he goes". This is the only meaning possible in the present for denoting the end of movement, i.e. achievement of the goal: maximum approximation to the goal, getting so close to it that its attaining is not doubtful any longer (the movement is not finished yet, though). Its distribution (with a different function) with other dynamic verbs seems to be a later phenomenon.

ნათია ჩინჩალაძე

### იდიომები და თავისუფალი სიტყვათმხამზანი შიო არაგვისპირელის ნოველებში

ყველა მწერალს ინდივიდუალური წერის სტილი აქვს. მწერალი ცდილობს შეიმუშაოს საკუთარი სტილი და გამოირჩეს სხვა მწერლებისაგან.

შიო არაგვისპირელის ენის ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ თავისებურებათა ანალიზი გარკვეული თვალსაზრისით გვიჩვენებს მისი სტილის თავისებურებას.

შიო არაგვისპირელის თხზულებათა ენის ერთ-ერთ სტილურ თავისებურებას სწორედ იდიომები თუ ფრაზეოლოგიზმები – ენაში მზა სახით არსებული მყარი სიტყვათმხამზანები შეადგენენ. ისინი, როგორც ხალხის შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფი, ორგანულად ერწყმიან პოეტურ არქიტექტონიკას. ფრაზეოლოგიზმებიც და იდიომებიც წინადადებაში იხმარებიან გარკვეული სიტყვებისა და თქმების სინონიმებად და მათთან შედარებით უფრო ექსპრესიულად და ემოციურად გამოხატავენ აზრს. გარდა ამისა, იდიომები შეიცავენ ეროვნული ენის ნიშანდობლივ თვისებებს, ამჟღავნებენ მეტყველების ინდივიდუალურობას, გამომხატველობას, მახვილგონიერებასა და თავისებურ სილამაზეს. ამიტომ მხატვრული ნაწარმოებებისა და განსაკუთრებით – მახვილსიტყვაობისათვის იდიომი მნიშვნელოვანი სამკაულია. იგი, უპირველეს ყოვლისა, არის აზრის ხატოვნად გადმოცემის ენობრივი საშუალება. „...ხალხური იდიომები მხატვრული ენის საშენ მასალას წარმოადგენენ. ისინი მწერლის ენას უაღრესად დიდ ესთეტიკურსა და ემოციურ ძალას ანიჭებენ, ავტორის მსოფლმხედველობასა და ნაწარმოების იდეურ-თემატიკურ მიმართულებას უფრო გასაგებს ხდიან“ (ლლონტი 1975:306).

შიო არაგვისპირელის პროზა გამოირჩევა იდიომების სიუხვით, ისინი უხვადაა როგორც ავტორისეულ, ასევე პერსონაჟთა მეტყველებაში. ენობრივ ფორმულებს მიდრეკილება აქვთ იმისკენ, რომ ფორმის სიმყარესთან ერთად შექმნან გარკვეული სიმყარე სიტყვათგანლაგებაშიც.

შიო არაგვისპირელმა კარგად იცის თავისი ხალხის ისტორია, მისი ზნეჩვეულებანი, ტრადიციები. ამიტომაც უხვად იყენებს ქართველი ხალხის ცხოვრებასთან დაკავშირებულ იდიომებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა.

ცნობილია, ფრაზეოლოგიზმებისათვის ძირითადია სტილისტური ფუნქცია. ისინი მეტყველებაში ისეა მოხმარებული, როგორც ტროპი, ე.ი. წარმოადგენს სიტყვის ან გამოთქმის გადატანით მნიშვნელობით გამოყენების ერთ-ერთ სახეობას, ამიტომ მათი სიუხვე, ცხადია, ამდიდრებს ენას. ასეთ შემთხვევაში მეტყველება „უფრო ტევადი ხდება, ფორმით უფრო დახვეწილი, რაც შესაძლებლობას იძლევა დამატებითი ახსნა-განმარტებების გარეშე გადმოიცეს პერ-

სონაჟის სულიერი სამყარო, მისი მრწამსი ან თუნდაც წამიერი გუნება-განწყობილება“ (გვენცაძე 1974:55).

შიო არაგვისპირელის თხზულებებში გვხვდება:

1) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც საყოველთაოდაა გავრცელებული და ასახული არსებულ ლექსიკონებში.

2) გამოთქმები, რომლებიც საანალიზო ტექსტში მოცემული სახით არ არის დამოწმებული ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში (როგორიცაა, მაგალითად, „თავის სარქველი ამხადე“, „ნაპერწყლები ბლუჯა-ბლუჯა ასდიოდა“ და ა.შ.).

შეგნიშნავთ, რომ შიო არაგვისპირელის ნაწერებში დასტურდება ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა სინონიმური ვარიანტებიც („ყურს მიაქცევს/თვალს მიაქცევს“, „ბუხს არ იფრენს/ბუხს არ ისვამს“...).

შიო არაგვისპირელის პერსონაჟების „იდიო-სტილების გალერეა“ მოიცავს სხვადასხვა სოციალური ფენის, პროფესიის, ასაკის, ფსიქიკის, განათლების წარმომადგენლებს. ნაჩვენებია წარმოთქმის თავისებურებებიც, ადამიანის ურთულესი შინაგანი სამყარო, ხასიათი. გმირების ხასიათი მათსავე ფრაზებშია გადმოცემული. ამ იდიომების საშუალებით ავტორი გვიჩვენებს ნაირგვარ განწყობილებას – ეჭვს, შიშს, უიმედობას და ა.შ.

წარმოვადგენთ შიო არაგვისპირელის თხზულებებიდან ამოკრებილ იდიომებს:<sup>1</sup>

1) ალიყურის ჭმევა – სილის გაწნა (ონიანი 1966): თავი დამანებე, ბაღლო, თორემ ისეთ *ალიყურს გაჭმევ* ამ გაჯავრებულ გულზე, რომ... (არაგვისპირელი, 37);

2) გულის ათამაშება – მოხიბვლა, მოწონება, სიამოვნების შეგრძნება, გულის აფანცქალება (ონიანი 1966): მაშინ მე ჩვენებურს გოგოებს *გულს აუთამაშებდი*, – სიცილით უპასუხა ილიკომ. – ბუზიკის დაკვრა კი არა, გინდა დაირის დაკვრა ისწავლო, ჩვენებურს გოგოებს *გულს ვერ აუთამაშებ* (არაგვისპირელი, 5);

3) გულის გადაქანება – გულის გადატრიალება, შეშინება, შეწუხება, გულის გახეთქვა, ელდის დაცემა, გულის გადაბრუნება (ონიანი 1966): თიკოს *გული გადაუქანდა* და ნაზი სახე ჯერ შეეფერფლა (არაგვისპირელი, 57);

4) გულის გამონასკვა – გულის ამოჯდომა, აქვითინება, ატირება (ონიანი): მანარეს *გული გამონასკვა* და თვალთ წამოაჟონა (არაგვისპირელი, 401);

5) გულის გახეთქვა – შეშინება, შეძრწუნება, გაბრაზება, გაჯავრება (ვისიმე) (ონიანი), შეშინება, შეზარვა, შეძრწუნება (ხატ. სიტყვა-თქმ.): შვილო, *გულს ნუ მიხეთქავ*, სხვების აყოლა შენ არ გამოვადგება (არაგვისპირელი, 111);

6) გულის კარის გაღება – საიდუმლოს გამჟღავნება, გულის გაღება, გულის გადაშლა, გამხიარულება (ონიანი 1966): მანარემ მხოლოდ ახლა *გააღო გულის კარი* (არაგვისპირელი, 400);

<sup>1</sup> არაგვისპირელის თხზულებებიდან ამოკრებილი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, იდიომები შევუჯერეთ შემდეგ ლექსიკონებს: სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტ. I, 1991; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII (1950-1964).

- 7) გულის მოფხანა – ჯავრის ამოყრით სიამოვნების მიღება, გულის მოოხება (ონიანი), სანუგეშო, კარგი რამის გაგონება, გულიდან სადარდებლის მოშორება, ვისიმე ჯავრის ამოყრა, სიამოვნება, სიხარული (ხატ. სიტყვა-თქმ.): **გული რომ მომეფხანა**, მაშინლა ავიხედე მალლა (არაგვისპირელი, 419);
- 8) გულის გაქვაება – გულქვა, შეუბრალებელი გახდომა (ონიანი): **რამ გაუქვაა გული**, რომ ეგრე, როგორც შენ ამბობ, ცეცხლის ალში ჰყევხართ? (არაგვისპირელი, 41);
- 9) გულის ყელში მობჯენა – გაბრაზება, გაჯავრება, სულის შეხუთვა (ბრაზისგან, ჯავრისგან), გულზე ცეცხლის მოკიდება (ონიანი 1966): **გული ყელში მობჯინა** – ძალზე გაჯავრდა, გაფიცხდა, გაცოფდა. ძალიან გაბრაზების დროს სული გვიგუბდება და ისეთ გრძნობას განვიცდით, თითქოს **გული** ბუდიდან დაიდრა, **ყელში მოგვებჯინა** ან შიგ ჩაგვეჩარა და გარეთ გამოსვლას ჰლამობსო (ხატ. სიტყვა-თქმ.): ისე მომწყინდება, მომინდება ტირილი, **გული ყელში მობეჯინება** (არაგვისპირელი, 304); ვეღარ გაათავა სიტყვები, გული ყელში მობეჯინა. (არაგვისპირელი, 425);
- 10) დღეები დათვლილი აქვს – (ვისამე, რისამე) აღსასრული მოახლოებულია, მალე მოკვდება, დიდხანს ვერ იცოცხლებს (ონიანი); ცოტა ხნის სიცოცხლე აქვს დარჩენილი, დიდი ხნის არსებობა არ უწერია (ხატ. სიტყვა-თქმ.): ეხლა, **როცა ჩემი დღენი დათვლილია...** (არაგვისპირელი, 45);
- 11) ენა მუცელში ჩამივარდა – გაეჩუმდი, დავლუმდი, ხმა ჩავიწყვიტე, ენა დამება, ხმა ჩამიწყდა (ონიანი 1966); ლაპარაკი ვერ შევძელი, დავმუნჯდი (ხატ. სიტყვა-თქმ.): ქალი კარებს აუტუზა, მეც **ენა მუცელში ჩამივარდა** (არაგვისპირელი, 42);
- 12) თავ-ლაფის დასხმა – შერცხვენა, თავის მოჭრა (ონიანი): ღვინის ქურდობა კარგი არ არის, ხვალ **თავლაფს დაგასხავენ** (არაგვისპირელი, 115);
- 13) ლაფში გასვრა – შერცხვენა (ონიანი 1966): სრესენ თავიანთ კაცურ ღირსებას და **ლაფში სვრიან** (არაგვისპირელი, 47);
- 14) თავ-პირის გლეჯით – ძალიან სწრაფად, ჩქარა (ონიანი): ყვეფით და **თავ-პირის გლეჯით** მისდევდნენ ტყისკენ მიმობინავ მგელს (არაგვისპირელი, 39);
- 15) თავის სარქველის ახდა – შეწუხება, თავის წაღება. თავის სარქველი ნუ ამხადე – თავს ნუ მახეზრებ, საქმე ნუ გამიჭირე (ხატ. სიტყვა-თქმ.): **თავის სარქველი კი ამხადე** მაგდენის ჩიხინით (არაგვისპირელი, 26);
- 16) თვალეში ნაცრის მიყრა – მოტყუება, თვალის ახვევა, ყინულზე გაცურება (ონიანი 1966): უნმა მომიარა, ჩამექროლებინა ჩემი ცხენით, რომ მტრისთვის **თვალეში ნაცარი მიმეყრა** (არაგვისპირელი, 33);
- 17) თვალეზიდან წინწკლების წამოცვენა – განრისხება, გაავება, გააფთრება (ონიანი): **თვალეზიდან სულ წინწკლები წამოსცივდა** (არაგვისპირელი, 8);
- 18) თმის მალლა წასვლა – შდრ.: თმის ყალყზე დადგომა – შეშინება, აღელვება, შეძრწუნება, აღშფოთება (ონიანი 1966); მეტისმეტად შეშინება, გულის შეზარვა, უზომოდ აღელვება, გულის გახეთქვა (ხატ. სიტყვა-თქმ.): **თმა მალლა წამივიდა**, მეგონა, ვაი თუ თამრო გათავდა (არაგვისპირელი, 340);

- 19) კალთების დაგლეჯა – ხვეწნა, ჩაციებით თხოვნა, მუდარა (ონიანი 1966): ქუჩა-ქუჩა დადის ერთი გიჟი ადამიანი და გამვლელ-გამომვლელს მოსვენებას არ აძლევს, *კალთებს აგლეჯს* (არაგვისპირელი, 147);
- 20) კუდამდე ტყავის გაძრობა – შავი დღის დაყრა, ძალიან გაღარიბება, გაყვლეფა, ტყავის გაძრობა (ონიანი 1966); ძალზე დაზარალება, მთლად გაღარიბება, ყველაფრის წართმევა, ცარიელ-ტარიელად დატოვება (ხატ. სიტყვა-თქმ.): კარგები არიან ჩემი სიძეები, მაგრამ *კუდამდის ტყავი კი გამამძვრეს* (არაგვისპირელი, 148);
- 21) მგლის თვალით ცქერა – არმოწონება, გულში მისი სიძულვილის აღძვრა, ათვალწუნება, ბოროტების გამოხატვა (ხატ. სიტყვა-თქმ.): ყველამ *მგლის თვალით დაუწყო ცქერა* (არაგვისპირელი, 464);
- 22) მიწამ პირი უყო, ცამ ჩაყლაპა – უკვალოდ დაიკარგა, გაქრა, დედამიწამ ჩაყლაპა – ანაზღეულად გაუჩინარდა (ონიანი); დაიკარგა (ვინმე, რამე), უკვალოდ, მისი სადაურობა ვერ გაიგეს (ხატ, სიტყვა-თქმ.): *მიწამ უყო პირი თუ ცამ ჩაყლაპა*, უეცრად დაიკარგა (არაგვისპირელი, 24);
- 23) პირის გახსნა – ხმის ამოღება, ლაპარაკის დაწყება, კრიჭის გახსნა (ონიანი): ამით *აუხსნა* გიგოლამ დანარჩენებს *პირი* (არაგვისპირელი, 90);
- 24) რა თავში იხლის – რაში დასჭირდება, რისთვის გამოადგება (ონიანი 1966): ნეტავ რა *თავში იხლიან* ჯოხებს (არაგვისპირელი, 9);
- 25) რჯულამდე ჩაყოლა – ჩაცივება, არმოშვება, ბოლომდე გამორკვევა (რისამე) (ონიანი), არაფრის შერჩენა, რჯულის გმობა (ხატ. სიტყვა-თქმ.): მათი ამბავი ხომ იცი, *რჯულამდე ჩაყვებიან* (არაგვისპირელი, 21);
- 26) სულის ყელში მოებჯინა – გაბრაზება, გაჯავრება, სულის შეხუთვა (ბრაზისგან, ჯავრისგან), გულზე ცეცხლის მოკიდება (ონიანი 1966): დაიღალა და *სული ყელში მოებჯინა* (არაგვისპირელი, 107);
- 27) ტანში ჟრუანტელის დაგლა – გაფრიალება (რამე განცდის გამო) (ონიანი 1966): ცოფიანი ძაღლების ხსენებაზე ხომ *ტანში ჟრუანტელმა დამიარა* (არაგვისპირელი, 49);
- 28) ტყავის გაძრობა – მკაცრად მოპყრობა, დატუქსვა, შავი დღის დაყრა, ჩავრა, გაყვლეფა, მძიმე პირობებში ჩაყენება, ცემა, ძალიან ძვირად გაყიდვა (რისამე) (ონიანი 1966); ძალით წართმევა, ტანჯვა, გაძარცვა, ძვირად გაყიდვა რისამე, წამება, არაფრის შენარჩუნება (ხატ. სიტყვა-თქმ.): ჩაფრებს დაუქმანებ და სულ *ტყავს ვაგაძრობ* (არაგვისპირელი, 420);
- 29) ფხის გამოჩენა – მარჯვედ, ყოჩაღად, მოხერხებულად მოქცევა (ონიანი 1966): თქვენ *ფხა გამოიჩინეთ* და მტერს მტრულად დაუხვდით (არაგვისპირელი, 115);
- 30) ყალყზე შედგომა – უცებ აღელვება, აბობოქრება (ონიანი 1966), ყალყზე დადგომა – უსაზომო აღშფოთება, გულის მოსვლა, განრისხება, გაჯავრება (ხატ. სიტყვა-თქმ.): ცოტაც მომისმინე და შემდეგ გინდ *ყალყზე შედექი* (არაგვისპირელი, 17);

31) ყურმოჭრილი ყმა – (ვისამე) მონა-მორჩილი, ნება-სურვილის უსიტყვოდ შემსრულებელი (ონიანი 1966); მორჩილი უსაზღვროდ, სიტყვაშეუბრუნებლად, მონა-მოსამსახურე, საკუთარ აზრს მოკლებული, სხვისი რჩევებით მოქმედი (ხატ. სიტყვა-თქმ.): ადრე რომ შეეტივნა, ის მაშინვე *ყურმოჭრილი ყმასავით* უკან დაიხვედა (არაგვისპირელი, 225);

32) ყური არ ათხოვა – არ მოუსმინა, ყური არ დაუგდო, ყურადღება არ მიაქცია, ანგარიში არ გაუწია (ონიანი 1966): მე *ყური არ ვათხოვე* იმის ლაპარაკსა (არაგვისპირელი, 28);

33) შავი ფიქრი – მწუხარება, შავი ფერთა შორის ყველაზე უმეტესად ბნელი ფიქრისაა და სინონიმია უბედურების, ტანჯვა-წვალებით ცხოვრებისა, გლოვა-მწუხარებისა, ჯოჯოხეთისა, სიბინძურისა, ჭუჭყისა და სხვა. ეს ფერი ყველაზე საძულველია და საზარელია, და, ბუნებრივია, მის ხსენებაზე ადამიანს უნებლიეთ ტანში აჟრჟოლებს ხოლმე (ხატ. სიტყვა-თქმ.): მაგდანა ისევ თავის *შავ ფიქრებს* მიეცა (არაგვისპირელი, 22); ისევ ჩქარა აეშალა *შავი ფიქრი* (არაგვისპირელი, 24);

34) ცეცხლში ჩაგდება – განსაცდელში, სახიფათო მდგომარეობაში ჩაყენება, გაწამება, ცუდ დღეში ჩაგდება (ონიანი 1966): შენი ოჯახი დააქციოს ღმერთმა, შენ რომ *ამ ცეცხლში ჩამავლე* (არაგვისპირელი, 55);

35) ჭირის ოფლმა დაასხა – მეტად გაუჭირდა, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა (ხატ. სიტყვა-თქმ.): როგორც კი თვალი მოჰკრა, *ჭირის ოფლმა დაასხა* (არაგვისპირელი, 362);

36) ხაფანგის დაგება – მახის დაგება, საფრთხის განსაცდელის შექმნა, ხრიკების მოწყობა (ონიანი 1966); გაცურება, მოტყუება (ხატ. სიტყვა-თქმ.): მღვდელი, უთუოდ, რაიმე *ხაფანგის დაგებას* მიპირებს (არაგვისპირელი, 27);

37) ჯანი გავარდეს და სული წაუვიდეს – რაც უნდა, ის მოხდეს, ჯანდაბას, არ მენადვლება (ონიანი 1966): არ ვიშოვი და *ჯანი გავარდეს და სული წაუვიდეს* (არაგვისპირელი, 90);

38) ჯოჯოხეთის მაშხალა – ძალიან უშნო, მახინჯი, ცუდი გარეგნობის ადამიანი (ონიანი 1966), საშინელი, უშნო (ხატ. სიტყვა-თქმ.): ჩემმა ბრძანებების კილომ ძალიან შეაშინა ეს *ჯოჯოხეთის მაშხალა* (არაგვისპირელი, 49);

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი იდიომების უმრავლესობა ცნობილია და ხშირად იხმარება. მაგრამ შიო არაგვისპირელთან ისეთი იდიომებიც დასტურდება, რომელნიც მოცემული სახით აღნუსხული არ არის, თუმცა ოდნავ განსხვავებული ვარიანტები ცნობილია, ასეთებია:

1) დროის ხელში ჩაგდება – ვერ მოცლა, შესაფერისი, თავისუფალი დროის გამონახვა: ეს ოხერი *დრო ხელთ ვერ ჩავივლე* (არაგვისპირელი, 20);

2) თვალი მოასწრო – დაინახა: ჩაფარმა ურმებს *თვალი მოასწრო* (არაგვისპირელი, 7); შდრ.: თვალი შეასწრო – ოდნავ, გაკვრით დაინახა (ხატ. სიტყვა-თქმ.);

3) სუნთქვა შეგაყენეთ, (შდრ.: სუნთქვა შემეკრა) – დავიძაბეთ, უხმოდ შევჩერდით: *სუნთქვა შეგაყენეთ*, დავუწყეთ ლოდინი (არაგვისპირელი, 15).

როგორც ჩანს, ფრაზეოლოგიზმებით მეტყველება შიო არაგვისპირელის ენობრივი სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევისას მწერალი უპირატესობას სწორედ ფრაზეოლოგიზმებს ანიჭებს. ხშირად ავტორი ერთ წინადადებაში რამდენიმე ფრაზეოლოგიურ გამოთქმას მიმართავს, რითაც მეტ გამომსახველობას ანიჭებს ფრაზას, ამწვავეებს სათქმელს, თითქოს უფრო რიტმულსაც ხდის: „რამ გაუქვავა გული, რომ ეგრე ცეცხლის ალში ჰყევხარ?“, „მაგდანასაც ბედნიერი დღისათვის მზადება უფრო უცხოველებდა შავ ფიქრებს, უფრო ფრთებს ასხამდა“...

მწერალი ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით ახდენს საგნის ან მოვლენის ხატოვან დახასიათებას, ქმნის პერსონაჟის პორტრეტს, გადმოსცემს მის ბუნებას, ხასიათს, ოსტატურად იყენებს მათ შეხედულებების, შინაგანი სამყაროს უფრო თვალსაჩინოდ დასახატავად.

### **ლიტერატურა**

**არაგვისპირელი:** შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი.

**გვენცაძე 1974:** ა. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბილისი.

**ღლონტი 1975:** ალ. ღლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

**ონიანი 1966:** ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

**ზატ. სიტყვა-თქმ.:** თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმები, თბილისი 1979.

ალ. ღლონტი, ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი 1984.

თ. შავიშვილი, ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბილისი 1975.

ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი 1978.

*Natia Chinchaladze*

## **Idioms and Free Word-groups in Shio Aragvispireli's Short Stories**

### **Summary**

Phraseological manner of writing is one of the points of Shio Aragvispireli's language. While selecting words, the writer gives preference to phraseological expressions. The author often uses several phraseological units in the same sentence. In this way he gets more expressive phrases, intensifies his own expressions and makes them more rhythmical. By using idioms he makes events more figurative, creates the portraits of characters and skillfully uses phrases to depict the nature of his heroes.



კომპიუტერული ლინგვისტიკა

ოლეგ კაკანაძე

**სასრული მდგომარეობის ავტომატთა თეორიაზე დაფუძნებული  
ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის სისტემა<sup>1</sup>**

**პრობლემის აქტუალობა**

ენის ტექნოლოგია არის ბუნებრივი ენების კომპიუტერის მეშვეობით დამუშავებისათვის მოწოდებული სამეცნიერო კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ინტერდისციპლინური დარგი. მისი კვლევის სფეროში შედის ხელოვნური ინტელექტის კომპიუტერული სისტემები, რომელთა მიზანია სემანტიკური ქსელის ტექნოლოგიების, ინფორმაციის დამუშავების, ბუნებრივი ენის ტექსტის თარგმნისა და მეტყველების ამომცნობი სისტემები შექმნა, ვინაიდან ბუნებრივი ენების ელექტრონულ-ციფრული წარმოდგენის აუცილებლობის კონცეფციიდან (Concept of the Need for Digital Representation of Languages) გამომდინარე, სადღეისოდ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ენის თანამედროვე გამოყენებისათვის წამყვანი მნიშვნელობის ამოცანად არის მიჩნეული. (ბუნებრივი ენის დამუშავების სხვადასხვა დარგსა და მიდგომაში თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვისათვის იხ. [ACL-2005, ANLP-2000, COLING-2004, EACL-2003, EMNLP-2004]).

ბუნებრივი ენის ტექნოლოგია ერთმანეთს ოპტიმალურად უხამებს საშუალებებს სხვადასხვა სფეროებიდან, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი (მაგ., ცოდნის წარმოდგენა, დასკვნების ავტომატური მიღება, ვირტუალური დაგეგმვა), ფორმალური ენების თეორია {მაგ., ანალიზი (parsing)}, კომპიუტერული ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია და ა.შ. ამ მიმართულებით კვლევამ და განვითარებამ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, აშშ, დიდი ბრიტანეთი და გერმანია, ხელი შეუწყო დარგში ინდუსტრიული წარმოების შექმნას, რომელიც მის უახლეს მიღწევებს იყენებს.

ბუნებრივი ენის დამუშავების სფეროში პრიორიტეტული კვლევები უკანასკნელ პერიოდამდე ხორციელდებოდა „წამყვან“ ენებზე, როგორცაა (ძირითადად) ინგლისური, მაგრამ ასევე გერმანული, იაპონური, ჩინური, ფრანგული, ესპანური და, გარკვეულწილად, რუსული. გამოყენებითი ხასიათის პროექტები ასევე წამყვან ენებზე იყო უმთავრესად კონცენტრირებული, ანუ იმ ქვეყნების ენებზე, რომლებიც ამ სფეროში მაღალი დონის კვლევით პროექტებს ახორციელებენ.

<sup>1</sup> აღნიშნული პროექტი განხორციელდა სსიპ ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი 024-08). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს რუსთაველის ფონდის შეხედულებებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ენის ტექნოლოგია სულ უფრო რეალურად ხელმისწვდომი ხდება, უპირატესობა მიეცემა განსაკუთრებულად იმ ენებს, რომლებზეც ბუნებრივი ენის ტექსტის შინაარსი ელექტრონულ-ციფრულადაა წარმოდგენილი და მისი დამუშავება მაღალი ეფექტიანობის მქონე კომპიუტერულ სისტემებს ძალუძთ. ეს გარემოება არსებით მნიშვნელობას იძენს ამა თუ იმ ენის მომავლისათვის. ამდენად, იმ ენების სიცოცხლისუნარიანობა, რომელთაც არ აქვთ კომპიუტერულად „მხარდაჭერილი“ გარემო, საფრთხის წინაშე დგება.

## მიზნები და ამოცანები და სისტემის იმპლემენტაციის გზა

შემოთავაზებული სისტემის სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიზანი იყო, შეგვექმნა ფართო გადაფარვის მქონე ენის ინჟინრული დამუშავებისათვის (Language Engineering) გამიზნული ინფრასტრუქტურა, რომელსაც უნდა მოეცვა ლექსიკური და გრამატიკული რესურსები და ქართულ ენის დამუშავებისათვის საჭირო კომპიუტერული გარემო დაეკავშირებინა მსოფლიოს „წამყვანი“ ბუნებრივი ენების თანამედროვე ტექნოლოგიურ პარადიგმასთან.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აკადემიური გამოცემის უამრავი გრამატიკა და ლექსიკონი ქართული ენისათვის, ხოლო ამ ბოლო პერიოდში შეიქმნა მათი ელექტრონული ვერსიები, ეს თავისთავად არ გულისხმობს, რომ მსგავსი რესურსები იმ სახით არის წარმოდგენილი, რაც ენის კომპიუტერული დამუშავების მიზნებისათვის მათი გამოყენების საშუალებას იძლევა.

ნებისმიერი ბუნებრივი ენის ტექნოლოგიის სისტემაში შედის მრავალი კომპონენტი, რომელსაც წვლილი შეაქვს ცალკეული ამოცანების შესრულებასა და პრობლემათა გადაწყვეტაში. ბუნებრივი ენის დამუშავების ფართო სპექტრის მქონე სისტემების საფუძველს, იქნება იგი *ნაბეჭდ-სიმბოლურ ნიშნებზე* (symbolic)/*წესების გამოყენებაზე* (rule-based) დამყარებული თუ *რაოდენობრივ-სტატისტიკურ*, ანუ ალბათურ პრინციპზე ორიენტირებული, წარმოადგენს ენის ლექსიკური მარაგის დიდი გადაფარვის მქონე მორფოლოგიური ანალიზატორი. ეს განსაკუთრებით ეხება მაღალი ხარისხის აგლუტინაციისა და ფლექსიის მქონე ენებს, რომლებიც მდიდარი არიან აფიქსალური, დერივაციული და თხზვასთან დაკავშირებული პროცესებით. ბუნებრივი ენის ნებისმიერი კომპიუტერულად გამოთვლადი მოდელის შექმნისას მორფოლოგიური ანალიზატორი, როგორც წესი, აუცილებელი კომპონენტი ხდება რთული ინტელექტუალური სისტემისა, რომელიც ახორციელებს სიტყვაფორმათა ანალიზსა და სინთეზს, ტექსტის ორთოგრაფიული სისწორის შემოწმებას, დოკუმენტთა ავტომატურად ინდექსირებას, მონაცემთა ძიებას (data-mining), მანქანურ თარგმანს და ა.შ. როგორც წესი, ნებისმიერი ბუნებრივი ენა შეიცავს ათიათასობით და, უფრო მეტიც, ასიათასობით ძირს, რომელიც მორფოლოგიურმა ანალიზატორმა უნდა მოიცვას. ეს უკანასკნელი გამიზნულია სიტყვაფორმათა სრული ანალიზისათვის, რათა მიღებული იქნეს ლექსიკონში ციტირებული შესაბამისი ფორმა მის მორფოლოგიის (რიცხვი, პირი, სქესი, ბრუნვა და ა.შ.) მახასიათებლებთან ერთად ბუნებრივი ენის დამუშავების სისტემებში სხვადასხვა ფორმატით გამოსაყენებლად.

წარმოდგენილი სისტემის მთავარი მიზანი იყო ქართული ენის სიტყვა-ფორმების ანალიზისათვის შეგვექმნა ქართული ენის დასამუშავებელი ლინგვისტურ-პროგრამული უზრუნველყოფა (lingware) შესაბამისი გრამატიკისა და ლექსიკური ძირების სიმრავლეთა ერთობლიობასთან ერთად, რომელიც დაეფუძნებოდა სხვა ენათა შესახებ **სასრული მდგომარეობის ავტომატთა თეორიის** სფეროში არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებას. **სასრული მდგომარეობის ავტომატთა** ტექნიკა მეტად პოპულარული და წარმატებული მიმართულებაა კომპიუტერულად გამოთვლად მორფოლოგიაში (computational morphology), თუმცა მან ჯერჯერობით ნაკლები გავლენის მოხდენა შეძლო ენათმეცნიერებაზე, როგორც აკადემიურ დისციპლინაზე.

ზოგადი განმარტების შესაბამისად **სასრული მდგომარეობის ავტომატი** არის კომპიუტერულ მონაცემთა სტრუქტურა, რომელიც ახდენს ჩვეულებრივი ფორმალური ენის ან მიმართების კოდირებას. **სასრული მდგომარეობის ავტომატი**, რომელსაც **გადამსახავი** (Finite-State Transducer) ეწოდება, ახდენს ფორმალური ენის ორ სტრიქონს შორის მიმართების კოდირებას, რომელთაგან ერთი ზედაპირული სიტყვაა, ხოლო მეორე – მისი შესაბამისი სიღრმული („ლექსიკური“) ვარიანტი. **სასრული მდგომარეობის გადამსახავი** არის მორფოლოგიური ანალიზატორის/გენერატორისათვის საყრდენი კარკასი. ასეთი გადამსახავები ორმხრივი მიმართულებით სამუშაოდ არიან გამიზნული, ანუ გამოიყენებიან როგორც ბუნებრივი ენის სიტყვაფორმების ანალიზისათვის, ასევე სინთეზის პროცედურებისათვის. როგორც წესი, ისინი სისწრაფით და კომპაქტურობით ხასიათდებიან, იყენებენ ალგორითმებსა და კომპილიატორებს, რომლებიც წინასწარ არის ჩადებული **სასრული მდგომარეობის ავტომატთა** კომპიუტერულ იმპლემენტაციებში და წარმოდგენენ ბუნებრივი ენის გრამატიკის სპეციფიკური წესების განცალკევების შესანიშნავ მაგალითს კონკრეტული ენის სტრუქტურების დამოუკიდებელი პროგრამული კომპონენტებისაგან.

დიდი ხნის განმავლობაში **სასრული მდგომარეობის ავტომატთა** აღწერილობით ძალას არასაკმარისად მიიჩნევდნენ „ხომსკის იერარქიის“ ცნობილი ფენომენიდან გამომდინარე, რომელიც ფორმალურ ენათათვის შემდეგი სახის რანგობრივ დაქვემდებარებას იძლევა:

- სასრული მდგომარეობა (**Finite-State**)
- კონტექსტისაგან დამოუკიდებელი (**Context-Free**)
- კონტექსტზე დამოკიდებული (**Context-Sensitive**)
- ტიურინგის მანქანა (**Turing Machine**).

ფორმალურ ენათა თეორიის სფეროში ადრეული კვლევების გათვალისწინებით მიაჩნდათ, რომ **სასრული მდგომარეობის მქონე ფორმალურ ენები** არ არიან იმდენად მძლავრი, რათა ისინი ბუნებრივი ენების დამუშავებისათვის იქნენ გამოყენებული. ამ მიზეზის გამო ისინი დიდი ხნით იყვნენ მივიწყებული. 1960-1980-იან წლებში ყურადღება გადატანილი იქნა უფრო მეტი შესაძლებლობების მქონე, თუმცა კომპიუტერული იმპლემენტაციის თვალსაზრისით ნაკლებად მი-

მზიდველ, კონტექსტისაგან დამოუკიდებელ და კონტექსტზე დამოკიდებულ გრამატიკებზე. მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სასრული მდგომარეობის მქონე ფორმალური ენების შესაძლებლობები დამსახურებისამებრ იქნა აღიარებული მრავალ კვლევითა თუ პრაქტიკულ კომერციულ სისტემაში, კონფერენციებსა და ახალგამოცემულ წიგნებში. თუმცა ცნობილია, რომ სასრული-მდგომარეობის ტექნიკას არ ძალუძს ყველაფერი ბუნებრივი ენების დამუშავების სფეროში, სასრულიმდგომარეობის ავტომატა „რეაბილიტაცია“ მოჰყვამ ფონოლოგიური გადაწერის წესების ბოლომდე გაცნობიერებას, რომელთაც უფრო ზოგადად ალტერნატიული ჩანაცვლების წესებს უწოდებენ.

თუ ამ კუთხით განვიხილავთ სასრული მდგომარეობის ტექნიკას, მორფოლოგიური პარსერი შეიძლება მიჩნეულ იქნეს „შავი ყუთის“ ერთგვარ კომპონენტად, ჩვეულებრივ რაიმე ბუნებრივი ენის დასამუშავებელი სისტემის ნაწილად, რომელიც მოქმედებს:

1. მორფოფონემებისაგან შემდგარ აბსტრაქტულ სიღრმულ, ანუ „ლექსიკურ“ სიტყვებზე, რომლებიც თავის მხრივ ფონემებისა და მორფოფონემებისაგან შედგება;
2. გადაწერის წესებზე, რომლებიც გარდაქმნის სიღრმულ სიტყვებს ზედაპირულ სიტყვებად;
3. ჩვეულებრივ კასკადებად მოწესრიგებულ გადაწერის წესების სიმრავლეზე, რომლებიც აღწერენ ზედაპირული სიტყვების სინთეზის პროცედურებს.

გამოყენებითი ამოცანები, რომლებიც სასრული მდგომარეობის მეთოდებისთვის ხელმისწვლამია, მეტად მოხდენილად აღიწერებიან მათემატიკური თვალსაზრისით და უშუალოდ გადაისახებიან მოქნილ და მაღალი წარმადობის კომპიუტერულ პროდუქტში. სასრული მდგომარეობის თეორიაზე დამყარებული ადრინდელი იმპლემენტაცია შექმნა კ. კოსკინიემ და მას ორდონიანი მორფოლოგია ეწოდებოდა (Koskenniemi 1983). იგი უაღრესად გონივრული გამოგონება იყო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ლინგვისტებს საშუალებას აძლევდა, სასრული მდგომარეობის ავტომატზე დაყრდნობით შეექმნათ მორფოლოგიური პარსერები. მაგრამ პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა სასრული მდგომარეობის პრინციპზე დამყარებულ ალგორითმთა ბიბლიოთეკა და ალტერნატიულ წესთა კომპილატორი. ასეთი საშუალებების გარეშე კი წესების კასკადებად მოწესრიგება შეუძლებელი იყო და ამის ნაცვლად ისინი ერთსა და იმავე დონეზე პარალელურად მოდელის ორ – ლექსიკურსა და ზედაპირულ – დონეს შორის ოპერირებდნენ. მრავალი ლინგვისტი ცდილობდა ორდონიანი მორფოლოგიის გამოყენებას, მაგრამ ბევრმა საბოლოოდ თავი დაანება მას, ვინაიდან ჩათვალეს, რომ ზოგიერთი ტიპის ენისათვის იგი არ არის ვარჯისი.

გასული საუკუნის მიჯნაზე უკვე გაჩნდა სასრული მდგომარეობის თეორიის პრინციპებზე დამყარებული პროგრამული პაკეტების საკმაო რაოდენობა, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ენის დამუშავების კონკრეტული ამოცანები-

სათვის. მათი მოკლე ჩამონათვალი ასე გამოიყურება: **PC-KIMMO** (Evan - Antworth), **AT&T FSM Library** (Mehryar Mohri, Fernando C.N. Pereira, Michael D. Riley), **AT&T Lextools Fsa Utils 6 package** (Gertian van Noord, Dale Gerdemann), **Xerox Finite-State Calculus** (Lauri Karttunen, et al.).

ქართული ენის მორფოლოგიის კომპიუტერულ საიმპლემენტაციო გარემოდ ჩვენ მიერ შემუშავებული ანალიზატორისათვის გამოვიყენეთ XEROX კორპორაციის მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც პროფესიულ წრეებში **სასრული მდგომარეობის მქონე მთვლელის** (XEROX Finite-State Calculus) სახელით არის ცნობილი (Beesley, Karttunen 2003). ამ ტექნოლოგიას იყენებს აღნიშნული კორპორაცია და სხვა კვლევითი ლიცენზიის 80 მფლობელი, რომლის პროგრამული მოდულის სახით არსებულ საიმპლემენტაციო საშუალებას **სასრული მდგომარეობის ვადამსახავი (Finite-State Transducer)** ეწოდება. ხსენებულ არჩევანს ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ პროექტის ხელმძღვანელმა ორჯერ მოისმინა ავტომატთა თეორიის ბუნებრივ ენათა ტექნოლოგიაში გამოყენებისადმი მიძღვნილი XEROX Calculus შემქმნელთა ლექციების კურსი და გასული საუკუნის 90-იან წლების ბოლოს *ბილქენტის უნივერსიტეტში* (ანკარა, თურქეთი) მუშაობის პერიოდში პრაქტიკული გამოცდილება მიიღო აღნიშნულ სფეროში.

XEROX-ის **სასრული მდგომარეობის მთვლელი**, რომელიც ამ დარგში უახლესი პროდუქციის ბაზისად არის მიჩნეული, ენის ტექნოლოგიის ბაზარზე წარმატებით იქნა გამოყენებულ ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, იტალიური, პოლანდიური, გერმანული, ფინური, უნგრული, თურქული, დანიური, შვედური, ნორვეგიული, ჩეხური, პოლონური, რუსული, იაპონური ენებისათვის. მათთან ერთად კვლევითი სისტემები არაბული, მალაიური, კორეული, ბასკური, ირლანდიური და აიშარა ენების ჩათვლით შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებით ასეთივე წარმატებული პროდუქტი მივიღოთ ქართულისათვის.

გასულმა ათმა წელმა გვაჩვენა, რომ სასრული მდგომარეობის ავტომატთა თეორიაზე დამყარებული კვლევა მეტად პოპულარული გახდა და ეფექტიანად გამოიყენება მრავალი ენისათვის კომპიუტერულ ტექნოლოგიაში. ქართული ენისათვის მსგავსი სისტემის შექმნის საწყის ეტაპზე სხვა ენებზე მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით და ქართულის სტრუქტურულ მახასიათებლებზე დაყრდნობით განისაზღვრა სასრული მდგომარეობის ანალიზატორის მუშაობისათვის საჭირო ლექსიკურ-გრამატიკულ მახასიათებელ ნიშანთა შესაბამისი ერთობლიობა. ამ მიზნით შესწავლილ იქნა სხვადასხვა ენებისათვის გამოყენებული ანალოგიურ მახასიათებელთა სიმრავლეები და ქართული ენის ტრადიციულ გრამატიკებში დადგენილ მახასიათებლებთან შეჯერების შემდეგ მივიღეთ ასეთ ნიშანთა აუცილებელი ჩამონათვალი.

ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, რომლის თანახმად რაიმე ენის მორფოლოგიური ანალიზატორი ჩვეულებრივ ცალკეულ ქვეგრამატიკათა/პროგრამულ მოდულთა სახით იგება, სისტემის შემუშავებისათვის გათვალისწინებული საშუ-

შაო გეგმა 6 პაკეტად დაიყო, რომელიც 18 თვეზე გადანაწილდა. მოდულები მეტყველების ნაწილთა ანალიზის ქვეგრამატიკების მორფოტაქტიკური წესების შესაბამისი ალგორითმების შემუშავებასა და მათზე დაყრდნობით პროგრამული კოდის შექმნას ითვალისწინებდა. შესაბამისად, უნდა აგვეყო ხუთი მოდული: არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, ნაცვალსახელის, რიცხვითი სახელისა და ზმნისათვის. თუმცა მოდულების სახელწოდება მეტყველების ნაწილების მიხედვით იქნა შერჩეული, მორფოლოგიური გადამსახავი ანალიზის შედეგად გამოსავალზე იძლევა სიტყვაფორმის სინტაქსური კატეგორიის შესაბამის ინფორმაციას, რომელიც წინადადებაში მის სინტაგმატურ როლს შეესაბამება. ანუ ტრადიციულად მიღებულ ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს, ზოგადად, შეიძლება სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიის მქონე სიტყვაფორმები მიეკუთვნებოდნენ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ზმნიზედები *ძლიან* და *სწრაფად*. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ზმნიზედაა, პირველი ჩვეულებრივ მეორეს წინ გვხვდება სინტაგმატურ მიმდევრობაში, მაგრამ არა პირიქით. ამდენად, მათ პირობითად სხვადასხვა „სინტაქსურ კატეგორიას“ მივაკუთვნებთ. ამგვარადვე, გვაქვს განსხვავებული სინტაქსური კატეგორიები სხვა მეტყველების ნაწილების შიგნითაც და მათი რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ზმნიზედების შემთხვევაში ვნახეთ.

აღწერილ ხუთ მოდულს, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ, დამატა მეექვსე მოდული კავშირების, თანდებულების, შორისდებულების, ნაწილაკებისათვის და ისინი ე.წ. „*არაძირითადი კატეგორიების*“ სახელით არიან მასში წარმოდგენილი.

არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელების მორფოლოგიური სტრუქტურა ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ისინი ერთ საერთო ყალიბს იზიარებენ, რომელიც, სისტემის აღწერის სისრულის პრინციპიდან გამომდინარე, ყოველი შემთხვევისათვის ქვემოთ არის წარმოდგენილი:

NOUN\_Stem+PLURAL\_MARKER+CASE\_MARKER+Emph\_Vocal+POSTFIX+Emph\_Vocal  
**R** + **ებ ~ ნ/თ** + **7 ვარიანტი** + **ა** + **9 ვარიანტი** + **ა**

არსებითი სახელების სიმრავლეთა ლექსიკოგრაფიული ანალიზის შედეგად დადგინდა იქნა 21 განსხვავებული ბრუნების ტიპი, რომელთა გამოსავლენად გამოვიყენეთ ქართულ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში არსებული მდიდარი ლიტერატურა. ხსენებული 21 ტიპიდან ყველაზე მაღალი სიხშირისა, როგორც მოსალოდნელი იყო, თანხმოვანზე დასრულებული ძირები აღმოჩნდა. არსებითი სახელების საერთო რაოდენობამ კი, რომელთა თეორიულად დასაშვები ყველა ფორმის ანალიზი თანდებულებითა და ემფატიკური ხმოვნის ჩათვლით პარსერს შეუძლია, 20.000 ლემას გადააჭარბა.

ქვემოთ მოგვყავს არსებითი სახელის ანალიზის ტიპური შედეგი, რომელსაც *სასრული მდგომარეობის ავტომატის პრინციპზე* აგებული ქართული ენის არსებითი სახელის ანალიზის მოდული გვაძლევს გამოსავალზე:

*კაცებისათვის [kacebisaTvis]*  
*stem=kac, number=pl{eb}, case=genitive, postfix\_Benefactive\_for{“ tvis” }, cat=N.*

**ქლაქამდე [qalaqamde]**  
stem=qalaq, postfix\_till{“ tvis”}, cat=N.

**ბანკირმა [bankirma]**  
stem=bankir, case=ergative, cat=N.

ზედსართავი სახელებისათვის გამოიყო ცხრა განსხვავებული ბრუნების პარადიგმა, რომელთაგან ერთი მხოლოდ რამდენიმე (*მშვიდობისმოყვარე*-ს ტიპის) სიტყვას შეიცავს. ყველა ტიპისათვის კი საერთო რაოდენობამ 7000-ს გადააჭარბა. მათი ანალიზის შედეგის სტრუქტურა ემთხვევა არსებითი სახელის ანალიზის ყალიბს ერთი განსხვავებით, კერძოდ, არ გვაქვს მრავლობითის ფორმები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი „გასუბსტანტივებულ სახელებით“ ზედსართავებს გადმოგვცემენ. მაგალითად,

„წითლები [შემოიჭრნენ საქართველოში]“;  
„მწვანეები [პროტესტს აცხადებენ]“.

მსგავსი შემთხვევები სისტემის მიერ კვალიფიცირდება როგორც გამონაკლისი და მათ არსებითი სახელის სინტაქსური კატეგორია ენიჭებათ.

რიცხვითი სახელების ანალიზის მოდულის აგებისას, რადგან ლექსიკოგრაფიული სამუშაოს ჩატარება არ იყო საჭირო, ძირითადი დრო შედგენილი რიცხვითი სახელების ალგორითმის აღწერას დაეთმო, ვინაიდან მათი სტრუქტურა ამოსავალი ძირების იტერაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება. სადღეისოდ სისტემას ძალუძს ასი მილიონის ფარგლებში რთული რიცხვითი სახელების ანალიზი, თუმცა მოდულის უნარის გაზრდა, რათა მან გააანალიზოს უფრო მეტი სიდიდის შესაბამისი რიცხვითი სახელები, პრინციპულ სირთულეს არ წარმოადგენს.

ქართული ენის ნაცვალსახელები, ზემოთ აღწერილი მეტყველების ნაწილებისაგან განსხვავებით, ყველაზე უფრო მცირერიცხოვან სიმრავლეს ჰქმნიან, მაგრამ სტრუქტურულად ყველაზე არათანმიმდევრულ სურათს გვაძლევენ. შესაბამისად, მოდულში 27 განსხვავებული სტრუქტურული ტიპი გვაქვს მათი სემანტიკური კლასიფიკაციის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენს შემთხვევაში თორმეტს აღწევს და ხშირად ცალკე სინტაქსურ კატეგორიად არის გამოყოფილი.

ყველაზე რთულ ეტაპს სისტემის იმპლემენტაციისას ქართული ენის ზმნის მორფოლოგიური კონსტრუქციების ანალიზის მოდული წარმოადგენდა. ეს სამუშაო ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და ხანგრძლივი აღმოჩნდა დროის დანახარჯების თვალსაზრისით. არსებითი სახელებისაგან განსხვავებით, ქართული ენის ზმნისათვის არ არსებობს სრული ფორმალური აღწერა, რომელიც მოიცავს თეორიულად ყველა სავარაუდო სიმრავლეს სინტაქსური ვალენტობის, გვარის, ქცევისა და სუბიექტ-ობიექტური უღლების ტიპის გათვალისწინებით. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ქართული ზმნის მოდულები ძალზე რთულია სტრუ-

ქტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. „ჩვეულებრივ“ ზმნის ძირს ერთ დროით პარადიგმაში შეუძლია წარმოქმნას დაახლოებით რამდენიმე ასეული განსხვავებული ფორმა, რომელთა ანალიზი უნდა განხორციელდეს ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზატორის მეშვეობით.

ანალიზის ალგორითმის შედგენისას ჩვენ გამოვიყენეთ ქართული ენის ზმნების მორფოტაქტიკის წესები და მორფემათა რანგებად განაწილების სქემა, რომლის გამარტივებული ტაბულა მოყვანილია ქვემოთ:

A	B	C	R	D	E	F	G	H
0	0	0		0	0	0	0	0
ა	ვ	ა		ებ	ინებ	ოდ	ა	თ
მო	ზ	ი		ობ	ინ	დ	ო	
მი	ჰ	ე		ავ	ალ	ა	ს	
და	ს	უ		ამ	ულ		ნ	
ჩა	მ			ევ	არ		ნენ	
შე	გვ			ი			ვარ	
გა	გ						ზარ	
მო							იყავი	
გადა							იყო	

ტაბულის შედგენისას ვხელმძღვანელობდით ამოსავალი პრინციპით, რომლის თანახმად რანგში ერთიანდებიან ზმნის ძირიდან ერთი და იმავე მაქსიმალური მანძილით დაშორებული მორფემები. ანუ, რანგების გამოყოფისას ჩვენ არ მიგვაჩნია აუცილებლად, რომ ქართული ენის ზმნის ყველა გრამატიკული კატეგორიისათვის გვქონდეს ცალკე რანგი. ამით არის გამოწვეული, რომ **E** რანგში კაუზატივის მაწარმოებელ ფორმანტებთან ერთად წარმოდგენილია **-ულ**, **-ილ** და **-არ** სუფიქსები, რომლებიც გვხვდებიან მესამე სერიის პასივის ფორმებში.

რაც შეეხება სხვა რანგებს, ისინი მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი შემადგენლობის არიან, გარდა **C** რანგისა, სადაც გაერთიანდნენ ზმნის ქცევის და გვარის გრამატიკული კატეგორიის აღმნიშვნელი ფორმანტები. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მორფოლოგიურ ომონიმისთან (*ინანი* ვნებითის *ი-ნიშნისა* და *სათავისო* ქცევის *ი-* ფორმანტის დამთხვევა).

რანგთა ტაბულაში **R** რანგი შეესაბამება ზოგადად ზმნის ძირს, რომელთა მრავალფეროვნების გადმოსაცემად მათი მატრიცის სახით წარმოდგენა გადავწყვიტეთ. თუმცა ორგანოზომილებიანი მატრიცა არ არის საკმარისი ქართული ენის ზმნის ძირების თავისებურებების სრულად გადმოსაცემად, ჰორიზონტალურ ნიშნებად სტრუქტურული მახასიათებლები, კერძოდ თემის ნიშნები გვაქვს გამოყენებული, ხოლო ვერტიკალურად – სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების ერთგვარი ნარევი, რაც, მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, არ არის სასურველი. მაგრამ ასეთი არჩევანი გამართლებულია მასალის თვალსაჩინოდ წარმოდგენის მოსაზრებიდან გამომდინარე.



	R1 ~ ი	R2 ~ აშ	R3 ~ ავ	R4 ~ 0	R5 ~ ებ	R6 ~ abl	R7 ~ ვვ	R8 ~ ობ
Act 1	ვგზავნი ვეიდი	ვღვამ ვსვამ	ვბერავ ვპერავ	ვტეხ ვცემ	ვბადებ ვაგებ		ვათევ ვათრევ	ვათობ ვახმობ
Act 2	ვკერი ვთლი				ვიღებ ვიწყებ			
Act 3	ვქმნი ვხსნი		ვკლავ ვხნავ		ვათითრებ			
Act 4						ვხლენ ვხნექ		
Med/ act1	დავდივარ		ვკორავ ვბობლავ		ვეკითინებ ვბარბაცებ			ვეკორაობ ვემეფობ
Med/ act2	ვაკივი ვტირი	დავრბივარ დავხტივარ	ვწუხვარ					
Med/ pas	ვღვაგარ ვწვევარ	მძულს მყავს	მძინავს	მწყურია	მჯერა მშაია	მიშავს	მეტრფის მეხარის	ცივა ბნელა
Stat	მაბადია მაბარია	მაფენია მასხია	მაბურავს მაკრავს			მიჭირს მილხინს მიძიმს	მაღვეს მაძვეს მაწვეს	

თუ მატრიცას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ოთხ ჰორიზონტალურ სტრიქონში თხრობითი გვარის ზმნის ძირებია წარმოდგენილი, რომელთაგან მხოლოდ პირველი სტრიქონის ძირები აწარმოებენ მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმებს ჩვეულებრივად, ხოლო დანარჩენი სამი ამისათვის ხმოვანთმონაცვლეობის სხვადასხვა წესს მიმართავს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მატრიცის ცალკეულ უჯრედებში მოთავსებული ძირები ექვემდებარებიან შემდგომ დაყოფას C რანგიდან ქცევის ნიშნებთან კომბინირების მიხედვით. არსებითად, ეს მატრიცაში მესამე განზომილების შემოტანას გულისხმობს, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ ვირტუალურად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

რაც შეეხება მატრიცის დანარჩენ ოთხ სტრიქონს, მათში გადანაწილებულია საშუალ-მოქმედებითის (Med\_act), საშუალ-ვნებითებისა (Med\_pas) და სტატიკური ზმნების ძირები. ბოლო სამ სტრიქონში სვეტებად თემის ნიშნის მი-

ხედვით დალაგების პრინციპი ნაწილობრივ უგულებელყოფილია და მატრიცის კონკრეტულ უჯრედში ძირების გაერთიანებისათვის ამოსავლად მათი უღლების პარადიგმების იდენტურობა ითვლება. გარდა ამისა, დამატებითი მესამე განზომილების შემოტანის აუცილებლობა ჩნდება მატრიცის სხვა უჯრედების შიგნითაც, რომლის შემდგომი დეტალიზაციისაგან ამჯერად თავს ვიკავებთ, თუმცა ზოგადად მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ მატრიცაში ლაკუნები შესაძლებელია კიდევ შეივსოს.

ზმნის ანალიზის მოდულის გამოსავალზე ვიღებთ გასაანალიზებელი სიტყვაფორმის მორფოლოგიურ სტრუქტურას მისი შესაბამისი სინტაქსური ვალენტობის აღწერით. მაგალითისათვის მოგვყავს ანალიზის შედეგი ორი ზმნის ფორმისათვის *კვიდით* და *დამეხატებოდეს*.

*კვიდით* [vyidiT]

*Subj3/v + yid + them/i + T = atsmko/Subj1PI + Obj3Sg*

*Subj3/v + yid + them/i + T = atsmko/Subj1PI + Obj3PI*

ადვილი დასანახია, რომ *Subj3/v* აღნიშნავს პირველ სუბიექტურ პირს, რომელიც *v* ნიშნით არის წარმოდგენილი, *yid* არის ზმნის ძირი, *them/i-ით* წარმოდგენილია ზმნის თემის ნიშანი „i“, ხოლო „T“ მრავლობითი რიცხვს აღნიშნავს. ტოლობის ნიშნის შემდეგ წარმოდგენილი ინფორმაცია გვეუბნება, რომ ეს არის „აწმყოს“ მწკრივის ფორმა, რომელსაც შეესაბამება *Subj1PI* პირველი პირის სუბიექტი მრავლობით რიცხვში, ხოლო მესამე პირის ობიექტი შეიძლება გვხვდებოდეს მასთან ორსავე რიცხვში.

*დამეხატებოდეს* [damexatebodes]

*Prv/da+Obj1Sg/m+Pas/e+xat+eb+od+e+s=kavshirebiti2/Subj3Sg+Obj1Sg,*

„*Prv/da*“ აღნიშნავს *da-* ზმნისწინს, „*Obj1Sg/m*“ – პირველი პირის ობიექტის *m* ნიშანს, „*Pas/e*“ ვნებითი გვარის ნიშან *e-*ს, *xat* ზმნის ძირს, *eb* თემის ნიშანს, *od* მავრცობს, *e* მწკრივის ნიშანს, *s* კი მესამე პირის სუბიექტს მხოლობით რიცხვში. ანალიზის შედეგად სისტემა ასკვნის, რომ ასეთი მორფოლოგიური სტრუქტურა შეესაბამება „მყოფადის კავშირებითს“ მესამე პირის სუბიექტით მხოლობით რიცხვში „*Subj3Sg*“ და პირველი პირის ობიექტით მხოლობითში „*Obj1Sg*“:

ზემოთ მოკლედ აღწერილ პრინციპზე აგებული არის ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზატორის ზმნის მოდულის მუშაობა. სინტაქსური ინფორმაცია, რომელიც ანალიზს თან ახლავს, გამიზნულია მისი ქართული ენის კომპიუტერული დამუშავების შემდგომი დონის, სინტაგმატური ანალიზის (shallow parsing) მიზნებისათვის. ხსენებული დონე განიხილება გარდამავალ საფეხურად

მორფოლოგიურსა და სინტაქსურ ანალიზს შორის და ემსახურება ერთი წინადადების ფარგლებში სინტაქსურად ერთმანეთთან დაკავშირებული ფრაზების საზღვრების დადგენას, ანუ იმ მდგრადი ერთეულების გამოყოფას, რომელზეც აიგება შესაბამისი წინადადების სინტაქსური სტრუქტურა.

*სასრული მდგომარეობის ავტომატთა თეორიაზე* დამყარებული ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის სისტემაში ე.წ. „არაძირითადი სინტაქსური კატეგორიების“ მოდული მოიცავს კავშირებს, თანდებულებს, შორისდებულებსა და ნაწილაკებს, რომელთაც სახელებისა და ზმნისგან განსხვავებით, არ აქვთ მორფოლოგიური სტრუქტურა. ამიტომ ისინი მოთავსდნენ კომპიუტერული ლექსიკონის ტიპის პროგრამულ მოდულში, რომლებსაც გრამატიკის სახით მორფოტაქტიკის წესების ნაწილი არ გააჩნიათ. მათი მუშაობა სისტემის შესავალზე მიღებულ სიტყვაფორმებთან უბრალო შედარებისა და მათთან შესაძლო დამთხვევის პრინციპზეა აგებული. ასეთი მოდულები სისტემის აუცილებელი ნაწილია და ტექსტის ანალიზის პროცესში სისტემა მათ წინასწარ კომპლირებას დანარჩენ მოდულებთან ერთად ავტომატურად ახორციელებს.

## დასკვნა

წარმოდგენილი კვლევის შედეგები ენათმეცნიერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაყართან ძვეს. სასრული მდგომარეობის ავტომატთა თეორია მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე სიახლედ მიიჩნევა ბუნებრივი ენების ტექნოლოგიის დარგში. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მორფოლოგიური ანალიზის სისტემა ხელს შეუწყობს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას ამ მიმართულებით და შესაძლებელი იქნება ქართული ენის სასრული მდგომარეობის მორფოლოგიური ანალიზატორი გამოვიყენოთ მრავალენოვანი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ინტეგრაციისათვის, რადგან ქართული ენა, მცირე გამონაკლისის გარდა, პროფესიულ წრეებში ნაკლებად არის ცნობილი ბუნებრივი ენების დამუშავების კუთხით მსოფლიოში.

*სასრული მდგომარეობის ავტომატთა თეორიის* პრინციპებზე დამყარებული ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის სისტემის პრაქტიკული გამოყენებისათვის არსებობს ფართო შესაძლებლობები, ვინაიდან ბუნებრივი ენის ტექნოლოგია მოწოდებულია შექმნას ინფრასტრუქტურა მრავალენოვანი ტექსტების დამუშავების, ინფორმაციის მოძიებისა და მისი ექსტრაგირების, მეტყველების კომპიუტერული ანალიზისა და სინთეზისათვის, დოკუმენტთა კლასიფიკაციისა და რეზიუმირებისათვის, და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია არსებული შესაძლებლობების ჩამონათვალში. ქართული ენის სასრული მდგომარეობის გადამსახავი შეიძლება იქცეს საყრდენად *მანქანური თარგმნის* სისტემებისთვის, რომლებიც სადღეისოდ ორი – სტატისტიკური და სიმბოლური – მიდგომის მიმართულებით ვითარდება. ორივე მათგანს ესაჭიროება ლექსიკური და გრამატიკული რესურსები, იქნება ეს შესაბამისი გრამატიკული წესების აგება, თუ მათი სტატისტიკური პარამეტრების გამოთვლა. შემუშავებული ლექსიკური გადამსახავი უზრუნ-

ველყოფს მანქანური თარგმნის სისტემას „დაიარღიებული“ (tagged), ლემატიზებული (lemmatized) და სინტაგმებად დაჯგუფებული (chunked) ქართული ენის წინადადების კორპუსით. გარდა ამისა ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის სისტემა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი ენის დამუშავების ალბათურ პრინციპზე დამყარებულ სისტემებში, რადგან მას შეეძლება გამოითვლოს როგორც სტატისტიკური პარამეტრები, ასევე მიესადაგოს ნებისმიერ სტატისტიკურ/ჰიბრიდულ მანქანური თარგმნის კონცეფციას და მოამზადოს ნაყოფიერი ნიადაგი ქართული ენის მრავალენოვან მანქანური თარგმანის კონტექსტში ჩასართველად.

წარმოდგენილი სისტემის იმპლემენტაციაში მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ენის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, რომელთა უშუალო მონაწილეობით შესრულდა პროექტის ლექსიკოგრაფიული ნაწილი და სისტემის ტესტირების სამუშაოები. რა თქმა უნდა, სისტემის სრულყოფილების ხარისხზე აისახა დროისა და მისი იმპლემენტაციისათვის ჩვენს ხელთ არსებული ფინანსების შეზღუდული მოცულობა. ასეთი სახის სისტემის შემუშავებისათვის გაცილებით ხანგრძლივი ძალისხმევაა საჭირო, ვიდრე ეს სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის 18-თვიანი გრანტის ფარგლებში არის შესაძლებელი.

პროექტის სამეცნიერო-კვლევითი ფაზის დასრულების შემდეგ აქტიურად მოხდება მიღებული შედეგების გავრცელება აკადემიური პუბლიკაციების, შემუშავებული რესურსების დემონსტრირების და სხვა ჯგუფებთან კონტაქტის საფუძველზე, რომლებიც პროფესიულ დაინტერესებას გამოიჩენენ შექმნილი ლინგვისტურ-პროგრამული პროდუქტის პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით.

## ლიტერატურა

- ANLP-2000:** Proceedings of the 6th Applied Natural Language Processing Conference, Seattle.
- EACL-2003:** Proceedings of the Annual Meeting of the European Chapter of the Association for Computational Linguistics, Budapest .
- COLING-2004:** Proceedings of the 20th International Conference on Computational Linguistics, University of Geneva, Geneva.
- EMNLP-2004:** Proceedings of the Conference on Empirical Methods in Natural Language Processing, Barcelona.
- ACL-2005:** Proceedings of the 43rd Annual Meeting of the Association for Computational Linguistics, University of Michigan, Ann Arbor.
- Kapanadze 2008:** Kapanadze, O. Applying Finite State Techniques and Ontological Semantics to Georgian Language. In: Recent Advances in Language Engineering for Low- and Middle-Density Languages”. IOS Press, Amsterdam.
- Kapanadze 2009:** Kapanadze, O. Finite State Morphology for the Low-Density Georgian Language. In: FSMNLP 2009, Proceedings of the Eighth International Workshop on Finite-State Methods and Natural Language Processing. Pretoria, South Africa.

**Beesley, Karttunen 2003:** Beesley K., Karttunen L., Finite State Morphology. CSLI Publications. Center for Study of the Language and Information, Leland Stanford Junior University.

**Koskenniemi 1983:** Koskenniemi K., Two-level morphology: A general computational model for word-form recognition and production. Publication 11, University of Helsinki, Department of General Linguistics, Helsinki.

*Oleg Kapanadze*

## **A Finite-State Automata Theory-Based Morphological Parser for the Georgian Language**

### Summary

The paper discusses the application of the Finite State Tools to the Georgian language. The FST has been very popular in computational morphology and other lower-level applications in natural-language engineering. The basic claim of finite-state morphology is that a morphological analyzer for a natural language can be implemented as a data structure called a Finite-State Transducer. In Georgian, as in many non-Indo-European agglutinative languages, concatenative morphotactics is impressively productive within its rich morphology. The presented Georgian Language Morphological Parser is capable to analyze all theoretically possible options for the lemmata of Georgian nouns, pronouns, adjectives, adverbs, numerals, functional words and for most of the lemmata for verb constructions. The Georgian language FST lexical transducer may be used as a basis for Machine Translation to supply a Machine Translation engine with tagged, lemmatized and chunked collection of Georgian sentences. The Georgian version of FST Transducer, however, may also become the basis for all kinds of probabilistic systems as it would allow, in a unique way, to train statistical parameters as well as to fit into a Statistical/Hybrid MT concept for the preparation of a fruitful soil for the development of a Georgian MT system in multilingual context.

ლინგვოპრაგმატიკა

მარიამ ქვბორია

**პოლიტიკური დარწმუნების რამდენიმე ლინგვისტური  
ხერხის შესახებ**

ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროსთან, მათ შორის პოლიტიკურ მოვლენებთანაც. პოლიტიკა კი, თავის მხრივ, ძალთა ჭიდილია, სადაც წარმატება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. როგორც არისტოტელე აღნიშნავს, ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური ცხოველია, მას მეტყველების უნარი აქვს, რითაც სხვა ცხოველებისაგან განსხვავდება (არისტოტელე ძვ. წ. აღ. 350, 2). სამეტყველო კომუნიკაციის პროცესში, როგორც ცნობილია, ხდება ინფორმაციის გაცვლა. ამ პროცესის გაცნობა ანალიზის საშუალებას იძლევა. პოლიტიკური სამეტყველო ურთიერთობის პროცესი მრავალი თავისებურებით ხასიათდება. მისი წარმატებულად განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა გახლავთ დარწმუნება (persuasion), რომლის მიმართაც ინტერესი საუკუნეებს ითვლის. არისტოტელეს „რიტორიკა“ პოლიტიკური დარწმუნების შესახებ დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად არის მიჩნეული.

წინამდებარე სტატიის მიზანია პოლიტიკური დარწმუნების ლინგვისტური მახასიათებლების გაცნობა და ანალიზი. იმის დადგენა, თუ რა ენობრივი ნიშნები და სტრატეგიები ქმნიან წარმატებულ პოლიტიკურ დარწმუნებას. კვლევის მასალად აღებულია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ორი ყოველწლიური ანგარიში ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (2009 წლის 12 თებერვალი და 2005 წლის 10 თებერვალი), ორი ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე (2007 წლის 15 მარტი; 2006 წლის 14 თებერვალი) და 10 სხვადასხვა გამოსვლა (2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის მარტამდე).

პოლიტიკური დარწმუნების პროცესში (political persuasion) ადრესანტი ცდილობს, შეცვალოს ადრესატის ხედვა, რწმენა ან ქცევა. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი თავისუფალი არჩევანის პირობებში უნდა განხორციელდეს. დარწმუნების შესახებ ბურკე საუბრობს „მოტივთა რიტორიკაში“ (ბურკე 1950: 49). იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დარწმუნება ნებას და არჩევანს გულისხმობს. მოუბარი თავისუფალი ადამიანის დარწმუნებას ცდილობს. ავტორი დასძენს, რომ დარწმუნების ეფექტურობა არა მხოლოდ ადრესანტზე, არამედ მსმენელზეც არის დამოკიდებული, რადგანაც ამ პროცესში ორივე მხარე არის ჩართული. ეს ორმხრივი პროცესია და არა ინფორმაციის ცალმხრივი გადაცემა.

დარწმუნების და დათანხმების ფსიქოლოგია აინტერესებს კილდინის. თავის ნაშრომებში იგი უამრავ შემთხვევას და, რაც ძალიან საინტერესოა, ანეკდოტს განიხილავს. ავტორი პრინციპებს, რომლის საშუალებითაც ადამიანი მსმე-

ნელზე ზემოქმედებს და მის დარწმუნებას აღწევს, „გავლენის იარაღს“ უწოდებს. შესაბამისად, ყველა, ვინც აღნიშნულ „იარაღს“ ფლობს, სიტუაციას თავის სასარგებლოდ მართავს. კიალდინი „გავლენის 6 იარაღზე“ საუბრობს, რომელთა შორის საინტერესოა „მოწონება“. თუკი საზოგადოება დადებითად არის განწყობილი და მოსწონს მოუბარი, მიაჩნია, რომ იგი კარგი პიროვნებაა, მაშინ მზადაა მოუსმინოს მას, თუნდაც არ ეთანხმებოდეს მის მიერ გამოთქმულ აზრს (კიალდინი 2006). აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა შემდეგი რომაული დეფინიცია ორატორის შესახებ: *Vir bonus peritus dicendi* (ოსტატურად მოლაპარაკე კარგი ადამიანი).

პოლიტიკური დარწმუნების განხილვისას საგულისხმოა პოლიტიკური კონტექსტი, აგრეთვე სად და როდის ხდება კომუნიკანტთა კონტაქტი. ტეუნ ვან დიკის მიხედვით, ადრესანტი ეყრდნობა გონებაში არსებულ საკუთარ მოდელს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით და დარწმუნების პროცესსაც ამ მოდელის მიხედვით ახორციელებს (ვან დიკი 2002:207). თუკი მსმენელი მას ეთანხმება, მაშინ იგი აღნიშნულ მოდელს მიიღებს, როგორც სწორ, მართებულ სახეობას და გაიზიარებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ადრესანტი თავისებურ მოდელს აგებს სიტუაციის საკუთარ ცოდნაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასეთ მოდელს ტეუნ ვან დიკი კონტექსტუალურ მოდელს უწოდებს. ისინი სუბიექტურ ინფორმაციაზე არიან აგებული და განსაზღვრავენ დარწმუნების ეფექტს: "The structures and functions of context models are straightforward ... Context models are episodic, personal and hence subjective interpretations and experiences of the communicative event or context" (ვან დიკი 1997:5). ისინი კარგად ხსნიან კონფლიქტს ინფორმაციის მიმწოდებელსა და მიმღებს შორის. შეუთანხმებელი მოდელები კომუნიკაციის გარკვეულ პირობებში დაპირისპირებულ გარემოს ქმნიან. ავტორის აზრით, ამ მოდელს უკავშირდება ნებისმიერი ტექსტის აღქმის მრავალფეროვნებაც. საინტერესოა, რომ აღნიშნული მოდელები საკმაოდ ახლოს დგანან რასკინის ე.წ. სკრიპტთან. რასკინი სკრიპტს განმარტავს, როგორც ენის მატარებლის ცნობიერებაში არსებულ კოგნიტურ სტრუქტურას, სემანტიკური ინფორმაციის დიდ მონაკვეთს, რომელიც წარმოადგენს ენის მატარებლის ცნობიერებაში არსებული სამყაროს მცირე ნაწილს, ცოდნას სამყაროს სტანდარტული პროცედურებისა და სიტუაციების შესახებ.

„მთავარი ის კი არ არის, რას ამბობ, არამედ ის, თუ რა ესმის ხალხს“ – ასეთი მოწოდება გასდევს ფრანკ ლუნცის ცნობილ წიგნს *Words That Work* (სიტყვები, რომლებიც მუშაობენ). ავტორი აღნიშნავს, რომ სიტყვის უნარის – დარწმუნების გამო, საჭიროა სწორად შევარჩიოთ ისინი. ფრანკ ლუნცი საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა, იგი ბიზნესლიდერებს წარმატებული კომუნიკაციის ფორმულას სთავაზობს (რაც სხვა სფეროებსაც მიესადაგება): შეტყობინების მარტივად და მოკლედ გამოხატვა; თანმიმდევრულობა; ინფორმაციის მიწოდებისას რაიმე განსხვავებულისა და ახლის თქმა; კონკრეტულობა; ვიზუალიზაცია იმისათვის, რომ აბსტრაქტული ცნებები კონკრეტული გახდეს; რიტორიკული კითხვები; ალიტერაცია (ლუნცი 2007).

პოლიტიკური დარწმუნებისას მნიშვნელოვანი საშუალებაა დაპირისპირების, ანტითეზის შექმნა. მოუბარი ერთიანდება მსმენელთან სხვა ჯგუფის ან იდეის წინააღმდეგ. მაშინ საზოგადოებას უხდება არჩევანის გაკეთება მოლაპარაკესა და იმ „სხვა“, უარყოფითად წარმოჩენილ ძალას შორის. ტომოთი ბორჩერსის ნაშრომში სწორედ დაპირისპირების მეთოდზეა ყურადღება გამახვილებული. ნაშრომის მასალად აღებულია კოლინ პაუელის გამოსვლა 2003 წლის 5 თებერვალს ერაყში საომარი მოქმედებების მხარდასაჭერად. ძნელია, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება საომარი მოქმედებების მართებულობაში დაარწმუნო. მიუხედავად ამისა, პაუელის გამოსვლა ნამდვილად ეფექტური გამოდგა. ბუშის ადმინისტრაცია ერაყის მოსახლეობასთან ერთიანდება ჰუსეინის წინააღმდეგ, რომელსაც ერაყელი ხალხის მტრად წარმოაჩენს (ბორჩერსი 2004).

წინამდებარე სტატიაში ინსტიტუციონალური პოლიტიკური დისკურსის მაგალითებია განხილული. მასალამ გამოავლინა პოლიტიკური დარწმუნების რამდენიმე საინტერესო სტრატეგია:

ა) როგორც ადრესატის, ასევე მსჯელობის **განზოგადება**;

ბ) ადრესტისადმი (საზოგადოებისადმი) პირდაპირი, მაგრამ **მოკრძალებული მიმართვის ფორმა**;

„ჩემო ძვირფასებო – ჩემო ართვინელებო და რიზელებო, ჩემო ხოფელებო და სარფელებო, ჩემო ბათუმელებო! ჩვენ არ გყოფთ თქვენ!“

დარწმუნების ერთ-ერთი საშუალება აგრეთვე გახლავთ საზოგადოებისადმი მიმართვა მის მშობლიურ ენაზე, რასაც საკმაოდ ხშირად და წარმატებულად ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი.

გ) სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფის **გამეორება**. ინფორმაციულად დატვირთული ელემენტის **ინტონაციური გამოკვეთა**; მოცემულ მასალაში გამეორებული ერთეულები გვხვდებოდა როგორც მიმდევრულად, ასევე აბზაცების დასაწყისში:

„ის, რაც მათ დაკარგეს, ის რაც მათ წავლიჯეს, ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი იარაა, რომელსაც მოშუშება სჭირდება“.

„მივმართავ მათ, ვინც... (შემდგომ ჩამოთვლილია საზოგადოების სხვადასხვა ფენა და მოსდევს თითოაბზაციანი მიმართვა), მივმართავ პედაგოგებს და მედიცინის სფეროს მუშაკებს / მივმართავ ყველა ჯარისკაცს და პოლიციელს / მივმართავ ყველა მეწარმეს და ბიზნესმენს“.

„ნუ ჩათვლით, რომ დაგივიწყეს, ნუ იფიქრებთ რომ აღარასოდეს მოვა გაზაფხული, ნუ დაიჯერებთ, რომ თქვენზე ზრუნვა არ არის ჩემი და მთელი მთავრობის უმთავრესი საფიქრალი, ნუ აიცრუებთ გულს!“

დ) პირველი პირის მრავლობითი რიცხვი – **„ჩვენ“ ფაქტორი**. როგორც კვლევაში გვიჩვენა, აღნიშნული ფაქტორი ყველაზე ხშირად გამოიყენება პოლიტიკური დარწმუნების პროცესში. ეს არის პოლიტიკური დარწმუნების იმპლიციტური ხერხი. ბურკე მას დარწმუნების შეუმჩნეველ, შეფარულ მეთოდს უწოდებს, როდესაც მოუბარი მსმენელთან ერთიანდება. ამ მეთოდს გამოჰყოფს ტომოთი ბორჩერსი და მას **„მათ“ ფაქტორს** უპირისპირებს:



„ჩვენ საერთო პასუხისმგებლობა“. „ჩვენ დღეს არ გვაქვს ფუფუნება რომ გავკანდეს სამი, ოთხი ან ათი პრიორიტეტი“.

რაც შეეხება „მათ“ ფაქტორს, ეს არის მოწინააღმდეგეთა (მტრის) განზოგადება:

„მათ უნდოდათ საქართველოს კონტროლიდან გამოსული კოდორის ხეობა, მათ უნდოდათ კიდევ უფრო დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო... ეგონათ, რომ საქართველოს ადვილად დაამარცხებდნენ“.

ე) **შედარება – „მაშინ“ და „ახლა“ ფაქტორები.** როგორც წესი, „მაშინ“ დაკავშირებულია უარყოფით ფაქტორებთან, ხოლო „ახლა“ – დადებით, იმედისმომცემ გარემოებასთან. აქვე შეგვიძლია გავაერთიანოთ შემდეგი მეთოდიც – ენის მატარებლის ცნობიერებაში არსებული რაიმე კონკრეტული სკრიპტის გაცოცხლება:

„მაშინ ჰქონდათ რაგატკები... მაშინ იყო უსუსურობა და შიში – ახლა კი არის ძალა და გამბედაობა“.

ვ) რიტორიკული და ზოგადი **კითხვების დასმა:**

„საიდან და რით დავიწყეთ? სადამდე და რით მოვედით? საით და რით მივდივართ? ყველაზე მოკლედ ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: დავიწყეთ ნანგრევებიდან“.

ზ) **ისტორიის გამოხმობა** – პოლიტიკური დარწმუნების ცნობილი და საკმაოდ ეფექტური მეთოდი:

„ჩვენ დიდი კულტურიდან ვისწავლეთ, რომ ძალა ერთობაშია, ეს ყველაზე უკეთ დავით აღმაშენებელმა გვასწავლა“.

თ) საზოგადოების აზრი, კრიტიკა ან არსებული უარყოფითი მდგომარეობის ნაზღაურება შესაძლოა პოლიტიკური დარწმუნების წარმატებულად განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად იქცეს. ასეთ დროს ადრესანტი საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირს უსვამს ხაზს:

„მე ვიღებ ამ კრიტიკას და მივესალმები ოპონირებას... ნაცნობებისგან და ნათესავებისგან ვიცი, ელემენტარული ოპერაცია გადადეს უსახსრობის გამო“.

ი) სიტყვით გამოსვლის დროს მაგალითად **ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქების ამბის მოყვანა.** ოფიციალურ, ინსტიტუციონალურ პოლიტიკურ დარწმუნებასაც კი ეს ფაქტორი მეტად უბრალოს და სხარტს წარმოაჩენს. ეს მეთოდი ეხმიანება ლუნცისა და ჯორჯ ორველის მიერ ჩამოყალიბებულ წესს – უშუალობას, შეტყობინების მარტივად გამოხატვას. საკვლევ მასალაში საკმაოდ მრავლად გვხვდება ასეთი ეფექტური მაგალითები:

„ლალი ჩიქვანაიას მაგალითი, რომელიც თბილისში ცხოვრობს, ჰყავს ორი უფროსკლასელი ქალიშვილი, სულ ეხლახანს დაეღუპა მეუღლე და მართოს უწევს ოჯახის რჩენა“.

„სულ ახლახანს მქონდა ბედნიერება სახლში ვსტუმრებოდი ვაზისუბნის ერთ-ერთი პენსიონრის, იოსებ ცოტნიაშვილის ოჯახს“.

მსგავსი მაგალითები მთავრობის მიერ წარმატებული ღონისძიების საილუსტრაციოდაც ეფექტურად გამოიყენება და მსმენელს ამა თუ იმ ღონისძიების მართებულობაში წარმატებულად არწმუნებს:

„დღეს ჩვენთან არის თინათინ მახარაძე ოზურგეთიდან, რომელმაც დაამთავრა ოზურგეთის მე-2 სკოლა და შარშან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიიღო ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება – მივესალმოდეთ ამ ნიჭიერ ახალგაზრდას!“

წარმოდგენილი მასალა – ოფიციალური მიმართვები და ანგარიშები – თავისი ფორმატიდან გამომდინარე, არ შეიცავდა პოლიტიკური დარწმუნების საკმაოდ მნიშვნელოვან ელემენტს – **სპონტანურობას და იუმორს.**

პოლიტიკური დარწმუნება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებაზე (მსმენელზე) არის გათვლილი. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება მუდმივად იცვლება, პოლიტიკური დარწმუნებაც ცვალებადი, დინამიკური ფენომენია. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში აღწერილი მასალა არ ამოწურავს კვლევის ობიექტს, იგი იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ პოლიტიკური დარწმუნება კვლევის საინტერესო მასალაა მრავალი თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი ლინგვისტური კუთხით.

### **ლიტერატურა**

**არისტოტელე, ძვ. წ. აღ. 350:** Aristotle, The Politics, translated by Benjamin Jowett,

Book one (წიგნი ხელმისაწვდომია შემდეგ გვერდზე:

<http://www.scribd.com/doc/221659/Aristotle-Politics-350-Bc> ).

**ბურკე 1969:** Kenneth Burke, A Rhetoric of Motives, On Persuasion, Identification, and Dialectical Symmetry, University of California Press.

**ვან დიკი 2002:** Teun A. van Dijk, Political discourse and political cognition, In Paul A. Chilton & Christina Schäffner (Eds.), Politics as Text and Talk. Analytical approaches to political discourse. (pp. 204-236). Amsterdam: Benjamins.

**ვან დიკი 1993:** Teun A. van Dijk, Principles of critical discourse analysis, Discourse & Society , 4(2), 249-283.

**ვან დიკი 1997:** Teun A. van Dijk, Cognitive context models and discourse, In M. Stamenow (Ed.). Language Structure, Discourse and the Access to Consciousness, Amsterdam: Benjamins.

(სტატიები ხელმისაწვდომია შემდეგ გვერდზე:

<http://www.discourses.org/download/articles/> )

**ლუნცი 2007:** Frank Luntz, Words That Work: It's Not What You Say, It's What People Hear, 2007 by Hyperion.

**ბორჩერსი 2004:** Timothy A. Borchers, Persuasion in the Media Age, Persuasion in Contemporary Society, Second Edition, McGraw-Hill Companies.

**კიელდინი 2006:** Robert B. Cialdini, Influence: The Psychology of Persuasion, Collins Business Date.

Perloff R. M., The Dynamics of Persuasion: Communication and Attitudes in the 21st Century, Lawrence Erlbaum Associates, second edition, Mahwah, NJ.

O'Keefe D., Theories of Persuasion, Northwestern University.

Orwell G., Politics and the English Language, First published: Horizon, GB, London.

კვლევის მასალის წყარო: [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge)

## **Several Linguistic Strategies of Political Persuasion**

### Summary

The article investigates some of the typical linguistic means of modern political persuasion. It also deals with the opinions of various authors regarding the production of successful persuasive communication. "It's not what you say, it's, what people hear" – Frank Luntz emphasizes the importance of accurately chosen words – the words that work (2007). The research provided in the article is based on the examples of institutional political discourse. Analysis has shown several interesting strategies of commanding large audiences (direct address forms, "we/us" and "they/them" factors, "then" and "now" factors, rhetoric questions etc.).

გვანცა ჭანტურია

**მედიამესიჯები, როგორც პოლიტიკური  
ზეგავლენის იარაღი**

**შესავალი**

თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციის გადაცემის უპირატესი საშუალებაა მედია; აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, განვიხილოთ მედიადისკურსი („ინფორმაცია არსებობს მხოლოდ მათთვის, ვინც მას იღებს“ – ფ. ბალის აზრით). მედიის როლი დღითი დღე იზრდება და თანდათან გაიზარდა მეცნიერთა ინტერესი ამ საკითხის მიმართ. ლინგვისტებიც დაინტერესდნენ მედიადისკურსით, რადგან კარგად არგუმენტირებული მესიჯებით შეიძლება საზოგადოების მანიპულირება. დასამალი არაა, რომ თუკი ინფორმაცია გადაიყვანება საშუალებით, მისი წარმატება გარანტირებულია. ცნობილი ფაქტია – მედია საზოგადოების დარწმუნებისა და მანიპულირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიადისკურსი და მისი სინტაქსი ჯერ არ შესწავლილა სათანადოდ ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ საინტერესოდ მიგვაჩნია განვიხილოთ მაგალითები სხვადასხვა მედიასაშუალებიდან – პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი). საერთოდ, როგორც ვიცით, მედიატექსტის მიზანია ინფორმირება, კომენტარის გაკეთება, გართობა, რჩევის მოცემა ან გაყიდვა.

**მედია- და პოლიტიკური დისკურსი**

მედიადისკურსს აქვს სიმბოლური, ინფორმაციული და ასევე დარწმუნების ფუნქცია. მედიამესიჯები შეიძლება განვიხილოთ რ. იაკობსონის ექვსი ფუნქციის მიხედვით:

– *ექსპრესიული* ან *ემოციური* ფუნქცია ცენტრში აყენებს გადამცემს; იგი მიზნად ისახავს სუბიექტის ქცევის პირდაპირ გამოხატვას იმის მიმართ, რასაც ის ლაპარაკობს (მოდალობები, შორისდებულები).

– *კონატიური ფუნქცია (conative)* ორიენტირებულია მიმღებზე. ხორციელდება ყველაზე აშკარად ბრძანებითში ან წოდებითში.

– *რეფერენციული ფუნქცია* (ან დენოტაციური ან კოგნიტიური) ორიენტირებულია კონტექსტზე და ყველაზე აშკარაა. მისი საშუალებით ხორციელდება მეტყველება.

– *ფატიკური ფუნქცია* ეფუძნება კონტექსტს; ასეთი შეტყობინებები ძირითადად ემსახურებიან კომუნიკაციის დამყარებას, გაგრძელებას ან შეწყვეტას (ზრდილობიანი ფორმულები).

– *მეტალინგვისტური ფუნქცია* ეფუძნება კოდს და იგი მოქმედებს ყოველთვის, როცა გამგზავნი და/ან მიმღები აუცილებლად თვლიან, შეამოწმონ, კარგად იყენებენ თუ არა ერთსა და იმავე კოდს.

– პოეტური ფუნქცია ხასიათდება „შეტყობინების მიზნით“, აქცენტი კეთდება შეტყობინებაზე (იაკობსონი 1970).

ნაშრომში წარმოვადგენთ, თუ როგორ გამოიყენება და რა როლს ასრულებს ეს ფუნქციები მედიადისკურსში.

თუმცა, მედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიით და რადიოთი გამოსვლისას, დიდი როლი ენიჭება არა მხოლოდ ვერბალურ ბაზას, არამედ ფიზიონომიურ, ჟესტუალურ (gestuelle) და ქცევით ბაზას. ყოველი ზეპირი გამონათქვამი შეიცავს ვოკალურ და ვერბალურ განზომილებას. ვერბალურობა მოიცავს მხოლოდ გამონათქვამთა ტექსტუალურ განზომილებას, ვოკალურობა კი ყველაფერ იმას, რაც გამოძინარეობს ფონური (წარმოთქმა, მახვილი და ა.შ.) და პროსოდიული განზომილებიდან (ინტონაცია, ტონი, პაუზა, მახვილი და ა.შ.) (ბეილონი 2002).

მედიადისკურსის (ტელევიზიით და რადიოთი) ინტერპრეტატორისათვის მნიშვნელოვანია პროსოდიული კომპონენტი. მას აქვს დიდი სემიოტიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა: მეტყველების მელოდია, ტემპი, რითმი, ხმამაღლობა – ყველაფერი ეს გამოიყენება ზეპირმეტყველებაში აზრების ფორმირებისათვის. ინტონაცია მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველებაში, ხოლო სასვენი ნიშნები – დამწერლობისათვის.

კომუნიკაციის პარალინგვისტური ელემენტებიც საინტერესო და აღსანიშნავია. ადამიანი იყენებს არტიკულაციურ-ფიზიოლოგიურ აპარატს, ხმასა და სუნთქვას. პარალინგვისტური ელემენტები გამოყოფენ დამოუკიდებელ სეგმენტებს – მოლაპარაკე მეტყველებას წამით წყვეტს, რათა, მაგალითად, გაიცინოს ან ამოისუნთქოს. ასევე ისინი ედება ვერბალურ სიგნალს – როცა ვინმე იცინის ლაპარაკისას (ბეილონი 2002).

ექსტრალინგვისტური ელემენტების სისტემაში მოყვანა ძნელია: გარდა მიმიკისა, კინესიკისა (**kinésique**) და პროქსემიკისა (**proxémique**) (არტიკულაციური, მყესოვანი და კუნთოვანი ელემენტების ერთობლიობა). აქ საქმე ეხება პრაქტიკულად ყველა ვითარებასა და მოვლენას, რომლებიც თან ახლავს ურთიერთობის აქტს. ყველა ამ მოვლენის, სიტუაციის დაფიქსირება გაართულებს მეტყველების აღწერას (მენგენო 1987; ლაბოვი 1978). თუმცა ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მედიადისკურსის დროს, განსაკუთრებით, როცა მოლაპარაკე პირს მედიის მეშვეობით სურს იმოქმედოს რეციპიენტზე.

საერთოდ, ცნობილია, რომ ყველაზე უფრო დამაჯერებლად ადამიანზე მოქმედებს ტელევიზია, მეორე ადგილზე დგას რადიო და ბოლოს უკვე ჟურნალ-გაზეთები (ინტერნეტი ჯერჯერობით არც ისე მასობრივია). ადამიანები უფრო მეტად იმას ენდობიან, რასაც საკუთარი თვალით ხედავენ და ისმენენ. ტექსტს ედება სურათი, სიმბოლო და ეს იზიდავს მაყურებელს. ასე რომ, მედიამეისიჯს აქვს ფატიკური ფუნქცია (იაკობსონი 1970) – გადამცემი ეძებს რაც შეიძლება მეტ მიმღებს საკუთარი ინფორმაციისთვის. ეს ეხება განსაკუთრებით პოლიტიკურ დისკურსს.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური კომუნიკაციისას პოლიტიკოსები ცდილობენ მსმენელთა დარწმუნებას. ამას ისინი ახორციელებენ მედიის დახმარებით – ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები. დღეს პოლიტიკური დისკურსი ემორჩილება მედიაკანონებს. ეს უკანასკნელები ხასიათდებიან დამატებითი ფენომენებით, როგორცაა დეზინფორმაცია და ზეინფორმაცია.

დეზინფორმაცია, ვი დიურანდენის (აღამი 1997) აზრით, წარმოადგენს „ორგანიზებული ტყუილების ერთობლიობას იმ ეპოქაში, სადაც ინფორმაციის საშუალებები ძლიერ განვითარებულია“. ამ განსაზღვრებას ასრულებს როლან ჟაკო (ბალი 1999): „ტექნიკათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის მანიპულაციისათვის, უნარჩუნებს მას განსაკუთრებულ ხასიათს ისე, რომ ზეგავლენას ახდენს სხვათა აზრებსა და რეაქციებზე“. ამას მიყვავართ პროპაგანდამდე, რომელიც დეზინფორმაციის ერთ-ერთი მეთოდია და ფართოდ გამოიყენება პოლიტიკაში (ბურდიე 1996; გაიარი 1971).

უფრო მეტად მატყუარა ფორმა გააჩნია *ზეინფორმაცია*ს. პოლიტიკოსები მას სულაც არ გაუზიან, არამედ იყენებენ კიდევაც პოლიტიკურ კამპანიაში. ეს არის წყაროების ვიზუალური, წერილობითი ან ხმოვანი ინფორმაციის გადაჭარბებულობის შედეგი. ობიექტთა, მოვლენათა ჭეშმარიტი გაგების გარდა, იგი მოიცავს ბუნდოვანებას, ეჭვს, ინდიფერენტულობას. პარალელურად ინფორმაციის (დეზინფორმაციის) განმეორება ზრდის სირთულეს, მოუქნელობას ყველა მედიასაყრდენზე. ამგვარად, მედია ახდენს ავტოსტიმულაციას, ზრდის ფასს და ზეინფორმაცია წალეკავს მათ თავბრუდამხვევი, დამატორბელი სპირალის სახით. ამგვარად, ყოველდღიური ახალი ამბების გავლენით მნიშვნელოვანი ფაქტები შეიძლება მოგვეჩვენოს უფერულად, უმნიშვნელოდ, იმიტომ, რომ არ ვიცით კონტექსტი და აუცილებლობის შემთხვევაში არ ვიხვეთ უკან, რადგან წამიერი ლოგიკა ამის საშუალებას არ გვაძლევს (ალბერი 1968).

ჩვენი აზრით, ისევე როგორც ნებისმიერი მოქალაქე, პოლიტიკოსიც არ იცნობს საზოგადოების ყველა მიზანსა და პრობლემას მაშინაც კი, თუკი ზედმეტად არის ინფორმირებული. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მედია მხოლოდ განსაზღვრულ და წინასწარ შერჩეულ საგნებზე აწვდის ზედმეტ ინფორმაციას საზოგადოებას. ნ. ლადარიას აზრით, „მედია დისკურსში შეტყობინების შინაარსი, მისი გადაცემის სემიოტიკური არხი და საბოლოო საზრისი ცალსახად არის დაკავშირებული ერთმანეთთან“ (ლადარია 2000) და ამას იგი უწოდებს დაბალი დონის გამოსავალს (low-level output). სწორედ ასეთია პოლიტიკოსის დისკურსი. უნდა ითქვას, რომ პოლიტიკოსები იმყოფებიან უფრო ხელსაყრელ პირობებში, რადგან მათ ხელი მიუწვდებათ „რეზერვირებულ“ ინფორმაციაზე მასისაგან განსხვავებით (ბურდიე 1982). თუმცა, როგორც ამბობენ, ინფორმაციის – გეგმები, პროგრამები, ნაშრომები – უმეტესობა თავისუფალია იმათთვის, ვისაც მისი მიღება სურს. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ მოვიპოვოთ ზოგიერთი ინფორმაცია, საჭიროა სიმტკიცე, ხელისუფლებასთან კავშირი. მედია უფრო გვაწვდის არა უბრალოდ ინფორმაციას, არამედ აღიარებულ აზრს.

## **შესაძლებელია თუ არა განვიხილოთ მედია, როგორც პოლიტიკური ზეგავლენის იარაღი?**

ერთი შეხედვით ამ საკითხზე პასუხი ცალსახაა, თუმცა დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბდა რამდენიმე განსხვავებული შეხედულება, რომელთა განხილვას შევეცდებით ამ სტატიაში.

ძველ დროში ტელევიზიის, რადიოსა და პრესის გარეშე კი ახერხებდნენ დიდი ბელადები, ლიდერები და ქვეყნის მმართველები პოლიტიკურ ზემოქმედებას ხალხზე. მათ ამისათვის არ სჭირდებოდათ შუამავალი. *ალექსანდრე მაკედონელი* თავისი ძლიერი ხასიათითა და დამპყრობლური სულისკვეთებით ჯარისკაცებს მოუწოდებდა ბრძოლისაკენ და ისინიც ემორჩილებოდნენ თავიანთ ბელადს. თუმცა ეს მორჩილება ძალადობასა და შიშზე იყო დამყარებული. ასევე ამის მაგალითია *ოლივერ კრომველი*, რომელმაც ინგლისის არმიაში დიქტატურის წყალობით დაამყარა წესრიგი. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ წარსულში ზეგავლენის მოხდენა ძალადობის მეშვეობით ხორციელდებოდა. ისეთი ბელადები, როგორებიც იყვნენ ლენინი, ტროცკი, მარქსი საზოგადოებაში ატარებდნენ საკუთარ აზრებს პროპაგანდის საშუალებით. ამის მიღწევა შესაძლებელი იყო ძლიერი *ორატორული ნიჭის, ადამიანების ემოციებსა და განწყობებზე თამაშის, შთაგონების* მეშვეობით. ყველა ამ შემთხვევაში საქმე ეხება ძირითადად საჯარო გამოსვლებს.

XXI საუკუნეში ძალადობა აღარ არის ადამიანთა დარწმუნების უპირატესი საშუალება. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა *რიჩარდ ნიქსონმა* ერთხელ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში გამოსვლისას განაცხადა, რომ „**ინფორმაციასა და პროპაგანდაში ჩადებული ერთი დოლარი უფრო ღირებულია, ვიდრე 10 დოლარი იარაღის წარმოებაში, რადგანაც ეს უკანასკნელი შეიძლება საერთოდ არ იქნეს გამოყენებული, ინფორმაცია კი მუშაობს 24 საათის განმავლობაში ყველგან**“ (ვიკიპედია 2006 (19)).

როგორც უკვე ითქვა, დღეს ინფორმაციას გადასცემენ ძირითადად მასმედიის საშუალებით. მეცნიერების (*კ. ბეილონი, ლ. ბელენჯერი, პ. შაროლო, ბ. ლამიზე, რ. ჟ. შვარცენბერგი*) აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი. მედიის საშუალებით ხორციელდება პოლიტიკური კომუნიკაცია. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის „ხიდი“ ხალხსა და ხელისუფლებას შორის. პოლიტიკოსები საკუთარი თავის რეალიზაციას ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით ახდენენ დებატებისა და დისკუსიების სახით. მათ სურთ თავიანთი შეტყობინებით ზეგავლენა მოახდინონ მსმენელებზე. აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსებისათვის მედია ზეგავლენის მოხდენის ერთადერთი საშუალებაა. ინგლისელი მკვლევრები ანტონი პრატკანისი და ელიოტ არონსონი აცხადებენ, რომ „**ყოველთვის, როდესაც ტელევიზორს ან რადიოს ვრთავთ ... ან ჟურნალ-გაზეთებს ვკითხულობთ, ვიღაც ცდილობს ჩვენს აღზრდას, დარწმუნებას, რომ ... ამა თუ იმ პოლიტიკოსს მივცეთ ხმა**“ (პრატკანისი 1991).

აქ, მაგალითად, გვინდა მოვიყვანოთ საფრანგეთის პრეზიდენტის, შარლ დე გოლის მიერ 1968 წლის მაისში რადიოთი წარმოთქმული სიტყვა – ფრანგი ხალხისადმი მიმართვა. ამ დროისათვის უკვე მესამე წელი იყო, რაც გენერალი დე გოლი მეორე მანდატს ასრულებდა; მიუხედავად იმისა, რომ ეს მანდატი მას ფრანგმა ხალხმა გადასცა, ის იძულებული იყო თვალი გაესწორებინა 68 წლის მაისის კრიზისისათვის, რომელიც წამოიწიეს სტუდენტებმა და შემდეგ გააღრმავეს მუშებმა. მათი მოთხოვნა იყო ხელისუფლების შეცვლა. პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული ტექსტის ანალიზისას შეიმჩნევა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება მტკიცეა. იგი მიუთითებს საკუთარ ავტორიტეტზე და ასე იწყებს თავის სიტყვას: "Etant le détenteur de la légitimité" (ძალაუფლების არგუმენტი). შემდეგ იგი ხსნის, თუ რატომ ამბობს უარს დათმობაზე – "J'ai pris mes résolutions: Non! La République n'abdiquera pas" (დე გოლი 1996) და ისეთ ტერმინებს იყენებს, რომლებიც დამაჯერებლობას ჰმატებს მის სიტყვას. გადაწყვეტილების მიღებისას პრეზიდენტი ეყრდნობა გარკვეულ ღირებულებებს, რათა მათ სისწორეში დაარწმუნოს ხალხი: "J'ai un mandat du peuple" (დე გოლი 1996) (ავტორიტეტის არგუმენტი). ხალხმა მას სწორედ კანონიერად მიანიჭა მეორეჯერ ნდობის მანდატი. ის უნდა ჩაერიოს, რათა არ შეილახოს რესპუბლიკის პრინციპები. პრეზიდენტი დე გოლი ბოლოდან მეორე ხაზზე ასევე იყენებს კონცეპტს „თავისუფლება“ (კონცეპტი, რომელიც მნიშვნელოვანია ფრანგი ხალხისათვის, როგორც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება), რასაც ის უპირისპირებს ამ კრიზისის ორგანიზატორთა მეთოდებს – "l'intimidation et la tyrannie" (ფორე 1998). ეს კი ეწინააღმდეგება თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებს. ის საყვედურობს მაისის კრიზისის ორგანიზატორებს ქვეყნის დეზორგანიზაციას, რომ ისინი ფრანგ ხალხს მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ და რომ ქვეყანა პარალიზებულია: "On empêche les étudiants d'étudier", "les travailleurs à travailler" (არგუმენტი მრავალსიტყვაობით) (დე გოლი 1996). ის თვლის, რომ კრიზისის დასრულება ქვეყანას საშუალებას მისცემს, ჩადგეს კალაპოტში და მოუწოდებს პრევენტებს "assurer (...) l'existence de la population" (ტუშარი 1978). პრეზიდენტი დე გოლი მკაცრად სჯის კრიზისის სულისჩამდგმელებს და მათ კომუნისტურ პარტიასთან აიგივებს: "un parti qui est déjà une entreprise totalitaire" (ტუშარი 1978). იგი ნათლად აჩვენებდა ფრანგ ხალხს, რომ ქვეყანაში არეულობა მოწყობილი იყო ტოტალიტარული (რევოლუციური) პარტიის მიერ და მას აკისრებდა პასუხისმგებლობას. ამით იგი ცდილობდა, მათ ქვეცნობიერებაში შეუქმნევლად დალექილიყო მისი აზრები და ქვეცნობიერად მოეხდინა ზეგავლენა ხალხზე (არგუმენტაცია მაგალითით). როგორც ყოველთვის, მან თავისი გამოსვლა დაასრულა სიტყვებით: "Vive la République! Vive la France!" (დე გოლი 1996; ვიკიპედია 2004). ამან გააძლიერა ხალხის დარწმუნების ხარისხი. რადიოგამოსვლაში მისი ტონი იყო მტკიცე, დამაჯერებელი და აუღელვებელი. ძლიერი ორატორი და პოლიტიკოსი, როგორც იყო საფრანგეთის პრეზიდენტი



შარლ დე გოლი, ყოველთვის შეძლებს არგუმენტირებული დისკურსით დაარწმუნოს საზოგადოება საკუთარ სისწორეში (ბრეტონი 1996; პერელმანი 1988). ამ სიტყვამ, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა მოახდინა ხალხზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი დე გოლი მაინც დამარცხდა და 1969 წელს მას მოუხდა ხელისუფლების დატოვება. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მოძრაობის ლიდერთა და ელიტის წარმომადგენელთა გამოსვლებმა, რომლებიც ზუსტად ისე იყო გაშუქებული იმდროინდელი მედიის მიერ, რომ ხალხის ცნობიერების მანიპულირებას კარგად ახდენდა. „სტუდენტებს არ სურთ, გაიზიარონ თავიანთი მამების მომავალი; ჩვენ ვიყავით ლაჩრები, ტოტალური მორჩილებისაგან დაუძღვრებულები, დაღლილები, სულიერად დაცემულები და დახურული სისტემის მსხვერპლნი (...) ძალადობა ერთადერთი გზაა იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც არ უნდათ, გაიზიარონ ჩვენი ბედი“, – აცხადებდა ჟან-პოლ სარტრი (ვინოკი 1997). მის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ყოველთვის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში მთავარი არის ხალხი და რომ მათგან უნდა დაიმსახურო სიყვარული; ხალხი ძლიერი და გავლენიანია. მედია სწორედ ის საშუალება იყო, რომელსაც ეს მოვლენები ხალხის ყურამდე მიჰქონდა და მას მიუძღვის დიდი წილი ამ მოვლენების ასე წარმართვაში. ნებისმიერი სიტყვა მედიას შეუძლია ისე გამოიყენოს და გადააკეთოს, როგორც მას მიაჩნია სწორად და ის ამას ყოველთვის იმის სასარგებლოდ აკეთებს, ვისაც უჭერს მხარს. ასე რომ, მედია არასოდეს არ არის ნეიტრალური. ის ყოველთვის სუბიექტურია, თუმცა ხშირად ცდილობენ დაამტკიცონ საპირისპირო.

აქედან გამომდინარე, მედია შეგვიძლია განვიხილოთ პოლიტიკური ზემოქმედების იარაღად. მაგრამ ალბათ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, თუ ვის ემსახურება ეს იარაღი და ვისი მიმართულებით ისვრის. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკში დატრიალებული ტრაგედია, რომელიც მთელმა მსოფლიომ ტელევიზიის საშუალებით ნახა, საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა, გაემართლებინათ გაეროს ეგიდით ნატოს ჯარების შეყვანა ავღანეთში; არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ამერიკელ ტელემაყურებელს ბევრად უფრო მეტ ომის მხარდამჭერ ინფორმაციას აწვდიდნენ, ვიდრე ომის საწინააღმდეგოს. "Gli atti terroristici produssero una psicosi di panico nella nazione americana", – აცხადებდა იტალიური გაზეთი (გროტი 2004). მათ სურდათ ხალხში გაეღვივებინათ წინააღმდეგობის და ბრძოლის სურვილი გაზეთის სტატიების მეტად შთამბეჭდავი სათაურებით, როგორცაა "Ben Laden, l'ennemi numéro un", "Attaque sur l'Amérique", "Les Etats-Unis en état de choc", "Panique au Pentagone", "Des milliers de morts à Manhattan", "Les Taliban se préparent à la guerre sainte", "Les Etats-Unis face à la menace bioterroriste", "L'apocalypse terroriste s'abat sur", "Psychose sécuritaire aux Etats-Unis", "La démocratie désemparée" (Le Monde 2001). ასეთი სასტიკი, შთამბეჭდავი სათაურებით პრესა ცდილობდა ემოქმედა საზოგადოებაზე. კარგად არგუმენტირებული სტატიები დეტალურად აღწერდნენ

ტერორისტების მოქმედებებს და მრავალსიტყვაობით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ (ილოკუციური პლანი) ხალხი მათ სისასტიკესა და ამერიკის მთავრობის სამოქმედო გეგმის სისწორეში. პრესაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ამერიკის ძალაუფლებას დაემუქრნენ და ხალხში პანიკა სუფევს: "Le World Trade Center, symbole de la puissante Amérique n'est plus qu'un tas de cendres", ან კიდევ "L'Amérique est touchée au Coeur. La Présidence, le Trésor et tous les édifices stratégiques sont en état d'alerte", "Les Etats-Unis ont été frappés par une série d'attentats dans précédent dans l'histoire" (დასკიე 2007). ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ლექსიკა მეტად გამორჩეულია, შეიმჩნევა მიმართება ისეთ ტერმინებთან, როგორცაა ეროვნული თვითმყოფადობა, №1 მტერი, წმინდა ომი, ბიოტერორისტული მუქარა, შემოტევა, ტერორიზმი, თავდასხმა; როგორც შეიმჩნევა, აქ გამოყენებულია მიმართება საზოგადოების არსებობის ძირითად ღირებულებასთან – თავდაცვა მტრისაგან.

2 წლის შემდეგ კი სადამ ჰუსეინი დაადანაშაულებს ალ ქაიდასთან კავშირში და ომი დაიწყეს ერაყში. საინტერესოა ასევე ისიც, რომ ერაყში საომარი მოქმედებების გასაშუქებლად წასულმა ჟურნალისტებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს იმის შესახებ, თუ რისი გაშუქება შეეძლოთ და რისი არა. საბოლოოდ ძნელი სათქმელია, ვინ იზარალა და ვინ აღმოჩნდა მოგებული. ამას დრო განსჯის, ხოლო მედიის დამსახურება ტერორიზმის წინააღმდეგ ომში უდავოა. იმის მტკიცება, რომ მედიას წინასწარ განსაზღვრული მიზანი ამოძრავებდა, შეუძლებელია; ტელევიზიამ შეასრულა თავისი მოვალეობა და გადასცა ახალი ამბავი მსოფლიოს, თუმცა ამ ახალმა ამბავმა სრულიად განსხვავებული დატვირთვა მიიღო. პირდაპირ ეთერში გადაცემული ნიუ-იორკში მომხდარი ტერორისტული აქტები შემზარავი იყო მთელი მსოფლიოსათვის.

ერაყში საომარ მოქმედებებზე საზოგადოების რეაქცია გაიყო ორად (პერლოკუციური პლანი): ერთნი, ვისაც გაუჩნდა აგრესია მუსულმანური სამყაროს მიმართ და მეორენი, ვინც ეწინააღმდეგებოდა ომს და მშვიდობას ქადაგებდა მანიფესტაციების დროს. ეს ყოველივე მედიის მუშაობის დამსახურებაა.

საზოგადოებაში მედიას უწოდებენ მეოთხე ხელისუფლებასაც და მას ალბათ სამივე ხელისუფლებაზე მეტი ზეგავლენა აქვს ხალხზე. ჩემი აზრით, იგი უდავოდ არის პოლიტიკური ზეგავლენის იარაღი; ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ *მედია* ემსახურება მესამე ძალის ინტერესებს. პირიქით, იგი საზოგადოებას საკუთარი თამაშის წესებს სთავაზობს. ის ხშირად გვეკარნახობს, რაზე ვიფიქროთ. მაგალითად, გვეუბნება, რა მოხდა დღეს ქვეყანაში და მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი და ჩვენც ძალაუვნებურად ამაზე ვიფიქრობთ და ვლაპარაკობთ (*აჯენდა სეთინგის თეორია*) (ბაუმგარტნერი 1993). უფრო ხშირად ტელევიზიით, რადიოთი თუ ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით გვეუბნებიან, როგორ ვიფიქროთ და იგი გარკვეულ აქცენტებს აკეთებს ამბის მოყოლის დროს (*ფრეიმინგის თეორია*) (ენტმანი 2000; 2001).

მედია მხოლოდ განსაზღვრულ და წინასწარ შერჩეულ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას. ითვლება, რომ, რაც არ უჩვენებიათ ტელევიზიით, რაც არ დაუწერიათ გაზეთებში, არც მომხდარა. ასე რომ, ყოველდღიურ ახალ ამბებში ჩაფლულებს მნიშვნელოვანი ფაქტები შეიძლება მოგვეჩვენოს უფერულად, უმნიშვნელოდ იმიტომ, რომ მედია მას არ გვაწვდის (იგი არ თვლის ამ ინფორმაციას მნიშვნელოვანად, ან უბრალოდ გარკვეული ინტერესების გამო არ სურს მისი გადმოცემა – ედვარდ ჰერმანის 5 ფილტრის თეორია (ჰერმანი 1988)). ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის მფლობელობაშია მედია, ვინ არის ინფორმაციის წყარო, რა რეკლამას უშვებს ის, რა იდეოლოგიას ატარებს და როგორი გამოხმაურება შეიძლება ჰქონდეს მის მიერ გაშვებულ ამა თუ იმ ინფორმაციას.).

იენასიო რამონე (ბალი 1999) აცხადებს, რომ, რაც უფრო ხშირად ლაპარაკობენ ტელევიზიები (ასევე რადიო, ჟურნალ-გაზეთები) ერთსა და იმავე რამეზე, მით უფრო მეტ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღესდღეობით ისინი ადგენენ თამაშის წესებს და წყვეტენ, რომელი ინფორმაციაა უფრო მნიშვნელოვანი, რომელს დაუთმონ მეტი დრო და მეტი ჟურნალისტები. მაგალითად, 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის“ დროს „რუსთავი 2“ მთლიანად გადართული იყო რევოლუციურ ტალღაზე. იგი მთელი დღის განმავლობაში აშუქებდა მიტინგებს და გვთავაზობდა პოლიტიკურ დებატებს. რაც ჩვეულებრივ რეჟიმში ჰეღლაინი იქნებოდა, რევოლუციის პერიოდში შეიძლება ეს ინფორმაცია საერთოდ არ გაეშუქებინათ. „რუსთავი 2“ გახდა პოლიტიკური იარაღი, რომელიც იმ პერიოდში ატარებდა დაინტერესებული ძალების ინტერესებს. საინტერესოდ მიგვაჩნია 2003 წლის ნოემბერში იმ დროისათვის საკრებულოს თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის, სატელევიზიო ინტერვიუ. იგი მტკიცედ დგას საკუთარ მოსაზრებაზე და აცხადებს, რომ ის ხალხის დახმარებით შეძლებს ამ ხელისუფლების თავიდან მოშორებას. მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა მეტად შთამბეჭდავი იყო. მის მიერ წარმოთქმულ დისკურსს აქვს დეკლარაციული ილოკუციური მიზანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შეცვალოს გარე სამყარო მოცემული გამონათქვამით: ამ ტიპის გამონათქვამის წარმოთქმისას, როგორც ვიცით, მოლაპარაკე პირი დარწმუნებულია მოცემული მეტყველების აქტის წარმატებულ დასრულებაში. მას ჰქონდა საკუთარი მოსაზრებები ამ გამოსვლების შესახებ და სურდა, დაერწმუნებინა ხალხი საკუთარ სიმართლეში. ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა თავის აუდიტორიას: შიმშილის, უმუშევრობის, უშუქობის, უწყლობის და გაუსაძლის პირობებში მოქცეული ადამიანების გასაჭირს და სწორედ ამ საკითხებზე ოპერირებდა მისი მესიჯები. აჩვენებდა რეჟიმის უძლურ მდგომარეობას. იგი დაჰპირდა ხალხს, ერთად დგომისა და მხარდაჭერის შემთხვევაში სიტუაციის გამოსწორებას. იგი ხალხს მიმართავდა და ეუბნებოდა, რომ მას ჰქონდა უდიდესი ძალა. ეს იყო მშვიდობიანი რევოლუცია და ამაში დიდი როლი შეასრულა მედიამ. ტელევიზიამ, ფაქტობრივად, ვიზუალური შოკი მოახდინა იმ დროს ამ მოვლენების 24-საათიანი გაშუქებით.

მაგალითად ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდი. ამ დროს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო საინფორმაციო ომის მოგება. რადგან საომარ ვითარებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდასა და ხალხზე ზემოქმედებას სწორი, მიზანმიმართული და არგუმენტირებული დისკურსით. ამ დროს მსოფლიო მედია აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოში მიმდინარე პროცესებში და მეორე პლანზე გადავიდა მსოფლიოში ერთ-ერთი იმდროისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა – ოლიმპიადა ჩინეთში.

რაც შეეხება უცხოურ პრესას, ყოველდღე იბეჭდებოდა საქართველოში განვითარებული მოვლენების ამსახველი სტატიები.

ფრანგული "Le Figaro" აქვეყნებს სტატიას "Georgie/Saakashvili: "on va gagner" – "Notre lutte contre la Russie est celle de David contre Goliath. Et David va gagner! On va gagner!", "Nous sommes ensemble, nous sommes unis!" (C.N. et C.J 2008). როგორც აცხადებს ფრანგული გამოცემა, აფიშებზე იყო შემდეგი წარწერები: "Liberté" ან "Arrettez la Russie". იტალიურ საიტზე [rai.it](http://rai.it) ციტირებდნენ სააკაშვილის სიტყვებს: "Mi spiace vederci uniti in circostanze così tristi", "Noi siamo uniti" (სააკაშვილი 2008).

CNN-ის საიტზე ყოველ ნახევარ საათში ერთხელ იცვლებოდა ინფორმაცია საქართველოს შესახებ, სადაც პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ "Our message today is that no matter what they do, no matter how much they bomb us, no matter how they want to cripple us and mine us, we are not going to give up them our freedom and Georgia will never surrender"... "We should never go back to the Soviet Union" (სააკაშვილი 2008).

როგორც ვხედავთ, ამ დროის მესიჯებში შეიმჩნევა კონცეპტების – თავისუფლება და ერთიანობა – ხშირი გამოყენება. თანამედროვე საზოგადოების დემოკრატიზაციისა და სამყაროს ღირებულებების გაზიარების სურვილის არსებობამ განაპირობა ის, რომ მსოფლიოს ენობრივ ცნობიერებაში დიდი ადგილი დაიკავა ამ კონცეპტებმა და ამ სახის ლექსიკამ.

მაგალითების განხილვისას აშკარაა, რომ მედიის როლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის. სწორედ მედიის საშუალებით მიაქცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ყურადღება მთელმა მსოფლიომ. მთელი სამყარო აღდგა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ქართველ ხალხს იმ მძიმე წუთებში, რადგანაც დემოკრატიული ღირებულებების (თავისუფლება, ადამიანთა უფლებები, ტერიტორიული მთლიანობა) დაცვა ყველაზე მნიშვნელოვანი და უპირველესი ამოცანაა დღევანდელ სამყაროში.

ბევრი მაგალითი არსებობს მედიის მიერ პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის თაობაზე. მაგალითად, სწორედ უილიამ რანდოლფ ჰარსტის (პრესის ამერიკელი მაგნატი – 1863-1951) გაზეთში "*New York Morning Journal*" გამოქვეყნდა მოხსენება ამერიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამან გამოიწვია ომი ორ ქვეყანას შორის (1898), რის შედეგადაც კუბამ დაკარგა დამოუკიდებლობა და ძველი ესპანეთის კოლონიები ამერიკამ ჩაიგდო ხელში (ვიკიპედია 2008 (18)).

არსებობს აზრი, რომ *ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესს უფრო დიდი ზეგავლენა აქვს მედიაზე, ვიდრე მედიას პოლიტიკურ პროცესზე*. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში ხელისუფლება მედიას იყენებდა, როგორც პროპაგანდის საშუალებას. ამ დროს კომუნისტური პარტია ტელევიზიის, რადიოს, ჟურნალ-გაზეთების, კინოფილმების, თეატრალური დადგმების საშუალებით ახდენდა ზემოქმედებას საზოგადოებაზე. ძირითადი იდეები იყო: ჯანმრთელობა, შრომა, ოჯახი, სამშობლოს სიყვარული, აქტიური ცხოვრებისეული და მოქალაქეობრივი პოზიცია და პასუხისმგებლობა.

თანამედროვე რუსეთში მედია აღმოჩნდა ხელისუფლების ხელში და, რასაკვირველია, იგი არის პოლიტიკური ზემოქმედების საშუალება; ამის მაგალითია ჩეჩნეთის ომი, როცა წარმატებული პროპაგანდის მეშვეობით ხალხის 70%-მა მხარი დაუჭირა სამხედრო კამპანიას ჩეჩნეთში.

გი დიურანდენი აცხადებს, რომ პოლიტიკურ კომუნიკაციაში წამოიჭრება სამი ელემენტი, რაც დაკავშირებულია მედიასთან (აღადი 1997): წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ **რეკლამას** – არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა უნდა მოიპოვონ მედიის მხარდაჭერა და ხალხზე მოახდინონ ზეგავლენა. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ რეკლამას (რეალური დებატების ჩატარება პირდაპირ ეთერში, წმინდა რეკლამა, ბუკლეტები) არა მარტო ტელევიზიით, არამედ ჟურნალ-გაზეთებშიც; **პროპაგანდას** – ზეგავლენის განხორციელება (წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკოსები დებატებს მიმართავენ ტელევიზიის დახმარებით და ახდენენ ხალხის მანიპულირებას) და ბოლოს **PR** – წარმატების გასაღები პოლიტიკაში (სხვადასხვა აქციების ჩატარება შექდება მედიის დახმარებით). მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მედიის გავლენა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მედიამ დიდი როლი შეასრულა ნიკოლა სარკოზის საარჩევნო კამპანიაში. მისი გამარჯვება განაპირობა იმან, რომ იგი იყო და არის მედიის ფავორიტი (შეგვიძლია ვიხილოთ ვებგვერდი, სადაც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამონარიდებია მოცემული) (ბროსოლეტე 2002).

**„სირუმე კლავს და დღეს მედიას შეუძლია თითოეულის ყურამდე მიიტანოს შიღისის ამბავი, გამოაფხიზლოს ხალხი“** – განაცხადა კოფი ანანმა (ვიკიპედია 2008 (22)). 2004 წლის 15 იანვარს გაეროს შიღისთან ბრძოლის პროგრამის ხელმძღვანელმა პეტერ ჰიოტმა (როკი 1999) შეკრიბა მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი 22 მედიასაშუალება შიღისის საწინააღმდეგოდ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად და შეთანხმების დასაღებად. მისი აზრით, დღევანდელ დღეს, როცა ინფორმაციას ასეთი დიდი გავლენა აქვს, მსოფლიოში იღუპება ათასობით და ათიათასობით ადამიანი ამ დაავადებისგან და ამის საწინააღმდეგოდ ბრძოლის ერთ-ერთი ძლიერი იარაღი არის მხოლოდ მედია. შეთანხმებას ხელი მოაწერეს შემდეგმა კომპანიებმა: **BBC** (ინგლისი), **BET**, **CNN** (აშშ), **CCTV** (ჩინეთი), **Discovery Channel** (აშშ), **Gazprom-Media** (რუსეთი), **TVGlobo** (ბრაზილია), **ICTV** (უკრაინა), **LBC** (ლიბანი), **METRO TV**

(ინდონეზია), **MPAA** (აშშ), **MTV** (აშშ), **NHK** (იაპონია), **PHOENIX** (ჰონკონგი), **Prasar Bharati** (ინდოეთი), **RTVE** (ესპანეთი), **SABC** (სამხრეთ აფრიკა), **TIME WARNER** (აშშ), **TV5** (ფრანკოფონია), **UNIVISION** (აშშ), **Viacom** (აშშ) et **VON** (ნიგერია) (ფონსეკა 2001; როკი 1999).

## **დასკვნა**

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მედიის ფუნქცია არის ინფორმაციის მიწოდება და არა პროპაგანდა, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი იდეოლოგიის თავსმხვევის საშუალებაა. მედია ძალაუვნებურად ახდენს საზოგადოებაზე ზეგავლენას თავისი სპეციფიკურობის გამო. ეს მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ერთადერთი, ვინც გადასცემს ინფორმაციას. ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის გარეშე საზოგადოებას არ ექნებოდა სრული ინფორმაცია ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენაზე. ხალხი იღებს ამ ინფორმაციას ისე, როგორც მიაწოდებენ. ეს სპეციფიკურობა მედიას უდიდეს ძალაუფლებას ანიჭებს და ამ ძალაუფლების საჭირო მიმართულების მიცემის შემთხვევაში იგი შეიძლება გახდეს ყველაზე საშიში იარაღი. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მედია არის პოლიტიკური ზემოქმედების მოხდენის საშუალება. რაც უფრო იზრდება ადამიანის ცხოვრებაში მისი როლი, მით უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მასზე მედია. დღესდღეობით, ყოველდღიურ ცხოვრებაში, სწორედ მისი ძალისხმევის შედეგად ვიღებთ გადაწყვეტილებებს არა მარტო არჩევნებში, მანიფესტაციებსა და მიტინგებში მონაწილეობის მიღების თაობაზე, არამედ ნებისმიერ სფეროში.

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მედიას, რადგან ეს არის უახლესი ინფორმაციის მოპოვების საშუალება ყველა ადამიანისათვის, ხოლო პოლიტიკოსებისათვის თავიანთი აზრების გადმოცემის საშუალება, რათა ხალხს გააგებინონ თავიანთი სურვილები და მოსაზრებები ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე. მედია კი მათ ამაში ეხმარება, რადგან ერთი და იმავე ინფორმაციის მასობრივი გავრცელება საშუალებას იძლევა იმოქმედო ხალხზე და დაარწმუნო ისინი შენი აზრების სისწორეში, მოახდინო მათი მანიპულირება. სტატიაში მოყვანილი მაგალითები მეტად საინტერესოა და თითოეული შეგვიძლია განვიხილოთ ცალ-ცალკე, მაგრამ ეს სამომავლო კვლევის საკითხია.

## **ლიტერატურა**

- ადამი 1997:** Adam J.M., Bonhomme M., L'argumentation publicitaire, Paris, Nathan.  
**ალბერი 1968:** Albert P., La presse, coll. Que sais-je?, Paris, PUF.  
**ბალი 1999:** Balle.F., Médias et société, E.S.A., Montchrestein, pp. 43-59.  
**ბაუმგარტნერი 1993:** Baumgartner, F.R., Jones, B.D., Agendas and instability in American politics, Chicago: University of Chicago Press.

- ბელიონი 2002:** Baylon C., Sociolinguistique, Société, langue et discours, Paris, II éd. Nathan/VUEF.
- ბურდიე 1982:** Bourdieu P., Ce que parler veut dire, Paris, Librairie Arthème Fayard, pp. 95-112.
- ბურდიე 1996:** Bourdieu P., Sur la télévision, Paris, Raisons d'Agir Editions, pp. 16-89.
- ბრეტონი 1996:** Breton Ph., L'argumentation dans la communication, Paris, Découverte.
- გაიარი 1971:** Gaillard Ph., Technique du journalisme, coll. Que sais-je? PUF, Paris, 1971, pp. 3-41.
- დასკიე 2007:** Dasquie, G., 11 septembre 2001: les Français en savaient long, Le Monde, 16. 04.
- დე გოლი 1996:** De gaulle Ch., Mémoires d'espoir, Paris, Omnibus/Plon.
- ენტმანი 2000:** Entman R., Framing: Toward clarification of a fractured paradigm, Journal of Communication #43(4), Autumn, pp. 51-58.
- ენტმანი 2001:** Entman R., Herbst S., Reframing Public opinion as we have known it, in W. Lance Bennet and R. Entman (eds) Mediated Politics, Cambridge: Cambridge University Press.
- ვინოკი 1997:** Winock M., Le siècle des intellectuels, Paris, Seuil, pp. 564-566.
- იაკობსონი 1970:** Jacobson R., Essais de linguistique générale, Paris, Le Seuil, p. 95.
- ლაბოვი 1978:** Labov W., Le parler ordinaire, Paris, éd. De Minuit, chap.8
- ლაღარია 2000:** ლაღარია, სოციოლინგვისტიკა, „მეცნიერება“, თბილისი.
- მენგენო 1987:** Maingueneau D., Nouvelles tendances en analyse du discours, Paris, Hachette.
- პერელმანი 1988:** Perelman, Ch. , L'Empire rhétorique, Paris, Vrin.
- პრატკანისი 1991:** Pratkanis A.P., Aronson E., Age of Propaganda: The everyday use and abuse of persuasion, New York: W.H. Freeman and company.
- ტუშარი 1978:** Touchard J., Le Gaullisme 1940-1969, Paris, Seuil, pp. 278-289.
- ფორე 1998:** Fauré C. , Mai 68 jour et nuit, Paris, Gallimard, pp. 99-119.
- ჰერმანი 1988:** Herman H.S., Chomsky N., Manufacturing Consent, Vintage.

### ინტერნეტწყაროები

- ბროსოლეთე 2002:** Brossolette, S.P., Nicolas Sarkozy – ami de tout le monde dans les médias et les affaires [ონლაინსტატია] (განთავსებულია 2002 წლის 21 მაისიდან) მის.: <http://forestent.free.fr/sarko.html>  
<http://edition.cnn.com/video/#/video/politics/2008/08/13/sot.bush.georgia.crisis.steps.cnn>
- გროტი 2004:** Grotte I., The cost and impact of international terrorism on the economies of the United States and the European Union: 2001-2004 (ონლაინსტატია) (განთავსებულია ივნისი 2004) მის.: <http://padis2.uniroma1.it:81/ojs/index.php/rspi/issue/view/21>
- ვიკიპედია 2004:** Wikipedia, Charles de Gaulle [ონლაინსტატია] (განთავსებულია 2004 წლის 22 თებერვლიდან მის.: [http://fr.wikipedia.org/wiki/Charles\\_de\\_Gaulle#Appel\\_du\\_18\\_juin\\_1940](http://fr.wikipedia.org/wiki/Charles_de_Gaulle#Appel_du_18_juin_1940)
- ვიკიპედია 2008:** Wikipedia, Kofi Annan [ონლაინენციკლოპედია] (განთავსებულია 2008 წლის 24 თებერვლიდან) მის.: [http://en.wikipedia.org/wiki/Kofi\\_Annan#Speeches](http://en.wikipedia.org/wiki/Kofi_Annan#Speeches)
- ვიკიპედია 2006:** Wikipedia, Richard Nixon [ონლაინენციკლოპედია] (განთავსებულია 2006 წლის 13 თებერვლიდან) მის.: [http://en.wikipedia.org/wiki/Richard\\_Nixon](http://en.wikipedia.org/wiki/Richard_Nixon)

- ვიკიპედია 2008:** Wikipedia, William Randolph Hearst [ონლაინენციკლოპედია]  
(განთავსებულია 2008 წლის 23 თებერვლიდან) მის:  
[http://en.wikipedia.org/wiki/William\\_Randolph\\_Hearst](http://en.wikipedia.org/wiki/William_Randolph_Hearst)
- როკი 1999:** Rock. A., World Aids Day [ონლაინსტატია](განთავსებულია 1999 წლის 1 დეკემბრიდან) მის: [http://www.hc-sc.gc.ca/ahc-asc/minist/speeches-discours/1999\\_12\\_01\\_e.html](http://www.hc-sc.gc.ca/ahc-asc/minist/speeches-discours/1999_12_01_e.html)
- საკაშვილი 2008:** მ. სააკაშვილი, Georgia will never surrender (ონლაინვიდეო)  
(განთავსებულია 12 აგვისტო 2008) მის:  
<http://edition.cnn.com/video/#/video/world/2008/08/12/sot.georgia.saakashvili.surrender.itn>
- ფონსეკა 2001:** Fonseca. M., Aids warning issued by UN [ონლაინსტატია]  
(განთავსებულია 2001 წლის 4 ოქტომბრიდან) მის:  
<http://www.abc.net.au/worldtoday/stories/s382699.htm>  
„A tbilissi sfilano in 150 mila a sostegno del governo”  
<http://www.rainews24.rai.it/notizia.asp?newsid=84797>
- C.N., C.J. 2008:** Moscou annonce l’arret des operations en Georgie, Le Figaro, (ონლაინსტატია) (განთავსებულია 12 აგვისტო 2008) მის:  
<http://www.lefigaro.fr/international/2008/08/16/01003-20080816ARTFIG00039-les-russes-continuent-de-se-deployer-en-georgie-.php>
- Le Figaro:** Georgie/Saakashvili: on va gagner, Le Figaro (ონლაინსტატია) (განთავსებულია 12 აგვისტო 2008) მის: <http://www.lefigaro.fr/international/georgie.php>

*Gvantsa Chanturia*

## Media Messages – Main Political Weapon

### Summary

In the contemporary world the main way of transmitting information is media. The role of media is increasing day by day and so the interests of scientists towards this issue are also growing. We know that whenever the information is transmitted by media sources, its success is guaranteed. Media discourse has symbolic, informational and persuasive functions. In media sources, especially on television and radio, not only verbal, but phisionomical, gestual and actantial bases play a great role. Each oral expression has verbal and vocal dimensions. In a political discussion, politicians are trying to show themselves from the best side and persuade the auditorium in their truth. And the best ways for achieving the goals are television, radio, magazines and newspapers. Media may also be called a “bridge” between ordinary people and the government.

Media is the main source that brings information to the people. Journalists are able to use each word or sentence in a subjective way depending on their political



beliefs or preferences. They have rarely been neutral. So we can consider media as the main political weapon. It is also called the fourth power and it has more influence on people than the other three. Media always presents premeditated, well-selected information. It influences society because of its specificity. Without television, radio and press society would not be able to get the newest, most significant information about the events happening in the world. Often the information people receive is severely censored. This specificity gives media an enormous power and whenever it is given the right direction, it may be very dangerous.

ახალი წიგნები

*ირინე მელიქიშვილი, ძირის სტრუქტურათა ტიპოლოგია და საერთო-ქართველური ძირი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009, 203 გვ.*

ირინე მელიქიშვილის ნაშრომი – ძირის სტრუქტურათა ტიპოლოგია და საერთო-ქართველური ძირი – ქართველოლოგიური კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი შენაძენია. მასში გამოვლენილია ის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ძირში თანხმობანთა დისტანციური და კონტაქტური განაწილების წესებს. ნაშრომში სათანადო მეცნიერული არგუმენტაციით გაანალიზებული და გამოვლენილია საერთო-ინდოევროპული და საერთო-ქართველური ძირების სტრუქტურული მსგავსების საკითხი.

ნაშრომის აგებულება ასეთია: იგი მოკლე შესავლისა და ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ხუთი ქვეთავია. აქ ძირის, აფიქსისა და სიტყვის სტრუქტურათა ურთიერთმიმართების ფონზე გამოკვეთილია მარცვალი, როგორც ენის ფონემატური დონის ძირითადი კონსტიტუციური ერთეული, მოცემულია ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით ენების მოკლე ტიპოლოგიური დახასიათება, დაბოლოს, მიმოხილულია მარცვლის აგების ზოგადი პრინციპი ბგერათა სონორობის ხარისხზე დაყრდნობით. შრომის ამ ნაწილში (გვ. 9-29) აკუმულირებულია ის თეორიული ბაზისი, რომელზედაც გაშლილია ნაშრომის ძირითადი ნაწილი. ძირის სტრუქტურის განმსაზღვრელ წესებს ავტორი აგებს ბგერათა ფარდობითი სონორობის პრინციპის საფუძველზე.

ნაშრომის მეორე ნაწილი (გვ. 30-162) იწყება საანალიზო მასალის მიმოხილვით. ავტორი ქართველურ ენათა მასალაზე არსებული გამოკვლევების საფუძველზე ადგენს საერთო-ქართველურ ძირეულ და აფიქსურ მორფემათა 1171 ერთეულის შემცველ სიას. მასალის ანალიზმა დაადასტურა დებულება, რომლის თანახმადაც საერთო-ქართველური ძირის კანონიკური ფორმაა დახურული მარცვალი (CVC-). ძირის თავკიდური და ბოლოკიდური ერთეული შეიძლება რეპრეზენტირებული იყოს ცალი თანხმობის, ჩქამიერი კომპლექსის ან ჩქამიერი+სონორი ტიპის კომპლექსის სახით. კერძოდ კი, განხილული საერთო-ქართველური ერთეულების ძირის სტრუქტურა ასეთია: CVS- ძირები ბოლოკიდური სონორით (5 კომბინაციის 428 ერთეული), CVC- ძირები ბოლოკიდური ჩქამიერებით (15 კომბინაციის 506 ერთეული), ძირები -CS ბოლოკიდურით (CVCS-) (9 კომბინაციის 91 ერთეული), არაკანონიკური ფორმები (16 კომბინაციის 145 ერთეული). დახურული მარცვლის მქონე ძირთა საერთო რაოდენობის შედარებისას საერთო-ინდოევროპულ ასეთსავე ძირებთან ი. მელიქიშვილი ასკვნის, რომ რეკონსტრუირებულ წინარე ენებში ტიპოლოგიურად მსგავსი ვითარებაა.

ამავე თავში ავტორი უაღრესად საინტერესო და ყურადსაღებ კონცეფციას გვთავაზობს საერთო-ქართველურსა და საერთო-ინდოევროპულში /r/ ფონემის ანლაუტში უქონლობისა და თანამედროვე ქართველურსა და ინდოევროპულ

ენებში ამავე პოზიციაში /r/-ს გამოვლენის ასახნელად: „პირველ რიგში, აქ იმოქმედა მარცვლის სტრუქტურის შეცვლამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც ქართველურ, ისე ინდოევროპულ ენათა დიდ ნაწილში. როგორც ცნობილია, დახურული მარცვალი ღია მარცვლად იქცა ბევრ ინდოევროპულ ენაში. ...ქართულში ანლაუტში /r/-ს გაჩენისათვის ხელისშემწყობი პირობა უნდა იყოს რთული თავკიდური კონსონანტიზმის განვითარებაც. .../r/-ს გაჩენის ერთ-ერთ წყაროს  $CCrC > CrC > rC$  პროცესიც წარმოადგენს... ამგვარად, დახურული მარცვლის ღია მარცვლად ქცევამ და სხვადასხვა ფონეტიკურმა პროცესებმა (ქართულისათვის სონანტთა გაუმარცვლოებამ, რედუქციის შედეგად რთული კონსონანტიზმის წარმოქმნამ და მისი დაძლევის ტენდენციამ, ინდოევროპულისათვის – ლარინგალურთა გაქრობამ) შექმნეს ანლაუტში /r/-ს შედარებით თავისუფალი ფუნქციონირების პირობები თანამედროვე ქართულსა და ინდოევროპულ ენებში“.

მეორე თავშივეა მიმოხილული სონორი ფონემების კომბინაცია  $C_1$ -სა  $C_2$ -სთან. პარაგრაფის ბოლოს დისტრიბუციათა გათვალისწინებით  $C_1$ -ის წინ სონორები გამოირიცხა. სკრუპულოზურადაა გაანალიზებული  $SC_2$  და  $C_1S$ ,  $C_2S$  პოზიციები. ამ კომბინაციათა სახელებსა და ზმნურ ფორმებში გადანაწილებულ ძირებში ბოლოკიდური |S| სუფიქსურია და არ არის ძირის ოდინდელი კუთვნილება. სონორობის თეორიის შესაბამისად გამოყოფილია ათი სტრუქტურული ტიპი:  $CrVC-$ ,  $CnVC-$ ,  $CmVC-$ ,  $CVrC-$ ,  $CVnC-$ ,  $CVmC-$ ,  $C\check{u}VC-$ ,  $CლVC-$ ,  $CV\check{u}-$  და  $CVCლ-$  – ესაა ძირში ჩქამიერთა და სონორთა კომბინაციურად წარმოქმნილი ძირითადი ერთეულები. ჩქამიერთა მომდევნო პოზიციაში /\check{u}/-ს ფუნქციონირება რამდენადმე ემსგავსება /ლ/-ს ფუნქციონირებას და ერთგვარად ემიჯნება /რ, ნ, მ/ კლასს.

მესამე თავი ეძღვნება ჩქამიერ ფონემათა დისტრიბუციას  $CVC-$  ტიპის სტრუქტურებში, რაც ბგერათა ფარდობითი სონორობის პრინციპის საფუძველზე წესრიგდება. ჩქამიერ ფონემათა ურთიერთმიმართება სონორობის თვალსაზრისით განისაზღვრება ლარინგალური არტიკულაციითა და ლოკალური რიგით:

მჟღერები – ფშვინვიერებზე, ხოლო ფშვინვიერები ყელხშულელებზე უფრო სონორია; რაც უფრო უკანა წარმოებისაა ბგერა, მით უფრო მეტია მისი ღიაობა და სონორობა. დადგენილია, რომ მჟღერი-გლოტალიზებული, მჟღერი-ფშვინვიერი, ფშვინვიერი-გლოტალიზებული ტიპის სტრუქტურები დეცესიურია, ხოლო გლოტალიზებული-მჟღერი, ფშვინვიერი-მჟღერი, გლოტალიზებული-ფშვინვიერი სტრუქტურები – აქცესიური. მიღებულ კანონზომიერებას ავტორი „სონორული წონასწორობის წესს“ უწოდებს. სწორედ ამის საფუძველზე აღმოჩნდა გაფორმებული უძველესი სუფიქსაციის მქონე ქართველური ფუძეები (ფუძედრეკადი ზმნები). ამ ფუძეებში თუ ძირის თავკიდური გლოტალიზებული ან ფშვინვიერი ხშულია, ხოლო სუფიქსი მჟღერ ბგერას წარმოადგენს, შეერთება ყოველთვის აქცესიურია; ასევე აქცესიურია ხშულთა მიმდევრობა იმ ფუძეებში, სადაც ძირის თავკიდური გლოტალიზებულია, ხოლო სუფიქსის თანხმოვანი – ფშვინვიერი.

სამაგიეროდ, ყველა ფუძეში, რომლის თავკიდური ხშული მჟღერია, ხოლო სუფიქსი ფშინვიერი ან გლოტალიზებული, ძირის თავკიდური ხშული და სუფიქსის ხშულის მიმდევრობა უგამონაკლისოდ დეცესიურია. ამგვარად, საერთო-ქართველური ძირისა და ფუძის აგების წესი ერთგვარია. ავტორი აღნიშნავს, რომ ძირის სტრუქტურაში თანხმოვანთა განაწილება თანხმობაშია ლაბიალური და ველარული რიგის ხშულთა ფუნქციონირების შეზღუდვებთან, რომლებიც სხვა მოვლენათა (პარადიგმატულ სისტემათა, ფონემათა კომპლექსებისა და სინშირული მიმართებების) ანალიზის შედეგად მის მიერ იქნა დადგენილი.

ავტორი ძირში სონორთა განაწილების ასეთ კანონზომიერებას ადგენს: ბოლოკიდურსა და ინტერკონსონანტურ პოზიციებში სონორების სინშირე შეესაბამება მათ რიგს სონორობის ზრდის თვალსაზრისით: რ, ლ, ნ, მ. ე.ი. რაც უფრო სონორია ბგერა, მით მეტია ამ პოზიციაში მისი გამოვლენის ალბათობა. თავკიდურ პოზიციაში სონორთა შებრუნებული რიგი გვაქვს: მ, ნ, ლ, რ – რაც უფრო სონორია ბგერა, მით ნაკლებია თავკიდურ პოზიციაში მისი გამოვლენის ალბათობა. ასეთივეა სონორების განაწილება ძირის თავკიდურსა და ბოლოკიდურში საერთო-ინდოევროპულშიც. CVC- ტიპის ძირებისათვის თავკიდურსა და ბოლოკიდურში სონორთა გამოვლენის ურთიერთშებრუნებულ რიგს ავტორი უნივერსალურ ტენდენციად წარმოადგენს. მკვლევარს მხარს უმაგრებს სემიტურ ენათა მონაცემები, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს სემიტური ძირის მესამე თანხმოვნის სუფიქსური წარმომავლობის ჰიპოთეზის სასარგებლოდ. მრავალი ენისათვის შემჩნეული ვითარება – თავკიდურ პოზიციაში /r/-ს არარსებობის ან ძალზე დაბალი სინშირისა – ამ ტენდენციის გამოვლენა უნდა იყოს. ძირის სტრუქტურაში სონორ ფონემათა განაწილების წესი ენათა უნივერსალურ ტენდენციას უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი აზრით (და ალბანური მასალაც ამას უჭერს მხარს), თავისუფლად შეიძლება აქ უნივერსალიის თუ არა, კვაზიუნივერსალიის გამოკვეთა და არა მხოლოდ ტენდენციის ვარაუდი.

უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორის შემდეგი ნააზრევი: სონორობის ხარისხის თვალსაზრისით წონასწორობის წესი საერთო-ქართველურში რამდენიმე კანონზომიერების ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბდა. ამ კანონზომიერებად ი. მელიქიშვილს ესახება: 1. მიდრეკილება მარცვლის ბოლოკიდურის მეტი ღიაობისა და სონორობისაკენ; 2. მიდრეკილება ძირში ხშულთა შეერთების კონტრასტულობისაკენ; 3. ძირის სტრუქტურაში შემავალ ცალკეულ ხშულ თანხმოვანთა განსხვავებული ფუნქციონალური შესაძლებლობანი. ამავე თავის მომდევნო პარაგრაფში განხილულია ხშულთა ურთიერთმიმართება საერთო-ინდოევროპულ CVC- ტიპის ძირებში, რის შედეგადაც ავტორი ასკვნის, რომ სონორული პრინციპის საფუძველზე ძირი აგებულია საერთო-ინდოევროპულშიც. თუმცა იქ ძლიერია მჟღერობა-სიყრუის თვალსაზრისით ასიმეტრიული შეერთებისაკენ მიდრეკილება. საერთო-ქართველურში კი ბ-ქ, ქ-ბ ტიპის შეერთებები კანონიკურ სტრუქტურას ქმნიან. განხილულია აგრეთვე CVC- ტიპის ჰომოგენური, ჰეტეროგენული სტრუქტურები დეცესიურობა-აქცესიურობის გათვალისწინებით.

საგულისხმოა ი. მელიქიშვილის შემდეგი დაკვირვება: მჟღერებისა და ფშვინვიერებისაგან შედგენილ ძირებს უპირატესად დეცესიური სტრუქტურა აქვთ, რაც შეესაბამება მარცვლის ბოლოკიდურისკენ სონორობის ზრდის საერთო ტენდენციას. გლოტალიზებულთა შემთხვევაში კი ჭარბობს აქცესიური სტრუქტურები, რაც ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით ასევე სონორობის ბოლოსკენ ზრდის დამადასტურებელია. შემდეგ პარაგრაფში შესწავლილია ძირები ნაპრალოვანი ჩქამიერებით. გამოიკვეთა რამდენიმე მკაფიო ტენდენცია ნაპრალოვანი-ნშული, ნშული-ნაპრალოვანი და ნაპრალოვანი-ნაპრალოვანი ტიპის მიმდევრობისათვის. აქვეა მიმოხილული A და B ტიპის ჰარმონიული კომპლექსები, რომელთაგან B ტიპის ჰარმონიული კომპლექსები უპირატესია საერთო-ქართველურში. მიღებულია საინტერესო შედეგი: საერთო-ქართველური კანონიკურ ძირებში არ დასტურდება აქცესიური კომპლექსები.

თვალში საცემია ოთხივე ქართველური ენის მონაცემებით გავჯერებული მასალის მოქნილი და ლოგიკური ინტერპრეტაცია.

ნაშრომს დამატების ფორმით ერთვის საერთო-ქართველურ ძირეულ მორფმათა ინდექსი, რომელშიც ძირები სტრუქტურული ტიპების საფუძველზე არის დალაგებული.

*მარია ჯიქია*

\* \* \*

*ჯ. კ. გრინფილდი, არამეული ენა აქემენიანთა იმპერიაში, ქართული თარგმანი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2008, 40 გვ.*

2008 წელს გამოქვეყნდა გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის, სემიტოლოგის, იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორის Jonas C. Greenfield-ის (1926-1995) შრომის „Aramaic in the Achaemenian Empire“ ქართული თარგმანი. ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტში ელენე გიუნაშვილის მიერ, პროფესორ მარიამ ჩაჩიბაიას რედაქტორობით.

ნაშრომს ახლავს შესავალი და ერთვის კომენტარები.

ჯ. კ. გრინფილდის ეს ნაშრომი გამოცემული იყო სერიაში – *The Cambridge History of Iran, v. 2, The Median and Achaemenid Periods*, ed. by Ilya Gershevitch, Cambridge, 1985 pp. 698-713.

გრინფილდის შრომები უმთავრესად ეხება ძველი სემიტური ენების – ფინიკიურის, აქადურ-ბაბილონურის, უგარიტულის, ებრაულისა და არამეულის ეპიგრაფიკულ, პალეოგრაფიულ, ლექსიკოლოგიურ და ლექსიკოგრაფიულ, ასევე ტექსტოლოგიურ, დიალექტოლოგიურ, სტილისტურ, ეტიმოლოგიურსა და გრამატიკულ ანალიზს.

ჯ. გრინფილდს, როგორც ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერსა და ასევე დიდი ირანისტის, ვ. ბ. ჰენინგის ღირსეულ მოწაფეს, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ირანულ-სემიტურ ურთიერთობათა კვლევის საქმეშიც. არამეულის ევოლუციის საკითხზე მუშაობისას, მეცნიერმა ჯეროვანი ყურადღება მიაპყრო ირანიზმებს და მათ ფუნქციონირებას ძველსა (უმთავრესად ეგვიპტის, ელეფანტინის დოკუმენტების არქივის ენასა) და მომდევნო პერიოდის არამეულში.

ირანულენოვან სამყაროში არამეული ენისა და დამწერლობის აღზევების და მათი შემდგომი განვითარების საკითხებს ირანულენოვან სამყაროში ჯ. გრინფილდმა მიუძღვნა ორი ვრცელი სტატია, რომელთაგან ერთ-ერთის ქართულ თარგმანს წარმოადგენს სარეცენზიო ნაშრომი.

ჯ. გრინფილდის ამ ნაშრომის თარგმანს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ძველი არამეული ენის სტრუქტურის და აქემენიდთა ისტორიის შესაცნობად, არამედ ამიერკავკასიის და განსაკუთრებით, საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერების კვლევისათვის.

არამეული ფართოდ გავრცელდა ჯერ კიდევ აქემენიანთა ირანიდან სომხეთსა და საქართველოში და უკვე ჩვ. წ.-მდე II საუკუნიდან საქართველოში გვხვდება ორიგინალური არამეული წარწერები. არამეულს, რომელიც ბერძნულთან ერთად გამოიყენებოდა იბერიის სამეფოში, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისთვის, როგორც ეპიგრაფიკული კვლევებისთვის, ასევე ბიბლიის ქართული ვერსიებისა და მათი ებრაულ-არამეულ დედნებთან მიმართების ღრმად შესწავლისათვის.

ეს თარგმანი თანაბრად საინტერესო და საჭირო იქნება სამეცნიერო წრეებისათვის და საუნივერსიტეტო კურსებისათვის – ძველი ენებისა და კულტურების შემსწავლელთათვის, ქართველოლოგებისა და აღმოსავლეთმცოდნეებისათვის.

*მაია სახოკია*

## შინაარსი

### თამაზ გაყრელიძე – 80

გურამ კარტოზია ..... 5

### ფონეტიკა/ფონოლოგია

ციური ახვლედიანი – ფრანგული მეტყველების პროსოდიული თავისებურებები .....	7
<i>Tsiuri Akhvlediani – Prosodic Peculiarities of the French Speech</i> .....	12
თეიმურაზ გვანცელაძე – ორი ა ხმოვნის სპონტანური წარმოქმნა აფხაზური ენის ნასესხებ ლექსიკაში .....	13
<i>Teimuraz Gvantseladze – Spontaneous Pronouncing of Two a Vowels in Abkhaz Borrowings</i> .....	18
ტარიელ გურგენიძე – ქართული ენის ჩქამიერ ხშულ თანხმოვანთა „სამეულებად“ დაყოფის პრინციპისათვის .....	20
<i>Tariel Gurgenidze – On the Principle of Division of the Georgian Noise Occlusive Consonants into “Triads”</i> .....	28
ნათია ღუნდუა – CC და CCC ტიპის თანხმოვანთკომპლექსები თანამედროვე სპარსულში .....	29
<i>Natia Dundua – CC and CCC Consonant Complexes in Modern Persian</i> .....	37
ივანე ლეჟავა, ლუიზა ლორთქიფანიძე – გლოტალიზაციის ნიშნის აკუსტიკური ანალიზი ქართულ ენასა და მის დიალექტებში .....	38
<i>Ivane Lezhava, Luiza Lortkipanidze – Acoustic Analysis of Ejectives in Standard Georgian and Georgian Dialects</i> .....	53
<i>Барух Подольский – Ударение в Иврите</i> .....	54
<i>Baruch Podolsky – The Stress System of Modern Spoken Hebrew</i> .....	60
მარიკა ჯიქია – თურქულ ანთროპონიმთა ქართულში დამკვიდრების ფონეტიკურ-ფონოლოგიური კანონზომიერებანი .....	62
<i>Marika Jikia – The Phonetic – Phonological Regularities of Establishment of Turkic Anthroponyms in Georgian</i> .....	69

### მორფოლოგია/სინტაქსი

ვახტანგ იმნაიშვილი – ნარიანი მრავლობითის ერთი განსაკუთრებული სახეობა თანამედროვე ქართულში .....	71
<i>Vakhtang Imnaishvili – One Special Variety of <u>n</u> Plural in Modern Georgian</i> .....	77
მაია ლომია – წინადადების აქტუალიზებული წევრი და აქტუალიზაციის ენობრივი საშუალებები ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში .....	78

<i>Maia Lomia</i> – Foregrounding of Sentence Members and Linguistic Means of Foregrounding in Hypotactic Constructions .....	83
<i>ირინე მელიქიშვილი</i> – ფლექსიურობის (ფუზიურობის) შესახებ ქართველურ ენებში .....	84
<i>Irine Melikishvili</i> – The Degree of Fusion in the Kartvelian Languages .....	105
<i>ეთერ სოსელია</i> – საურთიერთო მოქმედების გამომხატველი კონსტრუქციები ქართულში .....	107
<i>Ether Soselia</i> – Constructions Conveying Semantics of Reciprocity in Georgian .....	113
<i>ნათია ფულტკარაძე</i> – ი-R-(th)-უ სტრუქტურის რეფლექსივები მეგრულში .....	114
<i>Natia Putkaradze</i> – Megrelian Verbal Reflexives of the Structure i-R-(th)-u .....	122
<i>მანანა ქარქაშაძე</i> – ობიექტჩართული ზმნები და მედიაოქტივები თანამედროვე ქართულში (I ნაწილი) .....	123
<i>Manana Karkashadze</i> – Object-Implied Reflexives and Medioactives in Modern Georgian (Part I) .....	134

### **ტექსტის ლინგვისტიკა**

<i>რუსუდან ასათიანი</i> – წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: ენებითი გვარის კონსტრუქციათა პრაგმატიკული თავისებურება ქართველურ ენებში .....	135
<i>Rusudan Asatiani</i> – Information Structure of a Sentence: Peculiarities of Passive Constructions in Kartvelian Languages .....	144
<i>ქეთევან გრძელიძე</i> – წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: ლოკატივები ქართულში .....	145
<i>Ketevan Grdzeldze</i> – Sentence Information Structure: Locatives in Georgian .....	161
<i>ნინო ქიმერიძე</i> – „ლინგვისტური პოეზია“ და ტექსტის ინტერპრეტაციის შესაძლებლობები .....	162
<i>Nino Kimeridze</i> – Linguistic Poetry and Some Possibilities of Text Interpretation .....	169

### **სემანტიკა/ლემსიკობრაფია/ზრაზემოლობა**

<i>ნანა ბერიძე</i> – არსებითი სახელის სემანტიკური ჯგუფები .....	170
<i>Nana Beridze</i> – Semantic Groups of Nouns .....	177
<i>რუსუდან გერსამია</i> – მეგრული <i>ვაშინერს</i> .....	178
<i>Rusudan Gersamia</i> – Megrelian <i>Vašiners</i> .....	190
<i>ირინა კველესიანი</i> – ცნება „ანდერძის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებში .....	193



<i>Irina Gvelesiani</i> – Terms Denoting the Concept “will” in Georgian, Russian and English Languages .....	198
<i>ნინო ეჯიბაძე</i> – იდიომატური გამოთქმები არაბული ენის ეკვიპტურ დიალექტში .....	199
<i>Nino Ejibadze</i> – Idiomatic Expressions in the Egyptian Arabic Dialect .....	212
<i>ია ვაშაკიძე</i> – საერთაშორისო ტერმინოლოგიისათვის სამეცნიერო ენაში ილია ჭავჭავაძის ენობრივი კონცეფციის ფონზე .....	213
<i>Ia Vashakidze</i> – On International Terminology in Scientific Language against the Background of the Linguistic Conception by Ilia Chavchavadze .....	220
<i>მარინე ივანიშვილი</i> – ეტიმოლოგიური დაკვირვება: წაწალი .....	222
<i>Marine Ivanishvili</i> – Etymological Observation: წაწალი .....	225
<i>ვლადიმერ ლეკიაშვილი</i> – არარეალურ ანტეცედენტთან პირობითი გამონათქვამების სემანტიკა .....	226
<i>Vladimer Lekiasvili</i> – The Semantics of Counterfactuals .....	230
<i>ნიკოლოზ ოთინაშვილი</i> – ქსნური გვარების წარმოებისათვის .....	231
<i>Nikoloz Otinashvili</i> – On the Formation of Ksani Surnames .....	233
იზაბელა ქობალავა – აწმყოს ფუძის ერთი თავისებურებისათვის მეგრულში .....	234
<i>Isabella Kobalava</i> – On One Peculiarity of the Present Stem in Megrelian .....	250
<i>ნათია ჩინჩალაძე</i> – იდიომები და თავისუფალი სიტყვათშესამებანი შიო არაგვისპირელის ნოველებში .....	251
<i>Natia Chinchaladze</i> – Idioms and Free Word-groups in Shio Aragvispireli’s Short Stories .....	256

### **პოპოლიტიკური ლინგვისტიკა**

<i>ოლეგ კაპანაძე</i> – სასრული მდგომარეობის ავტომატთა თეორიაზე დამყარებული ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზის სისტემა .....	257
<i>Oleg Kapanadze</i> – A Finite-State Automata Theory-Based Morphological Parser for the Georgian Language .....	269

### **ლინგვოპრაგმატიკა**

<i>მარიამ ქებურია</i> – პოლიტიკური დარწმუნების რამდენიმე ლინგვისტური ხერხის შესახებ .....	270
<i>Mariam Keburia</i> – Several Linguistic Strategies of Political Persuasion .....	275
<i>გვანტა ჭანტურია</i> – მედიაშეზღვევები, როგორც პოლიტიკური ზეგავლენის იარაღი .....	276
<i>Gvantsa Chanturia</i> – Media Messages – Main Political Weapon .....	288

## ასალი წიგნები

<i>ირინე მელიქიშვილი, ძირის სტრუქტურათა ტიპოლოგია და საერთო-ქართველური ძირი, გამომცემლობა „უნივერსალი“; თბილისი 2009, 203 გვ. (მარია ჯიქია) .....</i>	290
<i>ჯ. კ. გრინფილდი, არამეული ენა აქემენიანთა იმპერიაში, ქართული თარგმანი, გამომცემლობა „უნივერსალი“; თბილისი 2008, 40 გვ. (მაია სახოკია) .....</i>	293

გამომცემლობის რედაქტორი

კომპ. უზრუნველყოფა

ცირა ჯიშკარიანი

ლალი კურდღელაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995(32)251432

[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)